

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნეს-ინჟინირების ფაკულტეტი
BUSINESS-ENGINEERING FACULTY
OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
ФАКУЛЬТЕТ БИЗНЕС-ИНЖИНЕРИНГА
ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА

ISSN 1512-1305

თემიდა

სამეცნიერო-პრაკტიკული ჟურნალი

THEMIS

SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

ФЕМИДА

НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

№6(8)-2012

**თბილისი-TBILISI-ТБИЛИСИ
2012**

შესაძლოა მე არც კი ვიცოდე ცხოვრების საზრისი,
მაგრამ ჩემს ცხოვრებას ამ საზრისის ძიებას მივუძღვნი.
ბურდაევი

*May be I do not realize meaning of the life,
but I will devote the life to search of this sense.
Burdaev*

*Возможно я не осознаю смысл жизни,
но я посвячу свою жизнь поиску этого смысла.
Бурдаев*

სარედაქტო ჯოლებია:

- ქ. ქოქრაშვილი (თავმჯდომარე), ვ. ხრუსტალი (თავმჯდომარის მოადგილე),
ჯ. ხეცურიანი, პ. გუბლაშვილი, ბ. ხუროშვილი, ჯ. გახოკიძე, ზ. რუხაძე,
ბ. ძლიერიშვილი, ბ. როგავა, ლ. შაიშმელაშვილი, ბ. გაბისონია, ქ. ჯინჯარაძე,
ნ. ნიორაძე, თ. შომერუსი, ა. ბრანტი.

Editorial Board:

K. Kokrashvili (chairman), V. Khrustal (vice-chairman), J. Khetsuriani, P. Kublashvili, G. Khuroshvili,
J. Gakhokidze, Z. Rukhadze, Z. Dzlierishvili, Z. Rogava, L. Shaishmelashvili, Z. Gabisonia,
K. Jincharadze, N. Nioradze, T. Shomerus, A. Brant.

Редакционная коллегия:

К. Кокрашвили (председатель), В. Хрустал (зам. председателя), Дж. Хецуриани,
П. Кублашвили, Г. Хурошвили, Дж. Гахокидзе, З. Рухадзе, З. Дзлиеришвили, З. Рогава,
Л. Шаишмелашвили, З. Габисониа, К. Джинчарадзе, Н. Ниорадзе, Т. Шомерус, А. Брант.

© საგომოცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2012
<http://gtu.ge/temida/index.html>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის წესისმიერი ნაწილის (ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არც
ერთი ფორმითა და საშუალებით (ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის
გარეშე.

სავტორო უფლებების დარღვევა ისჯება ქანონით.

**საბანძო გარანტის ხელშეპრულების
ზოგიერთი პროცესი**

ქართული საბანკო სამართალი განვითარების ეტაპზე მყოფი სამართლის დარგია. მასში შემავალი ინსტიტუტებიდან ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული საბანკო პროდუქტი საბანკო გარანტის ხელშეპრულებაა.

ქართული კომერციული ბანკების განვითარების ფონზე იზრდება საბანკო ოპერაციებისა და საბანკო პროდუქტების რიცხვი, რაც, თავის მხრივ, საბანკო კანონმდებლობის სრულყოფისა და სხვადასხვა საკითხის სამეცნიერო დონეზე გააზრების აუცილებლობას ქმნის. საბანკო გარანტიების აქტუალურობა უდავოა, მით უფრო, რომ საერთაშორისო გარიგებებში მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული საშუალება არის სწორედ საბანკო გარანტიები.

საბანკო გარანტიებით კლიენტთა მომსახურება კომერციული ბანკების საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, საბანკო გარანტია, უმრავლეს შემთხვევაში, სცდება ერთი ქვეყნის ფარგლებს. გონივრულ ფარგლებში რისკზე წასვლა საბანკო საქმიანობის ერთ-ერთი ელემენტია¹.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ვაჭრობა სხვადასხვა სახის რისკთან არის დაკავშირებული, მათ შორისაა კომერციული, პოლიტიკური, დეფოლტის, ტრანსპორტირების, სამართლებრივი და სხვა. ამიტომ, საერთაშორისო ხელშეპრულების ხელმოწერამდე საჭიროა ამ რისკების ზედმიწევნით განხილვა.

საერთაშორისო ხასიათის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განხორციელების პროცესში მრავალი ხელშეპრულება იდება, რომელთა მხარეების ადგილსამყოფელი, ასევე ხელშეპრულების დადების და შესრულების ადგილი ერთმანეთს არ ემთხვევა. სუბიექტები (როგორც იმპორტიორი, ისე ექსპორტიორი) საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში ერთვებიან სხვადასხვა მიზეზით: შეიძლება საჭირო იყოს მასალის თუ საქონლის შეძენა ან მომსახურებით სარგებლობა საზღვარგარეთ, თუ ყოველივე ამის მიღება შეუძლებელია ან არახელსაყრელია ადგილობრივ ბაზარზე, ასევე შესაძლოა პირის საქმიანობა მიმართული იყოს საქონლის უცხო ქვეყნის ბაზარზე რეალიზაციით შემოსავლის მიღებაზე, ზოგჯერ კი შემოსავლის წყარო ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის შუამავლობაა. ასეთ ოპერაციებს, როგორც წესი, ახლავს ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემები².

საერთაშორისო ვაჭრობის გლობალიზაციის პროცესში საბანკო გარანტია ეფექტურ და პრაქტიკაში აღიარებულ ინსტიტუტად იქცა. საბანკო გარანტია გამოიყენება, როგორც

¹ რ. ბერიძე. საბანკო მენეჯმენტი. თბილისი: უნივერსალი, 2009, გვ. 11.

² თ. ზამბახიძე. დოკუმენტური აკრედიტივი – საერთაშორისო ანგარიშსწორების პრიორიტეტული ფორმა. ქურნ. “ქართული სამართლის მიმოხილვა”, 5/2002-1, გვ. 74.

მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის გარიგებებში.

დღეისათვის საბანკო გარანტიის საჭიროება საქართველოში უდავოდ დიდია და დაკავშირებულია საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან. ცხადია, კრედიტორი არ შეიძლება ყოველთვის დამკიდებული იყოს მოვალის მიმართ ნდობაზე ან გადახდისუნარიანობაზე. ერთი მხრივ, ნდობა არ არის კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, მეორე მხრივ, კრედიტორი მოწოდებული უნდა იყოს, მოვალისაგან მოთხოვნის უზრუნველყოფის საიმედო საშუალება მიიღოს.

საბანკო გარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების (ძირითადი ვალდებულებების) ჯეროვან შესრულებას. საბანკო გარანტიის, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის, გამოყენება აქტუალურია იმ შემთხვევაში, როდესაც მეწარმეს ბიზნესპროექტების განხორციელებისათვის კრედიტი კი არა, იმის გარანტია სჭირდება, რომ ბანკი პრობლემების წარმოშობის დროს მისცემს მას ფულად სახსრებს, მოვალის ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ.

საბანკო გარანტიის ღირებულება ბენეფიციარისათვის მდგომარეობს პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებული ურთიერთობის გარანტის გადახდის ვალდებულებისაგან დამოუკიდებლობაში.

საბანკო გარანტიის ობიექტია გარანტის მოქმედება, მიმართული ბენეფიციარის სასარგებლოდ საგარანტიო თანხის გადახდისაკენ, მის მიერ გარანტიის მოქმედების ვალდაში წარმოდგენილი გადახდის მოთხოვნის შესაბამისად. ამდენად, იმის მიუხედავად, თუ რა მოვალეობები ეკისრება პრინციპალს ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე (საგნის გადაცემა, სამუშაოს შესრულება და ა.შ.), გარანტის ვალდებულება ყოველთვის ფულადი სახისაა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საუბრობენ ხოლმე გარანტიასა და აკრედიტივზე, როგორც ანგარიშსწორების ფორმებზე ვფიქრობ, რომ აღნიშნული დებულება სადავოა და საბანკო გარანტია უფრო ახლოს დგას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებასთან, ვიდრე ანგარიშსწორების ფორმასთან.

ქართულ სამართალში საბანკო გარანტია განიხილებოდა და განიხილება, როგორც ვალდებულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება. ამ ხარისხში გარანტია დიდი ხანია ცნობილია სამოქალაქო სამართლისათვის და ამ სახით იყო წარმოდგენილი საბჭოთა პერიოდის ქართულ კანონმდებლობაშიც. სსრ კავშირის „სამოქალაქო სამართლის საფუძვლების“, ასევე მოკავშირე რესპუბლიკებისა და მათ შორის საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსებისათვის ცნობილი გარანტიის ინსტიტუტი წარმოადგენდა უზრუნველყოფის აქცესორულ საშუალებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა სრულიად შეცვალა თავდებობასა და გარანტიას შორის დამოკიდებულება და აქცესორული გარანტიის საპირისპირო შემოიტანა საბანკო გარანტიის სრულიად განსხვავებული ინსტიტუტი¹.

¹ პ. ხოტენაშვილი. საბანკო (დამოუკიდებელ) გარანტიათა ზოგიერთი საკითხი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით. ქურნ. “ქართული სამართლის მიმოხილვა”, 6/2003-2/3, გვ. 326.

დამოუკიდებელი საბანკო გარანტიის ანუ სარეზერვო აკრედიტივის ინსტიტუტი stand-by letter of credit (როგორც მას იცნობს ამერიკული და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სამართალი და საბანკო პრაქტიკა) მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა.

სამოქალაქო ბრუნვაში საბანკო გარანტიის მნიშვნელობის ზრდის მიუხედავად, დღეს როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკულ დონეზე გადასაწყვეტი რჩება საბანკო გარანტიის არაერთი პრობლემური საკითხი. პრაქტიკაში აღნიშნული “დია კითხვების არსებობა” იწვევს კომერციული ბანკების განსაკუთრებულ სიფრთხილეს საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის კონსტრუქცია საკმაოდ მკაცრია გარანტობა, ჩვენ შემთხვევაში, კომერციულ ბანკებთან მიმართებაში.

პრინციპალსა და გარანტს შორის გაფორმებული შეთანხმების საგანია გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის განსაზღვრული საბანკო გარანტიის გაცემა განსაზღვრულ თანხაზე, თუმცა შესაძლებელია (და აღნიშნული დამკიდრებულია საბანკო პრაქტიკაში) პრინციპალსა და გარანტს შორის გაფორმდეს გენერალური საბანკო გარანტიის ხელშეკრულება, რომელშიც მოცემული იქნება გარანტის ვალდებულება დროის განსაზღვრულ პერიოდში განსაზღვრული პერიოდულობით გასცეს საგარანტიო წერილები.

როგორც ცნობილია, გარანტია ფრანგული სიტყვაა და “უზრუნველყოფას” ნიშნავს. იმ ინსტიტუტს, რომელსაც საქართველოში საბანკო გარანტია ჰქვია, სხვადასხვა ქვეყნის სამართალში განსხვავებული სახელი აქვს. კერძოდ, გერმანიაში გამოიყენება ტერმინი – Garantie; საფრანგეთში, იტალიაში – Garantie de banque, Garanzie bancarie; დიდ ბრიტანეთში – Guarantee.

აქვე უნდა შეფასდეს საბანკო გარანტიის იურიდიული ბუნება, რომელიც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. მოცემულ ეტაპზე საბანკო გარანტია განიხილება ცალმხრივ გარიგებად. საბანკო გარანტიის განხორციელებისათვის მოითხოვება მხოლოდ ერთი მხარის – გარანტის ნების გამოვლენა.

ერთი შეხედვით, საბანკო გარანტია შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ხელშეკრულება გარანტსა და ბენეფიციარს შორის, მაგრამ აღნიშნული მიღგომა არ შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემულ ნორმებს, რომლებიც ხელშეკრულების დადებას არეგულირებს.

თუ დავუშვებთ, რომ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებაში გარანტი ოფერენტია, ხოლო აქცეპტანტი – ბენეფიციარი, მაშინ ბენეფიციარის აქცეპტი არასდროს არ არის სახეზე. თუმცა ეს ხელს არ უშლის კანონმდებელს, განიხილოს საბანკო გარანტია ვალდებულების წარმოშობის საფუძვლად, მიუხედავად ბენეფიციარის აქცეპტის არარსებობისა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბენეფიციარის აქცეპტი ხორციელდება გარანტისათვის მოთხოვნის წარდგენის მომენტში. ამ შემთხვევაში გარანტია აქცეპტის მომენტამდე გამოუხმობად ოფერტს წარმოადგენს, ხოლო ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება გარანტის მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების მომენტიდან.

აღნიშნული მოსაზრების განვითარებისას არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის მუხლი, რომლის თანახმად ბენეფიციარს შეუძლია თავისი უფლებების სხვებისათვის გადაცემა განსაზღვრული პირობების არსებო-

ბისას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კი არ უშვებს ოფერტის მიმღების მიერ აქცეპტის უფლების მესამე პირისათვის გადაცემას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბანკი-გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის გაცემულ დოკუმენტს საბანკო პრაქტიკაში საგარანტიო წერილი ეწოდება.

როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნება, საბანკო გარანტია არც ერთ სტადიაზე არ ადგენს გარანტსა და ბენეფიციარს შორის ხელშეკრულებას, უფრო მეტიც, მათ შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა ყალიბდება საბანკო გარანტიის გაცემისთანავე.

გერმანიაში არსებობს შეხედულება, რომ გარანტიები და აქრედიტივები ცალმხრივი გარიგებებია და იდება ოფერტის შექმნით, რომლის აქცეპტი დუმილით ხორციელდება¹.

პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთი ქვექნის მსგავსად, აზერბაიჯანის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საბანკო გარანტია მოიხსენიება, როგორც “გარანტია”. ვფიქრობ, აღნიშნული მიღგომა სწორია და სავსებით ამართლებს გარანტიის შინაარსს, რამეთუ საბანკო გარანტიის გამცემი, გარდა ბანკისა, შეიძლება იყოს ასევე სადაზღვევო ორგანიზაცია და საკრედიტო დაწესებულება. აზერბაიჯანის მსგავსი ტერმინოლოგიური მიღგომაა განმტკიცებული ასევე ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ბელარუსის სამოქალაქო კოდექსებში.

აზერბაიჯანის სამოქალაქო კოდექსის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ეს ნორმები ფორმულირებულია რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსების ნორმების საფუძველზე. რუსეთის ფედერაციისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის ნორმების შინაარსი საბანკო გარანტიის კუთხით პრაქტიკულად არ განსხვავდება.

ვფიქრობ, რომ წარმოდგენილი სტატია იმის დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ საბანკო გარანტია, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საბანკო მომსახურების ხელშეკრულება, საკმაოდ ბევრი იურიდიული შინაარსის პრობლემას მოიცავს და მისი კვლევა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

¹ Овсейко С. Комментарий к Конвенции ООН о независимых гарантиях и резервных аккредитивах // Банковское право. 2001. № 1. С. 56.

ზვიად გაბისონია,
სამართლის დოქტორი

საბანკო ბარანტის ხელშეპრულების ზოგიერთი პრობლემა

განხილულია საბანკო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის – საბანკო გარანტის ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

შედარებითი მეთოდის გამოყენებით წინა პლანზეა წამოწეული ის მთავარი თემიული და პრაქტიკული პრობლემები, რაც საბანკო გარანტის ხელშეკრულებასთანაა დაკავშირებული.

Zviad Gabisoni,
doctor of law

SOME PROBLEMS OF THE BANK GUARANTEE AGREEMENT

There is discussed one of the most important institutions of the banking law - The Bank Guarantee Agreement and related problems.

By using the comparative method, the author is trying to advance those major problems, which are related to the bank guarantee agreement and which contain not only theoretical but also practical problems.

Звиад Габисония,
доктор права

НЕКОТОРЫЕ ПРОБЛЕМЫ ДОГОВОРА БАНКОВСКОЙ ГАРАНТИИ

Рассмотрен один из важнейших институтов банковского права – Договор банковской гарантии и связанные с ним проблемы.

Автор, используя метод сравнения, пытается выдвинуть на первый план те главные проблемы, которые связаны с Договором банковской гарантии и которые содержат не только теоретические, но и практические проблемы.

შრომითი ურთიერთობების რეგულირება სამართაშორისო კერძო სამართალში

1. საკითხის დასმა

თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართალში (შემდგომში – სქს) მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შრომით ურთიერთობებს. უფრო მეტიც, ამგვარი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები ევროპულ სკს-ს დოქტრინაში ცალკე ქვედარგადაა ჩამოყალიბებულ და საერთაშორისო შრომის სამართალი ეწოდება.

საერთაშორისო შრომის სამართლის ამგვარი განვითარება რამდენიმე ფაქტორშია განპირობა. პირველ რიგში, ეს უკავშირდება მე-20 საუკუნის 40-იანი წლების ბოლოდან, მეორე მსოფლიო ომის “ჭრილობების მოშუშების” პერიოდში, ევროპის ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობის დაწყებას. ევროპამ შეძლო არა მარტო აღედგინა ომის შედეგად დანგრეული ქვეყნები, არამედ სწრაფი ეკონომიკური განვითარების გზას დადგომოდა.

აღნიშნულს მოჰყვა ევროპის ქვეყნების უფრო მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოება, რამაც საბოლოო ჯამში ევროპის კავშირი, როგორც სუპერნაციონალური სახელმწიფო წარმოშვა¹.

სწორედ აღნიშნული პერიოდიდან იღებს სათავეს დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე აღმოსავლეთ ევროპის, აფრიკისა და აზიის ქვეყნებიდან იაფი მუშახელის დიდი რაოდენობით მიგრაცია.² აღნიშნული დღესაც შეუქცევ ხასიათს ატარებს. უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მძიმე ეკონომიკურ სიდუხჭირეში ჩავარდნილი უამრავი ყოფილი საბჭოთა მოქალაქე ევროპის გზას დაადგა.

სამწუხაოდ, ანალოგიური ბედი საქართველოს ბევრ მოქალაქესაც ერგო წილად. დღესაც შეხვდებით ევროპის სხვადასხვა ქვეყნაში ბევრ ჩვენს თანამემამულებს, რომელიც, მწირი ანაზღაურების ფასად, იძულებულია უმძიმესი სამუშაო შეასრულოს.

რასაკირველია, შრომითი სამართლებრივი ურთიერთობები შესრულდება იაფუასიან სამუშაოებს არ მოიცავს. ბევრი საქართველოს მოქალაქე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების შრომის ბაზარზე ღირსეულ ადგილს იკავებს. მათი სახელები ცნობილია კულტურისა თუ სპორტის, სამეცნიერო თუ პრაქტიკული დარგების ევროპულ ისტებლიშმენტში.

თავის მხრივ, საქართველოში ყოველწლიურად იზრდება უცხოელი ექსპერტებისა თუ მუშახელის შემოსვლა სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად. ეს განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო წლებში, მასშტაბური პრივატიზების დაწყების შემდეგ. დღეისათვის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში დასაქმებულ მრავალი ქვეყნის წარმომადგენელს შეხვდებით (აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, თურქეთის, რუსეთის, უკრაინის, ჩეხეთის, ინდოეთის, ჩინეთის და ა.შ.).

ვფიქრობ, რომ ზემოაღნიშნული ნათელ მაგალითს იძლევა იმისა, თუ რაოდენ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს “უცხო ელემენტით დატვირთული” შრომითი სამართლებრივი ურთიერთობების შესწავლას. თუ იმასაც დავამატებთ, რომ ამგვარი “უცხო ელემენტით დატვირთული” შრომითი ურთიერთობები ზოგიერთი პროფესიის ადა-

¹ Möglichkeiten und Grenzen einer Europäischen Union, Band I: Die Europäische Union als Prozeß (Mit Beiträgen von Hans von der Groeben, Rudolf Hrbek und Heinrich Schneider, Hans Möller), Baden-Baden, 1980, S.3-17.

² Fritz Ranke. Arbeitsrecht in Frankreich, 1. Aufl., München, 1995, S. 3.

მიანს თვით ამ პროფესიის შინაარსშივე აქვს გათვალისწინებული (მაგალითად, შორეული ზღვაოსნობის მეზღვაურები, საერთაშორისო რეისების მფრინავები და ა.შ.)¹, ნათელი გახდება საერთაშორისო შრომის სამართლის როლი სკს-ში.

2. საერთაშორისო შრომის სამართლის ცნება

როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო შრომის სამართლი არეგულირებს “უცხო ელემენტით დატვირთულ” შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს.

თავად ცნება “უცხო ელემენტით დატვირთული” ურთიერთობები წარმოიშვა და განვითარდა სკს-ის დოქტრინაში. თანამედროვე ევროპული დოქტრინის მიხედვით, ამგვარი ურთიერთობა შეიძლება იყოს უცხო ელემენტით შემოხვევებში:

- ა) სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი არის უცხო ელემენტის მატარებელი;
- ბ) სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის უცხო ელემენტის მატარებელი.
- გ) იურიდიული ფაქტები, რომელიც ადასტურებს, რომ არის უცხო ელემენტის მატარებელი².

რაც შეეხება საერთაშორისო შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს, მათში “უცხო ელემენტი” ვლინდება იმდენად, რამდენადაც ხელშეკრულების მხარე უცხო ქვეყნის მოქალაქე (დასაქმებული) ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირია (დამსაქმებელი).

როგორც ცნობილია, საქართველოში 1998 წლის 1 ოქტომბრიდან მოქმედებს კანონი “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ”³.

სამწუხაოდ, უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს თითქმის არ ეთმობა ადგილი. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს კანონის 38-ე (სოციალური დაცვის იმპერატიული ნორმები) და 70-ე (უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება) მუხლები. ეს უკანასკნელი არეგულირებს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ შრომის სამართლის საქმეთა გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს⁴. იმის გამო, რომ ის ცდება ჩვენი პრობლემის განხილვის საზღვრებს, მხოლოდ კანონის 38-ე მუხლს განვიხილავ.

“საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 38-ე მუხლი შეიცავს “სოციალური დაცვის იმპერატიულ ნორმებს”. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად: “სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს იმ იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც მიღებულია მომხმარებელთა და მუშა-მოსამსახურეთა დისკრიმინაციისაგან დასაცავად. ეს წესი გამოიყენება ასევე მოძრავი ნივთების მიწოდების, დაფინანსების, შრომის ან მომსახურების ხელშეკრულებების მიმართ, თუ ისინი იმ ქვეყანაში

¹ Harald Koch, Ulrich Magnus, Peter Winkler von Mohrenfels, IPR und Rechtsvergleichung. Ein Studien- und Übungsbuch zum Internationalen Privat- und Zivilverfahrensrecht und zur Rechtsvergleichung, 3. Aufl., München, 2004, S.234-235.

² “უცხო ელემენტით დატვირთული ურთიერთობის” შესახებ. ზ. გაბისონია. ქართული საერთაშორისო კერძო სამართლი. თბილისი, 2006 წ.

³ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 1998 წლის 29 აპრილს.

⁴ მუხ. 70. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება: (1) სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. (2) აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღმდეგის შემდეგ. (3) შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი საქართველოს უზენაეს სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.

იქნა შეთანხმებული ან დადგებული, სადაც მომხმარებლებსა და მუშა-მოსამსახურებს აქვთ საცხოვრებელი ადგილი და სადაც ასეთი დამცავი ნორმები მოქმედებს”.

უნდა აღინიშნოს, რომ “სოციალური დაცვის იმპერატიული ნორმები” ცნობილია ევროპის ყველა ქვეყნის სკე-ის დოქტრინისათვის. იგი გულისხმობს ქვეყნის შიგნით მოქმედი “იმპერატიული ნორმების” (*Zwingende Normen, Zwingende Vorschriften*) პრიორიტეტულობას მხარეთა მიერ სამართლის არჩევის მიმართ¹. ამ უკანასკნელს სკე-ის დოქტრინაში “შეარეთა ნების ავტონომია” (*Parteiautonomie*)² ეწოდება.

“სოციალური დაცვის იმპერატიული ნორმების” დაცვითი მექანიზმი სკე-ში გამოიყენება სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ (მაგალითად, მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ა.შ.). სამწუხაროა ის, რომ ქართველმა კანონმდებელმა აღნიშნული ურთიერთობები ერთ მუხლში ყოველგვარი ლოგიკურ-შინაარსობრივი ჯაჭვის არარებობის პირობებში გააერთიანა. ამით დაურეგულირებელი დატოვა ის უმნიშვნელოვანესი შრომით-სამართლებრივი საკითხები, რისი შესწავლის გარეშეც, დარწმუნებული ვარ, ბევრი იურისტისათვის აბსოლუტურად “უშინაარსო” ნორმად აღიქმება.

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ სკე-ს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების საკითხში, განვიხილოთ გერმანული სკე, რომლის კანონმდებლობის რეცეფციითაც მოხდა ქართული “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” კანონის შექმნა.

3. გერმანული საერთაშორისო შრომის სამართალი

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო შრომის სამართლის საკითხები გერმანულ სკე-ში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, თავად გერმანიის მაღალეკონომიკური განვითარებაა. გერმანიამ მეორე მსოფლიო ომში განცდილი მარცხის და მისი ბევრი ქალაქის მიწასთან გასწორების, აგრეთვე ქვეყნის ორ ნაწილად გაყოფის მიუხედავად შეძლო შექმნა ეკონომიკური უძლიერესი სახელმწიფო. ცნობილია, რომ მისი ეკონომიკური მაჩვენებლები ყოველწლიურად სტაბილურ ზრდას განიცდის. ის უდავოდ ითვლება დღეისათვის ეკონომიკურის ერთ-ერთ ლიდერ და პოლიტიკის განმსაზღვრელ ქვეყანად.

გერმანიის ამგარმა ეკონომიკურმა ზრდამ და მისმა ინტეგრაციამ ევროგაერთიანებაში დღის წესრიგში დააყენა საერთაშორისო შრომითი ურთიერთობების რეგულირება. აღნიშნულს განაპირობებდა ორი ძირითადი ფაქტორი:

ა) გერმანული კომპანიების საქმიანობა, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს მსოფლიო ბაზარზე, უკეთ გედარ თავსდებოდა ერთ ქვეყანაში და გამუდმებით სხვადასხვა ქვეყანაში მიისწრავოდა საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად. აღნიშნულს, თავის მხრივ, მოსდევდა გერმანელი მენეჯერების, ინჟინრების, ექსპერტების და მუშახელის მიგრაცია აღნიშნულ ქვეყნებში შესაბამის პროექტებზე სამუშაოდ. ეს კი დღის წესრიგში აყენებდა მათი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებას შესაბამის ქვეყნებში. გარდა ამისა, უამრავი უცხო ქვეყნის სახელმწიფო თუ კერძო კომპანიები იწვევდნენ გერმანელ ექსპერტებს თავიანთ კომპანიებში ან მათ ფილიალებში სამუშაოდ. ეს კი მათი შრომითი უფლებების დაცვის აუცილებლობას წარმოქმნიდა;

¹ Christian von Bar. Internationales Privatrecht, I Band, Allgemeine Lehren, München, 1987, S.230-232.

² Joachim Püls. Parteiautonomie. Berlin, 1995, S. 43.

ბ) გერმანიაში, სხვა მაღალგანვითარებული ევროპული ქვეყნების მსგავსად, კოველწლიურად იზრდებოდა აღმოსაცლეთ ევროპის, ყოფილი საბჭოთა კავშირის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან იაფი მუშახელის მიგრაცია იაფი სამუშაოს შოვნის იმედით. ასე გაჩნდა გერმანულ საერთაშორისო შრომის სამართლში ისეთი ტერმინები, როგორიცაა “სტუმარი მუშამოსამსახურე” (Gastarbeiter), “იაფი შემოსავლის სფეროები” (billiglohngebiete) და ა.შ¹.

გერმანიაში საერთაშორისო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების კოლიზიური საკითხები რეგულირებულია 1896 წლის სამოქალაქო კოდექსის შესავალ კანონში (Einführungsgesetz zum Bürgerlichen Gesetzbuch) (შემოკლებით – EGBGB, შემდგომში – ეგბგ), რომელშიც მოგვიანებით რამდენჯერმე მოხდა ცვლილება დამატებების შეტანით. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1986 წელს ჩატარებული სარედაქციო რეფორმები².

გერმანული ებბგბ შრომის ხელშეკრულების მიმართ უშვებს “მხარეთა ნების ავტონომის” გამოყენებას. ეს ნიშნავს, რომ შრომითი ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ თავად აირჩიონ მათთვის მისადები შრომის სამართალი. ებბგბ-ს 27-ე მუხლი, რომელიც მხარეთა ნების ავტონომიას ცნობს, პირდაპირ გამოიყენება შრომითი ხელშეკრულების მიმართაც³. ეს კი მხარეებს საშუალებას აძლევს აირჩიონ როგორც მათი ქვეყნის სამართალი (დამსაქმებლის ან დასაქმებულის), არამედ მესამე ქვეყნის ე.წ. “ნეიტრალური” სამართალიც.

მხარეთა ნების ავტონომია შეიძლება გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებებში, არამედ ე.წ. “კოლექტიური ხელშეკრულებების” (Tarifverträge) მიმართაც. კოლექტიური ხელშეკრულებები აწესრიგებს შრომით, სოციალურ-ეკონომიკურ და პროფესიულ ურთიერთობებს დამსაქმებელსა და მუშაკებს შორის საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში⁴. გერმანიაში კოლექტიურ ხელშეკრულებებს არეგულირებს კანონი “კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ” (Tarifvertraggesetz)⁵. იმ შემთხვევაში, თუ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების მიმართ მხარეები გამოსაყენებელ სამართლად გერმანულ სამართალს აირჩევენ, მაშინ აღნიშნული ხელშეკრულების მიმართ გამოყენებული იქნება “კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ” გერმანიის კანონის §1.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ გერმანული სკს საქმაოდ ფრთხილად ეკიდება მხარეთა მიერ შრომითი ხელშეკრულების დადგინდების სამართლის არჩევის საკითხეს. საქმე ისაა, რომ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები პრაქტიკაში არცოდ მთლად “თანასწორუფლებიან” მხარეებს შორის იდება. დამსაქმებელი, როგორც წესი, გაცილებით უფრო მძლავრ ბერკეტებს ფლობს იმისათვის, რომ დასაქმებული (რომელიც, როგორც წესი, ხელშეკრულების უფრო სუსტი მხარე) აიძულოს მის პირობებზე დათანხმდეს. ამიტომ, ნათელია, რომ დამსაქმებელს აქვს სრული კარტ-ბლანში იმისა, რომ “მხარეთა ნე-

¹ Harald Koch. Ulrich Magnus. Peter Winkler von Mohrenfels. IPR und Rechtsvergleichung. Ein Studien- und Übungsbuch zum Internationalen Privat- und Zivilverfahrensrecht und zur Rechtsvergleichung, 3. Aufl., München, 2004, S. 235.

² Ulrich Magnus Kommentar zum Art 30 EGBGB. J. von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetze (EGBGB-IPR Art. 27-37), Berlin, 2002, S. 365.

³ Bernd von Hoffmann. Internationales Privatrecht, 7 Aufl, München, 2002, S. 422.

⁴ კოლექტიური ხელშეკრულებების შესახებ საქართველოში მოქმედებდა 1997 წლის 10 დეკემბრის კანონი „კოლექტიური ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესახებ“, რომელიც 2006 წლის 25 მაისს გაუქმდებულ იქნა საქართველოს ახალი შრომის კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით. საქართველოს შრომის კოდექსმა X თავში (41–43 მუხლები) დაარეგულირა კოლექტიური ხელშეკრულებები.

⁵ ix. Tarifvertraggesetz in der Fassung v. 25.08.1969, BGBI, I, 1323.

ბის ავტონომიის” პრინციპი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და მისთვის სახურველი სამართალი აირჩიოს. ამით, რასაკვირველია, საფრთხე ექმნება დასაქმებულის, როგორც ხელშეკრულების სუსტი მხარის, კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

სწორედ აღნიშნულის გამო, გერმანულმა ეგბგბ-მ გაითვალისწინა გამონაკლისი, რომელიც ზეუდავს შრომითი ხელშეკრულების მიმართ “მხარეთა ნების ავტონომიის” გამოყენებას. კერძოდ, ეგბგბ-ს 30-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ “შრომითი ხელშეკრულებებისა და შრომითი ურთიერთობების მიმართ მხარეთა მიერ სამართლის არჩევა არ დაიშვება, თუ დასაქმებულის უფლებები არ არის იმგვარად დაცული, როგორც ის დაცული იქნებოდა იმ სამართლის იმპერატიული ნორმების გამოყენების შემთხვევაში, რომელზედაც მიუთითებს ამ მუხლის მეორე ნაწილი მხარეთა მიერ სამართლის არჩევაზე უარის თქმის შემთხვევაში”¹.

როგორც ციტირებული მუხლიდან ჩანს, გერმანული სამართალი ცდილობს შეზღუდოს მხარეთა ნების ავტონომია, მიუთითებს რა იმ ქვეყნის შრომის სამართლის იმპერატიულ ნორმებზე, რომელიც გამოყენებული იქნებოდა, მხარეებს სხვა ქვეყნის სამართალი რომ არ აერჩიათ.

საკითხის ნათლად გარკვევისათვის აუცილებელია გავერკვეთ, თუ რომელი ქვეყნის სამართალზე მიუთითებს კანონმდებელი 30-ე მუხლის მეორე ნაწილში. მასში მითითებულია:

“მხარეთა მიერ სამართლის არჩევაზე უარის თქმის შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულებები და შრომითი ურთიერთობები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს:

1. რომელშიც დასაქმებული შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს მოთხოვნებს ჩვეულებრივ ასრულებს ან თავისი სამუშაოს გამო სხვა ქვეყანაშია, ან

2. სადაც განთავსებულია იმ საწარმოს ფილიალი, რომელშიც ძირითადად მუშაობს დახაქმდებული და თუ მიხი სამუშაოს შესრულება არ არის დაკავშირებული ერთსა და იმავე ქვეყანასთან. ამასთან, თუ საქმის ვითარების მოლიანობაში შესწავლა ნათლად მიუთითებს, რომ შრომითი ხელშეკრულება და შრომითი ურთიერთობები უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა სახელმწიფოსთან, მაშინ აღნიშნულ შემთხვევაში გამოიყენება ამ უკანასკნელი ქვეყნის სამართალი”².

აღნიშნული, საკმაოდ რთულად ფორმულირებული ანალიზი ნათლად გვიჩვენებს იმ ძირითად პრინციპებს, რასაც ემყარება გერმანული საერთაშორისო შრომის სამართალი.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ეგბგბ-ს 30-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებული დათქმები საკანონმდებლო განმტკიცებას აძლევს სკს-ის დოქტრინაში გაბატონებულ მიმაგრების ფორმულას – **სამუშაოს შესრულების ადგილის კანონი (lex loci laboris)**³. აღნიშნული მიმაგრების ფორმულა წარმართველია არა მარტო ევროპული, არამედ ინგლისურამერიკული სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყნების სკს-ის დოქტრინებში.

სამუშაოს შესრულების ადგილის კანონი (lex loci laboris) გულისხმობს შრომითი ურთიერთობების მიმართ იმ ქვეყნის შრომის სამართლის გამოყენებას, რომელთანაც დაკავშირებულია დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება. ასე, მაგალითად, თუ საქართველოს მოქალაქე დასაქმებულია მიუნიენის ავტოკონცერნ “BMW”-ს ქარხანაში, იგულისხმება, რომ მისი შრომითი ურთიერთობები ექვემდებარება გერმანულ შრომის კანონმდებლობას.

¹ Erik Jeame. Rainer Hausmann. Internationales Privat- und Verfahrensrecht, Textausgabe, 13. Auf., München, 2006, S. 33.

² იქვე, S. 33.

³ ზ. გაბისონია. ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი. თბილისი, 2006, გვ. 83.

მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი (ავტოკონცერნი “BMW”) და დასაქმებული (საქართველოს მოქალაქე) შეთანხმდებიან, რომ გამოსაყენებელი სამართალი იყოს არა გერმანული, სადაც სამუშაო ადგილია (ამ შემთხვევაში ის ემთხვევა დამსაქმებელი ქვეყნის სამართალს) განთავსებული, არამედ ქართული სამართალი (დასაქმებულის ქვეყნის სამართალი). ერთი შეხედვით, ეს მაგალითი შეიძლება ვინმეს სასაცილოდ მოეწვენოს, მაგრამ თუ საკითხს უფრო ღრმად განვიხილავთ, პარადოქსულ ფაქტს წავაწყდებით – დამსაქმებელს გაცილებით ურჩევნია გამოიყენოს ქართული შრომის სამართალი, რომელიც მთლიანად მორგებულია დამსაქმებლის ინტერესებზე, ვიდრე გერმანული შრომის სამართალი, რომელიც დასაქმებულისათვის მრავალი სოციალური დაცვის გარანტიას იძლევა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ გერმანელ დამსაქმებელს შეიძლება უფრო აწყობდეს ქართული შრომის სამართლის გამოყენება. გარეგნულად ეს შეიძლება დასაქმებულის სასარგებლოდ გადადგმულ ნაბიჯადაც კი ჩაითვალოს, რადგან მისი ქვეყნის სამართალს ირჩევს, მაგრამ რეალურად სოციალური დაცვის გარანტიის გარეშე რჩება.

სწორედ ამგვარი სამართლის არჩევის საპირისპიროა ეგბგბ-ს 30-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში სამართლის არჩევა არ დაიშვება, რადგან ის გერმანული შრომის სამართლის იმპერატიულ ნორმებს ეწინააღმდეგება.

ეგბგბ-ს 30-ე მუხლის მეორე ნაწილის მე-2 ქვეპუნქტი ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც დასაქმებულს აიყვანს რომელიმე ქვეყნის კომპანიის ფილიალი. ამ შემთხვევაში, დასაქმებული ექვემდებარება საწარმოს ფილიალის განთავსების ქვეყნის სამართალს. აღნიშნული ქვეყნის შრომის სამართლის იმპერატიული ნორმები მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ ფილიალი დასაქმებულს სამუშაოს შესასრულებლად სხვა ქვეყნებში უშვებს. პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები იმდენად ხშირია, რომ გერმანულ სამართალში სამუშაოს სხვადასხვა ქვეყანაში შესრულებას სპეციალური ტერმინითაც კი აღნიშნავენ: “Ausstrahlung”¹.

საკითხის სიცხადისათვის განვიხილოთ მაგალითი. დაგუშვათ, რომ აშშ-ს სამშენებლო კომპანია “X”-მა, რომელიც სამშენებლო სამუშაოებს მოელი მსოფლიოს მასშტაბით ასრულებს, გერმანიაში არსებული ფილიალის საშუალებით აიყვანა ქართველი მშენებელი ინჟინერი. გერმანულმა ფილიალმა ქართველი ინჟინერი, სხვა ინჟინერებთან ერთად, გაგზნა სამშენებლო სამუშაოებზე სინგაპურში, თბილისში, ალექსანდრე და ბუენოს-აირესში. მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში მუშაობს ქართველი ინჟინერი, მის მიმართ გამოიყენება გერმანული შრომის სამართლის იმპერატიული ნორმები.

ეგბგბ-ს 30-ე მუხლის ბოლო ნაწილი ითვალისწინებს გამონაკლისს, რომლის დროსაც არ გამოიყენება ამ მუხლის მე-2 ნაწილის პირველ და მე-2 ქვეპუნქტში მითითებული დანაწესი. კერძოდ, მასში მითითებულია, რომ “თუ საქმის ვითარების მთლიანობაში შესწავლა ხათლად მიუთითებს, რომ შრომითი ხელშეკრულება და შრომითი ურთიერთობები უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა სახელმწიფოსთან, მაშინ აღნიშნულ შემთხვევაში გამოიყენება ამ უკანასკნელი ქვეყნის სამართალი”.

საკითხის სიცხადისათვის კვლავ განვიხილოთ მაგალითი. გერმანული კომპანია, რომელსაც ფილიალი აშშ-ში აქვს, კერძოდ, კალიფორნიაში, შრომით კონტრაქტს უფორმებს გერმანიაში დაბადებულ გერმანიის მოქალაქეს, რომელიც კალიფორნიაში იმყოფება. გამოსაყენებელ სამართლად აშშ-ს ფილიალი ირჩევს გერმანულ შრომის სამართალს. შრომითი

¹ Joachim Quittnat. Das Recht der Außenhandelskaufverträge. Internationale Privatrecht, deutsches Sachrecht und Vertragsgestaltung, Heidelberg, 1988, S. 208.

ხელშეკრულების მიხედვით, დასაქმებულს ევალება, დამსაქმებლის მითითების მიხედვით, სამუშაო აწარმოოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. აღნიშნული მაგალითიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ფილიალი აშშ-შია რეგისტრირებული, თავად შრომითი ურთიერთობა იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული გერმანიასთან (დამსაქმებელი კომპანიის წარმოშობა, დასაქმებულის მოქალაქეობა, შრომითი ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი), რომ მის მიმართ იმოქმედებს გერმანული შრომის სამართლის იმპერატიული ნორმები.

უნდა აღინიშნოს, რომ **სამართლებრივ ურთიერთობასთან უკედაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალი**, რომელიც გამოიყენება ეგბგბ-ს 30-ე მუხლის ბოლო ნაწილში, მნიშვნელოვანი მიმაგრების ფორმულაა სკს-ს დოქტრინაში. მას იყენებს როგორც კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემა (*Prinzip der engste Verbindung*), ასევე ინგლისურ-ამერიკული სამართალი (*The proper law on the contract*).¹ ეს პრინციპი ძირითადად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები უარს ამბობენ **მხარეთა ნების ავტონომიის** (*Parteiautonomie*) პრინციპის გამოყენებაზე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების კოლიზიურ რეგულირებასთანაა დაკავშირებული, შეეხება ისეთ სპეციფიკურ პროფესიებსა და სამუშაოებს, როგორიცაა **შორეული ზღვაოსნობის მეზღვაურები** (*Seeleute*) და **საჰაერო ხომალდის პერსონალი** (*Flugpersonal*).

სამუშაოს სპეციფიკურობა იმითად განპირობებული, რომ აღნიშნული პროფესიის ადამიანები (იგულისხმება მეზღვაურები), ხშირად თვეობით და წლობითაც კი ხომალდზე იმყოფებიან და ნათელია, რომ მათი შრომითი ურთიერთობები ვერ ჯდება **ჩვეულებრივი სამუშაოს შესრულების ადგილის** (*gewöhnlichen Arbeitsort*)² ცნებაში.

სკს-ს გერმანულ დოქტრინაში განვითარებული მოსაზრების მიხედვით, **მეზღვაურების** “ჩვეულებრივი სამუშაოს შესრულების ადგილად” (*gewöhnlichen Arbeitsort*) მიიჩნევა ხომალდი. შესაბამისად, მათი შრომითი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომლის აღმითაც (დროშის) დაცურავს ეს საზღვაო ხომალდი³. ეს ნიშნავს, რომ მეზღვაურთა შრომითი ურთიერთობების რეგულირებისათვის გამოიყენება სკს-ს დოქტრინაში ცნობილი სხვა მიმაგრების ფორმულა – **ლექ ფლაგი** (*lex flagi*).

რაც შეეხება **საერთაშორისო რეისების საპარო ხომალდის პერსონალს**, მათი საქმიანობა განსხვავდება მეზღვაურთა საქმიანობისგან, მათ თვეობით არ უხდებათ პაერში ყოფნა და ამიტომ მათ მიმართ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება მათი დამქირავებელი ავიაკომპანიის ფილიალის (**წარმომადგენლობის**) **მარგენსტრიტიებელი ქვების სამართალი**⁴, ხოლო ქვეყნის შიგა რეისების საპარო ხომალდის პერსონალის მიმართ – მათი დამქირავებელი სათავო ავიაკომპანიის **მარგენსტრიტიებელი ქვეყნის სამართალი**⁵.

¹ ზ. გაბისინია. ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი. თბილისი, 2006, გვ. 84.

² Harald Koch. Ulrich Magnus. Peter Winkler von Mohrenfels. IPR und Rechtsvergleichung. Ein Studien- und Übungsbuch zum Internationalen Privat- und Zivilverfahrensrecht und zur Rechtsvergleichung, 3. Aufl., München, 2004, S. 238.

³ Peter Mankowski. Seerechtliche Vertragsverhältnisse im Internationalen Privatrecht, 1995, S. 466.

⁴ Martiny Kommentar zum Art 30 EGBGB. Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, BGB, Art 30 EGBGB, Band 10 und 11, 3. Aufl., München, 1998, Rn. 33.

⁵ BAG IPRax 1994, 123 mit Aufsatz Peter Mankowski, IPRax 1998, S.88.

4. საქართველოს მიერ რატიფიცირებულ შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები

როგორც აღინიშნა, დღეს საქართველოს, რბილად რომ ვთქვათ, არც ისე სუსტად
აქვს განვითარებული საერთაშორისო შრომის სამართალი.

შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების კოლიზიური საკითხები ზემოთ იყო გან-
ხილული. რაც შეეხება საერთაშორისო კონვენციებს, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ საქართ-
ველო უფრო წინ არის წასული და რატიფიცირებული აქვს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი
მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება.

შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ საერთაშორისო ხელშეკრუ-
ლებათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომის საერთაშორისო ბიუროს აღმინისტრაცი-
ული საბჭოს მიერ უნივერსალი მოწვეულ კონფერენციებზე მიღებული კონვენციები. კერძოდ,
1930 წლის 10 ივნისის კონვენცია **იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ**¹, 1951
წლის 6 ივნისის კონვენცია **მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბა-
რი ანაზღაურების შესახებ**², 1958 წლის 4 ივნისის კონვენცია **შრომისა და დასაქმების სფე-
როში დისკრიმინაციის შესახებ**³, 1959 წლის 17 იანვრის კონვენცია **იძულებითი შრომის
გაუქმების შესახებ**⁴, 1999 წლის 1 ივნისის №182 კონვენცია **ბავშვთა შრომის უკიდურესი
ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ**⁵.

გარდა ზემოაღნიშულისა, მნიშვნელოვანია დსთ-ს ქვეყნების 1994 წლის 9 სექტემ-
ბრის მოსკოვის შეთანხმება “უფლებათა ურთიერთცნობის შესახებ მუშაკთათვის დასახი-
ჩრების, პროფესიული დაავადების ან მათი შრომითი გაღდებულებების შესრულებასთან
დაკავშირებული ჯანმრთელობის, სხვაგვარი დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის
ანაზღაურების თაობაზე”⁶.

საქართველოს მიერ რატიფიცირებულმა საერთაშორისო ხელშეკრულებებმა და შე-
თანხმებებმა მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი ქართული საერთაშორისო შრომის სა-
მართლის შემდგომ განვითარებას.

¹ კონვენცია ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 22 თებერვლის დადგენილებით.

² კონვენცია ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 29 მაისის №153 დადგენილებით.

³ კონვენცია ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 4 მაისის დადგენილებით.

⁴ კონვენცია ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 16 მაისის №234 დადგენილებით.

⁵ კონვენცია ძალაშია საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 18 მაისის №1473 დადგენილებით.

⁶ შეთანხმება რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 14 იანვრის №3245 დადგე-
დადგენილებით.

ზვიად გაბისონია,
სამართლის დოქტორი

შრომითი ურთიერთობების რეგულირება საერთაშორისო პირთ სამართალში

განიხილება საერთაშორისო შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი ბუნება, “საერთაშორისო შრომის სამართლის” ცნება და მისი იურიდიული შინაარსი, საერთაშორისო შრომის სამართლის ადგილი საერთაშორისო კერძო სამართლის სისტემაში, ასევე უვროკავშირის ქვეყნების შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები გერმანული შრომის სამართლის მაგალითზე.

მოყვანილია მრავალი პრაქტიკული მაგალითი და უცხოელთა მიერ შრომის ბაზარზე დამკიდრების სამართლებრივი პროცედურების გადაჭრის გზები.

სტატიაში არის მსჯელობა საერთაშორისო შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში გამოსაყენებელ სამართალზე და დეტალურად არის მითითებული აღნიშნული ურთიერთობების მიმართ გამოსაყენებელ კოლიზიურ მიმაგრების ფორმულაზე – **სამუშაოს შესრულების ადგილის კანონზე (lex loci laboris)**, მის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

სტატიის ბოლო ნაწილში განხილულია საკითხი საქართველოს მიერ რატიფიცირებულ შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე.

Zviad Gabisonia,
doctor of law

REGULATION OF LABOUR RELATIONS IN INTERNATIONAL PRIVATE LAW

The article refers to the one of the most important institutions of the International Private Law - International labor-legal relations.

There is discussed the essence of the legal nature of international labor relations, the concept of the “International Labor Law” and its legal content, the place of the international labor law in the system of international private law.

The author discusses in detail the labor-legal relations of EU countries on the example of the German Labor Law. There is given plenty of practical examples and lays out the ways of solving the legal problems of inculcation of the foreigners in the labor market. In the article the author talks over the legislation applicable in international labor-legal relations and reviews in detail the formula of conflict attachment applicable

toward the mentioned relations – The Law of the Place of Performance (*lex loci laboris*), its positive and negative sides.

In the end of the article, the author talks over the multilateral international contracts related to the labor relations, ratified by Georgia.

Звиад Габисония,
доктор права

РЕГУЛИРОВАНИЕ ТРУДОВЫХ ОТНОШЕНИЙ В МЕЖДУНАРОДНОМ ЧАСТНОМ ПРАВЕ

Статья касается одного из наиважнейших институтов международного частного права - Международных Трудовых Правоотношений.

Автор рассматривает правовую природу Международных Трудовых отношений, обсуждает понятие международного трудового права и его юридическое содержание, место международного трудового права в системе международного частного права.

Автор детально рассматривает трудовые правоотношения стран Евросоюза на примере немецкого трудового права, приводит множество практических примеров и намечает пути решения правовых проблем для обоснования иностранцев на трудовом рынке. Автор рассуждает о применяемом праве в международных трудовых правоотношениях и для применения в отношении указанных правоотношений детально рассматривает формулу коллизийного прикрепления- закон о месте выполнения работы (*lex loci laboris*), его положительные и отрицательные стороны.

В последней части статьи автор обсуждает многосторонние международные договоры ратифицированные Грузией, связанные с трудовыми отношениями.

საწარმოს ლიკვიდაციის სამართლებრივი ოებულირება “მეტარმეთა შესახებ” საქართველოს პანონის მიზანით

კერძო სამართლის სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის (საწარმოს) ლიკვიდაცია სამართლებრივი ბუნებით იურიდიული ფაქტია, რაც სამართლის სუბიექტის “ქვდომას” იწვევს უფლებამონაცვლეობის განხორციელების გარეშე. საწარმოს ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს ნებაყოფლობით ან იძულებით. სამეწარმეო იურიდიული პირის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს პარტნიორთა გადაწყვეტილება, სასამართლოს გადაწყვეტილება, ვადის გასვლა და გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა. ამათგან, ზოგადად, პრაქტიკის გათვალისწინებით, ყველაზე გავრცელებული საფუძველია პარტნიორთა გადაწყვეტილება და გაკოტრების წარმოების გახსნა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში, ბოლო წლებში განხორციელებულ სამართლებრივ რეფორმამდე, საწარმოს ლიკვიდაციის რეგულირება არათანამიმდევრულ ხასიათს ატარებდა. აღნიშნული ეხება როგორც “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონს, ისე “გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ” საქართველოს კანონს, რომელიც 2007 წლამდე მოქმედებდა. ფაქტობრივად, პირველი არ არეგულირებდა ლიკვიდაციის პროცესს, კერძოდ, არ იყო გაწერილი პროცედურა, არ იყო განსაზღვრული ცალკეული ეტაპის ვადები, რაც თავისთავად პროცესს ხელოვნურად აჭიანურებდა, რითაც სარგებლობდნენ ლიკვიდატორები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად დაუცველი იყო ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს ქონება, რაც კრედიტორთა დაქმაყოფილების შანსს ამცირებდა. პრაქტიკაში იყო სასამართლო დავითი, რომლებიც ასევე უსასრულოდ გრძელდებოდა და, ხშირ შემთხვევაში, მაინც არ ხდებოდა კრედიტორთა (განსაკუთრებით ყურადსალებია უზრუნველყოფილ კრედიტორთა) მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, აღსანიშნავია 2005–2011 წლებში ამ მიმართულებით ჩატარებული სამართლებრივი რეფორმის დადებითი მხარეები (რამაც სხვა მნიშვნელოვან კანონთან ერთად მოიცვა როგორც “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი, ისე სრულიად შეიცვალა გადახდისუნარობის პროცესის მარეგულირებელი კანონი, რომელსაც ეწოდა “გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ” საქართველოს კანონი), კერძოდ:

- საკანონმდებლო დონეზე გაიწერა საწარმოს ლიკვიდაციის პროცედურის თანამიმდევრული რეგულირება, რაც ასევე გულისხმობს მარეგისტრირებელი ორგანოს ინფორმირებულობას. კერძოდ, ”მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, სამეწარმეო იურიდიული პირის პარტნიორებს შეუძლიათ გადაწყვეტილება მიიღონ საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, პარტნიორები, ასევე, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან დირექტორი (დირექტორები) განსაზღვრავენ იმ პირებს, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საწარმოს ლიკვიდაციას (ლიკვიდატორები).

ზემოაღნიშნულ პირთა ეს გადაწყვეტილება, პირველ რიგში, ექვემდებარება მეწარმეების და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას იმ მომენტიდან, საიდანაც ლიკვიდაციის პროცესი ითვლება დაწყებულად (კანონმდებელმა ცალკე გამოყო იმ საწარმოთა რეგულირება, რომელთა აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ფლობს, ხოლო ლიკვიდაციის წესს ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი). კანონით ან წესდებით დადგენილი წესით ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, გადაწყვეტილების მიღების რეგისტრაციასთან ერთად, სარეგისტრაციო ორგანოს ასევე უნდა წარედგინოს ინფორმაცია, რომელშიც მითითებული იქნება საწარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის ვინაობა და დაკმაყოფილების ვადები;

- განისაზღვრა ლიკვიდაციის პროცესის სრული ციკლის დასრულების მაქსიმალური ვადა. კერძოდ, აღნიშნული პროცესი უნდა დასრულდეს საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 4 თვისა, ხოლო, საგადასახადო შემოწმების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, საგადასახადო შემოწმების დასრულების შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ინფორმაციის მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა;
- განისაზღვრა ლიკვიდაციის პროცედურის ეტაპები, კერძოდ, პარტნიორთა მიერ ლიკვიდაციის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ლიკვიდატორების განსაზღვრა, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების რეგისტრაცია. ასევე, ”მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საგადასახადო დავალიანების არსებობის დადგენის მიზნით, საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანო ელექტრონულ ინფორმაციას უგზავნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს. დადგინდა კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადების პარტნიორთა მიერ განსაზღვრის აუცილებლობა;
- განისაზღვრა ლიკვიდაციის პროცესის თითოეული ეტაპის მაქსიმალური ვადა. ”მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, შემოსავლების სამსახური, ზემოაღნიშნული შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ვალდებულია უზრუნველყოფის მარეგისტრირებელ ორგანოს მიაწოდოს ინფორმაცია სუბიექტის საგადასახადო ვალდებულების არსებობის რისკის შესახებ. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 90-ე დღისა საწარმოს ლიკვიდატორმა უნდა დაიწყოს ლიკვიდაციის რეჟიმში შემოფი საწარმოს ქონების რეალიზაცია საბაზრო ფასით ან აუქციონის წესით;
- განისაზღვრა ლიკვიდაციის რეჟიმში შემოფი საწარმოს კრედიტორთა გარანტიები. საგადასახადო ვალდებული გახდა ლიკვიდაციის რეჟიმში შემოფი საწარმოს კრედიტორთა წერილობითი შეტყობინება ლიკვიდაციაზე, სადაც სავალდებულო წესით უნდა განი-

საზღვროს კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები. საწარმოს შეუძლია აღნიშნული დაზუსტებული სია გამოაქვეყნოს პერიოდულ გამოცემაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში. ლიკვიდაციის პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპია საწარმოს კრედიტორთა დაკმაყოფილების დაწყება. კრედიტორთა გარანტირებულობაზე მეტყველებს ასევე საკანონმდებლო დანაწესი, რომლის თანახმად, რეალიზებული ქონებიდან მიღებული თანხები უნდა განთავსდეს სასამართლოს ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს ქონება ითხოვს მაქსიმალურ დაცვა/შენარჩუნებას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კანონმა დაადგინა: საწარმოს ლიკვიდაციის პროცესში დაუშვებელია საწარმოს ქონების გასხვისება-დატვირთვა ან კრედიტორების საზიანოდ სხვა ქმედების განხორციელება. აღნიშნული შეზღუდვა, რა თქმა უნდა, არ ეხება უშუალოდ კრედიტორთა დაკმაყოფილების შემთხვევას. კანონმა ასევე გაითვალისწინა კრედიტორთა მიერ ვალების აქსელერაციის მოთხოვნის შესაძლებლობაც. კერძოდ, ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილი არიან საწარმოს მოთხოვნობის ნაკისრი ვალდებულებების ვადაზე ადრე შესრულება (ვალების აქსელერაცია).

კანონმა განსხვავებული რეგულირება დაუდგინა იმ საწარმოთა ლიკვიდაციის პროცესს, სადაც სახელმწიფო, როგორც პარტნიორი, ფლობს 50% მეტ წილს. ამ შემთხვევაში, ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა უნდა განთავსდეს თავად საწარმოს ანგარიშზე. აღნიშნულ შემთხვევაში, საწარმო უფლებამოსილია საწარმოს ანგარიშზე განთავსებული თანხები გამოიყენოს ლიკვიდაციის პროცესში საჭირო სარჯების დასაფარავად.

თუ ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფი საწარმოს პარტნიორებმა გადაწყვიტეს ქონების ნატურით გაყოფის გზით განაწილება, ისინი ვალდებული არიან საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ნატურით გაყოფამდე, საკუთარი ხარჯებით, ერთ-ერთი პარტნიორისათვის მიბარების გზით შეინარჩუნონ ქონება პირებების სახით. სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხების ან მიბარებული ქონების პარტნიორთა შორის განაწილებამდე ამ თანხების ან ქონების განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით.

ლიკვიდაციის პროცესის დამამთავრებელი ეტაპია საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება. კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესის დასრულების შემდეგ უფლებამოსილი პირი/პირები გადაწყვეტილების იღებს (იღებენ) საწარმოს ლიკვიდაციის დასრულების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს საწარმოს კველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების შესახებ. ეს გადაწყვეტილება მარეგისტრირებელ ორგანოს წარედგინება და საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია.

პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როცა საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შემდეგ გამოჩნდება ახალი კრედიტორი. ასეთი კრედიტორისათვის განსაზღვრულია მოთხოვნის წარდგენის ლიმიტირებული ვადა, კერძოდ, “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, თუ საწარმოს რეგისტრაციის გაუქმებიდან 3

თვის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ლიკვიდაციისას არ დაქმაყოფილდა საწარმოს კრედიტორთა ნაწილი, მათი დაქმაყოფილება მოხდება დეპონირებული თანხებიდან ან თავად საწარმოს ქონებიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ დეპონირებული თანხები ან ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის, მათი წილის პროპორციულად, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის დადგენილი.

საწარმოს იძულებითი ლიკვიდაცია იწყება სასამართლოს გადაწყვეტილების, ასევე სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განახენის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში ლიკვიდაციის პროცესი რეგულირდება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმებით. სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განახენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე დაუშვებელია იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება.

ზემოთქმული ცხადყოფს, სამართლებრივი თვალსაზრისით, რაოდენ მნიშვნელოვანია საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის სწორად წარმართვა, ასევე მეტად საინტერესოა საწარმოს ცალკეული სამართლებრივი ფორმების ლიკვიდაციის თავისებურებანი, რასაც, ხშირ შემთხვევაში, საწარმოს პარტნიორთა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობამდე მივყართ, თუმცა ვთვლით, რომ ეს უკანასკნელი ცალკე კვლევის საგანია და დამოუკიდებელ ანალიზს მოითხოვს.

**ბექა მაისურაძე,
სამართლის დოქტორანტი**

**საწარმოს ლიკვიდაციის სამართლებრივი რეგულირება
“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით**

საწარმოს ლიკვიდაცია სამართლებრივი ბუნებით იურიდიული ფაქტია, რაც სამართლის სუბიექტის “კვდომას” იწვევს უფლებამონაცვლეობის განხორციელების გარეშე. საწარმოს ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს ნებაყოფლობით ან იძულებით. სამეწარმეო იურიდიული პირის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს პარტნიორთა გადაწყვეტილება, სასამართლოს გადაწყვეტილება, ვადის გასვლა და გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა.

სტატიაში წარმოდგენილია ყველა ის დადებითი საკანონმდებლო სიახლე, რამაც ფაქტობრივად აღმოფხვრა საწარმოს ლიკვიდაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი შეუსაბამობა, უზრუნველყოფა კრედიტორთა მეტი დაცულობა, განსაზღვრა თითოეული პროცედურის მაქსიმალური ვადები და სხვა.

**Beka Maisuradze,
PHD student**

**LEGAL REGULATION OF AN ENTERPRISE LIQUIDATION
ACCORDING TO THE GEORGIAN LAW OF "ENTREPRENEURS"**

The liquidation of the enterprise has a legal nature of legislative act, which leads to the subject of "dying" without realization of succession. Liquidation of the enterprise may be voluntary or forced. Business entity may be grounds for revocation of the partners' decision, the court's decision, and the expiration date of opening of bankruptcy proceedings.

The statistical data are presented for all the positive news, which virtually eliminate the discrepancies related to the company's liquidation, creditors safeguarding more security, the maximum duration of each procedure, and others.

**Бека Майсурадзе,
докторант права**

**ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ ЛИКВИДАЦИИ ПРЕДПРИЯТИЯ
«ПРЕДПРИНИМАТЕЛИ» В СООТВЕТСТВИИ С ЗАКОНОМ ГРУЗИИ**

Ликвидация предприятия имеет правовой характер законодательного акта, что приводит к «умиранию» субъекта без реализации правонаследования. Ликвидация предприятия может быть добровольной или принудительной. Основанием субъекта предпринимательства для отмены может быть решение партнеров, решение суда, и по истечении даты открытие конкурсного производства.

Статистические данные представляются для всех позитивных новостей, которые практически полностью устраниют расхождения, связанные с ликвидацией компаний, для обеспечения большей безопасности кредиторов, определения максимальной продолжительности каждой процедуры и др.

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ზოგიერთი ასპექტი

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სტადიაზე სასამართლო ამოწმებს, დაცულია თუ არა სააპელაციო საჩივრის შეტანით გათვალისწინებული ვადა.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 14 დღეა. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70–78-ე ან 259¹ მუხლების შესაბამისად, ასევე 259¹ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდგე.¹

კანონი ითვალისწინებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას 14 დღის ვადაში, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან. გადაწყვეტილება ჩაბარებულად რომ ჩაითვალოს, იგი მხარეს უნდა გადაეცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70–78-ე მუხლებით გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავდროულად, კანონი კრძალავს გასაჩივრების ვადის გაგრძელებას, რამაც შესაძლოა შელახოს მხარის კანონიერი უფლებები.

შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ გარემოებას, რომ მხარემ კანონით გათვალისწინებულ ვადაში ვერ წარადგინოს სასამართლოში სააპელაციო საჩივრი, მით უმეტეს, რომ ეს ვადა არცოუ ისე დიდი და საკმარისია სააპელაციო საჩივრის მოსამზადებლად. ეს შეიძლება მოხდეს როგორც მხარის საპატიო მიზეზით, როცა ფაქტობრივად შეუძლებელია მის მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენა სასამართლოში (მმიმე ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა, სტიქია, მხარის ან მისი ახლო ნათესავის გარდაცვალება და ა.შ.), ისე მისი წარმომადგენლის არაკვალიფიციურობით, დაუდევრობით ან არაკეთილსინდისიერებით (წარმომადგენელი მეორე მხარის მოხიდვის შედეგად შეგნებულად არ შეიტანს სააპელაციო საჩივრს სასამართლოში), რითაც მხარეს ეკარგება შემდგომში გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება და უხეშად ირღვევა მისი უფლებები.

საპროცესო ვადის აღდგენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით ზოგადად დასაშვებია.

საპროცესო მოქმედების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლოს შეუძლია აღადგინოს თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა.

საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ანდა შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოში აღადგინოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონით განსაზღვრული ვადა, თუ ვადის გაშვება გამოწვეული იქნება 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული საპატიო მიზეზით.

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლი.

ამჟამად არსებული კანონის რედაქცია ამ ვადის აღდგენის შესაძლებლობას გამორიცხავს იქიდან გამომდინარე, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლი ადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების სხვაგვარ წესს და ამ შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული 65-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.

თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გაგრძელების შესაძლებლობა მიზანშეწონილად იქნება მიჩნეული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის წინადადება: „სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა სააპელაციო სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს განსაკუთრებულ შემთხვევაში, მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გაშვების კანონით გათვალისწინებული საპატიო მიზეზის არსებობისას”, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ეს ვადა უნდა გააგრძელოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ისეთი გარემოებების არსებობისას, რომლებიც გამორიცხავს ან ზედმეტად გააძნელებს მხარის მიერ კანონით მითითებულ ვადაში სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის შესაძლებლობას.

ამავე დროს სასამართლომ დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტილების უნდა დაასაბუთოს ეს გარემოებები, რაც გარკვეულ სირთულეს შეუქმნის მოსამართლეს, თუმცა მოქალაქეს მისცემს უფლების დაცვის უფრო სრულყოფილ გარანტია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის აღდგნას ითვალისწინებს რუსეთის სამოქალაქო კოდექსიც.

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადას ათი დღით განსაზღვრავს და მისი ათვლა იწყება მომრიგებელი მოსამართლის მიერ სრული ფორმით მისი მიღებიდან.¹

სააპელაციო საჩივარი უბრუნდება მხარეს, თუ გასულია გასაჩივრების ვადა და სააპელაციო საჩივარში აშკარად არ არის თხოვნა ვადის აღდგენის შესახებ. ე.ი. რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთი ვადის აღდგენას, მხარის თხოვნისა და საპატიო მიზეზის არსებობისას.²

გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ერთოვიან ვადას აწესებს. ვადის ათვლის დაწყება აბსოლუტურად იდენტურია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ვადის ათვლასთან, რომელიც იწყება მხარისათვის სრული ფორმით გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამავე დროს, გერმანელმა კანონმდებლებმა განსაზღვრეს სააპელაციო საჩივრის წარდგენის მაქსიმალური ვადა, რომელიც 5 თვეს შეადგენს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან. თუ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან გავიდა 5 თვე, გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ისპობა, მიუხედავად მხარისათვის გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტისა.³

გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლი ითვალისწინებს მხარეთათვის დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების გადაცემას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეთანხმებიან გადაწყვეტილებას და უარს ამბობენ გასაჩივრებაზე.

¹ რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 321-ე მუხლი.

² რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 324-ე მუხლი.

³ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. § 517.

ამავე კოდექსის 257¹ მუხლი მოსამართლეს შესაძლებლობას აძლევს, არ გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება იმ საქმეებზე, რომლებზედაც სააპელაციო საჩივარი არ დაიშვება. ამ მუხლის თანახმად, საქმეებზე, რომლებზეც სააპელაციო საჩივარი არ დაიშვება, მოსამართლე აცხადებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, ამასთან განმარტავს გადაწყვეტილების მოტივებს, რაც ცვლის გადაწყვეტილების აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილებს. მოსამართლის განმარტება აისახება სასამართლო სხდომის ოქმი. ამ შემთხვევაში, მოსამართლე ვალდებული არ არის გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება, რომელიც საჩივრდება, აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული და მხარეს უნდა ჩაბარდეს კანონით გათვალისწინებული წესით.

სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხარეს რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი.¹

სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეს საფუძველი ვრცელდება მხოლოდ ქონებრივ-სამართლებრივ დავებზე და განსაზღვრული დავის საგნის ღირებულებით იმის მიხედვით, თუ რა ზომით სურს მხარეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა.

დავის საგნის ფასს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, განსაზღვრავს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადაცო ქონების რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე, სადაცო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით. სწორედ კანონის ეს დათქმაა სერიოზული პრობლემა პრაქტიკისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა სააპელაციო საჩივარს ქონებრივ-სამართლებრივ დავებზე მხოლოდ მაშინ მიიჩნევს დასაშვებად, თუ დავის საგნის ფასი არ აღემატება 1000 ლარს. ეს ფასი უნდა განისაზღვროს არა დავის საგნის ღირებულებით, არამედ იმ ღირებულებით, რა ზომითაც სააპელაციო საჩივარში აპელანტი ითხოვს გადაწყვეტილების შეცვლას. მაგალითად, მხარე ითხოვდა, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულებას. სესხის ხელშეკრულების საგანი იყო ფული (2000 ლარი). პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს დაეკისრა არა 2000, არამედ 1200 ლარის გადახდა. მოსარჩელემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი და მოითხოვა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოპასუხისათვის 800 ლარის დაკისრების შესახებაც. ვინაიდან გადაწყვეტილება უნდა შეიცვალოს მხოლოდ ნაწილობრივ, 800 ლარის გადახდის ნაწილში, ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაუშევებლად უნდა ცნოს საჩივარი.

ვერ გავიზიარებ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დავის საგნის ფასის საეჭვობისას, ამ საგნის ღირებულების დადგენის ტვირთი ეკისრება აპელანტს. არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლი და არც მე-40 მუხლი ასეთ დათქმას არ ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლი დავის საგნის ფასის განსაზღვრას ავალებს მოსამართლეს, ქონების საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე.

¹ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილით, დავის საგნის შეფასებისას, მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასი, როდესაც შეტანილ იქნა სარჩელი, ხოლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას – საჩივრის შეტანის დროს არსებული ფასი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, თუ სასამართლო არ ეთანხმება მოსარჩელის მიერ განსაზღვრულ დავის საგნის ფასს და მიაჩნია, რომ ეს ფასი არ შეესაბამება სადაცო ქონების ნამდვილ ღირებულებას, სააპელაციო სასამართლომ დასაშვებობის სტადიაზე უნდა განსაზღვროს სააპელაციო საჩივრის წარდგენის დროს დავის საგნის საპაზრო ფასი და შემდგებ გადაწყვეტილის საჩივრის დასაშვებობის საკითხი, რაც უნდა განახორციელოს ათდღიან ვადაში. ეს არა მარტო როგორი, შეუძლებელიცაა.

როგორც აღვნიშნე, არ ვიზიარებ მოსაზრებას, რომ დავის საგნის ღირებულების განსაზღვრის ტვირთი საეჭვობისას უნდა დაეკისროს აპელანტს, ვინაიდან, ამჟამად არსებული კანონის მოთხოვნით, ეს მთლიანად ეკისრება სასამართლოს. მიმაჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 და 365-ე მუხლებში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ, უნდა დაგმატოს პუნქტი, რომელიც დავის საგნის საეჭვობისას აპელანტს დაავალდებულებს, დავის საგნის ღირებულების სწორად განსაზღვრის მიზნით, გარკვეული მოქმედების შესრულებას, რაც გაუადგილებს სააპელაციო სასამართლოს 365-ე მუხლით გათვალისწინებული დავის საგნის ღირებულების გამო, დასაშვებობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებას.

სწორედ ასეთი მიდგომა აირჩიეს გერმანელმა კანონმდებლებმა, რომელთა აზრითაც, დავის საგნის სავარაუდო ფასი აპელანტმა უნდა დაადგინოს.¹

აბსოლუტურად ვეთანხმები, გერმანელი კანონმდებლების მიერ, დავის საგნის ღირებულების განმარტების მიზნით, სააპელაციო საჩივრის შეტანისას გამოყენებულ ტერმინს „საჩივრის საგნის ფასი“.

„საჩივრის საგნის ფასი“ ზუსტად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებულ გამონათქვამს „გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს“. თუ გავიზიარებდით გერმანელი კანონმდებლების ასეთ განმარტებას და დავის საგნის ფასის ნაცვლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლში მიკუთითებთ „საჩივრის საგნის ფასს“, აგტომატურად ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და აღარ დაგჭირდება იმის განმარტება, თუ როგორ უნდა განისაზღვროს დავის საგნის ფასი გადაწყვეტილების გასაჩივრებისას. შესაბამისად, ეს გაამარტივებს და უფრო გასაგებს გახდის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის შინაარსს.

რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, სააპელაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, არ ითვალისწინებს, დავის საგნის ფასის გამო, აპელაციის დაუშვებლად ცნობის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, სააპელაციო წესით რუსეთის ფედერაციაში საჩივრდება მხოლოდ მომრიგებელი მოსამართლეების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ² ხოლო მომრიგებელი მოსამართლე იხილავს ქონებრივ-სამართლებრივ დავებს, რომელთა ღირებულება 100000 რუბლს არ აღემატება.³

სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს დავები, რომელთა ღირებულება ამ თანხას არ აღემატება.

დავის საგნის ფასის მინიმალურ რაოდენობას, რაც დაუშვებელს ხდის სააპელაციო საჩივარს, რუსეთის სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს.

¹ გერმანის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. § 511.

² რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 320-ე მუხლი.

³ რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლი.

**მერაბ გვინიაშვილი,
სამართლის დოქტორანტი**

**სააკადემიო საჩივრის დასაშვებობის
ზოგიერთი ასახვი**

სასამართლო რეფორმის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის, სამოქალაქო კოდექსის დახვეწას და მისი ქართულ რეალობასთან მორგების რეკომენდაციებს.

**Merab Gviniasvili,
PHD student**

**SOME ASPECTS OF PERMISSION
OF APPELLATE COMPLAINTS**

The theme of some aspects of permission of appellate complaints is urgent for the point of view, that in the condition of court reforms should be paid the main attention to the improvement of civil proceedings legislation. The article contains the improvement of the civil code and the recommendation of its fitting to the Georgian reality.

**Мераб Гвиниашвили,
докторант права**

**НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ДОПУЩЕНИЯ
АППЕЛЯЦИОННЫХ ЖАЛОБ**

Тема некоторых аспектов допущения аппеляционных жалоб актуальна. В условиях судебной реформы особое внимание обращается на усовершенствование гражданского-процессуального законодательства. Статья содержит вопросы усовершенствования гражданского-процессуального законодательства с учетом грузинской реальности.

**თავისუფალ ეკონომიკურ ზონები რებისტრირებული
პროცესის იურისდიქციის საპირზი**

როგორც ცნობილია, ოფშორული ზონები თავისუფალი ეკონომიკური ზონების¹ ერთ-ერთი ნაირსახეობაა. ამიტომ, ოფშორული კომპანიების იურისდიქციის კვლევისას განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს თავისუფალი ეკონომიკური ზონების დაფინიციას და მასში რეგისტრირებული კომპანიების იურისდიქციის პროცედურების განხილვას.

თანამედროვე მაღალგანვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნები უცხოური ინგენიერიების მოზიდვის ეფექტურ საშუალებად თავისუფალი ეკონომიკური ზონების (შემდგომში – თეზ-ები) შექმნას თვლიან². შესაბამისად, იზრდება აღნიშნული პრეფერენციული რეჟიმის მქონე ტერიტორიებზე რეგისტრირებული იურიდიული პირების საინვესტიციო დავებში მონაწილეობაც.

როგორც საერთაშორისო კერძო სამართლის ცნობილი სპეციალისტი, პროფ. მ. ბოგუსლავსკი აღნიშნავს, „სამეცნიერო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ, საერთაშორისო შრომის დანაწილების უფრო ეფექტური უპირატესობის გამოყენების მისწრაფებამ მრავალი ქვეყანა მიიყვანა თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბებამდე“.³ საერთაშორისო კორპორაციები თავიანთი საქმიანობისათვის (კაპიტალის დაბანდებისათვის) შედაგათიანი პირობების ძიებაში თეზ-ებს განიხილავენ, როგორც ხელსაყრელ წარმონაქმნებს, სადაც შეიძლება ზემოვების მიღება, რის გამოც თეზ-ებში საკუთარი წარმოების გაფართოებას (ექსპანსიას) უმნიშვნელოვანეს მიმართულებად თვლიან⁴.

თეზ-ების შექმნას რამდენიმე უმნიშვნელოვანები ფაქტორი განსაზღვრავს: 1. იგი იქნება უცხოური კაპიტალის, უცხოური მენეჯმენტის (მართვის) გამოცდილების მოზიდვის, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარების მიზნით; 2. თეზ-ებში უცხოელი ინგენიერორებისა და უცხოური ინვესტიციებით შექმნილი იურიდიული პირების მოსაზიდად დგინდება, საერთო რეჟიმთან შედარებით, სამეცნიერო საქმიანობისათვის შედაგათიანი რეჟიმი; 3. თეზ-ებში სამეცნიერო საქმიანობის შედაგათიანი პირობები გულისხმობს: უცხოური ინვესტიციებით შექმნილი კომპანიების გამარტივებული რეგისტრაციის წესს; შედაგათიან საგადასახადო რეჟიმს; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისას გადასახადის დაბალ ტარიფებს; განსაკუთრებულ საბაჟო რეჟიმს; უცხო ქვეყნის მოქალაქეების თეზ-ის ტერიტორიაზე შემოსვლის და გასვლის გამარტივებულ წესს.⁵

¹ თეზ-ებთან დაკავშირებული პროცედურატივის საგითხებზე. ზ. გაბისონია. თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირების ეკონომიკურ-სამართლებრივი წანამდგრები. ქურნ. „სამართალი“, 1998წ. №5-6, გვ.36-43.

² С.В. Дериогина. Правовые аспекты понятия “Свободная экономическая зона”, журн. “Государство и право”, 1997, №5, с.120.

³ М.М. Богуславский. Международное частное право. 2-е издание. М., 1994, с.187.

⁴ ე. ავდოკუშიძე. თავისუფალი ეკონომიკური ზონები. თბ., 1997 წ. გვ. 3. ამის შედეგია ის, რომ თეზ-ებმა ფართო გაფრცელება პოვა მრავალ ქვეყანაში. 90-იანი წლების შუა პერიოდში მსოფლიოში ფუნქციონირებდა ოთხი ათასზე მეტი სხვადასხვა სახის თეზ-ები (საბაჟო ზონებიდან ტექნოპარკებამდე, თავისუფალი ვაჭრობის ზონებიდან – ოფშორულ ზონებამდე). დასაგლებების სპეციალისტების პროგნოზით, 2020 წლისათვის სხვადასხვა თეზ-ზე მსოფლიო საქონელ-ბრუნვის 60%-მდე გაივლის.

⁵ В.П. Звеков. Международное частное право (курс лекций), М.: Норма, 1999. - 268 с.

ამიტომაცაა, რომ უცხოური ინგესტიციების სამართლებრივი რეგულირების და საინ-კესტიციო დაფის მონაწილე იურიდიულ პირთა იურისდიქციის პრობლემის კვლევისას გან-საკუთრებული ადგილი ეთმობა თეზ-ებს, მით უმეტეს, რომ მას ჩვენი ასწლეულის მეორე ნახევრის ეკონომიკაში ერთ-ერთ შესამნევ ინსტიტუციურ ინოვაციად მიიჩნევენ.¹

თეზ-ების შექმნისა და ფუნქციონირების, ამგვარ ზონებში უცხოური ინგესტიციების მოზიდვის პრობლემატიკის სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტების კვლევისას² მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

ა) თეზ-ები პრინციპულად მიუღებელი იყო სოციალისტურ-ეკონომიკური სისტემისათვის, რის გამოც ჯერ კიდევ ძველ რომში ჩასახული (თავისუფალი პორტი კუნძულ და-ლოსზე) და ოთხასწლიანი, მეტ-ნაკლებად ინტენსიური განვითარების (განსაკუთრებით, ბოლო ათწლეულში!) ისტორიის მქონე, ამ ინსტიტუტის ასე თუ ისე დეტალური, ობიექტური კვლევა სსრკ-ში ფაქტობრივად არ მიმდინარეობდა. ამიტომ, სადღეისოდ ამ ხარვეზის გამოსწორება საშური საშემა;

ბ) თეზ-ები კიდევ უფრო მეტად ვერ იგუებს მონოპოლიზმს და ბიუროკრატიულ თვითნებობას, ვიდრე სხვა “ჩვეულებრივი” საბაზრო სტრუქტურები. მათი მომეტებული ეკონომიკური ეფექტიანობა (განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნებისათვის) სწორედ მათ ამგვარ ინსტიტუციურ “განკერძოებულობაში” მდგომარეობს. ამითვე არის განპირობებული თეზ-ების სოციალურ-პოლიტიკური დირექტულებაც, რაც წარმატებით ანგიტრალებს ამ ინსტიტუტის ნაკლოვან მხარეებს;

გ) თეზ-ები საბაზრო ეკონომიკას ასე თუ ისე შეჩვეული ცნობიერებისათვისაც კი შეიცავს დამატებით ფსიქოლოგიურ ბარიერებს, რადგან მათი შექმნა და საქმიანობა და-კავშირებულია ქვეყნის როგორც ეკონომიკური, ისე ტერიტორიული სუვერენიტეტის “ხე-ლუფასთან”, ტრადიციული საბაჟო-საგადასახადო სისტემების თუ სასაზღვრო-სავიზო რეემბების გარკვეულ “დეფორმაციასთან”, რასაც აგრეთვე დაძლევა სჭირდება (დაძლევა და არა იგნორირება, რადგან ეს “უხერხული” ფაქტორები ობიექტურად არსებობს და საჭიროა ყოველმხრივი მცდელობა მათი წევარიური შედეგების მინიმუმადევ დასაყვანად);

დ) ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის გლობალური პროცესები (გავისხმოთ ევროპის “საერთო ბაზარი”, ევროპის თანამეგობრობა³, მასტრიხტის (შემდგომში – ამ-სტერდამის) პროცესი, შავი ზღვის აუზის ქვეყნებში⁴ მიმდინარე და გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი ნიშნით აღძეჭდილი სხვა ანალოგიური პროცესები) გულისხმობს საგარეო

¹ Т.П. Данько, З.М. Окрут. Свободные экономические зоны в мировом хозяйстве (учебное пособие), М., 1998, с. 30.

² კონსტატაციის წესით აღვნიშნავ, რომ საზოგადოდაც და, მით უმეტეს, თეზ-ების მსგავსი ეკონომიკური წარმოაქმნის შემთხვევაში, ამგვარი კომპლექსური კვლევის უპირატესობა ეჭვს გარეშე. კომპლექსური ეკონომიკურ-სამართლებრივი ანალიზის მეთოდი 80-იანი წლების სსრკ-ში აღმტელ იქნა, როგორც ეფექტური სიახლე და ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა.

³ ევროპის თანამეგობრობის (ეთ) ანუ ევროპის კავშირის (ეკ) შესახებ იხ. Р.Х. Фолсон, М.У. Гордон, Дж. А. Спаногл. Международные сделки, М., 1996, с.262-299; Международное частное право (современные проблемы), под ред. проф. М.М. Богуславского, М., IPG “LAW”, 1994, с. 262-290.

⁴ დსო-ს ქვექნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ იხ. В.С. Больбасов. Интеграционные процессы в экономике содружества независимых государств (журн. “Дело и право”, 1994, №2, с.32); misive: Некоторые итоги и проблемы становления экономического союза (журн. “Дело и право”, 1994, №4, с.30-34). ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ 1994 წლის 24 სექტემბერს ხელმოწერილ ხელშეკრულებაში “ეკონომიკური კავშირის შესახებ” მითითებული იყო თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნის თაობაზე დოკუმენტის მიღების შესახებ.

ვაჭრობის გაუმჯობესებას, რაც “ხორცს ისხამს ეკონომიკური კავშირების სხვა უახლოესი ფორმითაც: შერეული წარმოებით, კაპიტალის ინვესტირების გაძლიერებით, მეცნიერებატე-ვადი პროდუქციის გამოშვების სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნების საინჟინრო-ტექნიკური მომსახურებით, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებით, სპეციალური მსხვილი კომპანიების (მხედველობაშია ტრეინინგული კომპანიები – ი. ბ.) შექმნით, რომლებიც ექსპორტს ემსახურება და სხვა.”¹ თეზ-ები ამ პროცესის ორგანული ელემენტია, რომელიც მიზნად ისახავს ზემოხსენებული ამოცანების გადაჭრისათვის ხელის შეწყობას, განსაკუთრებით საზღვრის პრობლემის დამდევას. როგორც ცნობილი ეკონომისტი პოლ პეინე აღნიშნავს, “საქონლისა და ფულად გადასახდელთა სახელმწიფო საზღვრების გავლით მოძრაობა ერთდროულად ქმნის დამატებით პრობლემებს და დამატებით შესაძლებლობებს იმ ადამიანთათვის, რომლებიც პასუხს აგებენ თავიანთი ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციაზე”². ჩემი აზრით, თეზ-ები სწორედ ის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) უპირველესი ეკონომიკური ინსტრუმენტია, რომლის გონივრულად გამოყენებას ძალუბს გამოაცოცხლოს კოლაფსის (სტაგნაციის) მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკა. გონივრულად გამოყენება კი, სხვა მომენტებთან ერთად, გულისხმობს ჰარვარდის ბიზნესის სკოლის პროფესორ თეოდორ ლევიტის ცნობილი ფორმულის “იფიქრე გლობალურზე, იმოქმედე ლოკალურად”³ პრაქტიკაში რეალიზაციასაც.

ტერმინი “თავისუფალი ეკონომიკური ზონა” გარკვეული ეკონომიკური და სამგერნეო-სამართლებრივი ინსტიტუტის ზოგადი (კრებსითი) სახელია. ამ ცნების ნიშნები, ჩემი აზრით, შეიძლება დაიყოს აუცილებელ (სავალდებულო) და ალტერნატიულ (არასავალდებულო) ნიშნებად. თეზ-ების ცნების განმარტებებში ხშირად მოცემულია ალტერნატიული ნიშნებიც. ასე, მაგალითად, ქართულ საცნობარო ლიტერატურაში ამგარი ზონა განმარტებულია, როგორც “რეგიონი ქვეყნის შიგნით, რომელსაც გარკვეული ეკონომიკური და-მოუკიდებლობა გააჩნია. მასში განლაგებული საწარმოები არ ექვემდებარება დარგობრივ მეურვეობას. კაპიტალის უცხოური მეანაბრეებისათვის შექმნილია გადასახადის შეწერის, დაკრედიტების, მოგების გატანის, ნედლეულის მიღების, აგრეთვე იმპორტული მოწყობილობების, ნედლეულისა და საქონლის შემოტანის, პროდუქციის საზღვარგარეთ გატანის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები”⁴. აშკარაა, რომ ეს განმარტება უფრო ფართოა, ვიდრე კიოტოს (იაპონია) 1973 წლის 18 მაისის კონვენციის დანართში მოცემული განმარტება, რომელიც თეზ-ებს მიიჩნევს ქვეყნის ტერიტორიის ნაწილად და განიხილავს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მდებარე ობიექტად და მასში შეტანილი საქონელი არ ეჭვემდებარება საბაჟო კონტროლსა და დაბეგვრას⁵. მნელი არ არის შევნიშნოთ, რომ თეზ-ების ეს საერთაშორისო-სამართლებრივი (ნორმატიული) განმარტება მაქსიმალისტურია და სცილდება თეზ-ების გავრცელებულ დეფინიციებს, რომელიც მიმოქვევა ცალკეულ სახელმწიფოთა ეროვნულ საკანონმდებლო პრაქტიკასა და დოქტრინაში. კერძო, როგორც

¹ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობანი, ნაწ. I. თბ., 1995 წ. გვ. 53.

² Пол Хенин. Экономический образ мышления. М., 1991, с.649.

³ იხ. “გლობალური და არაგლობალური ფირმები” (ინგლის. უკრნალ “ECONOMIST”-ის პედლიკა-ცია), გადმობეჭდილია ჟურნ. ”ეკონომიკის“ 1993 წ. №8-9-ში).

⁴ გ. დავარაშვილი. საბაზო ეკონომიკის ლექსიკონი. თბ., 1991 წ., გვ. 52.

⁵ იხ. International convention on the simplification and harmonization of customs procedures. Kyoto, 18 May 1973-30 Jun. 1974. Treaty ser. #36 (1975).

წესი, საუბარია არა დაბეგვრისაგან აბსოლუტურ გათავისუფლებაზე, არამედ შედავათებზე – პრეფერენციებზე¹, მათ შორის ინვესტირების სფეროში. ამის კარგი მაგალითია ჩინეთის პრეფერენციული სისტემა², აგრეთვე ინდონეზიის, მალაიზიის, ფილიპინების, სამხრეთ კორეის, ტაივანის შესაბამისი სისტემები³. ამდენად, ამ ასპექტში სავსებით მისაღებად შეიძლება მიყიჩიოთ თეზ-ების შემდეგი კომპაქტური განმარტება: “განსაპუთრებულ ეკონომიკურ ზონაში შეგვიძლია ვიგულისხმოთ ეკონომიკური სივრცის გარკვეული მონაკვეთი, რომელზეც დგინდება პრეფერენციული რეჟიმი”⁴. ამ განმარტებაში მოცემული აუცილებელი (ინსტიტუციური) ნიშნების განვრცობა შეიძლება ალტერნატიული (არასავალდებული) ნიშნების ხარჯზე, რომელ კონკრეტური სივრცის მიმართებაში. ამ კონტექსტში, თუნდაც დეტალზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ იმაზეც, რომ ფართო გაგებით, თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირების საფუძველია ეროვნულ და საერთაშორისო კაპიტალდაბანდებებზე განსაზღვრული შედავათების გავრცელება⁵.

თეზ-ების ყველაზე გავრცელებულ სახეობას – თავისუფალ საგაჭრო ზონებს (თსზ-ებს) ხშირად თავისუფალ საგარეო ვაჭრობის ზონებადაც მოიხსენიებენ, რადგან ისინი, როგორც წესი, მხოლოდ საგარეო ვაჭრობას ეწევიან. ამასთან, ზოგჯერ თსზ-ებს გამოხატავენ ტერმინით “თავისუფალი საბაჟო ზონები”, რომელიც რესერტის ფედერაციის 1993 წლის 18 ივნისის საბაჟო კოდექსმა საგანგებოდ გაითვალისწინა მე-3 მუხლში და მას, აგრეთვე “თავისუფალ საწყობებს”, კოდექსის მე-12 თავი მოუძღვნა⁶.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ საქართველოს 1997 წლის 14 ნოემბრის საბაჟო კოდექსმა (მუხ. 47–48), რესერტისაგან განსხვავებით, “თავისუფალი საბაჟო ზონისა” და “თავისუფალი საწყობების” ცნებებს განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვა მისცა. მასში მითითებული იყო, რომ “თავისუფალ საბაჟო ზონასა და თავისუფალ საწყობში საქონლის მოთავსების და/ან გამოყენების საბაჟო რეჟიმი ნიშნავს უცხოური საქონლის მოთავსებას და/ან გამოყენებას შესაბამის ტერიტორიულ საზღვრებში ან სათავსებში ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გამოუყენებლად, ხოლო სამამულო საქონლის მოთავსებას და/ან გამოყენებას – ექსპორტის საბაჟო რეჟიმის შესაბამისი პირობებით“ (მუხ. 47). უნდა ვიგულისხმოთ, რომ “ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების გამოუყენებლობა” აქ ძირითადად სწორედ საბაჟო პრეფერენციებს გულისხმობს, რაც ალბათ დაკონკრეტდება თეზ-ების შესახებ საქართველოს კანონში (თუ ასეთი საერთოდ იქნა მიღებული, რადგან, როგორც ცნობილია, ჩვენში თეზ-ების შემოღების საკითხი ეკონომიკურიდან დიდი პოლიტიკური ვნებათაღელვის საკითხად იქცა). ამაზე მიანიშნებს 48-ე მუხლი, რომელშიც მითითებულია, რომ “თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი საწყობების შექმნა და

¹ ტერმინი “პრეფერენცია” ეტიმოლოგიურადაც (ლათ. “რეფერე” – უპირატესობის მინიჭება) და სადღესით განმარტებითაც უკავშირდება სწორედ საბაჟო და გადასახადოა შედავათებსა და უპირატესობებს. იხ. ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიონი. თბ., 1991 წ. გვ. 97.

² С.Н. Губарев. Хозяйственно-юридический механизм специальных экономических зон КНР, журн. “Госуд. и пр.”, 1992, №3, с.118.

³ П.М. Мозиас. Стереотипы поведения иностранных инвесторов в свободной зоне. Опыт СЭЗ Находка, журн. “Дело и право”, 1994, №2, с.24.

⁴ В. Бабинцев, Х. Валиулин. Особые экономические зоны, “Российский экономический журнал”, 1993, №9, с.117.

⁵ 3. ლემონჯავა. თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსი და ფორმირების პრინციპები. ქურნ. “ეკონომიკა”, №12, 1996წ. გვ. 35.

⁶ Сборник кодексов Российской Федерации, Санкт-Петербург, 1998, с. 563-564.

მათში საქონლის განთავსების და/ან გამოყენების პირობები, აგრეთვე თავისუფალ ეპონო-მიკურ ზონებში მოქმედი საბაჟო რეგულირდება კანონმდებლობით”. ეს მუხლი ბუნდოვანია – არ ჩანს, კანონმდებლი თეზ-ებსა და “თავისუფალ საბაჟო ზონას” (“თავისუფალ საწყობებს”) აიგივებს თუ არა. რაც შეეხება ამ საბაჟო კოდექსის კომენტარების ავტორებს, ისინი თეზ-ებს და თავისუფალ საბაჟო ზონებს კანონმდებლი თავისუფალი ზონების” ნაირსახეობად თვლიან¹, რაც არასწორია, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, “თავისუფალი ეკონომიკური ზონა” ამ ეკონომიკურ-სამართლებრივი წარმონაქმნის (ინსტიტუტის) კრებსითი სახელწოდებაა, თავისუფალი საგაჭრო ზონა კი – მისი ნაირსახეობა, რომელიც თავისუფალი საბაჟო ზონის ფორმითაც გვხვდება. ამასთან, მინდა აღვნიშნო შემდეგი: მართალია, სპეციალურ დიტერატურაში თავისუფალ საგაჭრო ზონებსა და თავისუფალ საბაჟო ზონებს სავსებით იდენტურ ცნებებად განიხილავენ², მაგრამ ეს უდავო დებულებად სულაც არ უნდა მივიჩნიოთ, რადგან შეიძლება ვიპოვოთ მათი განმასხვავებელი ცალკეული ნიშნებიც. ასე, მაგალითად, საგაჭრო ზონაში საქონელი, როგორც წესი, შემოიზიდება გაყიდვის მიზნით (ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ საქონელი მაინცდამაინც ზონის ტერიტორიაზე გაიყიდოს), მაშინ, როცა საბაჟო ზონასა და საწყობებში შეიძლება შემოვიდეს, ვთქვათ, მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია ადგილობრივი ინფრასტრუქტურისათვის ან საწარმოო დანიშნულებისამებრ დასამონტაჟებლად, ან საქველმოქმედო (ჰუმანიტარული დახმარების) ტერიტორია და ა.შ.

უცხოური ინვესტიციების საკითხის სამართლებრივად მოწესრიგებისაგან განსხვავდით, თვითონ თეზ-ების, თუნდაც მინიმალურად სამართლებრივი რეგლამენტირება საქართველოს სინამდვილეში, როგორც ცნობილია, გარკვეულ ფაქტორთა ერთობლიობის (მათ შორის, როგორც ზემოთ აღინიშნა, პოლიტიკურის) გამო, დღემდე ვერ მოხერხდა. მხოლოდ ვარდების რევოლუციის შემდგომ მოხერხდა შესაბამისი ნორმატიული აქტების შექმნა. ამ მხრივ აღსანიშნავია 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, რომელიც ცალკე განხილვის საკითხია და ამჟამად აქ არ შევჩერდები.

თეზ-ების შესახებ ამგვარი კანონმდებლობის და, პირველ რიგში, ჯეროვანი სპეციალური, უნივერსალური კანონის შექმნა ადვილი რომ არ არის, ამას ჩვენი და სხვა პოსტსიალისტური ქმედების გარდა, ჩინეთის და თურქეთის ნებატიური გამოცდილებაც მოწმობს. კერძოდ, აკურატულმა ჩინელებმა (რომელთა გამოცდილებას რესერტისთვის უნიკალურად მიიჩნევენ³) დღემდე (ორ ათეულზე მეტი წლის მანძილზე) ვერ შეძლეს თეზ-ებზე ერთიანი, ფუნდამენტური სპეციალური კანონის მიღება – ეს სფერო რეგულირდება 30-ზე მეტი სხვადასხვა ნორმატიული აქტით⁴. რაც შეეხება თურქეთს, აქ ჯერ თეზ-ები შეიქმნა (1986 წლიდან) და მხოლოდ შემდგომ, კარგა ხნის დაგვიანებით, მიიღეს კანონები, რამაც ნებატიური შედეგები მოიტანა, მათ შორის, ზედმეტი ბიურკრატიული ბარიერების სახით⁵.

¹ საქართველოს საბაჟო კოდექსი. კომენტარები. თბ., 1998წ. გვ. 96-98.

² იხ. პ. მოზიასის დასახელებული სტატია, გვ. 24-25.

³ პ. მოზიასის დასახელებული სტატია, გვ. 31.

⁴ ს. გუბარევის დასახელებული სტატია, გვ. 119.

⁵ იხ. ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში თურქეთის ქალაქ ტრაპიზონის თეზ-ის დირექტორის პერიძის (დემირჯიოდლუს) ინტერვიუ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა”, 1994 წლის 15 აპრილი.

თეზ-ებში კაპიტალდაბანდებები ძირითადად ხორციელდება პირდაპირი ინვესტიციების სახით. უცხოური კომპანიები ზონებში აარსებენ საწარმოებს, რომლებიც მთლიანად (100%-ით) მათ ეკუთვნით ან ადგილობრივ იურიდიულ და/ან ფიზიკურ პირებთან ერთად ქმნიან ერთობლივ საწარმოებს. ასეთ კომპანიათა რეგისტრაციას ახორციელებს თეზ-ის აღმინისტრაცია, რაც სავსებით კონკრეტულ მიზნებს ისახავს. ასე, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით, ასეთი რეგისტრაციის მიზანია თეზ-ებში მოფუნქციონირება, უცხოური ინვესტიციებით შექმნილი იმ საწარმოების შესახებ ინფორმირებულობა, რომელთაც მინიჭებული აქვს “თეზ-ის რეზიდენტი საწარმოს” სტატუსი, რაც უფლებას აძლევს, თეზ-ის სტატუსის მიხედვით, ისარგებლოს საგადასახადო და სხვა სახის შეღავათებით¹.

თეზ-ის რეზიდენტებად ითვლებიან სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმის იურიდიული პირები, რომლებიც შექმნილია მთლიანად უცხოური ინვესტიციებით ან უცხოური კაპიტალით, აგრეთვე მათი ფილიალები და შვილობილი საწარმოები, რომლებიც რეგისტრირებულია თეზ-ში. რეზიდენტებად ითვლებიან იმ ქვეყნის მოქალაქეებიც, რომლის ტერიტორიაზე დაარსებულია თეზ-ები, აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ზოგჯერ კი მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთაც თეზ-ების ტერიტორიაზე აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (ასეთი შემთხვევები, ცხადია, იშვიათია თეზ-ების ტერიტორიების ფორმირების სპეციფიკურობის და სხვა მიზეზთა გამო).

თეზ-ების ტერიტორიაზე რეგისტრაციის შემდეგ კომპანიებს ენიჭება იურიდიული პირის სტატუსი და დაარსებულად ითვლება, იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომლის ტერიტორიაზეც ის იმყოფება.

შესაბამისად, თეზ-ებში რეგისტრირებული კომპანიები ექვემდებარება იმ ქვეყნის იურისდიქციას, რომელი ქვეყნის ტერიტორიაზეც არის განლაგებული აღნიშნული კომპანია. ასე, მაგალითად, თუ იურიდიული პირი რეგისტრირებულია ბაჟამის კუნძულებზე, მისი პერსონალური სტატუსი განისაზღვრება აღნიშნული ქვეყნის სამართლის მიხედვით. შესაბამისად, საინვესტიციო დავის იურისდიქციის განსაზღვრისას კომპანია „ფორუმ სპოპინგი“ შესაძლებლობის შემთხვევაში მიუთითებს დავის ბაჟამის კუნძულების სასამართლო იურისდიქციისადმი დაქვემდებარებაზე, თუ, რასაპვირველია, მასა და ინვესტიციების მიმდევ მხარეს შორის არ არსებობს შეთანხმება, რომლის მიხედვით დავა შეიძლება სპოიალურმა კერძო არბიტრაჟმა განიხილოს.

¹ А.Д. Голубович, Е.И. Колюшин. Иностранные инвестиции в России (Законодательное регулирование), М., 1993, с.46.

ირაკლი ბუხიაშვილი,
სამართლის დოქტორანტი

თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში რეგისტრირებული კომპანიების იურისდიქციის საკითხი

სტატია შექმნილია თავისუფალი ეკონომიკური ზონის არსეს, მის კანონმდებლობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ პროცედურებს. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობისა და სამეცნიერო დოქტორინის გამოყენებით მოყვანილია მაგალითები თავისუფალი ეკონომიკური ზონების სახეებისა და მათი სპეციფიკურობის შესახებ.

სტატიაში თავისუფალი ეკონომიკური ზონების დეფინიციის გარდა, განიხილება აღნიშნულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიების იურისდიქციის პროცედურები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს მეზობელი და სტრატეგიული სავაჭრო პარტნიორების კანონმდებლობასა და სამეცნიერო პრაქტიკის ანალიზს.

Irakli Bukhiashvili,
PHD student

THE ISSUE OF JURISDICTION OF THE COMPANIES REGISTERED IN FREE ECONOMIC ZONES

The Article refers to the essence of a free economic zone, the legal problems relating to its legislation. The Author gives examples about types and specificity of the free economic zones, using the legislation of different countries and scientific doctrine.

Except definition of the free economic zones the author discusses in the article the problems of jurisdiction of the companies registered in the mentioned zones.

Particular attention is paid to the analysis of legislation and scientific practice of the neighbour countries and strategic trade partners of Georgia.

Ираклий Бухиашвили,
докторант права

ВОПРОС О ЮРИСДИКЦИИ КОМПАНИЙ, ЗАРЕГИСТРИРОВАННЫХ В СВОБОДНЫХ ЭКОНОМИЧЕСКИХ ЗОНАХ

Рассматриваются суть свободной экономической зоны, правовые проблемы, связанные с ее законодательством. Автор приводит примеры о видах и специфике свободных экономических зон, используя законодательства различных стран и научные доктрины.

Кроме определения свободных экономических зон автор рассматривает в статье проблемы юрисдикции компаний, зарегистрированных в указанных зонах.

Особое внимание уделено анализу законодательства и научной практике соседних стран и стратегических торговых партнеров Грузии.

საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და მათგან კომანიების რებისტრაციის თავისებურება

როგორც ცნობილია, თავისუფალი ეკონომიკური ზონების ერთ-ერთ ნაირსახეობას, ინდუსტრიულ ზონებთან ერთად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონები წარმოადგენს.

საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის ცდა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში განხორციელდა. მაგრამ, იმის, გამო, რომ მისი ინიციატორი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იმდროინდელი მეთაურის მიერ შექმნილი პოლიტიკური პარტია იყო და მისი შექმნის ძირითადი მიზანი შორს იყო თავისუფალი ეკონომიკური ზონებიდან მიღებული ძირითადი ეკონომიკური უფექტისგან, შესაბამისად, აღნიშნულ იდეას შემდგომი განვითარება არ მოჰყოლია.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი ფორმის, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ პირველი საკანონმდებლო რეგლამენტირება საქართველოში 2007 წლის 3 ივნისს განხორციელდა პარლამენტის მიერ მიღებული კანონით “თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ.”

აღნიშნული კანონის პირველ მუხლში განმარტებულია, რომ “ეს კანონი ადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნისა და ლიკვიდაციის წესს, განსაზღვრავს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მართვისა და ამ ზონების ფარგლებში მმართველობისა და მომსახურების/ზედამხედველობის ორგანოების შექმნისა და საქმიანობის წესს, ადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოებისათვის დამატებით პირობებს, საგადასახადო შედაგათებსა და ამ ზონების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს”. ამასთან, ამ კანონის მიზანია, შეიქმნას მიმზიდველი გარემო ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხელი შეეწყოს კაბიტალისა და ტექნოლოგიების შემთხვევას საქართველოში.

“თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლი იძლევა თავისუფალი ინდუსტრიული ზონის დეველოპერ დეფინიციას, რომლის მიხედვით “თავისუფალი ინდუსტრიული ზონა საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის ნაირსახეობაა, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და საგადასახადო შედაგათები.”

კანონის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი თავისუფალი ინდუსტრიული ზონები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის საქართველოს ტერიტორიის ნაწილი, განსაზღვრული საზღვრებითა და კანონით მინიჭებული სპეციალური სტატუსით;

ბ) თავისუფალი ინდუსტრიული ზონა განსაზღვრული ვადით გამოიყოფა ეკონომიკური საქმიანობისათვის და პირები მის ფარგლებში ექვემდებარებიან სპეციალურ ეკონომიკურ და სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც დადგენილია ამ კანონით;

გ) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაზე არ ვრცელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება;

დ) თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ ტერიტორიაზე, რომლის ფართობი 10 ჰექტარს აღემატება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაცული ტერიტორიებისა;

ე) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

ვ) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით განისაზღვრება შესასვლელი და გამოსასვლელი – მოწყობა პორტალი.

“თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ” კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, ამგვარი ზონა შეიძლება შეიქმნას:

- ა) საქართველოს მთავრობის ინიციატივით;
- ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირის – ორგანიზაციორის (შემდგომში – ორგანიზაცირი) მოთხოვნით.

ამასთან, კანონს შემოაქვს ე.წ. “ორგანიზაციორის” ცნება. ორგანიზაციორის მოთხოვნით საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შემთხვევაში, იგი ვალდებულია საქართველოს მთავრობას წარუდგინოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- ა) პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
 - ბ) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საზღვრების აღწერას;
 - გ) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მოწყობის გეგმას;
- დ) მიწაზე ორგანიზაციორის ან სხვა პირის/პირების საკუთრების უფლების შესახებ საჯარო რეესტრის ამონაწერს. სხვა პირის/პირების საკუთრებაში არსებულ მიწაზე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მოწყობისათვის აუცილებელია აგრეთვე მესაკუთრის/მესაკუთრების თანხმობა, რომ შესაბამის მიწის ნაკვეთზე განსაზღვრული ვადით შეიქმნას თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;

ე) მტკიცებულებას, რომ დაკმაყოფილებულია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობები ან ვალდებულებას, რომ იგი დააკმაყოფილებს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისათვის დადგენილ მოთხოვნებს, საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით, განსაზღვრულ ვადით.

კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართულ და აკრძალულ საქმიანობას. კერძოდ, კანონის მე-11 მუხლის მიხედვით, “თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში დასაშვებია ნებისმიერი საქონლის წარმოება, გადამუშავება ან მომსახურების გაწევა, გარდა ამ კანონის მე-12 მუხლით განსაზღვრული საქმიანობისა. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებულ საქონელზე საქართველოს კონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით გასცემს საქონლის საქართველოში წარმოშობის დამადასტურებელ შესაბამისი ფორმის სერტიფიკატს.

რაც შეეხება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში კანონით აკრძალულ საქმიანობას, კანონის მე-12 მუხლით აკრძალულია:

- ა) იარაღის, საბრძოლო მასალის წარმოება; იარაღით, საბრძოლო მასალით ვაჭრობა;

ბ) ბირთვული, რადიაქტიური ნივთიერებების წარმოება, ბირთვული, რადიაქტიური ნივთიერებებით ვაჭრობა;

გ) ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, შენახვა, წარმოება ან/და რეალიზაცია;

ღ) აქციზური საქონლის შეტანა, შენახვა, წარმოება ან/და რეალიზაცია, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტითა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს “თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ” კანონის მე-7 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს ცნებას. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მიხედვით, “თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო შეიძლება იყოს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საწარმოთა რეგისტრაციის ნორმების შესაბამისად”.

იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, “თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქმიანობას ახორციელებს ამ ზონაში რეგისტრირებული საწარმოები. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ რეგისტრირებული საწარმოები (როგორც საქართველოს, ისე უცხოური) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქმიანობას ახორციელებს ამ ზონაში რეგისტრირებული მუდმივი დაწესებულებების მეშვეობით”. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, “თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო საქართველოს სხვა ტერიტორიაზე (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ) საქმიანობას ახორციელებს, როგორც უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულებება”. მე-4 პუნქტის მიხედვით, “ორგანიზატორი ან/და აღმინისტრატორი არ არის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო და რეგისტრირებულია საქართველოს სხვა ტერიტორიაზე (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით”.

საქმე ისაა, რომ, როგორც აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტიდან ჩანს, საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოში შეიძლება შეიქმნას შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები (იურიდიული პირები):

1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს);
2. კომანდიტური საზოგადოება (კს);
3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს);
4. სააქციო საზოგადოება (სე);
5. კოოპერატივი (რკ).

უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიები შინაარსით განსხვავდება კლასიკური ოფშორული კომპანიებისაგან. კერძოდ, როგორც ცნობილია, ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიები, შინაარსიდან გამოდინარე, დაბეგვრისას შეიცავს შესაბამის საგადასახადო შეღავათებს. გარდა ამისა, ახასიათებს რეგისტრაციის სიმარტივე, დამფუძნებელ პარტნიორთა ანონიმურობა და ფულადი

თანხების ბრუნვის კონფიდენციალურობა. რაც შექება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში რეგისტრირებულ კომპანიებს, მათი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი რეგისტრირდება “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. შესაბამისად, მათი სადამფუძნებლო დოკუმენტაცია, რეგისტრაციის წესი და პირობები ფაქტობრივად არ განსხვავდება საქართველოს სხვა ტერიტორიაზე ჩვეულებრივი ტიპის სამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციის პროცედურისაგან.

ძირითადი პრაქტიკული განსხვავება იმაშია, რომ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებულ კომპანიას იურიდიული მისამართი უნდა ჰქონდეს აღნიშნულ ზონაში ანუ მარტივად რომ ვთქვათ, აღნიშნული საწარმო თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მფლობელობის უფლებით (ძირითადად იჯარით) უნდა ფლობდეს გარკვეულ მიწის ნაკვეთს, რათა ადმინისტრატორის¹ მიერ გაცემულ იქნეს შესაბამისი თანხმობა იურიდიული მისამართის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში არსებობის შესახებ.

რაც შექება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული საწარმოს საგადასახადო შეღავათებს, იგი რეგულირდება “თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ” კანონით. კერძოდ, კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულია მხოლოდ ის საწარმო, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული წესით მინიჭებული აქვს საერთაშორისო საწარმოს სტატუსი, გარდა იმავე კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა. გარდა ამისა, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში უცხოური საქონლის შეტანა არ იძეგრება დამატებითი ლირებულების გადასახადით. აგრეთვე, ზონაში არსებული ქონება გათავისუფლებულია ქონების გადასახადისაგან.

რაც შექება საქონლის ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში უცხოური საქონლის შეტანა გათავისუფლებულია იმპორტის გადასახადისაგან (მუხ. 9, პ. 6). ასევე, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებული საქონლის თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან შეტანა (იმპორტი) საქართველოს სხვა ტერიტორიაზე (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ) გათავისუფლებულია იმპორტის გადასახადისაგან (მუხ. 9, პ. 7). კანონის მე-10 მუხლში განსაზღვრულია, რომ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქართველოს საქონლის შეტანა განიხილება, როგორც საქონლის ექსპორტი. თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან საქონლის სხვა ქვეყანაში გატანა განიხილება, როგორც საქონლის ექსპორტი. ხოლო “თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან საქონლის საქართველოს სხვა ტერიტორიაზე შეტანისას საქონლის მიმართ გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული სასაქონლო ოპერაცია. ამასთანავე, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებული საქონლის იმპორტში მოქცევისას საქო-

¹ “თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ” კანონის მე-14 მუხლის (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ადმინისტრატორი) მიხედვით:

1. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მართვას ადმინისტრატორი ახორციელებს.
2. ადმინისტრატორი შეიძლება იყოს თვითონ თრგანიზატორი ან მის მიერ დანიშნული პირი (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული).
3. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ადმინისტრატორი თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში უზრუნველყოფს უსაფრთხოების ნორმების დაცვას.

ნელი, მიუხედავად მისი რაოდენობისა, იბეგრება მხოლოდ დამატებითი დირექტულების გადასახადით”.

რაც შექება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიის თანამშრომელთა საშემოსავლო გადასახადის გადახდის საკითხს, კანონი მიუთითებს, რომ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საშემოსავლო გადასახადს დაქირავებული იხდის შემოსავლის დეპლარირების საფუძველზე ანუ დეპლარირება და შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის გადახდა, სტანდარტული შრომითი ურთიერთობისგან განსხვავებით, როგორც საგადამხდელო აგენტს დამქირავებელი კომპანია წარმოადგენს, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის კომპანიის თანამშრომელი თავად იხდის საშემოსავლო გადასახადს.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ კანონი განსაზღვრავს ზონის ლიკვიდაციის საფუძვლებსაც. კერძოდ, კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ლიკვიდაციის საფუძვლებია:

- ა) ვადის ამოწურვა;
- ბ) ორგანიზატორის განცხადება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ლიკვიდაციის შესახებ;
- გ) საქართველოს მთავრობის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილება.

აღნიშნულ შემთხვევაში, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორსა და საქართველოს მთავრობას შორის შეთანხმებით იქმნება სალიკვიდაციო კომისია, რომელიც შესაბამისი ზონის სალიკვიდაციო პროცედურების განხორციელებას მოახდეს.

საქართველოს რეალობაში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის თვალსაჩინო მაგალითია ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი შექმნიდან რამდენიმე წლის გასვლის მიუხედავად, ჯერ ვერ მოხერხდა იმ ეფექტის მიღება, რასაც კანონმდებელი აღნიშნული ზონის შექმნის დროს განიხილავდა.

**ირაკლი ბუხიაშვილი,
სამართლის დოქტორანტი**

**საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და
მათგან კომპანიების რეგისტრაციის თავისებურება**

განხილულია საქართველოს კანონმდებლობა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ, ასევე საქართველოს კანონი “თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ” და აღნიშნულ ზონებში კომპანიების რეგისტრაციის პროცედურები.

მოცემულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში რეგისტრირებული კომპანიები და მათი შედარებითი ანალიზი სხვა ოფშორულ კომპანიებთან მიმართებაში.

**Irakli Bukhiashvili,
PHD student**

**GEORGIAN FREE INDUSTRIAL ZONES AND THE FEATURES
OF COMPANY REGISTRATION IN THESE AREAS**

There is considered Georgian legislation about free industrial zones. The author examines "the law of Georgia on Free Industrial Zones" and the company registration procedures in these areas.

The article deals with the companies, that are registered in the free industrial zones and makes comparative analysis to other off-shore companies.

**Ираклий Бухиашвили,
докторант права**

**СВОБОДНЫЕ ИНДУСТРИАЛЬНЫЕ ЗОНЫ В ГРУЗИИ И
ОСОБЕННОСТИ РЕГИСТРАЦИИ КОМПАНИЙ В НИХ**

Рассмотрено законодательство Грузии о свободных индустримальных зонах. Автор рассматривает «Закон Грузии о свободных индустримальных зонах» и процедуры регистрации компаний в них.

Рассмотрены компании, которые зарегистрированы в свободных индустримальных зонах и проведен их сравнительный анализ с другими офшорными компаниями.

საქართველოს მთავრობის ბაცხმა საძარღველოში

1. შესაგალი

ინფორმაციის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლებაა. დემოკრატიულ სახელმწიფოში იგი სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისკენაა მიმართული.

ინფორმაციის თავისუფლება საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის ხელმისაწვდომობას გულისხმობს, რომელიც სახელმწიფოს მიერ მოსახლეობასთან ანგარიშვალდებულებისა და მისი საქმიანობის გამჭვირვალობის გარანტი უნდა გახდეს. ამით შესაძლებელი გახდება სამოქალაქო საზოგადოებას შეექმნას განცდა, რომ არჩევნებში მათ მიერ მიცვა-მული ხმა ფუჭად არ გამოყენებულა ხელისუფალთა მიერ. დემოკრატიული სისტემის სრულყოფილად უუნქციონირებისთვის „სასიცოცხლოდ აუცილებელია, საზოგადოებას ხელი მიუწვდებოდეს სახელისუფლებო დაწესებულებებში დაცულ ინფორმაციაზე“.¹ აღნიშნული ქმედება შეიძლება მოვიაზროთ, როგორც ხელისუფლების შებოჭვის ერთ-ერთი თანამედროვე საშუალება.² თუ სახელისუფლებო ორგანოები კანონით არ იქნა შებოჭილი, მაშინ სიტყვა „დემოკრატიული რესპუბლიკა“ მხოლოდ ქადალდზე იქნება დაწერილი და ქვეყანაში აბსოლუტური მონარქიისთვის დამახასიათებელი მდგომარეობა ჩამოყალიბდება.³

საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლების დარღვევა პიროვნების დირსების შელახვასთანაა დაკავშირებული.⁴ ადამიანის დირსება და პიროვნული თავისუფლება მის ძირითად უფლებაში, მის ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება,⁵ სხვა მხრივ შეუძლებელია თითოეული პირის უფლების ავტონომიის დაცვა.

ადამიანის უფლების დაცვა დემოკრატიული სახელმწიფოს უზენაესი პრინციპია. ქვეყნის კანონმდებლობა სწორედ ამ პრინციპს უნდა ერგებოდეს, რაც სახელმწიფო სტაბილურობის გარანტი იქნება. XXI საუკუნეში დემოკრატიული სახელმწიფოს სტაბილურობის ურთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა, კერძო და საჯარო ინტერესებს შორის, პრიორიტეტების სწორად და სამართლიანად განსაზღვრაა, რომლის საფუძვლზე მოხდება კერძო პირებისა და სახელმწიფო ორგანოების ინტერესების ერთმანეთისგან გამიჯვნა და ერთიანი, დაბალანსებული სისტემის შექმნა.⁶ დემოკრატიული სახელმწიფოს დამახასიათებელი

¹ ზ. ადეიშვილი, ლ. იზორია, ქ. ვარდიაშვილი, ნ. კალანდაძე, მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. თბ., 2005, 265.

² გ. ხუბუა. სამართლის თეორია. თბ., 2004, 97.

³ იქვე.

⁴ აღნიშნული მოსაზრება შეიძლება გამყარებულ იქნებს უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკით, მაგალითად, ავიდოთ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებაშიც ინფორმაციის თავისუფლებაზე საუბრისას პარალელი სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებასთანაა გავლებული, ხოლო ორივე მათგანის დარღვევა ადამიანის დირსების შელახვის წინაპორობადაა მიჩნეული – იხ. BVerfG, Beschluss vom 4. 11. 2009 - 1 BvR 2150/08. <http://lexetius.com/2009_3327> (32-ე აბზაცი).

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ღეკმბრის №1/3/407 გადაწყვეტილება. <http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=429&action=show>.

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივნისის №1/2/384 გადაწყვეტილება. <http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=448&action=show>.

ნიშანი სწორედ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაა, რომლის დროსაც ხელისუფლების მოქმედება არ უნდა იყოს მიმართული მხოლოდ ერთი, კონკრეტული საკითხის პროგრესის დაჩქარებისკენ.¹

ხელისუფლება და სამართლი ერთმანეთთან მჯიდრო კავშირშია,² რაც ქვეყანაში მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობით დასტურდება. ხელისუფლება ადამიანის უფლებების ფართო სპექტრს აწესებს, რომლის ფარგლებში მოქმედება კანონის დარღვევას არ წარმოადგენს. ადამიანის ძირითადი უფლება, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკური პირის სახელმწიფოსგან დაცვის უფლებაა.³ ერთ-ერთი ასეთი უფლება სწორედ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის საკითხს ეხება. სამოქალაქო საზოგადოებას უნდა ჰქონდეს უფლება, თავისუფლად შეძლოს ნებისმიერი ინფორმაციის გამოყენება სურვილის შესაბამისად. თავის მხრივ, ინფორმაციის გამოყენება არ ნიშნავს სხვა პირთა უფლებების შემდახველი მონაცემების გავრცელებას. სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლების დაცვა არა მხოლოდ ქმედებაში, არამედ უმოქმედობაშიც გამოიხატება, როდესაც იგი პირს ხელს არ შეუშლის ინფორმაციის მიღებაში თუ აზრის გამოხატვაში.⁴ აღნიშნული ქმედება დემოკრატიული სახელმწიფოსთვისა დამახასიათებელი, რომლის დროს ინფორმაციის მიღება საყოველთაოდ აღიარებული წეაროებიდან კონსტიტუციითაა გარანტირებული, ხოლო ადამიანის გონიერებისთვის „ინფორმაციული ფილტრის“ დაყენება დაუშვებელია.⁵ პირი დაცულია ინფორმაციის გავრცელებისა და მოპოვების შესაძლებლობით.

2. საჯარო ინფორმაციის სახეები

საჯარო ინფორმაცია ცალკე სამართლებრივ ინსტიტუტად საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსშია (შემდგომში – სხაკ) შეტანილი, რომლის საფუძველზე საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესაძლებლობა იქმნება. დემოკრატიულ სახელმწიფოში საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა საზოგადოებისთვის მინიჭებული უფლებაა. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის უფლების მატარებელი სუბიექტი შეიძლება იყოს „ყველა“, რაც, თავის მხრივ, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მოიაზრებს.⁶ საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნა ვრცელდება ნებისმიერ საჯარო დაწესებულებაზე,⁷ რომლის გამოთხოვისას არ არის აუცილებელი, პირმა მიუთითოს მისი მიღების მოტივსა და მიზანზე, რაც მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ პირს საჯარო ინფორმაცია შესაძლებელია სხვათა სამართლებრივი ინტერესების რეალიზაციისთვის სჭირდებოდეს.⁸

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 თებერვლის №ბს-1250-1194(კ-09) განჩინება.

² გ. ხუბუა. სამართლის თეორია. თბ., 2004, 95.

³ ქ. ქუბლებშეილი, ა. დემქტრაშეილი, მ. კვაჭაძე, დ. ლოსაბერიძე, ზ. რუხაძე, ვ. ხმალაძე, ზ. ჯობდაშეილი. კონსტიტუციური სამართლი. თბ., 2005, 102.

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის №2/3/364 გადაწყვეტილება. <http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=452&action=show>.

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №22-389 გადაწყვეტილება. <http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=430&action=show>.

⁶ ნ. წერებულებები, ა. ბერიავა. ზოგადი აღმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. თბ., 2010, 153.

⁷ ზ. ადეიშეილი, დ. იზორია, ქ. ვარდიაშეილი, ნ. კალანდაძე, მ. კოპალეიშეილი, ნ. სხირტლაძე, კ. ტურავა, დ. ქიმოშეილი. ზოგადი აღმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. თბ., 2005, 266.

⁸ გ. ხუბუა კ. კუბლებშეილი, ლ. იზორია, ქ. კორკელია. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. ადამიანის ძირითადი უფლებაზე და თავისუფლებაზე. თბ., 2005, 355.

საჯარო ინფორმაციაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვახდინოთ მათი დიფერენცირება რამდენიმე სახედ, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება მსჯელობა საკითხებე, თუ რომელი სახის ინფორმაციის გაცემაა ნებადართული საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას თუ მოვიშველიებთ, შევნიშნავთ, რომ საჯარო ინფორმაციის ოთხი სახე გამოიყოფა:¹

- ა) ინფორმაცია, რომელიც თავად ინფორმაციის მიღების მსურველს შეეხება;
- ბ) ოფიციალურ წყაროებში დაცული ინფორმაცია, რომელიც მისი მიღების მსურველს არ შეეხება, მაგრამ კანონით დადგენილი წესითაა შესაძლებელი;
- გ) ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას შეიცავს;
- დ) ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული მონაცემები, რომლებიც ისეთ კერძო საკითხებს შეეხება, როგორიცაა ჯანმრთელობა, ფინანსები და სხვა საკითხები.

ზემომოყვანილი ოთხი კატეგორიიდან მხოლოდ „გ“ კატეგორიაში არსებული ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი მესამე პირებისთვის. სხვა შემთხვევაში, იგი ნაწილობრივ შეიძლება გასაჯაროვდეს. მაგალითად, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია – ამ შემთხვევაში, კონკრეტულ მონაცემებს სახელმწიფო საიდუმლოების გრიფი იმიტომ აქვს მინიჭებული, რომ არ მოხდეს მათი გასაჯაროება. საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო საიდუმლოების ფაქტის დადგენისას ინფორმაციის გაცემას კრძალავს.² ანალოგიური სიტუაციაა კომერციული ან პროფესიული საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზეც, რომლის გაცემისას მოხდება ფიზიკური თუ იურიდიული პირის უფლების დარღვევა.³ საჯარო დაწესებულებაში დაცული ყველა სხვა სახის ინფორმაცია საჯარო ინფორმაციად.⁴

„ა“ და „დ“ კატეგორიაში მოყვანილი მაგალითები პირის პერსონალურ მონაცემებს აღნიშნავს. პირველ შემთხვევაში, პირის მიერ თავის თავზე არსებული მონაცემების გაცნობა საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულია. აღნიშნული პირდაპირ კავშირშია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან, რომლის მიხედვით, ადა-

¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება. <http://constcourt.ge/index.php?lang_id=GE0&sec_id=22&id=522&action=show>.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 10 მარტის №ბს-430-548-კ-03 განჩინება – საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ თოთოეული გადაწყვეტილება თუ განჩინება მოძიებული იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში.

<<http://prg.supremecourt.ge/>> აქვთ გამომდინარე, ნაშრომში არსებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დანარჩენ საქმეებზე, არ იქნება შესაბამისი მითითება გაკეთებული.

³ საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკისა და შესაბამისი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე შეიქმნა ტერმინი – საგადასახადო საიდუმლოება, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლშია შეტანილი. საგადასახადო საიდუმლოების საკითხებები სახლი საგადასახადო კოდექსის მიღების შემდეგ არ ყოფილა მსგავსი სასამართლო პრაქტიკა (ყოველ შემთხვევაში, მესამე პირისთვის მისი მოძიება შეუძლებელია), მაგრამ 2010 წლამდე მოქმედ საგადასახადო კოდექსით განმტკიცებულ საგადასახადო საიდუმლოებაზე (122-ე მუხლი) იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 08 მაისის №ბს-70-67(კ-06) გადაწყვეტილება და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 16 იანვრის №ბს-623-590(კ-06) განჩინება.

⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 11 მაისის №3ბ/685-10 განჩინება.

მიანის პირადი ცხოვრება ხელშეუვალია.¹ მიუხედავად ამისა, „დ“ კატეგორიაში მოყვანილი საკითხი საჯარო ინფორმაციას მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში წარმოადგენს. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლო პირადი საიდუმლოების შემცველ ინფორმაციად საქართველოს პრეზიდენტის იმ განკარგულებებს მიიჩნევს, რომელიც პირის შეწყალების (ამნისტიის) საკითხებს შეეხება.² ანალოგიური ხასიათის დათქმას აგეთებს თბილის საქალაქო სასამართლო, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის პრძანებულებების იმ ნაწილს, რომელიც პირისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხს ეხება, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, პერსონალურ მონაცემებად მიიჩნევს.³ აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ბათუმის საქალაქო სასამართლო, რომელიც პირის პერსონალურ მონაცემებად⁴ სასამართლო გადაწყვეტილებაში მისი სახელისა და გვარის არსებობას მიიჩნევს.⁵ შესაბამისად, სასამართლო საუბრობს იმაზე, რომ მესამე პირების მიერ კონკრეტული მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში,⁶ სასამართლო გადაწყვეტილებაში არ უნდა იყოს პირის იდენტიფიცირების საშუალებები აღნიშნული.⁷

განსხვავებით ნებისმიერი ფიზიკური პირის შესახებ არსებული ინფორმაციისა, თანამდებობის პირებზე დაცული მონაცემები (რაც მათ სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდება) ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის. აღნიშნული მოცემულია სზაპ-ის 44-ე მუხლის პირველ ნაწილში. კანონის შესაბამისად, მართალია, თანამდებობის პირების შესახებ ინფორმაცია და უნდა იყოს, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხს განსხვავებულად უყურებს⁸ და მიიჩნევს, რომ თანამდებობის პირების შესახებ ინფორმაცია ცალკე დასამუშავებული დოკუმენტია და თუ იგი უკვე შექმნილი სახით არ არის წარმოდგენილი, საჯარო დაწესებულება ფიზიკურად ვერ მოახერხებს მის გაცემას.

ანალოგიურ საკითხს ეხება „ბ“ კატეგორიაში გაწერილი შემთხვევა, რომლის მიხედვით, საჯარო ინფორმაცია ოფიციალურ წყაროებში დაცული ინფორმაციაა, რომელიც მისი მიღების მსურველს არ შეეხება, მაგრამ მისი მიღება კანონით დადგენილი წესითაა შე-

¹ აღნიშნულ საკითხს ეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველ პუნქტსა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაზე საუბრობს.

<http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=429&action=show>.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 05 ივნისის №ბს-1278-1240(კ-08) განჩინება.

³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის №3/8420-11 გადაწყვეტილება (ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში).

⁴ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის მქონე მონაცემებად.

⁵ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 09 მარტის №3-646/10 გადაწყვეტილება (ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში).

⁶ არ იგულისხმება სასამართლო პროცესში მონაწილე მხარის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. იხ. ზ. ადეიშვილი, ა. ფროსტი, ლ. რამიშვილი, ნ. წერებულაძე, დ. ქიბოშვილი, ლ. ტუდუში, ნ. წოწორია, გ. გერამიძე, მ. კოპალეიშვილი. ინფორმაციის თავისუფლება (მესამე გამოცემა), თბ.: გზამკვლევი, 2005, 63-64.

⁷ სასამართლო საუბრობს მხოლოდ ფიზიკური პირის სახელით დაშტრიხვაზე. მაგალითად, ადმინისტრაციულ დავებში საჯარო დაწესებულებათა სახელის დაშტრიხის შესახებ წამოყენებული სარჩევი, უმეტეს შემთხვევაში, მოსარჩევის სასარგებლოდ სრულდება. იხილეთ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 იანვრის №3/476-2010 გადაწყვეტილება (ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში). აღნიშნული აბსოლუტურად ლოგიკურია, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს საქართველოს სახელით და მისი დასახელების დამალვა საფუძველსაა მოკლებული.

⁸ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის №3/3646-11 გადაწყვეტილება (ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში).

საძლებელი. ნებისმიერი გაცემული საჯარო ინფორმაცია, რომელიც საჯარო ინფორმაციის მომთხოვნებს არ შეკება, სწორედ ამ ჭრილში უნდა იქნეს განხილული¹

ადმინისტრაციული ორგანოების გამჭვირვალობის დონე, გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის შესაბამისად შეიძლება დადგინდეს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს სამოქალაქო საზოგადოება ასრულებს, რომელიც ინფორმაციის მოპოვების უპირველესი წერო უნდა იყოს. თუ გადავხედავთ საქართველოში არსებულ პრაქტიკას, შევამჩნევთ, რომ მოსახლეობის აქტიურობა ნამდვილად არაა უმაღლეს ხარისხში აყვანილი.²

3. საჯარო ინფორმაციის გაცემა

სახელმწიფო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია დიაა ყველასთვის და ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაეცნოს მას.³ ინფორმაციის გაცნობა ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების შესაძლებლობის მატარებელია.⁴ მიუხედავად ამისა, საინტერესოა საკითხის სხვა კუთხით წარმოჩენა, თუ რამდერამდენადაა შესაძლებელი, თითოეულმა პირმა, საქართველოს კანონმდებლობის აბსოლუტური დაცვით, მოიპოვოს ნებისმიერ საკითხზე (რომელიც საიდუმლოების შემცველ მონაცემებს არ შეიცავს) საჯარო ინფორმაცია?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებლად უნდა მოვიშველიოთ სასამართლო თუ ადმინისტრაციულ ორგანოებში დამკიდრებული პრაქტიკა, რომლის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის გაცემის ოთხი ძირითადი ასპექტი გამოიყოფა: ა) სრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია; ბ) არასრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია; გ) სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე; დ) უმოქმედობა, რომელიც შესაძლებელია ტერმინით – იგნორირება მოვისენიოთ. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

3.1. სრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია

არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე საჯარო დაწესებულების მიერ კანონის ნორმათა დაცვით, აბსოლუტურად ყველა საკითხზე გაცემული ამომწურავი პასუხი. პასუხი ამომწურავად მაშინ ჩაითვლება, თუ იგი აქმაყოფილებს საჯარო ინფორმაციის

¹ შესაძლებელია, პირმა საჯარო ინფორმაცია გამოითხოვოს თავის პიროვნებაზე. ზემოთ ნახსენები „ბ“ კატეგორიის შემთხვევა პრაქტიკაში ყველაზე სწორად ჩანს. მაგალითად, ავიდოთ, კონკრეტული სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია ან ნებისმიერი საჯარო დაწესებულების საქმიანობის თაობაზე მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის მომთხოვი განცხადებას აყენებს იმ ინფორმაციაზე, რომელიც ოფიციალურ წერტილშია დაცული, მას უშადოდ არ შეკება, მაგრამ გაცემა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დასაშვებია.

² იხ. მაგალითად, ა(ა)იპ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ სხივ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან (საქსტატიდან) გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, რომლის მიხედვით, 2011 წლის პირველ კვარტალში სტატისტიკის თაობაზე არც ერთი მოთხოვნა არ შესულა აღნიშნულ საჯარო დაწესებულებაში.

იხ. <<http://www.opendata.ge/#/cat/text/info/id/1211/lang/ka>>. ეს შემთხვევა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს მოსახლეობამ უფრო აქტიურად უნდა დაიწყოს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა ადმინისტრაციული ორგანოებისგან, რაც შემდგომში ქვეყანაში არსებული დემოკრატიულობის უპირველესი საზომი გახდება.

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის №2/3/364 გადაწყვეტილება. <http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=452&action=show>.

⁴ იხ. იგივე გადაწყვეტილება.

მომთხოვნის სურვილს. ერთი მხრივ, შესაძლებელია აღნიშნული შემთხვევა სუბიექტური კუთხით იქნეს განხილული,¹ მაგრამ ამომწურავად გაცემული საჯარო ინფორმაცია მხოლოდ მაშინ იარსებებს, თუ იგი მისი მომთხოვნის ყველა დეტალს დააკმაყოფილებს.

საქართველოში სასამართლო პრაქტიკა სრულყოფილად გაცემულ საჯარო ინფორმაციას გარეულ კატეგორიად ჰყოფს და ასეთად ადმინისტრაციული ორგანოს იმ პასუხს მიიჩნევს, რომლითაც, მოთხოვნილი მონაცემების დაუმუშავებლობის გამო, საჯარო დაწესებულება მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს საჯარო ინფორმაცია.²

სრულყოფილად გაცემულ საჯარო ინფორმაციად მიიჩნევა საჯარო დაწესებულების უარი ამგვარი ქმედების განხორციელებაზე, თუ იგი საიდუმლოების შემცველ მონაცემებს შეიცავს. იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაციის თავისუფლება აბსოლუტური უფლება არ არის და მისი შეზღუდვა დასაშვებია,³ დასაბუთებული უარიც მის გაცემაზე, სრულყოფილად მიწოდებულ პასუხად უნდა ჩაითვალოს. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე, სადაც მოსარჩელე აუქციონში მონაწილე პირთა შესახებ ინფორმაციას ითხოვდა, საჯარო დაწესებულებამ მას არ მიაწოდა იმ გაგებით, რომ მოთხოვნილ ინფორმაციას კონფიდენციალური სახე ჰქონდა.⁴ სასამართლოს განმარტებით, საზოგადოებრივი ინტერესი, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება კონკრეტული პირის ინტერესს სჭარბობდეს და განსაზღვრული მოვლენის დადგომისაკენ იყოს მიმართული.⁵ აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირს გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება შეზღუდოს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით მინიჭებული უფლება, საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე.

3.2. არასრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია

არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე საჯარო დაწესებულების მიერ კანონის დარღვევით მიწოდებული პასუხი, რომელიც ამომწურავად არ პასუხობს დასმულ შეკითხვებს. აღნიშნული კატეგორიის მაგალითია შემთხვევა, როდესაც საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის მომთხოვნის ინფორმაციის გაცემის ნაცვლად შესაბამის

¹ პირმა მოითხოვა საჯარო ინფორმაცია კონკრეტულ საჯარო დაწესებულებაში მომუშავე პირის ხელფასის შესახებ. თუ ის ადამიანი, გისტევი საჯარო ინფორმაცია მოითხოვეს, თანამდებობის პირი არაა, მაშინ შესაძლებელია ამ მონაცემების პერსონალურ მონაცემებად მიჩნევა და, შესაბამისად, პირადი საიდუმლოების გათვალისწინებით, საჯარო ინფორმაციის მომთხოვნზე მისი გაუცემლობა. რაც შეეხება თანამდებობის პირებს, მათი ხელფასი, პრემია, დანამატი და ა.შ. ისევდაც საჯაროა, რადგან სზაგის 44-ე მუხლი უშუალოდ უთითებს ამაზე. ამასთან, თანამდებობის პირები ავსებენ შესაბამის დეკლარაციას, რომელიც ნებისმიერი პირისათვის ხელმისაწვდომია. სუბიექტური თვალსაზრისით, შესაძლებელია საჯარო ინფორმაციის მომთხოვნებს მიაჩნდეს, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს. სწორედ ამისთვისაა სზაგ-ში გაწერილი ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა, ხოლო შემდგომ – საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოში სარჩელის შეტანა.

² იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის №3/3935-11 გადაწყვეტილება (ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში).

³ ნ. წევალაძე, პ. ტურავა. ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო. საქართველოს გეროს ასოციაციის პუბლიკაცია. თბ., 2005, 117-118.

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 17 თებერვლის №ბს-1435-1393(კ-08) გადაწყვეტილება.

⁵ იხ. იგივე სასამართლო გადაწყვეტილება.

ვებგვერდზე მიუთითებს.¹ სზაკის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ნებისმიერ პირს შესაძლებლობა აქვს აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა. შესაბამისად, თუ პირს ინფორმაციის მატერიალური სახით მიღება სურს, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დოკუმენტის სახით გასცეს. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლო პრაქტიკა მიიჩნევს, რომ ვებგვერდზე განთავსებული საჯარო ინფორმაცია შეიძლება უკვე გაცემულ სახედ ჩაითვალოს, რაც საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებული ქმედების დამაკმაყოფილებელი სახე იქნება.² ამასთან, პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს,³ როდესაც საჯარო დაწესებულებაში არსებული მონაცემების დაუმუშავებლობის გამო, საჯარო ინფორმაციის მომთხოვნების უარი ეთქვა ინფორმაციის მიწოდებაზე, ხოლო სასამართლომ აღნიშნული კანონით გაწერილი ქცევის წესის დაცვად ჩათვალი.⁴ ამ შემთხვევაში, სახეზეა საქართველოს კანონმდებლობის საწინააღმდეგო დათქმა, ვინაიდან საჯარო რეესტრის წარმოების ვალდებულება და მონაცემების შეყვანის მოვალეობა სწორედ საჯარო დაწესებულებას გააჩნია და ისიც, შესაბამისად, უნდა ახორციელებდეს ამგარ უფლებამოსილებას, რადგან შემდეგ დაუბრკოლებლად იქნეს გაცემული საჯარო ინფორმაცია მის მომთხოვნზე.⁵ საჯარო ინფორმაციის დამუშავება ხელისუფლების გარე სამყაროსთან კავშირის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა.⁶ აღნიშნული მოქალაქეთათვის კანონის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილებაა, რაც მათ სამართალ-სუბიექტურობას მუდმივს ხდის.

არასრულყოფილად გაცემულ საჯარო ინფორმაციად ითვლება ასევე შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ნაწილს გასცემს.⁸ ამით საჯარო ინფორმაციის მომთხოვნის სურვილისა და ნების უგულებელყოფას ახდენს და არდვევს შესაბამის კანონს.

3.3. სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, საჯარო დაწესებულების მიერ კანონის დარღვევით მიწოდებული პასუხი, რითაც იგი სრულიად დაუსაბუთებელ მიზეზს ასახელებს, ინფორმაციის გაცემაზე თავის შეკავების კუთხით. საქართველოში აღნიშნულ საკითხები სასამართლო პრაქტიკა შემდეგია: მოთხოვნილ ინფორმაციას საჯარო დაწესებუ-

¹ ითვლება, რომ საჯარო დაწესებულებას დაცული აქვს ეს ინფორმაცია, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ვებგვერდზე მისი გაცნობა მას მუშაობას უითლებს, იგი საჯარო ინფორმაციის მომთხოვნების სწორედ ამგარი სახით ამისამართებს.

² იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის №3/3646-11 გადაწყვეტილება; ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის №3/3935-11 გადაწყვეტილება (ორივე შემთხვევაში, ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში).

³ საუბარია რამდენიმე სასამართლო გადაწყვეტილებაზე, რომელიც საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხს ეხება.

⁴ იხ. გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 05 ივნისის №3-112 გადაწყვეტილება (ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში) – სასამართლომ აღნიშნულ საკითხზე საქმის წარმოება შეწყვიტა დაგის საგნის არარსებობის გამო.

⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის №3ბ-1697-07 გადაწყვეტილება (ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში).

⁶ მ. ცაცანაშვილი. ინფორმაციული სამართლი. თბ., 2004, 65.

⁷ იხ. იქვე. გვ. 71.

⁸ იხ. ა(ა)იპ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პრაქტიკა, როდესაც მის მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე ადმინისტრაციულმა ორგანომ ნაწილობრივ გასცა ასუხი. <<http://www.opendata.ge/#!/lang/ka/cat/news/topic/168>>

ლება მხარეს მთავარი სხდომის დაწყებამდე აწვდის, რაც შემდგომ მოსარჩევლის მიერ უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.¹ ადმინისტრაციული ორგანოების ამგვარი ქმედება, ერთი მხრივ, მისასალმებელია, რადგან ისინი ნაკისრ ვალდებულებებს არ არღვევს, მაგრამ, მეორე მხრივ, მოსარჩევლე სასურველ ინფორმაციას მოგვიანებით იღებს.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით აღიარებულია ადმინისტრაციული საჩივრით ადმინისტრაციულ ორგანოში ერთჯერადად განხილვის ვალდებულება, რაზეც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სასკ) მე-2 პუნქტის V მუხლი მიუთითებს. იმის გათვალისწინებით, რომ ქართული კანონმდებლობით, მატერიალური და პროცესუალური ადმინისტრაციული სამართალი ცალკე გამოყოფილი არაა, სზაკ შეიცავს რამდენიმე დამახასიათებელ ნორმას, რომლის უპირველეს მაგალითს ადმინისტრაციული საჩივრის სამართლებრივი ინსტიტუტი წარმოადგენს.² იგი უმეტესწილად მოსარჩევლის ინტერესების გაიღლებას იწვევს, რაც მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში შეიძლება გამოიხატოს. მეორე მხრივ, ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა სასამართლოსადმი მიმართვის უფლების უზრუნველყოფის წინაპირობაა, რომლის საფუძველზე სასამართლოში საქმეების რიცხვი ხელოვნურად აღარ გაიზრდება.³

სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უარად ითვლება შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არ მიუთითებს კონკრეტულ კანონს ან, შესაბამისად, მინიჭებული გრიფის ნომერს და, ამის მიუხედავად, უარს ამბობს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე,⁴ ან როდესაც საჯარო დაწესებულების ინფორმაციის გაცემაზე თავის შეკავებას მოუცლელობის კუთხით ხსნის.⁵

სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე აუცილებლად წერილობით უნდა იქნეს გაცემული მის მომთხოვნზე, სხვა შემთხვევაში საჯარო დაწესებულების მხრიდან სახეზე უმოქმედობა იქნება.

3.4 უმოქმედობა/იგნორირება⁶

არის საჯარო დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის აბსოლუტური დარღვევა. საჯარო დაწესებულების მიერ ქმედებისგან თავის შეკავება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ანალოგიურია, მაგრამ ამ შემთხვევაში სასამართლოში სარჩევლის

¹ იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის №3/357-11 განჩინება; ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 20 სექტემბრის №3/4319-11 განჩინება (ორივე შემთხვევაში, ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში).

² ი. ხარშილაძე. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც სარჩევლის წარდგენის წინაპირობა. სამართლის უკრნალი, №1. 2011, 182.

³ იქვე. 183.

⁴ იხ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის №3/357-11 განჩინება (ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში).

⁵ მაგალითად, როდესაც სხიპ – გამოცდების ქრონიული ცენტრი საჯარო ინფორმაციას მხოლოდ იმიტომ არ გასცემს, რომ ინფორმაციის მოთხოვნის პერიოდში ეროვნული გამოცდები მიმდინარეობს. იხ. ა(ა)იპ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პრაქტიკა.

<<http://www.opendata.ge/userfiles/files/gemocdebisericovnulicentri0001.pdf>>.

⁶ ტერმინი იგნორირება, საქართველოს კანონმდებლობით, არ არის მოწერილი და, შესაბამისად, არ იცნობს ქართული სასამართლო პრაქტიკაც. თუმცა წინამდებარე ნაშრომის მიზანი ხწორებ ისაა, რომ მოხდეს საჯარო ინფორმაციის გაცემის სისტემატიზაცია და იგი დაყოფილ იქნეს ოთხ კატეგორიად. იგნორირება კი შემთხვევაა, როდესაც საჯარო დაწესებულებებს საერთოდ არ აქვს სურვილი დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებებანი და საჯარო ინფორმაციის მომთხოვნებს არც ვადმოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, არც პასუხს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ და არც საინფორმაციო სახის დოკუმენტს არ აწვდის.

შეტანისას სამართლებრივი საფუძველი განსხვავებული სახისაა.¹ მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უარი მოქმედების განხორციელებაზე, მას პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს.²

საჯარო დაწესებულებას საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილებით მინიჭებული ვალდებულება აკისრია – საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, პირს აღნიშნული დაუყოვნებლივ აცნობოს და განუმარტოს შესაბამისი უფლებამოსილება. იგნორირებისას კი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღნიშნული ქმედება საერთოდ არ ხორციელდება, რაც საბოლოო ჯამში საჯარო ინფორმაციის მომთხოვნის უფლებების დარღვევას იწვევს.

თავისი არსით, ინფორმაციის თავისუფლება გამოხატვის თავისუფლებასთანაა შეიძრო კავშრიში.³ თუ პირმა ინფორმაციის მიღება ვერ შეძლო, შესაბამისად ვერ გამოხატავს საკუთარ აზრს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ხოლო აზრის გამოხატვისგან პირის შეზღუდვა დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესს მნიშვნელოვნად შეაფერებს.⁴

საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სხაკის 37-ე მუხლის პირველ ნაწილში არსებული დათქმაა, რომლის მიხედვითაც ის, ვინც განცხადებას აყენებს ინფორმაციის მიღების შესახებ, თავად ირჩევს ინფორმაციის მიღების ფორმას.⁵ თავის მხრივ, სამართლიან სახელმწიფოში მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია აუცილებლად უნდა იქნეს საჯარო დაწესებულებების მიერ გაცემული, თუ არ შეიცავს საიდუმლო მონაცემებს.⁶ თუ საჯარო დაწესებულებები კანონით ნაკისრ გალდებულებებს არ შეასრულებს, დაირღვევა საჯარო ინფორმაციის მომთხოვნის უფლება.

¹ თუ საჯარო დაწესებულებამ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე სამართლებრივ საფუძვლად დაუსაბუთებელ უარზე მიუთითა, სასარჩელო მოთხოვნაში მოსარჩელეს შეეძლება მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების ვალდებულება საჯარო ინფორმაციის სახით (სასკის 22-ე და 24-ე მუხლები). იგნორირების დროს, ვინაიდან სახეზე არ არის გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მოსარჩელეს მხოლოდ სასკის 24-ე მუხლით შეეძლება გარკვეული ქმედების განხორციელების მოთხოვნა შეიტანოს კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ. სასკის 24-ე მუხლის გამოყენებაში, თავის მხრივ, მოიაზრება სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასაც. შესაბამისად, სამართლებრივ საფუძვლად სასკის 22-ე მუხლის გამოყენება ადარ წარმოადგენს აუცილებლობას. იქნა, ავტორის მსჯელობიდან აუცილებლად უნდა იქნეს იმგვარი დასკვნა გამოტანილი, რომ სასკის 22-ე და 24-ე მუხლების ერთდროულად სამართლებრივ საფუძვლად წარდგენა არ იქნება არა-მართლზომიერი და არ გამოიწვევს სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეზე შეტანილი სარჩელის დაუშვებლად ცნობას.

² ი. ხარშილაძე, მ. კოპალეიშვილი, ვ. ლორია ნ. წერელაძე. და სხვ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბ., 2004, 182.

³ მაგალითად, გერმანიის იურისპრუდენციაში არსებულ თეორიასა და პრაქტიკაში მოსაზრებაა გამოთქმული, რომ ინფორმაციის თავისუფლების, როგორც ადამიანის უფლების დაცვა, შეუძლებელია, თუ არ იქნა გამოხატვის თავისუფლება დაცული. იხ. Gorning G.-H., Aeußerungsfreiheit und Informationsfreiheit als Menschenrechte, Ducker & Humboldt GmbH, Berlin, 1988, 159.

⁴ იხ. ასევე, ზემოაღნიშნულ საკითხზე გერმანულ სამართლებრივ გამოთქმული მოსაზრება – Berliner Informationsfreiheitsgesetz, Budnesinformationsfreiheitsgesetz, Berliner Informationsgesetzbuch, Berlin, 2011, 7.

⁵ Kulesza E., Das Recht der Buerger auf Information ueber die Taetigkeit der oeffentlichen Stellen. <<http://www.brandenburg.de/media/2628/Kulesza051117.pdf>>, 6-7.

⁶ შევდ. <<http://www.mehr-demokratie.de/informationsfreiheit.html>>

3.5. ზიანი

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის გაუცემლობით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, რომელიც სზაქ-ის 47-ე მუხლითა მოწესრიგებული და რომლის მეორე ნაწილის მიხედვით, მტკიცების ტირთი შესაბამის საჯარო დაწესებულებას ან/და საჯარო მოხელეს გაისრება. თავის მხრივ, ზიანის საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოექცეს, თუ დადგინდება, რომ პირს საჯარო ინფორმაცია სამართლის ნორმების დარღვევით და საჯარო დაწესებულების მიერ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედებით არ მიეცა.¹

ზიანის ანაზღაურების შესახებ განცხადების დაყენებისას, პირმა უშეალოდ უნდა წარადგინოს ის ფაქტები, თუ რაზე აფუმნებს თავის მოთხოვნას. ადნიშნულს მიუთითებს სასამართლო პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც, ამგვარი შემთხვევისას პირმა მოთხოვნის საფუძველი უნდა წარმოადგინოს.² თუ პირი ვერ ასაბუთებს ზიანის მიყენების ფაქტს, საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის გაცემას ადგილი რომც არ ჰქონდეს, ადმინისტრაციულ ორგანოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოეშობა.³

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ან უმოქმედობის შემთხვევაში, თუ პირს მიადგება ზიანი, ზიანის ანაზღაურების საკითხი სზაქ-ის შესაბამისი ნორმების საფუძველზე უნდა მოწესრიგდეს.

გარდა ზემოთ ნახსენები 47-ე მუხლისა, ამავე კოდექსის XIV თავი სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობაზე საუბრობს. სზაქ-ის 207-ე მუხლის საფუძველზე, „თუ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი“. ეს მოსახრება ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს საჯარო დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისას, საქმე სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული ნორმებით უნდა მოწესრიგდეს. მაგალითად, სზაქ-ის 208-ე პუნქტის I მუხლის თანახმად, სახელმწიფო სტრუქტურის ან მისი მოსამსახურის მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელია უშეალოდ სახელმწიფო. სასამართლო ვალდებულია, უპირველეს ყოვლისა, სზაქ-ისა და სასკ-ის შესაბამისი ნორმები გამოიყენოს და მხოლოდ შემდგომ მიმართოს სსკ-ით რეგულირებულ სამართლებრივ აქტებს.⁴

¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 ნოემბრის №3/3935-11 გადაწყვეტილება (ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში).

² იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 2 ნოემბრის №3-707 გადაწყვეტილება (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ინფორმაციის თავისუფლება, ნაწილი მესამე. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2008, 50).

³ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 27 დეკემბრის №3ბ-1244-07 გადაწყვეტილება (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ინფორმაციის თავისუფლება, ნაწილი მესამე. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. თბ., 2008, 51).

⁴ ადნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იხილეთ საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა, კა, მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 18 აპრილის №ას-1147-1394-05 გადაწყვეტილება.

4. დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი, როგორც ინფორმაციის თავისუფლების მომწერიგებელი ნორმები, ერთი მხრივ, სახელმწიფო, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების ინტერესებს იცავს,¹ რაც სახელმწიფო და პერსონალურ-კომუნიკაციული მონაცემების გასაიდუმლოებით შეიძლება გამოიხატოს.

სწორედ აღნიშნულის შედეგია ის, რომ საჯარო ინფორმაცია ოთხ ძირითად სახედ იყოფა: ინფორმაცია, რომელიც თავად ინფორმაციის მიღების მსურველს შეეხება; ოფიციალურ წყაროებში დაცული ინფორმაცია, რომელიც მისი მიღების მსურველს არ შეეხება, მაგრამ მიღება კანონით დადგენილი წესითა შესაძლებელი; ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას შეიცავს; ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული მონაცემები, რომლებიც ისეთ კერძო საკითხებს შეეხება, როგორიცაა ჯანმრთელობა, ფინანსები და სხვა. თითოეული მათგანი მესამე პირებისთვის გარკვეულ შემთხვევებში არ შეიძლება საჯარო გახდეს, ვინაიდან ინფორმაციის მიღების უფლება არ წარმოადგენს ადამიანის აბსოლუტურ უფლებას.² მიუხედავად ქვეყნის უზენაესი კანონით მინიჭებული უფლებამოსილებისა, ხშირ შემთხვევაში, ადამიანის უფლება შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს მიერ.³ უფლების შეზღუდვა უნდა მოხდეს საჯარო ინტერესების დასაცავად, რომლის დროსაც სახელმწიფომ არ უნდა დაარღვიოს თანაზომიერების პრინციპი.⁴

რაც შეეხება საჯარო ინფორმაციის გაცემას, ნაშრომში მოყვანილი თითოეული ეს კატეგორია ჩამოყალიბებულია საქართველოში არსებული პრაქტიკის შესწავლის შედეგად, რომლის საფუძველზე იგი შეიძლება ოთხ ჯგუფად დაიყოს: სრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია, არასრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია, სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და იგნორირება. აღნიშნული დაყოფა არ არის დიფერენცირების საბოლოო სახე და შეიძლება გავრცობილ იქნეს პრაქტიკის⁵ განვითარებასთან ერთად.

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის №1/3/209,276 გადაწყვეტილება. <http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=121&action=show>

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივნისის №2/3/364 გადაწყვეტილება. <http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=452&action=show>.

³ აღნიშნული მოსაზრება არ ეხება ყველა სახის უფლებას. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით, სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას კანონი იცავს. ეს დათქმა პირისთვის სიცოცხლის ხელყოფისგან დაცის გარანტიაა და მისი შეზღუდვა დაუშვებელია.

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება. <http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=677&action=show>

⁵ როგორც სასამართლო, ისე ადმინისტრაციულ ორგანოებში დამკვიდრებული პრაქტიკა.

საჯარო ინფორმაციის გაცემა
საქართველოში

ინფორმაციის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლებაა. ამ უფლებით სარგებლობა ნებისმიერ პირს შეუძლია.

საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების საკითხი შესაბამის სამართლებრივ ნორმებშია მოწესრიგებული, მაგრამ არაფერი იქნებოდა მხოლოდ დაწერილი კანონი, თუ მას პრაქტიკა არ განავრცებდა და შესაბამის ინტერპრეტაციას არ მისცემდა. ამიტომ, ნაშრომში, უპირველეს ყოვლისა, გამახვილებულია ყურადღება სასამართლო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოების პრაქტიკაზე. საჯარო ინფორმაციის გაცემა დაყოფილია ოთხ ძირითად სახედ: სრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია; არასრულყოფილად გაცემული საჯარო ინფორმაცია; სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და უმოქმედობა/იგნორირება. ეს ოთხი სახე სწორედ საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის შედეგია.

ნაშრომში წარმოდგენილია თითოეული მათგანის დამახასიათებელი თვისებები. საკითხი მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ საქართველოში ჯერ არ მომხდარა საჯარო ინფორმაციის გაცემის კონკრეტულ კატეგორიებად ჩამოყალიბება. აღნიშნული ეხება როგორც სასამართლო, ისე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრაქტიკას.

წარმოდგენილია ასევე საჯარო ინფორმაციის სახეებისა და ამ ინფორმაციის გაცემის საკითხი, რა ნიშნით ხასიათდება თითოეული და რა შემთხვევაშია სახეზე.

Sergi Jorbenadze,
PHD student

ACCESS TO PUBLIC INFORMATION
IN GEORGIA

Freedom of information is the right recognized in the Constitution of Georgia. Each individual is entitled to use the right.

Relevant legal acts regulate the aspects of freedom of information in Georgia. Though without their correct interpretation and implementation written codes are not enforceable. This article will analyze administrative proceedings and litigation practices regarding to access to public information. As a result of analyses we can divide submission of public information into four categories: public information which, is completely submitted, public information submitted partially, refusal on submission of public information without legal bases and inaction/ignoring.

Categories are selected considering established practice in Georgia. Characteristics of each category will be discussed in the paper. The fact that submission of public information has never been categorized be-

fore in Georgia increases significance of the topic. The topic covers both administrative proceedings and litigation practices.

There are presented the types of public information and its submission process, submission categories and their characteristics.

Серги Джорбенадзе,
докторант права

ВЫДАЧА ПУБЛИЧНОЙ ИНФОРМАЦИИ В ГРУЗИИ

Свобода информации является правом, признанным конституцией Грузии. Этим правом может воспользоваться любое лицо.

В Грузии вопрос свободы информации приведен в порядок в соответствующих правовых нормах, но всего лишь писаный закон не был бы ничем, если бы его не расширила практика и не дала бы ему соответствующую интерпретацию. Поэтому в работе большое внимание уделяется, в первую очередь, практике судебного и административного правоведения. Выдача публичной информации делится на четыре вида: полностью выданная информация; не полностью выданная информация; отказ от выдачи информации без законного основания и бездействие/игнорирование. Выделение этих четырех видов является следствием практики, утвердившейся в Грузии.

В работе приведены качества, характеризующие существование каждого из этих видов. Вопрос важен с точки зрения того, что определение конкретных категорий выдачи публичной информации еще не происходило в Грузии. Это касается практики как судебного, так и административного правоведения.

В работе ставится вопрос о видах публичной информации и выдаче публичной информации, какими качествами характеризуется каждый из них и в каком случае имеется дело с тем или иным видом.

**საქმის ბანხილვის შსაცუდგლო გაჭიანურებისაბან
დაცვის ეფექტური მეშანიზმები**

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის” მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი სისხლისამართლებრივი ნებისმიერი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.” კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად, „ყველას, ვისაც ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები დაერღვა, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.”

2000 წლამდე ევროპული სასამართლო განაცხადებს, რითაც განმცხადებლები მოიხსოვდნენ კონვენციის მე-6 (1) და მე-13 მუხლების დარღვევის დადგენას, გონივრულ ვადაში საქმის განხილვის მოთხოვნის დარღვევისა და მისი დაცვის ეფექტური საშუალებების არარსებობის გამო, განხილავდა მხოლოდ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის ნაწილში.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული პოზიცია ახსნა მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანებს გადაწყვეტილებაში *Kudla v. Poland*, როდესაც განმარტა, რომ წარსულში ის არ იხილავდა მე-13 მუხლის დარღვევის საკითხს, რადგან გონივრულ ვადაში საქმის განხილვის მოთხოვნის დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებში კონვენციის მე-6 (1) მუხლს მიიჩნევდა სპეციალურ ნორმად (*lex specialis*) მე-13 მუხლთან მიმართებაში.¹

ამავე გადაწყვეტილებაში ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დროა გადაისინჯოს მისი პრეცედენტული სამართლი, რომელიც უკავშირდება 6.1 მუხლით გარანტირებულ გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვის მოთხოვნის დარღვევას,² რადგან მე-13 მუხლი იცავს უფლებას შიგასახელმწიფოებრივ დაცვის ეფექტურ საშუალებაზე, გონივრულ ვადაში საქმის განხილვის მოთხოვნასთან მიმართებაში.³ მე-13 მუხლის სიტყვასიტყვით განმარტება არ გამორიცხავს მის გამოყენებას 6.1 მუხლით განსაზღვრული “სასამართლოსადმი მიმართვის უფლების” არც ერთ ასპექტთან დაკავშირებით და მე-13 მუხლის მოქმედების შეზღუდვა არ გამომდინარეობს მისი შექმნის ისტორიიდანაც.⁴ 6 (1) მუხლის, როგორც სპეციალური ნორმის მიერ მე-13 მუხლის „გადაფარვას” ან „შთანთქმას” არ აქვს ადგილი, როდესაც მხარეს სურს იზივლოს “ეროვნული ხელისუფლების წინაშე” 6.1 მუხლით გარანტირებული გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვის მოთხოვნის დარღვევის საწინააღმდეგოდ. ისარგებლა თუ არა განმცხადებელმა გონივრულ ვადებში სასამართლო განხილვის უფლებით მისი სამოქალაქო უფლება-მოვალეობის ან სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას, სულ სხვა სამართლებრივი საკით-

¹ *Kudla v. Poland*, judgment of 26 October 2000 Application no. 30210/96. para. 146. p.

² *Kudla v. Poland*, judgment of 26 October 2000 Application no. 30210/96. para. 148. p.

³ *Kudla v. Poland*, judgment of 26 October 2000 Application no. 30210/96. para. 156.p.

⁴ *Kudla v. Poland*, judgment of 26 October 2000 Application no. 30210/96. para. 151.

ხია, ვიდრე ის, პქონდა თუ არა განმცხადებელს დაცვის ეფექტური საშუალება ადგი-
ლობრივ დონეზე, რათა მიეღწია ამ საფუძვლით წარდგენილი საჩივრის განხილვისთვის.”¹

„ამგვარად, მე-13 მუხლი აკისრებს რა სახელმწიფოს პირდაპირ ვალდებულებას, უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სამართ-
ლებრივი სისტემის ფარგლებში, ამავდროულად აყალიბებს დამატებით გარანტიას იმი-
სათვის, რომ პირმა ეფექტურად ისარგებლოს ამ უფლებით. მე-13 მუხლის მიზანია პირს
მისცეს საშუალება დაიცვას საკუთარი დარღვეული უფლება ადგილობრივ დონეზე
სასამართლოსადმი საჩივრის მიმართვის საერთაშორისო მექანიზმის გამოყენებამდე. ამ
გადმოსახედიდან, პირის უფლება გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვაზე იქნება
ნაკლებ ეფექტური, თუ არ იარსებებს საშუალება, რომელზე დაყრდნობითაც კონვენციაზე
დაფუძნებული მოთხოვნა პირველ რიგში წარედგინება ადგილობრივ ხელისუფლებას; მე-13
მუხლის მოთხოვნები უნდა შეფასდეს, როგორც 6.1 მუხლის მოთხოვნების განმამ-
ტიცებელი და არა შთანთქმული ამ მუხლით დადგენილი ზოგადი ვალდებულების მიერ,
რომლის თანახმადაც პირმა არ უნდა განიცადოს საქმის გაუმართლებელი გაჭიანურება.”²

პოზიციის ცვლილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ საქმის განხილვის არა-
გონივრულ ხანგრძლივობასთან დაკავშირებული საჩივრების მზარდ რაოდენობას შეეძლო
კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა ევროპული სასამართლოს დაცვის მექანიზმების ეფექ-
ტურობა.³

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებით კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს შიგა-
სახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემის მეშვეობით დაეკისრათ იმ ინდივიდების სა-
მართლებრივი დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფის ვალდებულება, რომლებიც ამტკიც-
ბენ, რომ არიან მათი საქმეების არაგრძივრულად, ხანგრძლივი განხილვის მსხვერპლინი.

ეფექტური დაცვის საშუალების მნიშვნელობა განისაზღვრა ჯერ კიდევ 1983 წელს,
რომელიც მოითხოვს დაცვის ორი საშუალების ერთდროულად არსებობას – სარჩელის
შინაარსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანას და კომპენსაციის მიღების შესაძ-
ლებლობას. ევროპულმა სასამართლომ დადგინა: პირს, რომელიც წესების დაცვით წამოაყ-
ნებს დასაბუთებულ მოთხოვნას მისი ფუნდამენტური უფლებების დაღვევის შესახებ,⁴ უნდა
პქონდეს, ნაციონალური ხელისუფლების ორგანების მეშვეობით, მისი უფლებების
სამართლებრივი დაცვის საშუალებები, საჩივრის განხილვისა და, საჭიროების შემთხვევაში,
დარღვეული უფლების აღდგენის ან დარღვევის გამოსწორების მოთხოვნის შესაძლებლობა.⁵

ზოგადად, უფლების დარღვევის გამოსწორების შესაძლებლობა, რომელიც სახელ-
მწიფომ უნდა უზრუნველყოს, არ არის აუცილებელი ფინანსური ხასიათის იყოს. ევრო-
პულმა სასამართლომ განმარტა, რომ მე-13 მუხლი არ მიდის იმდენად შორს, რომ მო-

¹Kudla v. Poland, judgment of 26 October 2000 Application no. 30210/96. para. 147.

² Kudla v. Poland, judgment of 26 October 2000 Application no. 30210/96. para. 152.

³ Kudla v. Poland, judgment of 26 October 2000 Application no. 30210/96. para. 148. სასამართლომ აღნიშნა: „ამ კუთხით დარღვევის დადგენის მზარდმა სიხშირემ სასამართლოს უურადღება მიიქცია იმ “მნიშვნელოვან საფრთხეზე”, რომელიც არსებობს კონონის უზენაესობისთვის ეროვნულ-სამართლებრივ სისტემებში, როცა ადგილი აქვს “მართლმსაჯულების აღმინისტრირებაში გადაჭარბებულ დაყოფნებები”, “რომლის წინააღმდეგაც პროცესის მხარეებს არ გააჩნიათ დაცვის საშუალება ადგილობრივ დონეზე”.

⁴ M. Susi. The Right to an Effective Remedy — through the Dynamic Interpretation of the European Court of Human Rights. Dissertationes Iuridicae Universitatis Tartuensis. Tartu 2008, pp. 163–164.

⁵ ECHR, Silver v. the United Kingdom, judgment of 25 March 1983, A61, p. 113 (a).

თოხოვოს კონკრეტული სახის სამართლებრივი დაცვის საშუალებები. ხელშემკვრელ მხარეებს მინიჭებული აქვს ფართო დისკრეცია ამ დებულებიდან გამომდინარე ვალდებულების უზრუნველსაყოფად.¹

თუმცა ევროპული სასამართლო ამ წესიდან გამონაკლისს უშვებს, მხოლოდ საქმის განხილვის უსაფუძლო გაჭიანურებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას. *Mifsud v. France* საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა: „დაცვის საშუალება არის „ეფექტიანი”, თუ ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქმის განხილვის დასაჩარებლად ან საქმის განხილვის მონაწილეებს უზრუნველყოფს უსაფუძლო გაჭიანურებით გამოწვეული შედეგების გამოსწორების ადგენატური საშუალებებით.²

აღსანიშნავია სტანდარტები, რომელიც ევროპულმა სასამართლომ *Kudla v. Poland* გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ჩამოაყალიბა. 2002 წლის 1 იანვარს ამოქმედდა სლოვაკეთის კონსტიტუციაში შესული ცვლილებები,³ რომლის თანახმად, ყველას აქვს შესაძლებლობა სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მათი ფუნდამენტური უფლების დარღვევის შემთხვევაში. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებით, უფლების დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, დაზარალებულს მიეცა სამართლიანი დაქმაყოფილება.

Andrá ik v. Slovakia-ის საქმის განხილვისას ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ კონსტიტუციური სარჩელი ჩაითვლება დაცვის ეფექტურ საშუალებად, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დარღვევის ფაქტის დადგენასთან ერთად, ასევე აქვს საქმის განმხილველი სასამართლოსაგან დარღვევის შეწყვეტის მოთხოვნისა და მიყენებული ზიანისათვის კომპანიის მიკუთვნების უფლებამოსილება.⁴ სლოვაკეთის მთავრობამ მიუთითა რამდენიმე გადაწყვეტილებაზე, რომელთა მიღებისას საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა კონსტიტუციის 127-ე მუხლი: ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „დაცვის საშუალების ეფექტურად მიჩნევისათვის არ არის საკმარისი მისი კანონში ასახვა, მთავარია გამოიყენება თუ არა პრაქტიკაში.“⁵

როგორც პორტუგალიის გამოცდილება გვიჩვენებს, საქმის გონიგრულ ვადაში განხილვის მოთხოვნის სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალების შექმნა შეიძლება კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გარეშე, შიგასახელმწიფოებრივი სასამართლების სასამართლო პრაქტიკის განვითარებით. ევროპულ სასამართლოში *da Costa v. Portugal*-ის საქმის განხილვისას პორტუგალიის მთავრობამ განაცხადა, რომ 1967 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს კანონი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხებს. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალია, რომ ეს შიგასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალება მხოლოდ თეორიულია, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა: „მიუხედავად იმისა, რომ ამ სამართლებრივი ნორმების ამოქმედებიდან 20 წელიწადზე მეტი

¹ ECHR, *Vilvarjah et al v. the United Kingdom*, judgment of 30 October 1991, A215, p. 122. It also needs to be noted that in the case-law

of the last decade the ECHR sometimes uses the broader term “relief” instead of the formerly used term “redress”. See *Hasan and Chaush v. Bulgaria*, judgment of 26 October 2000, application No. 30985/96, paragraph 96.

² ECHR, *Mifsud v. France*, decision of 11 September 2002, application No. 57220/00, p. 17.

³ Article 127 of the Slovakian Constitution, available at www.legislationonline.org.

⁴ ECHR, *Andrá ik v. Slovakia*, judgment of 22 October 2002, application No. 57984/00, p. 10.

⁵ ECHR, *Andrá ik v. Slovakia*, judgment of 22 October 2002, application No. 57984/00, p. 10.

გავიდა, მთავრობამ ვერ წარმოადგინა ვერც ერთი პრეცედენტი იმის დასადასტურებლად, რომ დავის ამ საშუალების გამოყენების შემთხვევაში არსებობს წარმატების რეალური შანსი”.¹

Paulino Thomas v. Portugal საქმეში ეკროპულმა სასამართლომ შეცვალა მისი ხედვა და საქმის გონივრულ ვადაში განხილვის მოთხოვნის დაცვის საშუალებები ეფექტურად ჩათვალა. ამ საქმის განხილვისას მთავრობამ თავის არგუმენტების გასამყარებლად უზენაესი სასამართლოს 1998 წლის გადაწყვეტილებაზე მიუთითა, რომლითაც აღიარებულ იქნა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესაძლებლობა, კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული, გონივრულ ვადაში საქმის განხილვის მოთხოვნის დარღვევის გამო. პორტუგალიის მთავრობამ წარმოადგინა რამდენიმე სასამართლო გადაწყვეტილება, სადაც მხარეებს მიეცათ ფულადი კომპენსაცია გონივრულ ვადაში საქმის განხილვის მოთხოვნის დარღვევის. ყოველივე ზემოადნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ პორტუგალიის სამართლებრივ სისტემაში არსებობდა საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებისაგან დაცვის ეფექტური შიგასახელმწიფოებრივი საშუალებები.² მათი ეფექტურობა მიღწეულ იქნა მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მიერ დაბალი ინსტანციის სასამართლოებისათვის მიცემული დირექტივების მეშვეობით.

Saarekallas OÜ v. Estonia-ის საქმის განხილვისას დადგინდა, რომ ესტონეთის სასამართლოებში სამართალწარმოება შვიდი წელი და ორი თვე მიმდინარეობდა. ესტონეთის მთავრობამ აღნიშნა, რომ აღმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის თანახმად, აღმინისტრაციულ საქმეთა განმნილველი სასამართლოები აღჭურვილ იქნა კონსტიტუციური საკითხების განხილვის უფლებამოსილებით. მთავრობამ ასევე მიუთითა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმად აღმინისტრაციული სასამართლოები უფლებამოსილი იყო განეხილა ხელისუფლების ორგანოების მოქმედების ვადების გონივრულობა და უფლება პქნედა გაეცა კომპენსაცია საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების გამო იმ შემთხვევაშიც, თუ ამ უფლებამოსილების განმსაზღვრელი სპეციალური სამართლებრივი ნორმები არ არსებობდა. მთავრობის აზრით, განმცხადებელი კომპანიისათვის არსებობდა დაცვის ეფექტური საშუალებები, რომელსაც არც უცდია მათი გამოყენება.³ მთავრობის არგუმენტების საპასუხოდ განმცხადებელი კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, არ არსებობდა კონკრეტული პრეცედენტი, როდესაც მთავრობის მიერ აღნიშნული საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებისაგან დაცვის საშუალება იქნა გამოყენებული ესტონეთის სასამართლოს მიერ და მიღწეულ იქნა კონკრეტული შედეგი. მთავრობამ ასევე ვერ წარმოადგინა მაგალითი, როდესაც საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების გამო კომპენსაცია იქნა გადახდილი.⁴

ეკროპულმა სასამართლომ აღმინისტრაციული საპროცესო კოდექსისა და კონსტიტუციის დებულებები, რომლებიც მთავრობამ მოიხსენია გონივრული ვადის მოთხოვნის დაცვის ეფექტურ საშუალებად, ჩათვალა ძალიან ზოგადად, რადგან არ ითვალისწინებდა ამ მოთხოვნის დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრების წარდგენის შესაძლებლობას.

¹ ECHR, *Gama da Costa v. Portugal*, decision of 5 March 1990, application No. 12659/87. – Decisions and Reports 65, p. 136.

² ECHR, *Paulino Thomas v. Portugal*, decision of 27 March 2003. – Reports of Judgments and Decisions 2003–VIII.

³ ECHR, *Saarekallas OÜ v. Estonia*, judgment of 8 January 2007, application No. 11548/04. pp. 59–61.

⁴ ECHR, *Saarekallas OÜ v. Estonia*, judgment of 8 January 2007, application No. 11548/04 p. 62.

ევროპულმა სასამართლომ თავისი პოზიცია შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „როგორც განმცხადებელმა კომპანიამ აღნიშნა, მთავრობას არ უხსენებია არც ერთი შემთხვევა, როდესაც საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებისაგან დაცვის საშუალებები პრაქტიკაში იქნა გამოყენებული და მიღწეულ იქნა შედეგი. ასევე არ დაფიქსირებულა კომპენსაციის გაცემის არც ერთი შემთხვევა.¹ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6(1) (საქმის განხილვის გონივრულ ვადაში განხილვის მოთხოვნის ნაწილში) და მე-13 მუხლების დარღვევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 2007 წლამდე ესტონეთის სამართლებრივ სისტემაში არ არსებობდა საქმის გონივრულ ვადაში განხილვის მოთხოვნის დაცვის საშუალება.

გონივრულ ვადაში საქმის განხილვის მოთხოვნის დაცვის საშუალების უმნიშვნელოვანების ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ესტონეთის უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება.² აღნიშნულ საქმეში უზენაეს სასამართლოს წარედგინა R.P.-ის კონსტიტუციური სარჩელი, რომლითაც ავტორი მოითხოვდა კონვენციის მე-6 მუხლით აღიარებული გონივრულ ვადაში საქმის განხილვის მოთხოვნის დარღვევის ან კონვენციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალების არარსებობის დადგენას. საქმის განხილვა 12 წელი გაგრძელდა. უზენაესი სასამართლოს საკონსტიტუციო საქმეთა პალატისათვის სარჩელის წარდგენის დროს საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში ისევ მიმდინარეობდა.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ ესტონეთის კანონი ინდივიდს შესაძლებლობას არ აძლევს პირდაპირ წარადგინოს საჩივარი უზენაესს სასამართლოში. კონსტიტუციით უზრუნველყოფილია კონსტიტუციური სარჩელით სამართლებრივი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შესაძლებლობა, თუნდაც მხოლოდ დაინტერესებული პირის სამართლებრივი დაცვის კონტექსტში.³

ესტონეთის უზენაესი სასამართლო აღიარებს ე.წ. „ფუნდამენტურ უფლებათა მუდმივი სასამართლო დაცვის“ დოქტრინას, რომელიც უზრუნველყოფილია ესტონეთის კონსტიტუციის მე-15 მუხლით. აღნიშნული გულისხმობას პირის უფლებას მიმართოს სასამართლოს მისი ფუნდამენტური უფლების დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე სახელმწიფოს ვალდებულებას ადამიანის უფლებათა დასაცავად შექმნას დაცვის სამართლიანი და უფექტური სასამართლო მექანიზმი.⁴ აღნიშნული დოქტრინის თანახმად, თუ საპროცესო კანონმდებლობა პირდაპირ არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული ან სხვა სასამართლოს შესაძლებლობას, განიხილოს ფუნდამენტურ უფლების დაცვასთან დაკავშირებული საკითხი, სასამართლოს მაინც შეუძლია ამ საკითხის განხილვა კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ R.P.-ის საქმეში დარღვეული იყო გონივრულ ვადაში საქმის განხილვის მოთხოვნები, მაგრამ საქმე არსებითად არ განიხილა. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სისხლის სამართლის განმხილველმა პირველი ინსტანციის სასამართლოებმა თავად უნდა განიხილონ საქმის განხილვის ვადების გონივრულობასთან დაკავშირებული საჩივარები. ისინი არ უნდა დაელოდონ საქმესთან დაკავშირებულ საბო-

¹ ECHR, *Saarekallas OÜ v. Estonia*, judgment of 8 January 2007, application No. 11548/04, p. 66.

² ესტონეთის უზენაესი სასამართლოს N3-4-1-12-08 გადაწყვეტილება (ხელმისაწვდომია – <http://www.nc.ee>).

³ ესტონეთის კონსტიტუციის მე-15 მუხლი.

⁴ CRCSD, 9.04.2008, 3-4-1-20-07, paragraph 18.

ლოო გადაწყვეტილებას და წარდგენისთანავე განიხილონ აღნიშნული საჩივრები. იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ სასამართლოებს კანონმდებლობით არ აქვს მინიჭებული, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი მოთხოვნები განხილული უნდა იქნეს ცალკე, ადმინისტრაციულ სასამართლოში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ კანონის საფუძველზე.

რაც შეეხება გონივრულ ვადაში საქმის განხილვის მოთხოვნის დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, უზენაესმა სასამართლომ სამ შესაძლო მოქმედებაზე მიუთითა, რომლებიც სისხლის სამართლის განმხილველმა სასამართლომ უნდა განახორციელოს: 1) სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვის შეწყვეტა; 2) ბრალდებულის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება; 3) სასჯელის განსაზღვროსას, ძირითადი უფლების დარღვევის ხარისხის გათვალისწინებით, სასჯელის შემცირება.

საინტერესოა რას მოიმოქმედებს ესტონეთის სასამართლო იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ პირს სურს სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვა და გამართლების გზით შელახებული რეპუტაციის ადგგნა და, შესაბამისად, უარს აცხადებს, გონივრული ვადის მოთხოვნის დარღვევის გამო, საქმის განხილვის შეწყვეტაზე. არაპროპორციული იქნება, გონივრულ ვადაში საქმის განხილვის მოთხოვნის უმნიშვნელო დარღვევის გამო, სასამართლო განხილვის გარეშე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან იმ პირების გათავისუფლება, რომელთაც ბრალი ედგათ განსაკუთრებით მმიმე დანაშაულის ჩადენაში.

ასევე საინტერესოა, რამდენად ეფექტური იქნება სასჯელის შემცირება, თუ სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი სასამართლო სამართალწარმოებისას დაადგენს გონივრული ვადის მოთხოვნის დარღვევას, როგორც ეს უზენაესმა სასამართლომ განმარტა თავის გადაწყვეტილებაში. საქმის განხილვის გაჭიანურებისაგან დაცვის საშუალებად სასჯელის შემცირების გამოყენებას ვერ ექნება დროული ეფექტი, რადგან, როგორც წესი, სასამართლოებმა წინასწარ არ იციან როდის დასრულდება საქმის განხილვა. სასამართლოებმა წინასწარ არც ის იციან იქნება თუ არა ბრალდებული ცნობილი დამნაშავედ. გამართლების შემთხვევაში პირი, რომლის მიმართაც დაირღვა გონივრულ ვადაში საქმის განხილვის მოთხოვნა, შესაძლოა დარჩეს ეფექტური დაცვის საშუალების გარეშე.

მიუხედავად გარკვეული შენიშვნებისა, ესტონეთის უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი საქმის გაჭიანურებისაგან დაცვის საშუალებები შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურად და კონვენციის მე-13 მუხლით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, რომ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გარეშე, შიგასახელმწიფოებრივი მაღალი ინსტანციის სასამართლოების მიერ, კანონმდებლობის ფართო ინტერპრეტაციით, შესაძლებელია გონივრულ ვადაში საქმის დარღვევის პრევენციული და უკვე არსებული დარღვევის საკომპენსაციო ეფექტური მექანიზმების შექმნა.

ლევან ლატარია,
სამართლის დოქტორანტი

**საქმის განხილვის უსაფუძლო გაჭიანურებისაგან
დაცვის ეფექტური მექანიზმები**

განხილულია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის” მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული, გონივრულ ვადაში საქმის განხილვის მოთხოვნის დაცვის საშუალებების შესაბამისობის პრობლემები კონვენციის მე-13 მუხლით დადგენილ სტანდარტებთან. ამ მიზნის მისაღწევად შესწავლილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით სამართლი და ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ საქმის განხილვის უსაფუძლო გაჭიანურებისაგან დაცვის ეფექტური მექანიზმების შექმნისათვის განვლილი გზა.

Levan Lataria,
PHD student

**EFFECTIVE REMEDIES AGAINST UNREASONABLE
LENGTH OF PROCEEDINGS**

There is reviewed the compliance problems of protection means of trial within reasonable time request guaranteed under the paragraph 1 of the Article 6 of “the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms” with standards prescribed under the Article 13 of the Convention. In order to accomplish the aforementioned goal, the article studies judicial precedents of European Court of Human Rights and the way taken by some countries to create effective remedies against unreasonable length of proceedings.

Леван Латария,
докторант прав

**ЭФФЕКТИВНЫЙ МЕХАНИЗМ ЗАЩИТЫ ОТ НЕОБОСНОВАННОЙ
ВОЛОКИТЫ РАССМОТРЕНИЯ ДЕЛА**

Статья освещает вопросы соответствия гарантированных пунктом первым статьи 6 «Европейской Конвенции о защите прав человека и основных свобод» требований рассмотрения дела в разумные сроки стандартам, установленным статьей 13 Конвенции. Для достижения этой цели в статье изучены прецедентное право Европейского суда по правам человека и опыт некоторых государств в деле образования эффективных механизмов для защиты от необоснованной волокиты рассмотрения дела.

**ინტერესთა პონფლიქტის ზოგიერთი პროგლობა
შართულ საკორპორაციო სამართალში**

ინტერესთა პონფლიქტის საუბრისას ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ინტერესთა პონფლიქტის კერძო-სამართლებრივი და საჯარო-სამართლებრივი გაგება. მიუხედავად შინაარსობრივი მსგავსებისა, შედეგების თვალსაზრისით, ეს ორი ინსტიტუტი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც, უპირატესად, შედეგებზე აისახება. კერძოდ, საჯარო-სამართლებრივი გაგებით, ინტერესთა პონფლიქტის პირობების დარღვევისას, პირის პასუხისმგებლობა გამოიხატება მის მიმართ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური დონისძიებების გატარებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი გაგებით, უფრო ზუსტად, საკორპორაციო სამართლის მიზნებისთვის, ინტერესთა პონფლიქტის წესების დარღვევისთვის, პასუხისმგებლობა საწარმოს მიმართ არსებული ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების ცვლილებაში გამოიხატება.

ინტერესთა პონფლიქტის ცნება ქართული საკორპორაციო სამართლისთვის სიახლე არ არის. ეს ტერმინი მეწარმეთა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პირველ, 1994 წლის რედაქციაში იყო და მას შემდეგ, მიუხედავად კანონის ტექსტის ძირებით ცვლილებებისა, თითქმის უცვლელი შინაარსით შემორჩა, თუმცა მისი ლეგალური დღიურიცია დღემდე არ არსებობს. “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის ჩანაწერის მიხედვით, ინტერესთა პონფლიქტი ასე შეიძლება განიმარტოს: ინტერესთა პონფლიქტი არის შემთხვევა, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი, პარტნიორების თანხმობის გარეშე, უშუალოდ ახორციელებს ისეთივე ფორმის სამეწარმეო საქმიანობას, როგორსაც მისი დამსაქმებელი საწარმო ეწევა ან სხვა მსგავსი ტიპის საზოგადოებაში არის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს ან არ არსებობს სათანადო წესით მიღებული ნებართვა.

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, საწარმოს ხელმძღვანელ პირთა შეზღუდვა აბსოლუტური ხასიათის არ არის. მაგალითად, სააქციო საზოგადოებაში ერთგულების მოვალეობის ერთ-ერთი გამოხატულება კონკურენციის აკრძალვა, მაგრამ “კონკურენციის აპრილის გამგეობის წევრებს საერთოდ ეკრძალებათ კონკურენციის ელემენტების შემცველი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. მათ ამისთვის სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა სჭირდებათ. ამიტომ, დარღვევა ხდება მაშინ, როცა გამბობის წევრი პარალელურ სამეწარმეო საქმიანობას ეწევა კანონით გათვალისწინებული თანხმობის გარეშე”.¹

სამართლებრივად ინტერესთა პონფლიქტი ”მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტში ამგვარად არის ჩამოყალიბებული: ამ მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულ პირებს არა აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც საზოგადოება ეწევა, ან მონაწილეობა მიიღონ, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა

¹ Hefermehl/Spindler in: MunchkommAktG (2004) § 88. Rn. 8. ლ. ჭაველაშვილი. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში. თბილისი: სამართალი, 2006. გვ. 337.

პარტნიორმა ან დირექტორმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (ინტერესთა კონფლიქტი).

სამართლის სუბიექტი, ვისაც საწარმოს მიმართ აკისრია ერთგულების მოვალეობა (ერთგულების მოვალეობა ფართო ცნებაა და მოიცავს ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევასაც) და შეიძლება აღმოჩნდეს ინტერესთა კონფლიქტის წესების დამრღვევი, არის საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი. სიმარტივისთვის ასეთ პირს ინტერესთა კონფლიქტის სუბიექტი ვუწოდოთ. ასეთი სუბიექტების წრე განსაზღვრულია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით. საწარმოს ხელმძღვანელობის უფლება აქვთ: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – ყველა პარტნიორს, კომანდიტურ საზოგადოებაში – სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს), კომპლემენტარი იურიდიული პირის შემთხვევაში – მის მიერ დანიშნულ ფიზიკურ პირს; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივში – დირექტორებს, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

როგორც ვხედავთ, ინტერესთა კონფლიქტის სუბიექტი შეიძლება აღმოჩნდეს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. როდესაც ინტერესთა კონფლიქტის წესების დამრღვევი ფიზიკური პირია, პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრა მარტივია და თუ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება იურიდიული პირი, საკითხი მეტ-ნაკლებად რთულდება.

კომანდიტურ საზოგადოებაში კანონმდებელმა გაითვალისწინა, რომ ინტერესთა კონფლიქტის სუბიექტი შეიძლება აღმოჩნდეს იურიდიული პირი და ამ უგანასკნელის მიერ დანიშნულ ფიზიკურ პირს დააკისრა პასუხისმგებლობა, მაგრამ ქართული კანონმდებლობა უშვებს კიდევ ერთ შემთხვევას, როდესაც იურიდიული პირი შეიძლება აღმოჩნდეს ინტერესთა კონფლიქტის წესების დამრღვევი.

2008 წლის 14 მარტის საკანონმდებლო ცელილებების შედეგად სას-ს პარტნიორთა წრე გაფართოვდა და ”მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: სოლიდარული პასუხისმგებლობის არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელშოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. კანონი აღარ აწესებს იმპერატიულ მოთხოვნას, რომ სას-ს პარტნიორი აუცილებლად უნდა იყოს ფიზიკური პირი. საკორპორაციო სამართალში, როგორც კერძო სამართლის ნაწილში, მოქმედებს პრინციპი – ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით აკრძალული არ არის. აქვთ გამომდინარე, რადგან არ არსებობს პირდაპირი შეზღუდვა, სას-ს პარტნიორი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. ამგვარი მიღორმა საკანონმდებლო ინფაცია ნამდვილად არ არის და სხვა ქვეყნებში შესაძლებელია მეტ-ნაკლებად მსგავსი ანალოგების მოძებნა. მაგალითად, “სრული ამხანაგობის წევრი პარტნიორი რუსეთში, შვედეთში, გერმანიასა და საფრანგეთში შეიძლება იურიდიული პირი იყოს”,¹ მაგრამ, “საქართველოსგან განსხვავებით, გერმანიის, შვეიცარიის და საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობით სას იურიდიული პირი არ

¹ Swedish Law, a survey, stokholm 1994 P. 291-292. Kubler Friedrich, Gesellschaftsrecht, Heidelberg, 1990 S 65-66. ქოქრაშვილი. სამეწარმეო სამართალი. ობილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2005, გვ. 228.

არის”.¹ ცალკე განხილვის საკითხია, რამდენად შექსაბამება პარტნიორთა წრის ამგვარი გაფართოება თავად სპ-ს ბუნებას, რადგან ის ტრადიციულად ფიზიკურ პირთა გაერთიანებას წარმოადგენს, მაგრამ ეს საკითხი განსახილველი თემის ფარგლებს სცილდება და უმჯობესია ახლა არ განვიხილოთ.

პასუხისმგებლობის წესის ცალკეული პრობლემების განხილვის დაწყებამდე აუცილებელია აღინიშნოს, რომ ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ფაქტი თავისოთავად არ არის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირისთვის რაიმე ფინანსური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. ეს გასაგებიცაა, რადგან კერძო სამართალი პრევენციულ სანქციებს არ ითვალისწინებს და შეუძლებელია, პირს დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა, სანამ არ დადგება ზიანი და ის არ იქნება განსაზღვრული ან განსაზღვრადი მაინც. კანონმდებლის ამგვარი ლოიალური დამოკიდებულება არ ნიშნავს, რომ ინტერესთა კონფლიქტის სუბიექტის მიმართ საზოგადოების პარტნიორებს არ შეუძლიათ რაიმე ლონისძიების გატარება.

პრაქტიკაში კველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული და ქმედითი დონისძიება, რაც შეიძლება განხორციელდეს ინტერესთა კონფლიქტის წესების დამრღვევის მიმართ, არის მისთვის ერთგულების მოვალეობასთან შეუთავსებელი საქმიანობის შეწყვეტის მოთხოვნა. კანონმდებლი ზუსტად არ განსაზღვრავს, ვინ შეიძლება მოითხოვოს ეს საზოგადოების სახელით ან როგორ უნდა მოხდეს მოთხოვნის უფლების განხორციელება. ”შეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს პირთა წრეს, ვისაც შეუძლია ინტერესთა კონფლიქტის სუბიექტისთვის ერთგულების მოვალეობასთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელების უფლების მიცემა. სამართლებრივად სწორი და ლოგიკურიც იქნება, ამავე პირებს პერნები ინტერესთა კონფლიქტის სუბიექტისთვის ერთგულების მოვალეობასთან შეუთავსებელი საქმიანობის შეწყვეტის მოთხოვნის უფლებაც. საქმიანობის შეწყვეტის მოთხოვნის პროცედურა არ არის კანონით განსაზღვრული, ეს საკითხი შეიძლება დამატებით მოწესრიგდეს საზოგადოების წესდებით ან, თუ წესდებითაც არ არის განსაზღვრული, უნდა მოხდეს აშკარა ფორმით, სასურველია წერილობითი ფორმით, ან თუ საერთო კრებაზე ხდება საქმიანობის შეწყვეტის მოთხოვნა, უნდა დაფიქსირდეს კრების ოქმი და საქმიანობის შეწყვეტისთვის მიეცეს ვადა.

დირექტორის მიერ ერთგულების მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში მის დანიშნულებაზე უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია, საწარმოს ინტერესებითან შეუთავსებლობის მოტივით, ”შეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესით, საზოგადოების წესდების და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, მოახდინოს დირექტორისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა.

საწარმოს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს, ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევის შედეგად, მატერიალური პასუხისმგებლობა მხოლოდ კანონით განსაზღვრული წინაპირობის არსებობის შემთხვევაში ეკისრება. ”შეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, თუ ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისას საზოგადოებას მიადგა ზიანი, დამრღვევი ვალდებულია დათმოს ამ საზოგადოებიდან გასამრჯელოს მიღების უფლება და ზიანი აანაზღაუროს.

¹ ქ. ქოქრაშვილი. სამეწარმეო სამართალი. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2005, გვ. 227.

მოთხოვნის უფლების დათმობის ასპექტში ნორმა ერთნაირად მოქმედებს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირის მიმართ. სპს-ს შემთხვევაშიც მარტივადაა, თუ სპს-ს პარტნიორი იურიდიული პირია, ის უარს ამბობს მოგებიდან წილზე. გაცილებით უფრო პრობლემატურია ზიანის ანაზღაურების საკითხი. ინტერესთა კონფლიქტის სუბიექტის ვალდებულება, აანაზღაუროს საწარმოსთვის მიენებული ზიანი, გულისხმობს, რომ სუბიექტმა სოლიდარული წესით უნდა აგოს პასუხი და აანაზღაუროს ზიანი სრული მოცულობით. ამან შეიძლება გამოიწვიოს პრობლემა იმ შემთხვევაში, თუ ინტერესთა კონფლიქტის სუბიექტი არის კაპიტალური ტიპის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რადგან “კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა პასუხისმგებლობა შეზღუდული ფორმითაა წარმოდგენილი, უფრო ზუსტად საზოგადოება კრედიტორთა და მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებელია მთელი თავისი ქონებით, ხოლო პარტნიორთა პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ შენატანით საწესდებო კაპიტალში”.¹ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი არის საწარმოს პარტნიორების დაცვის ერთგვარი მქანიზმი და გულისხმობს, რომ საწარმოს ვალდებულებისათვის პარტნიორებმა პერსონალურად არ უნდა აგონ პასუხი.

შეიძლება შეიქმნას ერთგვარი სამართლებრივი ჩიხი, რადგან, ერთი მხრივ, არსებობს სპს, რომელსაც ერთგულების მოვალეობის დარღვევის შედეგად მიადგა ზიანი, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს შპს, რომლის პასუხისმგებლობის ფარგლები შეზღუდულია. თუ შეზღუდულ ფარგლებში მოხდება ზიანის ანაზღაურება, საკმაოდ მაღალია იმის ალბათობა, რომ სპს აღმოჩნდეს დაზარალებული, რადგან სრულად ვერ დაიქმაყოფილებს მოთხოვნის უფლებას და საფრთხე შეექმნება მის კონკურენტუნარიანობას ან, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, აღმოჩნდება ვალაუვალობის მდგომარებაში. თუ შპს-ს ქონება არ აღმოჩნდება საკმარისი ზიანის ასანაზღაურებლად და პარტნიორებზე გადავა ეს ვალდებულება, მაშინ წინააღმდეგობაში მოვდივართ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ინსტიტუტოან და კანონის მოთხოვნები დაირღვევა.

გამოსავლის ძიებისას თეორიულად შესაძლოა რამდენიმე გზა გამოიკვეთოს, თუმცა მათ შორის ყველაზე ოპტიმალურის შერჩევა ისე, რომ არ დაირღვეს კანონის მოთხოვნა და ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევის შედეგად დაზარალებული საწარმოს ინტერესების დაცვაც მოხერხდეს ადგილი არ არის.

კანონის ანალოგიაზე დაყრდნობით, შეიძლება ვიმსჯელოთ კომანდიტური საზოგადოების მიმართ მოქმედი წესების გავრცელების შესაძლებლობაზე. თუ გამოვალოთ იმ საწყისიდან, რომ ერთგულების მოვალეობის დამრღვევი, შპს-ს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი დირექტორია და მას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არ უნდა დაეჭვა, რომ მისი საწარმო აღმოჩენილიყო ინტერესთა კონფლიქტის სუბიექტის მდგომარეობაში, შეიძლება ვიმსჯელოთ მისი პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხზეც. ამ მოსაზრებაში არის გარკვეული ლოგიკა, მაგრამ, კომანდიტური საზოგადოებისგან განსხვავებით, შპს-ში, თუ ის სპს-ს პარტნიორია, ვერ მოხდება საწარმოს ვალდებულების დირექტორზე გადაკისრება, რადგან კომანდიტისგან განსხვავებით დირექტორი არ არის საწარმოს ვალდებულებებისთვის პერსონალურად პასუხისმგებელი პირი, თანაც კომანდიტური საზოგადოება სულ სხვა ტიპის საწარმოა, განსხვავებული სამართლებრივი ბუნებით და იურიდიული თვალსაზრისით არ იქნება სწორი ამ თრი შემთხვევის გაიგივება.

¹ ქ. ქოქრაშვილი. სამეწარმეო სამართალი. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2001, გვ. 131.

მეორე ალტერნატივა, რომელიც ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევის შედეგად დაზარალებული სპს-ს ინტერესების დაცვის საშუალებას იძლევა, ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: მიუენებული ზიანის და შპს-ს ქონების რაოდენობის შესაბამისად უნდა მოხდეს პასუხისმგებლობის ფარგლების განაწილება თავად შპს-ს და მის პარტნიორებს შორის. შპს-მ სრულად, მაგრამ თავისი კაპიტალის ფარგლებში, უნდა აგოს პასუხისმგებლობა გადანაწილდება პარტნიორებს შორის. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს მოდელი კიდევ უფრო მეტ ხარვეზს შეიცავს, ვიდრე წინა: უპირველეს ყოვლისა, ეს ეწინააღმდეგება თავად შპს-ს და, ზოგადად, შეზღუდული პასუხისმგებლობის არსეს, რადგან მთავარი პრინციპის, კაპიტალის ფარგლებში საწარმოს პასუხისმგებლობის წესის დარღვევას იწვევს. მეორე არის ის, რომ სპს-ს ინტერესების დასაცავად ხდება შპს-ს პარტნიორთა ინტერესების დარღვევა. არც სამართლის და არც სამართლიანობის თვალსაზრისით იქნება სწორი, პარტნიორმა, რომელიც შეიძლება საერთოდ არც იყოს ჩართული საწარმოს საქმიანობაში, მთელი თავისი ქონებით აგოს პასუხი ზიანისთვის, რომელიც მის უშუალო მოქმედებას არ გამოუწვევია.

უკელაზე ოპტიმალური გადაწყვეტის გზა შედარებით შუალედური მიდგომაა, რომლის შედეგადაც შეძლებისდაგვარად მოხდება ინტერესთა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული სპს-ის ინტერესების დაცვა ისე, რომ წინააღმდეგობაში არ მოვიდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის ინსტიტუტთან. შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ასეთი შედეგის მისაღწევად ერთადერთი გზა არის კანონის შემდეგნაირი განმარტება: თუ ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევის შედეგად ზიანი მიადგა სპს-ს და დამრღვევი პარტნიორი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის იურიდიული პირი, ამ უკანასკნელმა მიუენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს, როგორც სოლიდარულმა მოვალემ, ოღონდ მხოლოდ თავისი კაპიტალის ფარგლებში. ცხადია, არც ამგვარი გადაწყვეტა იძლევა იმის გარანტიას, რომ სპს-ს ინტერესები სრულად იქნება დაცული და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ვერ მოახერხებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენებას. ამ ეტაპზე სამართლებრივად უფრო სწორი გადაწყვეტის გზას ვერ ვხედავ და კანონმდებელიც ასეთივე მიდგომით მოქმედებდა, როდესაც მოხდა სპს-ს პარტნიორთა წრის გაფართოება.

დასკვნა. ცალსახად იმაზე მსჯელობა, რამდენად სწორი ან არასწორია ამგვარი საკანონმდებლო ცვლილება, ამ ეტაპზე ძალიან როგორია. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ტიპის საზოგადოებები არსებობს როგორც კონტინენტური ეკონომიკის, ისე ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში, საქართველოსთვის ეს სიახლეა და როგორია მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება. ამავე საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცვლილება გაამართლებს, მაგრამ საკითხის ჩიხში მოქცევის თავიდან ასაცილებლად სასურველია, კანონმდებელმა თავად მოახდინოს დაზუსტება, როგორ უნდა გადანაწილდეს პასუხისმგებლობის ტვირთი ნაშრომში განხილულ შემთხვევაში ან ჩამოყალიბებს სასამართლო პრაქტიკა, რომელიც დაამკვიდრებს ნორმის ერთგვაროვან განმარტებას.

გოგა კიკილაშვილი,
სამართლის მაგისტრი

**ინტერესთა კონფლიქტის ზოგიერთი პრობლემა
ჩართულ საკორპორაციო სამართალში**

ნაშრომი შექება საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს – ინტერესთა კონფლიქტს და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ პრობლემებს. განხილულია ინტერესთა კონფლიქტი, ვინ შეიძლება აღმოჩნდეს ინტერესთა კონფლიქტის წესების დამრღვევი და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს, როგორ უნდა მოხდეს ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევის შედეგად მიუკეთდეს ზიანის ანაზღაურება იურიდიული პირის სტატუსის მქონე სუბიექტის მიერ.

Goga Kikilashvili,
master of law

**SAME PROBLEMS OF CONFLICT OF INTERESTS
IN GEORGIAN LAW OF CORPORATE**

The presented work is about one of important issues of Corporate Law – about conflict of interest and some legal problems regarding to it.

There is discussed situation of conflict of interests means, who can be a violator of rules of conflict of interests and what kind of legal effect it may have.

There is also discussed the rules of remedy by legal person in case of violating rules of conflict of interests caused, damage.

Гога Кикилашвили,
магистр права

**НЕСКОЛЬКО ПРОБЛЕМ КОНФЛИКТА ИНТЕРЕСОВ
В ГРУЗИНСКОМ КОРПОРАТИВНОМ ПРАВЕ**

Представленная работа касается одного из важных вопросов корпоративного права – конфликта интересов и некоторых правовых проблем, связанных с ним.

Автор делает краткий обзор ситуации конфликта интересов. Он также обсуждает, кто может являться нарушителем правил при конфликте интересов, и какие правовые последствия это может иметь.

В работе также обсуждены правила возмещения ущерба от юридического лица в случае, если нарушение правил конфликта интересов стало причиной убытков.

**საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები
სამოქალაქო სამართლის პროცესში საქართველოსა და
საზღვარგარეთის მგებელის საპროცესო სამართლის მიხედვით**

ეფექტური მართლმსაჯულება თავისუფალი საზოგადოების არსებობის საწინდარია.¹ 1997 წლის 14 ნოემბერს მიღებულმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა, რომელიც 1999 წლის 15 მაისიდან ამოქმედდა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უამრავი დიდი თუ მცირე მასშტაბის ცელილება განიცადა, რაც უპირველესად შექმნას სსსკ-ს მეცხრე კარს, კერძოდ, XLVIII თავს, სადაც კასაციის დასაშვებობაზეა საუბარი.²

წინამდებარე სტატიის მიზანია სწორედ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობის ცნობა მკითხველისთვის და, შედარებითი ანალიზის საფუძველზე, გარკვეული თავისებურებების წარმოჩენა სამოქალაქო პროცესში ქართული და უცხოური (ლატვიური, უკრაინული, რუსული, გერმანული) კანონმდებლობის მაგალითზე.

სიტყვა “კასაცია” ლათინური სიტყვაა და ანულირებას, ლიკვიდაციას ნიშნავს. განსახილველი ქვეყნების უმრავლესობა სამოქალაქო სამართლის პროცესში სწორედ ამ ცნებით გამოხატავს გასაჩივრების უმაღლეს ფორმას, თუმცა სსკ-ში სიტყვა “კასაციის” ნაცვლად იყენებს “რევიზიის” “ცნებას, რაც გადახედვას, გადასინჯვას ნიშნავს.

“საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის³ თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საკასაციო წარმოებას უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის სასამართლო – უზენაესი სასამართლო ახორციელებს, რაც იდენტურია განსახილველი ქვეყნების უმაღლესი ინსტანციის სასამართლოების სახელწოდებებთან. კერძოდ, რუსეთის სასამართლოს სისტემაში საბოლოო ინსტანცია ითარგმნება, როგორც ვერховный Суд РФ,⁴ ლატვიაში – Augstākajā tiesa,⁵ უკრაინაში – Верховний Суд України⁶, გერმანიაში კი – Der Bundesgerichtshof.⁷ მართალია, მოცემული ქვეყნების უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებს არაერთგვაროვანი მიღებოდა აქვთ საკასაციო საჩივრის მოთხოვნებთან დაკავშირებით, მაგრამ ერთი რამ კი უდავოა, რომ ამ მოთხოვნების დაუცველობა იწვევს სერიოზული კასატორისთვის მეტად არახელსაყრელ შედეგებს, რაც საბოლოოდ საკასაციო საჩივრის მიღებაზე (დაშვებაზე) უარის თქმას ან საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას გულისხმობს.⁸ აღნიშნულს თითოეული ქვეყნის საკასაციო წარმოების განხილვა დაგვანახებს.

¹ გ. ცერცეაძე. მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა). თბილისი: მერიდიანი, 2010. გვ. 11.

² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. 1997წ. 14 ნოემბერი.

³ საქართველოს ორგანული კანონი ”საერთო სასამართლოების შესახებ”.

⁴ <http://www.supcourt.ru/mainpage.php>- რუსეთის უზენაესი სასამართლო, ბოლო ნახვა (15/08/2011).

⁵ <http://www.at.gov.lv> - ლატვიის უზენაესი სასამართლო, ბოლო ნახვა (15/08/2011).

⁶ <http://www.scourt.gov.ua> - უკრაინის უზენაესი სასამართლო, ბოლო ნახვა (15/08/2011).

⁷ <http://www.bundesgerichtshof.de>- გერმანიის უზენაესი სასამართლო, ბოლო ნახვა (15/08/2011).

⁸ ვ. ხრუსტალი. კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. დისერტაცია. თბილისი, 2004 გვ. 52.

ლატვიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად,¹ საკასაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მხარეებს, ხოლო პროკურორს – საკასაციო პროტესტი შეუძლიათ შეიტანონ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. თუ საკასაციო საჩივარი შეტანილ იქნა უშუალოდ უზენაეს სასამართლოში იმ პერიოდის დაცვით, რაც გათვალისწინებულია საკასაციო საჩივრის შეტანისთვის, დრო მიიღება მხედველობაში.²

წერილობითი სახის საკასაციო საჩივრის ფორმა გარკვეულ წინაპირობებთან არის დაკავშირებული. უპირველესად, ის უნდა შეიცავდეს იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზეც შედგენილია საჩივარი (უზენაეს სასამართლოს სენატი, სამოქალაქო საქმეთა დეპარტამენტი), აგრეთვე იმ პირის სახელს, გვარს, პირადობის ნომერს და მისამართს, რომელსაც შეაქვს საკასაციო საჩივარი და იურიდიული პირის არსებობის შემთხვევაში –სახელწოდებას, რეგისტრაციის ნომერს და იურიდიულ მისამართს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება და მითითება ამ გადაწყვეტილების დამდგენ სასამართლოზე ერთ-ერთი აუცილებელი რეკვიზიტია საკასაციო საჩივრისთვის. ასევე უურადღება ექცევა, რა მოცულობით დაირღვა ფაქტობრივი ან საპროცესო ნორმები და სასამართლო რა ზომით გასცდა თავის კომპეტენციას.³

აღნიშნული რეკვიზიტების გათვალისწინებით, საკასაციო საჩივარი წარდგენილი უნდა იქნეს სასამართლოში ხელმოწერილი და იმდენი ასლის დართვით, რამდენი მონაწილეცაა საქმეში.⁴ საკასაციო საჩივარზე ხელის მომწერნი, უპირველესად, არიან ის პირები ან წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობენ საქმის განხილვაში. იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივარი წარმომადგენლის მიერ არის შეტანილი, აუცილებელია დაერთოს მინდობილობა ან სხვა უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც ასაბუთებს მის კანონიერ წარმომადგენლობას. საკასაციო პროტესტთან დაკავშირებით ერთგვარად გასხვავებული მიდგომაა ლატვიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში. ხელის მოწერა საკასაციო პროტესტზე წარმოებს პროკურატურის ორგანოს წარმომადგენლის – პროკურორის მიერ, რაც ცალკე კანონით რეგულირდება.⁵ იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივარი წარდგენილი იქნება არაუფლებამოსილი პირის მიერ, სასამართლო უარს ეტყვის მას საჩივრის მიღებაზე და მხარეს დაუბრუნდება საქმეში არსებული გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, რაც არსებული მდგომარეობით 200 ლატს (lat) შეადგენს.

ლატვიაში საკასაციო წესით გასაჩივრების ვადა 30 დღეა, რომელიც იმ დღიდან აითვლება, როცა მხარეს გამოიცხადა გადაწყვეტილება, მაგრამ, თუ საკასაციო საჩივარი თანდართული დოკუმენტებით მხარეს გაეგზავნა ფოსტის მეშვეობით, 30-დღიანი ვადა აითვლება მხარისათვის დოკუმენტების ჩაბარების დღიდან. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, გასაჩივრების ვადა აითვლება სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

¹ ლატვიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წ. 14 ოქტომბერი.

² ლატვიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 456.

³ ლატვიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 453 პირველი პუნქტი.

⁴ ლატვიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 457.

⁵ ლატვიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 453, მე-2 პუნქტი.

საკასაციო საჩივარი წარდგენილი კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო უარს იტყვის საკასაციო საჩივრის განხილვაზე და მხარეს სახელმწიფო ბაჟთან ერთად უკან დაუბრუნდება. ამასთან, თუ მხარე უკან გამოიხმობს საკასაციო საჩივარს, საკასაციო სასამართლოს განხილვის დაწყებამდე საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოება წყდება.

განსხვავებულად რეგულირდება საკასაციო საჩივრის შეტანის წესები უკრაინის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად.¹ უკრაინის სსკ 324-ე მუხლის თანახმად, მხარეებს, საქმეში მონაწილე სხვა პირებს და იმ პირებს, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საქმეში, მაგრამ სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მათი უფლების, თვისუფლების ან ვალდებულების შესახებ, უფლება აქვთ გაასაჩივრონ საკასაციო წესით:

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც უკვე განხილული იქნა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები;
2. პირველი ინსტანციის მიერ დაყენებული საკითხები, რაც გამომდინარეობს ამავე კოდექსის 293-ე მუხლიდან, მას შემდეგ, რაც ის განიხილება სააპელაციო ინსტანციაში.

საკასაციო საჩივრის შეტანის არსებითი მიზეზია სასამართლოს მიერ მატერიალური და საპროცესო უფლებების დარღვევა. უკრაინის საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა 2 თვეა მას შემდეგ, რაც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში.² აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ, მხარის შუამდგომლობის დაყენებისას, შესაძლებელია დროის ადგგენა, თუ მიზეზი საპატიო იყო. იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ დაყენებს საკითხს დროის ადგგენის შესახებ და ამასთან ვადის გაგრძელებაზე უარი ეთქვა საქმეში მონაწილე პირს, მომხსენებელი მოსამართლის დასაბუთებული განჩინების საფუძველზე³ საკასაციო საჩივარი უკან დაუბრუნდება.

უკრაინის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, საკასაციო საჩივარი სავალდებულო შედგენილი იყოს წერილობით ფორმით და შეიცავდეს ინფორმაციას:⁴ სასამართლოს შესახებ, რომელშიც შეიტანება საჩივარი; პირის სახელს (სახელწოდებას), ვინც მონაწილეობს საქმეში საცხოვრებლის ან ადგილსამყოფლის მითითებით; გადაწყვეტილების (განჩინების) ზუსტ დასახელებას; მითითებას სასამართლოს მიერ საპროცესო და მატერიალური ნორმების დარღვევის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო საკასაციო საჩივარს და ასევე წერილობითი დოკუმენტების ზუსტ ნუსხას, რომელიც საჩივარს ერთვის.

მოცემული მოთხოვნების გათვალისწინებით, საკასაციო საჩივარი საბოლოოდ ხელმოწერილი პირის ან წარმომადგენლის მიერ ბარღება სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივარი შეტანილია წარმომადგენელს მიერ, საქმეში დართული უნდა იყოს მინდობილობა ან სხვა რაიმე დოკუმენტი, რაც დაადასტურებს მის წარმომადგენლობას განსახილველ საქმეში. ამ დოკუმენტებს ასევე ერთვის საკასაციო საჩივრის, პირველი ინს-

¹ უკრაინის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. 2004წ. 18 მარტი.

² უკრაინის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 325, პუნქტი 1.

³ Тертишніков В. І. Т: Цивільний процесуальний кодекс України: Науково-практичний коментар - Харків: Видавець СПД ФО Вапнярчук Н.М., 2007, с 365.

⁴ უკრაინის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 326 მუხლი.

ტანციის და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების იმდენი ასლი, რამდენი მხარეც არის საქმეში.

უკრაინის საკასაციო ინსტანციის სასამართლოში შეტანილი საჩივარი რეგისტრირდება და განსახილველად გადაეცემა მომხსენებელ მოსამართლეს, რომელიც განიხილავს დასაშვებობის პირობებს და მის შესაბამისობას უკრაინის სსკ 326-ე მუხლითან.¹ იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივარი არ შეესაბამება დადგენილ ფორმას ან არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ან არ არის საინფორმაციო-ტექნიკური დათვალიერებისათვის გაწეული ხარჯები, მომხსენებელ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება საკასაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.²

რუსთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის³ თანახმად, საკასაციო წარმოების დაწყების საფუძველია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების დადგენა, სასამართლო შეცდომების გამოსწორება და სასამართლო პრაქტიკის ხელმძღვანელობა.

საკასაციო საჩივრის ობიექტად მიჩნეულია პირველი ინსტანციის სასამართლოს ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილებები, ასევე ამავე ინსტანციის მიერ გამოტანილი დამატებითი გადაწყვეტილებები, რომლებიც არ წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას. რუსთის სსკ საკასაციო საჩივრის შეტანის უფლებას ანიჭებს მხარეებს, მესამე პირებს, პროკურორს, განმცხადებლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს, რომლებიც სასამართლოს მიმართავენ თავის უფლების ან თავისუფლების დასაცავად. დასახელებულ პირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემათ საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება, თუ სასამართლო ნებას დართავს, მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდნენ თუ არა ისინი პირველი ინსტანციის მიერ საქმის განხილვაში.

იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივარი შეტანილ იქნა წარმომადგენლის მიერ (მშობლების, მშვიდებლების ან სხვა პირების მიერ, რომელთა უფლებები გაწერილია ფედერალური კანონით), მაშინ საჭიროა წარმოდგენილ იქნეს წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.⁴ წარმომადგენლებს შეუძლიათ, წარმომდგენის სახელით განახორციელონ ყველა საპროცესო მოქმედება და ასევე დამოუკიდებლად, სპეციალური ნებართვის გარეშე, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები.

სამოქალაქო პროცესში პროკურორის მონაწილეობა შესაძლებელია ორი გარემოების დროს: პირველი, როცა მიხი ქმედება ეხება სხვა პირის უფლების, თავისუფლების და კანონიერი ინტერესების დაცვას და მეორე, როდესაც პროცესში ჩართვა განპირობებულია დასკვნის მისაცემად, სხვა ფედერალური კანონებით გათვალისწინებული კატეგორიის საჭმებზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილება გასაჩივრდება საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საერთო წესების შესაბამისად. მხოლოდ

¹ უკრაინის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 327.

² Тертишніков В. І. Т: Цивільний процесуальний кодекс України: Науково-практичний коментар. - Харків: Видавець СПД ФО Вапнярчук Н.М., 2007, с 367

³ Гражданский процессуальный кодекс Российской Федерации - 23 октября 2002 года.

⁴ რუსთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 339, პუნქტი 3.

სასამართლო გადაწყვეტილებები, გამოტანილი სამოქალაქო საქმეთა და უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ, გასაჩივრდება საკასაციო ინსტანციის სასამართლოს საკასაციო კოლეგიაში.

რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა 10 დღეა.¹ ვადის ათვლა იწყება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადების მეორე დღიდან და არა იმ დღიდან, როცა მხარეს გადაეცა ან გაეგზავნა სასამართლო გადაწყვეტილების ასლი. საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღე არის ის, როდესაც სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა გადაწყვეტილება შესავლის, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებით.

თუ გამოცხადებულ იქნა მხოლოდ სარეზოლუციო და სამოტივაციო ნაწილები, მაშინ გადაწყვეტილების გამოცხადება გადაიდება 5 დღით, ხოლო საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა აითვლება სამოტივაციო ნაწილის შედგენის მეორე დღიდან.² მოპასუხეს უფლება აქვს განცხადების შეტანის გზით გაასაჩივროს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში 7 დღის ვადაში ასლის ჩაბარების დღიდან. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მხარეების დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარეთა მიერ საკასაციო წესით 10 დღის ვადაში განცხადების შეტანის ვადის გასვლის შემდეგ.³

დადგენილია გასაჩივრების შემცირებული ვადა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საარჩევნო და რეფერენცუმთან დაკავშირებულ საქმეებზე. საკასაციო საჩივარი ამ კატეგორიის საქმესთან დაკავშირებით შეიტანება 5 დღის განმავლობაში სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან. ამ ვადის ათვლა ასევე იწყება არა სარეზოლუციო, არამედ სამოტივაციო ნაწილის გამოცხადების დღიდან.

პირი, რომელსაც შეაქვს საჩივარი, საკასაციო საჩივარში აღნიშნავს გვარს, სახელს, მამის სახელს, მისამართს, ხოლო იურიდიული პირი – მის სახელწოდებას და ადგილსამყოფელს. პროკურორი თავის წარდგინებაში მიუთითებს: საპროცესო არსეს, სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც გასაჩივრდება და პროკურატურის მისამართს, სადაც უნდა გაიგზავნოს სასამართლოს შეტყობინება. ასევე აუცილებელია, სრულყოფილად მიეთითოს იმ პირების ან წარმომადგენლების რეკვიზიტები: საფოსტო მისამართი, ფაქსი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, რომლებიც მონაწილეობენ საქმის განხილვაში. არაქონებრივ სამართლებრივ დავასთან დაკავშირებულ საკასაციო საჩივარზე გადაიხდება სახელმწიფო ბაჟის 50%. სასამართლო პროცესში მონაწილე პროკურორი საკასაციო წარდგინებაზე სახელმწიფო ბაჟს არ იხდის.

მნიშვნელოვანი თავისებურებით გამოირჩევა საკასაციო საჩივრის შეტანის წესები გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში⁴. გერმანიის საპროცესო კოდექსის

¹ რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 338.

² ЗадарчукА Е.Л.: Комментарий к Гражданскому процессуальному кодексу РФ (посттатейный) Питер Пресс, 2009, с. 557.

³ რუსეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 237 მუხლი.

⁴ Zivilprozeßordnung, Kommentar von Prof.Dr.Heinz Thomas, Prof.Dr.Hans Putso, Dr.Klaus Reichold Dr.Rainer Hüftgele: 31.,neubearbeiteten Auflage , Verlag C.H.Beck München , 2010, S 750

თანახმად, რევიზია (die Revision) გასაჩივრების განსხვავებული ფორმაა.¹ გსსკ საკასაციო საჩივრის ობიექტად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ საბოლოო, შემაჯამებელ გადაწყვეტილებას.

გერმანიის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, კასაციის დასაშვებობის საკითხს წყვეტს არა საკასაციო ინსტანციის, არამედ სააპელაციო სასამართლო, რომელიც საკუთარი ინიციატივით, მხარის მოთხოვნისა თუ შუამდგომლობის გარეშე, განსაზღვრავს დასაშვებია თუ არა საჩივარი.² იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უარს იტენის რევიზიაზე, მხარეს უფლება აქვს გერმანიის უმაღლეს ფედერალურ სასამართლოში საჩივარი შეიტანოს კასაციის დასაშვებობაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებაზე³

საკასაციო საჩივრის შემტანი პირი ვალდებულია, მიუთითოს და დაასაბუთოს საჩივრის დასაშვებობა.⁴ საჩივრის შეტანა აჩერებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას. თუ საჩივარი არ დაქმაყოფილდა, გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში, რის შესახებაც სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება, რაც ასევე შესაძლებელია იყოს დასაბუთების გარეშეც, თუ არ საჭიროებს დამატებით განმარტებას კასაციის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით.⁵ იმ შემთხვევაში, თუ დაგმაყოფილდა საჩივარი დასაშვებობაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ საჩივრის საფუძვლებზე დაწყებული წარმოება გადაიზრდება და გაგრძელდება საკასაციო წარმოებად. მხარისთვის დასაბუთებული განჩინების გადაცემის მომენტიდან იწყება წერილობით ჩამოყალიბებული საკასაციო საჩივრის წარდგენის ერთოვანი ვადის დენა.⁶

გერმანიის სამოქალაქო სამართლწარმოებაში უმნიშვნელოვანები ინსტიტუტია ნახტომისებრი კასაცია, როდესაც მხარეებს სურთ, საქმე განიხილონ და საბოლოო გადაწყვეტილებას მიაღწიონ, სააპელაციო ინსტანციის გერმანიის ავლით, უშუალოდ ფედერალურ სასამართლოში, სადაც პრიორიტეტად დასახელებულია ორი გარემოება, კერძოდ: 1) განსახილველი დავის პრინციპული მნიშვნელობა და 2) სარევიზიო სასამართლოს გადაწყვეტილების აუცილებლობა სამართლის სრულყოფისთვის ან მართლმსაჯულების ერთიანობის უზრუნველყოფისთვის.⁷

მიმოვიხილვთ რა საზღვარგარეთის ქვეყნების საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები, საინტერესოა ასევე საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის გაცნობაც.

¹ Елисеев Н.Г.: Краткий комментарий к Гражданскому процессуальному уложению Германии. - Система ГАРАНТ, 2006, с

² კ. ყიფიანი. საკასაციო წარმოების დაწყების საფუძვლები სამოქალაქო სამართლის პროცესში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით. საქართველოს უზენაესი სასამართლო. მართლმსაჯულება, №2 2007, გვ. 183.

³ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, §544, პუნქტი 1.

⁴ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, §543, პუნქტი 2.

⁵ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, §544, პუნქტი 4.

⁶ კ. ყიფიანი. საკასაციო წარმოების დაწყების საფუძვლები სამოქალაქო სამართლის პროცესში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით. საქართველოს უზენაესი სასამართლო. მართლმსაჯულება, №2 2007, გვ. 184.

⁷ Гражданскому процессуальному уложению Германии.(2006) - Москва §566.

სსსკ-ს მიხედვით, საკასაციო საჩივარი უნდა შედგეს წერილობითი ფორმით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით¹ და შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.² 391-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხარეებს, ე.ი მოსარჩელებს, მოპასუხებებს, მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, უფლებამონაცვლებებს, თანამონაწილეებს და პირებს, რომლებიც არ ფიგურირებენ საქმეში, როგორც მხარეები, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა მათი უფლებები და მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ.³

სსსკ ერთმანეთისგან მიჯნავს დასაშვებობის ფორმალური და ფაქტობრივი წანამდვრების არსებობის შემოწმების ტეაპებს, რაც ზეპირი მოსმენის განხილვის გარეშე განიხილება მოსამართლის მიერ, სადაც მოწმდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე და 397-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები, რაც უშუალოდ შეეხება საკასაციო საჩივრის შინაარსს და შეტანის ერთოვანა ვადას. იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს 396-ე მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ იქნება გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას, რომლის ათვლა დაიწყება განხინების გადაცემის მომდევნო დღიდან. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, ერთ-ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ⁴ საკასაციო საჩივარი განუხილველი დატოვა, რადგან კასატორმა არ შეავსო ხარვეზი დადგვნილ ვადაში და სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხადა.

საინტერესო მიდგომა აქს უზენაეს სასამართლოს საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეტყო პუნქტის შესაბამისად საკასაციო საჩივარი ქონებრივ და არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ:

- ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;
- ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან;
- გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;
- დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განხინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული კრიტერიუმებს არ აქმაყოფილებს, საკასაციო საჩივარი სასამართლოს მიერ განუხილველი დარჩება. 2011 წლს 6 ივნისს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განხინება №ას-662-623-2011 საქმის განუხილველად დატოვების შესახებ, რადგან კასატორების მიერ წარდგენილი საჩივარი არც ერთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს არ პასუხიდა.

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 177, პუნქტი 2.

² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მუხლი 395.

³ ო. ლილუაშვილი, ვ. ხრუშტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომიტეტი, გორე გამოცემა. თბილისი: სამართალი, 2007 წ. გვ. 36-74.

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 3 ივნისის 2011 წლის განხინება. საქმე №ას-586-554-2011.

ცხადია, დღეს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იცნობს “რევიზიის” ცნებას და “პროკურორის ინსტიტუტის” სამოქალაქო საქმეთა წარმოებისას, მაგრამ გასულ საუკუნეში საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში რევიზიის ცნება და ოღნიშნული ინსტიტუტი ფართოდ გამოიყენებოდა.¹

ამავე კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად, საქმეში მონაწილე პირს სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეეძლო შეეტანა საკასაციო საჩივარი, ხოლო პროკურატურის ორგანოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში – საკასაციო პროტესტი, 15 დღის ვადაში გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან, რასაც უნდა დართოდა ასლის იმდენი რაოდენობა, რამდენი მონაწილეც იყო მოწინააღმდეგე მხარეს. უზენაესი სასამართლოს ის გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე, რაც გამოტანილი იყო პირველი ინსტაციის სასამართლოს სახით, არ საჩივრდებოდა საკასაციო-სარევიზიო წესით.²

დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ იზიარებს საბჭოთა რევიზიის პერიოდში მოქმედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებს, ერთი რამ კი უდავოა, განხილული ქვეყნების საპროცესო კოდექსებში ჩამოყალიბებული მკაცრად გაწერილი მოთხოვნების დაუცველობა არასასურველ მდგომარეობაში აყენებს კასატორს, რაც საბოლოოდ საკასაციო საჩივრის უმოძრაოდ დატოვებას და მისთვის საჩივრის უკან დაბრუნებას გულისხმობს.

თუ გავითვალისწინებთ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის სწრაფი ტემპით განვითარებას, ყოველივე ეს უზრუნველყოფს “კასაციის ინსტიტუტის” უფრო დახვეწას და განვითარებას, საკასაციო საჩივრის შეტანის გზით საკუთარი უფლებების, თავისუფლებების დაცვას.

სამოქალაქო პროცესის მეცნიერებაც ხომ იმას ისახავს მიზნად, რომ გამოარკვიოს ის საერთო პრინციპები, რომლებზედაც შეიძლება საუკეთესოდ მოეწყოს მართლმსაჯულება, გააშუქოს კანონმდებლობის სახელმძღვანელო იდეა, გამონახოს სასამართლოს წარმოების მრავალი სხვადასხვა ფორმისა და წესის მთლიანობა თუ ერთიანობა და დაქმაროს სასამართლო პრაქტიკას.³

¹ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი 1956 წლის 1 მაისის მდგომარეობით, თბილისი: სახელგამი. გვ. 101.

² საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი 1956 წლის 1 მაისის მდგომარეობით. თბილისი: სახელგამი, მუხლი 268.

³ ს. ჯაფარიძე. სამოქალაქო პროცესი. თბილისი, იუსტიციის სახალხო კომისარიატი, 1926. გვ. 7.

ქეთევან კუხიანიძე,
სამართლის დოქტორანტი

**საგასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები
სამოქალაქო სამართლის პროცესი საქართველოსა და
საზღვარგარეთის ქვეყნების საპროცესო სამართლის მიხედვით**

სტატია ეხება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს – კასაციას. ხიტყვა “კასაცია” ლათინური ხიტყვაა და ანულირებას, ლიკვიდაციას ნიშნავს.

სტატიის მიზანია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობის მკითხველისთვის გაცნობა და, შედარებითი ანალიზის საფუძველზე, გარკვეული თავისებურების წარმოჩენა სამოქალაქო პროცესში ქართული და უცხოური (ლატგიური, უკრაინული, რუსული, გერმანული) კანონმდებლობის მაგალითზე.

განხილულია, რომ მოცემული ქვეყნების საპროცესო სამართლის ნორმებში არაერთგვაროვანი მიღებობა ფიქსირდება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის მოთხოვნებთან დაკავშირებით, მაგრამ ერთი რამ უდავოა, რომ ამ მოთხოვნების დაუცველობა იწვევს სერიოზული კასაცირისთვის მეტად არახელსაყრელ შედეგებს, რაც საბოლოოდ საკასაციო საჩივრის მიღებაზე (დაშვებაზე) უარის თქმას ან საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას გულისხმობს.

ხაზგასმულია თანამედროვე და ყოფილი საბჭოთა პერიოდის საპროცესო სამართლის მიღებობა საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, სადაც ნათლად ჩანს ის ხარვეზები, რაც დახვეწას და გამოსწორებას საჭიროებს.

Ketevan Kukhianidze,
PHD student

**PERMISSION OF PROVISIONS OF CASSATION COMPLAINTS
IN THE CIVIL PROCEDURE LAW ACCORDING TO THE PROCEDURE LAW
OF GEORGIA AND FOREIGN COUNTRIES**

The Article refers to the actual issue of the Civil Procedure Law – the Cassation institution. The word “Cassation” has its Latin origins and means abrogation or annulment.

The paper presents comparative analysis of legal documents of different countries (Georgia, Latvia, Ukraine, Russia and Germany) and it focuses on the differences to the right of submission of cassation complaints.

As it has been demonstrated in this study, the author comes to a decision , that there are some differences to the right of submitting of cassations complaints in the Civil Procedure norms, but one thing is undoubtedly, that everywhere after destroying these norms will come across certain failure causes. This will lead to the denial of appeal or leaving the cassation appeal without examine.

The paper also emphasizes the norms of Civil Procedure law in modern and Soviet times, where we can clearly see the minuses, which need to be overcome.

Кухианидзе Кетеван,
докторант права

УСЛОВИЯ ДОПУСКА КАССАЦИОННОЙ ЖАЛОБЫ В ПРОЦЕССЕ ГРАЖДАНСКОГО ПРАВА ПО ПРОЦЕССУАЛЬНОМУ ПРАВУ ГРУЗИИ И ЗАРУБЕЖНЫХ СТРАН

Статья касается одного из важнейших институтов гражданского процессуального права - кассации. Слово “кассация” латинского происхождения и означает отмену или аннулирование.

В предыдущей статье мы задались целью ознакомления читателя именно с предпосылками допустимости кассационных жалоб, и на основе сравнительного анализа представили определённые особенности на примере грузинского, латвийского, украинского, русского и немецкого законодательств.

По мнению автора, нормы процессуального права данных стран фиксируют неоднозначный подход, относящийся к требованиям допустимости кассационных жалоб. Но одно бесспорно-несоблюдение этих требований для кассатора вызывает более неблагоприятные последствия, которые, наконец, означают отказ в приёме (допустимости) кассационной жалобы или оставление её без рассмотрения.

Статья также подчёркивает подходы процессуального права современного и советского периодов, касающиеся допустимости кассационной жалобы, где ясно видны пробелы, которые требуют формулирования и исправления.

ՀԵՐՏԾՈՆԱԼՇՐՈ ԹՐԵԱՑԵՄԱՆ ՀԱՅՑՈՆ ՀԱՅՐԵՋԵՎԱԾՈՒԱ ՏԱԺԱՐԴՈՅՆՑՈ

աֆամիանու յովլեցատա դա մորուագ տագուսյովլեցատա դացու յըրուպյուլո յոնցենցուա դա ցայրու սայրուամորուսո կայբու սամոյալայու դա կոլութույր յովլեցատա յեսաեց, յըրուսածուս դա ցայրու մուլյուլո սեցածասեց ժոյշմյնքու մեցացսագ, կորագու ցեղարյեցու կամուցուցումու յովլեցատա ալուարյեց, րոցորց աֆամիանու յրու-յրու յմնոյցնելուանց դա ցյունուամյնբյուր յովլեցատա^{1,2}, րոմլու դացու տոտոյուլո սաեցլմոյցու զալուցյուլեցատա. ալուոյնյուլո յովլեցու չչարուանո դացու յնիշու մունու կո այցուցեցուու հայունամու արսեցուաց էյրունալյուրո մոնացյեցու դացու սատանագու մյեկանումո. օգուց յեսու լուցատա ուցատա սայարուացլուս դա յըրուգացմուր մորուս արսեցյուլ յետանեմյեցանու յնեցարուու մցեղարյեց կորու րյացմուսուս յեսաեց. յետանեմյեցու մյ-16 մյելու սայարուացլու զալուցյուլեցատա ակուրյեց ցանախորուցուու էյրունալյուրո մոնացյեցու դացու, 1995 վլուս 24 ռյեցումնուս յըրուգացմուր 95/46/ C դուրյեցուու ՝էյրունալյուրո մոնացյեցու դամյումացեցուս դա ցալացյեցուս յութույրո կորյեցու դացու յեսաեց” յեսածամուսաց.

Էյրունալյուրո մոնացյեցու ցանմարբյեցուսաս, յըմուրաթույլու կայունեցու յմրացլուսունամու օգյուտյեց մասասուատյեցլու ցարկացյուլո յրուուցլու կորու մունուս նոյուրմացու մոուցաց եցուսմոյը ոնյուրմացուս, րոմյեցու յութույրո կորս յկացմուրուց. էյրունալյուրո մոնացյեցու դամյումացյեց կո մոուցաց եցուսմոյը ռյերուցուս ան մատ յրուուցլու կորու, րոմյեցու եռուցուցլու էյրունալյուրո մոնացյեցանու մոյեցացագ օմուսա, ոյնեց յս ազթումաթյուրո ույ արա, մատ մորուս յեցրուցյեց, ჩավյերա, յենաեց, աֆակուրյեց ան յեցլա, մոպոցյեց, ցազրուցլու ան սեցացցար ելուսունունա.³

Եյմուացնոյնյուլու ցամունունարյ, էյրունալյուրո մոնացյեցու դամյումացյեցաստան դակաց-մուրյեց սայուտյեցու յըրուպյուլո սբանդարբյեցու յեսածամուս րյեցյուլուրյեցուս դա սայուն-մուցյեց եարցեցյեցու ադմուցեցրուս մունու, ⁴ սայարուացլու պարլամյենքմա 2011 վլուս 28 դյյեցմիջու մուու կանոնո ՝էյրունալյուրո մոնացյեցու դացու յեսաեց”, րաց էրոցրյեցյուլո նաձույու էյրունալյուրո մոնացյեցու դացու սյոյրումո դա յնիշու յըրուցնելոյց սայրուամորուսո սբանդարբյեցու դամյուուրյեց յարույլ յանոնցյեցլունամու. ամաստան ցասատացալուսունունուցյեցլու, րոմ էյրունալյուրո մոնացյեցու դացու դա մուս տանամցյեց յեցցացյեց տանաձրագ յեսաեց տոտոյուլ մոյալայյեց, րոմյեցու յյեցուրագու ჩաձմյուլո սաջարու ույ յըրմու սամարտալյուրուցուու յայցեց. յեսածամուսաց, ցանոնու մոյմյեցյեցու մասմբածու սայմառ ցարուա. օգնոյնյուլո յայցիուրո յուցու յնոյցնելուանս եցու ամ յանոն.

¹ ցայրուանյեցյուլո յրյեցու որցանոնացուու յըթուլյուր 59(1), 14 դյյեցմիջու, 1946.

<http://www.un.org/documents/ga/res/1/ares1.htm>

² աֆամիանու յովլեցատա դա մորուագ տագուսյովլեցատա դացու յըրուպյուլո յոնցենցու. մյելու 10.

³ յըրուգացմուր դուրյեցու 95/46/EC.

⁴ ցանմարբյեցուու եարատու սայարուացլու յանոնու յըրույրյեց նյեցյեցու մասմբածու սայմառ ցարուա. օգնոյնյուլո յայցիուրո յուցու յնոյցնելուանս եցու ամ յանոն.

კანონის მიღებამდე საქართველოს კანონმდებლობაში, კერძოდ, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, იყო დებულებები, რომლებიც ძირითადად ვრცელდებოდა საჯარო დაწესებულებებზე. თუმცა იყო სხვა დებულებებიც სხვადასხვა სფეროს მარებულირებელ კანონდებლობაში, რომლებიც დღემდე მოქმედებს. ასეთი კანონებია: საქართველოს ორგანული კანონი “კომერციული ბანკების შესახებ”, საქართველოს კანონი “პაციენტის უფლების შესახებ”, კანონი “ზოგადი განათლების შესახებ” და სხვა, რომლებიც კერძო სექტორში არსებული მონაცემების დაცვას ისახავს მიზნად, თუმცა მათი მოქმედების არეალი შეზღუდულია და საერთო სურათზე ვერ ახდენს გავლენას.¹ შესაბამისად, საჭირო გახდა, რომ კერძო სფეროში არსებული მნიშვნელოვანი მოცულობის პერსონალური მონაცემების დამუშავება სამართლებრივად მოწესრიგებულიყო. ეს ხელს შეუწყობდა საჯარო დაწესებულებებზე დაცული პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და დაცვას, მათ შორის „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას“.²

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში მანამდეც არსებობდა პერსონალური მონაცემების ცნება³, რომელიც განიმარტებოდა, როგორც ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია და რომელიც “პირის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლეოდა”, კანონმა “პერსონალური ინფორმაციის დაცვის შესახებ” გააფართოვა ეს ცნება და მასში მოაქცია ნებისმიერი ინფორმაცია, “რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.”⁴

“ნებისმიერი ინფორმაცია” გულისხმობს ნებისმიერი ფორმით (მათ შორის ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) არსებულ, ნებისმიერი სახის ინფორმაციას, მოსაზრებას ან შეფასებას პიროვნების და მისი პირადი ცხოვრების შესახებ. “იდენტიფიცირებულში” იგულისხმება პირი, რომლის იდენტიფიკაცია შესაძლებელია პირდაპირ ან არაპირდაპირ, პირადი ნომრის ან მის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, გონებრივ, ეკონომიკურ კულტურულ ან სოციალურ ფაქტორზე მითითებით. შესაძლებელი უნდა იყოს იდენტიფიცირებადი პირის გარჩევა სხვა ინდივიდებისგან. პირდაპირი იდენტიფიკაციისთვის ხშირად საკმარისია მხოლოდ პირის სახელის და გვარის ცოდნა, ხოლო არაპირდაპირი იდენტიფიკაციისთვის პირადი, ტელეფონის, მანქანის რეგისტრაციის ნომრების და სხვა მსგავსი ინფორმაციის ცოდნა. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის მარტო სახელი და გვარი არ იძლევა იდენტიფიცირების საშუალებას და საჭიროა სხვა დამატებითი ინფორმაციის არსებობა (დაბადების თარიღი, მისამართი და ა.შ). მაგალითად, გავრცელებული და ცნობილი გვარის და სახელის მქონე პირის იდენტიფიკაცია როგორია, თუ მასზე სხვა დამატებითი მონაცემი არ არსებობს. ასევე გვხვდება გარემოებები, როდესაც პირის იდენტიფიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა სახის მონაცემთა არსებობისას, მაშინაც კი, როდესაც სახელი და გვარი არ არის ცნობილი. პირი იდენტიფიცირებადია, რომლის შესახებ არსებობს გარკვეული სახის

¹ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე “პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ”.

² საქართველოს კანონი “პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ”.

³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. მუხლი 27, “თ” ქვეპუნქტი.

⁴ საქართველოს კანონი “პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ”. მუხლი 2, “ა” ქვეპუნქტი.

მონაცემები, რომლებიც ცალკე არ იძლევა პირის იდენტიფიცირების საშუალებას, თუმცა არსებულ მონაცემებზე მცირე ინფორმაციის დამატებით შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია¹.

კანონი “პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ” ამკვიდრებს განსაკუთრებული პატეგორიის მონაცემების ცნებას, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიული ორგანიზაციის წევრობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან ან ნასამართლობასთან, ასევე ბიომეტრული მონაცემი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება ზემოაღნიშნული ნიშნებით; თუმცა ასევე სიახლეა ბიომეტრული მონაცემის ცნებაც, რომლის მიხედვით ბიომეტრული მონაცემი არის ნებისმიერი ფიზიკური, ფსიქიკური ან ქცევის მახასიათებელი, რომელიც უნიკალური და მუდმივია თითოეული ფიზიკური პირისათვის და რომლითაც შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება (თითოის ანაბეჭდები, თვალის ფერადი გარსი, თვალის ბადურის გარსი (თვალის ბადურის გამოსახულება), სახის მახასიათებლები და დწმის კოდი);

თუმცა განსაკუთრებული და ბიომეტრული მონაცემების დამუშავება დიდი სიფრთხილით უნდა მოხდეს, რადგან განსაკუთრებით მგრძნობიარე სფეროს ეხება. ზემოაღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, დაწესებულებებს შეუძლია დაამუშაოს და გასცეს პირის სქესობრივ ცხოვრებასთან, რელიგიურ და პოლიტიკურ მრწამსთან ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია მისი თანხმობის გარეშე. მსგავსი მიღგომა უწინააღმდეგება საერთაშორისო აღიარებულ პრინციპებს და ამბიმებს აღამიანის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მდგომარეობას. საქართველოს ზოგადადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტთან შედარებით, საჯარო დაწესებულებას არათუ შეუძლია სხვა პირებზე (თუნდაც დამსაქმებელზე) გასცეს პირის შესახებ სენსიტიური ინფორმაცია, არამედ ეკრალება მათი შეგროვება, დამუშავება და შენახვაც კი.²

კანონით განსაზღვრულია “მონაცემთა დამუშავების” ცნება, რაც მოიცავს მონაცემთა გადაცემას და გავრცელებას. მიგვაჩნია, რომ ამ ტიპის მოქმედებები არ უნდა განიხილებოდეს მონაცემთა დამუშავების სხვა სახეების (შეგროვება, ჩანაწერის გაკეთება, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, გამოყენება, დაჯგუფება, კომბინაცია, ბლოკირება, განადგურება) თანაბრად, არამედ უნდა სარგებლობდეს დაცვის უფრო მყარი გარანტით.

კანონი ერთმანეთისგან არ მიჯნავს კერძო და საჯარო პირების პერსონალური მონაცემების დაცვის რეჟიმებს, რაც მიგვაჩნია, რომ არასწორია. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება საჯარო მოხელეების სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად, ინფორმაცია ხელფასებისა და პრემიების შესახებ. მითითებული მონაცემები მოქალაქეებისათვის საჯარო უნდა იყოს დემოკრატიულ სახელმწიფოში არსებული გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტებიდან გამომდინარე.

¹ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე “პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ”, გვ. 3.

² საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. დასკვნა კანონპროექტზე “პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ”.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, კანონის ერთ-ერთი სიახლე მისი მოქმედების გავრცელებაა კერძო სექტორზე. თუმცა მისი მოქმედების სფერო არ მოიცავს “ყველას და უველაფერს”. კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

– ფიზიკური პირის მიერ მონაცემთა აშკარად, პირადი მიზნებისათვის დამუშავებაზე, როდესაც მათი დამუშავება დაკავშირებული არ არის მის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობასთან; მაგალითად, შეიძლება განვიხილოთ პირის მიერ მეგობართა დაბადების თარიღების შესახებ ჩანაწერების გაკეთება, მათ შორის ელექტრონული ტექნიკის გამოყენებით (სოციალურ ქსელებში ინფორმაციის განთავსება და შეგროვება) ან(და) ახლობლების საცხოვრებელი მისამართების შესახებ ინფორმაციის შენახვა და ა.შ.

– არის სფეროები, რომელთა მიმართ მხოლოდ კანონის ცალკეული დებულებების მოქმედება ვრცელდება და არა მთლიანი კანონი. აღნიშნული განპირობებულია ამ სფეროების განსაკუთრებული თავისებურებით, რაც პერსონალურ მონაცემებთან ურთიერთობის განსხვავებულ მიღომას საჭიროებს. აღნიშნულის მაგალითია მონაცემთა დამუშავება ურნალისტური და ლიტერატურული მიზნებისათვის.

– ასევე მნიშვნელოვანია, რა მიზნით ხდება ამა თუ იმ ინფორმაციის დამუშავება. მაგალითად, კანონის მოქმედება ასევე არ ვრცელდება: მონაცემთა სასამართლოში საქმის-წარმოების მიზნით დამუშავებაზე, სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის დამუშავებაზე, მონაცემთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო უსაფრთხოების (მათ შორის, ეკონომიკური უსაფრთხოების), თავდაცვის, ოპერატიულ-სამქებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით დამუშავებაზე.

კანონი აყალიბებს იმ ძირითად პრინციპებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მონაცემთა დამუშავებელმა მონაცემთა დამუშავების ნებისმიერ ეტაპზე. კერძოდ, მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

ა) მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად;

ბ) მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნისათვის;

გ) მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის აღეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება;

დ) მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი და ზუსტი. მცდარი და არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, ხოლო კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო – უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს.

ამ დებულებების მიზანია შეიზღუდოს მონაცემთა შემთხვევითი, გაუაზრებელი და არააუცილებელი დამუშავება. ნებისმიერი დაწესებულება, რომელიც პერსონალურ მონაცემებს აგროვებს ან/და ამუშავებს, ვალდებულია იცოდეს, რომელი მონაცემი, რა მიზნით გამოიყენოს; ასევე აუცილებელია, ეს მიზანი კანონიერი იყოს, რაც ნიშნავს, რომ თავისთავად მიზნის განსაზღვრა საკმარისი არ არის და მონაცემთა დამმუშავებელს კანონიერად უნდა ჰქონდეს ამ მიზნის მიღწევის უფლება. “მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბ-

ლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს, ან შენახულ იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.”¹

აღნიშნული დებულება გულისხმობს, რომ პერსონალური მონაცემები პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს იმ ვადამდე, სანამ არ იქნება მიღწეული დამუშავების მიზანი. ყველაზე მნიშვნელოვანია „მიზნის“ სწორი გაგება. ხშირია შემთხვევები, როდესაც მონაცემი არა ერთი, არამედ ერთდროულად რამდენიმე მიზნისთვის გროვდება, რომელთაგან ნაწილი შესაძლოა მონაცემთა შეგროვებისთანავე ან შეგროვებიდან რამდენიმე დღეში იქნეს მიღწეული, ნაწილი – რამდენიმე წელიწადში. ასევე, შეიძლება არსებობდეს მიზანი, რომელიც მონაცემთა მუდმივ ან 100-წლიან შენახვას საჭიროებდეს. მაგალითად, შეიძლება განხილულ იქნეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ მონაცემთა დამუშავება პირის მისამართზე რეგისტრაციის და პირადობის მოწმობის გაცემისას. ამ შემთხვევაში მონაცემთა შეგროვება და დამუშავება ხდება რამდენიმე მიზნით: 1. რეგისტრაციის განსახორციელებლად და პირადობის მოწმობის გასაცემად; 2. პირადობის მოწმობის, მათ შორის, რეგისტრირებული მონაცემების ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის გადასაცემად, რომელიც, თავის მხრივ, მონაცემებს იყენებს საარჩევნო სიის შესადგენად; 3. მაიდენტიფიცირებული მონაცემების შესახებ – მისამართი, პირადი ნომერი, გვარი და სახელი, განახლებული მონაცემების სხვა საჯარო დაწესებულებებისთვის გადასაცემად, რომლებსაც მათზე კანონით დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად მონაცემები სჭირდებათ.²

ჩამოთვლილიდან პირველი მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნეს მონაცემთა შეგროვებიდან (პირველი დამუშავებიდან) არა უგვიანეს 10 დღეში; მეორე მიზანი – არა უგვიანეს 5 წელში; მესამე მიზანი იარსებებს სულ ცოტა პირის გარდაცვალებამდე. აღსანიშნავია, რომ შეიძლება საჭირო გახდეს მონაცემთა ნაწილის შენახვა უვადოდ, მაგალითად, ისეთის, როგორიცაა პირადი ნომერი, რაც აუცილებელია სისტემის უსაფრთხოებისა და მოწესრიგებული მუშაობისათვის.

კანონი ადგენს ასევე მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულებას, მიიღოს ყველა ზომა – სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამუდაგნებისა და ნებისმიერი სხვა უკანონო დამუშავებისაგან. მიღებული ზომები აღეკვატური უნდა იყოს იმ რისკებისა, რომელიც დაკავშირებულია მონაცემთა დამუშავებასთან, რაც ნიშნავს, რომ დამმუშავებლების პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება მათ მიერ მონაცემთა დამუშავების წესების დაცვის ვიწრო გაგებით. მათ მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ისეთი პირობები, რომ არ მოხდეს მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევა სხვა პირთა მიერ ან შემთხვევით.

კანონის მეხუთე მუხლი აყალიბებს მონაცემთა დამუშავების საფუძვლების როგორც ზოგად, ასევე კონკრეტულ წესებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საფუძვლები გაგბდული უნდა იქნეს იმ ძირითადი პრინციპების ჭრილში, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს

¹ საქართველოს კანონი “პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ”. მუხლი 4, “ე” ქვეპუნქტი.

² განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე “პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ”, გვ. 4.

მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა დამუშავების ნებისმიერ ეტაპზე, ზოგიერთი დებულება მაინც დიდ დისკრეციას აძლევს ამა თუ იმ პირს ან დაწესებულებას, რომ ბოროტად იქნეს გამოყენებული კანონი. მაგალითად, კანონის მიხედვით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია, თუ „მონაცემთა დამუშავება ხდება კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვის მიზნები“ გაუმართდებლად ფართო მნიშვნელობის მატარებულია და კანონში ზუსტად უნდა აისახოს ის ლეგიტიმური მიზნები, რის შესაბამისადაც მოხდება მითითებული მონაცემების დამუშავება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კანონის მოქმედება არ ვრცელდება „მონაცემთა დამუშავებაზე საზოგადოებრივი და სახელმწიფო უსაფრთხოების (მათ შორის ეკონომიკური უსაფრთხოების), თავდაცვის, ოპერატორულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნებისათვის“, რაც მეტად ავიტროებს და ძნელად წარმოსადგენს ხდის საჯარო ინტერესების ჩამონათვალს, რომელთა დასაცავად შესაძლოა შეიზღუდოს სუბიექტის უფლება და დამუშავდეს მისი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.

კანონის მიხედვით, მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია, თუ არსებობს „სუბიექტის თანხმობა“. თავის მხრივ, მე-2 მუხლის „b“ პუნქტის მიხედვით, თანხმობა შეიძლება იყოს ზეპირი; დავის შემთხვევაში არ არის მითითებული, ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი დაადასტუროს თანხმობა.

შემთხვევებს, როდესაც დამუშავება საჯარო დაწესებულების მიერ ხდება, არეგულირებს ზოგადადმინისტრაციული კოდექსი. კერძოდ, 46-ე მუხლის მიხედვით, „პერსონალური ინფორმაციის შეგროვების კანონიერების თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება საჯარო დაწესებულებას.“ 47-ე მუხლი კი ეხება პირის უფლებას, საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტში ასევე მითითებულია, რომ „მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოსამსახურეს.“

კანონმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ შემოიღო კიდევ ერთი ახალი ინსტიტუტი, როგორიცაა პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის თანამდებობა, რომელიც საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლს ახორციელებს. კანონი ითვალისწინებს საქმარის მექანიზმს მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ მისი მიზნებისა და ამოცანების ეფექტური განხორციელებისათვის. მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დანიშვნის წესი, ვადა და ანგარიშვალდებულების ფორმა უზრუნველყოს მისი დამოუკიდებლობის საკმარის ხარისხს. დაკისრებული ფუნქციები და მინიჭებული უფლებამოსილებები მისი ამოცანების ადეკვატურია.

კერძოდ, მონაცემთა დაცვის ინსპექტორი თანამდებობაზე ინიშნება დია კონკურსის წესით. შესარჩევ საკონკურსო კომისიას ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, სასამართლო ხელისუფლებისა და სახალხო დამცველის აპარატის, აგრეთვე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. საკონკურსო კომისია ხმათა უმრავლესობით შეარჩევს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კანდიდატურას და დასამტკიცებლად წარუდგენს პრემი-

ერ-მინისტრს. პრემიერ-მინისტრი 10 დღის ვადაში ნიშნავს ინსპექტორს ან აცხადებს ხელახლ კონკურსს.

აღნიშნული კანონის იმპლემენტაციაზე საკანონმდებლო კონტროლის გაძლიერების მიზნით გონივრული იქნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის არჩევის უფლებამოსილება საკანონმდებლო ორგანოს მინიჭებოდა, რათა იგი ჩამოყალიბდეს, როგორც საპარლამენტო კონტროლის მექანიზმი. ამგვარი მიღღომა სხვა ქვეყნების პრაქტიკაშიც აპრობირებულია. მაგალითად, უნგრეთში აღნიშნული ფუნქციები მინიჭებული აქვს მონაცემთა უფლებების დაცვის საპარლამენტო კომისარს.

საფრანგეთში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას ზედამხედველობს კომისია, რომელიც 17 წევრისაგან შედგება: რომელთაგან 2 ნაციონალური ასამბლეის წევრია და 2 – სენატის, დანიშნულია ასამბლეისა და სენატის მიერ; 2 – ეპონომიკური და სოციალური საბჭოს წევრი, არჩეული ამ ორგანოს მიერ; 2 – საფრანგეთის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს ყოფილი წევრებიდან, არჩეული მისი ასამბლეის მიერ; 2 – უმაღლესი სასამართლოს ყოფილი წევრებიდან.¹

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გერმანიის მაგალითი², სადაც პერსონალური მონაცემების დაცვის ფედერალურ კომისარს ნიშნავს პრეზიდენტი, რომელიც არ აღიქმება, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი. ჩვენი მიზნებისთვის ისინი შეგვიძლია დაგახასიათოთ, როგორც ადამიანის უფლებების დაცვის გარანტები. შესაბამისად, მათ მიერ კომისრის დანიშვნა სრულიად ბუნებრივია, განსხვავებით ჩვენი შემთხვევისგან, როდესაც პრემიერ-მინისტრი ნიშნავს პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით მთავრობის თავმჯდომარე და, შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების განუყოფელი ნაწილია.³

არსებობს პრობლემები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილებაშიც. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყანოთ 35-ე მუხლის მე-6 ნაწილი, რომლის მიხედვით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ვალდებულია დაგეგმილი შემოწმებისა და მისი ფარგლების შესახებ წინასწარ, არანაკლებ 3 დღით ადრე აცნობოს იმ დაწესებულებას, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და თავდაცვასთან ან რომელიც ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას.“ მიგვაჩინა, რომ ამგვარი რეგულირება შესაძლებლობას იტოვებს, რომ აღნიშნულმა დაწესებულებებმა, მონიტორინგის წინასწარი შეტყობინების შემთხვევაში, მოახდინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის, შემოწმების განხორციელებისას, მნიშვნელოვანი მტკიცებულების გადამალვა, შეცვლა ან განადგურება, რაც შეაფერხებს ამ უკანასკნელის გამართულ საქმიანობას და მასზე დაკისრებული უფლებამოსილების ჯეროვან განხორციელებას.

კანონი ასევე არეგულირებს სხვა სახელმწიფოსთვის პერსონალურ მონაცემთა გადაცემის საკითხს. მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემაზე ნების დართვის ზოგადი

¹ Commission nationale de l'informatique et des libertés. <http://www.ambafrance-uk.org/Protection-of-freedoms-in-France>

² Chapter III Federal Commissioner for Data Protection. Federal Data Protection Act (Bundesdatenschutzgesetz, BDSG). <http://www.iuscomp.org/gla/statutes/BDSG.htm>

³ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. დასკვნა კანონპროექტზე “პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ”.

საფუძველი, რაც საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება, არის მიმღებ სახელმწიფოში მონაცემთა დაცვის სათანადო სტანდარტების არსებობა. ეს ნიშნავს, რომ უნდა შემოწმდეს, არსებობს თუ არა მონაცემთა მიმღებ ქვეყანაში მონაცემთა დაცვის ადგენატური სამართლებრივი ნორმები და სხვა გარემოებები.

კანონი ითვალისწინებს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემის სამ საფუძველს: 1. მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; 2. გადაცემა ნებადართულია ქვეყნის შიგნით, ადგილობრივი კანონმდებლობით და სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობით სათანადო არის დაცული გადაცემული პერსონალური მონაცემების დამუშავება; 3. პერსონალური მონაცემები უნდა გადაეცეს მესამე ქვეყანას, თუ ეს აუცილებელია საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაბისრი ვალდებულების ან ორმხრივი შეთანხმების შესასრულებლად, ხელშეკრულებაში ან შეთანხმებაში მითითებული მიზნისა და შინაარსის შესაბამისად.

კანონი ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დაცვის რეესტრის არსებობას, სადაც აისახება იმ დამმუშავებლის ინფორმაცია, რომელიც ამუშავებს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს. რეესტრში არსებული ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის. რეესტრის წარმოება შედის მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ფუნქციებში.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კანონი “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” წინგადადგმული ნაბიჯია არსებული საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრის თვალსაზრისით, თუმცა კანონით გათვალისწინებული პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები კვლავ მოითხოვს სათანადო დამუშავებას და შემდგომ ცვლილებებს კანონმდებლობაში.

**ლევან მოსახლიშვილი,
სამართლის დოქტორანტი**

**პერსონალური მონაცემების დაცვის
კანონმდებლობა საქართველოში**

განხილულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წლის 28 დეკემბერს მიღებული კანონი “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ”, გავლებულია პარალელები ამ სფეროს მარეგულირებელ, აქამდე არსებულ რეგულაციებთან. დეტალურად არის მოცემული ის ძირითადი სიახლეები, რაც განხორციელდა ახალი კანონის მიღებით. შეფასებულია ცვლილებების როლი, მითითებულია პრობლემებზე, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებებმა და შემოთავაზებულია გზები, რათა მოხდეს საკითხის უფრო ეფექტური რეგულაცია და თავიდან იქნება აცილებული (განხორციელებული ცვლილებებით) რამდენიმე სამართლებრივი დარღვევის გამოწვევა.

**Levan Mosakhlishvili,
PHD student**

**LEGISLATION ABOUT PROTECTION
OF PERSONAL DATA IN GEORGIA**

There is reviewed “law about protection of personal data”, which was adopted by parliament on the 28th of December, 2011 and parallels are drawn between regulations, that regulated this field before. Here-with there are discussed novelties, that were implemented by adoption of new law in detail. Article estimated role of changes, indicates problems, that may be provoked by changes, offers ways of regulating subject more effectively and shows how to avoid any legal violations, that changes may cause.

**Леван Мосахлишвили,
докторант права**

**ЗАКОНОДАТЕЛЬСТВО О ЗАЩИТЕ
ПЕРСОНАЛЬНЫХ ДАННЫХ В ГРУЗИИ**

Рассмотрен закон о «Защите персональных данных», принятый парламентом Грузии 28 декабря 2011 года, и приведены параллели с ранее существующими регуляциями. Также в статье детально рассмотрены те основные новшества, которые были осуществлены после принятия закона. Даны оценка всеми проведенными изменениям и указаны те проблемы, которые могут возникнуть в связи с данными изменениями; вместе с этим, указаны пути, с помощью которых можно более эффективно регулировать проблемы и избежать нарушений, связанных с введенными изменениями.

**მრავალმხრივი ინვესტიციების ბარანტიების სააბენტო (MIGA),
როგორც უცხოური ინვესტიციების ბარანტორი**

საერთაშორისო კერძო საინვესტიციო სამართალში ძირითად პრობლემად რჩება უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა. როცა უცხო ქვეყნის იურიდიული პირები ინვესტიციებს დებენ იმ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში, რომლებისთვისაც დამახასიათებელია პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, რისკავენ იმით, რომ შეიძლება შეუძირებელი საკუთრება ან, უარეს შემთხვევაში, სულ დაკარგონ ანუ მათმა საკუთრებამ შეიძლება განიცადოს ნაციონალიზაცია ან რეგვიზიცია სათანადო კომპენსაციის გარეშე. ასეთ პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს სუბროგაციის ინსტიტუტი (subrogation ინგლისურიდან ნიშნავს ერთი კრედიტორის მეორით შეცვლას). არაკომერციული რისკებისაგან ინვესტიციების დაზღვევის ამ ტრადიციული ინსტიტუტის გამოყენება გართულებულია იმით, რომ დამზღვევის მიერ შემთხვევაზებულია ისეთი სუვერენული სახელმწიფო, რომელიც ფლობს სასამართლოს იმუნიტეტს, რაც პრობლემატურს ხდის კერძო სადაზღვევო კომპანიის შესაძლებლობას, სუბროგაციის წესით მოახდინოს დანასარჯების კომპენსაცია, სადაზღვევო თანხის გადახდისას ინვესტიციის მიმღები სახელმწიფოსათვის ზღვევინებით.

უკანასკნელ წლებში უცხოელი ინვესტორები, ასევე ეროვნული მეწარმეები დაინტერესებული არიან მოიზიდონ უცხოური კაპიტალი, ცდილობენ შექმნან დამატებითი გარანტიები, რომელიც იცავს ინვესტორს არაკომერციული რისკებისაგან. ასეთი დამატებითი გარანტიების სისტემის რგოლია არაკომერციული რისკების დაზღვევის სისტემა, რომლებსაც შეადგენენ კერძო (არასახელმწიფო), სახელმწიფო და რეგიონალური ორგანიზაციები.

სუბროგაციის პრინციპი ფუძემდებლურია ისეთი უნივერსალური ორგანიზაციისათვის, როგორიცაა ინვესტიციების გარანტიების მრავალმხრივი სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) Multilateral Investment Guarantee Agency (MIGA). ამ შემთხვევაში ტერმინი “Guarantee” (როგორც სხვა ნორმატიულ დოკუმენტებში, რომლებიც არეგულირებენ სააგენტოს) ითარგმნება, როგორც დაზღვევა (insurance) და არა, როგორც “გარანტია”. ეს ინგლისური სიტყვები “Guarantee” და “insurance” ინვესტიციების საერთაშორისო დაზღვევის პრობლემატიკის მიმართ განიხილება, როგორც სინონიმები.

გასული საუკუნის 60–70-იან წლებში რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ეგიდით შეიქმნა ინვესტიციების დაზღვევის საერთაშორისო სააგენტოს პროექტი, რომელმაც მხარდაჭერა ვერ პოვა განვითარებადი ქვეყნების მხრიდან. 1981 წლიდან, აღნიშნული სამუშაოები განახლდა და დამთავრდა კონვენციის ტექსტით – ინვესტიციების გარანტიების საერთაშორისო სააგენტოს დაფუძნებით, რომელიც რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მმართველმა საბჭომ 1985 წლის 11 ოქტომბერს სეულის ყოველწლიურ სესიაზე მოიწონა (აქედან წარმოდგება მისი მეორე დასახლება – სეულის კონვენცია) და გადაცემულ იქნა შვეიცარიისა და აღნიშნული ბანკის წევრი სახელმწიფოების მთავრობებისათვის ხელმოსაწერად. სეულის კონვენცია ძალაში

შევიდა 1988 წლის 12 აპრილს და იმავე წლის 12 ივნისიდან საქმიანობა დაიწყო ინგესტიციების გარანტიების მრავალმხრივმა სააგენტომ. ამ კონვენციით სახელმწიფო და კერძო დაზღვევები შეიქმნა უცხოური ინგესტიციების საერთაშორისო მრავალმხრივი დაზღვევის სისტემით.¹

უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს აქვს სასამართლო იმუნიტეტი მის წინააღმდეგ სარჩელის ადგვრისას, ასევე იმუნიტეტით სარგებლობს სააგენტოს პერსონალი და სააგენტოს ქონება, რომელიც, თავის მხრივ, არ ექვემდებარება რეკვიზიტიას, კონფისკაციას, ექსპროპრიაციას ან რაიმე ფორმით დაყადაღებას ამა თუ იმ სახელმწიფოს მხრიდან. მისი არქივები ხელშეუხებელია, ქონება, შემოსავლები და ოპერაციები გათავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისა და ბაჟისგან. სააგენტოს უმაღლესი თანამდებობის პირი გათანაბრებულია დიპლომატიური თანამდებობის პირთან.

ამავე დროს სააგენტოს ძირითადი საქმიანობა – პოლიტიკური რისკებისაგან ინვესტიციების დაზღვევა – ატარებს კომერციულ ხასიათს. ამიტომ, სააგენტოს აქვს კომერციული ორგანიზაციისათვის დამასხასიათებელი ნიშნები. პირველ რიგში, ეს გამოიხატება იმით, რომ აქვს საქციო კაპიტალი, რომლის თავდაპირველი დირექტორები ერთ მლრდ აშშ დოლარს შეადგენს და სესხის აღების უფლება 1082 მილიონ აშშ დოლარის რაოდენობით.

სააგენტოს დაზღვევას საფუძვლად უდევს დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის მხარეებსაც სააგენტო და უცხოელი ინვესტორი წარმოადგენერს. მიუხედავად იმისა, რომ სააგენტო არის საერთაშორისო სამართალსუბიექტი, იგი უცხოური ინვესტორის მიმართ, როგორც წესი, იურიდიული პირია და გამოდის სადაზღვევო კომპანიის როლში. სააგენტო ვალდებულებას იღებს კონტრაქტის შესაბამისად, რაღაც შემთხვევის გამო, გადაიხადოს ზარალის მითითებული რაოდენობა. თავის მხრივ, ინვესტორი ვალდებულია სააგენტოს ყოველწლიურად გადაუხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო შენატანები (Amount Guarantee).

ასე, რომ MIGA აზღვევს განსაკუთრებით არაკომერციულ (პოლიტიკურ) რისკებს, რომლებსაც სეულის კონვენციის მე-11 მუხლის მიხედვით ეკუთვნის:

1. ვალუტის ტრანსფერზე შეზღუდვის რისკი (currency transfer risk);
2. ექსპროპრიაციის ან ანალოგიური ზომების რისკი (risk of expropriation or similar measures);
3. ხელშეკრულების დაზღვევის რისკი (breach of contract risk);
4. სამოქალაქო უწესრიგობისა და ომების რისკი (risk of war and civil disturbance).

უნდა შევნიშნოთ, რომ მე-4 პუნქტით, სააგენტო არ ანაზღაურებს სადაზღვევო საზღაურს ინვესტორებისათვის მიყენებული ზარალის პროფიტშირული, სტუდენტური ან სხვა მსგავსი სპეციფიკური ინტერესების დაცვის აქციების გამო, ასევე ტერორისტული აქტებისა და ხალხის გატაცებით მიყენებულ ზარალზე.

ინვესტიციების დაზღვევის მიმართ შესაძლებელია შემდეგი სახის ხელშეკრულებები: პროდუქციის ნაწილზე, მოგების ნაწილზე, საწარმოს მართვის რწმუნების შესახებ, ფრენჩაიზის, სალიცენზიონი, მშენებლობაზე და ლიზინგის.

¹ ზ. გაბისონია. საინვესტიციო დავის მონაწილე იურიდიულ პირთა იურისდიქცია. თბილისი, 2002 წ. გვ. 39.

იმისათვის რომ, ინვესტორები დაზღვეულ იქნენ სააგენტოს მიერ, მათი კაპიტალდაბანდებები უნდა პასუხობდეს შემდეგ დამატებით მოთხოვნებს:

1. იყოს ეკონომიკურად დასაბუთებული და შეიტანოს წვლილი ინვესტიციის მიმღები ქვეყნის განვითარებაში;
2. უნდა შეესაბამებოდეს მიმღები სახელმწიფოს კანონებსა და წესებს;
3. შეესაბამებოდეს მიმღები ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებსა და გამოცხადებულ მიზნებს.

ეროვნული სადაზღვევო ორგანიზაციებისგან განსხვავებით, კონვენცია არ ითვალისწინებს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება ინვესტიციის მხოლოდ სრული დაკარგვა.¹ ინვესტიცია სრულად დაკარგულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორს ზედიზედ, 365 დღის განმავლობაში ჩამორთმეული აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ძირითადი უფლება ინვესტიციის მიმართ ან, თუ საინვესტიციო პროექტი ექსპროპრიაციის შედეგად იმავე ვადაში უწყდება. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ზარალის სრულად ან ნაწილობრივ დაზღვევის ანაზღაურების შესახებ სააგენტო გადაწყვეტილებას იღებს ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით.

უცხოური ინვესტიციების არაკომერციული (პოლიტიკური) რისკებისგან დაზღვევის საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმის მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ინვესტორის შემქმნელი სახელმწიფო თავის თავზე იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპენსაცია, განპირობებული მდგომარეობის დადგომისას. სუბროგაციის პრინციპის მიხედვით, ის იძენს უფლებას რეციპიენტ-სახელმწიფოს მოსთხოვოს შესაბამისი თანხა. შესაბამისად, კერძო-სამართლებრივი საერთაშორისო საინვესტიციო ურთიერთობები იძენს სახელმწიფოთაშორის ხასიათს და ამით კერძო ინვესტორები დამატებით იძენენ საერთაშორისო-სამართლებრივ დაცვას.

¹ Shihata I. MIGA and Foreign investment. La Laye. 1988. p. 132.

ოთარ ტატალაშვილი,
სამართლის დოქტორანტი

**მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიების სააგენტო (MIGA),
როგორც უცხოური ინვესტიციების გარანტორი**

უცხოური კერძო ინვესტიციების მიმღები სახელმწიფოების საერთო პოზიცია გამოიხატება მათ მცდელობაში, ეს ინვესტიციები დაუქვემდებარონ სახელმწიფო კონტროლს. ინვესტორები კი პირიქით, ემსრობიან უფრო ლიბერალურ რეჟიმს, უფრო მყარი გარანტიებისა და დაცვის მიღებას. ამ დონეზე დიდი აქტუალურობა შეიძინა მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიების სააგენტომ (MIGA), რომელიც ინვესტიციებს არაკომერციული რისკებისაგან აზღვევს.

Otar Tatalashvili,
PHD student

**MULTILATERAL INVESTMENTS GUARANTEE AGENCY (MIGA),
AS A GUARANTER OF FOREIGN INVESTMENTS**

Common position of states, taking foreign direct investments is that they are attempting to subordinate these investments under the state control. For investors, on the contrary, more favourite is liberal regime and support to more solid guarantees and protection. Multilateral investment guarantee agency acquired great importance on this level, which insures investments from the non-commercial risks.

Отар Таталашвили,
докторант права

**МНОГОСТОРОННИЕ АГЕНТСТВА ПО ГАРАНТИЯМ ИНВЕСТИЦИЙ (МИГА),
КАК ГАРАНТ ИНОСТРАННЫХ ИНВЕСТИЦИЙ**

Общая позиция государств, принимающих иностранные частные инвестиции, заключается в стремлении в той или иной степени подчинить их национальному контролю. Инвесторы, наоборот, выступают за более либеральный режим и получение более твердых гарантий их защиты. На фоне этого большую актуальность приобрела работа Многостороннего агентства по гарантиям инвестиций (МИГА), которое занимается страхованием инвестиций от некоммерческих и иных рисков.

არასრულწლოვან პირთა დაცვა პროსტიტუციისა და კორნობრაზისგან

არასრულწლოვან პირთა უფლებების დაცვის განხორციელება მეტად მნიშვნელოვანი, საპასუხისმგებლო და ამავე დროს ჰქონია მისია. მისი განხორციელება ეკისრება ნებისმიერ კაცომყვარე, კეთილსინდისიერ და მაღალი ზნეობრივი თვისებებით გამორჩეულ პირებს, რომლებიც საფრთხეს აარიდებენ არასრულწლოვან პირებს და დაბრკოლებას არ შეუქმნიან იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.

შემაშფოთებელია არასრულწლოვან ბავშვთა იძულებითი თუ ნებაყოფლობით დაინტერესება პროსტიტუციით და პორნოგრაფიით. ამას ხელს უწყობს მასმედია (პრესა, ტელევიზია) და თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები. ამით ისინი დებულობენ მეტი ინფორმაციას სექსუალური განვითარებისათვის, რასაც მძიმე შედეგი მოყვება, აბრკოლებს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას, გონებრივ, სულიერ და ფიზიკურ განვითარებას.¹

“ბავშვთა პროსტიტუცია ნიშნავს ბავშვის გამოყენებას სექსუალური ხასიათის ქმედებში ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურების ფასად”.

ხოლო “ბავშვთა პორნოგრაფია ნიშნავს სხვადასხვა საშუალებით იმ ბავშვის ნებისმიერ გამოსახვას, რომელიც ასრულებს რეალურ ან მოდელირებულ აშკარა სექსუალურ ქმედებებს, ძირითადად, სექსუალური მიზნებისათვის”.²

პროსტიტუციაში ჩაბმა ნიშნავს მოზარდის დაყოლიებას, რომ სექსობრივი კავშირი დაამყაროს ნებისმიერ მამაკაცთან. დამნაშავე იოლად ზემოქმედებს არასრულწლოვანზე დაპირებით, საჩუქრებით და სხვა საშუალებებით.³

საქართველოში არის სექს-ტურიზმის პრაქტიკის გავრცელების შემთხვევები, რაც ხელს უწყობს არასრულწლოვან პირთა (განსაკუთრებით, გოგონებით) ვაჭრობას და ბავშვთა პროსტიტუციას.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო კონვენციის საფუძველზე მთელ მსოფლიოში კრიმინალად არის მიჩნეული პორნოგრაფიის წარმოება, გავრცელება, ექსპორტი, იმპორტი, მიწოდება და რეკლამირება, მაინც ხდება არასრულწლოვანთა ნებაყოფლობითი დაინტერესება პროსტიტუციითა და პორნოგრაფიით, რასაც ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ოჯახის ხელმოკლეობა, განათლების უქონლობა, დისკრიმინაცია სექსობრივი კუთვნილების საფუძველზე, უფროსების უპასუხისმგებლო სექსუალური ქცევა და ხელისუფლების მხრიდან არასრულწლოვანთა სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მინიჭება.

არ შეიძლება ყურადღება არ იქნეს გამახვილებული ორ ფაქტორზე: როცა არასრულწლოვანი არ ცხოვრობს მშობელთან და ეს უკანასკნელი თავს არიდებს აღზრდის

¹ ბავშვთა უფლებების სამართალი. თბ., გვ. 109.

² თ. ონიანი. ბავშვთა პროსტიტუცია საქართველოში. თბ., 2009, გვ. 13.

³ ნ. ყორანაშვილი. ბავშვთა პროსტიტუცია. თბ., 2009, გვ. 6.

მოვალეობას და მეორე, როცა ბავშვი ცხოვრობს მშობელთან და, მიუხედავად ამისა, ის მაინც არ ასრულებს აღზრდის ფუნქციას¹

ხშირია შემთხვევები, როცა ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები მიმართავენ სამართალდამცაგ ორგანოებს, დაადგინონ ამა თუ იმ პირთა ადგილსამყოფელი, ვინაიდან ისინი უჩინარდებიან და მათ შესახებ ინფორმაციის მიღება შეუძლებელი ხდება და შეიძლება იძულებითი პროსტიტუციით ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდნენ. ცნობილია, აგრეთვე ფაქტები იმის შესახებ, როცა პირები პირადად მიმართავენ შესაბამის ორგანოებს და ყვებიან, როგორ გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლი იმ კრიმინალურ პირთა ძალის-ხმევით, რომლებმაც სარგებელი მიიღეს არასრულწლოვანთა სხეულით ვაჭრობით. ასეთ დანაშაულთა აღსაკვეთად სასამართლო ვალდებულია ჩაატაროს ობიექტური გამოძიება და დაადგინოს დამნაშავე პირთა ვინაობა, დააწესოს უმქაცრესი სასჯელი დამნაშავე პირთა დასასჯელად და ასევე მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს ბავშვთა სათანადო დაცვა, რომ შემდგომში არ აღმოჩნდნენ მსგავს მდგომარეობაში. სასამართლო ვალდებულია ასევე მსხვერპლ ბავშვთა პირადი ცხოვრება და ვინაობა არ გაამჟღავნოს, რათა არ მოხდეს არასასურველი ინფორმაციის გავრცელება.

სასწრაფოდ უნდა იქნეს ზომები მიღებული არასრულწლოვან პირთა სამომხმარებლო მოთხოვნების შესამცირებლად და საზოგადოებრივი შეგნების ასამაღლებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალ თაობებს ემუქრება დეგრადაცია და ამით დაიკარგება ჩვენი მენტალობა, ტრადიციები და ზნეობა, რაც ჩვენმა წინაპრებმა რუდუნებით დღემდე მოგვიტანეს.

ბავშვთა უფლებების კონვენციაში მონაწილე სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო და საზოგადოების უველა წევრი ვალდებულია გადამწყვეტი ზომები მიიღონ, რომ ამგვარი დანაშაულის მსხვერპლთა პრევენციის დაცვით მოხდეს მათი რეაბილიტაცია, რაც ხელს შეუწყობს მსხვერპლ ბავშვებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გამოჯანმრთელებაში.

¹ ბავშვთა უფლებების სამართალი. თბ., გვ. 116.

მაია თურქია,
სამართლის დოქტორანტი

**პრასერულობობას პირთა დაცვა
პროსტიტუციისა და პორნოგრაფიისაბან**

განხილულია არასრულწლოვან ბავშვთა იძულებითი თუ ნებაყოფლობითი დაინტერესება პროსტიტუციით და პორნოგრაფიით. ასევე სექს-ტურიზმის გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხები. ჩამოყალიბებულია სასამართლოს ვალდებულების შესახებ, რომელმაც უნდა მიიღოს ზომები ბავშვთა უფლებების სათანადოდ დასაცავად. ასევე გამახვილებულია ყურადღება, თუ რა შედეგები მოჰყვება ბავშვთა პროსტიტუციას და პორნოგრაფიას, რა ფსიქოლოგიურ გავლენას მოახდენს მათ ჯანმრთელობაზე, გონებრივ, სულიერ და ფსიქიკურ განვითარებაზე.

Maia Turkia,
PHD student

**PROTECTION OF UNDER AGE PERSONS
FROM PROSTITUTION AND PORNOGRAPHY**

There is discussed the forced or voluntary interest of children not reached full legal age in prostitution and pornography, also the issues related to sex-tourism is given here. The court has established its obligation, which has to take the measures for protecting children's rights. The article also discusses and focuses on the results, which may follow the children's prostitution and pornography, what kind of psychological impact may it have on their health condition, also on mental, spiritual and psychic development.

Майя Туркия,
докторант права

**ЗАЩИТА НЕСОВЕРШЕННОЛЕТНИХ ДЕТЕЙ
ОТ ПРОСТИТУЦИИ И ПОРНОГРАФИИ**

Рассмотрены вопросы насилиственной или добровольной заинтересованности проституцией и порнографией, а также вопросы, связанные с распространением секс-туризма. Сформулированы обязанности суда, который должен принять меры соответствующей защиты прав детей. В статье также особое внимание уделено тому, какие результаты следуют за детской проституцией и порнографией, какое психологическое влияние окажут они на их здоровье, умственное, душевное и психическое развитие.

ზრუნვამოკლებულ გამშვილია ოჯახში პალადობა – პროცესი

და მისი სამართლებრივი რეგულირება

ოჯახში ბავშვის მიმართ ძალადობა გლობალური პრობლემაა, მას არა აქვს კულტურული, გეოგრაფიული, რელიგიური, სოციალური, ეკონომიკური თუ ეროვნული საზღვრები. ბავშვზე ძალადობა განიხილება, როგორც ადამიანის უფლებების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დარღვევა და ფართოდ გავრცელებული ფენომენია. ბავშვებზე ძალადობა სოციალური პრობლემაა, რომელიც ყველაზე ხშირად ჩაკეტილი სოციალური წყობისთვისა დამახასიათებელი. ამ პრობლემას უაღრესად სერიოზული შედეგები მოჰყვება ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფიზიკურ და ემოციურ ჯანმრთელობასა და სოციალურ კეთილდღეობაზე.

1992 წელს გაერომ საქართველო ოფიციალურად აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მას შემდეგ, საქართველოში ოჯახური ძალადობის პრობლემა ფართოდ განიხილება ბევრი სახელმწიფო თუ არასამთავრობო, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ გამოიყენება არა ზოგადად ოჯახური ურთიერთობების დარეგულირებისათვის, არამედ ძალადობის აღკვეთისათვის. კანონი მიმართულია ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვის, მოძალადისგან განცალკევებისა და ძალადობის განმეორების თავიდან აცილებისათვის. ოჯახში ძალადობის ფაქტები ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადი საქმეა, ხოლო სხვა დანარჩენი სამართლურთიერთობისათვის, რომელიც გამომდინარებს ოჯახური ძალადობისგან, მაგ., ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი დაცვის მექანიზმები.

ბავშვზე ძალადობას ყოველთვის ახლავს პირადი დირსების შეურაცხეოფა, ის შეიძლება გამოვლინდეს მუქარით, დამცირებით, დაშინებით, პირადი საკუთრების ხელყოფით, საჯარო შეურაცხეოფით ან სექსუალური ექსპლუატაციით. ჩვეულებრივი ყოფითი საწყენი რეპლიკები და კონკრეტული გამოხსტომები სხვა არაფერია თუ არა სიტყვიერი შეურაცხეოფა, რადგან ეს აუცილებლად აისახება ბავშვის ემოციურ ან ფიზიკურ მდგომარეობაზე.

ოჯახი ის ინსტიტუტია, რომელიც ქვეყნის სახეს განსაზღვრავს, მისი პრობლემა და მიღწევა საზოგადოებაზე პირდაპირ აისახება. ოჯახური ძალადობის პრობლემა საზოგადოების თითოეული წევრის მობილიზაციას ითხოვს, იგი საერთო ტკივილია. ბავშვი კი პირგელად ოჯახში იღებს სოციალიზაციის გაკვეთილს. ოჯახური ძალადობა ის ბერგეტია, რომელიც მის თითოეულ წევრს თრგუნავს, წყვეტს საზოგადოებრივ ცხოვრებას და, პირიქით, უბიძგებს უარყოფითი აქტივობისკენ. არადა ყველა ადამიანს აქვს უფლება იყოს ბედნიერი, ჯანსაღი სულითა და ხორცით.¹

¹ თ. ლომთაძე. ფსიქოლოგი. თბილისი: ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაცია, 2009, გვ. 100.

ოჯახური ძალადობა განმეორებადი და ხშირი ციკლია, რომელსაც ოჯახის ერთი წევრი ახორციელებს მეორეზე კონტროლის მოპოვების მიზნით. აღსანიშნავია ისიც, რომ ძალადობა პროგრესირებადია. იგი არ არის “ერთჯერადი?” მოძალადე ოჯახში სულ უფრო თამამი და დაუნდობელი ხდება. ამასთან, გამუდმებით ამტკიცებს, რომ გამოსწორდება. ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში მსხვერპლი უფრო ითრგუნება.

სამწუხაროა, როდესაც მშობლები შვილებზე ძალადობენ (სტატისტიკური მონაცემებით ოჯახური ძალადობის 60%) მაგ., ზოგისთვის ბავშვის ცემა აღზრდის კარგი მეთოდია, რეალურად კი ბავშვს მძიმედ შეურაცხყოფენ. აქ ირდევება ბავშვის უფლებები და, შვილისათვის განვითარების პარმონიული გარემოს ნაცვლად, მშობელი სხვადასხვა სახის ძალადობით აზიანებს მის ფინანსურ, ფიზიკურ სიჯანსადესა და, საერთოდ, შვილის მომავალს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ხშირია შვილებზე მენტალური ძალადობა. მშობლები არ აღიარებენ შვილის პიროვნულობას. მისგან მოითხოვენ უფროსების და კერძოდ, მათი აზრის გათავისებას.¹

ბავშვის ძალადობისა და უგულებელყოფის პრობლემა საქართველოში ნაკლებად შესწავლილი საკითხია. არსებობს ძალიან მწირი ინფორმაცია ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობის გავრცელების შესახებ და კიდევ უფრო ნაკლები – სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით.

საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა ძირითადად არაინტერგენციონისტულ მოდელს ეფუძნება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქვს ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფის ძირითადი სამთავრობო ვალდებულება. ბევრი ბავშვი, რომელიც საქართველოში სოციალურ მომსახურებას საჭიროებს, ქუჩაში ცხოვრობს ან დროის უმეტეს ნაწილს ქუჩაში ატარებს. ეს ბავშვები, რომელთაც “ქუჩის ბავშვებს”უწოდებენ, ხშირად ჩაბმულნი არიან მსუბუქი ხარისხის ანტისოციალურ ქცევასა და შესაბამის დანაშაულებში, როგორიცაა მაღაზიებში ქურდობა და მათხოვრობა. არსებობს პროსტიტუციის საქმიან მაღალი დონე ქუჩის ბავშვთა შორის. გავრცელებულია შეხედულება, რომ ქუჩის ბავშვები არასტაბილური ოჯახებიდან არიან, სადაც ერთი ან ორივე მშობელი მოძალადეა ან ალკოჰოლზე დამოკიდებული, მოიხმარენ მაგნე ნივთიერებებს, დაკავებული არიან პროსტიტუციით ან მათხოვრობით. საქართველოში ქუჩის ბავშვები ნაკლებად გამოკვლეულნი არიან. მათი რაოდენობის შესახებ მონაცემები 500-დან 15000-მდე მერყეობს და მეტწილად თბილისში არიან კონცენტრირებული. ბავშვები მუდმივად მოძრაობენ ცენტრებიდან ქუჩასა და მშობლების სახლში. მშობლებისათვის არ არსებობს მომსახურება, რომელიც ძალადობის პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებდა. ბავშვები ხშირად ბრუნდებიან ცენტრებში და ხდებიან შემდგომი ძალადობის მსხვერპლი. შესაბამისად, არ ხდება ცენტრების გაძლიერება იმისათვის, რომ ეფექტურად დაიცვან ბავშვი მოძალადე მშობლებისაგან.

ქუჩის ბავშვებისთვის არსებობს ხუთი თუ ექვსი ”ადაპტაციის ცენტრი”, რომდებიც მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაშია. ადაპტაციის ცენტრები უზრუნველყოფს საცხოვრებელ ადგილს, საკვებს, განათლებას, ტრენინგსა და კონსულტირებას ქუჩის ბავშვებისათვის. იქ მყოფი ბავშვების უმრავლესობა ძალადობის მსხვერპლია. მიუხედავად ადრეუ-

¹ ი. მანჯაგიძე. დავიცვათ ბავშვები. სოციალური პედიატრია. თბ. 2009, გვ. 59.

ლი სექსუალური აქტიურობის საკმაოდ მაღალი დონისა, არ ხდება ამ ბავშვთა შემოწმება სექსუალურ ძალადობაზე და არ არსებობს ისეთი სერვისები, რომლებიც ამ ბავშვებს გაუწევს მომსახურებას.

საქართველოში არსებობს ინსტიტუციური დაწესებულებები, რომლებშიც ცხოვრობენ ეკონომიკურად გაჭირვებული ბავშვები. ინსტიტუციურ დაწესებულებაში მცხოვრებ ბავშვებს უმეტესწილად ხშირი კონტაქტი აქვთ ბიოლოგიურ ოჯახებთან. ინსტიტუციურ დაწესებულებაში მყოფ ბავშვებზე ზრუნავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბავშვებზე მეურვეობისა და მზრუნველობის სამსახური. თუ მშობელი ბავშვის ინსტიტუციურ დაწესებულებაში მოთავსებას გადაწყვეტს, მან ბავშვი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უნდა მიიყვანოს და მოითხოვოს ბავშვის ინსტიტუციონალიზაცია. ასეთი განთავსება დროებითია იმ შემთხვევის გარდა, თუ მშობელი მიუთოთქბს, რომ ის მუდმივად იხსნის ბავშვზე პასუხისმგებლობას. დღეს არ არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული სტანდარტები იმის შესახებ, თუ როდის ჩაითვლება ბავშვი მიტოვებულად და, შესაბამისად, შესაძლებელი გახდება მისი გაშვილება. ხდება იმ მშობელთა აღრიცხვა, რომლებიც მოდიან შვილის მოსანახულებლად ინსტიტუციურ დაწესებულებაში.¹

ძალადობა, როგორც ქმედება, შეიძლება მრავალი ფორმით გამოიხატოს.

განასხვავებენ სიტყვიერ, ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას. ადნიშნულ განმარტებათა თანახმად:

ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს შემდეგ მოქმედებებში: ხელის კვრა, თმის მოქაჩვა, დარტყმა, ცემა, ფეხის კვრა, დაწვა, კბენა, დახრხობა, ბასრი იარაღით ჭრილობის მიუწება, წამება, მკვლელობა.

სექსუალურ ძალადობად მიიჩნევა: სექსუალური ხასიათის ნებისმიერი მოქმედება დაცინვისა და ხუმრობის ჩათვლით, უსიამოვნო რეპლიკები, სხეულის ნაწილების უღირსი დემონსტრირება, შეურაცხმელოფელი სატელეფონო ზარები, არასასურველი სექსუალური შეთავაზება, არასასურველი სექსუალური შეხება, სქესობრივი აქტის იძულება და გაუპატიურება.

ფსიქოლოგიურ ძალადობად მიიჩნევა: დაცინვა, ირონიული რეპლიკები, მუქარა, ზიზდი, საჯარო შეურაცხმოვა.

ეკონომიკურ ძალადობად მიიჩნევა: არასამართლიანი კონტროლი თანაზიარი რესურსების გამოყენებაზე, მაგალითად, საერთო ფულადი თანხების გამოყენების აკრძალვა, კონტროლი და სწავლის გაგრძელების აკრძალვა.²

სახელმწიფო მიზნად ისახავს თავისი წვლილი შეიტანოს ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის საქმეში, სახელდობრ, სამ ძირითად კითხვაზე იძლევა პასუხს: რა სამართლებრივ ზომებს ღებულობს სახელმწიფო ოჯახური ძალადობის საპასუხოდ? როგორი ეფექტი აქვს ამ ზომებს ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის საქმეში? რა შეიძლება გაკეთდეს, რომ ოჯახური ძალადობის მიმართ სახელმწიფოს მოქმედება და დამოკიდებულება გაუმჯობესდეს?

¹ ოჯახური ძალადობა და ბავშვების მიმართ ძალადობა საქართველოში. თბ., 2006, გვ. 37.

² ნ. ბაქაქური. ოჯახური ძალადობა და ადამიანის ტრეფიკინგი. თბ., 2004, გვ. 15.

³ ოჯახური ძალადობა და სახელმწიფო. თბ., 2004, გვ. 9.

ზოგიერთი მოძალადე იზრდება ისეთ ოჯახში, სადაც ხშირია ძალადობის ფაქტები, ზოგიერთი კი – ნორმალურ ოჯახში. თუ ადამიანი გაიზარდა ისეთ ოჯახში, სადაც ძალადობას ჰქონდა ადგილი, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ისიც მოძალადე გახდება. უველა ასეთი ადამიანი სასტიკი დამნაშავე არ ხდება. ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ცოლების ან პარტნიორების მიმართ სასტიკი დამოკიდებულების ძირითადი მიზეზი ალკოჰოლიზმი ან მძიმე ბავშვობაა. ასეთი მოსაზრებით მხოლოდ გარდენეული ადამიანებია მოძალადებად მიჩნეული.¹

დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა შორის მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვებიც ცხოვრობენ, რომლებიც მშობლიურ სითბოს და დამებოან სიახლოვეს მხოლოდ ოჯახის ხელმოკლეობის გამო არიან მოწყვეტილნი. თუ ობლები განგებამ დაჩაგრა, ბავშვთა უდიდესი ნაწილი მშობელთა მიერ შვილის მიმართ უპასუხისმგებლო, ეგოისტური, უზნეო დამოკიდებულების მსხვერპლია.

ბავშვთა სახლები რომ საუკეთესო ადგილი არ არის ბავშვის აღსაზრდელად და ნორმალური განვითარებისათვის, დადასტურებულია მრავალი დაკვირვებით როგორც ჩვენ ქვეყანაში, ისე უცხოეთში. ამიტომ ეკონომიკურად განვითარებულ მრავალ ქვეყანაში დაიწყეს ფიქრი ბავშვთა სახლების გაუმჯობესებაზე. უფრო პრიორიტეტული გახდა სხვა ალტერნატიული გზების მოძიებაც მიტოვებული და მშობელთა მზრუნველობას მოქლებული ბავშვების მოვლისათვის.²

¹ ოჯახური ძალადობა. თბ., 2006. გვ. 13.

² მ. აბზიანიძე. სოციალურად დაუცველ ბავშვთა სკოლისათვის მზაობის ფსიქოპედაგოგიური ასპექტები (ბავშვთა სახლის მაგალითზე). თბ., 2006, გვ. 22.

მაია თურქია,
სამართლის დოქტორანტი

**ზრუნვამოკლებაზე ბავშვთა ოჯახური ძალადობა – პროგლობები
და მისი სამართლებრივი რეგულირება**

განხილულია ზრუნვამოკლებაზე ბავშვებზე ოჯახური ძალადობის პრობლემატიკი საკითხები. ასევე განხილულია ძალადობის ფორმები და მათი აღმოფხვრის გზები. ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები და წინადაღებები, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შესაბამისი პირებისა და კომპეტენტური ორგანოების მიერ.

Maia Turqia,
PHD Student

**FAMILY VIOLENCE OF DEVOID OF GUARDIANSHIP
CHILDREN – PROBLEMS AND THEIR LEGAL REGULATIONS**

There is discussed problematical questions of family violence of devoid of guardianship children, the forms of violence and the ways of solving them. There is given the recommendations and statements, which may be foreseen by individual persons and competitive organizations.

Майя Туркиа,
докторант права

**НАСИЛИЕ В СЕМЬЯХ ДЕТЕЙ, ЛИШЕННЫХ
ОПЕКИ, ПРОБЛЕМЫ И ИХ ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ**

Рассмотрены проблематичные вопросы семейного насилия детей, лишенных опеки. Также рассмотрены формы насилия и пути их искоренения; сформулированы рекомендации и предложения, которые могут быть учтены соответствующими лицами и компетентными органами.

**ზრდებაიზინგის ხელშეკრულების შედარებითი ანალიზი
03არისა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებითან**

ფრენშაიზინგის ხელშეკრულებას განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მეშვიდე თავის 607-613-ე მუხლები¹. ეს არის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ერთი მხარე (უფლებამოსილი) ვალდებულებას იღებს, მეორე მხარეს (მოსარგებლეს) ანაზღაურების სანაცვლოდ გადასცეს ვადის მითითებით ან ვადის მითითების გარეშე უფლება, გამოიყენოს მოსარგებლის სამეწარმეო საქმიანობაში უფლებამფლობელის კუთვნილი ექსპლუზიური უფლებების კომპლექსი, მათ შორის უფლება საფირმო სახელწოდებაზე და(ან) ფრენშაიზერის (უფლებამფლობელის) კომერციული ნიშანი დაცულ კომერციულ ინფორმაციაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ექსპლუზიურ უფლებათა ობიექტებზე – სასაქონლო ნიშანი, მომსახურების ნიშანი და ა.შ. თავისი იურიდიული ბუნებით, ფრენშაიზინგის ხელშეკრულება კონსესუაციური, ანაზღაურებადი და ორმხრივია. გარდა ამისა, განსახილველი ხელშეკრულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამეწარმეო ურთიერთობებში, რადგან ხელშეკრულებაში მხარეებად გამოდიან მხოლოდ ინდივიდუალური მეწარმეები და კომერციული ორგანიზაციები.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულება განეკუთვნა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების დამოუკიდებელ სახეობას, რადგან ახასიათებს ხელშეკრულების სხვა სახეობებისგან განსხვავებული სპეციფიური ნიშნები. მიუხედავად მოქმედი კონცეფციისა, არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი ფრენშაიზინგის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ერთი ფიქრობენ, რომ მოცემული ხელშეკრულება „საწარმო“ ხელშეკრულებას წარმოადგენს,² მეორენი – ფრენშაიზინგის ხელშეკრულება უნდა მივაკუთვნოთ ხელშეკრულებათა შერეულ ტიპს, რადგან მასში სხვადასხვაგვარი ხელშეკრულებების ელემენტებია ჩართული. თუ ფრენშაიზინგის ხელშეკრულება განსხვავდება ყველა ცნობილი ხელშეკრულებისგან და თავისი ბუნებით არ არის შერეული ხელშეკრულება, მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ მის დამოუკიდებელ ბუნებაზე.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ფრენშაიზინგის ხელშეკრულება დამოუკიდებელი სახეობაა, მოცემული ხელშეკრულების კონსტრუქციაში სახეზეა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების სხვა სახეობების გარკვეული ნიშნები და ელემენტები. ფრენშაიზინგის ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების შედარებით ახალი ტიპია და ამიტომ მოცემული სამოქალაქო-სამართლებრივი კონსტრუქციის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი უდავოდ წარმოებდა არსებული სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტების გავლენით.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების შედარებითი ანალიზი სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების სხვა სახეობებთან შესაძლებლობას მოგვცემს, გამოვყოთ მოცემული

¹ <http://www.forms.ge/>

² Корчагин А.Д., Золотых Н.И., Зубкова Е.В., Курапов Г.П., Орлова В.В., Симонов Б.П. Правовые аспекты передачи технологий на коммерческой основе. М., 2000, ст. 326.

სახელშეკრულებო კონსტრუქციის არსებითი და დამახასიათებელი ნიშნები, განვსაზღვროთ ფრენშაიზინგის ხელშეკრულების ადგილი სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების სისტემაში.

I. ფრენშაიზინგისა და იჯარის ხელშეკრულებათა შედარებითი ანალიზი. ამგვარად, ფრენშაიზინგის და იჯარის ხელშეკრულებები, თავისი არსით, ფუნქციურად განკუთვნილია უფლებების გადაცემისთვის. ფრენშაიზინგის ხელშეკრულება გულისხმობს ფრენშაიზერის (უფლებამფლობელის) ექსკლუზიური საკუთრების უფლების ობიექტზე კუთვნილი უფლების გადაცემას ფრენშაიზისათვის (მოსარგებლისთვის) განსაზღვრული ვადით. ამ გაგებით, შეიძლება მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ სახელშეკრულებო კონსტრუქციაში გამოიყენება საიჯარო სამართალურთობებისთვის დამახასიათებელი ცალკეული ელემენტები, ხოლო იჯარის ხელშეკრულებისას მოიაზრება მეიჯარის საკუთრების სარგებლობის უფლებით მოიჯარისთვის გადაცემა.

ეს ორი სახელშეკრულებო კონსტრუქცია მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს, რადგან მიუხედავად ამ კონსტრუქციების მოწვენებითი მსგავსებისა, ისინი პრინციპულად განსხვავდება. ი. რომანეცი აღნიშნავს, რომ ფრენშაიზინგის ხელშეკრულება არის „ხელშეკრულება ვალდებულებათა იმ ჯგუფიდან, რომლებიც მიმართულია სამოქალაქო უფლებათა ობიექტების დროებით სარგებლობაში გადაცემისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ ფრენშაიზინგის სპეციფიკურმა ნიშნებმა განაპირობა სამართლებრივი რეგლამენტაციის არსებითი თავისებურება, მიმართულების მსგავსება არის ძირითადი იმისათვის, რომ გამომუშავდეს საკანონმდებლო რეგულირების ერთიანი მიღვომები და პრინციპები. ფრენშაიზინგის ინსტიტუტის შესახებ ნორმები, როგორც ნებისმიერი ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც მიმართულია სამოქალაქო უფლებათა ობიექტების დროებით სარგებლობაში გადაცემისაკენ, ახდენს იმ სამართლებრივი ელემენტების რეგლამენტირებას, რომლებიც უკავშირდება სამოქალაქო უფლებათა ობიექტების გადაცემას, სარგებლობასა და დაბრუნებას.“¹

ყოველთვის შეიძლება მოინახოს მსგავსი ელემენტები ფრენშაიზინგისა და იჯარის ხელშეკრულებებს შორის.

ასე, მაგალითად, ფრენშაიზინგის ხელშეკრულების რეგულირებისას, კანონმდებელი იყენებს იჯარის ხელშეკრულებასთან საკმაოდ ახლო მდგომ სამართლებრივ კონსტრუქციებს: იჯარის გამცემსაც (მეიჯარე) და ფრენშაიზერსაც (უფლებამფლობელი) უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი გაცემული ქონების გამოყენებაზე (ექსკლუზიური საკუთრების ობიექტებზე უფლებები). ორივე ხელშეკრულებაში დაშვებულია სუბსელშეკრულების (ქვეხელშეკრულების) ურთიერთობის გამოყენება, გათვალისწინებულია კეთილსინდისიერი სუბმოსარგებლისა და სუბარენდატორის უფლებების დაცვის მსგავსი სამართლებრივი მექანიზმი. ამ ორივე სუბიექტს აქვს უპირატესი უფლება ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ ხელშეკრულების ახალი ვადით დადგებისა. ამ ხელშეკრულებებისათვის საერთოა ის, რომ ისინი იდება ხანგრძლივი ვადით. მიუხედავად ამისა, ფრენშაიზინგისა და იჯარის ხელშეკრულებებში ყველა ამ ელემენტის მსგავსება ვერ გადაწონის მათ გან-

¹ Романец Ю.В. Система договоров в Гражданском праве России. М., 2001, ст. 362.

სხვავებას – გალდებულების ობიექტის არსეს; ასე, მაგალითად, იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მატერიალურ ობიექტებზე გადაიცემა უფლება, ხოლო ფრენშაიზინგის ხელშეკრულების თანახმად – იდეალურზე (უფლებები ექსპლუზიური საკუთრების ობიექტებზე). სწორედ ამაშია ამ ორი სახელშეკრულებო კონსტრუქციის ძირითადი განსხვავება.

II. აუცილებელია ფრენშაიზინგისა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების შედარებითი ანალიზი. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად, ერთი მხარე (გამყიდველი) ვალდებულებას იღებს, გადასცეს ნივთი (საქონელი) მეორე მხარეს (მყიდველს) საკუთრებაში, ხოლო მყიდველი ვალდებულებას იღებს, მიიღოს ეს საქონელი და გადაიხადოს გარკვეული საზღაური (ფასი). დოქტრინაში გამოთქმულია აზრი, რომ ფრენშაიზინგის ხელშეკრულება შეიძლება განვიხილოთ, როგორც „ქონებაზე უფლების ყიდვა-გაყიდვის“ ხელშეკრულება. მოცემული თვალსაზრისი ეყრდნობა სამოქალაქო კოდექსის თავისებურ ინტერპრეტაციას, რომლის თანახმად ყიდვა-გაყიდვაზე ზოგადი დებულებები მისადაგებულია ქონებრივი უფლებების გაყიდვასთან, თუ ამ უფლებების ხასიათიდან და შინაარსიდან რაიმე განსხვავებული არ გამომდინარეობს. მსგავსი კონცეფციის მომხრეა მ. სიროპოლისი, რომელსაც ფრენშაიზინგის ხელშეკრულება ქსმის, როგორც ხელშეკრულება, „რომლის მიხედვით, ერთი მხარისგან მეორეს გადაეცემა საკუთრების უფლება ექსპლუზიური უფლების ობიექტებზე“¹ ან „რომელიც ნებას რთავს მყიდველს, გაყიდოს გამყიდველის საქონელი ან მომსახურება“. მეუძღველებია, დავეთანხმოთ ამ სამეცნიერო კონცეფციას იმ მიზეზით, რომ ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისგან განსხვავებით, არ არის გაცვლითი ურთიერთობა, რომელიც დაკავშირებულია შემხედვი ვალდებულებების შესრულებასთან, არამედ არის განგრძობად ვალდებულებითი სამართალურთიერთობა. ასე, მაგალითად, ფრენშაიზინგის ხელშეკრულების თანახმად, გადაცემული უფლებების რეალიზაცია ფრენშაიზე (მოსარგებლებს) მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეუძლია. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სამართლებრივი კონსტრუქცია კი ვარაუდობს, რომ ასეთი ხელშეკრულების დადგისას მყიდველი აპრიორი ხდება ნივთის მფლობელი და გამყიდველი კი ამ უფლებას კარგავს. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება გულისხმობს სამართლებრივი ტიტულის გადაცემას, ხოლო, ფრენშაიზინგის ხელშეკრულების თანახმად, ფრენშაიზერი (უფლებამფლობელი) გადასცემს „ექსპლუზიური უფლებების კომპლექსს“. ამასთან, განსხვავებით გამყიდველისაგან, ფრენშაიზერი მითითებულ ობიექტებზე არ კარგავს საკუთრების უფლებას.

¹ Сирополис Н.К. Управление малым бизнесом : руководство для предпринимателей. М.,1997., ст. 140.

თამილა ხურციძე,
სამართლის დოქტორანტი

**ურგეშაიზინგის ხელშეკრულების შეღარებითი ანალიზი
იჯარისა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების**

განხილულია ფრენჩაიზინგის ხელშეკრულების შეპირისპირება იჯარისა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებთან. ხაზგასმულია ის საერთო ნიშნები და განმასხვავებელი თავისებურებები, რაც ზემოხსენებულ ხელშეკრულებებს ახასიათებს. ყურადღებაა გამახვილებული მათ სამართლებრივ ბუნებაზე, მოცემულია მეცნიერთა შეხედულებები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

Tamila Khurtsidze,
PHD student

**COMPARATIVE ANALYSIS OF FRANCHISING AGREEMENT
WITH RENTAL AND SALE AND PURCHASE AGREEMENTS**

There is considered comparative analysis of these agreements. According to these agreements it's emphasized what are similarities and differences of the above-mentioned contracts. There is paid attention to their legislative character, there are represented scientific points of view in connection with these questions.

Тамила Хурцидзе,
докторант права

ФРЕНЧАЙЗИНГ, ДОГОВОР АРЕНДЫ И ДОГОВОР КУПЛИ-ПРОДАЖИ

В статье приведен сравнительный анализ этих соглашений. Освещаются общие и отличительные черты, которые характерны для этих договоров. Обращается внимание на их правовую природу, рассмотрены научные мнения по этому вопросу.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, დისციპლინური სახდელის სახეები, დისციპლინური სამართალწარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი განისაზღვრება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით (2000 წლის 23 ოქტომბერვლის).

სასამართლო რეფორმის პერიოდში 1993 წელს რუსეთის ფედერაციის კანონმდებელმა უარი თქვა მოსამართლეთა არა მარტო დისციპლინურ, არამედ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაზე, რაც უდავოდ პროგრესული ნაბიჯი იყო მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის. მაგრამ შემდგომში სხვადასხვა მიზეზით აღდგენილ იქნა პასუხისმგებლობის ეს სახეები.

საქართველოს კანონმდებელი ისტორიულად ფრთხილად უდგებოდა მოსამართლის ავტორიტეტს და მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

დემოკრატიული საქართველოს 1921 წლის 21 ოქტომბელის (პირველი) კონსტიტუციის საერთოდ არ ითვალისწინებდა მოსამართლის დისციპლინურ თუ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. მოსამართლის თანამდებობიდან დროებითი გადაყენება შეიძლებოდა მაშინ, როცა ის სასამართლოში ან გამოძიებაში იყო მიცემული. სრული დათხოვნა კი შეიძლებოდა მხოლოდ სასამართლოს განახენით.¹

საბჭოთა წყობილების პირობებში მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ მოქმედი დებულებები ასევე ფრთხილად უდგებოდა მოსამართლეთა დასჯის საკითხს. მოსამართლეთა დასჯა იშვიათად ხდებოდა, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ამასთან, დეტულებები არ ითვალისწინებდა ისეთ უკიდურეს სანქციას, როგორიცაა მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.

საერთოდ, იურიდიულ ლიტერატურაში სადისკუსიოა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი. გამოიკვეთა ორი მიმართულება.

იმის მომხრეები, რომლებიც დაუშვებლად თვლიან მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას, მიიჩნევენ, რომ ასეთი პასუხისმგებლობის დაწესებამ შეიძლება გამოიწვიოს მოსამართლის პასუხისგებაში მიცემის შესაძლებლობა ყოველი უმნიშვნელო გადაცდომისათვის, რაც როულ მდგომარეობაში ჩააყენებს პრინციპულ მოსამართლეს.²

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მომხრეები კი თვლიან, რომ მოსამართლე არ შეიძლება იმყოფებოდეს სრულ პირად დამოუკიდებელ და უპასუხისმგებლო მდგომარეობაში. მისი დამოუკიდებლობა შეზღუდული უნდა იქნეს განსახილველ საქმეებში, ვისიც არ უნდა იყოს, ჩაურევლობის ფარგლებით. გამოცემული სასამართლო აქტების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება ზემდგომი სასამართლოს პრეროგატივაა.³

¹ საქართველოს კონსტიტუციის (1921 წლის). თბილისი, 1993 წელი, გვ. 83.

² Ершов В.В. Судебная власть в правовом государстве. М., 1992, стр. 82//В.Я. Телятников. Убеждение судьи, Санкт-Петербург, 2004, стр. 175.

³ ix.Черноморец А.Е. Культура правосудия и гражданско-правовая ответственность судей(Российский судья, 2001, №10, стр.38)//В.Я.Телятников, там же, стр. 175.

უფრო მეტიც, ზოგიერთი ქართველი იურისტი თვლის, რომ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მოსამართლეთა მიუკერძოებლობის, საზოგადოების მხრიდან სასამართლო ორგანოებისადმი ნდობის განმტკიცებისა და მართლმსაჯულების სიძლიერის წინაპირობაა. ყოველივე აღნიშნული არა მარტო ახასიათებს, არამედ განამტკიცებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას.¹

ჩვენი აზრით, მართალი არიან ის ავტორები, რომლებიც თვლიან, რომ სასამართლო ხელისუფლების შეზღუდვას იწვევს კანონით გათვალისწინებული სანქციები პროცესუალური მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისათვის.² დასჯილი მოსამართლე არ შეიძლება დამოუკიდებელი იყოს.

გაეროს სასამართლოს დამოუკიდებლობის მირითად პრინციპად მიაჩნია შემდეგი პირობები:

“მოსამართლისადმი, თანამდებობრივი და პროფესიული კომპეტენციიდან გამომდინარე, წაყენებული ბრალდების ან საჩივრის საფუძველზე საქმის წარმოება უნდა წარიმართოს სწრაფად და სამართლიანად, შესაბამისი პროცედურის მიხედვით. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს სამართლიანი სასამართლო მოსმენის უფლება. საკითხის გამოძიების საწყისს ეტაპზე დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობა, თუ თვალ მოსამართლე არ მოითხოვს საწინააღმდეგოს”.³

იმ შემოხვევაში, თუ მოსამართლე ვერ ასრულებს თავის მოვალეობას ჯეროვნად და ეფექტურად, არღვევს დისციპლინას, თითოეული ქვეყნის კონსტიტუციური პრინციპების, საკანონმდებლო დებულებებისა და ტრადიციების გათვალისწინებით, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სანქციები: а) მოსამართლისათვის საქმის ჩამორთმევა; ბ) მოსამართლის გადაყვანა სხვა სამოსამართლო დავალებების შესასრულებლად იმავე სასამართლოში; გ) ეკონომიკური სანქციები, როგორიცაა ხელფასის დროებით შემცირება; დ) დროებითი გადაყენება.

დანიშნული მოსამართლე უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არ შეიძლება გათავისუფლებულ იქნეს თანამდებობიდან მყარი საფუძვლის გარეშე. ასეთი საფუძვლები ზუსტად უნდა იქნეს კანონით განსაზღვრული. იგი შეიძლება შეეხებოდეს სამოსამართლო მოვალეობების შესრულების უუნარობას, სისხლისსამართლებრივი ან სერიოზული დისციპლინური დარღვევის ჩადენას.

ევროპის ქარტია, ეხება რა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, მიუთითებს დისციპლინური სანქციების კანონიერების პრინციპზე, როდესაც აცხადებს, რომ სანქციის შეფარდების ერთადერთი კანონიერი საფუძველია მოსამართლეთა სტატუტით გათვალისწინებული რომელიმე მოვალეობის შეუსრულებლობა და შესაფარდებელი სანქციების ჩამონათვალი ასახული უნდა იყოს სტატუტში. გარდა ამისა, ქარტია გარანტიებს დისციპლინური სამართალწარმოებისას, რომ დისციპლინური სანქცია შეიძლება შეეფარდოს გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია ისეთი სასამართლოს ან ორგანოს წინადადების, რეკომენდაციის ან თანხმობის საფუძველზე, რომლის, სულ ცოტა, ნახევარი მაინც

¹ 6. რამიშვილი. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონალიზმი. თბილისი, 2005, გვ. 146.

² А.Ф. Изварина. Судебная власть в Российской Федерации: содержание, организация, формы. Ростов-на-Дону, 2005, стр. 49.

³ სასამართლოს დამოუკიდებლობის მირითადი პრინციპები. სამართლიანი სასამართლოს უფლება. თბილისი, 2001, გვ. 16.

შედგება არჩეული მოსამართლეებისგან. მოსამართლეს უფლება აქვს სრულად დაესწროს სხდომებს, რომლებზეც მისი საქმე იხილება ან/და პყავდეს წარმომადგენელი. სანქციის შეფარდების შემთხვევაში მისი შერჩევა ხდება სანქციების ჩამონათვლიდან, პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. ბოლოს ქარტია ადგენს, რომ მოსამართლეს უფლება აქვს ზემდგომ სასამართლო ორგანოში გაასაჩივროს სანქციის შემფარდებელი გადაწყვეტილება, მიღებული ისეთი სასამართლო ორგანოს მიერ, რომლის, სულ ცოტა, ნახევარი შედგება არჩეული მოსამართლეებისაგან. ეს არ გულისხმობს აღნიშნული გასაჩივრების უცლების არსებობას პარლამენტის მიერ დაკისრებულ სანქციასთან დაკავშირებით.

ქარტია შეეხება სამოქალაქო და მატერიალურ პასუხისმგებლობასაც. ის ეფუძნება პრინციპს, რომ სახელმწიფომ უნდა გადაიხადოს კომპენსაცია ზიანისათვის, რომელიც სამოსამართლო ფუნქციების შესრულებისას მოსამართლის უსწორო და უკანონო მოქმედებამ გამოიწვია. ქარტიის მიზანი ის კი არ არის, მაინცდამაინც მოსამართლის ქცევის "უკანონო" და "უსწორო" ბუნებაზე მოახდინოს აქცენტირება, არამედ უფრო იმას გაუხვას ხაზი, რომ მიყენებული ზიანი მოსამართლის უკანონო და უსწორო ქცევის შედეგად წარმოიშვა. ეს არის გამოხატულება იმისა, რომ პასუხისმგებლობა ეფუძნება არა მოსამართლის ნებისმიერ არამართლზომიერ გამოვლინებას, არამედ უჩვეულო, განსაკუთრებულ და სერიოზულ ზიანს, რომელიც მოსამართლის უსწორო და უკანონო ქმედებამ გამოიწვია. ეს მნიშვნელოვანია იმ საკითხის თავიდან ასაცილებლად, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სისტემა უარყოფითად არ აისახოს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე.

ქარტია ასევე უზრუნველყოფს, რომ, როცა სახელმწიფოა პასუხისმგებელი იმ ზიანისათვის, რომელიც სამოსამართლო მოვალეობის შესრულების წესების უხეში და მიუტმებელი დარღვევის შედეგია, მას ჰქონდეს შესაძლებლობა, კანონით გათვალისწინებული პროცედურების აღდვრის გზით, მოსამართლისაგან მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც კანონით დადგენილ ფარგლებში იქნა მის მიერ გადახდილი.

უხეში და მიუტმებელი დარღვევის, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული პროცედურის გამოყენების მოთხოვნები არსებითი და მნიშვნელოვანი გარანტიებია საიმისოდ, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქისათვის გადახდილი საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების პროცედურა ბოროტად არ იქნეს გამოყენებული. ამისათვის დამატებითი გარანტიაც არსებობს. სახელდობრ, შესაბამის სასამართლოში სახელმწიფოს მხრიდან სარჩელის აღდვრისას აუცილებელია დამოუკიდებელი ორგანოს წინასწარი თანხმობა ამ საკითხზე.

როგორია ამ მხრივ საქართველოს კანონმდებლობა? საქართველოს კანონი საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართლარმოების შესახებ საქართველოში არსებული ერთადერთი კანონია, რომელიც უმკაცრესად აყენებს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს. ამგვარად არ არის დაყენებული საკითხები თვით მომეტებული საფრთხის წყაროებზე (საზღვაო, საპატიო ტრანსპორტი და ა.შ.) მოქმედ დისციპლინურ წესდებებშიც კი.

იურიდიულ დიტერატურაში დავა იყო იმის შესახებ, რა დარქმეოდა დისციპლინურ წარმოებას, პროცესი თუ პროცედურა. იმის გათვალისწინებით, რომ დისციპლინური გადაცდომა ყველაზე მსუბუქი ხასიათისაა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს შორის (აღმინისტრაციული გადაცდომა, დანაშაული), დადგინდა, რომ მას დარქმეოდა პროცედურა. ასეა ჩაწერილი ქარტიაშიც. ამასთან დადგინდა, რომ დისციპლინურ პროცედურაში გამოყე-

ნებულიყო პროცესის ისეთი დემოკრატიული ნორმები, როგორიცაა მასალების გაცნობის უფლება, დამცველის ყოლის უფლება და ა.შ.¹

კანონით მეტად გაფართოებულია დისციპლინური გადაცდომის სახეების წრეც (მუხლი 2). ესენია:

1) მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას კანონის უხეში დარღვევა. კანონის უხეშ დარღვევად ითვლება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა (ან შეეძლო მიეყენებინა) პროცესის მონაწილის, მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ან საჯარო ინტერესებს.

მოსამართლის მთელი საქმიანობა სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას მოწესრიგებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომლის 394-ე მუხლში ამომწურავდა ჩამოთვლილი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძლები. ასეთ პირობებში ზედმეტად მიგვაჩინა კანონის უხეში დარღვევის ცნების ზემოთ დასახელებული განმარტება. ეს გარემოება იწვევს მოსამართლის დასჯის საფუძლების ხელოვნურად, სუბიექტურად გაფართოებას. ამასთან, თუ გადაწყვეტილება არ გაუქმებულა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ ან უკანონოდ ცნობილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა საერთოდ უნდა გამოირიცხოს.

მოსამართლის მიერ კანონის უხეშ დარღვევად არ ჩაითვლება კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძლებად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა.

2) კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება.

მეორე მუხლის მიხედვით, კორუფციული სამართალდარღვევა არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დარღვევა, თუ იგი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

3) მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა ან მოსამართლის მოვალეობასთან ინტერესთა შეუთავსებლობა.

საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის თანახმად, მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოვაწვეობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

4) მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბდალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას.

მოსამართლისათვის შეუფერებელ ქმედებად, რომელიც ბდალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას, ითვლება მოსამართლის ისეთი მოქმდება ან უმოქმედობა, რომელიც არ არის დანაშაულებრივი, მაგრამ, თავისი ხასიათით, შეუთავსებელია მოსამართლის მაღალ წოდებასთან და ზიანს აყენებს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს და მოსამართლის რეპუტაციას.²

¹ Лебедев В. М. Воспитательная функция советского трудового права. М., 1981, стр. 124-125.

² А.Ф. Изварина. Судебная власть в Российской Федерации: содержание, организация, формы. Ростов н/Д; 2005, с. 43.

5) საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, ან შრომის დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა.

6) მოსამართლეთა თათბირის ან პროფესიული საიდუმლოების გამქდავნება.

7) დისციპლინური უფლებამოსილების მქონე ორგანოს საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან მისდამი უპატივცემულობა.

8) სასამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა.

ჩამონათვალი იმდენად ვრცელია, რომ გაურკვევებლი რჩება, რისთვის არ აგებს მოსამართლე პასუხს. ძნელია იმის გარკვევაც, თუ სად გადის ზღვარი დისციპლინურ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შორის. ყველაზე საშიშია ის ვითარება, რომ ეს ჩამონათვალი თანდათან ფართოვდება.

ამ კანონით, დისციპლინური გადაცდომის სუბიექტია, როგორც წესი, მხოლოდ მოსამართლე.

მაგრამ დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-4 მუხლი პასუხისმგებლობის სუბიექტად, მოსამართლის გარდა, თვლის საერთო სასამართლოს მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხულ მოსამართლეს, რაც ჩვენი აზრით, უკანონოა. რეზერვში ჩარიცხული მოსამართლე არ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას და არ გააჩნია მოსამართლის თანამდებობრივი ხელფასი.

მეტად გახანგრძლივებულია მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის განხილვის პროცედურა. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია მასალებს განიხილავს მიღებიდან ორი თვის ვადაში, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მიღებიდან ერთი თვის ვადაში, რაც შეიძლება კიდევ ერთი თვით გაგრძელდეს. რამდენადმე შეუსაბამოა დისციპლინური პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადებიც. კანონის მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეგისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების მიღების დღიდან – 1 წელი. საქართველოში საჯარო მოსამსახურებისათვის დადგენილია, შესაბამისად, 6 თვე და 1 თვე. ზემოთ აღნიშნული ხუთწლიანი ვადა საქართველოს კანონმდებლობით, შედარებით უფრო მიმეგ აღმინისტრაციული პასუხისმგებლობისთვისაც კი არ არის დადგენილი.

საოცარია, ვისი საჩივარი ან განცხადება არ შეიძლება გახდეს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართლწარმოების დაწესების საბაზი – ნებისმიერი პირის, სხვა მოსამართლის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოხელის, გამომმიებლის ან პროკურორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის და ა.შ. მოკლედ, მთელი საზოგადოება, ხელისუფლების ყველი შტოს წარმომადგენელი დარაზმულია დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი მოსამართლის წინააღმდეგ.

კანონის მე-2 მუხლში დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში მითითებულია სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევაზე.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის ამგვარი საკანონმდებლო ფორმულირება აშკარად ლახავს მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპს.

კანონში არ არის მოცემული დისციპლინური გადაცდომის ცნების განმარტება, რაც უსაშველოდ აფართოებს მოსამართლის პასუხისმგებლობის შემთხვევების წრეს. კანონიდან

გამომდინარეობს, რომ პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების ყოველი დარღვევისათვის მოსამართლემ პასუხი უნდა აგოს დისციპლინური წესით.

საერთოდ აღიარებულია, რომ ეთიკური ნორმების დარღვევა არ იწვევს სამართლებრივ შედეგებს და მხოლოდ ზნეობრივ გაკიცხვას იმსახურებს. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონით კი იგი დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი საფუძველია, რაც იწვევს სამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამგვარი ნორმის კანონში შეტანა თვით პროფესიული ეთიკის კოდექსს ზნეობრივ შინაარსს უკარგავს.

სამართლებრივი რეფორმის პირობებში საქართველოში შეინიშნება ”გატაცება” ფართომასშტაბიანი პროფესიული ეთიკის კოდექსების მიღებით არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინების გარეშე, რაც ფაქტობრივად უარყოფითად მოქმედებს ამა თუ იმ სამართალდამცველი ორგანოს მუშაკთა საქმიანობის დამოუკიდებლობის ხრისხსზე.

ტურინის სასამართლოს მოსამართლემ, მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის გენერალური მდივნის მოადგილემ ჯაკომო ობერტომ (იტალია) ასეთი წერილობითი შეფასება მისცა საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსის პროექტს:

„...პროექტის გაცნობისას მკითხველს ეუფლება გრძნობა თითქოს მისი მიზანი, რომელიც ამოძრავებდათ პროექტის ავტორებს იყო ის, თუ როგორ მიემსგავსებინათ მოცემული აქტი სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებისათვის, რომლებიც სრულყოფილად იქნა ჩამოყალიბებული დასავლეთის ქვეყნებში, იმ უდიდესი განსხვავების გათვალისწინებით, რაც ხელფასებში, სტატუტში, სოციალურ მდგომარეობაში არსებობს. ორივე მხარის მოსამართლეთა შორის რკინის ფარდაა.

ამ შეერთების პოლიტიკის შედეგი არის გაუწონასწორებლობა, რის გამოც მყარი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების ძირითადი მიზანი გაშვებულ იქნა. შიში ორი ან მეტი ეთიკური დარღვევისადმი დაქვემდებარებისა, რაც აღწერილია პროექტში, განაპირობებს მოსამართლეთა შეზღუდულობას მათივე დამოუკიდებლობის სფეროში. მოსამართლე ამით უფრო დამოკიდებული ხდება იუსტიციის საბჭოზე, ისევე, როგორც იუსტიციის სამინისტროზე¹.

ავტორი წინადადებას იძლევა, იგნორირება არ გაუკეთდეს საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტებსა და დეკლარაციებში ხაზგასმულ იმის აუცილებლობას, რომ ნებისმიერი დისციპლინური გადაცდომა ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული კანონით. ვფიქრობთ, ეს აზრი რაციონალურია და განუხერელად უნდა გატაცებს საქართველოს მოსამართლებოთან მიმართებაში. ქარტიის შესაბამისად, უნდა დადგინდეს მოსამართლეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხიც.

ჩვენი აზრით, არსებული დისციპლინური კანონი, ფაქტიურად, მიმართულია მოსამართლის დამოუკიდებლობის არა უზრუნველყოფის, არამედ შეზღუდვისათვის. ხელისუფლების სხვა შტოებს რომ პქონდეს ანალოგიური დისციპლინური კანონმდებლობა, რამდენიმე თვეში აღარც პარლამენტი იარსებებს და აღარც მთავრობა.

¹ საერთო სასამართლების მოსამართლეთა კონფერენციის მასალები. 2003 წ.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

განხილულია ისეთი აქტუალური საკითხი, როგორიცაა დაშვებული გადაცდომისათვის მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და დისციპლინური სახჯელის სახეები. მოცემული საკითხი პირდაპირ უკავშირდება მართლმაჭულების ისეთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური პრინციპის უზრუნველყოფას, როგორიცაა მოსამართლეთა დამოუკიდებლობა. დასჯილი მოსამართლე არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი.

ქართველი კანონმდებელი ისტორიულად ფრთხილად უდგებოდა მოსამართლის აკტორიტეტს და მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

საბჭოთა წყობილების ეპოქაში, ტოტალიტარიზმის პირობებშიც კი მოსამართლეთა დასჯა დისციპლინური წესით იშვითად ხდებოდა, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში. ამასთან, მაშინ მოქმედი დებულებები მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ არ ითვალისწინებდა ისეთ უკიდურეს სანქციას, როგორიცაა მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.

გაეროს მიერ მიღებული სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები და ამავე საკითხზე გამოცემული ევროპის ქარტია ასევე ფრთხილად უდგება ამ საკითხს.

საქართველოს კანონი "საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" უმკაცრესად აუქნებს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს. იგი ასე მკაცრად არ არის დაყენებული მოქმედებული საფრთხის წყაროებზე (საზღვაო, საჰაერო, სატრანსპორტო) მოქმედ წესდებებშიც კი.

კანონით მეტად გაფართოებულია დისციპლინური გადაცდომის სახეების წრე. ჩამონათვალი იმდენად დიდია, რომ გაურკვეველია რისთვის არ აგებს მოსამართლე პასუხს. ქნელია იმის გარკვევაც, სად გადის ზღვარი დისციპლინურ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შორის. ყველაზე საშიში ის გთარებაა, რომ ამ ჩამონათვლის გაფართოების ტედენცია არსებობს.

დისციპლინური პასუხისმგებლობის სუბიექტად მოსამართლის გარდა ითვლება საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხული მოსამართლეც, მაშინ, როცა ის საერთოდ არ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას და არ გააჩნია მოსამართლის თანამდებობრივი ხელფასი.

შეუსაბამოა დისციპლინური პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადებიც: 5 წელი – დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან, 1 წელი – დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ დადგენილების მიღების დღიდან. მაშინ, როცა, საჯარო მოხელეებისათვის დადგენილია, შესაბამისად, 6 თვე და 1 თვე. ამგვარი ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადა, საქართველოს კანონმდებლობით, დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან შედარებით, მმიმე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისთვისაც კი არ არის დადგენილი.

სტატიის ავტორი წინადადებას იძლევა, იგნორირება არ გაუკეთდეს საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტებში ხაზგასმულ იმის აუცილებლობას, რომ მოსამართლის ნებისმიერი დისციპლინური გადაცდომა ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული კანონით. ევროკული ქარტიის შესაბამისად, უნდა დადგინდეს მოსამართლეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხიც.

Lali Janukashvili,

PHD student

THE DISCIPLINARY LIABILITY OF JUDGES

This article refers to such actual question, as the reasons of the disciplinary liability of judges because of their actions and the types of disciplinary punishment. It is straightaway connected with ensuring of such an important constitutional principle of the justice as Freedom of Judges. Punished judge can not be independent.

Historically, georgian legislator carefully considered the high authority of the judges and even more the question of their disciplinary liability.

In the period of the Soviet Union, in the conditions of the totalitarism, the disciplinary punishment of the judges was rare, and only in extraordinary situations. Also, the law existed at that time, did not include such extreme sanctions, as dismissal from the judge position before time.

The United Nations and also, The European Charter, which guaranteed The principle of the Freedom of Judges, are very carefully with this question.

Georgian Law is very strict to the disciplinary liability of the judges of the courts of general jurisdiction and to their disciplinary process. The disciplinary liability is not so strictly regulated in the present regulations of the superfluous danger sources (naval, transport, air and so on).

Our law is diverse about the types of disciplinary actions. The list is so vast, that it seems unclear why the judges will not be liable for. It is difficult to make a line, where is the border of disciplinary and criminal liability. The more dangerous problem is that this list is broadening by the time.

Except of judge the subject of the disciplinary liability is the judge who is placed in reserve of courts of general jurisdiction then, when this judge does not have the judge authority and even does not have the salary accordingly to the other judges.

Obviously, it is unfair the remoteness time of the disciplinary liability - 5 years since making disciplinary action, and a year after making the resolution about the disciplinary liability, when for public authorities is established 6 month and a month. Such a long remoteness time is not fixed for more serious administrative liabilities in georgian legislation.

The author of this article suggests not to ignore the importance of the fact, that is highlighted in the documents of international organizations, that any disciplinary action of the judge should be appropriate to the law. There should be raised a question about the civil liability of the judges in the European Charter.

Лали Джанукашвили,

докторант права

ДИСЦИПЛИНАРНАЯ ОТВЕТСТВЕННОСТЬ СУДЕЙ

Статья посвящена дисциплинарным проступкам судей и видам дисциплинарных наказаний. Этот вопрос связан с конституционным принципом независимости судьи.

Исторически законодательство Грузии осторожно подходило к авторитету судей и особенно к их дисциплинарной ответственности.

В СССР при тоталитарном режиме ответственность судьи в дисциплинарном порядке происходила очень редко. Надо отметить, что в тот период закон не предусматривал освобождение судей от занимаемой должности.

ООН и Европейская Хартия, которые гарантировали принцип независимости судьи, очень старого относятся к этому вопросу.

В настоящее время закон о дисциплинарной ответственности судьи и дисциплинарном наказании очень строг. Не так строго ставится вопрос дисциплинарной ответственности в таких отраслях, как морское, воздушное и т.д. право.

Очень расширен круг дисциплинарных проступков. Просто невозможно понять из-за чего только нельзя наказывать судей, и этот круг еще расширяется. Непонятно, где грань между дисциплинарной и уголовной ответственностью.

Субъектом дисциплинарной ответственности считаются не только судьи общих судов, но и судьи в резерве; когда судья в резерве не осуществляет судебную деятельность, то и не получает такую же зарплату как и действующий судья.

Срок давности дисциплинарной ответственности - 5 лет со дня совершения проступка, и 1 год со дня принятия постановления о применении дисциплинарной ответственности. Для государственных работников срок давности дисциплинарной ответственности соответственно - 6 месяцев и 1 месяц. Таких длинных сроков давности не существует во время административной ответственности.

Автор статьи предлагает не игнорировать документы международных организаций, где говорится, что дисциплинарные проступки должны устанавливаться законом точно. В Европейской Хартии должен быть поднят вопрос о гражданской ответственности судей.

**მოსამართლეთა დამოუკიდებლობის
ზოლოსოფიური და თეორიული საცხმალები**

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის თავისი ფილოსოფიური და თეორიული ფესვები აქვს.

კლასიკური და თანამედროვე იურისპრუდენცია სამართლს განიხილავს არა როგორც სახელმწიფოს პროდუქტს, არამედ, პირიქით, როგორც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ანუ, მთლიანად, სახელმწიფო-სამართლებრივი ორგანიზაციის ფორმას. რაც მთავარია, სამართლის ფუნქციად დაპირისპირებულ მხარეთა შორის კონფლიქტის არა გამწვავება, არამედ მოხსნა; ხელისუფლების შტოებს, მათ შორის, ძალისმიერ სტრუქტურებს შორის უფლება-მოვალეობათა სამართლიანი და გაწონასწორებული განაწილება-გამიჯვნა; ხოლო კონფლიქტის შემთხვევაში, მისი განმუხტვა კონფლიქტში მონაწილე მხარეების მორიგების, დარღვეული უფლებების აღდგენის და, განსაკუთრებულ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის დაკისრების გზით.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო განიხილება როგორც სამართლის ერთ-ერთი სუბიექტი, რომლის ურთიერთობა სამართლის სხვა სუბიექტებთან წესრიგდება სამართლებრივი ნორმებით. ამასთან, სამართლის ნორმებში იგულისხმება არა მარტო კანონი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები, როგორც უზენაესი სამართლი, აგრეთვე სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, კონსტიტუციური ნორმები, მართლმსაჯულების პრინციპები და სახელშექრულებო სამართლის დამკიდრებული ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ სამართლის სუბიექტების, მათ შორის, სახელმწიფოს საქმიანობას.¹

სახელმწიფო (ხელისუფლება) არ განეკუთვნება სამართლის არსებას. იგი სამართლი-სადმი უცხო და მისდამი იერარქიულად დაქვემდებარებული ინსტიტუტია. სახელმწიფო (ხელისუფლება) სამართლს ანიჭებს სიცოცხლისუნარიანობას და მოქმედების შესაძლებლობას.² როგორც მართებულად შენიშვნავს მოსამართლე პოლმსი, სამართლი ცოცხლობს არა ლოგიკაში, არამედ გამოცდილებაში.³

უმრავლეს შემთხვევაში, კანონები სიცოცხლეს იქნება სასამართლოს მეშვეობით და გამოცდას გადის სასამართლო პრაქტიკაში. სასამართლოს შესაძლებლობა ეძლევა შეაფასოს კანონი სამართლებრივი სახელმწიფოს იდეალების თვალსაზრისით, ხელი შეუწყოს კანონმდებელს მის გაუმჯობესებაში, გამოვიდეს ზოგადსაკაცობრიო შეხედულებებიდან სიკეთისა და სამართლიანობის, ზნეობრივი სრულყოფისა და პუმანურობის შესახებ. აი რატომაა, რომ მონტესკიუ, თავისი ხატოვანი გამოთქმით, მოსამართლეებს უწოდებს ბაგაჟებს, რომლითაც კანონი მეტყველებს⁴.

¹ ბ. სავანელი. სამართლის თეორია, მე-2 გამოცემა. თბილისი, 1997, გვ. 11.

² გ. ხუბუა. სამართლის თეორია. თბილისი, 2004, გვ. 95.

³ The Common Law, p.1// ბ. სავანელი. სამართლის თეორია. თბილისი, 1997, გვ. 67.

⁴ შ.ლ. მონტესკიუ. კანონთა გონი. თბილისი, 1994, გვ. 189.

სამართლის ფილოსოფიაში აღიარებულია, რომ მიზანი მთელი სამართლის შემოქმედია (იერინგი), მაგრამ, როგორც კი წარმოიშობა, სამართალი მაშინვე უარყოფს თავისივე შემქმნელს, ვერც ასწრებს “მიზნიდან გამოსვლას”. სამართალი უპვე არ იღწვის მიზნის რეალიზაციისთვის, არამედ სურს იმოქმედოს საკუთარი სახელით, იცხოვროს თავისი კანონებით. მოქრძალებით განმარტოვდება სამართლის ფუნქციონირების მექანიზმი და მართლმსაჯულება, ამასთან გაიმიჯნება სახელმწიფოს მიზანსწრაფული საქმიანობისგან, აღმასრულებელი ხელისუფლებისგან. სწორედ ამაში მდგომარეობს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპის არხი (გ. რადბრუხი)¹.

ამავე მოსაზრებისაა ფ. ლიბერი, რომელიც აღნიშნავს, რომ “მოსამართლეთა ეს დამოუკიდებლობა მხოლოდ ნაწილია სამართლის ფოვლისმომცველი თავისუფლებისა”².

რადბრუხის აზრით, ამ პრინციპის მოქმედება განპირობებულია იმ ვარაუდით, რომ სამართლებრივი სისტემა და სახელმწიფო ხელისუფლების სისტემა არაიდენტურია და, გარდა ამისა, სამართალი, როგორც სამყარო, რომელიც უქვემდებარება განვითარების თავის კანონებს, სახელმწიფოს უპირისპირობება.

იგი განასხვავებს სამართლის სამ ელემენტს: სამართლიანობას, მიზანშეწონილობას და სამართლებრივ სტაბილურობას.

ის მიიჩნევს, რომ სამართლის იდეა სახელმწიფოსთან მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთი ელემენტის მეშვეობით, როგორიცაა მიზანშეწონილობა, რომელიც გამოხატავს, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოებრივ მიზანშეწონილობას, მაგრამ სამართალი გამოდის სახელმწიფოს ჩარჩოებიდან ორი დანარჩენი ელემენტის მეშვეობით.

კერძოდ, სამართლიანობა მოითხოვს ადრესატების მიმართ სამართლის ნორმების გამოყენებისას საყოველთაობისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას, სახელმწიფო მიზანშეწონილობის გათვალისწინების გარეშე. სამართლებრივი სტაბილურობა კი მოითხოვს პოზიტიური სამართლის მოქმედებას მაშინაც კი, როცა ეს არ არის მიზანშეწონილი სახელმწიფოს თვალსაზრისით. იმ შემთხვევაში, როცა სამართლის შინაარსი განისაზღვრება უპირატესად სახელმწიფოებრივი მიზანშეწონილობით, სამართლის ფორმა სახელმწიფო მიზნების მოქმედების სფეროს გარეთ და მასზე მაღლა დგას.

სამართალი გარკვეულწილად არ არის დამოკიდებული სახელმწიფოს მიზნებზე, იგი სხვა კულტურული ფასეულობების მსგავსად (მაგალითად, მეცნიერება და ხელოვნება) მაინც ჩაერთვება სახელმწიფოში. ამ გზით ის მაღლდება სახელმწიფო ამოცანების დონეზე.

არ არის სადაცო, რომ სამართალი სახელმწიფოს ემსახურება, როგორც მიზნების მიღწევის საშუალება. სახელმწიფო აიდელებს როგორც მეცნიერებას, ისე სამართალს ემსახუროს მას და, ამავე დროს, თვითონაც ემსახურება ორივეს. სახელმწიფო ზრუნავს მეცნიერებაზე და ანიჭებს თავისუფლებას. ამიტომ, სასამართლო გადაწყვეტილებებს

¹ Густав Радбрух. Философия права. М., 2004, с.194.

² Ф. Либер. Независимость юстиции и свобода права// Г.Радбрух, там же., стр.194.

არცთუ უსაფუძვლოდ უწოდებენ “ცოდნას”. სასამართლო დამოუკიდებლობა ნიშნავს მეცნიერების თავისუფლებას, გადატანილს პრაქტიკული იურისპრუდენციის დარგში.¹

ამრიგად, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სამოსამართლო დამოუკიდებლობის საფუძველია სამართლის დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან. მაგრამ ეს დამოუკიდებლობა არ არის აბსოლუტური. სამოსამართლო დამოუკიდებლობის (თავისუფლების) ფარგლები განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელსაც სახელმწიფო გამოსცემს.

“კანონი კანონია” – ამ ფრაზამ არ იცის რაიმე გამონაკლისი და საგალდებულოა უველა მოსამართლისათვის.

გ. რადბრუ აღნიშნავს, რომ მოსამართლემ, რომელიც ემსახურება კანონს ან განმარტავს მას, უნდა იცოდეს მხოლოდ პოზიტიური სამართლის მოქმედების თეორია. მოსამართლის პროფესიული მოვალეობა მდგომარეობს იმაში, რომ მოქმედებაში მოიყვანოს “მოქმედის ნება”, რომელიც ჩადებულია კანონში, მსხვერპლად შესწიროს თავისი სამართლებრივი გრძნობა კანონის უმაღლეს ავტორიტეტის. მან უნდა იკითხოს მხოლოდ ის, რა შეესაბამება კანონს და არასოდეს ის, არის თუ არა სამართლიანი. მაგრამ კანონი, თავისი შინაარსით, რაც არ უნდა უსამართლო იყოს, თავის არსებობის მარტივი ფაქტითაც კი აღწევს მიზანს – საზოგადოებაში სამართლებრივ სტაბილურობას. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოსამართლე ემორჩილება კანონის ნებას, აღარ ემსახურება სამართლიანობას, რჩება მართლწესრიგის დამცველად.²

ჩვენი აზრით, სწორია პროფ. ბ. საგანელი, რომელიც ეჭვეჭვებს “მხოლოდ კანონისადმი მოსამართლის დამორჩილების” კონსტიტუციური ნორმის მართლზომიერებას. მისი აზრით, “თუ მოსამართლეს შევბოჭავთ კანონით, მაშინ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, სახელმწიფოს სამართლით შეზღუდვის თვალსაზრისით, კარგავს ყოველგვარ აზრს. სამართალი რჩება სახელმწიფოს მხრივ შეზღუდული და არა პირიქით, რადგან თვით კანონს გამოსცემს სახელმწიფო და არ არსებობს იმის საიმედო გარანტია, რომ სახელმწიფო გამოსცემს თავის შემზღუდავ კანონს. ფორმულა “მოსამართლე მხოლოდ კანონს ემორჩილება” არის ისტორიის მიერ უარყოფილი პოზიციონიზმისაკენ დაბრუნებას. სოციალურ პრაქტიკაში ამ პრინციპის განხორციელება არარაობად აქცევს ხელისუფლების დანაწილების იდეას, მაშინ, როდესაც სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა სწორედ რომ გულისხმობს “მესამე ხელისუფლების” სასამართლოს პრესტიჟის ამაღლებას, როგორც იმ ძალისა, რომელსაც უნარი შესწევს წონასწორობაში მოიყვანოს დანარჩენი თრი ხელისუფლების ფუნქციონირება ურთიერთკონტროლის პრინციპით”.³

ამრიგად, დგება საკითხი სამართლიანი და უსამართლო კანონების შესახებ. უსამართლო კანონების ცხოვრებაში გატარება უდიდესი უსამართლობაა. ამიტომ, არა ყოველგვარი კანონის, არამედ მხოლოდ სამართლიანი კანონის დაცვა და ცხოვრებაში გატარებაა საგალდებულო.

¹ Г. Радбрух. Там же, стр. 194-195.

² Г. Радбрух. Там же, стр. 100, 225.

³ გ. სავანელი. სამართლის აზრის წვდომის პრობლემა // სახელმწიფო და სამართალი, №8, 1990, გვ. 22.

დემოკრატიული საზოგადოების იდეალია ერთმანეთისგან განასხვაოს სამართლიანი და არასამართლიანი კანონები და არასამართლიანი კანონები სამართლიანით შეცვალოს. მაგრამ, ამის პრაქტიკული რეალიზაცია დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ყოველთვის დარჩება ისეთი კანონები, რომელთა სამართლიანობა საეჭვო იქნება. მაში, როგორ უნდა მოიქცეს მართლმსაჯულების ორგანოები, დაელოდოს სანამ სამართალი გაიწმინდება არასამართლიანი კანონებისგან, თუ განუხრელად დაიცვას არსებული სახით? გამოსავალი ერთია: მართლმსაჯულებამ უნდა დაიცვას სამართალი იმ ფორმით, რა ფორმითაც დადგენილია სახელმწიფოს მიერ და მოქმედებს. მისი დარღვევა გამოიწვევდა უფრო მეტ უკანონობასა და უსამართლობას, ვიდრე მისი დაცვა.

ჩვენი აზრით, სწორია ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ “მოსამართლები არ უნდა დაარღვიოს კანონი იმ მოტივით, რომ იგი მას არასამართლიანად და არა-ჟუმანურად მიაჩნია. ამგვარი ქმედების დაკანონება სასამართლო პრაქტიკაში იქნებოდა უკანონობისა და უსამართლობის წყარო. მოსამართლემ მკაცრად უნდა დაიცვას კანონი. თუ მას მის სამართლიანობაში ეჭვი ეპარება, უნდა დააყენოს საკითხი მისი გადასინჯვის შესახებ. როდესაც სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები კანონიერების სრული დაცვით შეცვლის მოცემულ კანონს და მიიღებს ახალს, მხოლოდ ამის შემდეგ იქნება მოსამართლის ქმედება გამართლებული”¹. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს კანონების ამგვარი გადასინჯვის მექანიზმი არ არსებობს, რაც ბევრი უსამართლო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას იწვევს.

მიზანშეწონილია, ჩამოყალიბდეს “სამართლიანი სასამართლო პალატები”, ერთი მხრივ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელიც შეამოწმებს მიღებული ნორმატიული აქტების არა მარტო კონსტიტუციურობას, არამედ სამართლიანობასაც და, მეორე მხრივ, საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელიც შეამოწმებს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების სამართლიანობას როგორც პროცესუალური, ისე მატერიალური სამართლიანობის ოვალსაზრისით.

¹ ვ. ერქომაიშვილი. ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია. თბილისი, 2002, გვ. 176–177.

**ლალი ჯანუკაშვილი,
სამართლის დოქტორანტი**

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ფილოსოფიური და თეორიული საზოგადები

გაშუქებულია სამოქალაქო სამართლწარმოების ისეთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური პრინციპი, როგორიცაა მოსამართლეთა დამოუკიდებლობა.

თანამედროვე ევროპის სამართლის ფილოსოფიაში აღიარებულია, რომ სამოსამართლო დამოუკიდებლობის საფუძველი სახელმწიფოსგან სამართლის დამოუკიდებლობაა. მაგრამ ეს დამოუკიდებლობა არ არის აბსოლუტური. სამოსამართლო დამოუკიდებლობის ფარგლები განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელსაც სახელმწიფო გამოსცემს.

"კანონი კანონია" – ამ ყრაზამ არ იცის რაიმე გამონაკლისი და სავალდებულოა უველა მოსამართლისთვის. მან უნდა იკითხოს მხოლოდ ის, რა შეესაბამება კანონს და არასოდეს ის, არის თუ არა სამართლიანი. კანონი, თავისი შინაარსით, რაც არ უნდა უსამართლო იყოს, თავისი არსებობის მარტივი ფაქტითაც კი აღწევს ერთ მიზანს – საზოგადოებაში სამართლებრივ სტაბილურობას.

მოსამართლემ არ უნდა დაარღვიოს კანონი იმ მოტივით, რომ იგი არასამართლიანად და არაჰიმანურად მიაჩნია. ამგვარი ქმედების სასამართლო პრაქტიკაში დაკანონება იქნებოდა უკანონობისა და უსამართლობის წყარო.

მოსამართლემ მკაცრად უნდა დაიცვას კანონი. თუ კანონის სამართლიანობაში ეჭვი ეპარება, უნდა დააყენოს საკითხი მისი გადასინჯვის შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს კანონების ამგვარი გადასინჯვის მექანიზმი არ არსებობს, რაც ბევრი უსამართლო გადაწყვეტილების გამოტანას იწვევს.

ამიტომ, მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს „სამართლიანი სამართლის სასამართლო პალატები“, ერთი მხრივ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელიც შეამოწმებს გამოცემული ნორმატიული აქტების არა მარტო კონსტიტუციურობას, არამედ სამართლიანობასაც და, მეორე მხრივ, საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელიც შეამოწმებს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების სამართლიანობას როგორც პროცესუალური, ისე მატერიალური სამართლიანობის თვალსაზრისით.

**Lali Janukashvili,
PHD student**

PHILOSOPHICAL AND THEORETICAL FUNDAMENTALS OF JUDGES INDEPENDENCE

There is illuminated the main constitutional principle of the civil process, such as the Independence of Judges.

In the modern European law philosophy it is recognized, that the fundamentals of the Independence of Judges is the independence of the law from the state. But this freedom is not absolute. The limits of the freedom of judges are set by the legislation, that is issued by the government.

“Law is law” - this phrase does not know the exclusion and is binding for all the judges. They should ask what is corresponding to the law and never ask is that just at the same time or not. The law with its concept can be unfair, so it is achieving its aim by the fact of its existenc - the legal stability of the society.

Judges should not breach the law, because they think that it is unfair and inhuman. In the case law the legitimation of such action would be the source of illegality and unfairness. Judges should strictly follow the law. If they begin to doubt in the fairness of the law, they should claim to reconsider it. But, unfortunately, nowadays does not exist the mechanism of reconsideration of the law, which gives rise to unfair decisions made by the court.

So, I think there should be created the court chambers of fair law on the one hand in the Georgian Constitutional Court, which will control not only the constitutionality of the normative acts, but the fairness and, on the other hand, in the Supreme Court of Georgia, that will control the decisions made by the courts of general jurisdiction in all its aspects, in the context of the juridical and material fairness.

Лали Джанукашвили,
докторант права

ФИЛОСОФСКИЕ И ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ОСНОВЫ НЕЗАВИСИМОСТИ СУДЬИ

Освещается такой конституционный принцип гражданского судопроизводства как независимость судьи.

В современном философском праве сказано, что основой независимости судей является независимость права от государства. Эта независимость не является абсолютной. Независимость судей определяется законодательством, которое принимает государство.

“Закон есть закон” - судья должен действовать в соответствии с этой нормой. Судья не вправе обсуждать справедливость нормы закона. Несмотря на то, справедлив закон или нет, он достигает своей цели - правовой стабильности в обществе.

Судья не вправе нарушить закон, ссылаясь на то, что закон несправедливый или негуманный. Такая практика была бы источником беззакония. Судья должен строго соблюдать закон. Если он считает, что закон несправедлив, он может поставить вопрос о пересмотре закона. Но сегодня не существует механизма такого пересмотра. Это ведет к принятию незаконных судебных решений.

Считаем, что в конституционном суде и в Верховном суде должны быть созданы палаты справедливого права. Конституционная палата проверяла бы не только конституционную соответственность закона, но и справедливость этой нормы. Верховный суд проверял бы справедливость принятия решений как с процессуальной, так и с материальной точки зрения.

**ხელშეკრულებიდან ბასტლა სახელშეპრულებო ვალდებულების
მოსალოდნელი შესრულებლობის შემთხვევაში**

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონის მიერ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის მინიჭებული უფლებაა და ცალმხრივი ნების გამოვლენის საშუალებით ხორციელდება, მისთვის არ არის აუცილებელი ხელშეკრულების მეორე მხარის თანხმობა. მისი ერთ-ერთი თავისებურება იმაშია, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება იწვევს ახალი ვალდებულების წარმოშობას – ხელშეკრულების შედეგად მიღებული შესრულებისა და სარგებლის ერთმანეთისათვის დაბრუნებას.

სახელშეკრულებო ურთიერთობებში ხშირად წარმოიშობა სიტუაცია, როცა შესრულების ვადის დადგომამდე აშეარა ხდება, რომ მოვალე არ ან ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. აღნიშნული ნათელი ხდება გარემო პირობებიდან გამომდინარე, მოვალის ქცევით, მესამე პირთა მოქმედებით ან სხვა გარემოებით. ასეთ შემთხვევებში საინტერესოა რამდენად წარმოშობს ასეთი სიტუაცია ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. უველა განსახილველი სამართლის პრინციპის თანახმად, დაუშვებელია შესრულების ვადის დადგომამდე შესრულების მოთხოვნა, თუმცა ამ შემთხვევაში კრედიტორი, რომლისთვისაც ნათელია, რომ მისი მოთხოვნა ვერ შესრულდება იძულებულია დაელოდოს შესრულების ვადის დადგომას და მხოლოდ ამ ვადის დადგომის შემდგომ მიმართოს კანონით დადგენილ დონისძიებებს. ამავე დროს გასათვალისწინებელია მოვალის ინტერესი, რომელიც, მიუხდავად წინასწარ ცნობილი გარემოებებისა, გარანტირებულია შესრულების ვადით და აღნიშნული ვადის დარღვევა მის ინტერესებს უთუოდ მიაყენებს ზიანს და, ზოგადად, არასტაბილურს გახდის ამგვარ სახელშეკრულებო ურთიერთობებს. ამრიგად, შესრულების ვადის დადგომამდე ხელშეკრულებიდან გასვლის დაშვება პირდაპირ არის დაკავშირებული მხარეთა ინტერესებთან. აღნიშნულ საკითხზე როგორც ინგლისურ, ისე გერმანულ სამართლის ერთი და იგივე მიდგომა აქვს. კერძოდ, თუ შესრულების ვადის დადგომამდე ნათელი ხდება, რომ მხარე არ ან ვერ შეასრულებს არსებითად ნაკისრ ვალდებულებას, კეთილსინდისიერი მხარე უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია რა კრიტერიუმით უნდა იმსჯელოს მხარემ, შეასრულებს თუ ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს შესაბამისი ვადის დადგომამდე. აღნიშნული მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ვალდებულებების შინაარსზე. კერძოდ, თუ სახეზეა ფულადი ვალდებულების შესრულება ან ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული ფინანსური სახსრების განკარგვასთან, ასეთი კრიტრიუმი შეიძლება იყოს მხარის გაკოტრება, ასევე ისეთი ფინანსური ვალდებულების აღება მესამე პირის წინაშე, რომლის შესრულების ვადა წინ უსწრებს მისი ძირითადი ვალდებულების შესრულებას. აღნიშნული საფუძვლები შეიძლება მივიჩნიოთ მყარ არგუმენტად იმისათვის, რათა, გონივრულობიდან გამომდინარე, მხარემ მიიჩნიოს, რომ ვალდებულება არ შესრულდება და გავიდეს ხელშეკრულებიდან. თუმცა, ასეთი მყარი საფუძვლებიც არ არის იმის უტყუარი გარანტია, რომ ვალდებულება ნამდვილად არ შესრულდება და მეორე

შხარეს ყოველთვის შეუძლია მოიყვანოს საპირისპირო არგუმენტი იმისა, რომ მიუხედავად შექმნილი მდგომარეობის და შეცვლილი გარემოებისა, იგი დათქმულ დროს მაინც შესძლებდა ვალდებულებების შესრულებას, მაგალითად, ფინანსური კრიზისიდან გამოსვლას, შესაბამისი კრედიტების ან ინვესტიციის მოზიდვის გზით, რისი თეორიული შანსი რეალურად ყოველთვის არსებობს. განსაკუთრებით რთულია ასეთი არგუმენტების მოყვანა, როდესაც საქმე ეხება არა ფულად, არამედ სხვა ხასიათის ვალდებულების შესრულებას, მაგალითად, ექსპლუზიური მომსახურების გაწევას (ნახატის დახატვას, ოპერაციის გაკეთებას). ამ შემთხვევაში კრიტერიუმი შეიძლება იყოს მისი ქმედება, საიდანაც გამომდინარეობს მის მიერ ვალდებულების შესრულებაზე უარი, მისი ავადმყოფობა ან სხვა, თუმცა აქაც არც ერთი საფუძველი არ შეიძლება იყოს იმის სრული გარანტია, რომ ვალდებულება არ შესრულდება და მოვალე, ამ შემთხვევაში, დამოკიდებულია კრედიტორის ვარაუდზე.

სსკ-ის 405-ე მუხლის მე-4 ნაწილი განმარტავს, რომ კრედიტორი უფლებამოსილია გავიღეს ხელშეკრულებიდან, თუ აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი. აღნიშნული ნაწილი მოსდევს დამატებითი ვადის დაწესების მარეგულირებელ პუნქტებს. გერმანულის მსგავსად, ქართული კოდექსი არ ცნობს არსებით შეუსრულებლობას ხელშეკრულებიდან გასვლის აუცილებელ წინაპირობად, შესაბამისად, დამატებითი ვადის დაწესების ვალდებულება, იგივე, დამატებითი შესრულების მოთხოვნა ერთგვარად აკომპენსირებს აღნიშნულს და შესრულების შეუსრულებლობის საფუძვლით ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას აიგივებს არსებით შეუსრულებლობასთან. შეიძლება ითქვას, რომ კრედიტორი უფლებამოსილია, შესრულების ვადის დადგომამდე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ აშკარაა, რომ დადგება შეუსრულებლობა, რომლის გამოსწორებაც არც დამატებით ვადაშია მოსალოდნელი.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია მოვალის ქცევა და მიზანი სახელშეკრულებო ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით. როგორც წესი, მოვალე არ არის დაინტერესებული, რათა აშკარა გახდეს, რომ მისი ვალდებულება არ შესრულდება, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, მას ურჩევნია გათავისუფლდეს აღნიშნული ურთიერთობებისგან და შედარებით ნაკლები ზიანი მიიღოს, ვიდრე მიიღებდა შესრულების ვადის დადგომის შემთხვევაში დამდგარი დარღვევის გამოვლენისას. 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის “დ” ქვეპუნქტი შესაგებლის წარდგენის უფლებას აძლევს მოვალეს, თუმცა ბუნდოვანია, რას გულისხმობს კონკრეტულად კანონმდებელი და რამდენად რეალურია ასეთი შესაგებლის წარდგენა მოვალის მხრიდან. რადგან, როგორც აღინიშნა, ასეთ დროს, მოვალის ინტერესია დაამტკიცოს, რომ სურს და შეუძლია განახორციელოს შესრულება, რაც, თავისი შინაარსით, განსხვავდება უფლებამოსილებისგან წარადგინოს საპირისპირო მოთხოვნა კრედიტორის წინაშე.

საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ კონვენციის 72-ე, II მუხლი პირდაპირ მიუთითებს მასზე და განმარტავს, რომ, თუ დრო ამის საშუალებას იძლევა, კრედიტორმა გონივრული ვადა უნდა მისცეს მოვალეს, რათა ამ უკანასკნელმა შესრულების გარანტია წარმოუდგინოს მას. მხოლოდ მაშინ, როცა დროს განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს, კრედიტორი უფლებამოსილი ხდება დაუყოვნებლივ გავიდეს ხელშეკრულებიდან საფუძვლიანი ეჭვის მიზეზით. აღსანიშნავია ისიც, რომ კრედიტორის ეს ვალდებულება უქმდება, როცა მოვალე აშკარად უარს აცხადებს თავისი ვალდებულების შესრულებაზე (72-ე,

III). ამ მხრივ, ევროპული სამართლის პრინციპების 8:105-ე მუხლი მკაცრ რეგულირებას იძლევა და მთლიანად შესრულების გარანტიის ინსტიტუტს ეხება. ამ მუხლის ანალიზიდან ჩანს, რომ კრედიტორი უპირობოდ ვალდებულია შესრულების გარანტიის წარმოდგენა მოსთხოვოს მოვალეს და განსაზღვრული დრო მისცეს ამისთვის.¹

შესრულების გარანტია, სავალდებულო სახით, ქართულ კანონმდებლობაში გხვდება მხოლოდ ზოგიერთ, მეტწილად სახელმწიფო სამართალურთიერთობის მარეგულირებელ აქტებში. “სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებული პირი ვალდებულია წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე. საბანკო გარანტიის/ბეს რაოდენობას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს პრივატიზების განმახორციელებელი ორგანო. აგრეთვე, მყიდველი ვალდებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად, საინვესტიციო ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას, საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულების გამოცემიდან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე, ხოლო აუქციონის შემთხვევაში – აუქციონის ჩატარებიდან 1 თვის ვადაში, წარადგინოს საინვესტიციო ვალდებულების არანაკლებ 10% რაოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადა არანაკლებ 2 თვით უნდა აღმატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას. აღნიშნული პრინციპი მყიდველის მიერ ვალდებულების შესრულების უპირობო გარანტია. აღნიშნული ინსტიტუტი გხვდება ასევე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, წინასწარი ანგარიშსწორებისას და სხვა ნორმატიულ აქტებში.

მოცემულ საკითხზე ასევე საინტერესოა სხვა სამართლებრივი სისტემების პრაქტიკა, მაგალითად, ინგლისური სამართლის მიხედვით, თუ მხარე შესრულების ვადის დადგომამდე გამოხატავს განზრახვას სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შესახებ ან იმგვარად მოქმედებს, რომ გონიერი ადამიანის დასკვნით, გამოხატავს განზრახვას არ შეასრულოს სახელშეკრულებო პირობა, ადგილი აქვს მოსალოდნელ დარღვევას.² გერმანულ სამართლებრივ სივრცეში მოთხოვნის უფლება წარმოიშობა ხელშეკრულების დადების მომენტიდან. შესრულების ვადის დადგომამდე მოსარჩევეს უფლება აქვს ივარაუდოს, რომ ხელშეკრულება მოქმედი და დამავალდებულებელია. მოპასუხე ვალდებულების უარყოფით არღვევს ხელშეკრულებას, თუნდაც შესრულების ვადა ჯერ არ იყოს დამდგარი. ამ წესიდან არსებობს ორი გამონაკლისი:

– მოპასუხის მიერ ვალდებულების უარყოფა მისთვის დაკისრებულ მთლიან შესრულებას უნდა ეხებოდეს;

– თუ მოსარჩევე (დაპირების მიმღები) არ მიიღებს მოპასუხის (დამპირებლის) მხრიდან ვალდებულების უარყოფას და მოითხოვს მისგან დანაპირების შესრულებას, ხელშეკრულება ძალაში რჩება ორივე მხარის სასარგებლოდ და, თითოეულის რისკით, სხვა

¹ The Principles of European Contract Law-Parts I and II Revised 1998, Part III-2002, available at www.lexmercatoria.org. (08.12.07).

² HK Contract Law, Repudiation and The Right to Rescind, Part 17, refers to Chitty on Contracts, 28th ed, (1999) Vol 1, para 25-020. available at http://lawprc.com/HK_Contract_Law/HK_Contract_17_reputation.html (25.12.07).

რაიმე მიზეზით შეუსრულებლობისას, დამპირებელს შეუძლია დაეყრდნოს ამ უკანასკნელი დარღვევის საფუძველს.¹

ინგლისური სამართლის მიხედვით, მოსალოდნელი დარღვევისას ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლებელია მხოლოდ ორ შემთხვევაში: როცა მოვალე თავისი ქცევით ან განცხადებით უარს ამბობს შესრულებაზე და როცა ის თავისსავაგ ქცევით შეუძლებელს ხდის მას. ეს ის შემთხვევებია, როცა აშკარაა არსებითი შეუსრულებლობის დადგომა მომავალში. თუმცა ამ შემთხვევაშიც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმომობა კრედიტორის შეფასებაზეა დამოკიდებული ანუ, მისი შეფასებით, მოვალის ქცევა აშკარას ხდის ხელშეკრულების მომავალ შეუსრულებლობას, მას შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან.

ფრანგულ სამოქალაქო სამართალში არ არსებობს დოქტრინა მოსალოდნელი დარღვევის შესახებ. ფაქტი იმისა, რომ მოვალემ უარი თქვა შესრულებაზე ან თავისსავე ქცევით შეუძლებელი გახადა იგი, მხოლოდ შესრულების ვადის დადგომით იძენს მნიშვნელობას.² ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის მე-80 მუხლი განმარტავს, რომ სათანადო სარჩელის წარდგენამდე შეუსრულებლობისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი შედგენი სამ შემთხვევაში დგება: 1) აშკარაა, შესრულება შეუძლებელი იქნება; 2) თუ კრედიტორი მოვალის შეტყობინებიდან უფლებამოსილია დაასკვნას, რომ ეს უკანასკნელი არ შეასრულებს ვალდებულებას; 3) თუ კრედიტორს საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ მოვალე არ განახორციელებს შესრულებას და არ პასუხობს კრედიტორის წერილობით გაფრთხილებას, სადაც აღნიშნულია კრედიტორის ეჭვის ყველა საფუძვლიანი მიზეზი და მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მოვალემ დაადასტუროს მზადყოფნა – შეასრულოს ვალდებულება გაფრთხილებაში მითითებულ გონივრულ ვადაში.³

¹ დაწვრილებით იხ. Sir William R. Anson, Bart., D.C.L, Principles of the English Law of Contract and of Agency in its Relation to Contract, Ninth ed. Oxford, At the Clarendon Press, London and New York: Henry Frowde, 1899, 304-316.

² Hugh Beale, Hein Kötz, Arthur Hartkamp, Denis Tallon (Gen. ed.), Casebooks on the Common Law of Europe, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 780-781.

³ New Netherlands Civil Code-Patrimonial Law, Translated by P.P.C. Haanappel and Ejan Mackaay, Under the Auspices of the Ministry of Justice of the Netherlands, Quebec Centre of Private and Comparative Law, Kluwer Law and Taxation Publishers, Deventer. Boston.

ქეთევან გოგუა,
სამართლის დოქტორანტი

**ხელშეკრულებიდან გასვლა სახელშეკრულებო ვალდებულების
მოსალოდნელი შესრულებლობის შემთხვევაში**

ქართულ კანონმდებლობაში არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები ვალდებულების შეუსრულებლობასა და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ოფიციალურებასთან დაკავშირებით. კერძოდ, არსებით დახვეწას საჭიროებს სსკ-ს 405-ე მუხლი, რომელიც, ერთი მხრივ, დამატებითი ვადის დაწესების საკითხს ეხება, ხოლო, მეორე მხრივ, მასში მოცემულია ხელშეკრულებიდან გასვლისა და შეწყვეტის საფუძვლებზე მითითებები, საიდანაც ცალსახად იკვეთება არსებითი შეუსრულებლობისა და შესრულების შეუძლებლობის ცნებები. თუმცა აღნიშნული მითითებები იმდენად ზოგადია და იძლევა ორაზროვანი განმარტების შესაძლებლობას, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობებში მათი გამოყენება სირთულეებს უკავშირდება და ხშირად სასამართლო დავის საგანი ხდება.

ამდენად, სასურველია გაზიარებულ იქნეს ევროპული სამართლის პრინციპები და სამოქალაქო კოდექსში გაიმიჯნოს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობასთან მიმართებაში, რომელიც დაფუძნებული იქნება მხარეთა ორმხრივ ინტერესებზე.

Ketevan Gogua,
PHD Student

**RESCISSION UNDER PRESUMABLE
BREACH OF CONTRACT**

There are quite a few legal gaps in Georgian law regarding to the non performance of obligations, in particular with respect of impossibility of performance. 405 clause of Georgian civil code requires further revision as on the one hand it regulates the issue on giving additional time period to the party and on the other hand it refers to the issues on contract termination and rescission. However the references are so general and permits its ambiguous interpretation, that frequently causes problems in contractual relations and goes to the court.

Therefore it is reasonable to share the principles of European law and the issue on rescission because of impossibility of performance should be allocated separately and based on the mutual interests of the contractual parties.

ВЫХОД ИЗ ДОГОВОРА В СЛУЧАЕ НЕВЫПОЛНЕНИЯ ОБЯЗАТЕЛЬСТВ ДОГОВОРА

В грузинском законодательстве есть значительные пробелы в части регулирования предположительного невыполнения обязательств договора. В частности, требует значительных исправлений. Гражданский кодекс - статья 405, а именно раздел 4, который определяет, когда кредитор имеет право расторгнуть договор, если есть очевидные основания для невыполнения. Это следует из статей о введении дополнительных нормативных положений дополнительного периода и находится в статье, регулирующей дополнительный период, который не связан с возможным нарушением. Кроме того, грузинское законодательство не определяет каких-либо гарантий выполнения, что особенно важно в случае нарушения договора.

Поэтому было бы разумно разделить принципы европейского права, предусмотренные в статье, таким образом, чтобы Гражданский кодекс предоставлял отдельные положения о предположительном несоблюдении, которые будут основаны на взаимных интересах сторон.

შეთქმის ხელშეკრულების ბასვლის შესახებ

ხელშეკრულებიდან გასვლის ფორმის განსაზღვრა მნიშვნელოვანია მხარეთა შემდგომი სამართლებრივი ურთიერთობებისთვის და განსაზღვრავს ამ უფლების განხორციელების სამართლებრივ მართებულობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლი ძალზე შემრადად განსაზღვრავს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება შეტყობინების გზით. კანონი არ განსაზღვრავს დამატებით რაიმე ფორმას ასეთი სახის შეტყობინებისთვის, თუმცა მნიშვნელოვანია რამდენიმე გარემოება, რომელიც სავალდებულოდა მიჩნეული მუხლის კომენტარებსა და სხვადასხვა ლიტერატურაში. კერძოდ, შეტყობინება გაგზავნილი უნდა იქნეს იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს კანონით გათვალისწინებული უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე.¹ აღნიშნული პირობა ცალსახაა, ვინაიდან მესამე პირი ვერ იქნება ხელშეკრულებიდან გასვლის ინიციატორი, ვინაიდან იგი არ არის სახელშეკრულებო ურთიერთობის სუბიექტი და მისი მონაწილე. თუმცა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება შეიძლება მას ჰქონდეს არა მხოლოდ კანონიდან, არამედ ხელშეკრულებიდანაც. შეტყობინება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი მიუვა ხელშეკრულების მეორე მხარეს, თუმცა რა ფორმით ბუნდოვანია, კერძოდ, „მისვლაში“ მხოლოდ წერილობითი ფორმით მისვლა იგულისხმება თუ არა გაურკვეველია. თუმცა ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, ხელშეკრულებიდან გასვლა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და ადრესატს გაეგზავნოს ფოსტით, ფაქსით ან ელექტრონული ფოსტით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის მიხედვით, არ არის აუცილებელი შეტყობინება შეიცავდეს შეწყვეტის საფუძველს და მთავარია მკაფიოდ იყოს მითითებული ხელშეკრულებიდან გასვლის სურვილი, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა აღნიშნულს იმპერატიულად არ განსაზღვრავს, აღნიშნული უფლების სამართლებრივი საფუძლის მითითება მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ მეორე მხარეს მიეცეს შესაძლებლობა შეაფასოს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების კანონიერება და, აღნიშნულიდან გამომდინარე, დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები.

გერმანულ სამართალში ხელშეკრულებიდან გასვლა მხარის განცხადებით ხორციელდება, რომელსაც განამტკიცებს გსკის 349-ე მუხლი. მუხლი არის იმპერატიული, უპირობო და არავითარ გამონაკლისს არ უშვებს. როდესაც მოთხოვნა დამატებითი ვადის დაწესების შესახებ დღის წესრიგიდან მოიხსენება, კეთილსინდისიერმა მხარეებ დროულად უნდა განახორციელოს ხელშეკრულებიდან გასვლის მეორეული მოთხოვნის უფლება, ეს უკანასკნელი რომ არ გაქარწყოდეს.² არის შემთხვევა, როცა აღნიშნული შეტყობინება საერთოდ კარგავს სამართლებრივ მნიშვნელობას. ესაა გსკის 326-ე მუხლით განმტკიცებული შესრულების შეუძლებლობა, რომლის დროსაც როგორც კრედიტორი, ისე მოვალე ავტომატურად თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისგან. ამიტომ, შეტყობინება ამის შესახებ აბსოლუტურად ზედმეტია, თუმცა ხელშეკრულებიდან გასვლა ავტომატურად არ წარმოიშობა. უნდა აღინიშონ გსკის 350-ე მუხლი, რომელიც განმარტავს, რომ მოვალე უფლებამოსილია ხელშეკრულებიდან გასვლისთვის კონ-

¹ ლ. ჭაბურია, ბ. ზოიძე, თ. ნინიძე, რ. შენგელია, ჯ. ხეცურიანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე. ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი. ობილის: სამართალი, 255.

² Ole Lando and Hugh Beale, Principles of European Contract Law, Parts I and II, Combined and Revised, Prepared by The Commission of European Contract Law, Kluwer Law International, The Hague/London/ Boston, 416-417.

კრეტული ვადა განუსაზღვროს კრედიტორს ისე, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ კრედიტორის ეს უფლება გაქარწყლდება.¹ ეს მნიშვნელოვანი ნორმაა მოვალის ინტერესის დასაცავად, რომელმაც უნდა იცოდეს კრედიტორის არჩევანი, რათა მას თავისი ქცევა შეუსაბამოს. ამ თვალსაზრისის ანალოგიურია 405-ე მუხლი, რომელიც მოვალეს ანიჭებს უფლებას კრედიტორს განუსაზღვროს ხელშეკრულებაზე უარის თქმის გონივრული ვადა.

ამასთან, აუცილებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს დამატებითი ვადისა და შეტყობინების შესახებ მოთხოვნები. ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინება ძალაშია მას შემდეგ, რაც მისთვის განსაზღვრული წინაპირობები იქნება დაკმაყოფილებული. მოვალის მიერ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კრედიტორი კარგავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. არ შეიძლება მიჩნეული იყოს, თითქოს კრედიტორს, აღნიშნული ვადის გაშვების მიუხედავად, უნარჩუნდება ეს უფლება, დამატებითი ვადის გამოყენების გზით, როგორც ეს ქართულ სამართლებრივ პრაქტიკაშია გავრცელებული.

ქართული კოდექსი ცალკე დანაწესს არ ითვალისწინებს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინების სამართლებრივი ბუნების შესახებ. ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, როგორც აღმქურველი უფლება, ნებისმიერ დროს შეიძლება იყოს გამოყენებული, თუ ამის საფუძველი არსებობს. თითქმის ყველა სამართლის სისტემა, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების დროის გარკვეული პერიოდით შეზღუდვის საჭიროებას აღიარებს. მიზანშეწონილია, ეს მოთხოვნა გამოიკვეთოს ქართულ სამართალშიც. ფსკ-ის 1184-ე, III მუხლით განმტკიცებული მიღორმა, რომლითაც დაუშვებელია სახელშეკრულებო ურთიერთობა ერთ-ერთი მხარის ნებით შეწყდეს, სერიოზულ პრაქტიკულ სირთულეს წარმოშობდა, რადგან სახელშეკრულებო ურთიერთობა უმოძრაო რჩება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. ამიტომ, დამკვიდრდა წესი, რომლის თანახმად, კეთილსინდისიერი მხარე უფლებამოსილია სასამართლოსთვის მიმართვის მომენტამდე ხელშეკრულებიდან გასვლა განუცხადოს მეორე მხარეს.² ფრანგული სასამართლო პრაქტიკა აიძულებს მხარეებს ხელშეკრულების დადებისთანავე განსაზღვრონ დარღვევები, რომლებიც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს შეადგენს. ამ დელეგირებულ უფლება-მოსილებას, როგორც წესი, ადვოკატები და ბიზნესმენები ახორციელებენ.³ აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში შენარჩუნებულია იდეა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის დაუშვებლობის შესახებ, რადგან, ერთ შემთხვევაში, არსებობს მხარეთა შეთანხმება, ხოლო, მეორე შემთხვევაში, სასამართლო ბოლო ინსტანციად რჩება.

ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლა ხორციელდება როგორც მხარის ცალმხრივი განცხადებით, ისე სასამართლო წესით. ამასთან, ცალმხრივ განცხადებას დამატებითი მოთხოვნა უწესდება, რითაც კოდექსის 267-ე მუხლის თანახმად, მხარის განცხადება წერილობითი უნდა იყოს. შეტყობინების შესახებ მოთხოვნა განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს კრედიტორის დისკრეციას ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ, ამიტომ შეტყობინების მოვალეობა განსაზღვრულ დამცავ ფუნქციას ასრულებს მოვალისთვის. თუ კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმა სურს, ამის შესახებ განცხადება გონივრულ ან მეორე მხარის მიერ განსაზღვრულ ვადაში უნდა გააკეთოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობას კი მოჰყვება სამართლებრივი შედეგი ხელშეკრუ-

¹ German Civil Code, Juris GmbH, Saarbrücken, 2005, § 350.

² Konrad Zveigert, Hein Kötz, Introduction to Comparative Law, Volume II-The Institutions of Private Law, Second Revised ed., Translated from the German by Tony Weir, Oxford, Clarendon Press, 1987, 188-189.

³ iqve, 188-189; "Pacte Commissaire".

ლებიდან გასვლის უფლების გაქარწყლების სახით. მოცემული სამართლებრივი მოწესრიგება ნათელს ხდის, თუ რა სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს შეტყობინების ვალდებულებას, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების აუცილებელ პირობას.

აშშ-ს კალიფორნიის შტატის კანონმდებლობის თანახმად, მხარე, რომელიც შეიტყობს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობის შესახებ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს. მიუხედავად ასეთი იმპერატიული დანაწესისა, თუ შეტყობინების გაგზავნა მოხდა მოვაინებით და არა დაუყოვნებლივ, აღნიშნული შეიძლება გახდეს ხელშეკრულებიდან გასვლის უარყოფის საფუძველი იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინების გაგზავნის დაყოვნებამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მეორე მხარეს¹. თუმცა, კანონი ხელშეკრულებიდან გასვლის მსურველი მხარისგან იმპერატიულად მოითხოვს გამოიჩინოს კეთილგონიერება და შეძლებისდაგვარად სწრაფად გაუგზავნოს შეტყობინება მეორე მხარეს. მხარის მხრიდან ყოველგვარი არაკეთილსინდისიერება დაუშვებელია. არ შეუძლია ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინების გაგზავნამდე მიიღოს რაიმე სახის სარგებელი, რაც შეიტყობს ხელშეკრულებიდან გასვლის მიუხედის. ასეთ შემთხვევაში მისი უფლება გაქარწყლებულად ჩაითვლება². იმ შემთხვევაში, თუ მხარემ უარყო ხელშეკრულებიდან გასვლის შეტყობინება, მხარე უფლებამოსილია გააგრძელოს ხელშეკრულებიდან სარგებლის მიღება.

საინტერესოა, რომ 2009 წლის აგვისტოში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ჯანმრთელობისა და სოციალურმა სამსახურმა გამოსცა დროებითი წესი ჯანდაცვის დარგში არსებული სახელმწიფო და მისი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინებებთან დაკავშირებით, სადაც განისაზღვრა ზოგადი წესები და კრიტერიუმები. კერძოდ, აღნიშნული წესის შესაბამისად, შეტყობინება გაგზავნილი უნდა იქნეს ფოსტით, გამონაკლის შემთხვევაში – ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, თუ ეს თვით მხარეთა ხელშეკრულებითაა დაშვებული. აღნიშნული შეტყობინება გაგზავნილი უნდა იქნეს მას შემდეგ, რაც მხარე შეიტყობს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს ან, უკიდურეს შემთხვევაში, არა უგვიანეს 60 დღისა შეტყობის დღიდან და აუცილებლად უნდა შეიცავდეს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობის საფუძვლისა და მასთან დაკავშირებული გარემოების აღწერას.

ხელშეკრულებიდან გასვლის საინტერესო მაგალითია მარტივი ნასყიდობის გარიგებიდან გასვლის შემთხვევა, რომელიც ხორციელდება საფაჭრო ობიექტებში. კერძოდ, ნივთის ნასყიდობისას მიღებულ ქვითარში მითითებულია ვადა, რომლის განმავლობაში მყიდვებს ეძლევა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება. აღნიშნული ვადის დარღვევა კი ავტომატურად წარმოშობს აღნიშნული უფლების გაქარწყლებას. ამასთან, ზოგ შემთხვევაში, ასეთი ვადის მითითება არ ხდება, რაც მყიდვებს მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან დროის შეუზღუდვად, სანამ ნივთს შენარჩუნებული ექნება ნასყიდობის დროს არსებული სახე და, შესაბამისად, ღირებულებაც. აღნიშნული პრაქტიკა დამახასიათებელია ევროპული ქვეყნებისა და აშშ-სათვის და, სამწუხაოდ, არ არის დანერგილი საქართველოში, რაც მნიშვნელოვნად არღვევს მომხმარებელთა უფლებებს, ხელს უშლის ჯანსაღი კონკურენციისა და ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას.

¹ [Ca Civil § 1693].

² [Neet v. Holmes (1944) 25 Cal.2d 447, 457-458, 154 P.2d 854, 859; see Saret-Cook v. Gilbert, Kelly, Crowley & Jennett (1999) 74 Cal.App.4th 1211, 1226, 88 Cal.Rptr.2d 732, 743].

**ქეთევან გოგუა,
სამართლის დოქტორანტი**

შეტყობინება ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ

ხელშეკრულებიდან გასვლის ფორმის სამართლებრივი რეგულირება მნიშვნელოვანი საკითხია მხარეთა სამართლებრივი ურთიერთობებისთვის, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, სწორედ მასზეა დამოკიდებული ამ უფლების განხორციელების კანონიერება და სახელშეკრულებო ურთიერთობების შემდგომი განვითარება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ძალზე მშრალ რეგულირებას იძლება აღნიშნულ საკითხზე, რომელიც იწვევს ორაზროვან განმარტებებს და სადაცოს ხდის შეტყობინების მიცემის ფორმის კრიტერიუმებს. ამ ფორმის ელემენტებზე საუბარია კომენტარებსა და დამატებით ლიტერატურებში, თუმცა სავალდებულო იურიდიული ძალის მისაცემად სასურველია, რომ კანონმა ზუსტად განსაზღვროს მისი წერილობითი ფორმა, ასევე სასურველია დაზუსტდეს მისი გაგზავნის წესი. ეს საკითხები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ ურთიერთობებში, როდესაც ხელშეკრულებით მხარეთა მიერ ეს საკითხები დარეგულირებული არ არის და სასამართლოს განმარტებებზეა დამოკიდებული.

**Ketevan Gogua,
PHD student**

NOTIFICATION ABOUT RESCISSION OF THE CONTRACT

legal regulation of the form of rescission is a very important issue for the legal relations of parties, as in most cases the legality to exercise the right of rescission depends on the form of rescission and the development of contractual relations. Georgian civil code provides very poor regulation on this issue, which often permits the ambiguous interpretation and makes arguable the criteria of giving notice. The commentaries and additional literature provide the elements of the notice, but in order to give it the legal force it is desirable, that the law should define its written form and stipulate rules for the delivery of such notice. These issues are particularly important in those cases, where the parties have not agreed on them in the contract and the decision of the case basically depends on the interpretation of the court.

**Кетеван Гогуа,
докторант права**

СООБЩЕНИЕ О ВЫХОДЕ ИЗ ДОГОВОРА

Правовое регулирование форм расторжения является очень важным вопросом для правовых отношений сторон, поскольку в большинстве случаев законность воспользоваться своим правом на расторжение зависит от формы расторжения и развития договорных отношений. Гражданский кодекс Грузии предусматривает очень сухое регулирование по этому вопросу, которое часто позволяет неоднозначное толкование и делает спорным критерий предоставления уведомления. Комментарии и дополнительную литературу обеспечивают элементы уведомления, а для того чтобы придать им юридическую силу, желательно, чтобы закон определял его в письменной форме и устанавливал правила для доставки такого уведомления. Эти вопросы особенно важны в тех случаях, когда стороны не договорились о них в контракте, и решение дела в основном зависит от интерпретации суда.

**დაზღვევის ხელშეპრულება და მისი რეგულირების
შედარებითი ანალიზი**

თანამედროვე საქართველოში ყოველწლიურად ვითარდება დაზღვევის ბიზნესი და, შესაბამისად, წინა პლანზე წამოიწია მათი სამართლებრივი რეგულირების პრობლემები. დაზღვევის სამართლები განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაზღვევის ხელშეკრულებასა და მისი რეგულირების ასპექტებს.

დაზღვევის ხელშეკრულება იურიდიულ ლიტერატურაში განიხილება, როგორც ორმხრივი, სასუიდლიანი, ალეატორული და რეალური ხელშეკრულება. გავრცელებულია მოსაზრება, რომ დაზღვევის ხელშეკრულება კონსენსუალური ხელშეკრულებაა, მაგრამ მისი რეალური ხასიათი ვლინდება იმაში, რომ პრაქტიკაში ხელშეკრულების დასადებად მხარეთა შორის შეთანხმება არ არის საკმარისი, არამედ აუცილებელია სადაზღვევო შესატანის გადახდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 816-ე მუხლით დადგენილია, რომ პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან, რაც იმის დასტურია, რომ დაზღვევის ხელშეკრულება რეალური ხასიათისაა.

დაზღვევის ხელშეკრულება ალეატორულია, რადგან დაპავშირებულია შესაბამის რისკებთან. სადაზღვევო რისკი „დაზღვევის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის თანახმად არის მოვლენა, რომელიც შეიცავს დადგომის შესაძლებლობისა და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა. სადაზღვევო შემთხვევა კი ამავე მუხლის „ლ“ პუნქტით განისაზღვრება, როგორც მოვლენა, რომლის დადგომისას სადაზღვევო ხელშეკრულება ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას. დაზღვევის ხელშეკრულება მისი მონაწილე მხარეთათვის გარკვეული რისკის მატარებელია, ვინაიდან, ერთი მხრივ, დაზღვევის ხელშეკრულების ვადა შეიძლება ისე ამოიწუროს, რომ სადაზღვევო შემთხვევა არ დადგეს, რის გამოც ანაზღაურების მოვალეობა მზღვეველის მხრიდან არ წარმოიშობა, ხოლო, მეორე მხრივ, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეული ზიანი დამზღვევის მიერ შეტანილ პრემიებს შეიძლება აღემატებოდეს. მიუხედავად ამისა, მზღვეველი ვალდებულია გასცეს შესაბამისი სადაზღვევო ანაზღაურება. სწორედ ამიტომ, დაზღვევის ხელშეკრულება მონაწილე მხარეთათვის რისკის მატარებელია.

დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს მინიმალური ერთწლიანი სადაზღვევო ან ხანგრძლივი პერიოდით. ეს უკანასკნელი ძირითადად პირადი დაზღვევის ფარგლებშია გავრცელებული.

პრაქტიკაში გახვდება შერეული დაზღვევის ხელშეკრულებაც, რაც გულისხმობს რამდენიმე რისკისგან ერთობლივად დაზღვევას, მაგ., ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და უბედური შემთხვევისაგან დაზღვევას. დაზღვევის ხელშეკრულება იურიდიულ ლიტერატურაში განიხილება, როგორც ხელშეკრულება, რომელშიც უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კეთილსინდისიერების პრინციპს¹.

¹ Forte A., 1991, Good Faith in Contract and Property Law, p. 81.

დაზღვევის ხელშეკრულების მონაწილეები არიან დამზღვევი და მზღვევლი. დამზღვევი არის პირი, რომელიც ხელშეკრულებას აფორმებს სადაზღვევო კომპანიასთან (მზღვეველთან).

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტით განსაზღვრულია, რომ დაზღვევის განსახორციელებლად სადაზღვევო კომპანია უნდა იყოს შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბებული იურიდიული პირი და პქონდეს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია.

სხვა პირის სასარგებლოდ გაფორმებული დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირად შეიძლება დაზღვეული ან მოსარგებლე იყოს წარმოდგენილი.

სადაზღვევო საქმიანობაში მონაწილეობენ ასევე სადაზღვევო ბროკერი და დაზღვების აგენტი.

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტით მოცემულია, რომ დაზღვევის აგენტი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში; რაც შეეხება სადაზღვევო ბროკერს (მუხლი 2, პუნქტი „თ“), ის შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია ეროვნულ ბანკში და დამოუკიდებლად ახორციელებს საშუალებრივ საქმიანობას დაზღვევაში, როგორც თავის სამეწარმეო საქმიანობას.

დაზღვევის ფარგლებში საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია გადაზღვევის ინსტიტუტი. „დაზღვევის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულია, რომ საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციას შეუძლია დამოუკიდებლად დადოს გადაზღვევის ხელშეკრულება უშუალოდ უცხოეთის ერთ ან რამდენიმე გადამზღვეველთან. გადაზღვევა კი ამ კანონის მე-2 მუხლის „მ“ პუნქტით განსაზღვრულია, როგორც ოპერატორია, რომლის დროსაც მზღვეველი, გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე და თითოეული ასეთი ხელშეკრულების თავისებურების გათვალისწინებით, ახორციელებს სადაზღვევო რისკის და მასთან დაკავშირებული ზარალის მთლიან ან ნაწილობრივ გადაცემას გადამზღვეველი კომპანიისათვის. ეს ნიშნავს, რომ მზღვეველს შეუძლია, ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის მიზნით, რისკების ნაწილი გადააზღვიოს უცხოელ სადაზღვევო კომპანიასთან, მაგრამ კანონის მე-18 მუხლის თანახმად, რჩება პასუხისმგებელი დამზღვევის წინაშე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთელი ვალდებულების ფარგლებში. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების უმრავლესობა გადაზღვევის პრინციპით და გადამზღვეველთა მიერ დადგენილი პირობებით მოქმედებს თვით დამზღვევებთან ხელშეკრულებების გაფორმების თვალსაზრისითაც.

საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის უშუალო განსილვამდე მიზანშეწილია დაზღვევის სამართლებრივი რეგულირების მიმოხილვა სხვა ქვეყნების კანონმდებლობის საფუძველზე.

საფრანგეთში მოქმედებს დაზღვევის ვრცელი კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 1976 წლის 16 ივლისიდან და მოიცავს დაზღვევის შესაბამისი სახეობების რეგულირებას, ასევე დაზღვევის ხელშეკრულების როგორც ძირითად მხარეთა, ასევე მესამე პირთა უფლება-მოგალეობებს და დაზღვევის სფეროს ზედამხედველობას. დაზღვევის ზედამხედველობა

საფრანგეთში ხორციელდება ეკონომიკის სამინისტროსა და დაზღვევის ზედამხედველობის კომისიის მიერ¹.

გერმანიაში სადაზღვევო საქმიანობის ოუგულირება ხორციელდება 1908 წ. 30 მაისის კანონით „დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ”, რომელმაც უპანასტნელი ცვლილება 2008 წელს განიცადა.

ამავე წლის 1 იანვრიდან ახალი კანონი შევიდა ძალაში, რომელმაც ახლებურად მოაწესრიგი დაზღვევის ხელშეკრულების პირობები. დაზღვევის ზედამხედველობა ხდება ფინანსთა სამინისტროსა და ფედერალური ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის მიერ².

სავალდებულო დაზღვევა გერმანიაში ხორციელდება შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე და მოიცავს შემდეგი სახის დაზღვევას: სამედიცინო, სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის მესამე პირთა წინაშე, საჰაერო ტრანსპორტის მფლობელთა, აუდიტორთა, იურისტთა, არქიტექტორთა, მონადირეთა, ატომური ქაუსადგურების ოპერატორთა პასუხისმგებლობის, ასევე უბედური შემთხვევის.³

ნიდერლანდებში დაზღვევის საკითხები რეგულირდება სავაჭრო კოდექსით, რომელიც მიღებულ იქნა 1838 წელს. შემდგომში დაზღვევის სამართლის ნორმები აისახა ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 7.17 თავში, რომელიც მიღებულ იქნა 1992 წელს. კოდექსში მოცემულია სადაზღვევო პოლისების ძირითადი პირობები, ასევე საკითხები ზიანის ანაზღაურების, სადაზღვევო პერიოდებისა და დაზღვევის ხელშეკრულებებთან მიმართებაში.

ნიდერლანდებში ასევე მოქმედებს კანონი „სადაზღვევო საქმიანობის კონტროლის შესახებ” (1993 წ.) და „ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ”, რომელიც ძალაშია 1963 წლიდან. დაზღვევის ზედამხედველობა ხდება ფინანსთა სამინისტროსა და ნიდერლანდების ბანკის მიერ.⁴

თითქმის მე-18 საუკუნემდე ინგლისში დაზღვევის სფერო რეგულირდებოდა პრეცედენტული სამართლის მეშვეობით. 1774 წელს ამოქმედდა კანონი „სიცოცხლის დაზღვევის შესახებ” (Life Assurance Act), 1908 წელს „უბედური შემთხვევის დაზღვევის შესახებ”, ხოლო 1906–1909 წლებში „საზღვაო დაზღვევის შესახებ” (Marine Insurance Act). ინგლისში სადაზღვევო სფეროს არეგულირებს ასევე კანონები „სადაზღვევო კომპანიების შესახებ” (Insurance Companies Regulations) და „კორპორაცია ლოიდის შესახებ”. სავალდებულო დაზღვევის ფარგლებში მოქმედებს 1930 წლის კანონი საგზაო მოძრაობის შესახებ (Road Traffic Act), რომლის ფარგლებშიც ხდება ავტოტრანსპორტის დაზღვევის კონტროლი და მესამე პირთა უფლებების რეგულირება სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენასთან დაკავშირებით. საინტერესოა ასევე „პოლისის მფლობელთა უფლებების დაცვის შესახებ” 1775 წლის კანონი (Policyholder's Protection Act), რომელიც ემსახურება დამზღვევთა და პოლისის მფლობელთა ინტერესების დაცვას⁵. დაზღვევის სფეროს ზედამხედველობა ხდება სახელმწიფო ხაზინისა და ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის მიერ.⁶

¹ http://ec.europa.eu/internal_market/insurance/links_en.htm

² http://ec.europa.eu/internal_market/insurance/links_en.htm

³ <http://www.isn-inc.com/countryinfo/germany.aspx>

⁴ http://ec.europa.eu/internal_market/insurance/links_en.htm

⁵ Васильев Е.А. Комаров А.С. 2005, Гражданское и торговое право зарубежных государств, 2 том, стр. 242-243.

⁶ http://ec.europa.eu/internal_market/insurance/links_en.htm

აშშ-ში დაზღვევის სფეროს რეგულირება დიდი ხნის მანძილზე ხდებოდა მხოლოდ პრეცედენტებით. დაზღვევის საკანონმდებლო დონეზე რეგულირება და ამ ინსტიტუტის შტატების კანონებისა და კოდექსებისადმი დაქვემდებარება განპირობებული იყო აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ 1944 წელს გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე (United States v. South-Eastern Underwriters Association), მიღებული მაკარენ-ფერგულის 1945 წ. კანონით (McCarran-Ferguson Act). ადნიშნული კანონით განისაზღვრა, რომ სადაზღვევო კომპანიები უნდა დაემორჩილოს შტატის კანონებს დაზღვევის სფეროში, ხოლო ფედერალურ დონეზე ხდება რეგულირება, თუ შტატის კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი საკითხების გადაწყვეტას. დაზღვევის ზედამხედველობა ხდება შტატების დონეზე არსებული სადაზღვევო დეპარტამენტების საშუალებით¹.

აშშ-ს ფარგლებში დაზღვევის ხელშეკრულების მონაწილე ძირითადი მხარეებისა და მესამე პირების უფლება-მოვალეობები მოცემულია შესაბამისი შტატების სადაზღვევო კოდექსებში.

ევროპავშირის სფეროში მოქმედი დაზღვევის კანონმდებლობა საქმაოდ მრავალფეროვანია. ევროპავშირის ერთიანი სადაზღვევო მომსახურების ბაზრის საფუძველზე შეიქმნა დაზღვევის სამართლებრივი რეგულირების წინაპირობები. 1957 წლის რომის ხელშეკრულებამ (Treaty of Rome) საფუძველი ჩაუყარა დაზღვევის სამართლებრივი სისტემის ფორმირებას დირექტივების შემუშავების გზით. დღეს ევროპავშირის ფარგლებში დაზღვევის სფეროში მოქმედებს 100-მდე დირექტივა.²

ევროპავშირში დაზღვევის სფეროში მოქმედი დირექტივებიდან აღსანიშნავია „სიცოცხლის დაზღვევის“ დირექტივა 88/35/EC, ასევე „არასამართლიანი სახელშეკრულებო პირობების შესახებ“ დირექტივა (1993/13), რომელიც სხვადასხვა პირობას მოიცავს მომხმარებელთა დაცვის ოვალსაზრისით. ამ დირექტივამ უზრუნველყო ისეთი საკითხების რეგულირება, რომლებიც დაკავშირებულია სახელშეკრულებო პირობებთან, ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის უფლებასთან, გადახდის პერიოდულობასა და სხვა მსგავს საკითხებთან. აღნიშნულის საფუძველზე ერთგვარი დაცვის მექანიზმი შეიქმნა დამზღვევთა და დაზღვეულთათვის, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხელშეკრულებაზე უარი თქმის უფლება აქვთ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი არ ჰქონდა ინდივიდუალურ მოლაპარაკებას მზღვევადლებთან. არასამართლიანად მიჩნეულია პირობები, როდესაც დამზღვევი მოკლებულია საშუალებას დეტალურად გაეცნოს ხელშეკრულების პირობებს. სადაზღვევო ურთიერთობების განვითარების აღრეულ ეტაპზე ევროპავშირში შეინიშნებოდა ისეთი ტენდენციები, როდესაც მზღვეველები იმდენად პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რომ ხშირი იყო მათი მხრიდან დამზღვევთა და მესამე პირთა უფლებების დარღვევა. ამ დირექტივებში ჩამოყალიბდა ე.წ. უბრალო მოქალაქეთათვის უფლებების დაცვის გარანტიები. დირექტივის ფარგლებში სავალდებულოა, რომ ხელშეკრულების ენა მოქალაქეთათვის იყოს მარტივი და გასაგები.³

¹ http://en.wikipedia.org/wiki/McCarran-Ferguson_Act

² http://ec.europa.eu/internal_market/insurance/legis-inforce_en.htm

³ Васильев Е.А. Комаров А.С. 2005, Гражданское и торговое право зарубежных государств, 2 том, стр.246-247.

რუსეთში დაზღვევა რეგულირებულია როგორც ზოგადი, ასევე სპეციალური საკანონმდებლო აქტებით და მოიცავს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, საფინანსო და საერთაშორისო სამართლის ნორმებს¹.

რუსეთის სამოქალაქო კოდექსის მეორე ნაწილის 48-ე თავის 927–970-ე მუხლები ეხება სადაზღვევო ურთიერთობების მოწესრიგებას².

რუსეთის კანონმდებლობით განასხვავებენ ქონებრივ და პირად დაზღვევას. ქონებრივი დაზღვევის ფარგლებში დაზღვევის ობიექტია ქონებრივი ინტერესი, ხოლო პირადი დაზღვევის ხელშეკრულება ფორმდება პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომისუნარიანობის ან საპენსიო უზრუნველყოფასთან მიმართებაში³.

რუსეთში დაზღვევის სფეროში მოქმედებს ასევე შემდეგი სახის კანონები: 1997 წლის კანონი „სადაზღვევო საქმიანობის ორგანიზაციის შესახებ”, რომელშიც, ზოგადი დებულებების გარდა, განსაზღვრულია სადაზღვევო რეზერვების მართვის სფეროში შესაბამისი ურთიერთობის რეგულირება და სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესი და პირობები მზღვეველების საქმიანობაზე; დაზღვევის შესახებ ნორმები ასევე მოცემულია საზღვაო და საპარო კოდექსებში, 1992 წ. კანონში „დაზღვევის შესახებ“, 1991 წლის კანონში „სამედიცინო დაზღვევის შესახებ”⁴. მოქმედებს აგრეთვე „არასახელმწიფო საპენსიო ფონდების“ შესახებ ფედერალური კანონი (1998წ.), „ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამქალაქო პასუხისმგებლობის საფალდებულო დაზღვევის შესახებ“ კანონი (2002 წ.), „ფიზიკურ პირთა საბანკო ანაბრების დაზღვევის შესახებ“ კანონი (2003 წ.) და სხვა კანონებით უ ნორმატიული აქტები⁵.

რუსეთში დაზღვევის სფეროს ზედამხედველობა ხორციელდება დაზღვევის ფედერალური ზედამხედველობის სამსახურის მიერ.⁶

¹ Ахвледиани Ю.Т. 2006, Страхование, стр. 25.

² http://www.consultant.ru/popular/gkrf2/4_55.html#p3459.

³ <http://www.lawbook.by.ru/civil/suhanov3/48.shtml>.

⁴ Фогельсон Ю.Б. 2000,Комментарий к Страховому Законодательству, стр. 13.

⁵ <http://www.consultant.ru/popular/osago/osagohelp/>

⁶ <http://www.fssn.ru/www/site.nsf>

ლაშა შურდაია,
სამართლის დოქტორანტი

**დაზღვევის ხელშეკრულება და მისი რეგულირების
შედარებითი ანალიზი**

განხილულია სადაზღვევო სამართლის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა – დაზღვევის ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

შედარებითი მეთოდის გამოყენებით გამოკვლეულია დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი არსი სხვადასხვა ქვეყნის სამართალში. აგრეთვე ის ძირითადი პრობლემები, რაც დაზღვევის ხელშეკრულებასთან არის დაკავშირებული.

Lasha Shurgaia,
PHD student

**INSURANCE AGREEMENT AND COMPARATIVE
ANALYSIS OF ITS REGULATION**

The article is about one of the core of problems of Insurance Law – insurance agreement and some problems regarding it.

Based on comparative method of research, the author discusses about legal meaning of insurance agreement in law of different countries. Also he discusses about some problems related with insurance agreement in practice.

Лаша Шургая,
докторант права

**СОГЛАШЕНИЕ О СТРАХОВАНИИ И
СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ ЕГО РЕГУЛИРОВАНИЯ**

Представленная статья касается одной из важнейших проблем страхового права - договора о страховании и некоторых проблемах, связанных с ним.

На основе сравнительного метода исследования, автор рассуждает о правовом смысле договора о страховании в законе разных стран. Кроме того, автор также рассуждает о некоторых проблемах, связанных с договором о страховании на практике.

**არისტოტელი – სახელმწიფოს უარმოშობის
ანთროპული თეორიის ფუძემდებელი**

ჩვენთვის ხელმისაწვდომ სამეცნიერო ლიტერატურაში არისტოტელე (ძვ. წ. 387-322), როგორც სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის მკვლევარი, სხვადასხვაგვარადაა შეფასებული. ერთნი მას მიიჩნევენ სახელმწიფოს წატრიარქალური თეორიის ფუძემდებლად ან მის აქტიურ მხარდამჭერად,¹ მეორენი კი თვლიან, რომ არისტოტელესთან სახელმწიფოს წარმოშობა უკავშირდება ადამიანის ბუნებას, მის ფსიქიკას, მის საერთო მენტალობისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურობას და იგი ბუნებრივი განვითარების შედეგია.²

ჩვენი აზრით, არისტოტელეს ფილოსოფიის ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნული შეხედულებები დაზუსტებასა და დაკონკრეტებას მოითხოვს. კერძოდ, არისტოტელე ვერ იქნება პატრიარქალური თეორიის არათუ ფუძემდებელი, წარმომადგენელიც კი.

მივყვეთ თანამიმდევრობით.

სახელმწიფოს წარმოშობისა და მისი არსებობის საკითხი არისტოტელესთან ადამიანის მისეულ გაგებას ეფუძნება. ადამიანი, არისტოტელეს განსაზღვრით, პოლიტიკური ცხოველია,³ რამდენადაც ადამიანს, ცხოველებისგან განსხვავებით, სიკეთისა და ბოროტების, სამართლიანობისა და უსამართლობის, საზიანოსა და სასარგებლოს შექმნისა და შეგრძნების უნარი აქვს. ამდენად იგი ფუტრებსა და ჯოგებად მცხოვრებ ცხოველებზე უფრო პოლიტიკური (საზოგადოებრივი) არსება. ადამიანებს ერთმანეთის გარეშე ცხოვრება, საკუთარი არსის განხორციელება არ შეუძლიათ, რის გამოც ერთიანდებიან და გარკვეულ კავშირს ქმნიან. „ძოლო პოლიტიკონის“ (საზოგადოებივი ცხოველის) ფორმულით არისტოტელე ცდილობს პირველი სოციალური ჯგუფების ახსნას. მისი აზრით, ადამიანის პოლიტიკურობის (სოციალურობის) პირველი გამოვლენა ოჯახის შექმნაა. ოჯახი ძმობითა და სიყვარულით შენდება. არისტოტელესთან ოჯახის სტრუქტურა ბატონისა და მონის, ქმრისა და ცოლის, მამისა და შვილის ურთიერთდამოკიდებულების ელემენტებს მოიცავს. ოჯახური ურთიერთობები თვითონ მეთაურის ხელისუფლებით წესრიგდება. ოჯახის მეთაური, ჩვეულებრივ, სრულწლოვანი მამაკაცია, „მამაკაცი უფრო მეტადაა მოწოდებული ხელმძღვანელობდეს, ვიდრე ქალი, თუ რაიმე არ მოხდა ბუნების საწინააღმდეგო⁴, –შენიშვნას არისტოტელე.

¹ თ. ალფაიძე. შესავალი სამართალმცოდნეობაში. თბ., 2009, გვ. 28; История философии, Т. I, М., 1941. С. 231; Общая теория права и государства, М., 1994. С. 41; Комаров С. А., Малько А. В., Теория государства и права, М., 1999. С. 200; Енгибарян Р. В., Краснов Ю. К., Теория государства и права, М., 1999. С. 26; Кашинина Т. В., Происхождение государства и права, Современные трактовки и новые подходы, М., 1999. С. 53; Венгеров А. Б., Теория государства и права, М., 2000. С. 43; Смоленский М.Б., Основы права, М., 2007. С. 17; Лексин И. В., Основы теории права, М., 2011. С. 176; <http://denkweise.ucoz.ru/publ/1-1-0-1> და სხვა.

² რ. კუტაძე. იღია ჭავჭავაძის სამართლებრივ-პოლიტიკური შეხედულებები და სამართლის ფილოსოფია (დამოკრატიის ქართული ნიმუში). თბ., 2004, გვ. 26; <http://state.rin.ru/cgi-bin/main.pl?id=18&r=15>

³ არისტოტელე. პოლიტიკა, ნაწ. I. თბ., 1995, გვ. 12.

⁴ იქვე, გვ. 28.

თანდათანობით განვითარების და გაერთიანების შედეგად ოჯახი აღწევს ადამიანის სოციალურობის გამოვლენის მეორე საფეხურს – სოფელს (ერთობას, დასახლებას). სოფლის გაჩენა ადამიანთა მოთხოვნილებების ზრდის შედეგია. სოფელი ოჯახების კოლონიაა, რომელიც მხოლოდ ერთი დღისთვის არ იქმნება და რომლის მიზანია ადამიანთა ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება¹. სოფელები დაშორიშორებული, განცალკვებული ოჯახების ერთობლიობაა. რამდენიმე სოფელი ქმნის დასრულებულ სახელმწიფოს, რომელიც ოჯახისა და სოფლის ბუნებრივი განვითარების შედეგია. სახელმწიფოს წინამორბედი კავშირები (ოჯახი, სოფელი) თავიანთი განვითარების დასრულებას სახელმწიფოში აღწევს.²

არისტოტელები სახელმწიფოს აპოლოგეტად მიჩნეული მოაზროვნეა. იგი თვლის, რომ სახელმწიფოს მიზანი ადამიანებისათვის უმაღლესი სიკეთის მიღწევა, მოქალაქეთა სრულყოფილი თანაცხოვრება, მათი გაბედნიერებაა. სახელმწიფო მოქალაქეთა ერთობაა, შექმნილი გარკვეული მიზნის მისაღწევად. სახელმწიფომ, არისტოტელებს აზრით, ადამიანებს დიდი სიკეთე მოუტანა, კანონისა და სამართლის წყალობით ცოცხალ არსებათა შორის საუკეთესო და სრულყოფილი გახდადა.³ სახელმწიფო ეკონომიკური და იურიდიული ფუნქციების შესრულებით ახორციელებს თავის დანიშნულებას. ადამიანებს უქმნის პირობებს არა მხოლოდ არსებობისათვის, არამედ ბედნიერი არსებობისათვის.⁴ არისტოტელებსთან სახელმწიფოს მიზანია ადამიანისათვის სრულყოფილი, სრულიად დამოუკიდებელი და დაკმაყოფილებული ბედნიერი და მშვენიერი ცხოვრების უზრუნველყოფა, მოქალაქის პუმანიზაცია და მასში საონოების გრძნობის ჩამოყალიბება. ადამიანის არსებობის მიზანი (სიკეთისა და ბედნიერების მიღწევა), არისტოტელებს აზრით, მხოლოდ სახელმწიფოში შეიძლება განხორციელდეს, ე.ი. სახელმწიფო (თუმცა, არა ყოველგვარი სახელმწიფო) არის ადამიანთა კავშირი, რომლის დანიშნულება უმთავრესი სიკეთისკენ – ბედნიერებისკენ მოსწრავებაა.

მაშასადამე, ადამიანი თავისი ბუნებით პოლიტიკური (საზოგადოებრივი) ცხოვრებისთვის შექმნილი არსებაა. ყველა ადამიანი ბედნიერებისკენ ისტრაფვის. ბედნიერება ადამიანის ცხოვრების მიზანია. მიზანი კი, არისტოტელებს ფილოსოფიის მიხედვით, ისეთი სრულქმნილებაა, რომლის გავლენითაც შესაძლებელი ხდება აქტიურობა ბუნების სამყაროში.⁵ არისტოტელებე დარწმუნებულია, რომ სამყაროში ბატონობს მიზანშეწონილობა, ყველა არსება შექმნილია მისი საბოლოო მიზნის გათვალისწინებით⁶ და, აქედან გამომდინარე, ადამიანის განვითარებაც განისაზღვრება მასში ჩადებული მიზნით. ბედნიერება ადამიანის მიზანია. ამ მიზნის მისაღწევად ადამიანი მოქმედებს, ქმნის ოჯახს, სოფელს, სახელმწიფოს. საუკეთესო სახელმწიფო ადამიანის ბედნიერი ცხოვრების საშუალებაა, ე.ი. სახელმწიფოს წარმოშობა არისტოტელებსთან უკავშირდება ადამიანის არსეს, მასში ჩადებულ მიზანს. სახელმწიფო ადამიანის ენტელექტია. ადამიანში სახელმწიფო ძევს, როგორც მიზნობრივი მიზეზი, როგორც მისი შინაგანი მისტრაფება, მიზანმიმართულება, როგორც ტელეოლოგია, როგორც ადამიანის მამოძრავებელი ძალა და საბოლოო მიზანი. არისტო-

¹ არისტოტელებე. პოლიტიკა, ნაწ. I. თბ., 1995, გვ. 11.

² იქნ, გვ. 12.

³ იქნ, გვ. 13.

⁴ იქნ, გვ. 78.

⁵ უილიამ გათრი. ბერძენი ფილოსოფოსები. თბ., 1983, გვ. 142.

⁶ Бонар А. Греческая цивилизация, Т. 3, М., 1992. С. 165.

ტელე თვლის, რომ ყოველ საგანს თავისი „ბუნება” აქვს, რომელიც გარკვეული კანონით ხორციელდება.¹ ადამიანის ბუნება მისი პოლიტიკურობაა, საზოგადოებრიობაა, რომლის გამოვლენა ოჯახისა და სოფლის საფეხურების გავლით სახელმწიფოთი სრულდება. რადგან სახელმწიფო ადამიანის უმთავრესი მიზნის – ბედნიერების მიღწევის საუკეთესო საშუალებაა, უნდა ვიფიქროთ, რომ მასში იგი აღწევს თავისი თავის სისრულეს და სათანადო ფორმას. სახელმწიფოთი სახიერდება ადამიანის არსი, ბუნება და შესაძლებლობა.

ამდენად, არისტოტელეს ფილოსოფიის ძირითადი დებულების გათვალისწინებით, მცდარად უნდა მივიჩიოთ შეხედულება, რომლითაც არისტოტელე სახელმწიფოს წარმოშობის პატრიარქალური თეორიის ფუძემდებლად ითვლება.² პატრიარქალური თეორიის ძირითადი დებულებები, სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, პრინციპულად განსხვავდება არისტოტელეს შეხედულებისგან. შევეცდებით ვაჩვენოთ ეს სხვაობა:

ა) პატრიარქალური თეორიის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო იქმნება ოჯახის ზრდის შედეგად. ოჯახში გაერთიანებული ადამიანების რიცხვის ზრდა, ოჯახების მომრავლება და მათი გაერთიანება, ამ თეორიის მიხედვით, საბოლოო ანგარიშით იწვევს სახელმწიფოს წარმოშობას.³ არისტოტელეს აზრით, კი სახელმწიფო იქმნება ოჯახების გაერთიანების შედეგად მიღებული დასახლებების გაერთიანებით და არა ერთი ოჯახის წევრების რაოდენობრივი ზრდით. ძველ საბერძნეთში სახელმწიფოს შექმნისათვის საკმარისი ოჯახების რაოდენობაც კი სახელდღეოდა. მაგალითად, პლატონი საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციისათვის საშუალო რაოდენობად 5040 ოჯახს მიიჩნევდა, არისტოტელე ამ ციფრს გადაჭარბებულად თვლიდა;⁴

ბ) არისტოტელეს აზრით, სახელმწიფო, თავისი ბუნებით, ოჯახსა და სოფელთან მიმართებაში პირველადია,⁵ მიზნობრივი მიზეზია ოჯახისა და სოფლის შესაქმნელად. პატრიარქალური თეორია ასე არ მსჯელობს. პატრიარქალური თეორიის მიხედვით, მეფის ხელისუფლება მამის ხელისუფლების გაგრძელებაა და რადგანაც მამის ხელისუფლება ბუნებრივ, შეუზღუდავ და ღვთაებრივ ხელისუფლებად ითვლება, ამიტომ ქვეშევრდომები ვალდებული არიან უყოფმანოდ დაემორჩილონ მას. ყოველგვარი წინააღმდეგობა დაუშვებელია – როგორც ოჯახში მამას, ასევე სახელმწიფოში მონარქს არ ირჩევენ, არ ნიშნავენ. არისტოტელე ასე არ ფიქრობს, იგი განიხილავს როგორც მემკვიდრეობით, ასევე არჩევითი მმართველობის ფორმებს, არ გამორიცხავს აჯანყებასაც ხელისუფლების წინააღმდეგ.⁶

მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელე მიუთითებს ოჯახისა და სახელმწიფოს ორგანიზაციის გარკვეულ მსგავსებაზე, არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ იგი პატრიარქალური თეორიის ფუძემდებლად ან მიმდევრად ჩავთვალოთ.

რაც შეეხება მეორე შეხედულებას, მისი აგტორები მართებულად მიუთითებენ, რომ არისტოტელეს აზრით სახელმწიფოს წარმოშობა უკავშირდება ადამიანის ბუნებას, მის

¹ ზუბოვ В. П., Аристотель, М., 1963. С. 77.

² თუ საიდან იდებს სათავეს ეს, ჩვენი აზრით, მცდარი შეხედულება, კვლევის ცალკე საგანია. გივი ლობჟანიძე სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თბ., 2010, გვ. 56.

³ გ. ლობჟანიძე. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია. თბ., 2010, გვ. 56.

⁴ Секторский Е. В., Понятие общества в античном мире, В Журнале ФН № 4, 1992. С. 123.

⁵ Трубецкой С. Н., Курс истории древней философии, ч. II, М., 1912. С.108.

⁶ არისტოტელე. პოლიტიკა, ნაწ. I. თბ., 1995, გვ. 42-43.

ფსიქიკას, მისი საერთო მენტალობისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურობას, მაგრამ არისტოტელეს მოძღვრებისათვის მიუღებელ დასკვნებს აკეთებენ:

1. თუ სახელმწიფოს წარმოშობის უშუალო მიზეზი ადამიანის ფსიქიკურ ბუნებაშია და მის ფსიქოლოგიურ თავისებურებას წარმოადგენს, მაშინ უნდა არსებობდეს სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესის მაცრი კანონზომიერება, რომელიც გულისხმობს მის ერთდროულობას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ყველა განვითარებად საზოგადოებაში, ეს კი არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს; 2. შეუძლებელია სახელმწიფოებრივ თრგანიზაციას მოკლებული საზოგადოების გვერდით არსებობდეს პოლიტიკური საზოგადოებები, რადგან ასეთ შემთხვევაში პირველის წევრები უწყინ ამ სახელმწიფოებრივი თრგანიზაციის შესახებ, რომლისკენაც, არისტოტელეს თქმით, მათ „ცხოვრების ინსტიქტი“ უბიძგებს. მაგრამ ესეც შეუსაბამოა რეალობასთან, რადგან დედამიწის ბევრ კუთხეში დღესაც ინარჩუნებს თვითმყოფადობას მრავალი თემი, რომელთაც ოდნავადაც არ უწევთ გული მათ გარშემო არსებული პოლიტიკური კონსტრუქციის საზოგადოებაში ინტეგრირებისკენ.¹

არისტოტელეს საყვედურობენ თრ რამეს, ერთი, თუ ადამიანის ფსიქიკაში უნდა ვებიოთ სახელმწიფოს წარმოქმნის საფუძვლები, რატომ ყველგან ერთდროულად არ წარმოიქმნა სახელმწიფო, ადამიანებს ხომ ერთნაირი ფსიქიკა აქვთ და, მეორე, დღესაც არსებობს ადამიანთა არასახელმწიფო გაერთიანებები, ეს კი ნიშნავს, რომ არ იმუშავა არისტოტელეს თეზისმა ადამიანის ფსიქიკაში სახელმწიფოს წარმოქმნის საფუძვლების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში აქაც უნდა წარმოქმნილიყო სახელმწიფო.

ჩვენი აზრით, ეს ორივე შენიშვნა გაქარწყლდება, თუ არისტოტელეს მეტაფიზიკიდან მოვიშველიებთ ერთი მნიშვნელოვანი მსჯელობის² ანალიზს: არისტოტელეს აზრით, თუ არის A, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ არის B, არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აუცილებლად იქნება B. A-სა და B-ს შორის არის უამრავი შუამდებარე პირობა და სანამ B არ წარმოიქმნება, პროცესი დასრულებულად არ ითვლება და B ამ პროცესის დასრულებამდე შეიძლება იქცეს ისეთ რამედ, რაც შეიძლება ყოფილიყო.³

მაშასადამე, არისტოტელე მოაზროვნეა, რომელმაც საკმაოდ ორიგინალურად, საკუთარ ფილოსოფიურ პრინციპებზე დაყრდნობით, ახსნა სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი და სათავე ადამიანში, მის ფსიქიკაში მოუძებნა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ არისტოტელემ საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ორიგინალურ თეორიას, რომელსაც პირობითად ანთროპული თეორია შეიძლება ვუწოდოთ.

¹ რ. ქუბალია. ილია ჭავჭავაძის სამართლებრივ-პოლიტიკური შეხედულებები და სამართლის ფილოსოფია (დუმუკრატიის ქართული ნიმუში). თბ., 2004, გვ. 27-28.

² Аристотель, Метафизика, XI, 8, 1064b.

³ Зубов В. П., Аристотель М., 1963. С. 90.

მურმან გორგოშაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

არისტოტელი – სახელმწიფოს დარმოულების ანთროპული თეორიის ფუძემდებელი

სამეცნიერო ლიტერატურაში დომინირებს აზრი, რომ არისტოტელე არის სახელმწიფოს წარმოშობის პატრიარქალური თეორიის ფუძემდებელი, მაგრამ მისი მოძღვრების ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი ვერ იქნება ამ თეორიის არათუ ფუძემდებელი, წარმომადგენელიც კი.

არისტოტელე მოაზროვნეა, რომელმაც საკმაოდ ორიგინალურად ახსნა სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი და მას სათავე ადამიანში, მის ფსიქიკაში მოუძებნა. საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ორიგინალურ თეორიას, რომელსაც პირობითად ანთროპული თეორია შეიძლება ვუწოდოთ.

Murman Gorgoshadze,

Full professor of Batumi Shota Rustaveli State University

ARISTOTLE- THE FOUNDER OF ANTHROPOIC THEORY OF ESTABLISHING THE STATE

In scientific references the idea, that Aristotle is the founder of patriarchal theory of establishing the state is dominant, but the analysis of his doctrine reveals, that he can not be only the founder but the representative as well.

Aristotle is the thinker, who could explain the establishment of the state in a rather original way and he found its source within a human, in his psychics. He gave the basis to the original theory of establishing the state, that can be called an anthropic theory conventionally.

Мурман Горгошадзе,

полный профессор Государственного университета Шота Руставели

АРИСТОТЕЛЬ – ОСНОВОПОЛОЖНИК АНТРОПИЧЕСКОЙ ТЕОРИИ ПРОИСХОЖДЕНИЯ ГОСУДАРСТВА

В научной литературе доминирует мнение, что Аристотель является основоположником патриархальной теории происхождения государства, но анализ его учения свидетельствует, что он не может быть не только основоположником этой теории, но даже ее представителем.

Аристотель – это мыслитель, который достаточно оригинально разъяснил вопрос о происхождении государства и нашел его истоки в человеке, в его психике. Он заложил основы оригинальной теории происхождения государства, которую условно можно назвать антропической теорией.

გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიები

კონსტიტუცია საგადასახდო სამართლის ძირითადი წესროა. კონსტიტუციური ნორმები განსაზღვრავს სახელმწიფოს ფინანსურ-სამართლებრივი პოლიტიკის, მათ შორის, საგადასახადო რეგულირების საფუძვლებს. გადასახადები სახელმწიფოს ფინანსურ-სამართლებრივი პოლიტიკის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კონსტიტუციით დადგენილი გადასახადების გადახდის ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფს სახელმწიფოში ყველა დონის ბიუჯეტის ფორმირებას. ამიტომ, მოცემულ კონსტიტუციურ ვალდებულებას აქვთ განსაკუთრებული, საჯარო-სამართლებრივი და არა კერძო-სამართლებრივი მნიშვნელობა, რაც სახელმწიფო ხელისუფლების საჯარო-სამართლებრივი ხასიათითაა განპირობებული. გადასახადის გადამხდელმა უნდა შეასრულოს გადასახადების გადახდის მასზე დაკისრებული ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, დარღვეული იქნება სხვა პირთა და მთლიანად სახელმწიფოს უფლებები და კანონიერი ინტერესები. განსახილველი კონსტიტუციური ვალდებულების საჯარო მნიშვნელობაზე პირდაპირ საუბრობს ბელორუსიის კონსტიტუციის 56-ე მუხლი: „ბელორუსიის რესპუბლიკის მოქალაქეები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებაში სახელმწიფო გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა სახის შენატანების გადახდის გზით“.¹ პოლონეთის კონსტიტუციის 84-ე მუხლში მკვეთრადაა დაფიქსირებული, რომ სახელმწიფო ვალდებულებების, მათ შორის, გადასახადების ტვირთი კანონით განსაზღვრება.² სლოვაკეთის კონსტიტუციის 59-ე მუხლით ამგარი მოთხოვნის შინაარსი გაფართოებულია: „გადასახადები და მოსაკრებლები დგინდება კანონით ან კანონის საფუძვლზე“.³

ეს ვალდებულება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლში: „1. სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი რაოდენობითა და წესით;... 3. გადასახადებისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით.“ ეს დებულება შეესაბამება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 29-ე მუხლში ჩამოყალიბებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ყოველი ადამიანი ვალდებულია იმ საზოგადოების წინაშე, რომელშიც ცხოვრობს და რომელშიც შესაძლებელია პიროვნების თავისუფალი და სრულფასოვანი განვითარება.⁴

რამდენიმე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის კონსტიტუციური საფუძვლების შედარებით-სამართლებრივმა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა, ამ საკითხთან დაკავშირებით, გაგვეკეთებინა ქვემოთ მოცემული რამდენიმე დასკვნა და შენიშვნა.

¹ ბელორუსიის რესპუბლიკის 1996 წლის 24 ნოემბრის კონსტიტუცია.

² პოლონეთის რესპუბლიკის 1997 წლის 2 აპრილის კონსტიტუცია.

³ სლოვაკეთის რესპუბლიკის 1992 წლის 1 სექტემბრის კონსტიტუცია.

⁴ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

ბევრი ქვეყნის საგადასახადო რეგულირებისათვის დამახასიათებელია იმ კანონთა მოქმედების კონსტიტუციური შეზღუდვა, რომელიც აწესებს ახალ გადასახადებს ან აუარესებს გადასახადის გადამხდელთა მდგომარეობას. კონსტიტუციის ზემოხსენებული დებულების მიზანია განაპირობოს გადასახადებით დაბეგვრის სტაბილურობა, განამტკიცოს გადასახადის გადამხდელის რწმენა სახელმწიფოში სამართლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის მდგარადობის შესახებ. საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა, აცილისა ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენცუმის გზით, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა ...“. საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნულმა დებულებამ უახლოეს წარსულში პოვა ასახვა და ჯერ ძალაში შესული არ არის.¹ 2011 წლის 1 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, რომელშიც ხორციელდება ზემოხსენებული დებულების კონკრეტიზაცია, კერძოდ, ჩამოთვლილია საქართველოში დღეს მოქმედი გადასახადის სახეები და მითითებულია, რომ „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება გადასახადის შემოღება ან ცვლილება, რომელიც არსებული გადასახადის აღტერნატივაა ან ანაცვლებს მას და ამავე დროს საგადასახადო ტვირთს არ ზრდის. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება გადასახადის აგრეთვე გადასახადის სახის მიხედვით არსებული ზღვრული განაკვეთის ფარგლებში გადასახადის განაკვეთის ცვლილება.“² მაგრამ საქართველოს კონსტიტუციასა და ორგანულ კანონში მითითებული გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის აღნიშნულ გარანტის, რეფერენცუმის გარეშე ახალი გადასახადების შემოღებისა და გადასახადის განაკვეთის გაზრდის შეუძლებლობას, მნიშვნელობას უკარგავს ორგანული კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტში განმტკიცებული დებულება „საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, მოითხოვოს გადასახადების დროებით გაზრდა – არა უმეტეს 3 წლის ვადით. ამ შემთხვევაში რეფერენცუმი არ ტარდება.“

სლოვაკეთის რესპუბლიკაში გადასახადით დაბეგვრის სფეროში შეზღუდვა საერთოდ არ არსებობს, თუმცა არსებობს კონსტიტუციური ვალდებულებების შეზღუდვის ზოგადი საფუძვლები. მაგალითად, სლოვაკეთის კონსტიტუციის მე-13 მუხლით განსაზღვრულია პირობები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია კონსტიტუციით განსაზღვრული ვალდებულებების დაკისრება:

- კანონით ან კანონის საფუძველზე, მის ფარგლებში, მირითადი უფლებებისა და თავისუფლების გათვალისწინებით;
- საერთაშორისო ხელშეკრულებით, რომელიც პირდაპირ ასაბუთებს ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებსა და ვალდებულებებს;
- მთავრობის განკარგულებით, თუ ეს კანონითაა დადგენილი.³

¹ აღნიშნული ცვლილება საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წლის 15 დეკემბერს შევიდა და ამოქმედდება 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადგების მომენტიდან.

² საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, 2011 წლის 1 ივნისი.

³ სლოვაკეთის რესპუბლიკის 1992 წლის 1 სექტემბრის კონსტიტუცია.

მიგვაჩნია, რომ გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის კველაზე ძლიერი მექანიზმია სასამართლო დაცვის მირითადი უფლება, რომელიც კველა დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუციაშია (დაუწერელი სამართლის ქვეყნების სხვადასხვა კანონში) განმტკიცებული და რომელსაც, სამართლიანი სასამართლოს უფლების სახელწოდებით, აღიარებს ადამიანის უფლებათა უფლებათა უფლებათა კონვენცია.¹ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიხედვით: „1. კუველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს;... 9. კველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, აგრონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება, შესაბამისად, სახელმწიფო, აგრონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.“ ამ უფლების მიხედვით, კველა გადასახადის გადამხდელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, თუ მიიჩნევს, რომ საგადასახდო ორგანოს ქმედებით ან საკანონმდებლო აქტში განმტკიცებული ნორმით დაირღვა, ან შეიძლება დაირღვეს მისი უფლებები.

გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის კუთხით საკურადღებოა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომელშიც განმტკიცებულია საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება: „1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუკლია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება; 2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი...“² ამ მუხლით განმტკიცებულ საკუთრების უფლებასა და გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადის გადახდის ვალდებულებას შორის მჭიდრო კავშირია, რადგან თრივე პირის ქონებრივ ინტერესთანაა დაკავშირებული. ხშირია შემთხვევები, როდესაც საგადასახადო ორგანო დავალიანების მქონე გადასახადის გადამხდელის მიმართ იყენებს საკუთრების უფლების შემზღვეველ დონისძიებებს – საუბარია საგადასახდო დავალიანების უზრუნველყოფის დონისძიებებზე (გირავნობა/იპოთეკა, ქონებაზე ყადაღის დადება, დაყადაღებული ქონების რეალიზაცია, მესამე პირზე გადახდევნების მიქცევა, საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა, სალაროდან ნარდი ფულის ამოდება). სწორედ, ამ დონისძიებების გამოყენების დროს საგადასახადო ორგანო ვალდებულია გაითვალისწინოს გონივრულობისა და პროპორციულობის პრინციპები. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლების შედახვასთან. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით საუბარი იქნება საგადასახადო დავალიანების შესრულების უზრუნველყოფის დონისძიებების დახმასიათებისას.

როდესაც საუბარია გადასახადის გადამხდელის უფლებათა დაცვის საკანონმდებლო გარანტიებზე, არ შეიძლება არ შევეხოთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა გარდაცვლილი პირის საგადასახადო ვალდებულებების გადასვლა მის მემკვიდრეზე, რადგან მიგვაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ამ საკითხთან

¹ 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა უფლებათა უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლი.

² საქართველოს კონსტიტუცია, 24-ე მუხლი.

დაკავშირებით გათვალისწინებული ნორმები არ ითვალისწინებს სამართლიანობის პრინციპს და არღვევს როგორც მექანიზრის უფლებებს, ისე ზოგადად პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპს. ამ საკითხს განვიხილავთ და საბოლოო დასკვნას ჩამოვაყალიბებთ რამდენიმე უკროპული ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 57-ე მუხლის მიხედვით, „1. გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანებას გადაიხდის მისი მემკვიდრე სამკვიდრო ქონებაში მისი წილის პროპორციულად, მემკვიდრეობის მიღების დღიდან; 2. საგადასახადო ორგანო ვალდებულია გარდაცვლილი პირის მემკვიდრეს გაუგზავნოს შეტყობინება, რომ გარდაცვლილი პირის მაგივრად გადაიხადოს საგადასახადო დავალიანება; 3. გარდაცვლილი პირის მემკვიდრის არარსებობის ან მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ან თუ გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანების მოცულობა აღემატება მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულების, საგადასახადო დავალიანების დარჩენილი თანხა ითვლება უიმედო საგადასახადო დავალიანებად და ჩამოიწერება ამ კოდექსით დადგენილი წესით; 4. თუ პირი აგრძელებს იმავე სამეწარმეო საქმიანობას, რომელსაც ახორციელებდა გარდაცვლილი მეწარმე ფიზიკური პირი და ფაქტობრივად ულობს მის ქონებას, იგი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს საგადასახადო ორგანოს და გარდაცვლილი პირის მაგივრად გადაიხადოს საგადასახადო დავალიანება, მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა ამ ქონებას მემკვიდრეობით, აგრეთვე შესარულოს გადასახადის გადამხედვის ამ კოდექსით გათვალისწინებული უკელა ვალდებულება; 5. გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, გარდაცვლილი პირის საგადასახადო დავალიანება არის მისი გარდაცვალების თარიღის მიხედვით არსებული საგადასახადო დავალიანება.“

ყაზახეთის საგადასახადო კოდექსი აღიარებს, რომ ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში საგადასახადო დავალიანება იფარება მისი მემკვიდრის (მემკვიდრეების) მიერ მემკვიდრეობით მიღებული ქონების ფარგლებში და სამკვიდრო ქონებაში მისი წილის პროპორციულად.¹ ანალოგიური დებულებაა განმტკიცებული უკრაინის საგადასახადო კოდექსში.²

თურქეთის საგადასახადო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში მისი საგადასახადო ვალდებულება გადადის სამართალმექანიზრებზე (სამართალმექანიზრებზე)... გადასახადის გადაუხდელი თანხა უნდა გადაიხადოს სამართალმექანიზრებზე (სამართალმექანიზრებმა მიღებული სამკვიდროს პროპორციულად)... ამასთან, სამართალმექანიზრები არ იხდიან გარდაცვლილი ფიზიკური პირის ფინანსურ სანქციებსა და საურავებს. ეს დავალიანება ითვლება უიმედო ვალად და ჩამოიწერება...“ გარდაცვლილი ფიზიკური პირის სამართალმექანიზრის მიერ საგადასახადო ვალდებულების შესარულების დროს ჯარიმისა და საურავის გადახდას გამორიცხავს ბელორუსიის საგადასახადო კოდექსიც.³

¹ ყაზახეთის საგადასახადო კოდექსი, მუხლი 45, პუნქტი 1.

² უკრაინის საგადასახადო კოდექსი, მუხლი 99, პუნქტი 3.

³ ბელორუსიის საგადასახადო კოდექსი, მუხლი 40.

ზემოაღნიშნულ საკითხს სპეციფიურად არეგულირებს რუსეთის ფედერაციის საგადასახადო კოდექსი, აյ საკმაოდ ლაკონურადაა წარმოდგენილი გარდაცვლილი პირის სამართალმემკვიდრის ვალდებულება საგადასახადო დავალიანების დაფარვის დროს. რუსეთის ფედერაციის საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტში საუბარია, რომ ფიზიკური პირის მემკვიდრე ფარავს გარდაცვლილი პირის ქონების გადასახადის დაგადანებას მემკვიდრეობით მიღებული ქონების ფარგლებში, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის საქართველოსიც, ზოგადად განმარტავს ფიზიკური პირის გარდაცვალების დროს მისი მემკვიდრის (მემკვიდრეების) საგადასახადო ვალდებულებებს, კერძოდ, შესაბამის დებულებებში არ ჩანს მემკვიდრე იხდის მხოლოდ საგადასახადო დავალიანების ძირითად თანხას, თუ მასზე დარიცხულ საურავსა და ჯარიმებსაც.

თუმცა, თუ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 57-ე მუხლს გავიაზრებთ ამავე კოდექსის მე-8 მუხლის 23-ე პუნქტთან ერთად, რომელიც განმარტავს, რომ საგადასახადო დავალიანებად ითვლება სხვაობა გადასახადის გადამხდელის მიერ დადგენილ გადაში გადაუხდელი გადასახადების ან/და სანქციების თანხასა და ზედმეტად გადახდილი გადასახადების, ან/და სანქციების თანხას შორის, აგრეთვე გავითვალისწინებთ კოდექსის 253-ე მუხლს, სადაც ჩამოყალიბებულია დავალიანების დაფარვის რიგითობა, კერძოდ, ის, რომ „საგადასახადო დავალიანების დაფარვა ხორციელდება შემდეგი თანამიმდევრობით: გადასახადის თანხა, ჯარიმა, საურავი“, ლოგიკურად მივდივართ დასკვნამდე, რომ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, ფიზიკური პირის გარდაცვალების შემთხვევაში მისი სამართალმემკვიდრე იხდის არა მარტო დავალიანების ძირითად თანხას, არამედ საურავსა და ჯარიმებსაც.

ჩვენი აზრით, ამ საკითხს სამართლიანად არეგულირებს თურქმენეთისა და ბელორუსის საგადასახადო კანონმდებლობა, სადაც ცალსახადაა აღნიშნული, რომ მემკვიდრე იხდის მხოლოდ დავალიანების ძირითად თანხას.

ზემოაღნიშნული მოსაზრება ეყრდნობა შემდეგ სამართლებრივ საფუძვლებს:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საგადასახადო ვალდებულებებს ასრულებს უშუალოდ გადასახადის გადამხდელი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“;

- საქართველოს საგადასახდო კოდექსის 269-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა;

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას ერთერთი მხარის გარდაცვალების შემდეგ ან იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, თუ სადაცოსამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა;

- „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლებზე ვერ გადავა პირის სიკვდილის შემდეგ გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნები, აღნიშნული აღსრულების შეწყვეტის საფუძველი იქნება;

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 286.3 მუხლის თანახმად, იმ პირის გარდაცვალება, რომლის მიმართ იყო გამოტანილი დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ არის დადგენილების გამომტანი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ დადგენილების აღსრულების შეწყვეტის საფუძველი;

- ამავე კოდექსის 232.9 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს იმ პირის გარდაცვალების გამო, რომლის მიმართ დაწყებული იყო საქმის წარმოება.

საგადასახადო პასუხისმგებლობა არის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნაირსახეობა. ამ მოსახურებას იზიარებს ქართველი მეცნიერი ზვიად როგავაც. თავის ნაშრომში განმარტავს, რომ „საგადასახადო პასუხისმგებლობა, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის, ხოლო, მეორე მხრივ, საფინანსო პასუხისმგებლობის ნაირსახეობაა.“¹ ამას ირიბად აღიარებს საქართველოს საგადასახადო კოდექსიც, რომლის 49-ე მუხლში, სადაც საგადასახადო ორგანოთა უფლებამოსილებებია განსაზღვრული, ჩამოყალიბებულია, რომ „საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე სამართალდამრღვევთა მიმართ შეადგინონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები და მიიღონ დადგენილებები ადმინისტრაციული სახდელების დაკისრების შესახებ.“

როგორც ცნობილია, სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ქმედების ჩამდენ პირს. სამართალდარღვევის ჩადენასთან დაკავშირებით, სამართალდამრღვევის მემკვიდრის უფლებამონაცვლედ მიჩნევა, სამართალდარღვევის ჩადენისთვის ჯარიმის გარდაცვლილის მემკვიდრისათვის დაკისრება ეწინააღმდეგება ფუნდამენტურ პრინციპებს – სამართალდარღვევისათვის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაუშვებლობა, სხვისი ქმედების გამო პასუხისმგებლობის დაკისრების გამორიცხვა. აქედან გამომდინარე, ჯარიმა არ არის მემკვიდრეობის ნაწილი, გარდაცვლილის ბრალებულობის მემკვიდრეობით მიღება არ დაიშვება.

საინტერესოა აღნიშნული საკითხის კერძო-სამართლებრივ ჭრილში განხილვა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 453-ე მუხლის თანახმად, მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება მისი პირადი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ზოგადად მოვალის გარდაცვალება არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, ვალდებულება შეწყდება მხოლოდ მაშინ, თუ ვალდებულების შესრულება შეუძლებელია მოვალის პირადი მონაწილეობის გარეშე. ისმის კითხვა, მიეკუთვნება თუ არა საგადასახადო ვალდებულებები იმ კატეგორიის ვალდებულებებს, რომლებიც უნდა შეწყდეს მოვალის გარდაცვალებით? უნდა აგონ თუ არა პასუხი მემკვიდრეებმა მამკვიდრებლის საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საგადასახადო დავალიანება იყოფა: ძირითადი თანხა, მასზე დარიცხული საურავი და ჯარიმა (ჯარიმები). საგადასახადო დავალიანების ძირითადი თანხის ნაწილი მიეკუთვნება დავალიანების იმ კატეგორიას, რომლის შესრულებაც შეიძლება, როგორც სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობაშია გათვალისწინებული – მემკვიდრის მიერ მოვალის პირადი მონაწილეობის გარეშე. რაც შეეხება, საგადასახადო

¹ ზ. როგავა. საგადასახადო სამართალი, საგადასახადო კონტროლი და საგადასახადო პასუხისმგებლობა. გამომცემლობა „ბაკმი“, 2009. 293 გვ.

დაგალიანებას საურავისა და ჯარიმის (ჯარიმების გარეშე) ნაწილში, მისი შესრულება, როგორც ზემოთ აღნიშნულ, შეუძლებელია მოვალის პირადი მონაწილეობის გარეშე. საგადასახადო სამართალურთიერთობა განეკუთვნება არა კერძო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობას, არამედ იგი საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის ნაწილია, სადაც ერთ-ერთი მხარე ყოველთვის სახელმწიფოა თავისი საგადასახადო პოლიტიკით, ხოლო მორე – გადასახადის გადამხდელი თავისი უფლებებით.

ჩვენი არგუმენტების განსამტკიცებლად, გვინდა მოვიყვანოთ ადამიანის უფლებათა ქვრობული სასამართლოს 1997 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე „A.P., M.P. და T.P. შვეიცარიის წინააღმდეგ (71/1996/690/882)“, რომელშიც გასაჩივრებული იყო შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება გარდაცვლილის მიერ გადასახადებისათვის თავის არიდების ფაქტთან დაკავშირებით მისი მემკვიდრისათვის სისხლის სამართლის სასჯელის – ჯარიმის დაწესების თაობაზე. ამ საქმეში ადამიანის უფლებათა ეკროპულმა სასამართლომ ცალსახად აღნიშნა, რომ მემკვიდრეს ამ შემთხვევაში არ შეიძლება დაკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „გარდაცვლილი პირის საგადასახადო ვალდებულებას ასრულებს მისი მემკვიდრე, სამკვიდრო ქონებაში მისი წილის პროპორციულად, მემკვიდრეობის მიღების დღიდან. მემკვიდრე იხდის მხოლოდ საგადასახადო თანხას, საურავი და ჯარიმა ჩაითვლება უიმედო ვალად და ჩამოიწერება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ირაკლი გაბისონია,
სამართლის დოქტორი

ბადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის სამართლებრივი ბარანტიები

სამართლებრივი და პრაქტიკული კუთხითაა გადმოცემული საქართველოში მიმდინარე საგადასახადო რეფორმა. ეს საკითხები, დღევანდელ პირობებში, ძალიან აქტუალურია, რადგან 2011 წლის დასაწყისიდან ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის ძალ მექანიზმებთან ერთად ითვალისწინებს ახალ მექანიზმებსაც. ახალ კოდექსს იხოვაცია შემთაქვს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დონისძიებებთან დაკავშირებითაც, რომელთა პრაქტიკაში სწორად დანერგვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შემდგომში მათი ეფექტურობისათვის. აღნიშნული საკითხები განხილულია მოქმედი და ახალი საგადასახადო კოდექსების ჭრილში.

Irakli Gabisonia,
doctor of law

LEGAL GUARANTEES OF PROTECTION OF TAXPAYERS' RIGHTS

There is represented an attempt, legal and practical issues to be covered by the tax reform in Georgia. These issues are very important in today's conditions, since the beginning of the year 2011 comes into force a new tax code that taxpayer's rights, along with providing new mechanisms for old mechanisms. Innovation brings new code enforcement activities in connection with the implementation in practice, which is very important for the future of their effectiveness. These issues are discussed in light of current and new tax code.

Иракли Габисония,
доктор права

ЮРИДИЧЕСКИЕ ГАРАНТИИ ЗАЩИТЫ ПРАВ НАЛОГОПЛАТЕЛЬЩИКОВ

Статья представляет собой попытку осветить с правовых и практических позиций происходящую в Грузии налоговую реформу. Эти вопросы очень важны в сегодняшних условиях, т. к. с начала 2011 года вступает в силу новый Налоговый кодекс, который с целью защиты прав налогоплательщиков, наряду с предоставлением новых механизмов предусматривает и старые механизмы. Инновации приносят новые виды деятельности исполнительного кодекса; в связи с осуществлением на практике это очень важно для будущей их эффективности. Эти вопросы обсуждаются в свете действующего и нового Налогового кодекса.

**ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თავისებურება
ამერიკის შემოწმებული შტატების მაბალითზე**

ამერიკის შეერთებული შტატები იმიგრანტებით და მათი შთამომავლებით დასახლებული ქვეყანაა. დღემდე აგრძელებს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ იმიგრანტთა მიღებას და მათთვის, რამდენიმეწლიანი მუდმივი ცხოვრების შემდეგ, მოქალაქეობის მინიჭებას. ამავდროულად, ამერიკას არც იმის შესაძლებლობა აქვს, რომ ყველა მსურველს მისცეს ქვეყანაში დასახლების უფლება, რის გამოც, იმიგრანტთა რიცხვი ყოველ წელს ზღვრული ხდება.

ამერიკის იმიგრაციული კანონმდებლობა სამართლის საკმაოდ რთული სფეროა, რომელიც ხშირ ცვლილებებს განიცდის. ეს გახდავთ ადმინისტრაციული და საერთაშორისო სამართლის რთული კომპლექსური ინსტიტუტი. საერთოდ, ამერიკული ადმინისტრაციული სამართლი მოიაზრება, როგორც პროცესუალური სამართლის დარგი. ამერიკულ იურისპრუდენციას იმიგრაციულ სამართალში აინტერესებს კერძო პირის უფლებები და მოვალეობები. ამის საფუძველზე ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პროცედურა საკმაოდ დეტალურ კითხვებს ითვალისწინებს.¹

იმიგრაციული პოლიტიკის სამართლებრივი საფუძვლები. ამერიკის შეერთებული შტატების იმიგრაციული პოლიტიკა ამერიკის, როგორც სახელმწიფოს, წარმოშობასთან ერთად გაჩნდა. ახალი იმიგრაციული ტალღის მიღება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობა, ხოლო ამ პროცესის სრულყოფილად და ხარისხიანად მართვა ქვეყნის იმიგრაციული პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო. მრავალრიცხოვანი საკანონმდებლო აქტები, საუწყებო რეგლამენტები და სასამართლო პრაქტიკა ამ პოლიტიკის სამართლებრივი განხორციელების საფუძველი გახდა.

ლტოლვილთა შესახებ კანონმდებლობა. ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა განასხვავებს ცნება "refugee" ლტოლვილს და ცნება "asylee" თავშესაფრის მაძიებელს. "refugee" არის პირი, რომელიც იღებს ლტოლვილის სტატუსს საზღვარგარეთ, ხოლო "asylee" – პირი, რომელიც ითხოვს პოლიტიკურ თავშესაფარს.

ლტოლვილთა რაოდენობის ზრდის და მათი განცხადებების გონივრულ დროში განხილვის შეუძლებლობის, ასევე ანტიმიგრაციული განწყობის გამო, 1996 წელს ლტოლვილთა შესახებ კანონმდებლობა შეივსო ახალი დებულებებით. ამით პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ბოლო უნდა მოედოს თავშესაფრის მიცემის სისტემაში თაღლითობასა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. უნდა დაჩქარდეს საქმის განხილვის მექანიზმი და გაძლიერდეს ქვეყანაში უკანონოდ მყოფ პირთა გაძევების სამართლებრივი ბერკეტები.²

„უპანონო იმიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და იმიგრანტთა პასუხისმგებლობის შესახებ“³ პრეზიდენტ კლინტონის მიერ 1996 წლის 30 სექტემბერს ხელმოწერილმა კანონმა, გარკვეულწილად, შეცვალა კანონმდებლობა ლტოლვილთა შესახებ.

¹ Иванов М. М. Неиммиграционные визы США. М.: Русская деловая литература, 1997. С. 20.

² Operations Instructions, Regulations and Interpretations U. S. Government Printing Office. Wash, D. C.

³ იხილეთ Pub.L, N 104-208, 110 Stat 3009 Act. 1996.

1996 წლის კანონი ყურადღებას ამახვილებს უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ პრძოლის რეფორმაზე და უკანონო იმიგრაციის წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღებას ითვალისწინებს.

აღნიშნული ნორმატიული აქტის IV თავი შეიცავს თავშესაფრის მიცემისა და ლტოლვილად ცნობის პროცედურასთან დაკავშირებულ ცვლილებებს. ასევე, აღნიშნული თავი შეიცავს დებულებებს, რომელიც ეხება "CONRAD STATE 20" პროგრამის გაფართოებას (რის საფუძველზედაც უცხოელებს, რომლებსაც ნება დართეს დაემთავრებინათ სამედიცინო სასწავლებელი, მაგრამ უარი ეთქვათ 2-წლიან მუდმივი ცხოვრების უფლებაზე).

1996 წლის კანონის IV თავის დებულებებით, ლტოლვილს უფლება ეძლევა პატიოსანი სიტყვის საფუძველზე გათავისუფლდეს და მიცეს თავშესაფარი.

IV თავის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან დებულებად უნდა ჩაითვალოს თავშესაფრის მიცემის პროცედურის განახლება. ახალი პროცედურის საფუძველზე თავშესაფრის მიცემის ახალი შეზღუდვები დაწესდა. იმ პირებს, რომლებიც შეიძლება დაბრუნდნენ „უსაფრთხო მესამე ქვეყანაში“ ეკრძალებათ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის თავშესაფრის მოთხოვნა.

IV თავის ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დებულებაა „ლტოლვილის“ ცნების გაფართოება. მას დაემატა პირი, „რომელიც იძულებული იყო შეეწყვიტა ორსულობა ან საკუთარი ნების წინააღმდეგ გახდა სტერილიზაციის მსხვერპლი, ან ამგვარი პროცედურის შეუსრულებლობის, ან უარის თქმის გამო განიცდის დევნას, ან სხვა სახის წინააღმდეგობა გაუწია მოსახლეობის ზრდის წინასწარი კონტროლის პროგრამას.“¹

ეს შესწორება ფრიად მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი განმცხადებელს ათავისუფლებს, ასეთი ქმედებისათვის ამტკიცოს კავშირი დევნასა და ლტოლვილის სტატუსის მინიჭებასა თუ თავშესაფრის მიცემას შორის. განმცხადებელს უკვე ადარ სჭირდება იმის ახსნა, რომ ამგვარი დევნის მსხვერპლი იგი რასის ან რელიგიის, ან აღმსარებლობის, ან ურვნების, ან გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების, ან პოლიტიკური მრწამსის გამო გახდა.

თუ უცხოელი დადგენილი პროცედურისა და მოთხოვნების შესაბამისად მიმართავს აშშ-ს ხელისუფლებას თავშესაფარზე, იმიგრაციის შესახებ კანონის საფუძველზე (პარ. 101(a)(42)(A)) მიიღებს ლტოლვილის სტატუსს. კანონით თავშესაფარზე უარის თქმის ყველა აუცილებელი საფუძველი კოდიფიცირებულია. დაემატა მხოლოდ რამდენიმე:

1. თუ უცხოელი ბრძანებას გასცემდა, ეხმარებოდა ან მონაწილეობდა სხვა პირის რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარევეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის მიზეზით დევნაში;

2. თუ არის საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ უცხოელმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაიდინა არაპოლიტიკური ხასიათის საშიში დანაშაული;

3. უცხოელს არ შეიძლება მიცეს შემოსვლის ნებართვა ან გაძევებული უნდა იქნეს, ვინაიდან მონაწილეობს ტერორისტულ ქმედებებში.

გაძევება. 1996 წლის კანონის საფუძველზე, იმიგრაციის ჩინოვნიკებს უფლება ეძლევათ გამოსცენ უცხოელის გაძევების შესახებ განკარგულება. გაძევების განკარგულება, რომელიც ეხება უცხოელის აშშ-ში საბუთების გარეშე ან ყალბი საბუთებით შემოსვლას, შემდგომ გადახედვას არ ექვემდებარება.

¹ იხ. Pub.L, K 104-208, P.O Stat. 3009 Act.1996, art. 101.

იმიგრაციის ინსპექტორების ახალი უფლებამოსილებაა საზღვარზე მიიღონ ქვეყანაში უცხოელის შემოსვლის აკრძალვის განკარგულება, რომელიც არ გასაჩივრდება იმიგრაციულ სასამართლოში. თუ შემოწმების დროს უცხოელმა გამოთქვა სურვილი თაგშესაფარზე ან აღმოჩნდა, რომ აქვს საფუძველი გახდეს დევნის მსხვერპლი, მაშინ მას გაუშვებენ თაგშესაფრის მიცემის საკითხებზე მომუშავე ჩინოვნიკთან გასაუბრებისათვის.

თუ ჩინოვნიკი გადაწყვეტს, რომ უცხოელს მართლაც აქვს საფუძველი გახდეს დევნის მსხვერპლი, მაშინ მას დააკავებენ მისი შუამდგომლობის შემდგომი განხილვისათვის. თუ ჩინოვნიკი დაადგენს, რომ უცხოელს არა აქვს საფუძველი გახდეს დევნის მსხვერპლი, გამოაქვს განკარგულება მისი აშშ-დან გაძევების შესახებ. განკარგულება ხელახლა არ განიხილება.

უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის მინისტრს არა აქვს არც დეპორტაციის და არც რომელიმე უცხოელის ქვეყანაში დაბრუნების უფლება, თუნდაც დაადგინოს, რომ უცხოელის სიცოცხლეს ან თავისუფლებას თავის ქვეყანაში ემუქრება დევნის საშიშროება რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო.¹

ლტოლვილთა მოზღვავებული ნაკადის გამო, 1996 წლის იმიგრაციული აქტი ითვალისწინებს იმიგრაციულ მოსამსახურეთა სპეციალურად მომზადებელი ჯგუფების შექმნას,² რომლის ფუნქციაა თაგშესაფრის მიცემა აღმინისტრაციული და არა სასამართლოს გზით.

ნიუ-იორკში 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ, იუსტიციის მინისტრმა ჯონ ექშორტმა განაცხადა იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურის სერიოზული რეორგანიზაციის დაწყებაზე.

რეფორმა ითვალისწინებდა იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურის ორი კონფლიქტური ფუნქციის გამიჯვნას: ერთი მხრივ, ქვეყნიდან ამერიკის კანონების დამრღვევი უცხოელების გაძევებას და, მეორე მხრივ, აშშ-ს სტუმრებისა და ლეგალური იმიგრანტებისათვის დახმარების გაწევას.

რეფორმა აგრეთვე ითვალისწინებს შემოსულ უცხოელთათვის ე.წ. „თვალყურის დევნების“ სისტემის შემოღებას.³ გეგმის თანახმად, იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახური ორ ქვეგანყოფილებად გაიყო: იმიგრაციული პოლიტიკის ზედამხედველობისა და იმიგრაციული სამსახურის ბიურო. იმიგრაციული სამსახურის ბიურო განიხილავს: ნატურალიზაციის, იმიგრაციისა და თაგშესაფრის შუამდგომლობებს, მწვანე ბარათის გაცემას, შემოსვლაზე სხვადასხვა სახის ნებართვის გაცემას, ლეგალურ იმიგრანტთა და შემოსულთა დასახმარებელ სხვადასხვა საკითხს. იმიგრაციული პოლიტიკის ზედამხედველობის ბიურო არის ძალოვანი ქვედანაყოფი, რომლის ამოცანაა სასაზღვრო კონტროლი, საგამოძიებო-დაზვერვითი ფუნქცია, უწყების კოორდინაცია ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ძალოვან სტრუქტურებთან.

¹ ი. სტ. N 104-208, 110 Stat. 3009 Act. 1996, art. 243 (p).

² Сборник международно-правовых документов и национальных законодательных актов по вопросам беженцев. Минск: Тесей, 2000, 429 с.

³ ი. გазета «Коммерсантъ» от 16.11.2001 г.

**ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თავისებურება
ამერიკის შემოწმებული შტატების მაბალითზე**

განხილულია ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისა და სამართლის სუბიექტთა თავისებურება ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე.

1980 წლის „იმიგრაციისა და მოქალაქეობის აქტით“ ლტოლვილის ცნება შესაბამისობაში მოვიდა კონვენციურ განსაზღვრასთან. ამ აქტით „გადმოსახლების“ უფლება ენიჭება იმ პირსაც, რომელიც კონვენციის ფორმულირების საფუძველზე ლტოლვილად მიიჩნევა, მაგრამ ჯერ არ დაუტოვებია მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა.

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა განასხვავებს ცნება "refugee" ლტოლვილის და ცნება "asylee" თავშესაფრის მაძიებელს. "refugee" არის პირი, რომელიც იღებს ლტოლვილის სტატუსს საზღვარგარეთ, ხოლო "asylee" – პირი, რომელიც ითხოვს პოლიტიკურ თავშესაფარს.

1996 წლის კანონი „უკანონო იმიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და იმიგრანტთა პასუხისმგებლობის შესახებ“ უკანონო იმიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის რეფორმაზე და უკანონო იმიგრაციის წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღებას ითვალისწინებს.

Ketevan Chakhvadze,
doctor law

**PECULIARITY OF GRANTING OF THE REFUGEE STATUS
BASED ON THE CASE OF USA**

There is discussed the granting process of the refugee status and the peculiarity of subject of law based on the case of the USA. The conformity of the term “refugee” with the convention was fixed with the adoption of immigration and nationality act in 1980.

According to this act, the right of the resettlement was granted either to the person, which is viewed as refugee by the definition of the convention, but has not left the permanent country of residence yet.

The USA legislation distinguishes the terms: refugee and “asylee”. “Refugee” is the person, which gains the status abroad, as for “asylee” is the person, which asks for the asylum in USA.

The law on illegal immigration reform and immigrant responsibility act of 1996 focuses on the reform against the unlawful migration and takes into consideration the measures for the restriction, as well as for the strength of the immigrants’ responsibility.

Кетеван Чахвадзе,
доктор права

ОСОБЕННОСТИ ПРИСВОЕНИЯ СТАТУСА БЕЖЕНЦА НА ПРИМЕРЕ США

Рассмотрены особенности присвоения статуса беженца и субъектов права на примере Соединенных Штатов Америки.

На основании «Акта об иммиграции и гражданстве» 1980 года понятие «беженец» стало соответствовать конвенциальному определению. Согласно этому акту, право на «переселение» получает лицо, которое на основании формулировки Конвенции считается беженцем, не покинувшим страну своего постоянного проживания.

Законодательство США разграничивает понятие «refugee» – «беженец» и понятие «asylee» – «свободный соискатель». «Refugee» – это лицо, получившее статус беженца за границей, а «asylee» – это лицо, которое просит о предоставлении политического убежища в США.

Закон 1996 года о «Борьбе с незаконной иммиграцией и ответственности иммигрантов» особое внимание уделяет реформе по борьбе с незаконной иммиграцией и предусматривает принятие строгих мер против незаконной иммиграции.

**ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ჩამოყალიბება
კოსტისაბჭოთა საქართველოში**

სახელმწიფო მმართველობის ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ცნება პირველად გამოყენებულ იქნა მორის დიუვერუეს მიერ. ”ეს ცნება, მისი აზრით, აერთიანებდა რეჟიმებს, რომელთაც ახასიათებთ, ერთი მხრივ, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული მთავრობის პასუხისმგებლობა და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მეთაურის საყოველთაო პირდაპირი კენჭისურით არჩევა.” თანამედროვე საფრანგეთში მეხუთე რესპუბლიკის პირობებში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს არ გააჩნია ერთი საერთოდ აღიარებული სახელმწოდება. მას უწოდებენ ნახევრად საპრეზიდენტოს, შერეულს და ა.შ. ამ სახის პოლიტიკური რეჟიმის დამფუძნებლები მიზნად ისახავდნენ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ძალისა და ეფექტურობის დემოკრატიულ ინსტიტუტებთან შერწყმას. ამ მიზნის მისაღწევად გათვალისწინებულ იქნა:

ა) ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი, რომელიც პარლამენტის თანხმობით მთავრობის მეთაურს ნიშნავს;

ბ) ბიცეფალური აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც განაწილებულია პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის;

გ) ”რაციონალიზებული” საპარლამენტო წყობა.

მოცემული მოდელი წარმოიქმნა მწვავე შიგა კრიზისის პირობებში და მნიშვნელოვანწილად მორგებული იყო პოლიტიკურ პიროვნებაზე - გენერალ და გოლზე. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეს მოდელი მხოლოდ საფრანგეთს ახასიათებდა. თანამედროვე სახელმწიფოებში ნახევრად საპრეზიდენტო მოდელების ჩამოყალიბებას საფუძვლად უდევს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების იდეა: მოცემული მოდელის პირობებში, პოლიტიკური კონიუნქტურის მოსაზრებით განპირობებული მთავრობის ხშირი ცვლილების აღმოფხვრის გზით შესაძლებელი ხდება სამთავრობო კრიზისების დაძლევა; შერეული მმართველობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს, ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის ეფექტური ურთიერთქმედებისათვის. ეს პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ დგება გარდამავალი სახელმწიფოების წინაშე. მეოცე საუკუნის ბოლოსათვის ფრანგული გამოცდილება ფართოდ გავრცელდა ყოფილ ხოციალისტურ სახელმწიფოებში (მათ შორის ჯერ საბჭოთა კავშირში, შემდეგ კი – საქართველოში). ეს დაკავშირებული იყო აღნიშნულ ქვეყნებში საპრეზიდენტო სისტემის შემოღების გზით ”პარტიული სახელმწიფოდან” მართვის დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლის პროცესთან. ამ პროცესში პრეზიდენტის ინსტიტუტი გადაიქცა პოსტსოციალისტური ქვეყნების მნიშვნელოვან ატრიბუტად. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ქვეყნებში საპრეზიდენტო სისტემის ფორმულა განსაზღვრა საზოგადოების პოლიტიკურმა სიმწიფემ. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულმა სამოქალაქო საზოგადოებამ, დემოკრატიულმა ტრადიციებმა, შედარებით მდგრადმა პარტიულმა სტრუქტურამ განაპირობა საპარლამენტო სისტემის წარმოქმნა (ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი).

ხოლო, სუსტი და განუვითარებელი სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების პირობებში, კერძოდ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქვეყანაში ვაკუუმი შეავსო ძლიერმა, ხშირ შემთხვევებში, ავტორიტარული ტენდენციების მქონე საპრეზიდენტო ინსტიტუტმა. ბუნებრივია, ამ ქვეყნებში პრეზიდენტის ინსტიტუტი სხვადასხვა ფორმით განვითარდა. მაგალითად, თურქმენთის რესპუბლიკში განიცადა ”თურქმენბაშიზაცია”, (თურქმენბაში – თურქმენთა მეთაური) ანუ პრეზიდენტად არჩეული პირის უფლებამოსილება განისაზღვრა მთელი სიცოცხლის ვადით, ამასთან შენარჩუნებულ იქნა ტოტალიტარიზმისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი, მათ შორის პიროვნების კულტი. ზოგიერთ ქვეყანაში კი პრეზიდენტის ინსტიტუტი დემოკრატიული გარდაქმნების უზრუნველყოფ ძირითად მექანიზმად იქცა (ესტონეთი, ლატვია).

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საპრეზიდენტო სისტემის წარმოქმნა დაკავშირებულია საბჭოთა კავშირში 1990 წლის მარტში პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებასთან. ამ პერიოდში საბჭოთა კავშირში საპრეზიდენტო ინსტიტუტის შემოღება ნაწილობრივ განაპირობა გარდაქმნის პერიოდის კომუნისტური პარტიის აპარატის რეორგანიზაციის შედეგად წარმოქმნილმა ”სახელისუფლებო ვაკუუმმა”. შესაბამისად, პრეზიდენტის ინსტიტუტი მოიაზრებოდა ხელისუფლების ძირითადი ბირთვის – კომპარტიის შემცვლელად (მემკვიდრედ). როგორც საბჭოთა კავშირის საპრეზიდენტო სისტემის ერთ-ერთი უფრემდებლის გ. შახნაზაროვის (გორბაचოვის თანაშემწე ამ პერიოდში) ჩანაწერებიდან ჩანს, საბჭოთა ლიდერები თვლიდნენ, რომ საპრეზიდენტო სისტემას საბჭოთა კავშირში უნდა ემუშავა ისე, როგორც მუშაობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. თუმცა, როგორც მისივე ჩანაწერებიდან ჩანს, ამ იდეის ხორცშესხმა რთული აღმოჩნდა. 1990 წლის 30 ოქტომბრით დათარიღებულ ჩანაწერებში ის აღნიშნავს, ”წარსულში ჩვენ გვქონდა პოლიტიკორო. ამჟამად, მსგავსი რამ პრაქტიკულად აღარ გააქვს. პრეზიდენტის საბჭო არ იკრიბება რეგულარულად და არ გაგვაჩნია სამუშაო გეგმა”. უფრო მეტიც, 1990 წლის 29 დეკემბრის ჩანაწერებში, შახნაზაროვი მიუთითებს პრეზიდენტის აპარატის ქაოსურობაზე და აღნიშნავს, რომ ”ორგანიზაციული თვალსაზრისით, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უფრო ეფექტურად მუშაობდა, როგორც ხელისუფლებისა და ადმინისტრაციის მთელი სისტემის ტვინი და მამოძრავებელი”. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სსრკ პრეზიდენტის აპარატი დაკომპლექტდა კომუნისტური პარტიის ყოფილი ფუნქციონერებისაგან. კომპარტიის მრავალი სახელმწიფოებრივი უწყება დაექვემდებარა პრეზიდენტის აპარატს.

ცენტრალურ დონეზე, პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ, საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება უკვე პრობლემას არ წარმოადგენდა. საბჭოთა რესპუბლიკების უმეტესობაში კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნები გახდნენ ჯერ შესაბამისი უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეები, შემდეგ პრეზიდენტები. ბუნებრივია, ეს გარემოება განაპირობებდა ძლიერ შინაარსობრივ მექანიზმებითობას კომპარტიისა და პრეზიდენტის აპარატის ლიდერობას შორის.

ამ მხრივ, საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება გარკვეულწილად განსხვავებულ ვითარებაში მოხდა. 1990 წლის 28 ოქტომბერს გამართულ საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში დამარცხდა კომუნისტური პარტია და ხელისუფლებაში მოვიდა პოლიტიკური ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი

საქართველო”, რომელმაც საწყის ეტაპზე, ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე, შეინარჩუნა 1978 წლის 15 აპრილს მიღებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია გარკვეული ცვლილებებითა და დამატებებით. კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა ტერმინები “საბჭოთა” და “სოციალისტური”. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს თრგანოდ გამოცხადდა უზენაესი საბჭო. უზენაეს საბჭოს მიენიჭა ფართო უფლებამოსილებები: ირჩევდა მთავრობის თავმჯდომარეს, მთავრობის წარდგინებით ამტკიცებდა მთავრობის შემადგენლობას და პქნიდა მასში ცვლილებების შეტანის უფლება; ისმენდა უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილი ან არჩეული ორგანოების, აგრეთვე მის მიერ დანიშნული ან არჩეული თანამდებობის პირების ანგარიშებს; განიხილავდა მთავრობის/მთავრობის ცალკეული წევრის ნდობის საკითხს.

ამ პერიოდის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სისტემა არ იცნობდა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის ურთიერთშეკავებისა და გაწონას-წორების მექანიზმებს. აღმასრულებელ ხელისუფლებას არ გააჩნდა არანაირი ბერკეტი უზენაესი საბჭოს ფართო უფლებამოსილებების დასაბალანსებლად და მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული.

1991 წლის მარტის, კონსტიტუციაში შეტანილი დამატებების საფუძველზე საქართველოში პოლიტიკურ ხელისუფლებათა ორგანიზაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა – შემოღებულ იქნა პრეზიდენტის ინსტიტუტი. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, პრეზიდენტი და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა არჩეულიყო. კერძოდ, პრეზიდენტი თანამდებობაზე აირჩეოდა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

პრეზიდენტი გამოცხადდა სახელმწიფოს მეთაურად, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლების, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების დაცვის გარანტად. პრეზიდენტს მიენიჭა ქვეყნის სუვერენიტეტის, უშიშროებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წეობილების პრინციპების რეალიზაციისათვის საჭირო ზომების გატარების უფლება, წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში. კონსტიტუციაში ჩადგებული პრინციპების შესაბამისად, პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური იყო. კონსტიტუციის 1214-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ”საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი მეთაურობს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემას და უზრუნველყოფს მათ ურთიერთქმედებას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს თრგანოებთან.” საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, როგორც ქვეყნის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანო პრეზიდენტს დაექვემდებარა. მინისტრთა კაბინეტი მოქმედებდა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით და თავის უფლებამოსილებას იხსნიდა ახლად არჩეული პრეზიდენტის წინაშე. პრეზიდენტი თავმჯდომარეობდა მინისტრთა კაბინეტის სხდომებს, უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით; აყალიბებდა მინისტრთა კაბინეტს; შექმნდა ცვლილებები მის შემადგენლობაში; თანამდებობიდან ათავი-

სუფლებდა პრემიერ-მინისტრსა და მინისტრთა კაბინეტის წევრებს. მოცემული სისტემა არ ითვალისწინებდა კონტრასიგნაციის ინსტიტუტს. საგულისხმოა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოს უფლებამოსილებათა განსაზღვრისას არ გამოიყენება ტერმინი “მთავრობა” და გამოყენებულია მხოლოდ ტერმინი მინისტრთა კაბინეტი. მათი ინსტუტიციური შინაარსი ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა შერჯულ სისტემებში (მაგალითად, საფრანგეთში) მინისტრთა საბჭო მთავრობის ძირითადი კოლეგიური ორგანოა, რომლის სხდომებს პრეზიდენტი თავმჯდომარეობს. მის სხდომებზე მიღებულ აქტებს ხელს აწერს პრეზიდენტი. ამდენად, მინისტრთა საბჭო წარმართავს მთავრობის სხდომას, სადაც პრეზიდენტი ახორციელებს მთავრობის კუთვნილ უფლებამოსილებებს.

საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციით არ იყო განსაზღვრული პრემიერ-მინისტრის ფუნქციები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1214-ე მუხლის მე-12 პუნქტით განმტკიცებულ პრინციპს, რომლის თანახმად, პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრსა და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან კონსულტაციების შემდეგ უფლება პქონდა დაეთხოვა უზენაესი საბჭო. აღნიშნული პრინციპის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტს უფრო პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს დატვირთვა პქონდა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ კონსტიტუციით სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან მთავრობის ურთიერთოქმედების უზრუნველყოფა პრეზიდენტს დაევალდა. საკუთრივ სამინისტროები ექვემდებარებოდა მინისტრთა კაბინეტს, რომელიც, თავის მხრივ, ექვემდებარებოდა პრეზიდენტს. შესაბამისად, მინისტრთა კაბინეტი მთლიანობაში არ წარმოადგენდა პრეზიდენტისგან გამიჯნულ აღმასრულებელ ორგანოს, ხოლო პრეზიდენტი გვევლინება აღმასრულებელი ხელისუფლების უშუალო მატარებლად.

ამდენად, განხილული უფლებამოსილებები უზრუნველყოფდა პრეზიდენტის მყარპოზიციებს ხელისუფლებათა სისტემაში და სახელმწიფო მმართველობის მოღელს, გარკვეულწილად, საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელთან აახლოებდა. პრეზიდენტი ადჭურვილი იყო ასევე შეყოვნებითი ვეტოს უფლებით. მას უფლება პქონდა არა უგვიანეს ორი კვირისა დაებრუნებინა კანონი, საწინააღმდეგო მოსაზრებით, უზენაესი საბჭოსათვის. თუმცა წმინდა საპრეზიდენტო რესპუბლიკაში, მაგალითად, აშშ-ში, კონსტიტუციით პრეზიდენტს აღმასრულებელი ხელისუფლება გადაეცემა და კონსტიტუციაში არ არსებობს სახელმწიფოს მეთაურის ცნება.

ჩვენი აზრით, ამ პერიოდში მოქმედი კონსტიტუციით განმტკიცებული სისტემის ერთეულთი მიზანი სახელმწიფო ხელისუფლებათა სისტემაში დამოუკიდებული აღმასრულებელი ხელისუფლების ჩამოყალიბებაა და არა საპრეზიდენტო რესპუბლიკის დამკვიდრება. როგორც ცნობილია, საბჭოთა წყობილება ე.წ. პროლეტარიატის დიქტატურა არ სცნობდა ხელისუფლებათა განაწილების პრინციპს. პირველ კომუნისტურ მანიფესტში ხშირად ციტირებული გამონათქვამი სახელმწიფოს აღმასრულებელ ორგანოს ბურჟუაზიის საქმეთა მმართველ კომიტეტად აცხადებდა. შესაბამისად, საბჭოთა წყობილების პირობებში მთავრობა მთლიანად დამოკიდებული იყო უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებზე. ეს ტენდენცია საქართველოში შენარჩუნებული იყო ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლიდან (1990 წლის 28 ოქტომბერი) პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებამდე. ამ

პერიოდში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღმასრულებელ ხელისუფლებას არ გააჩნდა არანაირი ბერკეტი უზენაესი საბჭოს ფართო უფლებამოსილებების დასაბალანსებლად და მთლიანად მასზე იყო დამოკიდებული. ასეთ პირობებში, საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების გზით, წარმომადგენლობითი ორგანოსაგან გამიჯნული, კონსტიტუციური წყობისა და კანონების დაცვის გარანტისთვის, სახელმწიფოს მეთაურისთვის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოს დაქვემდებარება წარმოადგენდა აღმასრულებელ-მმართველობითი ფუნქციების საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან რეალურად გამოჯვინის პირობას.

ამასთან, პრეზიდენტის კომპეტენციებში მოქცეული აღმასრულებელი ხელისუფლება არ იყო შეუზღუდავი, მის გასაკონტროლებლად სახელმწიფო მმართველობის სისტემით გათვალისწინებულ იქნა ნდობის ვოტუმი. უზენაესი საბჭო უფლებამოსილი იყო მინისტრთა კაბინეტის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით განეხილა მინისტრთა კაბინეტისა თუ მისი ცალკეული წევრის ნდობის საკითხი. უზენაესი საბჭოს მიერ უნდობლობის გამოცხადების ან ნდობის გამოცხადებაზე უარის თქმის შემთხვევაში მინისტრთა კაბინეტი, მისი ცალკეული წევრი უნდა გადამდგარიყო. მართალია, ეს სისტემა არ ითვალისწინებდა მთავრობის კოლეგიური პასუხისმგებლობის პრინციპს, თუმცა ნდობის ვოტუმის ამ სახით არსებობა მნიშვნელოვანი ბერკეტი იყო უზენაესი საბჭოს წინაშე მთავრობის პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად.

უზენაესი საბჭოს ზემოაღნიშნული უფლებამოსილების საპირწონედ პრეზიდენტს შეეძლო პრემიერ-მინისტრსა და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან კონსულტაციების შემდეგ დაეთხოვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. ამასთან, პრეზიდენტი საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას პასუხს აგებდა მხოლოდ სამშობლოს დალატის შემთხვევაში. პოლიტიკური პასუხისმგებლობის არარსებობა საპარლამენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ელემენტია.

ამდენად, პოსტსაბჭოთა საქართველოში საწყის ეტაპზე ჩამოყალიბებული სახელმწიფო მმართველობის სისტემა არ იყო სრული ან წმინდა პრეზიდენციალიზმი, არამედ წარმოადგენდა ნახევრად საპრეზიდენტო სისტემას, რომლის პირობებში საკმაოდ გაძლიერებულია აღმასრულებელი ხელისუფლება არა მთავრობის, არამედ პრეზიდენტის სასარგებლოდ (როგორც ეს ჩვეულებრივ ახასიათებს ნახევრად საპრეზიდენტო სისტემებს). მაგრამ, ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკის ფრანგული მოდელისაგან განსხვავებით, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება განაწილებულია პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის, პოსტსაბჭოთა საქართველოში ჩამოყალიბებული ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა (ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში) სასიათდებოდა აღმასრულებელი ორხელისუფლებიანობით (აღმასრულებელი დიარქია): პრეზიდენტი იყოს სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ეს თავისებურება განპირობებული იყო საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული პარტიული მმართველობის ორბუნებოვნებით, რომლის პირობებში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ერთდროულად წარმოადგენდა პარტიისა და სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური დაწესებულებების მართვის უმაღლეს ორგანოს. კომუნისტური პარტიის ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ

სამინისტროებისა და სხვადასხვა დონის უწყების გამაერთიანებლისა და მაკოორდინირებლის როლი პრეზიდენტმა იკისრა. სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის 1214-ე მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოყალიბებული პრინციპი, რომლის მიხედვით, პრეზიდენტი არა მარტო მეთაურობს მმართველობის ორგანოთა სისტემას, არამედ უზრუნველყოფს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან მათ ურთიერთქმედებას. ნიშანდობლივია, რომ ცნება მმართველობის ორგანოთა სისტემა უფრო ფართო მნიშვნელობისაა, ვიდრე მინისტრთა კაბინეტი.

ამდენად, საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციაში ცვლილებების საფუძველზე ჩამოყალიბებული სახელმწიფო მმართველობის მოდელი შეიცავდა როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო სისტემებისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, რომელთა შერწყმით ყალიბდება ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა. ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკის ფრანგული (კლასიკური) მოდელისაგან განსხვავებით, საქართველოში იმ ეტაპზე ჩამოყალიბებული ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა აშკარად განიცდიდა საბჭოთა პერიოდის პარტიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ელემენტების გავლენას. თუმცა, სახელმწიფოებრიობის არსებული გამოცდილების პირობებში, სახელმწიფო მმართველობის განხილული მოდელი უდავოდ წინ გადაღგმული ნაბიჯი იყო. სამწუხაროდ, 1991–1992 წლების საქართველოში ინსპირირებულმა ანტისახელმწიფოებრივმა პროცესებმა შეუძლებელი გახდა მოცემული მოდელის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრაქტიკული მხარეების შესწავლა.

**ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის ჩამოყალიბება
პოსტსაბჭოთა საქართველოში**

განხილულია 1990 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წლის 15 აპრილს მიღებულ კონსტიტუციაში, საქართველოს 1991 წლის 20 მარტის კანონით შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე შემოღებული საპრეზიდენტო ინსტიტუტის თავისებურებები. მათი ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში ამ პერიოდში შემოღებული სახელმწიფო მმართველობის სისტემა უფრო ნახევრად საპრეზიდენტო სისტემას შეესატყვისებოდა, მაგალითად, პრეზიდენტი და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით აირჩეოდა; პრეზიდენტი გამოცხადდა სახელმწიფოს და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემის მეთაურად; პრეზიდენტი აღჭურვილი იყო შეყოვნებითი ვეტოს უფლებით; პრეზიდენტი საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას პასუხს აგებდა მხოლოდ სამშობლოს დაღატის შემთხვევაში; უზენაესი საბჭო უფლებამოსილი იყო მინისტრთა კაბინეტის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით განეხილა მინისტრთა კაბინეტისა თუ მისი ცალკეული წევრის ნდობის საკითხი; უზენაესი საბჭოს მიერ უნდობლობის გამოცხადების ან ნდობის გამოცხადებაზე უარის თქმის შემთხვევაში მინისტრთა კაბინეტი, მისი ცალკეული წევრი უნდა გადამდგარიყო; პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრსა და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან კონსულტაციების შემდეგ უფლება ჰქონდა უზენაესი საბჭო დაეთხოვა.

ამასთან, განხილულ სისტემას ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკის ფრანგული მოდელისაგან განასხვავებდა მთელი რიგი თავისებურებები, მაგალითად, მოცემული სისტემა არ ითვალისწინებდა კონტრასიგნაციის ინსტიტუტს; კონსტიტუციაში აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოს უფლებამოსილებათა განსაზღვრისას არ გამოიყენება ტერმინი “მთავრობა”; საქართველოში ჩამოყალიბებული ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა ხასიათდებოდა აღმასრულებელი ორხელისუფლებიანობით (აღმასრულებელი დიარქია); პრეზიდენტი იყო სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური.

ამდენად, ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკის ფრანგული (კლასიკური) მოდელის განსხვავებით, საქართველოში იმ ეტაპზე ჩამოყალიბებული ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა აშკარად განიცდიდა საბჭოთა პერიოდის პარტიული სახელმწიფოსათვის დამასახიათებელი ელემენტების გავლენას. თუმცა, სახელმწიფოებრიობის არსებული გამოცდილების პირობებში, სახელმწიფო მმართველობის განხილული მოდელი უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

ESTABLISHMENT OF SEMI-PRESIDENTIAL SYSTEM IN POST-SOVIET GEORGIA

There is reviewed, ed peculiarities of the presidential institute, established on the basis of amendments by Law of Georgia of March 20, 1991 to the Constitution of the Soviet Socialist Republic of Georgia adopted in April 15, 1978, made after the first multiparty elections of the Supreme Council of Georgia of October 28, 1990. Analysis makes clear, that state governance system established in that period in Georgia was corresponding mostly to the semi-presidential system, for example, president and higher legislative body are elected independently by universal, equity and direct suffrage; president was announced as chief of state and chief of the system of state governance bodies of the Republic of Georgia; president had right of veto; president carried punishment only for high treason during exercise of his power; Supreme Council was entitled to consider issue of trust of the cabinet of ministers or its members on the basis of proposal of the cabinet of ministers or by its own initiative. In case of announcement of distrust or refusal to announce trust by Supreme Council cabinet of ministers or its member had to resigned; President had right to dismiss Supreme Council after consultations with the prime-minister and the chair of Supreme Council.

Besides, the considered system was differed from the French model of semi-presidential republic by several peculiarities, for example it did not envisage institute of contrasignation; for defining power of executive body in constitution the definition “government” was not used; semi-presidential system established in Georgia was characterized with executive diarchy: a presidency that was a head of state and government.

As opposed to semi-presidential republic French (classical) model semi-presidential system established in Georgia on that stage was apparently under influence of elements of party state of the soviet period, nevertheless, under conditions of the existing experience of statehood, the considered model of state governance was indeed a step forward.

Миндия Окуджава,

докторант права

СОЗДАНИЕ ПОЛУПРЕЗИДЕНТСКОЙ СИСТЕМЫ В ПОСТСОВЕТСКОЙ ГРУЗИИ

Рассмотрены особенности института президентства, которые сформировались после многопартийных выборов Верховного Совета Грузии 28 октября 1990 года, на основе изменений и дополнений, внесенных 20 марта 1991 года в конституцию Советской социалистической республики Грузии от 15 апреля 1978 года.

Анализы свидетельствуют о том, что принятая в Грузии система государственного управления больше соответствовала полупрезидентской системе. Например, президент и органы высшего законо-

дательства избираются независимо друг от друга на основе всеобщих равноправных и прямых выборов тайным голосованием; президент объявлялся как главой государства, так и главой органов системы государственного управления Грузинской республики; президент обладал правом вето; исходя из полномочий президента, он отвечал только за измену Родине; по просьбе кабинета министров или по собственной инициативе Верховный совет был уполномочен вынести квотум доверия по отношению к отдельным лицам; после консультации с премьер – министром и председателем Верховного Совета имел право распустить Верховный Совет.

Вместе с тем, рассмотренная система имела ряд особенностей по отношению к полупрезидентской системе Республики Франция. Например: данная система не подразумевала института контрагирования; при разграничении полномочий исполнительной власти не использовался термин «правительство»; существующая в Грузии полупрезидентская система характеризовалась исполнительной диархией: президент представлял как главу государства, так и правительство.

Итак, в отличие от французской (классической) полупрезидентской модели, в Грузии полупрезидентская система явно переживала элементы влияния Советского периода. Хотя рассмотренная модель все же является шагом вперед в условиях существующего опыта государственности и государственного управления.

ამერიკის შემოქმედული შტატების საბაზასახადო დავების
გადაწყვეტის ღოძფრინალურ-თეორიული ასამშტების პროცედურები

• ამერიკის საგადასახადო სამართლის ნორმების თავისებურება

ვიდრე დავიწყებდეთ აშშ-ის საგადასახადო დავების პროცედურების გადაწყვეტის აღწერას, უმჯობესია შევწერდეთ მის საგადასახადო სამართალზე, როგორც ამერიკის სამართლის სისტემის შემადგენელ ნაწილზე. ეს აუცილებელია, რათა ადეკვატურად გავი-გოთ ამერიკის საგადასახადო სამართალი და კონკრეტულად აღვწეროთ მისი პროცე-სუალური ასპექტები, საგადასახადო დავების გადაწყვეტის პროცედურები.

აშშ-ში ფედერალური კანონები არეგულირებს გადასახადებს და საგადასახადო სა-მართლის შემადგენელი ნაწილია, რომელიც გაერთიანებულია შიგა შემოსავლების კოდექ-სში (US Internal revenue code).

შიგა შემოსავლების კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ურთიერთობებს არეგუ-ლირებს კერძო სამართლის სუბიექტებს შორის, ასევე ნორმებს, რომლებიც არეგლამენტი-რებს ურთიერთობებს გადასახადის გადამხდელსა და საერთაშორისო საქველმოქმედო ორ-განიზაციებს შორის.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამერიკის სამართლის სისტემის ნაწილების კლასიფიკაცია:

- ა) საერთო სამართალი (common law, case law);
- ბ) სამართლიანობის სამართალი (law of equity);
- გ) დაწესებული სამართალი (statutory law);
- დ) აშშ-ის კონსტიტუცია.

აშშ-ის საგადასახადო სამართლის დეტალური ანალიზისას აღნიშნული ელემენტები შეიძლება განვიხილოთ, როგორც აშშ-ის საგადასახადო სამართალურთიერთობების მარჯ-გულირებლები, მათ შორის, როგორც დელიკატური საგადასახადო სამართალურთიერთო-ბები.

აშშ-ის სამართლის სისტემის განსაკუთრებული სპეციფიკური ელემენტია სამართლი-ანობის სამართალი. ამერიკის სამართალსისტემა არის კომპლექსური და რთული მოვლენა, რომლის შესწავლა უნდა განხორციელდეს აღნიშნული სამართალსისტემისათვის დამახ-ასიათებელი თავისებური სამეცნიერო აპარატის გამოყენებით.

ეს ხელს შეუწყობს საფუძვლიანად შევისწავლოთ საგადასახადო დავების გადაწყვე-ტის პროცედურები და მათი გამოყენების ეფექტურობა.

გამოყენებული საგადასახადო სამართალურთიერთობისას ფედერალური კონსტიტუ-ციის ნორმები ატარებს საბაზისო, ძირითად ხასიათს და არის მხოლოდ საერთო ნორმები ან პრინციპები. ასეთია მაგალითად, აშშ-ის კონსტიტუციით დადგენილი ნორმა (კონგრესს უფლება აქვს დაადგინოს და აკრიფოს ფედერალური გადასახადები, მოსაკრებლები და აქციზები): ფედერალური მოსაკრებლები და აქციზები უნდა იყოს ერთიანი აშშ-ის მთელ-ტერიტორიაზე.

ფედერალური დაწესებული სამართალი, საერთაშორისო ხელშეკრულებები და სასამართლოთა მოწყობის წესები, ამერიკის ანალოგიურ წყაროებთან ერთად, აშშ-ის საგადასახადო სამართლის რეგულირების ძირითადი საფუძველია.

ფედერალურ დონეზე ასეთ წყაროებს მიეკუთვნება შიგა შემოსავლების კოდექსი, რომელიც ამერიკის მოქმედი საგადასახადო კანონების კოდიფიცირებული ნაკრებია კონკრეტული კომენტარებით, რომელიც ემყარება მოქმედ პრეცედენტებს, ასევე სხვა დაწესებულ, განცალკევებულ პროცესუალურ ნორმების შემცველ გამოყენებულ საგადასახადო სამართალურთიერთობებს (მაგ., კოდექსის მე-5 თავის 5 კრებსითი კანონი ფედერალურ დაწესებულ ადმინისტრაციულ პროცედურაზე, Federal Administrative Procedure Act).

საერთაშორისო ხელშეკრულებები აშშ-ის საგადასახადო დაბეგვრის საკითხებზე (დღეს ისინი 65-ია) ეძღვნება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებას, საგადასახადო რეზიდენტურობის კრიტერიუმების გარკვევას და ასევე გადასახადების დაბეგვრის ელემენტებს და ა.შ.¹

მნიშვნელოვანია იურიდიული ძალის დაწესებული სამართლის ნორმებისა და გადასახადის დაბეგვრის ურთიერთობის საკითხი აშშ-ის საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმების კონკურენციის პირობებში.

ამერიკის სამართლის კოლიზიური ნორმები საშუალებას იძლევა ვისაუბროთ აღნიშნული წყაროების თანასწორ იურიდიულ ძალაზე, რომლითაც ისინი ერთ კატეგორიაში ერთიანდება.

ამერიკის კონსტიტუციით, აშშ-ის საერთაშორისო ხელშეკრულებები დაბეგვრის საკითხებზე სახელმწიფოს უმაღლესი კანონია და კონსტიტუციით მიღებული დაწესებული სამართლის აქტების თანასწორია. კონკურენციის ნორმების აღმოფხვრის კოლიზიური წესები შეიცავს სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილებას. შიგა შემოსავლების კოდექსი (გვ. 6114) მიუთითებს, რომ გადასახადის გადამხდელმა დაბეგვრის რეჟიმის შეცვლისა და საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენებისას, რომელიც ეწინააღმდეგება შიგა შემოსავლების კოდექსს უნდა დაამტკიცოს, რომ ის შედის იმ პირების წრეში, რომლებზეც კრცელდება საერთაშორისო ხელშეკრულებები. საბოლოო გადაწყვეტილება კოლიზიის ორი სახის წყაროებს შორის გამოსაყენებელი საგადასახადო დავისას დამოკიდებულია სუბიექტურ ფაქტორებზე. ასეთი სამართლიანობის პრაქტიკას აკრიტიკულ მეცნიერი სამართალმცოდნებები და აღნიშნავენ, რომ გამოყენებული წესი “უპირატესობა უფრო ბოლოსი” ხშირად იწვევს ამერიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების დარღვევას დაბეგვრის საკითხებზე.²

აშშ-ის საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის განცალკევებულ ადგილს იკავებს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ამერიკული სამოდელო ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება პრინციპულად განსხვავდება სხვა ცნობილი ხელშეკრულებებისგან – ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით, დაბეგვრის კონცეფციის, რეზიდენტთა შემოსავლებისა და სხვა პირების, ვინც შემოსავლებს ქვეყნის წყაროებიდან იღებს.

¹ <http://irs.gov/businesses/international/article/0,,id=96739.00,Html>.

² Дернберг Р.Л. Международное налогообложение. М.: ЮНИТИ, Будапешт: COLPI, 1997.

საერთაშორისო ხელშეკრულებების კვლევა, როგორც წყარო საგადასახადო სამართლისა, საინტერესოა სასამართლო შენიშვნებით და გამოყენებული იურისდიქციის წესებით, როდესაც სახეზეა მსგავსი ხელშეკრულება.

მითითებულია შესაძლებლობაზე, “არარეზიდენტებზე გამოყენებულ იქნეს ამერიკული იუსტიციის აღმინისტრირების ან სასამართლოს იურისდიქცია”. ამ უკანასკნელებზე შეიძლება გავრცელდეს საგადასახადო დავების გადაწყვეტის ყველა წესი და პროცედურა.

სამართალწარმოების წესები არეგულირებს სასამართლო ორგანოების მუშაობას და აქვს თანასწორი ძალა დაწესებულებებთან ურთიერთობაში.

ფედერალურ დონეზე მოქმედებს სამართალწარმოების შემდეგი წესები:

- სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესები (Federal Rules of Civil Procedure), 1938;
- სისხლის სამართლის პროცესის ფედერალური წესები (Federal Rules of Criminal Procedure), 1946;
- აპელაციის წარმოების ფედერალური წესები (Federal Rules of Appellate Procedure), 1968;
- ფედერალური წესები მტკიცებულებათა შესახებ (Federal Rules of Evidence) 1975;
- სკეციალური ინსტრუქციების (მაგ., ამერიკის საგადასახადო სასამართლოში სასამართლო წარმოების წესები და პროცედურები).

აშშ-ის სასამართლო კონფერენცია შეიმუშავებს და ღებულობს სასამართლო წარმოების ფედერალურ წესებს (Judicial Conference of the United States), რომელიც აღმინისტრაციული ორგანოსა და ფედერალურ მოსამართლეთა კორპუსის მაკონტროლებლის ფუნქციას ასულებს.¹

სასამართლო კონფერენცია დამუშავებულ ტექსტობრივ წესებს და შენიშვნებს აგზავნის ამერიკის უმაღლეს სასამართლოში, რომელიც განიხილავს, აკორექტორებს და ეთანხმება მათ სავალდებულო მიღებას ქვემდგომი სასამართლოებისათვის. ასევე აქვს სამართალწარმოების თავისებური წესები, რომელიც ხანდახან უპირატესია შტატების დაწესებულ სამართალზე (მაგ., თუ კოლოზია წარმოიქმნება პროცესუალური ნორმების სასამართლო წარმოების წესებსა და დაწესებულ სამართალს შორის, მიღებას ექვემდებარება პროცესუალური ნორმების წესები).²

საგადასახადო დავების განხილვის პროცედურები, სასამართლო პროცედურების ფარგლებში, ფედერალურ დონეზე რეგულირდება სამოქალაქო პროცესის, აპელაციური წარმოების მტკიცებულებაზე ფედერალური წესებით, ასევე ამერიკის საგადასახადო სასამართლო პროცედურების წესებით.

ზემოაღნიშნულ წესებს შორის კონკურენციის თავიდან აცილება ხდება კოლიზიური შესწორებებისა და აღნიშნული ინსტრუქციების გამოხმაურების ხარჯზე. ასე, მაგ., ამერიკის საგადასახადო სასამართლოს მიერ სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესების საფუძველზე მიღებულია სასამართლო წარმოების წესები და პროცედურები (წესი 1 და პროცედურები საგადასახადო სასამართლოში, აშშ).

ფედერალური აღმინისტრაციული სტრუქტურის ნორმები და წესები ბევრ აღმინისტრაციულ აქტს შეიცავს, რომელიც მიღებულა ამერიკის სტრუქტურების როგორც დელგ-

¹ Берман У.Указ.соч.С.105.

² см.: Winberry v.Salisbury, 74 A.2d 406 (N.J.1950). цит. по:Берман У.Указ.соч.

გირებული უფლებამოსილების ძალის ფედერალური კანონმიმღები ორგანოებიდან, ასევე არსებული დაწესებული კანონებიდან.

საგადასახადო დავების გადაწყვეტის პროცედურები რეგულირდება შიგა შემოსავლების კოდექსის საფუძველზე და შეიძლება განხორციელდეს აშშ-ს ფინანსების დეპარტამენტით, ასევე აშშ-ს შემოსავლების სამსახურით, რომელსაც აქვს ფინანსების დეპარტამენტის მიერ მინიჭებული დელეგირება და უფლებამოსილება. ფინანსების დეპარტამენტი (US Treasury department) აქვეყნებს კანონქვემდებარე აქტებს, რომლებიც თავისი შემცველობით შეესაბამება ადმინისტრაციულ აქტებს და მათი მიღების პროცედურა რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული პროცესის აქტებით, ამიტომ კანონის შესაბამისობის მოთხოვნის აუცილებლობის გარდა, მოითხოვს რიგი ფორმალური მოთხოვნების დაცვას (მაგ., აქტის პირველ გამოყენებამდე 30 დღით ადრე გამოქვეყნების მოთხოვნა). ფინანსების დეპარტამენტმა ადმინისტრაციულ პროცესზე რომ არ შეასრულოს აქტის ფორმალური მოთხოვნა, დეპარტამენტი პერიოდულად უშვებს დროებითი გამოყენების ნორმატიულ აქტებს (Temporary regulations). მათი მიზანია გადაუდებლად ჩაერიოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების პროცესში. ასევე უშვებს გადაუდებელ აქტებს (Proposed regulations), რომელიც ჯერ კიდევ არ არის ფინანსების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული დასრულებული სახით. ფინანსური დეპარტამენტი კი განხილულ აქტებს უშვებს მეცნიერული ნორმების ფუნქციების საფუძველზე, თუმცა არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც დელეგირებული უფლებამოსილების წესით მიღებული ადმინისტრაციული აქტები.¹

შიგა შემოსავლების სამსახური უშვებს მხოლოდ ერთი სახის აქტებს, რომელსაც აქვს ნორმატიული ხასიათი, კონკრეტულად პროცესუალური ხასიათი (Procedural regulations). აღნიშნული აქტები შიგა შემოსავლების სამსახურის ისტრუქციებს შეიცავს საგადასახადო კანონმდებლობის პროცესუალური საკითხების გამოყენებაზე.

დადგენილი პრაქტიკის საფუძველზე, არანორმატიული აქტები, რომლებიც ეხება გადასახადის გადამხდელის წერილებს კითხვა-პასუხის სახით, კონკრეტული საქმეებისა და მდგომარეობის მიმართ; ცალკეული გადასახადის გადამხდელებისადმი საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებას (თუ წერილის წყარო შიგა შემოსავლების სამსახურის რაიონული ბიუროა); გადამხდელებისათვის ინფორმაციას ახალი საგადასახადო აქტების გაფლენის შესახებ მათ სამართლებრივ სტატუსზე (revenue procedures). სამსახურებრივი აქტები, მიღებული ადმინისტრაციული პროცედურების მიმართ არ ვრცელდება აქტის ფორმალურ მოთხოვნაზე (აქტის ადმინისტრაციულ პროცესზე).

ამასთან დაკავშირებით, აღნიშნული აქტები დიდი წილით გამოხატავს მხოლოდ შშსის (შიგა შემოსავლების სამსახური) სამართლებრივ პოზიციას კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, კონკრეტულ მდგომარეობაზე. მათი გამოყენება სხვა ანალოგიურ საქმეებზე ხდება იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს იდენტურ მდგომარეობასთან. ამიტომ, ამერიკელი სამართალმცოდნები დაბალ პრეცედენტულ მნიშვნელობას ანიჭებენ განხილულ აქტებს გადასახადის გადამხდელისათვის, თუმცა, სხვა საგადასახადო კანონმდებლობასთან შე-

¹ ცმ.:Patricia T. Morgan. Tax procedure and tax fraud in a nutshell.1999,West Group. P.11-13.

დარებით, აღნიშნული აქტების გამოცემის რაოდენობა ყოველწლიურად, შიგა შემოსავლა-ბის სამსახურის მიერ, ძალიან დიდია.¹

ამერიკის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ საგადასახადო ადმინისტრირების სამართალურთიერთობის ფარგლებში მიღებული ნორმატიული და სახელმწიფო ორგანოების კანონქვემდებარე აქტების გარდა, აშშ-ის საგადასახადო სამართალი შეიცავს კოდეგ ერთ მნიშვნელოვან საგადასახადო სამართალურთიერთობების მარეგულირებელ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომელსაც აქვს პრეცედენტული მნიშვნელობა (ან ამერიკის ტერმინოლოგიის ფარგლებში მიღებულ სასამართლო სამართალს (case law)),² მაგრამ დასათაურება ან სახელის დარქმევა, მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებების გადამწყვეტ პოზიციებზე, საგადასახადო სფეროში არამიზანშეწონილია, რადგან ასეთი სახის სამართლის წყაროების რაოდენობა ამერიკაში ძალიან დიდია და, პრაქტიკულად, ყოველთვიურად მატულობს.

- ამერიკის სამართალმცოდნეობაში, ისევე, როგორც პრაქტიკაში, უნდა გამოვყოთ:
- ❖ სასამართლო პრეცედენტები, შექმნილი სასამართლოების საერთო სამართლის ნორმების განხილვის საფუძველზე (common law, case law).
 - ❖ სასამართლო პრეცედენტები, შექმნილი დაწერილი სამართლის, ე.ო. დაწესებული სამართლის განხილვის საფუძველზე.

საერთო სასამართლის ნორმებს არა აქვს ისეთივე მნიშვნელობა საგადასახადო ადმინისტრირებისათვის, როგორც საგადასახადო სამართლის ნორმებს. განვითარების თანამედროვე ეტაპზე საერთო სამართლის ნორმების ერთობა საბაზისო პრინციპები და საგადასახადო დაბეგგრის სისტემის საფუძველია, რომლებმაც აღგილი დაუთმო პრეცედენტულ სამართალს. ეს უკანასკნელი დაფუძნებულია დაწესებული სამართლის განმარტებებზე (კომენტარებზე).

სახელმობრ, ამერიკული სასამართლოებით დაწესებული, სამართლის ნორმების განმარტებების საფუძველზე შექმნილი პრეცედენტები მისაღებია საგადასახადო დაბეგგრისთვის და ძირითადი საფუძველია სპეციალისტებისა და გადასახადის გადამხდელთათვის. ეს იმით არის განპირობებული, რომ ისინი საგადასახადო სამართლის სავალდებულოდ გამოსაყენებელ სხვადასხვა ნორმას წარმოადგენს დაბალ საფეხურზე მდგომი სასამართლოებისათვის.

ამერიკის პრეცედენტული სამართალი იმეორებს მის მიერ დაწესებულ სამართალს და არსებობს როგორც ფედერალურ, ისე შტატების დონეზე. ამასთან, ამერიკის პრეცედენტული სამართლის შედეგინდებაში უნდა ვისაუბროთ ფედერალური და შტატების საერთო სამართლის არსებობაზე.

გამოყენებულ საგადასახადო ურთიერთობებისას საინტერესოა პრეცედენტების დაყოფა დაწესებული სამართლის განმარტებების საფუძველზე. საერთო პრეცედენტული სამართლის კლასიფიცირებით შეიძლება გამოვყოთ:

- პრეცედენტები, ფედერალური დაწესებული სამართლის განმარტების საფუძველზე.
- პრეცედენტები, შტატების დაწესებული სამართლის განმარტების საფუძველზე.

¹ См.: Patricia T. Morgan. У. Указ.соч. С.24.

² См.: Берман У.Указ.соч.

ამასთან, პრეცედენტები არის ის სასამართლო აქტები, რომლებიც დაფუძნებულია ნორმების განმარტებული და როგორც ფედერალურ-ადმინისტრაციული სტრუქტურების, ისე შტატების სტრუქტურების წესებზე.

აღნიშნული აქტები პასუხობს პრინციპებს (stare decisis), რომელიც არ უნდა აგვერიოს აქტებში, რომლებიც შეუსაბამო ნორმებს და წესებს აწესებს ფედერალური ადმინისტრაციული ორგანების უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე დაწესებული სამართლის აქტებზე. ეს აქტები არ შეიცავს ისეთი მნიშვნელოვანი პრეცედენტის კონსტრუქციის ელემენტს, როგორც მისი ბირთვი. აქტების მიღებისას, რომელსაც არა აქვს პრეცედენტული მნიშვნელობა, სასამართლო გამოიყენებს მხოლოდ ადრე გამომუშავებულ კოლონიურ პრინციპებს.

ამერიკის კონსტიტუციაში მოხსენიებულია მხოლოდ ის საქმეები, რომლებიც გადაწყვეტილია სამართლიდან (cases in law) და სამართლიანობიდან გამომდინარე (cases in equity).

სასამართლოების სამართლიანობის მოქმედ წესს არა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი შეერია სამართლის სასამართლოებს. თუმცა, საქმის სწორად გადაწყვეტის დროს საერთო სამართლის პროცედურების ამორჩევას (საქმეების მოხმანისას) დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქმეები, რომლებიც გადაწყვეტილია სამართლიანობის სამართლით, ტრადიციულად ჭარმოადგენს ნაფიც მსაჯულების საქმეების მოსმენებს (jury trial).

დღეს ეს წესი არ გამოიყენება, არამედ განისაზღვრება ხერხი ან სამართალდაცვის ფორმა. მაგალითად, თუ დავას აქვს ფულადი ხასიათი, მაშინ ის განეკუთვნება სამართალფორმას, თუმცა ამ წესსაც აქვს ნაკლი, რაც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ ამერიკული პრეცედენტული წყაროების კაზუსურობაზე და მთლიანობაში სამართალსისტემაზე.

ამერიკის კონსტიტუციის მე-7 შესწორების განმარტებიდან გამომდინარე, რომელიც გამაგრებულია კონსტიტუციით, სამართლიანი სასამართლოებისა და საერთო სამართლით მიღებული გადაწყვეტილებით, ამერიკული დოქტრინა საუბრობს სამართლიანობის სასამართლოების იურისდიქციაზე (მხოლოდ სამოქალაქო სამართლის საკითხებზე), რომელიც ჩართულია სავაჭრო სამართალში, კომერციულ სამართალში და ა.შ.

სახელმწიფოს ან აქტების “უმაღლესი კანონების” ჩამონათვალი, რომელთაც უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს, კონსტიტუციის შემდგომი დაწესებულებების გარდა, შეიცავს ამერიკის სამართალწარმოების წესებს და საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

უფერო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამერიკული კანონმდებლობის განხილვისას მნიშვნელოვანია უურადღება მივაქციოთ პროცესუალურ კანონმდებლობას, რომელიც არეგულირებს საგადასახადო სამართალუროიერობის სფეროს, მათ შორის დელიკატურ სამართალუროიერობებს. ამერიკული დელიკატური საგადასახადო სამართლის განხილვა საშუალებას გვაძლევს აღნიშნული პოზიტიური გამოცდილება გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის შესაბამისი სისტემის შემდგომი რეფორმირებისას, ასევე თავიდან ავიცილოთ ის ნებატიური ეფექტი, რომელსაც აშშ-ში ჰქონდა ადგილი.

**ამერიკის შემოთხვეული შტატების საბაზასახადო დავების
გადაწყვეტის დოკტორინალურ-თეორიული ასპექტების პროცედურები**

ბოლო წლებში საქართველოს იურისდიქციაში გატარდა საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები. აღნიშნულმა საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი რეფორმირების აუცილებლობა გამოიწვია.

ამერიკული კანონმდებლობის განხილვისას მეტად მნიშვნელოვანია უურადღება მივაპყროთ პროცესუალურ კანონმდებლობას, რომელიც არეგულირებს საგადასახადო სამართლურო იურიკული დელიკატურ სამართალურო იურიკული დელიკატური კანონმდებლობას. ამერიკული დელიკატური საგადასახადო სამართლის განხილვა საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ პოზიტიური გამოცდილება ჩვენი ქვეყნის შესაბამისი სისტემის შემდგომი რეფორმირებისას, ასევე თავიდან ავიცილოთ ის ნებატიური ეფექტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აშშ-ში.

ამერიკული საგადასახადო სისტემის განხილვა შემთხვევითი არ არის, რადგან განვითარებული საგადასახადო დაბეგვრის სისტემაში ლიდერის პოზიცია უკავია.

აშშ-ს საგადასახადო დავების გადაწყვეტის პროცედურები ამერიკული საგადასახადო კანონმდებლობის ნაწილია, რომელიც საკმაოდ ეფექტურია, ვიდრე სხვა ქვეყნების ანალოგიური პროცედურები, ამიტომ საჭიროა მათი კომპლექსური შესწავლა. აღნიშნული პროცედურების შესწავლა და მისი ცალკეული ელემენტების გამოყენება საქართველოს საგადასახადო სამართალში ბევრ კითხვას გასცემს პასუხს, რომელიც დგას ჩვენის პროცესუალისტების წინაშე.

Salome Kuprashvili,
PHD student

**THE PROCEDURES OF DOCTRINAL – THEORETICAL ASPECTS OF THE TAX
DISPUTES DECISION OF THE UNITED STATES OF AMERICA**

There were considerable changes in jurisdiction of Georgia at the last years are that has led to necessity of the following reforms for tax sphere.

By consideration of the American laws, the greatest of our attention involves in the remedial statute regulating legal mutual relations in sphere of taxes, and also delicate questions of legal mutual relations. These American statutes give the chance to us to make use of positive experience in reforms occurring in our country in the same sphere and initially to avoid the negative moments, which took place in America.

The tax system of America hasn't been casually chosen as an example, so far as it occupies in the lead position, as the most developed.

Procedures of the decision of questions at issues in tax system in America occupy a part of statutes and are the most effective in comparison with such procedures in other countries. Their complex studying

and use of separate elements in the Georgian tax right therefore is obviously necessary. It will give the chance to us to answer many questions, which face the lawyers conducting processes in our country.

Саломе Купрашвили,
докторант права

ДОКТРИНАЛЬНО - ТЕОРЕТИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ПРОЦЕДУРЫ РЕШЕНИЯ НАЛОГОВЫХ СПОРОВ В СОЕДИНЕННЫХ ШТАТАХ

В последние годы в юрисдикции Грузии произошли значительные изменения, что привело к необходимости следующих реформ в налоговой сфере.

При рассмотрении американских законов, наибольшее наше внимание привлекает процессуальное законоположение, регулирующее юридические взаимоотношения в сфере налогов, а также деликатные вопросы правовых взаимоотношений. Эти американские законоположения дают нам возможность использовать позитивный опыт в происходящих в нашей стране реформах в этой же сфере и изначально избежать негативных моментов, которые имели место в Америке.

Налоговая система Америки была не случайно выбрана в качестве примера, поскольку она занимает лидирующее положение как наиболее развитая.

Процедуры решения спорных вопросов в налоговой системе в Америке занимают часть законоположений и являются наиболее эффективными по сравнению с такого рода процедурами в других странах. Поэтому представляется необходимым их комплексное изучение и использование отдельных элементов в грузинском налоговом праве. Это даст нам возможность ответить на многие вопросы, которые стоят перед юристами, ведущими процессы в нашей стране.

მთავრობის ვორმილება საპარლამენტო რჩსაუბლიკაში

ისტორიულად სახელმწიფოს მმართველობის ფორმა არის მონარქია და რესპუბლიკა, რომლის ცნებაში სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ფორმირების წესი და სტრუქტურა იგულისხმება. მმართველობის ფორმის ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ იგი საზოგადოების შესაძლისი სოციალური და პოლიტიკური ძალების ურთიერთდამოკიდებულებისა და ბრძოლის შედეგია.

სახელმწიფოს მმართველობის ფორმის საკითხს თეორიულთან ერთად პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მმართველობის ფორმა ანუ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ფორმირებისა და ურთიერთდამოკიდებულების საკითხი გვარკვევს, თუ რამდენად ეყრდნობა ხელისუფლების ორგანიზაცია ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, როგორია ხელისუფლების განშტოებათა ურთიერთდამოკიდებულება, ხალხის მიერ ხელისუფლების განხორციელების რა ფორმები არსებობს, როგორია ხელისუფლების ორგანოების შექმნის წესი, მათი უფლებამოსილების ხანგრძლივობა.

საზღვარგარეთის ქვეყნების დიდ უმრავლესობას რესპუბლიკები წარმოადგენს, რომლებიც სახეს სტაბილურად ინარჩუნებს, ის მმართველობის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხია. ¹⁻²

მმართველობის რესპუბლიკური ფორმის ორი მოდელი არსებობს: საპარლამენტო და საპრეზიდენტო. საპარლამენტო რესპუბლიკის უმთავრესი განმასხვავებელი თავისებურება საპრეზიდენტოსგან მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო მმართველობის ამ ფორმის დროს მთავრობის ფორმირება პარლამენტურ საფუძველზე ხდება. სახელმწიფოს მეთაურს აქ მოკრძალებული ადგილი განეკუთვნება, თუმცა იგი ფორმალურად ნიშავს პრემიერ-მინისტრს, რომელიც შემდგომ თავად აყალიბებს პარლამენტის და არა პრეზიდენტის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობას. აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ პრეზიდენტს საპარლამენტო რესპუბლიკაში მხოლოდ ე.წ. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აქვს და მხოლოდ მთავრობის მითითებით მოქმედებს.

საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემებს შორის ოთხი ძირითადი არსებითი განსხვავებაა. ამ განსხვავებებს კი, ლაუსონის აზრით (წიგნიდან “პოლიტიკური მეცნიერების შესავალი”), განაპირობებს:

1. აღმასრულებელი ხელისუფლების წყაროები;
2. აღმასრულებლის როლი კანონმდებლობის ინიცირებაში;
3. ცერემონიალური ლიდერისა და
4. პოლიტიკური პარტიების როლი.

აქ იკვეთება აღმასრულებელი ხელისუფლების სუბიექტების უფლებამოსილებები; არა მხოლოდ პრეზიდენტისა და პრემიერის, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პარლამენტის ურთიერთობა და პოლიტიკური ტენდენციების სახე.

¹ ა. დემეტრაშვილი. მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები. თბ., 1992.

² ჰერმან შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკაიდრება პოსტკომუნისტურ გვროპაში. მილიონი: “აირის საქართველო”, 2003 წ.

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, სჯობია თუ არა საპარლამენტო სისტემა მმართველობის სხვა სისტემას. მაგალითად, ამერიკული პოლიტიკური სისტემის კრიტიკოსები ხშირად აღნიშნავენ, რომ ამ სისტემისათვის დამახასიათებელი ძალაუფლების დანაწევრება ართმევს მას თანამედროვე საზოგადოების მართვის უნარს. კონტროლისა და წონას-წორობის საკონსტიტუციო სისტემა და პარტიულობის სუსტი განვითარება ფედერალურ მთავრობას ხელს უშლის სამოქმედო კურსის განხორციელებისას, მიიღოს სწრაფი და გადამწყვეტი ზომები, რაც ხდება მისი ოპერატიული რეალიზაციის დაბრკოლების ან სისტემის ქმედითობის პარალიზების საფუძველი, რასაც მივყავართ არასასურველ შედეგამდე.¹

საპარლამენტო სისტემის თეორიული შესაძლებლობების ჭრილში განიხილება ორი საპარლამენტო წეობილების ქვეყანა: დიდი ბრიტანეთი და კანადა, რომლებიც საერთო კულტურის დონით ყველაზე ახლოსაა ამერიკის შეერთებულ შტატებთან.²

ბრიტანულ საპარლამენტო მოდელს ხშირად განიხილავენ, როგორც ქვეყანაში მიმდინარე სახელმწიფო რეფორმების ინიციატორს.

პარლამენტარიზმის წინა ეპოქის სახელმწიფო სისტემაში – მონარქიებში სახელმწიფოს მეთაური (მონარქი) იმავდროულად მთავრობის მეთაურიც იყო.

დიდ ბრიტანეთში წლების მანძილზე და დღესაც მეცნიერთათვის მიუღებელია დოქტრინა, რომ გაერთიანებულმა სამეფომ ფრანგული და ამერიკული კონსტიტუციების მსგავსად, გააუქმოს მონარქია და მიიღოს ერთიანი საკონსტიტუციო კანონების კოდექსი, ლორდთა პალატა სენატად გადააკეთოს ან სულაც გააუქმოს, შემოიღოს პროპორციულ წარმომადგენლობაზე დამყარებული მრავალპარტიული სისტემა ისეთ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ფინანსები, საგარეო საქმეები და ა.შ.

საპარლამენტო სისტემის ძირითადი მახასიათებელია ის, რომ არა აქვს სხვადასხვა საარჩევნო პროცედურა საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოებისათვის.

მრავალ საპარლამენტო სისტემას ჰყავს დამოუკიდებლად არჩეული ხელმძღვანელი ან მმართველი, რომელიც თავის უფლებებს მემკვიდრეობით იღებს და რომლის როლი უმთავრესად ცერემონიულია, ხოლო უფლებები – ზუსტად განსაზღვრული.

მთავრობის მეთაური, ჩვეულებრივ, პრემიერ-მინისტრად წოდებული, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, პირდაპირი არჩევნების გზით არ აირჩევა. პრემიერ-მინისტრი თანამდებობას იღებს საპარლამენტო მაჟორიტარული პარტიის ან კოალიციის ლიდერების თანხმობით. მისი მმართველობის პერიოდი არ აღემატება პარტიის ფუნქციონირების ვადას. პრემიერ-მინისტრი და მისი კაბინეტი პარლამენტის წევრთაგან კომპლექტდება, რომლებსაც საკანონმდებლო ორგანო გარკვეული დროით ანიჭებს ნდობის მანდატს, რათა ჰქონდეთ აღმასრულებელი მთავრობის ფუნქციის განხორციელების უფლებამოსილება.

კონსტიტუციურ თეორიაში მთავრობის კაბინეტი განიხილება, როგორც ცენტრალური აღმასრულებელი ორგანო, რომლის წევრებიც წარმართავენ მხოლოდ პოლიტიკურ კურსს და კონტროლს და კოლეგიურად ანგარიშგალდებული არიან საკანონმდებლო ორგანოს წინაშე. რაც შეეხება მთავრობის მიერ ნდობის დაკარგვას, უმეტეს შემთხვევაში, ეს გა-

¹ Арадан Ф. Франция: Государственная система. М.: Юридическая литература, 1994.

² რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო / მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი. პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი II. თბილისი; გამომცემლობა “უფლება”. 1996. 207 გვ.

მოწვეულია არა კონსტიტუციის, არამედ პოლიტიკური ჯგუფის მოქმედების გამო. ამ დასკვნის შემდეგ როგორც ბრიტანული, ისე კანადური საპარლამენტო სისტემა მართებულად მივიღა მკაცრი სტანდარტების დაწესებაზე: არსებული მთავრობა არ შეიძლება არ გადადგეს საკანონმდებლო საქმიანობის ნებისმიერ სფეროში განცდილი მარცხის შედეგად. ამ შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება:

1. ახალი მთავრობის შედგენა;
2. სხვა პარტიის ლიდერს მიანიჭოს ახალი მთავრობის შედგენის უფლებამოსილება;
3. ჩაატაროს ახალი არჩევნები უფრო მდგრად საარჩევნო უმრავლესობაზე დაყრდნობით.

საპარლამენტო სისტემის ძირითადი ლოგიკური საფუძველია ნდობით აღჭურვილი მმართველობა, რომელიც გამოიხატება წარმომადგენლობითა და ანგარიშვალდებულებით ამომრჩევლის წინაშე.

ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია ვიმსჯელოთ საპარლამენტო სისტემის ევაქურობაზე.

აღმოსავლეთ ევროპაში საპარლამენტო მმართველობა ბოლო დროს მიმდინარე ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაზე მშვიდობიანი გადასვლის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე თანამიმდევრული მახასიათებელია. პოლიტიკური ცნობიერება მიუბრუნდა პარლამენტარიზმს, როგორც ხელისუფლების ლეგიტიმურობის უზრუნველყოფის გზას და ზეპოლიტიზირებულ საზოგადოებებში კონფლიქტების მოგვარების უპირველეს მეთოდს.¹

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპულ კონსტიტუციონალიზმში რაციონალიზებული პარლამენტარიზმის დამახასიათებელ ნიშნებად შეიძლება მივიჩნიოთ მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებლობის სისტემა, მინისტრთა კაბინეტის ფორმირების პროცედურა (ინვეტიტიტურა) და პარლამენტის სპონტანური დაშლის თავიდან აცილების მცდელობა.

მინისტრთა კაბინეტის კოლექტიური პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომელიც ხორციელდება პარლამენტის მიერ უნდობლობის ვოტუმისათის კენჭისყრის გზით, მმართველობის საპარლამენტო სისტემის ძირითადი არსია, კაბინეტისა და პარლამენტის ხშირი კრიზისების თავიდან აცილების მეთოდი. კლასიკური საპარლამენტო სისტემის პირობებში კაბინეტის მიერ შემოტანილი კანონპროექტის უარყოფა ავტომატურად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მთავრობის შემდგომი ფუნქციონირების კანონიერებას.

თანამედროვე აღმოსავლეთ ევროპული მოდელი ცდილობს დაარღიოს კავშირი კაბინეტის მიერ საპარლამენტო მხარდაჭერის არასწორ გათვალასა და მთავრობისადმი ნდობას შორის. უნდობლობის ვოტუმის საკითხის დასაყენებლად საჭირო დეპუტატთა რაოდგნობის გაზრდით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების კონსტიტუციების შემქმნელებმა სცადეს მთავრობა უფრო სტაბილური გაეხადათ, აერიდებინათ ის კონფლიქტები, რომელთა წამოჭრა გარდაუვალია ზოგიერთი კანონპროექტის ირგვლივ, რასაც ახლავს საპარლამენტო დებატები თუ ინტერპელაციის შემთხვევები. მათ მეცნიერულად გაიაზრეს, რომ პროპორციული წარმომადგენლობა და დანაწევრებული პარტიული სისტემები უდავოდ შეაფერხებს ერთიან პარლამენტურ ქმედებას, რომ უნდობლობის ვოტუმის საკითხი არ შეიძლება დაისვას პარლამენტის წევრთა 1/5 მხარდაჭერის გარეშე. ზოგ

¹ ქ. წიკლაური-ლამიხი, ზ. ლამიხი. პოსტკომუნისტურ პერიოდში კონსტიტუციური განვითარების ძირითადი მიმართულებები. ბრუნერი (გამომცემლი), აღმოსავლეთ ქვეყნების საკონსტიტუციო და აღმინისტრაციული სამართლი (ნაწილი – საქართველო). ბერლინი, 1996 წ.

შემთხვევაში, ეს ზღვარი 1/4-მდეა გაზრდილი. რაც შეეხება 1990 წლის სერბიულ კონსტიტუციას, აქ შენარჩუნებულია პროცედურა, რომელიც უნდობლობის ვოტუმის დაყენების უფლებას აძლევს კანონმდებელთა შედარებით დაბალ პროცენტს.

აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი უნდობლობის ვოტუმის ხშირი გამოტანის რისკის შესამცირებლად, მეცნიერთა მოსაზრებით, უნდა არსებობდეს რამდენიმე შეზღუდვა, რაც გარკვეულ პერიოდში პარლამენტის უნდობლობის საკითხის აკრძალვაში მდგომარეობს. რუმინეთსა და პოლონეთში უნდობლობის ვოტუმის დაყენება არ შეიძლება ორჯერ სამი თვის განმავლობაში. ფრანგული, გერმანული და ესპანური ნიმუშებისთვის კი ერთ სესიაზე უნდობლობის ვოტუმის საკითხის ორჯერ აკრძალვაა შესაძლებელი. ბულგარეთში, მართალია, გათვალისწინებულია 6-თვიანი შედაგათის პერიოდი, მაგრამ, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ამ აკრძალვის ასამოქმედებლად საჭიროა კაბინეტის უნდობლობის ორივე ვოტუმის საფუძვლის იდენტურობა.

საპარლამენტო შემთხვევაში პრემიერ-მინისტრს ირჩევს ჯერ პარლამენტი ან პარტიის ლიდერი, შემდეგ ამომრჩევლები მოცემულ საარჩევნო ოლქში, როგორც თავიანთ წარმომადგენელს საკანონმდებლო ხელისუფლების ქვედა პალატაში, შემდეგ ცერემონიალური ლიდერი, როგორც მთავრობის შესაძლო მეთაურს და საკანონმდებლო ხელისუფლების ქვედა პალატა, ფაქტობრივად, როგორც პრემიერ-მინისტრს. ეროვნული საკანონმდებლო არჩევნები ყოველთვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან განსაზღვრავს ძალაუფლების ბალანსს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის.

საპარლამენტო სისტემაში პრემიერ-მინისტრი და კაბინეტი კანონმდებლობის ინიციატორებად გვევლინებიან, სადაც ცერემონიალური ლიდერი ასრულებს მაკავშირებლის როლს საპანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, მაშინ, როდესაც მიმართავს იმ პარტიის ლიდერს, რომელსაც მეტი შანსი აქვს მოიპოვოს მთავრობის ფორმირებაზე ქვედა პალატის მხარდაჭერა. ცერემონიალურ ლიდერს ეს უფლება მეტკვიდრეობით ან არჩევნებით გადაეცემა.

საპარლამენტო სისტემის ფარგლებში მთავრობა პასუხს აგებს მთავრობის წინაშე, თუ იგი მოქმედებს არაგონივრულად და არაკონსტიტუციურად, ე.ი. სახეზე გვაქვს საპარლამენტო კონსტიტუციური კონტროლი.

ვანო ზარდიშვილი,
სამართლის დოქტორანტი

მთავრობის ფორმირება საკარლამენტო რესაუბლიკაში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციური მშენებლობის პრობლემის მოწესრიგება, ორგანული აუცილებლობით, მოითხოვს ქვეყნის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს – მთავრობის სამართლებრივი სტატუსის იურიდიულ გაანალიზებას. ეს პრობლემა კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთი ურთულესი და ნაკლებად შეწავლილი საკითხია. „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები თავიდან ბოლომდე ქმნის განშტოებათა ერთიან სისტემას, თითოეული ორგანო გამოდის არა როგორც იზოლირებული რგოლი, არამედ, როგორც მთელი სახელმწიფო სისტემის ძირითადი ელემენტი. ხელისუფლების ყოველი ორგანო ასრულებს საერთო ამოცანებს, აშენებს და მოქმედებს დაკარატიული პრინციპების საფუძველზე”.

Vano Zardiashvili,
PHD student

FORMATION OF GOVERNMENT IN PARLIAMENTARY REPUBLIC

Solution of the problem of constitutional development of the Georgian democratic republic requires deep analyses of the legal status of the supreme executive board of the government. The mentioned problem represents one of the actual problems of the constitutional law. The government bodies create the system of specific branches. Each body is the vital component of the entire government system and not an isolated unit. Each government body performs common functions, operating in accordance with the democratic principles.

Вано Зардиашвили,
докторант права

ФОРМИРОВАНИЕ ПРАВИТЕЛЬСТВА В ПАРЛАМЕНТСКОЙ РЕСПУБЛИКЕ

Решение проблемы конституционного строения Грузинской демократической республики с органической необходимостью требует анализа юридического статуса высшего исполнительного органа страны – правительства. Эта проблема в конституционном праве является одним из сложных и недостаточно изученных вопросов. «Органы государственной власти с начала до конца создают единую систему разветвлений, каждый орган выступает не как изолированное звено, а как основной элемент целиком государственной системы. Каждый орган власти выполняет общие задачи, создает и действует на основе демократических принципов».

ბრალდებულის დაცვის უფლების გარანტიები

საქართველოს ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ბრალდებულის ფიგურა სისხლის სამართლის პროცესში ჩნდებოდა პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის მომენტიდან, მანამდე ის ეჭვმიტანილის სტატუსით სარგებლობდა.

ახალი საპროცესო კოდექსისათვის ლოგიკური ნაბიჯია ბრალდებულის ერთიანი დეფინიციის ჩამოყალიბება, განსხვავებით ადრე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობისგან, რომელიც პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ბრალდებულს სხვადასხვა სტატუსს ანიჭებდა. ახალმა საპროცესო კოდექსმა, ერთიანი გამოიყების სისტემაში, გაუმართლებლად მიიჩნია განსხვავება ეჭვმიტანილს, ბრალდებულს და განსასჯელს შორის, რომელიც, კანონმდებლის ავტორთა აზრით, ეყრდნობოდა მხოლოდ ფორმალურ დადგენილებას ან/და საქმის საგამოიყებო ორგანოდან სასამართლოში გადასვლას არსებითი უფლებრივი ცვლილებების გარეშე.

ახალი საპროცესო კოდექსით პირი ბრალდებულის სტატუსით და შესაბამისი უფლებებით სარგებლობს დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ), ე.ო. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.

ამდენად, პირის დაკავება ან ბრალდებულად ცნობა (თუ ის არ დაუკავებიათ) სისხლის სამართლწარმოებაში წარმოშობს ახალი სუბიექტის – ბრალდებულის მონაწილეობას. ამ მომენტიდან ბრალდებულს უწინდება უფლებათა კომპლექსი, რომელიც საშუალებას აძლევს სისხლის სამართლის პროცესში გამოხატოს და დაიცვას თავისი უფლებები და ინტერესები. ამავე დროს უწინდება ვალდებულებებიც. თავის მხრივ, ბრალდებულის მიმართ მოვალეობები უწინდება სახელმწიფო ორგანოებს და იმ თანამდებობის პირებს, რომლებმაც კანონით უნდა უზრუნველყონ ბრალდებულის უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, გაუწიოს სათანადო დახმარება.

პირის დაკავება და მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანა, რაც მისთვის ბრალდებულის სტატუსის მინიჭების საფუძველი ხდება, უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესების დაცვით. ეს იმას ნიშნავს, რომ ადნიშნულისათვის საჭიროა სახეზე იყოს შესაბამისი იურიდიული საფუძველი – დადგენილება პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ გამოტანილ იქნეს, მაშინ, როცა საპროცესო წესების დაცვით შეგროვილი და შემოწმებული მტკიცებულებები მიუთითებს იმაზე, რომ სწორედ ამ კონკრეტული პირის მიერ არის ჩადენილი ქმედება, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

ბრალდებულის უფლება დაცვაზე უმთავრესი გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს უდანაშაულობის პრეზუმეციის მოქმედებას. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაშინაც, როცა ბრალდებული აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს და მზადაა ითანამშრომლოს გამოიყების ორგანოებთან.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, დაკავების მომენტში ან თუ დაკავება არ მოხდა – ბრალდებულად ცნობისთანავე დაუყოვნებლივ, ასევე შემდგომი ნების-

მიერი დაკითხვის წინ, ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ რომელ დანაშაულშია მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი, უნდა გადაეცეს დაკავების ოქმი ან თუ არ დაუკავებიათ – ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი. უნდა ეცნობოს, რომ აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, ასევე არ დაიბრალოს დანაშაული, რომ ყველაფერი რასაც იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.

ბრალდებულის დაცვის უფლების მთავარი გარანტია ამ ეტაპზე, სხვა უფლებებთან ერთად, არის ბრალდებულის მიერ ადვოკატის არჩევის და აყვანის, ასევე მისი ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება. აյ მთავარია, ბრალდებულის უფლება დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, თუ მას არ გააჩნია ადვოკატის აყვანის მატერიალური საშუალება.

დაკითხვის რეალური უზრუნველყოფის მიზნით ბრალდებულს უნდა პქონდეს გონივრული ვადა და საშუალება დაცვის მომზადებისათვის. ამასთან, ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობა კონფიდენციალურია. საპროცესო კანონით აკრძალულია ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვის დაწესება, რომელიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადო განხორციელებას.

ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომმიებელს, პროცერორს, მოსამართლეს უფლება არ აქვთ რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს შეთანხმების საფუძველზე აწესრიგებენ.

რა თქმა უნდა, ბრალდებული არ არის ვალდებული დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, მაგრამ უფლება აქვს გააკეთოს ეს და ამისათვის ყველა კანონიერი საშუალება გამოიყენოს.

იმისათვის, რომ ბრალდებულმა მოახდინოს მისი უფლებების დაცვის რეალიზება, უნდა იცოდეს რაში ედება ბრალი და პქონდეს საშუალება, სურვილის შემთხვევაში, მისცეს შესაბამის ორგანოებს ჩვენება წაყენებული ბრალდების შესახებ.

ბრალდებული მისი უფლებების რეალიზაციას დაცვაზე ახდენს როგორც პირადად, ისე დამცველის მეშვეობით. ამიტომ, ბრალდებულს, რომელსაც აღკვეთის დონისმიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა, არ უნდა იქნეს შეზღუდული დამცველთან შეხვედრის უფლებით, რადგან თვით კანონი უზრუნველყოფს ბრალდებულის შეხვედრის გარანტიას დამცველთან.

ბრალდებულს, დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, უფლება აქვს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება კანონით დადგენილი წესით; მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულებება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად; მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში; მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დროს.

ბრალდებულის მიერ მტკიცებულებების წარდგენის უფლება ნიშნავს, რომ შეუძლია საკუთარი ხარჯით, თვითონ ან/და ადვოკატის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულება და წარუდგინოს გამოძიების ორგანოს ან პირს, როგორც მტკიცებულება, ასევე მის ხელთ არსებული ის საგნები და დოკუმენტები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმეზე.

ბრალდებულის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებასა და ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებას თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ამასთან, საპროცესო კანონი ბრალდებულს უფლებას აძლევს, რომ იმ მტკიცებულების მოპოვებისათვის, რაზედაც საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც თვითონ ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით.

ბრალდებულის დაცვის უფლების მყარი გარანტიაა აგრეთვე ბრალდებულის უფლება საქართველოს სსს კოდექსით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით გაეცნოს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მიიღოს მტკიცებულებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები; მონაწილეობა მიიღოს მისი ბრალდების საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვაში; დააყენოს შუამდგომლობა და განაცხადოს აცილება; გაეცნოს მხარის მიერ შეტანილ საჩივარს და გამოთქვას მოსაზრება; გაასაჩივროს გამომძიებლის მოქმედება პროკურორთან, პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება - ზემდგომ პროკურორთან, ხოლო კანონით დადგენილ შემთხვევაში - სასამართლოში.

როგორც ჩანს, ბრალდებულს დაცვის ეფექტური განხორციელების მიზნით აქვს მოელი რიგი უფლებები. ამასთან, ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალი არ ზღუდავს ბრალდებულს განახორციელოს ყველა სხვა უფლება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებებით აქვს მინიჭებული.

როგორც წესი, ბრალდებულს უფლება აქვს გამოძიებას მისცეს ნებისმიერი ჩვენება, რომელსაც მისი აზრით მნიშვნელობა აქვს საქმეზე მისი უფლებების დაცვის განხორციელებისათვის. შეუძლია გამოძიების ორგანოებს მიაწოდოს ცნობები, რაც ამსუბუქებს მის მიმართ წარდგენილ ბრალდებას. ასევე, მის ჩვენებაში შეიძლება იყოს ცნობები სხვა დანაშაულებზე, სხვა პირთა მიმართ, რასაც კავშირი აქვს საქმესთან, მაგრამ მტკიცებულებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ბრალდებულის ჩვენებაში მოცემული ასეთი ცნობები და ფაქტები გამოხატავს იმ პოზიციას, რაც გამოხატული იყო დაცვის მომენტში.

საჭიროა, ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ ბრალდებულის ჩვენებას პირობითად აქვს ორმაგი საპროცესო ბუნება: კერძოდ, ერთი მხრივ, არის ცნობა ფაქტსა და გარემოებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ინტერესთა დაცვის საშუალება. ასეთი ჩვენება გამოძიებისათვის, საინტერესო ფაქტიური მონაცემების გარდა, შეიძლება შეიცავდეს სხვა აზრს, ვარაუდს, რაც, როგორც აღინიშნა, დაკავშირებულია ბრალდებულის დაცვის ინტერესთან. რადგან, ბრალდებულის ჩვენება გამომდინარეობს პირისგან, რომელიც განსაკუთრებითად დაინტერესებული საქმის გარემოებით და არ ეკისრება პასუხისმგებლობა ჩვენებაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის, შეიძლება მისმა სისწორემ ჰქვი გამოიწვიოს. ამიტომ, ბრალდებულის ჩვენების სისწორე შეიძლება დადგინდეს მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, მათი კრიტიკული შემოწმებისა და შევასების შემდეგ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ბრალდებულის უარი ჩვენების მიცემაზე ან ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი არ შეიძლება იქცეს მისი ბრალებულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა და არა მოვალეობა. თუ ბრალდებულმა უარი თქვა ჩვენების მიცემაზე, მაშინ შემდგომი დაკითხვა იმავე ბრალდების საქმეზე შეიძლება ჩატარდეს მისი თხოვნით და თანხმობით. საერთოდ, კონსტიტუციური ნორმა იმის შესახებ,

რომ არავინ არ არის ვალდებული მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, ბრალდებულთან მიმართებაში ნიშნავს, რომ ბრალის აღიარებას ექნება იურიდიული ძალა, თუ დაკითხვის ოქმში დაფიქსირებული იქნება ამ ნორმის განმარტება.

ბრალდებულის აღიარება შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი. ბრალდებულს შეუძლია აღიაროს მხოლოდ ზოგიერთი ფაქტი, მოვლენა, უარყოს ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი, ჩათვალოს, რომ მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და სხვა.

ბრალდებულის ჩვენება და აღიარება არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პრიორიტეტული, სხვა მტკიცებულებებთან მიმართებაში.

საერთოდ, მარტო ბრალდებულის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყვნებელ განახენს, თუ იგი არ დასტურდება მათი ბრალდებულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით. ბრალდებულის აღიარება ბრალდების საფუძვლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა პირის ბრალდებულობა, მისი აღიარების გარდა, მტკიცდება სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობით, რისთვისაც საჭიროა ამ ჩვენების შემოწმება და შეფასება სხვა მტკიცებულებებთან მიმართებაში, რათა დადგინდეს ხომ არ არსებობს რაიმე წინააღმდეგობა ბრალდებულის ჩვენებასა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს შორის. ფაქტიურად, ტარდება ბრალდებულის ჩვენების სხვა მტკიცებულებებთან შედარება, სხვა დამატებითი საგამოძიებო მოქმედები ამ ჩვენებისა და ბრალდებულის აღიარების რეალობის დასადგენად.

ბრალდებულის აღიარებით ჩვენებას, სისხლის სამართლის საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა მიმართ, შემოწმებისა და შეფასების გარეშე, არანაირი უპირატესობა არ აქვს მაშინაც კი, როცა მის დაკითხვას ესწრება პროცერორი ან დამცველი.

ბრალდებულს სისხლის სამართალწარმოების ყველა სტადიაზე აქვს უფლება გამოიყენოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებები და თავი დაიცვას ყველა კანონიერი საშუალებით და ხერხით. რა თქმა უნდა, უმთავრესი საშუალება არის კანონით მინიჭებული უფლებების გამოყენება. რაც შეეხება სხვა საშუალებებს და ხერხებს, არის ყველაფერი, გარდა კანონით აკრძალული მოქმედებებისა, რომელთა ჩადენისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს პასუხისმგებლობის ესა თუ ის ფორმა. მაგ., ბრალდებულს შეუძლია დაიცვას თავი ბრალდებისგან პასიური ფორმით ანუ უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, არ განაცხადოს შეამდგომლობა, ხელი არ შეუწყოს გამოძიებას მტკიცებულებათა, მათ შორის, მისი უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებათა გამოყვლევაში, უარი თქვას მისი უფლებების აქტიურ გამოყენებაზე და სხვა, რაც მისი უფლებაა. მაგრამ, ბრალდებულს არ შეუძლია არ დაემორჩილოს გამომდიებლის, პროცერორის კანონიერ მოთხოვნებს, მისი დაცვის მიზნით არ შეუძლია მტკიცებულებათა ფალსიფიცირება, მოწმებსა და პროცესის სხვა მონაწილეებზე ძალადობის გზით ზეწოლის მოხდენა და სხვა.

როგორც აღინიშნა, ბრალდებულს აქვს კანონით გათვალისწინებული გარანტიები მისი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, რომელთა გამოყენება მისი უფლებაა, მაგრამ ბრალდებულის მიერ თავისი უფლებების გამოყენება ან გამოუყენებლობა საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მიერ არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალდებულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

გივი აბაშიძე,
სამართლის დოქტორანტი

ბრალდებულის დაცვის უფლების ბარანტიები

განხილულია ბრალდებულის, როგორც სისხლის სამართალწარმოების მონაწილის, გარანტიები დაცვის უფლებაზე. გადმოცემულია ბრალდებულის უმთავრესი უფლება სისხლის სამართალწარმოების ყველა სტადიაზე, კანონიერი საშუალებებით და ხერხებით დაიცვას თავი, რომლის რეალიზაციას ახდენს როგორც პირადად, ისე დამცველის მეშვეობით.

Givi Abashidze,
PHD student

GUARANTEES OF PROTECTION OF THE RIGHTS OF THE ACCUSED

There is considered the question of protection of the rights of the accused, as a participant of criminal legal proceedings, the pivotal right of accused is considered to protect itself by lawful means and in the ways at any stage of legal proceedings, the accused carries out the realisation of the granted right as personally, so by means of the defender.

Гиви Абашидзе,
докторант права

ГАРАНТИИ ЗАЩИТЫ ПРАВ ОБВИНИЯМОГО

Рассмотрен вопрос защиты прав обвиняемого, как участника уголовного судопроизводства, рассмотрено главное право обвиняемого защитить себя законными средствами и способами на любой стадии судопроизводства. Реализацию данного права обвиняемый осуществляет как лично, так и посредством защитника.

**ბამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა,
მისი ორლი და მნიშვნელობა ბამოძიების სტადიაზე**

საქართველოს სისხლის სამართლარმოებაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა პროკურორის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი და დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტია. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა მოიცავს პროკურორის მიერ სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების განხორციელებას, რისთვისაც მას საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული აქვს საკმაოდ ფართო და მნიშვნელოვანი უფლებამოსილება. პროკურორი გამოძიების სტადიაზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის კუთხით ახორციელებს მიზანმიმართულ და ორგანიზებულ საქმიანობას, რომელიც მისი მოვაწეობის აქტიურ მხარეს წარმოაჩენს.¹

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

სისხლის სამართლარმოებაში საპროცესო ხელმძღვანელობა არის იმ წესების ერთობლიობა, რომლებიც ადგენს პროკურორის ამოცანებს, უფლებებსა და მოვალეობებს პროცესის სხვა მონაწილეებთან ერთად. პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის არსი ისაა, რომ სამართლარმოების მთელ ეტაპზე მასში მონაწილეობა, თრგანოებმა და პირებმა ზუსტად შეასრულონ მათთვის დაკისრებული მოვალეობა, უზრუნველყონ კანონის დაცვა, კანონის დარღვევის შემთხვევაში კი მოხდეს მისი დროული აღკვეთა.

გამოძიებისას პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მეთოდი, ხერხი და იმ საშუალებათა ერთობლიობაა, რომელთა გამოყენებითაც მიიღწევა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.²

გამოძიებასა და საგამოძიებო ორგანოთა საქმიანობაზე საპროცესო ხელმძღვანელობას პროკურორი ახორციელებს, რომელიც, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი, გამოძიების სტადიაზე, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წარმართავს მთელ საგამოძიებო საქმიანობას, დაწყებული გამოძიების დაწყების საკითხის გადაწყვეტით და დამთავრებული საქმის სასამართლოში გადაგზავნით. იგი ამ სტადიაზე კანონიერების დაცვის გარანტია, რასაც აღწევს როგორც გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობით, ასევე გამოძიებაში უშუალო მონაწილეობით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (32-ე მუხლი) და „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონი (მე-3 და მე-14 მუხლები) გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობას მიიჩნევს სისხლისსამართლებრივი დევნის კონსტიტუციური ფუნქციის განხორციელების უზრუნველყოფის საშუალებად (ფორმად).

მიგვაჩინია, რომ პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად, გამოძიების სტადიაზე ზედამხედველობის წარმოება საპროცესო ხელმძღვანელო-

¹ Савицкий В. М. Стражневая функция прокуратуры - осуществление уголовного преследования. Жур. Российской юстиции. 1994. № 10. с. 24.

² გ. მეფარიშვილი. სისხლისსამართლებრივი დევნის ცაიტნოტში. გაზეთი „საქართველოს რესაუნდიკა“, 1997 წლის 31 ოქტომბერი.

ბის მეშვეობით, სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ გავრცელებული და აღიარებული დებულებაა, რაც რეალიზმებულია საქართველოს ახალ სსს კოდექსში.

სანამ, დღევანდები საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის არსე შემოგთავაზებოთ, მოკლედ განვიხილოთ გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობა, როგორც პროკურორის ფუნქცია, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, დამოუკიდებელი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემოდების შემდეგ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობით შეიცვალა.

გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობა, როგორც პროკურორის ფუნქცია, თავდაპირველად განისაზღვრა საქართველოს კონსტიტუციასა და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, შემდგომში რეგულირდებოდა საპროცესო კანონმდებლობით. ის საქართველოს სისხლის სამართლწარმოებაში რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხორციელდებოდა და გაუქმდა 1998 წელს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, გამოძიების საპროკურორო ზედამხედველობაში მოიაზრებოდა იმ ნორმების ერთობლიობა, რომლებიც ადგენერ პროკურორის ამოცანებს, უფლებებსა და მოვალეობებს პროცესის სხვა მონაწილეებთან ურთიერთობაში და სისხლის სამართლწარმოებაში პროკურორის ზედამხედველობის დამოუკიდებელ სამართლებრივ ინსტიტუტს შეადგენდა. შესაბამისად, მიღებული იყო და მოქმედებდა საპროკურორო ზედამხედველობის დებულება.

სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერების იმდროინდელი წარმომადგენლების აზრით, საპროკურორო ზედამხედველობის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ პროკურორს, საპროკურორო ზედამხედველობის მეშვეობით, უკადდება მიექცია, რათა შესაბამის ორგანოებს და პირებს ზუსტად შეესრულებინათ მათზე დაკისრებული მოვალეობა, დაეცვა კანონით დადგენილი წესები, კანონიერების დარღვევის შემთხვევაში მიედო მათი აღდგანის ზომები და დამნაშავე პირი მიეცა პასუხისმგებაში. ასეთი ფართო გაგებით, საპროკურორო ზედამხედველობა სახელმწიფოს ფუნქცია იყო, რაც ქმნიდა სახელმწიფო აპარატის უველა რგოლის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების ნორმალური საქმიანობის პირობებს. რა თქმა უნდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ფუნქციის უშუალო მატარებლად პროკურორი გვევლინებოდა.

აღნიშნული საზედამხედველო ფუნქციის გარეშე პროკურორი ვერ სარგებლობდა ვერანაირი უფლებამოსილებით, ვერ შედიოდა ვერავითარ ურთიერთობაში სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებთან.

გამოძიების სტადიაზე პროკურორი უშუალოდ ახორციელებდა საპროკურორო ზედამხედველობის სახელმწიფო-სამართლებრივ ფუნქციას. ამ სტადიაზე საგამოძიებო ორგანოების მთელი საქმიანობა იმყოფებოდა პროკურორის ზედამხედველობის ქვეშ, რომელსაც უკისრებოდა კანონიერების ზუსტი და განუხრელი დაცვა.

საპროკურორო ზედამხედველობა ხორციელდებოდა გამოძიების მთელ სტადიაზე, საგამოძიებო ორგანოების მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი დაცვის, ჰეშმარიტების დადგენისა და კანონის სწორად გამოყენების მიზნით.

გამოძიებაზე ზედამხედველობა ორგანულად მოიცავდა საპროცესო ხელმძღვანელობას. ამდენად, მნიშვნელოვანია საკითხი გამოძიების ზედამხედველობისა და საპროცესო ხელმძღვანელობის ურთიერთობიმართების და გამიჯვნის შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობაში დაიკავა მანამდე კარგად ცნობილი და იურიდიულ მეცნიერებაში დამკვიდრებული – გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის ადგილი. როგორც სამეცნიერო წრეებში, ასევე პრაქტიკოს მუშაკებს შორის ხშირად ისმის კითხვა, რა მიმართებაშია ეს ორი ცნება ერთმანეთთან.

გამოძიების ზედამხედველობისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის საკითხი თავის დროზე იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერ იურისტთა შორის მძაფრი დებატებისა და დავის საგანი იყო, რომელზედაც მათ სხვადასხვა მოსაზრება გამოოქვეშ. ამასთან, აღნიშნული საკითხის გარკვევას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ცნობილი მეცნიერი ვ. სავიცკი გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შესახებ საუბრისას განმარტავდა, რომ „გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობაში“ იგულისხმება კანონში მითითებული საშუალებები (უფლებამოსილება და მისი რეალიზაციის წესი), რომლებიც ეძლევა პროცესორს, რათა უზრუნველყოს დანაშაულის სწორად გამოძიება და მიაღწიოს სამართალწარმოების ამოცანას¹. გამოძიების ზედამხედველობისა და საპროცესო ხელმძღვანელობის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, ის აღნიშნავდა, რომ საჭიროა შეჯამდეს გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის სპეციფიკა და ჩამოყალიბდეს ორი ძირითადი დებულება: 1) გამოძიების ზედამხედველობა შედგება საგამოძიებო ორგანოებზე პროცესორის საპროცესო ხელმძღვანელობისაგან. ასეთი ხელმძღვანელობის გარეშე პროცესორის საზედამხედველო უფლებამოსილება ვერ განხორციელდება; 2) პროცესორის საპროცესო ხელმძღვანელობა თანაბრად ეხება ყველა საგამოძიებო ორგანოს, რომელთა საქმიანობაზეც პროცესორი ახორციელებს ზედამხედველობას, მიუხედავად უწყებრივი კუთვნილებისა.² ამასთან, იგი მიუთითებდა, რომ გამოძიების ზედამხედველობა გულისხმობდა საპროცესო ხელმძღვანელობის აუცილებლობასა და გარდაუვალობას.

მიგვაჩნია, რომ საპროცესო ხელმძღვანელობა არის არა აღმინისტრაციული, არამედ განსაკუთრებული საპროცესო ფუნქცია, ე.ი. საპროცესო ხელმძღვანელობა ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესის ჩარჩოებში. აქედან გამომდინარე, საპროცესო ხელმძღვანელობის შინაარსში დომინანტობს კანონიერების პრინციპი. პრაქტიკულად, გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობა მთლიანად კანონიერების რეჟიმში მიმდინარეობს. თავისთავად, გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობა არის გამოძიების ხელმძღვანელობა, რომლის ძირითადი მიზანია, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაზე სათანადო საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების გზით, გამოვლინოს, აღკვეთოს და თავიდან აიცილოს კანონის დარღვევები. სწორედ ამ ფუნქციის განხორციელებას ემსახურება საპროცესო ზედამხედველობა. ორივე შემთხვევაში გამოძიების სტადიაზე პროცესორის ამგვარი საქმიანობა ერთ ძირითად მიზანს ემსახურება – სისხლის საპროცესო კანონმდებლობის დაცვით მიღწეულ იქნეს სისხლის სამართალწარმოების მიზნების ეფექტიანად განხორციელება.

¹ Савицкий В. М. Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве. М. 1975 г. стр. 152.

² იქვე, стр. 210.

ამდენად, მისი არსიდან გამომდინარე, გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობის და საპროცესო ხელმძღვანელობის მკვეთრი გამიჯვნა, რაიმე კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე, ფაქტობრივად შეუძლებელია.

საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზიდან, პროკურორის საქმიანობისა და მისი საპროცესო სტატუსიდან გამომდინარე, გამოძიების სტადიაზე პროკურორი საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და მისი მეშვეობით ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას.

პროკურორის ამგვარ საქმიანობას, საპროცესო ხელმძღვანელობის კუთხით საპროცესო ფუნქციის განხორციელების დროს, საგარეო დადებითი და ეფექტური შედეგები მოსდევს.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში დებულება, რომ პროკურორი გამოძიებაზე ზედამხედველობას აწარმოებს საპროცესო ხელმძღვანელობის მეშვეობით, პროფესორმა ა. ფალიაშვილმა დაასაბუთა, რომელიც სისხლის სამართლის პროცესის სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად ფართოდ შეეხო ამ საკითხს¹. „ის ფაქტი, – აღნიშნავს ავტორი, რომ გამოძიების ყველა ორგანო ადმინისტრაციული ხაზით არ ემორჩილება პროკურორს, სრულებითაც არ გამორიცხავს და არ ბლოკავს პროკურორის მხრიდან ზედამხედველობის და ხელმძღვანელობის განხორციელებას².

მიგვაჩნია, რომ პროკურორის მიერ ნებისმიერი ფორმის გამოყენება (ადრე ეს იყო გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობა და ამჟამად არის პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა) ეფექტური საშუალებაა, რათა გამოძიებისას უზრუნველყოფილ იქნეს კანონიერების დაცვა.

ჩვენი აზრით, საპროკურორო ზედამხედველობისა და საპროცესო ხელმძღვანელობის არსი თითქმის ერთი და იგივეა. ორივე შემთხვევაში შესაბამისმა ორგანოებმა და პირებმა ზუსტად უნდა შეასრულონ მათთვის დაკისრებული მოვალეობა, დაიცვან კანონი, მისი დარღვევის შემთხვევაში კი მიიღონ ზომები კანონიერების აღსაღენად.

მსგავსი მოსაზრება აქვთ გამოთქმული სხვა საეციალისტებსაც. მათი აზრით, „საპროცესო ხელმძღვანელობის ცნების შინაარს თუ გადავხედავთ, იგი თითქმის ემთხვევა ძველ საპროცესო კანონმდებლობაში არსებულ პროკურორის ზედამხედველობას გამოძიებაზე“.³ აქვე აღვნიშნავთ, რომ ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში პროკურორის მიერ საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების კუთხით მისი უფლებამოსილებათა ნუსხა შედარებით გაფართოვდა, რაც პროკურორის ყოველდღიურ საქმიანობაში აისახება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქციას ხშირად უბრალოდ გამოძიების ხელმძღვანელობას უწოდებენ და მას თვლიან არა პროკურორის ფუნქციად, არამედ პროკურორის მიერ გამოძიების ხელმძღვანელობის საპროცესო

¹ ი. გაბისონია. პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში. თბილისი, 1999 წ., გვ. 268.

² ა. ფალიაშვილი. საპროკურორო ზედამხედველობა საბჭოთა კავშირში (სახელმძღვანელო). თბ., 1970 წ., გვ. 31.

³ რ. გოგულიძე. პროკურატურის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ქურნალი „სამართალი“. №9-10. 2002 წელი. გვ. 73.

პრინციპად.¹ მათი აზრით, გამოძიების ხელმძღვანელობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობა, რაც არამართებულად მიგვაჩნია.

გამოძიების სტადიაზე პროკურორის ამგვარი საქმიანობა მისი საპროცესო მოვალეობაა და თავისთავად პროკურორის ფუნქციად ითვლება. პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა ასახავს როგორც ხელმძღვანელობის საგანს ანუ საპროცესო საქმიანობას, ასევე ხელმძღვანელობის ობიექტს, რომელშიც მოიაზრება საგამოძიებო ორგანოები და გამოძიების მწარმოებელი პირები. ამასთან, პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქცია მკვეთრად განსაზღვრავს მისი მოქმედების საზღვრებს. აქ დაპარაკია გამოძიების სტადიაზე განხორციელებულ საპროცესო ხელმძღვანელობაზე.

ასეთი მოსაზრების საწინააღმდეგოდ, იურიდიულ ლიტერატურაში ავტორთა დიდი ნაწილი გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას მართებულად მიიჩნევს პროკურორის მირითად ფუნქციად, საპროცესო საქმიანობის განხორციელების მეთოდად და საშუალებად.

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა არის პროკურორის საპროცესო ფუნქციის რეალიზაციის მეთოდი, ფორმა, რაც თანაბრად და ერთიან სამართლებრივ ფორმებში ვრცელდება ყველა საგამოძიებო ორგანოზე და არ არის დამოკიდებული მათ უწყებრივ კუთვნილებაზე.

პროკურორის მიერ გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა არ შეიძლება დაყვანილ იქნეს ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის მეთოდამდე ან საშუალებამდე. ამასთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში ხაზგასმით არის განმარტებული, რომ სისხლის-სამართლებრივი დეპნის უზრუნველსაყოფად, გამოძიების სტადიაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება არის არა ადმინისტრაციული, არამედ განსაკუთრებული საპროცესო ფორმა.² ე.ი. პროკურატურის ასეთი საქმიანობა ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესის ჩარჩოებში და მისი დაყვანა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ, სამსახურებრივ და სხვა ურთიერთობებამდე დაუშვებელია. თვით საპროცესო ხელმძღვანელობის შინაარსში ასახულია კანონიერების პრინციპი, რომ ეს საქმიანობა ანუ პროკურატურის საპროცესო ხელმძღვანელობა მთლიანად მიმდინარეობს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

პროკურორის საპროცესო საქმიანობის ეს ფუნქცია თავისი არსით, მიზნებით, ამოცანებით და მოქმედების საზღვრებით განსხვავდება პროკურორის საქმიანობის სხვა ფუნქციებისაგან. გამოძიებაზე პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობა ცალკე, დამოუკიდებელი ფუნქციაა, რაც პროკურორს საშუალებას აძლევს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უხელმძღვანელოს გამოძიებას, როგორც საპროცესო ხელმძღვანელმა.

პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის, საქმიანობა მეტად რთული და ამავე დროს საპასუხისმგებლო გახდა, რადგან, ჩვენი აზრით, ჯერ ერთი, საპროცესო ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ზოგადად კანონიერებას და შესაბამისი ორგანოებისა და პირების კანონიერ მოქმედებას, მის გარეშე შეუძლებელია სრულყოფილი კონტროლი გამოძიების სტადიაზე კანონიერების დაცვისათვის, და მეორეც, პროკურორი,

¹ Емельянов И. В. Организационные и процессуальные отношения в деятельности прокурора, надзирающего за расследованием. М. 1985 г. стр. 115.

² В.М. Савицкий. Очерк теории прокурорского надзора в уголовном судопроизводстве. М. 1975 г. стр. 217.

საპროცესო მდგომარეობის გათვალისწინებით, მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გამოძიების მთელ სტადიაზე, აქტიურად ახორციელებს კონტროლს ყოველი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობაზე.

მართალია, პროკურორი გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს და არა ზედამხედველობას, მაგრამ ამ ფუნქციის განხორციელებისას ვლინდება ერთგვარი სახელისუფლებო-განკარგულებითი უფლებამოსილების ელემენტები.¹ პროკურორის საპროცესო მდგომარეობა სასამართლო განხილვის სტადიაზე არსებითად განსხვავდება გამოძიებაში მისი სამართლებრივი მდგომარეობისაგან. ეს განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ გამოძიების სტადიისაგან განსხვავებით, სასამართლოში პროკურორის სახელისუფლებო-განმკარგულებელი უფლებამოსილების ელემენტები არ შეინიშნება, რადგან პროკურორი სასამართლოში მხარეა, სარგებლობს დაცვის მხარის თანაბარი საპროცესო უფლებით და მას რაიმე განსაკუთრებული პრივილეგია არ გააჩნია.

მიგვაჩნია, რომ გამოძიების სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად, პროკურორის უფლებამოსილება მიმართულია სწორედ საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისაკენ, რისთვისაც მას მრავალი სამართლებრივი ბერკეტი გააჩნია, რაც დეტალურად არის გადმოცემული სსს კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილში. სწორედ ამ სტადიაზე ვლინდება პროკურორის, როგორც გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის როლი და მნიშვნელობა.

ამრიგად, გამოძიების სტადიაზე კანონიერების დაცვის უზრუნველყოფის ერთადერთი ეფექტური საშუალება არის პროკურორის მიერ გამოძიებაზე სრულყოფილი საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება, რაც ერთხელ კიდევ მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ გამოძიების სტადიაზე საჭირო და აუცილებელია პროკურორის საპროცესო უფლებამოსილების გაზრდა და გაფართოება, რაც დადებით გავლენას მოახდენს პროკურორის ყოველდღიურ საპროცესო საქმიანობაზე.

¹ სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი. თბილისი, 2008 წ. გვ. 202.

გივი აბაშიძე,
სამართლის დოქტორანტი

**ბამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა,
მისი როლი და მნიშვნელობა ბამოძიების სტადიაზე**

განხილულია გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა, როგორც სისხლის სამართლწარმოებაში პროკურორის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი და დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტი. გადმოცემულია პროკურორის უფლებამოსილება საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების უზრუნველსაყოფად, მისი განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები, როლი და მნიშვნელობა გამოძიების სტადიაზე.

Givi Abashidze,
PHD student

**PROCEDURAL MANAGEMENT OF A INQUEST,
ITS ROLE AND VALUE AT THE INQUEST STAGE**

There is considered the procedural management of inquest, as one of significant stages of public prosecutor's activity in legal proceedings and institute of independent legal proceedings. There are transferred the competences of the public prosecutor for maintenance of procedural management, legal bases of its carrying out, its role and value at the procedural stages .

Гиви Абашидзе,
докторант права

**ПРОЦЕССУАЛЬНОЕ РУКОВОДСТВО СЛЕДСТВИЕМ,
ЕГО РОЛЬ И ЗНАЧЕНИЕ НА СТАДИИ СЛЕДСТВИЯ**

Рассмотрено процессуальное руководство следствием, как один из значимых этапов прокурорской деятельности в судопроизводстве и институт независимого судопроизводства. Переданы правомочия прокурора для обеспечения процессуального руководства, правовые основы его проведения, его роль и значение на стадии следствия.

სამართლიანობის პრინციპი სისხლისამართლებრივ დეპნაში

სამართლის ფილოსოფიის კლასიკოსებმა სამართლიანობის ცნება მჭიდროდ დაუკავშირებს სამართლის ზოგად განსაზღვრას. ეს განსაკუთრებით შეეხება მე-20 საუკუნის ამერიკელ ფილოსოფოსს ჯონ როლსს, რომლის მიერ 1971 წელს გამოქვეყნებულმა ნაშრომმა “სამართლიანობის თეორია” ახალი სიცოცხლე შესძინა თანამედროვე დასავლურ სამართლის ფილოსოფიას¹. მისი ნაშრომიდან და სხვა უამრავი ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე, სამართლიანობის ცნება უფრო ფილოსოფიური და სოციალური კატეგორია, ვიდრე იურიდიული, თუმცა იგი სპეციფიკურად ვლინდება სამართალში, მათ შორის სისხლის სამართალსა და პროცესში. ჯ. როლსის აზრით, „სამართლიანობა არის პრაქტიკოსის ზნეობრიობა, სადაც არსებობს კონკურირებადი ინტერესები და ადამიანები გრძნობენ უფლებას ერთმანეთს წაუყენონ თავიანთი მოთხოვნები“². აქ სიტყვა “პრაქტიკოსი” აღნიშნავს წესების სისტემით შეზღუდულ ნებისმიერი სახის საქმიანობას, რომლებიც განსაზღვრავს თანამდებობას, როლს, ქმედებას, დასჯას, დამცველ ღონისძიებას და ა.შ., რითაც ასეთ მოქმედებას ეძღვევა გარკვეული სტრუქტურის სახე. სამართლიანობის ამ განსაზღვრის თანახმად, სამართლიანობის თეორიის ძირითადი აზრი დაიყვანება საზოგადოებრივი მოლაპარაკების პროცესზე: “სამართლიანობის პრინციპები წარმოიშობა საწყისი შეთანხმებიდან”. საწყისი შეთანხმება მოითხოვს რამდენიმე პრინციპისა და პირობის შენარჩუნებას. ჯ. როლსის თანახმად, საზოგადოებრივი მოლაპარაკების გაფორმებამდე ადამიანები დებულობენ სამართლიანობის ორ პრინციპს: 1) თანასწორობაზე მოთხოვნილებას უფლებებსა და მოვალეობებში; 2) სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობას. თითოეული ეს პრინციპი არის სამართლიანობის უფრო ზოგადი პრინციპის კერძო შემთხვევა, რომელიც შემდეგნაირად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: “სამართლიანობა ქმნის თანაბარ პირობებს ისეთ მოთხოვნილებათა თანაბრად დაკმაყოფილებისათვის, როგორგბიცაა თვისუფლება; ხელსაყრელი შესაძლებლობები; შემოსავლები და სიმდიდრე. გამონაკლისი შეიძლება იყოს ისეთი ღირებულებები, რომელთაგან ნებისმიერის ან ყველას არათანაბარი განაწილება თითოეულს უპირატესობას აძლევს”³.

სამართლიანობა უნივერსალური პრინციპისა და სამართლებრივი რეგულირების საბოლოო მიზანია. სამართლიანობა ორ საუკუნეზე მეტია შეისწავლება, მაგრამ ჯერ კიდევ არაა ნაპოვნი მისი ცალსახა განსაზღვრა. ეს ცნება განიხილება ცოდნის სხვადასხვა დარგში: ფილოსოფიაში, პოლიტოლოგიაში, სამართალში, ისტორიაში, სოციოლოგიაში, ეთნიკაში და ა.შ. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გაგება და გამოყენება კანონიერების თვალსაზრისით, რადგან სამართლიანობა, კანონიერების, ბრალის, პუმანიზმის და კანონის წინაშე, მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპებთან ერთად, მიეკუთვნება აუცილებელი ფაქტორების რიცხვს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს დანაშაულთან წინადმდებრების ბრძოლაში და კონკრეტულად სისხლისსამართლებრივ

¹ აღნიშნული წიგნის რესუმე თარგმანია: როლ ჯ. თეორია სправедливости. Новосибирск: изд-во НГУ, 1995, 535 с.

² როლ ჯ. თეორია სправедливости. Новосибирск: изд-во НГУ, 1995, стр. 122.

³ როლ ჯ. თეორია სправедливости. Новосибирск: изд-во НГУ, 1995, стр. 67.

დევნაში. ამის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ დღეს სამართლიანობა დამკიდრებულია მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის პრინციპების რიცხვში.

საზოგადოდ, „სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებში“ ვგულისხმობთ „ძირითად, ყველაზე მეტად ზოგად სახელმძღვანელო სამართლებრივი ნორმებს, რომლებიც გამოსახავს პროცესის ჰეშმარიტ, ჰუმანურ და დემოკრატიულ არსეს, განსაზღვრავს პროცესის ყველა საჭირო სტადიას, ფორმას, ინსტიტუტებს და სისხლის საპროცესო საქმიანობის მიმართულებას სისხლის სამართლამწარმოების ამოცანების გადაწყვეტისათვის“.

სამართლიანობისა და სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების ზოგადი განსაზღვრიდან გამომდინარებს სამართლიანობის კრიტერიუმი, რომლის ძალით, საქართველოს ახალი სსს კოდექსის მიხედვით, პროცესორის გადაწყვეტილება პირის ბრალდებაზე სამართლიანი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა იგი დაეყრდნობა კანონს და მომხდარი მოვლენის ობიექტურ ჰეშმარიტ გარემოებას ანუ, როცა მიღწეული იქნება საპროცესო ჰეშმარიტება, რომელსაც ობიექტური ჰეშმარიტების პრინციპს ვუწოდებთ: „საპროცესო ჰეშმარიტებაში ანუ ობიექტური ჰეშმარიტების პრინციპში ვგულისხმობთ ისეთ ჰეშმარიტებას, რომელიც კანონმდებლობის ფარგლებში გამომდინარებს სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან და ეკრდნობა ამ მასალებს, სრულად შეესაბამება მათში არსებულ და გულდასმით შემოწმებულ გამოძიებას და მტკიცებულებებს“. ცხადია, ჰეშმარიტების გარეშე არ არსებობს მართლმსაჯულება და, მაშასადამე, არც სამართლიანობა. სამართლიანობა ერთ-ერთი მუდმივი და აქტუალური თემაა იურისარულებრივიაში.

ვინაიდან სსს კოდექსში, გარდა ჰეშმარიტების დადგენისა, პროცესორს ენიჭება დისკრეციული უფლებამოსილება¹, ამიტომ მისი გადაწყვეტილება შესაძლოა ვერ იქნეს სამართლიანი. ამ შემთხვევაში პროცესორის გადაწყვეტილება სამართლიანი იქნება მხოლოდ ერთი მხარისათვის, რომლის ინტერესებსაც შეესაბამება ეს გადაწყვეტილება. სამართლის ოფიციალური ასეთ გამონაკლის შემთხვევაში სახჯელის შესახებ, ვერც სასამართლოს გადაწყვეტილება იქნება სამართლიანი, რადგან იგი შურისგების გრძნობას აღმრავს. ცხადია, სახჯელში გამოხატული სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა არ შეიძლება დაყვანილ იქნეს საზოგადოების ზოგიერთი ფენისათვის დამახასიათებელ შურისგებაზე, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკა საზოგადოებრივი აზრისგან მოწმებით შეუძლებელია. სახჯელის სამართლიანობა ამგვარი შურისგების გრძნობას კი არა, არამედ სწორედ სამართლიანობის გრძნობას აკმაყოფილებს, რომელიც, საზოგადოებრივი მასშტაბით, უქმდება დიდი ძალაა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში².

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. ხომ შეიძლება, რომ გამოძიების ნიშნით ჩადენილ დანაშაულში პროცესორმა დისკრეციული უფლებამოსილებით პირს წაუყენა თადღითობის ბრალდება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის³ 181-ე მუხლით გამოძიების შემთხვევაში პირს შეიძლება მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა ორიდან ოთხ წლამდე, ხოლო იმავე კოდექსის 180-ე მუხლით თადღითობა შეიძლება დაისაჯოს ჯარიმით. სასამართლოს ყოველთვის არ შეუძლია გამოვიდეს წინააღმდეგი ამ ბრალდებაზე და დაიწყოს ხელახალი გამოკვლევა. ამაში იგი იზღუდება სსს კოდექსის 25-ე მუხლის მეორე ნაწილით: “სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან

¹ ვ. ბელთაძე. დისკრეციონიზმი და დისკრეციის პრინციპი სისხლის სამართლებრივ დევნაში. თბილისი: ინტელექტუალი, №16, 2011, გვ. 99-108.

² სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. ავტორთა კოლექტივი. თბილისი: მერიდიანი, 2007, გვ. 32.

³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი, 1999.

დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. მოსამართლე უფლებამოსილია, გამონაკლის შემთხვევაში, მხარეებთან შეთანხმების შემდეგ დასგას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად”. ამიტომ, პროკურორის ბრალდება პირის მიმართ სამართლიანი უნდა იყოს.

შესაძლოა ვინმებ იფიქროს, რომ ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპის უგულებელყოფით გაგმართლებთ საგამოძიებო შეცდომების დაშვებას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. საქმე იმაშია, რომ ობიექტური ჭეშმარიტების დაცვაც ვერ აგვაცილებს საგამოძიებო შეცდომებს – ისინი ყოველთვის იყო და იქნება, ვინაიდან საზოგადოებრივი მართლმსაჯულება სამწუხაროდ არაა და ვერც იქნება სრულყოფილი. ამასთან დაკავშირებით, მოვიყვანთ შემდეგ გამონათქვამს: “სამართლის დანიშნულება არა იმაშია, რომ შევქმნათ დედამიწაზე სამოთხე, არამედ იმაში, რომ არ მივცეთ მას ჯოჯოხეთად გადაქცევის საშუალება”¹.

როგორც ვიცით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, სამართალდამცავებს შორის ფუნქციები განაწილებულია შემდეგნაირად: ბრალმდებლის ამოცანაა იმ მასალების შეგროვება, რომლებიც საკმარისია იმისათვის, რომ დამტკიცდეს ბრალდება სასამართლოში; დაცვის ამოცანაა იმის ჩვენება, რომ ბრალმდებელმა ვერ მიაღწიოს თავის მიზანს; მოსამართლის ამოცანაა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებითი მასალის ანალიზით დაადგინოს სასჯელი. აქედან გამომდინარე, წინასასამართლო ეტაპზე შეცდომების თავიდან აცილებისათვის, ობიექტური ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის დაცვისათვის საჭიროა შემდეგი პირობების შესრულება: 1) კანონმდებელმა შექმნას პროცესში მონაწილე მხარეებისათვის გასაგები და წესიერი თამაშის ერთიანი წესები; 2) ამ წესების გათვალისწინებით პროცესის განხორციელება პროკურორმა (ან სათანადო ორგანომ) უზრუნველყოს. ასეთ პირობებში პროკურორის გადაწყვეტილება უზრუნველყოფს მოსამართლის მიუკერძოებლობას მტკიცებულებათა შეფასებებსა და გადაწყვეტილების მიღებაში. სამართლის იდეალი სწორედ იმაში მდგრმარეობს, რომ ყოველი დამნაშავე დაისაჯოს სამართლიანად. სამწუხაროდ, ეს იდეალი მიუწვდომელია, ვინაიდან თვით ადამიანების წარმოდგენა ჭეშმარიტებასა და სამართლიანობაზე შედარებითი და ცვალებადია.

სამართლიანობის პრობლემა, მისი შინაარსი, თვისებები და კრიტერიუმები ანტიკური დროიდან რჩება გადაწყვეტილები. სისხლის სამართალწარმოება (სასამართლო გადაწყვეტილების ჩათვლით) არ შეიძლება იყოს არც სამართლიანი და არც არასამართლიანი. ამის მიზეზი ისაა, რომ თუ სამართლიანობას ჩავთვლით კატეგორიაში და მას ეძებს მოსამართლე, მაშინ სამართლიანობა მოითხოვს მტკიცებულებას. ეს, თავის მხრივ, გამოიწვევს მტკიცების საგანმი სამართლიანობის ჩართვას კონკრეტული სამართლებრივი ფორმულირებით. ამის გაკეთება შეუძლებელია, ვინაიდან სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე თითოეულ მხარეს თავისი წარმოდგენა აქვს სამართლიანობაზე. ამავე დროს, თუ ვისაუბრებოთ სამართლიანობაზე სამართალწარმოებაში, მაშინ ეს მოთხოვნა უნდა გავავრცელოთ როგორც სასამართლო ეტაპზე, ისე წინასასამართლო ეტაპზეც, რადგან სამართლიანი წინასასამართლო გამოძიების გარეშე ვერ მოხდება სასამართლოს მიერ სამართლიანი განაჩენის გამოტანა. ამ უკანასკნელის განხორციელება სსს კოდექსის მე-19 მუხლის

¹ Алиев Т.Т., Белоносов В.О., Громов Н.А. Принцип презумпции истинности приговора, вступившего в законную силу. Российский судья. № 7, 2003, стр. 18.

პირველი ნაწილით სასამართლოს ევალება: “სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ქრთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი”.

სამართლიანი განაჩენის დადგენა განსაკუთრებით შეეხება მნიშვნელოვანი ხასიათის სისხლის სამართლის ისეთი საქმის განხილვას, სადაც მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს წინასწარი გამოძიების მასალებზე დაყრდნობით. მაგრამ, როგორ განვახორციელოთ სამართლიანობა საგამოძიებო მოქმედებაში, თუნდაც შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, ჩერევისას? ამ კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით გაუცემელია. ამიტომ, საქართველოს სსს კოდექსის ნორმებში სამართლიანობაზე ძირითადად საუბარია სასამართლოს ეტაპზე, ხოლო სამართლიანობის პრინციპმა წინასასამართლო გამოძიებას გვერდი აუარა.

დიდი ხანია არსებობს აზრი, რომ სამართლიანობა სისხლის სამართლის პროცესში ასრულებს პრინციპის როდს, რომლის მოთხოვნები გავრცელებულია ყველა საპროცესო დოკუმენტზე, მათ შორის მოსამართლის განაჩენზეც და ეს აზრი დღეს დამკვიდრებულია.¹ ქართულ სსს კოდექსში წინასასამართლო ეტაპზე “სამართლიანობაზე” მითითებულია პალზე ზოგადად, სისხლის სამართლის პროცესის პრინციპი “სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება” მე-8 მუხლით: “ბრალდებულს (მსჯავრდებულს, გამართლებულს) აქვს სამართლიანი პროცესის უფლება”. ვფიქრობთ, რომ მოყვანილი სამართლის ზოგად კრიტერიუმში იგულისხმება კანონიერი სისხლისსამართლებრივი დევნის აღმფრაც.

სისხლის სამართლის პროცესის დარგში “სამართლიანობა განიხილება, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ამოცანა, რომლის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს სამართლიანობის მტკიცებას”². მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესის მთელი მსვლელობა და შედეგი სამართლიანი უნდა იყოს. იმის გამო, რომ სამართლიანობა ორგანულ კავშირშია სხვა პრინციპებთან (გარდაუვალობა, კანონიერება, მიზანშეწონილობა, დასაბუთებულობა, ყოველმხრივობა, საქმის გარემოების კვლევის სისრულე და ობიექტურობა, უდანაშაულობის პრეზუმაცია, თანასწორობა კანონისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების წინაშე და სხვა) და სისხლის სამართლის პროცესში იგი თავის თავს წარმოაჩენს ამ პრინციპების შემდეგ, ამიტომ აღნიშნული შინაარსით სამართლიანი უნდა იყოს სისხლის სამართალწარმოების ყველა ამოცანა. ამის გამო, სამართლიანობის პრინციპი გაითვალისწინება როგორც სსს, ისე სისხლის სამართლის კოდექსებში. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის (სასჯელის მიზანი) პირველი ნაწილით “სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია”, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის (სასჯელის დანიშვნის ზოგიერთი საწყისები) პირველი ნაწილით “სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას”. მაშასადამე, მოთხოვნა სისხლისსამართლებრივი

¹ Нажимов В.П. Справедливость как принцип советского уголовного процесса и важнейшее свойство приговора. Развитие процессуального законодательства. Воронеж, 1987, с.54.

² Еникеев З.Д. Уголовное преследование. Учебное пособие. Уфа: Изд-во БашГУ, 2000, с. 42.

დევნის სამართლიანობაზეც უნდა შეესაბამებოდეს სამართლიანობის სისხლის სამართლებრივ პრინციპს.

სამართლიანობა გაითვალისწინება როგორც თვით სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში, ისე მისი განხორციელების მექანიზმში (სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტების უმწიკვლო პროფესიული და ზნეობრივ-ფიქოლოგიური თვისებები, მტკიცება და მტკიცებულებები, სისხლის სამართლის საპროცესო იძულება და სხვა). მაგალითად, სამართლიანობის თვალსაზრისით, საქმისთვის საჭირო ყველა მოპოვებული მასალა უნდა იქნეს გულდასმით, ყოველმხრივ და ობიექტურად შემოწმებული დევნის მაწარმოებელი პირის მიერ; კანონის დარღვევით მიღებული მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ბრალდებას; ბრალდება არ შეიძლება აიგოს დაშვებებზე. ალკვეთის ღონისძიებების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომელიც მისი გამოყენების საფუძვლია; განსახილველი ქმედების სიმძიმე და ხასიათი; ჯანმრთელობის მდგომარეობა; საქმიანობის სახე; ოჯახური მდგომარეობა; მარჩენალის და სარჩენის არსებობა; ქონებრივი მდგომარეობა; მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არსებობა და სხვა არსებითი გარემოებები. სამართლიანად ჩაითვლება ის ღონისძიება, რომელიც გათანაბრებულია ნამდვილ აუცილებლობასთან და ადეკვატურია სისხლის სამართლის გარემოებებთან.

სამართლიანობის პრინციპს და პრობლემას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. უმთავრეს მიზნად ქვეყნის მცხოვრებთა საკეთილდღეოდ გვესახება სამართლიანობის განმტკიცება, ვინაიდან თითოეულს აქვს უშიშროების უფლება. ამიტომ, ბრალდებულის სამართლიანი სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების პრობლემა ხდება მეტად აქტუალური, ვინაიდან საქართველოს სსს კოდექსში წინასასამართლო ეტაპზე სამართლიანად ჩატარებულ გამოძიებაზე ვალდებულება არ არსებობს. სიმართლის მტკიცება პრობლემური მაშინ ხდება, როცა ბრალდების მხარისათვის მტკიცებულების მოპოვება და დანაშაულის დაბრალება შეიძლება მოხდეს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე – დამნაშავე არ დაისაჯოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია, რომ სსს კოდექსში უფრო კონკრეტულად და დეტალურად იქნეს განსაზღვრული “სამართლიანი პროცესი”, “სამართლიანობა” ან “სამართლიანობის პრინციპი”. თუ ეს მოხდება, მაშინ თანამდებობის პირს უფლება ექნება გადაწყვიტოს საკითხი: კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის აღმდენი სამართლიანი, თუ ასეთი გადაწყვეტილება შექმნის კიდევ უფრო მეტ არასამართლიან სიტუაციას საჯარო თვალსაზრისით. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნია საზოგადოების მიერ ჩაითვლება არასამართლიანად. სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს ბრალდების სამართლიანობის იდეა და არა იმაში, რომ წინასწარი გამოძიება წარიმართოს სამართლიანი ხერხებით და საშუალებებით. ამავე დროს, ასეთი კოდექსის მიღება სისხლის სამართლის პოლიტიკის პუმანიზაციისაკენ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შევაფასოთ. მართალია, ახალ საპროცესო კოდექსში ჩადგებული “სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა” გარკვეულწილად “სამართლიანობასაც” მოიცავს, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ მხრივ მეტი კონკრეტიზაციაა საჭირო. ამ შემთხვევაში ვფიქრობთ, რომ იგივე ნაბიჯია გადასადგმელი სისხლის სამართლის კოდექსის მიმართებითაც.

აღნიშნული მოსაზრების საფუძველს გვაძლევს მკვლევართა აზრი იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის პუმანიზაცია აბსოლუტურად აუცილებელი პირობაა

ქსოფლიო ცივილიზებულ სამყაროში დაბრუნებისათვის. რაც უფრო პუმანურია, მომთმენია კეთილმოსურნე სახელმწიფო, მით ნაკლებ საშიშ დანაშაულს სჩადიან მისი მოქალაქეები. ცივილიზებულმა მსოფლიომ დიდი ხანია დაადგინა რომ ციხე არის არა ადამიანის ახლობურად აღზრდის ადგილი, არამედ კრიმინალური უნივერსიტეტია. რას აკეთებს ამისათვის ცივილიზებული სამყარო?: 1) რაც შეიძლება მცირე რაოდენობის ადამიანებს სვამს ციხეში. დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში საერთოდ არ გამოიყენება თავისუფლების ადგვეთა არასრულწლოვნების მიმართ; 2) ციხეს მიუსჯიან მხოლოდ მმიმე ძალადობითი დანაშაულისათვის და რაც შეიძლება მცირე ვადით. მაგალითად, შვედეთში ყველა მსჯავრდებულის მხოლოდ 80% მიესჯება 6 თვემდე პატიმრობა; გერმანიაში 85% მეტს – 2 წლამდე (რუსეთში 39%), ხოლო 5 წელზე მეტი – მხოლოდ 1% (რუსეთში 14%); 3) ისინი ინარჩუნებენ პატიმართა შენახვის დირსეულ დონეს; 4) მიმდინარეობს ზემოქმედების სხვა საშუალებების უფრო აქტიური ძებნა. მაგალითად, თავისუფლების შეზღუდვა ელექტრონული თვალთვალით (ელექტრონული საჭდე ხელზე), საზოგადოებრივი სამუშაო და სხვა. პრაქტიკაში ინერგება “აღმდგენი” იუსტიცია, რომლის აზრი მდგომარეობს მსხვერპლისა და დამნაშავის შერიგებაში მიყენებული ზარალის სრული და ნებაყოფლობითი ანაზღაურების პირობით¹.

ეს გთარება კარგად ეთანხმება საერთაშორისო სამართლებრივი აქტების დებულებებს. მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვენის 2000 წლის მეათე კონგრესზე მიღებულ დეკლარაციის დოკუმენტში, რომელიც შეეხება სამართლდამრდველს და მსხვერპლს, ჩაწერილია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სამართლიანობის, ადამიანურობისა და პროფესიული ქცევის ყველაზე მაღალი სტანდარტის მიღწევის აუცილებლობა². ამ დოკუმენტში განხილულია მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები ბრალდებულისა და მსხვერპლისათვის, რომელთა შორის პირველია სამართლიანობის პრინციპი. ამ პრინციპის შინაარსი სამართალდამრდველისათვის სამი პუნქტით განისაზღვრა:

1. მრავალ ქვეყანაში ფართო საზოგადოებრიობა განსაკუთრებით მგრძნობიარეა დანაშაულის როგორც პოტენციური, ისე ფაქტიური საშიშროების მიმართ. ამავე დროს საზოგადოებრივი აზრი ფხიზლად რეაგირებს მართლმსაჯულების მოსალოდნელ ან ფაქტიურ შეცდომებზე. ამრიგად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულება შეიძლება წარმოვიდგინოთ სახელმწიფოსა და ცალკეულ მოქალაქეებს შორის ურთიერთობების შემფასებელი ლაგმუსის ქადალდის როლში;

2. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მრავალი სისტემა, სამართალდამრდველთა უფლებების დაცვის მიზნით, აღიარებს საპროცესო სამართლიანობის შემდეგ ელექტრობებს: ა) უფლებას არ დაექვემდებაროს თვითნებურ დაკავებას, დაპატიმრებას, ჩერეკას ან კონფისაციას; ბ) უფლებას ბრალდებისა და მტკიცებულების ხასიათის შესახებ ვითარების ცოდნაზე; გ) უფლებას აღვოკაზზე; დ) უფლებას უდანაშაულობის პრეზუმაციაზე; ე) მტკიცებულებითათვის ნორმას (რომელიც არ იწვევს დასაბუთებულ ვარაუდს); ვ) დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ საქმის საჯარო განხილვის უფლებას; ზ) ბრალდების

¹ Гилинский Я. И. “Зона” - это криминальный университет. Известия, № 104, 2003.

² Десятый Конгресс Организации Объединенных Наций по предупреждению преступности и обращению с правонарушителями. Пункт 6 предварительной повестки дня. Правонарушители и жертвы: ответственность и справедливость в процессе отправления правосудия. Вена, 10-17 апреля 2000 года, A/CONF, 187/8, с. 3-4.

მოწმეთა ჩვენებების შემოწმების უფლებას; თ) ჩვენების მიცემისა და მოწმეთა გამოძახების უფლებას; ი) აკელაციის უფლებას;

3. სამართალდამრღვევთა უფლებები გარანტირებულია მრავალი ქვეყნის კონსტიტუციით, აგრეთვე საერთაშორისო სამართლით.

იმავე დოკუმენტში სამართლიანობის პრინციპი დაზარალებულისათვის განი-საზღვრება ექვსი პუნქტით, რომელთაგან მოვიყვანო მხოლოდ პირველს:

1. სამართლის ზოგიერთი სისტემის ჩარჩოში, მაგალითად, ისლამურ სისტემაში, დაზარალებული და მისი ოჯახი ტრადიციულად ცენტრალურ როლს ასრულებს სისხლის სამართლის განხილვაში. სხვა სისტემის ჩარჩოში დაზარალებულის უფლებები იყო მინიმალური და უკანასკნელ წლებში გაფართოვდა. დეკლარაციაში დაზარალებულისთვის სამართლიანობის პრინციპის ძირითადი ელემენტები შემდეგია: а) უფლება იმაზე, რომ მას მოვქცენ პატივისცემით და გაებით; ბ) უფლება მიმართოს შესაბამის მხარდაჭერ სამსახურებს; გ) უფლება საქმის სასამართლოში განხილვის მიმდინარეობაზე მიიღოს ინფორმაცია; დ) უფლება დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ე) ადვოკატზე უფლება; ვ) პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირად ცხოვრებაში ჩარევისგან დაცვის უფლება; ზ) უფლება კომპენსაციაზე როგორც სამართლდამრღვევისაგან, ისე სახელმწიფოსაგან.

ამრიგად, სამართლიანობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესსა და სისხლის-სამართლებრივ დევნისას ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია რთულ და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო საქმიანობაში – დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ დარგში საჭირო ზომების გატარების აუცილებლობა ნაკარნახებია თვით ცხოვრების მიერ. ეს პრობლემა, მისი შინაარსი და ზემოაღნიშნული მოსაზრებები საშუალებას გვაძლევს შემდეგი სამი პუნქტით ჩამოვაყალიბოთ „სამართლიანობის პრინციპის განსაზღვრა“:

1. სისხლის სამართლის კანონი უნდა იყოს სამართლიანი, კრიმინოლოგიურად და მეცნიერულად დასაბუთებული, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, სამართლის სხვა დარგების ნორმებს, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს;

2. დანაშაულის ჩამდენი პირისადმი სისხლისსამართლებრივი ხასიათის ზომები, მათ შორის დასჯაც, უნდა იყოს სამართლიანი ანუ შეესაბამებოდეს დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათს, ხარისხს, მისი ჩადენის გარემოებას და ბრალდებულის პიროვნებას. ამასთან, სამართლიანი უნდა იყოს ამ პირის მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმიც;

3. დაცული უნდა იქნეს ობიექტური ჰეშმარიტების პრინციპი, მიღწეულ იქნეს ისეთი ჰეშმარიტება, რომელიც კანონმდებლობის ფარგლებში გამომდინარეობს სისხლის სამართლის მასალებიდან, ეყრდნობა ამ მასალებს, სრულად შეესაბამება მათში არსებულ და გულდასმით შემოწმებულ გამოძიებას და მტკიცებულებებს.

პაატა კობალაძე,
სამართლის დოქტორი

ვაჟა ბელთაძე,
სამართლის დოქტორანტი

სამართლიანობის პრიციპი სისხლისამართლებრივ ღევხაში

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე შენწავლით სისხლისსამართლებრივი დევნის სამართლიანობის პრიციპის პრობლემა. სამართლიანობის ცნება და პრიციპი, კანონიერების თვალსაზრისით, ეყრდნობა ჯონ როლსის სამართლიანობის თეორიას. შემოტანილია სისხლის სამართლის პრიციპის ზოგადი და ობიექტური ჭეშმარიტების პრიციპის განსაზღვრებები. მათგან გამომდინარეობს სამართლიანობის კრიტერიუმი, რომლის მიხედვით პირის ბრალდებაზე პროკურორის გადაწყვეტილება სამართლიანი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა იგი ეყრდნობა კანონს და ობიექტური ჭეშმარიტების პრიციპს. წინასასამართლო ეტაპზე დადგენილია პირობები, რომელთა შესრულებისას შესაძლებელია სამართლიანობის და ობიექტური ჭეშმარიტების დაცვა. სსს კოდექსში წინასასამართლო ეტაპზე “ჭეშმარიტება”, როგორც მტკიცებულებების და სამართლიანობის მიზანი, არ მოითხოვება. ამ ეტაპზე “სამართლიანობა” გათვალისწინებულია “სამართლიანი პროცესის და სწრაფი მართლმსაჯულების” პრიციპში მე-8 მუხლის პირველი ნაწილით: “ბრალდებულს (მსჯავრდებულს, გამართლებულს) აქვს სამართლიანი პროცესის უფლება”. კოდექსში არაა განსაზღვრული “სამართლიანობის პრიციპი”. საჭიროდ მიგვაჩნია, რომ იგი განსაზღვრულ იქნეს კოდექსში და სამართლიანობა გათვალისწინებულ იქნეს თვით სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესსა და მისი განხორციელების მექანიზმი. ჩამოყალიბებულია სამი პუნქტის მეშვეობით სამართლიანობის პრიციპის განსაზღვრა.

Paata Kobaladze,
doctor of law

Vazha Beltadze,
PHD student

PRINCIPLE OF JUSTICE IN THE PROSECUTION

There is studied the problem of principle of justice on the basis of the Code of Criminal Procedure. The concept of principle of justice in terms of legality is based on John Roy's theory of justice. The definitions of general and objective truth of principles of Criminal Law are submitted. Criterion of justice is derived from them, according to which prosecutor's decision on the accused person could be fair only when this will be based on the law and on the principle of objective truth. At the pretrial stage some conditions are established in the process of the implementation of which it is possible to defend justice and the objective truth. At the pretrial stage "the truth" as the purpose of justice and evidence is not required. At this stage "justice" is considered as the principle of having "the process of justice and fast justice" in the first item of

the article 8. "An accused (defendant, acquitted) enjoys the right of having the process of justice". The Code does not provide us with the definition of "principle of justice". We consider that it is right to be defined in the Code and be considered itself in the process of prosecution and in the mechanism of its performance. The definition of principle of justice is established by means of 3 items in the presented article.

Паата Кобаладзе,
доктор права

Важа Белтадзе,
докторант права

ПРИНЦИП СПРАВЕДЛИВОСТИ В УГОЛОВНОМ ПРЕСЛЕДОВАНИИ

На основе уголовно-процессуального кодекса (УПК) Грузии изучена проблема принципа справедливости в уголовном преследовании. Понятие справедливости и принципа с точки зрения законности базируется на теории справедливости Джона Ролса. Введены определения общих принципов права и принципа объективной истины. Из них вытекает критерий справедливости, в силу которого решение прокурора об обвинении лица будет справедливым только тогда, когда оно будет опираться на законы и принципы объективной истины. На досудебном этапе установлены условия, при выполнении которых могут быть защищены справедливость и объективная истина. В УПК на досудебном этапе "истина" как цель доказательства и справедливости, не требуется. На данном этапе "справедливость" учитывается в первой части 8-й статьи: "обвиняемый (осужденный, оправданный) имеет право на справедливость процесса". В кодексе не определен "принцип справедливости". Мы считаем необходимым, чтобы он был определен в кодексе и справедливость была учтена в процессе уголовного преследования и в механизме ее реализации. Сформулировано определение справедливости с помощью трех пунктов.

**დაცაშაული – მოფიცისა და
მიზნის დაკმაყოფილების ხერხი**

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი – დანაშაული, ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია სისხლის სამართლის თეორიაში. დანაშაულის იურიდიული ცნება განმარტებულია საკანონმდებლო წესით და ასეთად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლით, მიჩნეულია ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი, გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკიდან გამომდინარე, დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაზეა აგებული, რომლის მიხედვით, დანაშაულის ნიშნებია: ქმედების შედგენილობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

ქმედების შედგენილობა, როგორც მართლწინააღმდეგობა და ბრალი, დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანია. ქმედების შედგენილობის განხორციელების აუცილებელი პირობაა ქმედების ჩადენა ანუ სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ან მისთვის საფრთხის შექმნა. ქმედება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებაში ან უმოქმედობაში. ქმედების მართლწინააღმდეგობა ქმედების შედგენილობისა და ბრალის კავშირის ფორმაა.¹

ამრიგად, ქმედების შედგენილობის სტრუქტურაში შედის ქმედების არა მხოლოდ ობიექტური მხარის ნიშნები, არამედ ქცევის ისეთი ელემენტები, როგორიცაა: მოტივი და მიზანი.²

ვფიქრობთ, ყურადღების დირსია პროფ. ბ. ხარაზიშვილის დებულება, რომ დანაშაული ფსიქოლოგიურად ქცევა კი არა, არამედ ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების ხერხია. ფსიქოლოგიურ ქცევაში იგულისხმება ფსიქოლოგიურად განსაკუთრებული ნებისმიერი ქცევის ისეთი კომპონენტები, როგორიცაა: მოტივი და მიზანი. დ.უზნაძე წერდა: „ფსიქოლოგიაში ნებისმიერი მოქმედების საბუთს ანუ საფუძველს მოტივს უწოდებენ. მაშასადამე, სანამ ადამიანი რაიმეს გადაწყვეტს, სათანადო მოტივების ძებნა უნდა დაიწყოს. გადაწყვეტის აქტს მოტივაციის პროცესი უძღვის წინ“.³ მოტივაციის შედეგად ყალიბდება მოტივი, როგორც გადაწყვეტილების ფსიქოლოგიური საფუძველი. აქედან გამომდინარე, დ. უზნაძე მოტივს ქცევასთან აიგივებდა. მისი დასკვნით, „ქცევა იმდენივეა, რამდენიც მოტივი, რომელიც მას აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებს“.⁴ ამასვე ამბობდა მიზნის მიმართაც. მისი აზრით, „ფსიქოლოგიურად იმდენი განსხვავებული ქცევა არსებობს, რამდენ განსხვავებულ მიზანსაც ემსახურება იგი“.⁵

ამრიგად, ქცევის ფსიქოლოგიური შინაარსი მოტივისა და მიზნის თავისებურებით განისაზღვრება. ამიტომ, გასაგები უნდა იყოს ის დებულება, რომ დანაშაული ფსიქოლო-

¹ გ. ნაჭყებია. სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი. თბ., 2006. გვ. 93–96.

² გ. ნაჭყებია. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბ., 2001. გვ. 226.

³ დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1998 გვ. 203.

⁴ დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1998 გვ. 209.

⁵ დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1998 გვ. 210.

გიურად ქცევა ანუ მოტივი და მიზანი კი არა, არამედ მოტივისა და მიზნის დაკმაყოფილების ხერხია. მაგალითად, ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის მისაკუთრების მიზნით მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ფარული ხერხი, ძარცვა – აშკარა ხერხი, ყაჩადობა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის ხერხი და ა.შ. მაშასადამე, დანაშაული ქცევისაგან მოწყვეტილი არაა, მაგრამ ქცევაზე არ დაიყვანება, რადგან დანაშაული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რაიმე მოტივისა და მიზნის განხორციელების ხერხია. სოციალურად საშიში მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული არ არის ქცევა ფსიქოლოგიურად, არამედ ის ხერხი, რომელიც, მაგალითად, ანგარების მოტივს ახორციელებს. ამ თვალსაზრისით, გასაგებია, რომ მძველად აყვანა არის ანგარების, როგორც მოტივის დაკმაყოფილების ხერხი.

ამრიგად, დანაშაული ქცევისგან მოწყვეტილი არაა, მაგრამ ქცევას არ წარმოადგენს. დანაშაული შეფასებითი ცნებაა (მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება), ხოლო შეფასება ფსიქოლოგისათვის უცხოა.¹

მეორე მხრივ, დანაშაული არაა ქცევა ცნების ლოგიკური შინაარსით და სხვა არსებითი მოსაზრებითაც. კერძოდ, ქცევის შინაარსი მოტივითა და მიზნით განისაზღვრება. ყოველ ერთ ქცევას ფსიქოლოგიურად ერთი მოტივი განსაზღვრავს, მაშინ, როცა ერთი მოტივით არაერთი დანაშაული ხორციელდება. მაგალითად, ანგარების მოტივით, როგორც წესი, ხორციელდება ქურდობა, ძარცვა, ყაჩადობა, ფალსიფიკაცია, მკვლელობა და ა.შ. დანაშაული, რომ ქცევა იყოს, მაშინ ყოველ კონკრეტულ დანაშაულს თავისი საკუთარი მოტივი და მიზანი უნდა ჰქონდეს.

მაშასადამე, დანაშაული ქცევა არაა და ამიტომ ის არც ნებისმიერია და არც იმპულსური. ცხადია, დანაშაული ნებისმიერი ქცევის პირობებში ხორციელდება, რადგან ქცევის მოტივაცია და მიზნის დასახვა ნებისმიერი ქცევის ნიშანია. აღნიშნული ეხება არა მარტო განზრახ, არამედ გაუფრთხილებელ დანაშაულსაც. მაგალითად, ერთი პირი მეორეს შესაშინებლად უმიზნებს ცეცხლსასროლ იარაღს, სასხლეტე უნებურად ხელის შეხების გამო, ხდება მოულოდნელად გასროლა, რასაც ადამიანის სიკვდილი მოჰყვა. ქცევა, თავისი ფსიქოლოგიური ბუნებით, ნებისმიერია. სხვისთვის ცეცხლსასროლი იარაღის დამიზნება პირის შეშინების ხერხია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ეს საქციელი თავისთავად ამორალურია, იმ შემთხვევაშიც, თუ მას ადამიანის სიცოცხლის მოსპობა არ მოჰყოლია.²

დანაშაულის შედგენილობის სუბიექტურ მხარეში იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, სუბიექტის ქცევის მოტივი და მიზანი. მოტივი არის გადაწყვეტილების ფსიქოლოგიური საფუძველი, სუბიექტის ქცევის ფსიქიკური საზრისი, რისი გულისთვისაც გადაწყდა ამა თუ იმ ქმედების ჩადენა. მიზანი არის დანაშაულებრივი შედეგის აზრობრივი მოდელი, სწრაფვა ამ შედეგისაკენ, როგორც ინტელექტუალური პროცესი, მაშინ, როდესაც მოტივი ნების ფენომენთანაა დაკავშირებული.

ინტელექტისა და ნების კავშირი, თავის მხრივ, განსაზღვრავს მოტივისა და მიზნის კავშირს.³ არ არსებობს ქურდობის, ძარცვის, ყაჩადობის ან სხვა შედგენილობა სხვისი

¹ გ. ნაჭყებია. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. ობ., 2001. გვ. 231.

² გ. ნაჭყებია. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. ობ., 2001. გვ. 230.

³ გ. ნაჭყებია. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. ობ., 2001. გვ. 194

მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის გარეშე, ხოლო მიზანი ადამიანის სუბიექტური ქცევის ერთ-ერთი ელემენტია. უფრო მეტიც, ადამიანის ქცევის მიზნის გარეშე შეუძლებელია არა მარტო საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა შედგენილობა, არამედ ბევრი სხვა ქმედების შედგენილობა. მაგალითად, ტერორისტული აქტი, სტრატეგიული ან განსაბუთო ბეჭდი მნიშვნელობის მქონე ობიექტების ხელში ჩაგდება ან ბლოკირება და ა.შ.

მოტივი არის ფსიქოლოგიური ცნება. სისხლის სამართალში მოტივის სხვა ცნება კი არ ყალიბდება, არამედ მოტივის, როგორც ადამიანის ქცევის ფსიქიკური საზრისის, მიხედვით ხდება ადამიანის დანაშაულებრივი ქმედების შეფასება. მაგალითად, ერთია ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა სისხლის აღების ნიადაგზე და მეორეა ტერორისტული აქტი. ამიტომ, სისხლის სამართალში მიღებულია მოტივების კლასიფიკაცია, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, სისხლის სამართალში მათი გამოვლენის მიხედვით.¹ ავტორი მართებულად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ მოტივი და მიზანი განხილული უნდა იქნეს დანაშაულის ცნების სამი ცნობილი ელემენტის მიმართაც. კერძოდ, მოტივი, რომელიც ქმედების შედგენილობას აფუძნებს. მაგალითად, ბავშვის შეცვლა ანგარებით ან სხვა ქვაგრძნებით (სსკ 174-ე მუხლი). სუბიექტის ქცევის მიზნის მიხედვით მისი ქმედება შეიძლება იყოს მართლზომიერიც და მართლსაწინააღმდეგოც. მოტივმა და მიზანმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ბრალის ხარისხზე.²

დანაშაულის შედგენილობის სუბიექტური მხარე არის მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის შინაგანი ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი უმართებულობისა და მისი შედეგების მიმართ. სუბიექტურ მხარეს დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენისათვის, რადგან ერთი მეორისგან გამიჯნავს პიროვნების დანაშაულებრივ და არადანაშაულებრივ ქცვებს. დანაშაულის სუბიექტურ მხარეს გააჩნია აუცილებელი სავალდებულო და არასავალდებულო ნიშნები: მოტივი, მიზანი და ემოცია. მართალია, ამ ნიშნებს ვასახელებთ როგორც არასავალდებულოს, მაგრამ კონკრეტული სისხლისსამართლებრივი უმართებულობის ჩადენის შემთხვევაში (მაგალითად, მკვლელობის ჩადენისას ან ჯანმრთელობის დაზიანებისას და ა.შ.) ისინი იძენენ სავალდებულო ნიშნის მნიშვნელობას, დგებიან ბრალის გვერდით და წარმოადგენენ დანაშაულის დაკვალიფიცირების აუცილებელ ელემენტს.

ფსიქოლოგის თანახმად, ადამიანის მოქმედება განპირობებულია განსაზღვრული მოტივით და მიმართულია გარკვეული მიზნისაკენ. ქცევის შეფასება მისი მოტივისა და მიზნის მხედველობაში მიუღებლად შეუძლებელია. ეს დებულება მთლიანად ვრცელდება სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ქცვაზე. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, უმართებულობის ჩადენის სხვა გარემოებებთან ერთად, მოტივისა და მიზნის დადგენას.

¹ ი. დვალიძე. მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. თბ., 2008 გვ. 41–46.

² ი. დვალიძე. მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. თბ., 2008 გვ. 65.

მოტივი და მიზანი ერთად ქმნის პირის ინტელექტუალური და ხებელობითი საქმიანობის იმ ბაზას, რომელზედაც აღმოცენდება განზრახვა, როგორც დანაშაულის სუბიექტური შედგენილობის ძირითადი ელემენტი.

ადამიანის მოქმედება მექანიკური როდია, რომ არც მიზანს ისახავდეს და არც რაიმე მოტივი ამოძრავებდეს.¹ უმართებულობის ჩადენის მოტივი არის განსაზღვრული მოთხოვნილებით და ინტერესით განპირობებული შინაგანი მამოძრავებელი მიზეზი, რომელიც სუბიექტში წარმოშობს გარკვეული ქმედების ჩადენის გადაწყვეტილებას და რომლითაც იგი ხელმძღვანელობს მოქმედების ჩადენისას ან ასეთი მოქმედების ჩადენისგან თავის შეკვებისას. მოტივი ადამიანის განსაზღვრული ფსიქიკური მდგომარეობაა, რომელიც უბიძებს ანუ აღძრავს დანაშაულის (გასაკიცხი ქმედების) ჩადენის სურვილს. მოტივი სხვა არაფერია, თუ არა მოქმედების (უმოქმედობის) შესაძლო შედეგის წარმოდგენა და მისი დირექტულების განცდა. სწორედ ღირებულების ასეთი განცდა უდევს საფუძვლად მიზნის ცნებას. მიზანი კი არის მომავალი შედეგის აზრობრივი მოდელი, რომლისკენაც მიისტრაფვის სუბიექტი დანაშაულის ჩადენის დროს. ჟეგელის ცნობილი პოსტულატის მიხედვით, მიზანი წარმოგვიდება ქმედების არსად. ამიტომ, სუბიექტური ელემენტი – მიზანი უმართებულობის დამფუძნებელი ელემენტია. იგი შინაარსს და მიმართულებას ანიჭებს ქმედებას და განსაზღვრავს როგორც დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი დანაშაულის შედგენილობებს.

ამავე დროს სუბიექტური ელემენტი – მიზანი უმართებულობის ობიექტური საზომია. ეს საზომი ობიექტური ხასიათისაა იმის გამო, რომ საერთოა ყველა ადამიანისათვის, მიუხედავად მისი პერსონალური შემადგენლობისა. იგი უცვლელი სიდიდეა. მაგალითად, ქურდობის უმართებულობის დამფუძნებელი სუბიექტური მიზეზია სხვისი ქონების მითვისების მიზანი – მაგრამ სხვისი ქონების მითვისება შეიძლება ანგარებითაც და სხვისთვის დახმარების აღმოჩენის მოტივითაც. ამ შემთხვევაში მოტივი ზეგავლენას არ ახდენს ქურდობის უმართებულობაზე. მოტივის შესაბამისად, მოიმატებს ან შემცირდება მხოლოდ ბრალის ხარისხი, რასაც სასჯელის დანიშვნისას ენიჭება მნიშვნელობა.

ამრიგად, სუბიექტური ელემენტი – მიზანი, რომელიც დანაშაულის შედგენილობის შესაბამისი შედეგისკენ არის მიმართული, შინაარსს ანიჭებს მოქმედებას. მაგალითად, თუ ერთი კაცი ესვრის პისტოლეტს მეორეს და დაჭრის, სულ სხვადასხვა უმართებულობასთან თუ მართლზომიერ ქმედებასთან გვექნება საქმე, იმის მიხედვით, თუ რა მიზნით ესროლა პისტოლეტი – მოკვლის მიზნით, ჯანმრთელობის დაზიანების, შემინების თუ თავდაცვის მიზნით მოგერიების დროს.

მოტივი და მიზანი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ განზრახი დანაშაულის შედგენილობაში. თუმცა მოტივზე ლაპარაკი შეიძლება მაშინაც, როცა ჩადენილია გაუფრთხილებელი დანაშაული.

დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს სამგვარი სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს:

¹ თ. გამყრელიძე. ურნალი „აღმანახი“, 2000, №13. გვ. 19.

1. მოტივსა და მიზანს დიდი მნიშვნელობა აქვს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას. მოტივი და მიზანი შეიძლება დანაშაულის შედგენილობის ძირითად ნიშნების წარმოადგენდეს. ამ ნიშნების დაუდგენლობა გამორიცხავს მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების არსებობას. მაგალითად, საქართველოს სსკ 389-ე მუხლით გათვალისწინებული დეზერტირობის შედგენილობის აუცილებელი ნიშანია სამხედრო სამსახურისადმი თავის არიდების მიზანი, სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა აღგილის თვითნებურად დატოვება, როგორც სამსახურში გამოუცხადებლობა დეზერტირობად ვერ ჩაითვლება.

2. მოტივმა და მიზანმა შეიძლება შექმნას დანაშაულის კვალიფიციური შედგენილობა. მაგალითად, შეურისძიების ან ეჭვიანობის მოტივით ჩადენილი მკვლელობა დაკვალიფირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, როგორც მარტივი მკვლელობა. თუ მკვლელობა ჩადენილია ხულიგნური ქვენაგრძნობით, ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობა (სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ პუნქტი). ამ კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ პუნქტით, დამამძიმებელ გარემოებაში განზრას მკვლელობად ითვლება მკვლელობა ანგარებით ან შეკვეთით.

3. მოტივისა და მიზნის მნიშვნელობა ვლინდება აგრეთვე სასჯელის დანიშვნის სტაზეც. აქ ჩადენილი დანაშაულის მოტივი და მიზანი, მისი ჩამდენი პიროვნების გათვალისწინებით, შეიძლება მიჩნეულ იქნეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებად.

ანალოგიური მნიშვნელობა აქვს მოტივისა და მიზნის დადგენას გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დროს.

მიგამინია, რომ მოტივსა და მიზანს სხვა ფუნქციებიც აქვს, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანია სისხლის სამართლისათვის. მოქმედების მიზანმა არათუ მართლსაწინააღმდეგოდ უნდა აქციოს განხორციელებული ქმედება, არამედ მართლზომიერადაც.

მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის თავიდან აცილება ვერ ჩაითვლება მართლზომიერ ქმედებად, ე.ო. აუცილებელ მოგერიებად, თუ სხვა პირობებითან ერთად არ არსებობს მომგერიებლის თავდაცვის მიზანი.¹ მართლსაწინააღმდეგობა ობიექტურ-სუბიექტური კატეგორია. ეს ნიშნავს, რომ აუცილებელი მოგერიებისას თავდასხმა უნდა იყოს ობიექტურად, რეალურად საშიში, ამასთან მომგერიებელს სუბიექტურად უნდა ჰქონდეს თავდაცვის მიზანი. აუცილებელი მოგერიებისას პირი აზიანებს ხელმყოფს, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა განახორციელა სამართლებრივი სიკეთის დასაზიანებლად.

თავდაცვის მიზანია მომგერიებლის ან სხვა პირის სამართლებრივი სიკეთის დაცვა. მომგერიებელს უფლება აქვს, დააზიანოს ხელმყოფი იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა სხვაგვარად აიცილოს ხელყოფა. აუცილებელი მოგერიება ორი კომპონენტის – ობიექტურისა და სუბიექტურის ერთობლიობაა. აუცილებელი მოგერიების დროს უნდა არსებობდეს თავდასხმა და სუბიექტურად პირს უნდა ჰქონდეს თავდაცვის მიზანი. მაგალითად, ავთოს მოკვლის განზრას განზრას ბესო მიუახლოვდა. ავთომ ამის შესახებ არ იცოდა და ბესოს ხულიგნური ქვენაგრძნობით მოკლავს. ობიექტურად სახეზე გვაქვს თავდასხმის მოგერიება,

¹ გ. ნაჭერებია. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბ., 2011 გვ. 90.

მაგრამ სუბიექტურად ავთოს არ ჰქონდა თავდაცვის მიზანი. ამიტომ ეს შემთხვევა არის არა აუცილებელი მოგერიება, არამედ განჩრას მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით, რადგან სახეზე არ არის აუცილებელი მოგერიების ორივე კომპონენტი, კერძოდ, პირს არ ჰქონდა თავდაცვის მიზანი.¹

კანონმდებელს მიაჩნია, რომ აუცილებელი მოგერიების ვითარების შექმნისათვის საკმარისია ხელყოფა საშიში იყოს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ აუცილებელი მოგერიების ვითარება არაბრალეულმა, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებამაც შეიძლება გამოიწვიოს. ამ შეხედულებას არ იზიარებს ი. სლუცი. მისი აზრით, მოგერიება დასაშვებია მხოლოდ დანაშაულებრივი ხელყოფის მიმართ. შეურაცხის თავდასხმის მოგერიება აუცილებელ მოგერიებად მხოლოდ მაშინ განიხილება, თუ მომგერიებელმა თავდამსხმელის შეურაცხაობა არ იცოდა.²

საკითხის ამგვარი დაყენება არ გამომდინარეობს აუცილებელი მოგერიების არსიდან. ეს მოსაზრება მართებულად გააკრიტიკეს სისხლის სამართლის თეორეტიკოსებმა.

აუცილებელი მოგერიება სასჯელი ან/და თვითგასწორება როდია. იგი მხოლოდ სამართლებრივი ინტერესების დაცვის საშუალებაა. ამიტომ, ხელყოფისათვის ზიანის მიყენების მართლზომიერება ხელყოფის ობიექტური საშიშროებით განისაზღვრება და არა ხელყოფის სუბიექტური მდგრმარეობით.³

აუცილებელი მოგერიების ვითარების წარმოქმნის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მართლსაწინააღმდეგო პირობის ხელყოფის იმწუთიერება. კანონში ამ მომენტზე პირდაპირ მითითებას ვერ ვხვდებით, მაგრამ იგი აუცილებელი მოგერიების ცნებიდან გამომდინარეობს. იმწუთიერება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის დაწყებისა და დამთავრების მომენტით განისაზღვრება.

აუცილებელი მოგერიების ვითარება ხელყოფის შეწყვეტისთანავე ქრება. ხელყოფა შეიძლება შეწყდეს მომგერიებლის წინააღმდეგობის ან გარეშე პირთა ჩარევის შედეგად, ან კიდევ იმის გამო, რომ თავდამსხმელმა უარი თქვა ხელყოფაზე.

სასამართლო პრაქტიკით, ზიანის მიყენება, თავდამსხმელისათვის აშკარად შეწყვეტილი ხელყოფის შემდეგ, საქმის ფაქტობრივი მხარის მიხედვით, ითვლება განზრას ზიანის მიყენებად შემამსუბუქებელ გარემოებებში ან უამისოდ.

სუბიექტურად აუცილებელი მოგერიება იმით ხასიათდება, რომ მომგერიებელს აქვს კონკრეტული სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზანი.

ზოგიერთი კრიმინალისტი სუბიექტურად აუცილებელი მოგერიების შემდეგ დამატებით მახასიათებელს – მოტივს მოითხოვს.⁴

¹ თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე. საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. თბ., 1998. გვ. 70.

² И. Слуцкий. Обстоятельства, исключающие уголовную ответственность. Л. ст 49.

³ Н. Паше-Озерский. Необходимая оборона и крайняя необходимость по советскому уголовному праву. М., 1982, с. 58.

⁴ И. Тишкевич. Условия и пределы необходимой обороны. М., 1989, с. 78.

თ. შავგულიძეს ეს მოთხოვნა სადაცოდ მიაჩნია. მისი აზრით, აუცილებელი მოგერიგბის მართლზომიერებისათვის სრულიად საკმარისია სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზანი და რაიმე სხვა დამატებითი მოთხოვნის წამოყენება ზედმეტია.¹

აუცილებელი მოგერიების დროს ზიანი საფრთხის უშუალო წყაროს ადგება და არა მეტ პირს, ე.ი. სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზნით მომგერიებელი ზიანს აყენებს იმ პირს, რომელიც საფრთხის უშუალო წყარო არ არის, ასეთ შემთხვევაში უკიდურესი აუცილებლობის საკითხი წამოიჭრება და დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი იმის მიხედვით გადაწყვდება, თუ რა ბრალი მიუძღვის მომგერიებელს მესამე პირისათვის ზიანის მიყენებაში. უკიდურესი აუცილებლობისას სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი მართლზომიერების ერთ-ერთ პირობად გვევლინება. ასევე დამნაშავის შეპყრობა მხოლოდ მაშინ გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას, როდესაც შეპყრობის მიზანი იყო დამნაშავის ხელისუფლების ორგანოში წარდგენა, რასაც ახლავს დამნაშავისათვის ზიანის მიყენება, სამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად. კანონმდებელი მოქალაქეს უფლებას არ აძლევს შეპყრობის მიზნით დამნაშავეს მიაყენოს ნებისმიერი ზიანი. დამნაშავის მოკვლა არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მისი დაკავების მართლზომიერების აქტი, რადგან ასეთი დონისძიება არ ეხება დამნაშავის დაკავებისა და მართლმსაჯულებისათვის გადაცემის მიზანს. თ. შავგულიძის აზრით, დამნაშავის შეპყრობის ფარგლების გადაცილების პირველ შემთხვევაში მოქალაქე ითვალისწინებს, რომ დამნაშავის შესაპყრობად არ არის საჭირო მისი დაშავება, მაგრამ მაინც განზრას, მძიმედ აზიანებს. იგი მოქმედებს თვითგასწორების მიზნით და ასეთ შემთხვევაში დამნაშავის შეპყრობაზე ლაპარაკი საერთოდ არ ხდება. მეორე შემთხვევაში მოქალაქემ, ვთქვათ, იცის, რომ ჯანმრთელობის დაზიანება სიმძიმით ჩადენილ ქმედებას არ შეესაბამება, მაგრამ დამნაშავის შეპყრობისას მძიმედ აზიანებს მას ან/და ცდილობს ფეხში დაჭრას დამნაშავე, მაგრამ ვერ მოზომა და სასიკვდილოდ დაჭრა.²

კანონში პირდაპირ არის მითითებული, რომ მომგერიებელს უფლება არა აქვს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილოს. მაშასადამე, მომგერიებლის მოქმედება ერთგვარ ჩარჩოებშია მოქცეული – ხელმყოფელს არ უნდა მიაყენოს ისეთი ზიანი, რომელიც თავდასხმის აცილებისათვის აუცილებელი არ არის. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება შესაძლებელია მხოლოდ აუცილებელი მოგერიების ვითარებაში.

კრიმინალისტების უმრავლესობას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების ერთ-ერთ სახეობად არადროული მოგერიება მიაჩნიათ,³ მაგრამ ისეთი შეხედულებაც არის, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება არ შეიძლება არადროულობას დაკუკავშიროთ. ამ აზრს სისხლის სამართლის ბეჭრი თეორეტიკოსი იზიარებს.⁴

პირი პასუხს აგებს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ბრალი მიუძღვის ასეთი ქმედების ჩადენაში.

¹ თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე. საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. თბ., 1998 გვ. 80–82.

² თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე. საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. თბ., 1998 გვ. 185.

³ თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე. საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. თბ., 1998 გვ. 120.

⁴ М. Якубович. Вопросы теории и практики необходимой обороны. М., 1987, с. 151.

ამ საკითხის გამო, სისხლის სამართლის თეორიაში ერთნაირი შეხედულება არ არის. ნაწილი იურისტებისა გამოთქვამს აზრს, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება დანაშაულია მხოლოდ განზრახვის დროს. სხვების აზრით, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება მხოლოდ გაუფრთხილებლობით შეიძლება.¹

თ. შავგულიძე თვლის, რომ ის, ვინც პირდაპირი განზრახვით აჭარბებს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, უნდა ითვალისწინებდეს და სურდეს მიაღწიოს ისეთ მართლსაწინააღმდეგო შედეგს, რომელიც სამართლებრივი სიკეთის დაცვას არ ემსახურება. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება, რადგან აუცილებელი მოგერიება და მისი ფარგლების გადამეტება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მომგერიებელს კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი აქვს.²

ამრიგად, თუ ხელმყოფელს პირდაპირი განზრახვით ისეთი ზიანი მიაყენეს, რომელიც კონკრეტული სამართლებრივი სიკეთის დასაცავად საჭირო არ იყო, მაშინ არც აუცილებელი მოგერიების ფარგლები იქნება გადამეტებული, რადგან თვით აუცილებელი მოგერიების უფლებაც აღარ არის. სხვა ვითარებაა არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის დროს. მომგერიებელი თუმცა ფიქრობს, რომ ხელმყოფმა შეიძლება მეტი ზიანი განიცადოს, ვიდრე ამას აუცილებლობა მოითხოვს, მაგრამ ასეთი შედეგი არ სურს, მისი მიზანი დაცვაა, ხოლო მოგერიების შედეგს ურიგდება, როგორ ფაქტს, რომელიც მის მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს. მისთვის მთავარია სამართლებრივი სიკეთის დაცვა იყოს უზრუნველყოფილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება ეგენტუალური განზრახვით სავსებით შესაძლებელია.

სისხლის სამართლის თეორიაში გამოთქმულია აზრი, რომ შესაძლებელია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტება თანამონაწილეობით. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ეს თანამონაწილეობა შეიძლება გამოიხატოს როგორც წაქეზებით, ასევე დახმარებითაც.³

თანამონაწილეობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებაში გამონაკლისად თუ ჩაითვლება. თანამონაწილეობა შესაძლებელია გაუფრთხილებლობით აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტების დროს. ხოლო, როცა ვინმე აუცილებელი მოგერიების ფარგლებს განზრახ ამეტებს, ე.ი პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, მაშინ მას არა აქს დაცვის მიზანი. ამიტომ, ამ დროს თანამონაწილეობა უნდა განიხილებოდეს არა თანამონაწილეობად აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებაში, არამედ თანამონაწილეობად განზრახ დანაშაულის ჩადენაში.

მართებულად მიუთითებს თ. გამყრელიძე, რომ სისხლის სამართლებრივი უმართებულობა მხოლოდ ობიექტური ნიშნებისგან არ შედგება და რომ ისეთი სუბიექტური ნიშანი, როგორიცაა მიზანი საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ობიექტურად მსგავსი დელიქტებით. სწორედ მიზანი მიუთითებს იმაზე, რომ ობიექტურად მსგავსი ქმედები სხვადასხვა ობიექტს ხელყოფს. ამიტომ, ზოგიერთი სუბიექტური ნიშანი მოღიანად

¹ თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე. საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. თბ., 1998 გვ. 147.

² Н. Паше-Озерский. Необходимая оборона и крайняя необходимость по советскому уголовному праву. М., 1982, с. 114.

³ თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე. საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. თბ., 1998 გვ. 148.

არ მიეკუთვნება ბრალს.¹ მაგალითად, მოსახლეობის შეშფოთებისა და პარალიზების მიზნით მოწყობილი აფეთქება დაკვალიფიცირდება სსკ 323-ე მუხლით (ტერორისტული აქტი), ასეთი მიზნის გარეშე კი – სსკ 229-ე მუხლით (აფეთქება). ანგარების მიზნით ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთისას, საქმე გვაქვს მძღვლად აყვანასთან (სსკ 144-ე მუხლი), ასეთი მიზნის გარეშე კი – თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან (სსკ 143-ე მუხლი), რაც არამართებულია. ამ საკითხეზე იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებაც არსებობს. პროფ. ზ. წულაია მართებულად აღნიშნავს: თავისუფლების უკანონო აღკვეთოსას დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი შეიძლება სხვადასხვაგარი იყოს, უფრო ხშირად ესაა ანგარება. თუმცა 143-ე მუხლი ანგარებით ქვენაგრძნობას საერთოდ არც დამამიმებულ და არც განსაკუთრებით დამამიმებულ გარემოებად არ მოიხსენიებს მის მეორე და მესამე ნაწილში.² სავსებით ვიზიარებთ იმ პრაქტიკოს-მეცნიერთა მოსაზრებებს, რომლებიც თვლიან რომ სსკ 143-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების მოტივი შეიძლება იყოს: შურისძიება, ეჭვიანობა, ანგარება და სხვა პირადი მოტივი. ზოგჯერ დამნაშავეს კეთილშობილური მოტივიც ამოძრავებს, მაგალითად, ქალის მოტაცება ცოლად შერთვის მიზნით. რატომდაც კანონმდებელმა კეთილშობილური მიზანიც არ გაითვალისწინა და ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსში 134-ე მუხლით (ქალის მოტაცება ცოლად შერთვის მიზნით) გათვალისწინებული ქმედება გადაიტანა სსკ 143-ე მუხლში და ამით უფრო მეტად გაამკაცრა სასჯელი. ეს მაშინ, როდესაც საგამოიყბო და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აღნიშნული კატეგორიის დანაშაული ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა.

ბევრ შემთხვევაში ქმედების ჩადენის მიზანი და მოტივი იძლევა პრივილეგირებული შედგენილობის შექმნის შესაძლებლობას. მაგალითად, სსკ 110-ე მუხლით (მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით), მიზანი გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების აუცილებელი ელემენტია. დისპოზიციაში მოხსენიებული მსხვერპლის დაუინებული თხოვნა მისი ნების შესაბამისად გვევლინება ისეთ ფაქტორად, რაც შთაგონების აღმოცენების საფუძველია. მოცემულ შემთხვევაში შთაგონების საშუალება არის მომაკვდავის დაუინებული თხოვნა ბრალდებულზე, რომ მან მოუსპოს სიცოცხლე. ეს დანაშაული ხასიათდება განზრახი ბრალით. განზრახვა შეიძლება იყოს მხოლოდ არაპირდაპირი. ე.ი ამ შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენ პირს შეგნებული აქვს, რომ მომაკვდავის დაუინებული თხოვნით სჩადის მკვლელობას, რომელიც არ სურს. მოტივებიდან დომინირებს სიბრალულის, შეცოდების მოტივი.

პროფ. ო. გამყრელიძე პირველი იყო, რომელმაც სამართლიანად გაამახვილა უერადღება იმაზე, რომ „თანამონაწილეობისათვის დამახასიათებელია ერთიანი უმართებულობის განხორციელება უველა თანამონაწილის მიერ, რაც შეუძლებელია იმ შემთხვევაში, როცა მათ ობიექტურ მომენტთან (მიზეზობრიობა) ერთად, სუბიექტური ელემენტიც არა აქვთ საერთო. უმართებულობის სუბიექტური ელემენტი, რომელიც საერთო უნდა იყოს უველა თანამონაწილისათვის არის მიზანი. მიზანი კი ობიექტურ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მაშინ, როცა დელიქტი ჩადენილია პირდაპირი განზრახვით. მაშასადამე, უნდა

¹ გ. ნაჭეულია. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბ., 2011 გვ. 187.

² ზ. წულაია. სისხლის სამართლი. კერძო ნაწილი. თბ., 2000 გვ. 225.

დავასკნათ, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის ყველა მონაწილე მოქმედებს პირდაპირი განზრახვით“.¹ თუმცა ფინალური მოდგრება, რომელსაც ჩვენი კანონმდებლობა იზიარებს, აღიარებს, რომ თანამონაწილე შეიძლება უვენტუალური განზრახვითაც მოქმედებდეს. ამრიგად, თანამონაწილეობა გვაქვს მხოლოდ იქ, სადაც დანაშაულის ყველა მონაწილე ერთიან უმართებულობას სჩადის. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყოველი თანამონაწილის როლი ობიექტურ უმართებულობაში ერთნაირი უნდა იყოს. მთავარია, რომ უმართებულობის ტიპი, რომელშიც ისინი მონაწილეობენ, ერთნაირი უნდა იყოს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უმართებულობის ტიპს, ობიექტურ ელემენტებთან ერთად, განსაზღვრავს სუბიექტური მომენტი – მიზანი, რომელიც მიმართულია შესაბამისი შედეგისაკენ. იგი სუბიექტურ სფეროში არსებული ობიექტური ნიშანია. სწორედ ამ ობიექტურ ნიშანს შეუძლია არა მარტო გახდეს ქმედების ობიექტური საზომი და განსაზღვროს უმართებულობის შინაარსი, არამედ ორი ან მეტი პირის მიზეზობრივად დაკავშირებული მოქმედებები შეაკავშიროს სუბიექტურ სფეროში და გადააქციოს თანამონაწილეობად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ქართველი მეცნიერის (ო. გამურელიძე, ლ. კუტალია, ი. დვალიძე) ნაშრომში, სადაც მეტ-ნაკლებად გაანალიზებულია მოტივისა და მიზნის თავისებურებები თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დამამდიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოების დროს, ბრალისა და უმართებულობის ბუნება დღემდე არ არის შესწავლილი, თუმცა მისასალმებელია, რომ ამ მიმართულებით შესაბამისი კვლევები გრძელდება.

თანამონაწილეთათვის ბრალისა და უმართებულობის დამახასიათებელი ნიშნების შერაცხვის ზოგადი დებულებები გათვალისწინებულია სსკ 25-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილებით: „როცა ამსრულებლის ან თანამონაწილის მხარეს არის ისეთი ნიშანი, რომელიც ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ეს ნიშანი შეერაცხება სხვა ამსრულებელს ან თანამონაწილეს, რომელ მხარესაც ის არსებობდა, თუ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა.“ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა წამქეზებელი შეკვეთას აძლევს ამსრულებელს და მოაკვლევინებს მტერს. წამქეზებელი ამისათვის ამსრულებელს უხდის თანხას. ეს არის სსკ 109-ე მუხლის „გ პუნქტით“ ანგარების მოტივით და შეკვეთით მკვლელობის კომბინაცია. წამქეზებელი პასუხს არ აგებს ანგარებითი მკვლელობის თანამონაწილეობისათვის.² ამ შემთხვევაში ამსრულებლის მოქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 109-ე მუხლის „გ პუნქტით“ (ანგარება), ხოლო წამქეზებელი დაისჯება ამავე პუნქტით, შეკვეთით მკვლელობის თანამონაწილეობისათვის. მართალია, ამსრულებელი მოქმედებს ანგარების მიზნით, მაგრამ ის, ამავე დროს შეკვეთასაც ასრულებს. ანალოგიური მოსაზრება გამოთქმული აქვს პროფ. ო. გამურელიძეს: „ვინაიდან ანგარება არ არის განზრახ მკვლელობის უმართებულობის დამფუძნებელი ნიშანი, ის ამსრულებლიდან თანამონაწილეზე ვერ გადავა და ვერ დაამდიმებს მის პასუხისმგებლობას. ანგარება პერსონალურად ამსრულებელს ახასიათებს და მხოლოდ მისი ბრალის ხარისხზე იმოქმედებს – ამსრულებლის ბრალის ხარისხს დაამდიმებს“.³

¹ ო. გამურელიძე. ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. პირველი წიგნი. 1988 გვ. 234–238.

² ო. გამურელიძე. სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ., 2000 გვ. 202.

³ ო. გამურელიძე. ქურნალი „აღმანახი“, 2000, №13. გვ. 19.

მოტივი და მიზანი საშუალებას იძლევა სწორად განვსაზღვროთ, როდის ითვლება პირის მიერ განხორციელებული ქმედება დამთავრებულ დანაშაულად ან დანაშაულის რომელ სტადიაზეა შეჩერებული მისი დანაშაულებრივი ქმედება. თუ ადამიანმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო, მხოლოდ ობიექტურად დამდგარი შედეგი საშუალებას არ მოგვცემს განვსაზღვროთ, რა ტიპის უმართებულობას აქვს ადგილი – ჯანმრთელობის დაზიანებას თუ მკვლელობის უმართებულობას. ამ საკითხის გადასაჭრელად აუცილებელია დადგინდეს სუბიექტის მოქმედების მიზანი.

ო. გამყრელიძის აზრით, სასამართლოს თითქმის ყოველ საქმეზე ევალება კანონით გათვალიწინებული სპეციალური მიზნის ან მოტივის გამოკვლევა და დადგენა.¹ ეს ლოგოტურიცაა, რადგან სასჯელის მიზნის განხორციელება ჩადენილი ქმედების მიზეზის ან ფსიქოლოგიური მხარის ახსნის გარეშე შეუძლებელია. ამის საშუალებას ქცევის მოტივი და მიზანი იძლევა.

განზრახვის მიზანი ყოველთვის არსებით ან, ყოველ შემთხვევაში, მთავარ როლს ასრულებს არა მარტო დანაშაულის არსის, მისი შინაგანი გრძნობის განსაზღვრაში, არამედ პირის მიერ ქმედების ჩადენისას სამხილებისა და მტკიცებულებების სისტემაში. ცხადია, ეს მიზანი და განზრახვა ყოველთვის ვერ მტკიცდება, შესაძლოა ზუსტად ვერც განისაზღვროს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ისინი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, როგორც დასაშვები და მოსალოდნელი. თუ ქმედებას არა აქვს მიზანი, თუ მისი ახსნა არ ხერხდება, თუნდაც მიახლოებით, შესაძლო მოტივებით, მაშინ ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი საერთოდ მის არსებობაში ან შეურაცხადობაზე, როგორც უმიზნო, უმოტივო, კეთილგონიერებას მოკლებულ ქმედებაზე.

¹ ო. გამყრელიძე. ქურნალი „ალმანახი“, 2000, №13. გვ. 16.

ჯემალ გაბელია,
სამართლის დოქტორი

ირაკლი იმერლიშვილი,
სამართლის დოქტორანტი

დანაშაული – მოტივისა და მიზნის დაკმაყოფილების ხერხი

ნაშრომში შედარტყმით ახალი სიახლეებია მოცემული, კერძოდ, ფსიქოლოგიურ მეცნიერებაზე დაყრდნობით გაანალიზებულია დანაშაულის ისეთი აუცილებელი ელემენტები, როგორიცაა მოტივი და მიზანი. დასაბუთებულია, რომ დანაშაულს აუცილებლად ახლავს მოტივი და მიზანი: მოტივი – დანაშაულის შინაგანი მამოძრავებელი ძალა, ხოლო მიზანი – რომლისკენაც მიისწრაფვის დამნაშავე.

განხილულია შეკვეცილი შედგენილობები, როდესაც მიზანი აჭარბებს შედეგს. დასაბუთებულია, რომ დანაშაულის ჩადენაში მოტივისა და მიზნის დანიშნულებაა დამნაშავის მიერ თავისი მოთხოვნილების დაგმაყოფილება. ამიტომ, მიზნისა და მოტივის დადგენის შემდეგ, ადგილია განისაზღვროს დამნაშავის განზრახვის დაკმაყოფილების დამამთავრებელი სტადია.

Jemal Gabelia,
doctor of law

Irakli Imerlishvili,
PHD student

CRIME – SATISFYING WAY OF THE MOTIVE AND GOAL

There is analyzed relatively new innovations in this particular crime on the basis of psychological science, as necessary elements, such as motive and purpose of the well founded, that the crime is accompanied by motive, purpose, motive - crime of the internal driving force for the purpose, for which it seeks to blame.

The authors have reviewed, staff independence, when is the predominance of the results. There is well-founded, that the goal and purpose of the offender's crime is the motive to satisfy the demand, so easy to define the purpose and motive of the offender's intention to satisfy the final stage.

Джемал Габелия,
доктор права

Ираклий Имерлишвили,
докторант права

ПРЕСТУПНОСТЬ – СПОСОБ УДОВЛЕТВОРЕНИЯ МОТИВА И ЦЕЛИ

Приведены относительно новые инновации в психологической науке об основных соображениях, касающихся элементов преступления, таких, как мотив и цель; обосновано, что преступление должно сопровождаться мотивом, целью. Мотив - внутренняя движущая сила преступления для цели, к которой стремится виновный.

Авторы рассмотрели составляющие, когда цель больше результатов. Авторами обосновано, что цель и мотивация преступления есть цель правонарушителя для удовлетворения своих требований. После установления цели и мотива легко определить виновность правонарушителя, завершающую удовлетворительную стадию.

გენერაციული გამიჯვნა პაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულისბან

საქართველოს სსკ-ის 48-ე თავში „დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ“ ასახულია ქმედებები, რომლებსაც გენოციდის მსგავსი დანაშაულის შედგენილობის ნიშნები აქვს. ასეთ დანაშაულს, უპირველეს ყოვლისა, განეკუთვნება აგრესიული ომის მომზადება ან წარმოება. 1974 წლის 14 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია აგრესიის განსაზღვრის შესახებ. საერთაშორისო სისხლის სამართლში აგრესიად ითვლება:

- ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შექრა ან თავდასხმა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე;
- ნებისმიერი სამხედრო ოკუპაცია, თუნდაც დროებითი, რომელიც ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შექრის ან თავდასხმის შედეგია;
- სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის ანექსია ძალის გამოყენებით;
- ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვა ან ამ მიზნით იარაღის გამოყენება;
- ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა სახელმწიფოს ნავსადგურებისა და ნაპირების დაბლოკა;
- სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების თავდასხმა სხვა სახელმწიფოების სახმელეთო, საზღვაო ან საპარაზო ძალებზე;
- ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფება, ამ სახელმწიფოსთან შეთანხმებით, მისი უშიშროების წინააღმდეგ გამოყენება ან შეთანხმების ვადის შეწყვეტის შემდეგ ამ სახელმწიფოს ტერიტორიის დატოვება;
- ერთი სახელმწიფოს ქმედება, რომელიც სხვა სახელმწიფოს საშუალებას აძლევს გამოყენოს მისი ტერიტორია მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ, ტერიტორიის შეთავაზება მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის ჩადენისათვის;
- ერთი სახელმწიფოს მიერ ან მისი სახელით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ბანდების, ჯგუფების, რეგულარული ან დაქირავებული ძალების შეგზავნა, რასაც იმდენად სერიოზული სახე აქვს, რომ ისინი აგრესიის სხვა სახეობად შეიძლება ჩაითვალოს.¹

მთლიანობაში აგრესიად მიიჩნევა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან გაეროს წესდებით დაუშვებელი სხვა რომელიმე სა-

¹ ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართლი. თბ., 2001. გვ. 35.

ხით. ყოველი სახელმწიფო, რომელიც პირველი გამოიყენებს ძალას, ითვლება აგრესორად, თუ უშიშროების საბჭო ამ ნაბიჯს სხვანაირად არ შეაფასებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას აგრესიული ომის მომზადების ან წარმოებისათვის. საქართველოს სსკ-ის 404-ე და 407-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების გვარეობითი და სახეობითი ობიექტები ერთმანეთს ემთხვევა. აგრესიული ომის მომზადების ან წარმოების უშუალო ობიექტია მშვიდობა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი ოანაარსებობა, მაშინ, როდესაც გენოციდის უშუალო ობიექტია ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა რაიმე ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესები.

საქართველოს სსკ-ის 404-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შედგენილობა გამოიხატება აგრესიული ომის დაგეგმვაში ან მომზადებაში (სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილი), აგრეთვე აგრესიული ომის გაჩაღებაში ან წარმოებაში (სსკ-ის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილი),

აგრესიული ომის დაგეგმვაში იგულისხმება ომის იდეურ-პოლიტიკური და სამხედრო კონცეფციის შემუშავება, სამხედრო მოქმედებათა სტრატეგიისა და ტაქტიკის შედგენა, სათანადო სამობილიზაციო და ორგანიზაციულ-ტექნიკური გეგმებისა და პროექტების შედგენა; შეიარაღებული ძალების სტრუქტურის, შედგენილობის, დისლოკაციის წინადაღებათა შემუშავება, სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზაცია, ინფორმაციული საქმიანობა და აგრესის განხორციელების სხვა საწყისი ეტაპები.¹

ამრიგად, აგრესიული ომის დაგეგმვაში იგულისხმება ინტელექტუალური ხასიათის ნებისმიერი ქმედების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს აგრესიული ომის განხორციელებას.

აგრესიული ომის მომზადებაში იგულისხმება კონკრეტული მოსამზადებელი მოქმედება, რომელიც ომის გაჩაღებისა და წარმოების სათანადო პირობებს ქმნის. მომზადებას მიეკუთვნება, მაგალითად, შეიარაღების ზრდა, მასობრივი განადგურების იარაღის წარმოება ან შეძენა, სამხედრო ფორმირებათა რიცხოვნობის ზრდა, შესაბამისი წვრთნების ჩატარება, სხვა სახელმწიფოს საზღვრებოან სამხედრო ფორმირებათა დაჯგუფება, სარაკეტო ჯარებისთვის მომატებული სამხედრო მზადეოფნის შესახებ ბრძანების გაცემა, რეზერვისტების გამოძახება, სურსათისა და სამხედრო პროდუქციის მარაგების შექმნა, სამხედრო და სხვა სტრატეგიული ობიექტების მდებარეობის დასადგენად უცხო სახელმწიფო ჯაშუშების შეგზაფნა, სპეციალურად გაწვრთნილი რაზმების, სპეცსამსახურების შექმნა და ა.შ.

აგრესიული ომის გაჩაღებაში იგულისხმება სხვა სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმის განხორციელება და მასთან დაკავშირებული კონკრეტული მოქმედებების დაწყება. აგრესიული ომის გაჩაღება შეიძლება გამოიხატოს აგრესიულ აქტებში, რომლებიც წინ უძღვის აგრესიული ომის ფართომასშტაბიან წარმოებას. აგრესიული ომის გაჩაღებაში იგულისხმება აგრესიული მიზნით დიპლომატიური დემარში, ეპიზოდური შეიარაღებული თავდასხმა, ხომალდების ხელში ჩაგდება და აგრესიული ქმედების სხვა მსგავსი აქტები.

¹ რედ. გ. მამულაშვილი. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი II). თბ., 2009, გვ. 383.

ამასთან, აგრესიული ომის გაჩაღების ნებისმიერი აქტი მიზნად უნდა ისახავდეს მის შემდგომ წარმოებას.

აგრესიული ომის წარმოება აგრესიული ომის გაჩაღების შემდეგ აგრესიული ომის გაგრძელებაა. იგი შეიძლება გამოიხატოს სამხედრო ოპერაციების გამოყენებით სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ სრული და ფართომასშტაბიანი აგრესის განხორციელებაში.

აგრესიული აქტების განხორციელების მოტივსა და მიზანს კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს. გენოციდისგან განსხვავებით, რომლის შედგენილობა გულისხმობს მიზანს (ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან/და რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად, ან ნაწილობრივ მოსპობა), საქართველოს სსკ-ის 404-ე მუხლის დისპოზიცია დანაშაულის მიზანს არ მოიცავს. აგრესიული ომის დაგეგმვა, მომზადება, გაჩაღება და წარმოება შეიძლება განხორციელდეს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის დაპყრობის, გავლენის სფეროთა განაწილების, ეკონომიკურ რესურსებსა და ნედლეულის ბაზებზე კონტროლის დაწესების და ა.შ. მიზნით.

საქართველოს სსკ-ის 404-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. ვ. მალიუკოვის აზრით, აგრესის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ საჯარო მოხელე, რომელიც უფლებამოსილია, გადაწყვიტოს სამხედრო ხასიათის საკითხები.¹ გ. მატუსევიჩი აღნიშნავს, რომ განსახილველი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს საჯარო მოხელე, რომელსაც კანონით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე აგრესიული ომის დაგეგმვის, გადაწყვეტილებათა მიღების, აგრეთვე ომის მომზადების ან გაჩაღების რეალური შესაძლებლობა აქვს.² ჩვენი აზრით, გენოციდის კვალიფიკაციის მსგავსად, ამ დანაშაულშიც სუბიექტს არ უნდა ახასიათებდეს რაიმე სპეციალური ნიშნები, ვინაიდან დანაშაულის ამსრულებლების სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემისას შეიძლება წარმოიშვას გარკვეული სირთულე. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდების მე-5 მუხლში მითითებულია: „ის ფაქტი, რომ მსჯავრდებული მოქმედებდა მთავრობის განკარგულებით ან უფროსის ბრძანებით, არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისგან, მაგრამ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სასჯელის შემამსუბუქებელი არგუმენტი, თუ, ტრიბუნალის აზრით, ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები“. საქართველოს სსკ-ის 404-ე მუხლი სუბიექტის სპეციალურ ნიშნებზე მითითებას არ აკეთებს.

„გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ“ კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, გენოციდი ითვლება დანაშაულად, მიუხედავად იმისა, მშვიდობიანობის დროსაა ჩადენილი თუ ომიანობის დროს.

ამრიგად, გენოციდის დანაშაულის შედგენილობისთვის არ არის აუცილებელი, დადგინდეს პირის ქმედების ურთიერთკავშირი სამხედრო მოქმედებათა განხორციელებასთან.

თუ აგრესიული ომის დაგეგმვის, მომზადების, გაჩაღებისა და წარმოების დროს ხორციელდება მოსახლეობის ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან/და სხვა რაიმე ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის (მაგალითად, აგრესის დაქვემდებარებული სახელმწიფი-

¹ Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Особенная часть / Под ред. Ю.И. Скуратова, В.М. Лебедева. – М., 1996. – 560 с.

² Уголовное право. Особенная часть. Т.2 / Под ред. Л.Д. Гаухмана, С.В. Максимова. – М., 1999. – 489 с.

ფოს მცხოვრებლების) მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობისკენ მიმართული ქმედებები, ჩადენილი ქმედება, ჩვენი აზრით, უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 404-ე და 407-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ერთობლიობით.

გენოციდს მსგავსი ნიშნები აქვს საქართველოს სსკ-ის 411-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან (საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრას დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტის დროს). აღნიშნული დანაშაულის უმუალო ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფს საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერ შესრულებას შეიარაღებული კონფლიქტებისას საბრძოლო მოქმედებების საშუალებებისა და მეთოდების გამოყენების ნაწილში, რომელთა მიზანი შეიარაღებული კონფლიქტების მაქსიმალური ჰუმანიზაციაა. საქართველოს სსკ-ის 411-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შედგენილობა შემდეგი სახის აღტერნატიულ მოქმედებებში გამოიხატება:

- სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სამოქალაქო პირებზე თავდასხმა;
- სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სამოქალაქო ობიექტებზე განურჩეველი თავდასხმა, როცა ცნობილია, რომ ეს გამოიწვევს მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში ან დააზიანებს სამოქალაქო ობიექტებს;
- მომეტებული საშიშროების შემცველ ნაგებობაზე ან დანადგარზე თავდასხმა, როცა ცნობილია, რომ ეს გამოიწვევს მსხვერპლს სამოქალაქო მოსახლეობაში ან დააზიანებს სამოქალაქო ობიექტებს;
- დაუცველ ადგილზე ან დემილიტარიზებულ ზონაზე თავდასხმა;
- პირზე თავდასხმა, როცა ცნობილია, რომ მან შეწყვიტა საომარ მოქმედებაში მონაწილეობა;
- დოროებით ცეცხლის შეწყვეტის აღმნიშვნელი აღმის, სახელმწიფო დროშის, მოწინააღმდეგე მხარის, აგრეთვე გაეროს, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ან/და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით აღიარებული სხვა დაცვითი ნიშნის, ფორმის ან სიგნალის არასათანადოდ გამოყენება, რამაც გამოიწვია ადამიანთა სიკვდილი ან მძიმე ფიზიკური დაშავება;
- ოკუპანტი ქვეყნის მიერ თავისი სამოქალაქო მოსახლეობის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაყვანა ან/და ოკუპირებული ქვეყნის სამოქალაქო მოსახლეობის, ან სამოქალაქო პირების დეპორტაცია, ან სხვაგვარი არამართლზომიერი გასახლება ამ ტერიტორიის ფარგლებში ან მის გარეთ;
- სამხედრო ტყვეების ან სამოქალაქო პირების რეპატრიაციის უსაფუძვლოდ შეფერხება;
- აპართეიდზე ან რასობრივ დისკრიმინაციაზე დაფუძნებული სხვა არაპუმანური მოქმედება, რომელიც ადამიანის დირსებას ამცირებს;
- მოწინააღმდეგე მხარის საკუთრებაზე, მათ შორის, ისტორიულ ძეგლზე, ხელოვნების ნიმუშზე ან საკულტო ადგილზე, როგორც ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის ნაწილზე, თავდასხმა, რამაც გამოიწვია მისი განადგურება ან ხელში ჩაგდება და რაც სამხედრო აუცილებლობით არ იყო განპირობებული.

საქართველოს სსკის 411-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამბიმებს დამნაშავის პასუხისმგებლობას, თუ საერთაშორისო ან შიგასახელმწიფოებრივი კონფლიქტის დროს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა მიმართულია იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში ან არა აქვთ თავდაცვის საშუალებები, აგრეთვე, დაჭრილთა, ავადმყოფთა, სამედიცინო და სასულიერო პერსონალის, სანიტარიული ნაწილების, სანიტარიული სატრანსპორტო საშუალებების, სამხედრო ტკიბის, სამოქალაქო პირების, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან საომარი მოქმედების ზონაში მყოფი სამოქალაქო მოსახლეობის, დევნილების, აპარიდების, საომარი მოქმედების დროს დაცვით მოსარგებლე სხვა პირების წინააღმდეგ. აღნიშნული პირების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს განეკუთვნება:

- განზრას მკვლელობა;
- წამება ან სხვა არაჟუმანური მოპყრობა, სამედიცინო ექსპერიმენტის ჩათვლით;
- განზრას მძიმე ტანჯვის ან სერიოზული ტრავმის მიუწება, რაც საფრთხეს უქმნის პირის ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობას;
- მოწინააღმდეგ მხარის მოქალაქის, სამხედრო ტყვის ან დაცვით მოსარგებლე სხვა პირის იძულება იმსახუროს მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებში ან/და მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო მოქმედებაში, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ის ომის დაწყებამდე მეომარი მხარის სამსახურში;
- სასამართლოს მიერ საქმის მიუკერძოებლად წარმოების უფლების ჩამორთმევა სამხედრო ტკიბისათვის, მოწინააღმდეგ მხარის მოქალაქისათვის ან დაცვით მოსარგებლე სხვა პირისათვის;
- დაცვით მოსარგებლე პირის დეპორტაცია ან სხვაგვარი არამართლზომიერი გასახლება ან/და დაპატიმრება;
- მძევლად აყვანა;
- თვითნებური და ფართომასშტაბიანი ნგრევა ან ქონების მითვისება, რაც საომარი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული.

როგორც ვხედავთ, განსახილველ დანაშაულს გენოციდის შედგენილობის მსგავსი ცალკეული ნიშნები აქვს. კერძოდ, იგი, გენოციდის მსგავსად, შეიძლება მოიცავდეს განზრას მკვლელობას, წამებას ან სხვა არაჟუმანურ მოპყრობას, მძიმე ტანჯვის ან სერიოზული ტრავმის მიუწებას, ოკუპირებული ქვეყნის სამოქალაქო მოსახლეობის ან სამოქალაქო პირების დეპორტაციას, ან სხვაგვარ არამართლზომიერ გასახლებას ამ ტერიტორიის ფარგლებში, ან მის გარეთ და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად მსგავსებისა, აღნიშნული არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. საქართველოს სსკის 411-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შედგენილობის სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს ვითარება – შეიარაღებული კონფლიქტის არსებობა. გენოციდი დანაშაულად ითვლება, მიუხედავად იმისა, ჩადენილია ის მშვიდობიანობის თუ ომის დროს.¹ საქართველოს სსკის 411-ე მუხლი სუბიექტურ შედგენილობასთან მიმართებაში არ ითვალისწინებს და-

¹ გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ. 1948 წლის 09 დეკემბრის კონკრიტის პირველი მუხლი.

ნაშაულის სპეციალური მიზნისა და მოტივის არსებობას, მაშინ, როდესაც გენოციდისთვის დამახასიათებელი სპეციალური მიზანია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან/და რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანი, ან ნაწილობრივი მოსპობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ დანაშაულებში განსხვავებულია დაზარალებულთა წრეც: საქართველოს სსკ-ის 411-ე მუხლის დისპოზიციაში აღნიშნული ქმედებები შეიძლება მიმართულ იქნეს ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის მიმართ, მიუხედავად მათი ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური და ა.შ. კუთვნილებისა, მაშინ, როდესაც საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლის დისპოზიციაში აღნიშნული ქმედებები მიმართულია რომელიმე დემოგრაფიული ჯგუფის წევრთა მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ განსახილველ დანაშაულს ახლავს გენოციდის ნიშნები, ვიყიქრობთ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 407-ე და 411-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ერთობლიობით.

გენოციდი ასევე უნდა გავმიჯნოთ საქართველოს სსკ-ის 409-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისგან (ეკოციდი). განსახილველი დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო დანაშაულადაა აღიარებული. მისი უშუალო ობიექტია კაცობრიობის ეკოლოგიური უსაფრთხოება. საქართველოს სსკ-ში ეკოციდი განსაზღვრულია, როგორც ატმოსფეროს, მიწის, წყლის რესურსის მოწამვლა, ცხოველთა ან მცენარეთა სამყაროს მასობრივი განადგურება, ან/და სხვა ქმედება, რასაც შეუძლია ეკოლოგიური კატასტროფის გამოწვევა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში, როდესაც კაცობრიობამ ქიმიური, ბიოლოგიური და რადიაქტიური ნივთიერებების უზარმაზარი მარაგი დააგროვა, ეკოციდი განსაკუთრებით საშიშ საერთაშორისო დანაშაულად იქცა. ეკოლოგიური კატასტროფის შექარა საფრთხეს უქმნის კაცობრიობის არსებობას.

ეკოციდის ობიექტური შედეგნილობა რამდენიმე ალტერნატიულ ქმედებაში გამოიხატა:

– ატმოსფეროს, მიწის, წყლის რესურსის მოწამვლა გულისხმობს მათში ისეთი აქტიური აგენტების შეყვანას, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, აგრეთვე, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროზე. მოწამვლა შეიძლება განსხორციელდეს აღნიშნულ ობიექტებზე ქიმიური, ბიოლოგიური და რადიაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების გზით, რაც იწვევს მათი ფიზიკური და ქიმიური შედგენილობის ხელოვნურ ცვლილებას;

– ცხოველთა ან მცენარეთა სამყაროს მასობრივი განადგურება გულისხმობს მათი სახეობებისა თუ ფორმების ფიზიკურ მოსაობას. მასობრივ განადგურებაში იგულისხმება ფლორასა და ფაუნაზე ნებისმიერი ზემოქმედების შემთხვევები, რომელთა შედეგადაც იქმნება მათი განსაზღვრული ჯგუფის განადგურების საფრთხე.

– ეკოლოგიური კატასტროფის გამოწვევა გულისხმობს ისეთ ქმედებას, რომელსაც შეუძლია ბუნებაში ეკოლოგიური თანაფარდობის სერიოზული დარღვევის გამოწვევა. აღნიშნული, თავის მხრივ, იწვევს ცოცხალი ორგანიზმების სახეობითი შემადგენლობის მდგრადობის დარღვევას, მათ სრულ ან არსებით განადგურებას, ან მათი რაოდენობის შემცირებას, აგრეთვე ნივთიერებათა ბიოტოკური მიმოქცევისა და სხვა ბიოლოგიური პროცესების ცვლილებათა ციკლის დარღვევას.

სუბიექტური შედგენილობით ეკოციდი პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. პირი აცნობიერებს, რომ სჩადის ქმედებას, რომელსაც ეკოლოგიური კატასტროფის გამოწვევა შეუძლია და სურს ამ ქმედების ჩადენა.

აღნიშნულ დანაშაულს გარკვეულწილად აქვს მსგავსება საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან. გენოციდის ერთ-ერთი ფორმა დემოგრაფიული ჯგუფის წევრთათვის ცხოვრების მძიმე პირობების შექმნაა, რაც შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ბინადრობის ადგილის მოწამვლაში. გენოციდის დროს განხორციელებული ქმედებები განსხვავდება საქართველოს სსკ-ის 409-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისგან იმით, რომ ისინი მიმართულია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან/და რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობისკენ. ეკოციდის დროს კი ქმედებები, ზოგადად, ეკოლოგიური კატასტროფის გამოწვევის მიზნით ხორციელდება. ისინი არაა მიმართული მოსახლეობის რაიმე ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის წინააღმდეგ. ეკოციდი არღვევს კაცობრიობის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, გენოციდი კი არის დანაშაული, რომელიც არღვევს ცალკეული დემოგრაფიული ჯგუფის არსებობის უსაფრთხო პირობებს. ჩამოთვლილი პირობების არსებობისას ჩადენილი ქმედება, ჩვენი აზრით, უნდა დაკვალიფიცირდეს ასევე საქართველოს სსკ-ის 407-ე და 409-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ერთობლიობით.

გენოციდს მსგავსი ნიშნები აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 408-ე მუხლით გათვალისწინებულ ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან. განსახილველი დანაშაულის ობიექტია სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოება და მათი საყოველთაოდ აღიარებული უფლებები როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს. დანაშაულის ობიექტური შედენილობა ხორმის დისპოზიციაში საქმაოდ დეტალურადაა ჩამოყალიბებული: ქმედება, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, რაც გამოიხატა მკვლელობით, ადამიანთა მასობრივი განადგურებით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, დეპორტაციით, თავისუფლების უკანონო აღკვეთით, წამებით, გაუპატიურებით, სქესობრივ მორჩილებაში ყოლით, პროსტიტუციის იძულებით, იძულებითი ორსულობით, ძალადობითი სტერილიზაციით, პირთა ჯგუფის დევნით პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სქესობრივი ან სხვა ნიშნის საფუძველზე, აპართეიდითა და სხვა არაჰუმანური ქმედებით, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ ან/და ფიქირურ მდგომარეობას.

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული საერთაშორისო დანაშაულის ერთ-ერთი კატეგორიაა, რომელიც გამოიკვეთა ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებით და შემდგომ, განსაკუთრებით სეპარატიზმის თარეშის შედეგად სამოქალაქო მოსახლეობაში მრავალრიცხოვანი მსხვერპლის გამო; აუცილებელი გახდა ამ დანაშაულთა ცალკე კატეგორიად გამოყოფა იუგოსლავიისა და რუსეთის თაობაზე სამხედრო ტრიბუნალების წესდებისა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდებაში¹.

¹ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლი: ლექსიკონ-ცნობარი [ავტ.: ლ. ალექსიძე (რედ.), ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე და სხვ.]. თბ., 2005, გვ. 283.

როგორც ვხედავთ, განსახილველ დანაშაულს გენოციდის შედგენილობის მსგავსი ცალკეული ნიშნები აქვს. კერძოდ, ობიექტური შედგენილობით იგი გენოციდის მსგავსად შეიძლება გამოიხატოს განზრას მკვლელობაში, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, გაუპატიურებაში და ა.შ. მსგავსების მიუხედავად, აღნიშნული შედგენილობები ერთმანეთისაგან განსხვავდება. გენოციდის მსგავსად, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის დროს, თუმცა საქართველოს სსკ-ის 408-ე მუხლი სუბიექტურ შედგენილობასთან მიმართებაში ასევე არ ითვალისწინებს გენოციდის დანაშაულისათვის დამახასიათებელ სპეციალურ მიზანს – ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან/და რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიან ან ნაწილობრივ მოსპობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ დანაშაულებში განსხვავდება დაზარალებულთა წრეც: ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმის ფარგლებში საქართველოს სსკ-ის 408-ე მუხლის დისპოზიციაში აღნიშნული ქმედებები შეიძლება მიმართულ იქნეს სამოქალაქო მოსახლეობის ან პირების მიმართ, მიუხედავად მათი ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური და ა.შ. კუთვნილებისა, მაშინ, როდესაც საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლის დისპოზიციაში აღნიშნული ქმედებები მიმართულია რომელიმე დემოგრაფიული ჯგუფების წევრთა მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ განსახილველ დანაშაულს გენოციდის ნიშნები ახლავს, ვფიქრობთ, ქმედება ასევე უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 407-ე და 408-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ერთობლიობით.

გარდა ამისა, საქართველოს სსკ-ის 408-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შედგენილობა გამოიხატება აპართეიდითა და სხვა არაპუმანური ქმედებით. საერთაშორისო დონეზე აპართეიდის დანაშაული გათვალისწინებულია „აპართეიდის დანაშაულის აღკვეთისა და მისი დასჯის შესახებ“ 1973 წლის 30 ნოემბერის საერთაშორისო კონვენციის (ძალაშია 1976 წლის 18 ივლისიდან) მე-2 მუხლით (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის №1096 –I დადგენილებით)¹.

კონვენცია გვაძლევს აპართეიდის დანაშაულის ცნებას, რომელიც გულისხმობს აგრეთვე მის მსგავს რასობრივ სეგრეგაციისა და დისკრიმინაციის პოლიტიკასა და პრაქტიკას იმ სახით, როგორითაც იგი გამოიყენება აფრიკის სამხრეთ ნაწილში. ეს ნიშნავს შემდეგ არაადამიანურ აქტებს, რომელსაც სჩადიან ერთი რასობრივი ჯგუფის წევრები ადამიანთა სხვა რასობრივ ჯგუფებზე ბატონობის დამყარებისა და შენარჩუნების, ასევე მათი სისტემატიური ჩაგვრის მიზნით:

ა) რასობრივი ჯგუფის, ჯგუფების წევრის ან წევრთათვის სიცოცხლისა და პოროვნული თავისუფლების უფლებათა წართმევას:

- რასობრივი ჯგუფის ან ჯგუფების წევრთა მკვლელობის გზით;
- რასობრივი ჯგუფის ან ჯგუფების წევრებისათვის სხეულის სერიოზული დაზიანების ან გონებრივი აშლილობის, ან მათი თავისუფლებისა და ღირსების ხელყოფის, ან მათ მიმართ სასტიკი წამების, არაადამიანური, ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის გამოყენების გზით;

¹ „აპართეიდის დანაშაულის აღკვეთისა და მისი დასჯის შესახებ“ 1973 წლის 30 ნოემბერის საერთაშორისო კონვენცია.

– რასობრივი ჯგუფის ან ჯგუფების წევრთა თვითნებური დაპატიმრებისა და ციხეში უკანონოდ დაკავების გზით;

ბ) რასობრივი ჯგუფის ან ჯგუფებისათვის იმგარი საცხოვრებელი პირობების განზრას შექმნას, რომლებიც გათვლილია მის ან მათ სრულ, ან ნაწილობრივ ფიზიკურ მოსპობაზე;

გ) საკანონმდებლო ხასიათის და ყველა სხვა სახის ზომები, რომლებიც გათვლილია მისათვის, რომ წინააღმდეგობა შეუქმნას რასობრივ ჯგუფს ან ჯგუფებს ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ისეთი პირობების განზრას შექმნას, რომლებიც ხელს უშლის ასეთი ჯგუფის ან ჯგუფების სრულ განვითარებას, კერძოდ, რასობრივი ჯგუფის ან ჯგუფების წევრებისათვის ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ჩამორთმევას, შრომის უფლების, აღიარებული პროფესიული კავშირების შექმნის, განათლების მიღების, საკუთარი ქვეყნის დატოვებისა და დაბრუნების, მოქალაქეობის, თავისუფალი გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის შერჩვის, მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოხატვის, მშვიდობიანი შეკრებებისა და ასოციაციების ჩამოყალიბების უფლებების ჩათვლით;

დ) ყველა საკანონმდებლო ხასიათის ზომა, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის რასობრივი ნიშნით დაყოფისაკენ, მათ შორის იზოლირებული რეზერვაციების და გეგმების შექმნისა და სხვადასხვა რასობრივი ჯგუფის და ჯგუფების წევრებს შორის შერცელი ქორწინების აკრძალვისა და იმ მიწის საკუთრების ექსპროპრიაციის გზით, რომელიც კუთვნის რასობრივ ჯგუფს ან ჯგუფებს, ან მათ წევრებს.

ე) რასობრივი ჯგუფის ან ჯგუფების წევრების შრომის ექსპლუატაცია, მათ მიმართ იძულებითი შრომის გამოყენება;

ვ) აპართეიდის მოწინააღმდეგე ორგანიზაციებისა და პირების დევნა, მათი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა.

აღნიშნულს საფუძვლად დაედო 1966 წლის საერთაშორისო კონვენცია „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 16 აპრილის №1899-II დადგენილებით). კონვენციის მე4 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები „კანონით დასჯად ქმედებად აცხადებენ ისეთი იღების გავრცელებას, რომლებიც ემყარება რასობრივ უპირატესობასა და ზიზღს, რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარ წაქეზებას და ასევე ძალადობის აქტებს ან წაქეზებას ისეთი აქტებისაკენ, რომლებიც მიმართულია ნებისმიერი რასისა და კანის ფერის ან ეთნოკური წარმოშობის მქონე ჯგუფის წინააღმდეგ და ასევე ყოველგვარი დახმარების, მათ შორის ფინანსური დახმარების აღმოჩენას რასისტული ქმედებების მიზნით.“¹

ცალკეულ ავტორთა მიერ გამოთქმული მოსაზრების თანახმად, აპართეიდი არის გენოციდის კერძო გამოვლინება და ამიტომ მისი დამოუკიდებელი კრიმინალიზაცია საჭირო არ არის². ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში მართებულად უნდა მივიჩნიოთ ა. კიბალნიკისა და ი. სოლომონენკოს პოზიცია, რომ რასობრივი სეგრეგაცია და გენოციდის ობიექ-

¹ საერთაშორისო კონვენცია „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“.

² Лукашук И.И., Наумов А.В. Международное уголовное право. – М., 1999. 126 с.

ტურ შედგენილობაში შემავალი ქმედებები წარმოადგენს დანაშაულებრივი საქმიანობის სხვადასხვა გამოვლინებას. რასობრივი სეგრეგაციის პოლიტიკის განხორციელება სულაც არ ისახავს მიზნად რომელიმე დემოგრაფიული ერთიანობის მოსპობას. მეტიც, აპართეიდი გულისხმობს მხოლოდ ერთი დემოგრაფიული ჯგუფის – რასის უფლებებისა და ინტერესების შეღაესა; სხვა დემოგრაფიულ ჯგუფებზე კი (ერი, ეთნოსი, რელიგიური გაერთიანება) აპართეიდის ჩადენისას საუბარი საერთოდ არაა.¹

„აპართეიდის დანაშაულის აღკვეთისა და მისი დასჯის შესახებ საერთაშორისო კონვენციის მე-2 მუხლი, გენოციდისგან განსხვავებით, ითვალისწინებს პრინციპულად სხვა დანაშაულის მიზანს. აპართეიდის დანაშაული ხორციელდება ერთი რასობრივი ჯგუფის წევრების მიერ ადამიანთა სხვა რასობრივ ჯგუფზე ბატონობის დამყარებისა და შენარჩუნების, ასევე მათი ჩაგვრის მიზნით².

ამრიგად, გენოციდსა და აპართეიდს სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ნიშნები აქვს.

გარდა ამისა, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში გენოციდი და აპართეიდი განხილულია, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულები. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულებისთვის გათვალისწინებულია სხვადასხვა კონვენციით: 1973 წლის საერთაშორისო კონვენცია აპართეიდის დანაშაულის აღკვეთისა და მისი დასჯის შესახებ და 1948 წლის კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მე-7 მუხლის პირველი ნაწილის j ქვეპუნქტი აპართეიდს ასევე ითვალისწინებს დამოუკიდებელი დანაშაულის სახით³.

¹ Кибальник А.Г., Соломоненко И.Г. Преступления против мира и безопасности человечества. / Под. научн. ред. д-ра юр. наук, проф. А.В. Наумова, М., 2004. – 66 с.

² „აპართეიდის დანაშაულის აღკვეთისა და მისი დასჯის შესახებ“ 1973 წლის 30 ნოემბერის საერთაშორისო კონვენციის მე-2 მუხლი.

³ საერთაშორისო სისხლის სამართლი. საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და კონვენციების კრძალვი. თბ., 2009. გვ. 27.

გენოციდის გამიჯვნა კაცობრიობის ფინანსურებ
მიმართული სხვა დანაშაულისბან

გენოციდის დანაშაულის შედგენილობა გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის მე-14 კარით „დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ“. კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მოიცავს ისეთ დანაშაულთა შედგენილობებს, რომლებიც ხელყოფენ არა ცალკეულ პირთა ინტერესებს, არამედ მთელი ერების მშვიდობიან თანაარსებობასა და მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების უსაფრთხოებას. კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს შეუძლია აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენოს კაცობრიობის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის დედამიწაზე არსებობას. გენოციდის დანაშაული უდავოდ საერთაშორისო დანაშაულთა რიცხვს განეკუთვნება.

საქართველოს სსკ-ის 48-ე თავში „დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ“ ასახულია ქმედებები, სადაც მოცემულია გენოციდის მსგავსი დანაშაულის შედგენილობის ნიშნები. ასეთ დანაშაულთა რიცხვს განვაუთვნება: აგრესიული ომის მომზადება ან წარმოება (სსკ-ის 404-ე მუხლი), დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ (სსკ-ის 408-ე მუხლი), ეკოციდი (სსკ-ის 409-ე მუხლი), საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტის დროს (სსკ-ის 411-ე მუხლი).

სტატია ეძღვნება სწორედ გენოციდის დანაშაულის იმ ობიექტური და სუბიექტური ნიშნების დახასიათებას, რაც მიჯნავს მას მსგავს დანაშაულთა შედგენილობებისაგან.

გენოციდი სხვა მსგავსი დანაშაულისგან განსხვავდება შემდეგი ნიშნებით:

1. განსაკუთრებული უშუალო ობიექტი – საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან/და რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის არსებობის უსაფრთხო პირობებს;
2. მაფიოზ განსაზღვრული დაზარალებული – ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან/და რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის წარმომადგენლები.
3. ალტერნატიულად გათვალისწინებული მოქმედებების ერთობლიობა, რაც დანაშაულის ობიექტურ შედგენილობას შეადგენს.
4. დანაშაულის საგალდებულო მიზანი – ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ან/და რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობა.

ეს უგანასკნელი, ჩვენი აზრით, ყველაზე სპეციფიკური ნიშანია, რომელიც მხოლოდ დანაშაულის ამ შედგენილობისთვისაა დამახასიათებელი.

DIFFERENTIATION OF GENOCIDE FROM OTHER CRIMES, DIRECTED AGAINST MANKIND

There is considered the crime structure of genocide in Georgian Code of Criminal Law under the title 14, i.e. "The crime against humankind". The crime against the humankind implies such misconducts, that abuse not only interests of an individual, but the peaceful coexistence of all nations and safety of different groups of population. The crime against humankind can profoundly harm the existence of humankind or of its the greatest part on the earth. Genocide is regarded as an international crime.

The chapter 48th Georgian Code of Criminal Law reflects a number of activities, that bear some features of genocide. Such crimes include preparing and conducting an aggressive war (article 404), crime against humankind (article 408), ecocide (article 409), violation of international humanitarian norms on purpose while armed conflicts (article 411).

The above-mentioned article refers to characterizing objective and subjective features, which differ it from similar crimes.

Genocide is different from other similar crimes by following characteristics:

- the special proper object - public relations, that provide safe conditions of national, ethnic racial, religious or groups united on other features;
- the clearly defined victims - representatives of national, ethnic racial, religious or groups united on other features;
- the unity of alternative activities, which is the objective part of crime;
- the compulsory aim of crime - partial or full of groups united on national, ethnic racial, religious or on other features.

We consider the last one as the most specific feature, which is characteristic only to this part of the crime.

Константин Дохнадзе,
докторант права

РАЗГРАНИЧЕНИЕ ГЕНОЦИДА ОТ ДРУГИХ ПРЕСТУПЛЕНИЙ, НАПРАВЛЕННЫХ ПРОТИВ ЧЕЛОВЕЧЕСТВА

Состав преступления геноцида предусмотрен 14-й статьей УК Грузии «Преступление против человечества». Преступление, направленное против человечества, содержит такие составы преступления, которые посягают не только на интересы отдельных лиц, но и на мирное сосуществование целых народов и безопасность отдельных групп населения. Преступления, направленные против человечества, могут нанести непоправимый ущерб существованию человечества или его значительной части на земле. Преступление геноцида бесспорно относится к числу международных преступлений.

48-я глава Уголовного Кодекса Грузии отражает несколько видов деятельности, которые носят определенные признаки геноцида. Эти преступления включают в себя подготовку и ведение захватнической войны (статья 404), преступления против человечества (статья 408), экоцид (статья 409), преднамеренное нарушение норм международного гуманитарного права во время вооруженного конфликта (статья 411).

Настоящая статья посвящена характеристике тех объективных и субъективных признаков геноцида, которые разграничивают его от состава схожих преступлений.

Преступление геноцида отличается от других преступлений со схожим составом следующими признаками:

- особый непосредственный объект – общественные отношения, которые обеспечивают безопасные условия существования национальной, этнической, расовой, религиозной или другой группы, объединенной по какому-то иному признаку;
- четко определенный пострадавший – представители национальной, этнической, расовой, религиозной или другой группы, объединенной по какому-то иному признаку;
- совокупность альтернативно предусмотренных действий, что составляет объективный состав преступления;
- обязательная цель преступления – полное или частичное уничтожение какой-либо национальной, этнической, расовой, религиозной или другой группы, объединенной по какому-то иному признаку.

Последнее, по нашему мнению, представляет собой самый специфический признак, который характерен только для этого состава преступления.

**ნარკოტიკულ დანაშაულთა პროცესუალური პროცესუალური პროცესუალური
დონისძიებების სამართლებრივი უზრუნველყოფა**

ნარკომანია ადამიანთა სულიერი სატკივარია, ამიტომ საჭიროა ნარკოტიკულ დანაშაულთა პროცესუალური კომპლექსური დონისძიებების სამართლებრივი უზრუნველყოფა.

საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II ბრძანა: „ნარკომანია ჩვენი დიდი ტკივილია, რომელიც ერის სულიერ და დემოგრაფიულ გენოციდს იწვევს. ჩვენ არაერთხელ შევხებივართ ამ თემას და ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ ამ მიმართულებით პირველი რიგის ამოცანაა პრევენციული ნაბიჯების გადადგმა, ჩვენ ყველაზ ერთად უნდა შევქმნათ ნარკოტიკის მიმართ უარყოფითი განწყობა, უნდა დავანგრიოთ ცრუ სტერეოტიპი იმის შესახებ, თითქოს ნარკომანობა პრესტიულია“.

ნარკომანიასთან დაკავშირებულ პროცესუალური გათვალისწინებულია სხვადასხვა ჯგუფისა და კატეგორიის დანაშაულებრივი სპეციფიკა და დამნაშავეთა თავისებურებები. მას თავისი სპეციფიკა აქვს. თავისებურია იმ ადამიანთა ქცევები, რომლებიც ამ (ნარკოტიკებთან დაკავშირებულ) დანაშაულს სხადიან. საჭიროა კომპლექსური მიდგომა. ამ შემთხვევაში პროცესუალური ზემოქმედება გათვალისწინებულია არა მარტო დამნაშავე პირებზე, არამედ ნარკოტიზმისგან ამ და სხვა მოქალაქეთა დაცვაზე.

ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაულის პროცესუალური შემთხვევაში მასალა, რის გამო უნდა განხორციელდეს პროცესუალური ზემოქმედება, არაერთგვაროვანია და სხვადასხვა თავისებურებით ხასიათდება. პროცესუალური ობიექტის თავისებურება კი განსაზღვრავს ზემოქმედების სწორი ფორმებისა და მეთოდების შერჩევას. შესაბამისად, როდესაც ლაპარაკია კომპლექსურ დონისძიებებზე, იგულისხმება არა მარტო ზემოქმედების ისეთი ზოგადი ობიექტი, როგორიცაა ნარკომანიის საფუძველზე ჩადგნილი დანაშაულები, არამედ ის მიზეზები და გარემოებები, რომლებიც განაპირობებს საზოგადოებაში მათ გავრცელებას.

ნარკოტიკებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების განხილვა (ამ კატეგორიის საქმეების სასამართლო პრაქტიკა) გვიჩვენებს, რომ ამ მიმართულებით პროცესუალური მუშაობა ქვეყანაში საკმაოდ არასათანადო დონეზეა.

პროცესუალური ზემოქმედების კონკრეტული ობიექტები არიან ზრდასრული ადამიანები და არასრულწლოვანი ქალები და მამაკაცები, რეციდივისტები და ადრე სამართალში არყოფი უსაქმურები, მაწანწალები და ა.შ. პროცესუალური კომპლექსური მიზნის არსებულ განსხვავებას, ამიტომ აუცილებელია განსაზღვრული კლასიფიკაცია და ტიპოდოგია.¹

აღსანიშნავია, რომ პროცესუალური ზემოქმედების ობიექტთა დაკონკრეტებას უკავშირდება საკითხი პროცესუალური კის მიზნით. ეს მიზანი კონკრეტული პროცესუალური კის მიმართ ხორციელდება პროცესუალური მიმართებაში, რადგან დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, თუ რომელი კატეგორიის პირთა მიმართ ხორციელდება პროცესუალური კის, არამედ იმაზე, თუ ვინ ახორციელებს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავს იჩენს პროცესუალური კომპლექსურობის და კომპლექსურ დონისძიებათა პრობლემა. პროცესუალური კის მიზნის ხორცი-

¹ ქ. ჯანაშია. XXI საუკუნის გამოწვევა. თბ., 2002, გვ. 464.

შესხმა სწორედ კომპლექსური ზემოქმედების განხორციელებაა. ეს უშუალოდ ეხება ნარკომანიასთან დაკავშირებულ დანაშაულებსაც.

კონკრეტული დანაშაულის მიზეზი გულისხმობს იმ მოვლენებსა და პროცესებს, რომლებმაც მოცემულ პირს ჩადენინა განხრას დანაშაული ან გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩადენამდე მიიყვანა. ძალზე რთული და მრავალმხრივია ის მიზეზები, რომლებიც წარმოშობს დანაშაულობას და ყოველ ცალკეულ დანაშაულს. იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს ნარკოტიკულ დანაშაულთან, მაშინ ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონოდ დამზადების, წარმოების, შეძენის, შენახვის, გადაგზავნის, გადატანის (მათ შორის, გასაღების მიზნით) მიზეზებისა და პირობებისგან უნდა გამოიყოს:

- მაგნე გარემოში ფორმირების შედეგად პიროვნების ანტისაზოგადოებრივი ხასიათის ჩამოყალიბება;
- ნარკომანიის არსებობა (სამედიცინო თვალსაზრისით);
- გარკვეული კატეგორიის ადამიანთა ნარკოტიკებისადმი პათოლოგიური მისწრაფება.

კანონმდებელი მკაცრ კონტროლს უწევსებს ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოებას, შენახვასა და გაცემას. აუცილებელია, სანიტარიულ-ჰიგიენური ცოდნის ფართო პროპაგანდა, ექიმთა მუდმივი ინფორმირება ახალ ნარკოტიკულ ნივთიერებათა შესახებ (რომელთა მიღება შეზვევას იწვევს); ისეთი ახალი ტკიფოლგამაყუჩებელი საშუალებათა აღმოჩენა, რომლებიც არ იწვევს მისებენ ავადყოფურ ლტოლვას. ყველაფერი ეს ხელს უწყობს პროფილაქტიკას და დანაშაულებრივი ქცევის აღკვეთას.¹

ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოების, შეძენის, შენახვის, გადატანისა და გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა გამოიყოს რამდენიმე ტიპური პირობა, რომელიც განაპირობებს როგორც დანაშაულის ჩადგნას, ასევე ნარკომანიასაც. მათგან ძირითადია:

პირველი – მოზარდი თაობის სწორ აღზრდაში დაშვებული შეცდომები. მათ ადრეულ ასაკშივე უნდა ჩამოუყალიბდეთ ქცევის სწორი სისტემა, ნარკოტიკული საშუალებებისა და ცსიქოტროპულ ნივთიერებათა მიმართ მყარი უარყოფითი განწყობა;

მეორე – ხარვეზები, რომლებიც ახასიათებს ნარკოტიკების წარმოების, ტრანსპორტირების, განაწილებისა და გამოყენების ორგანიზებულ სისტემას;

მესამე – ხარვეზები, რომლებიც შეიმჩნევა ნარკომანიასთან დაკავშირებულ დანაშაულთა აღკვეთის გამოძიების, გასამართლებისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში დამნაშავე ნარკომანთა გამოსწორების საქმეში;

მეოთხე – ხარვეზები ნარკომანიასთან ბრძოლისას ზოგადაღმპევთი სამუშაოების ჩატარებისა და ნარკომანთა მკურნალობის საქმეში (ნარკომანთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია).²

ასეთ დანაშაულთა თავიდან აცილებისას მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება ფარმაცევტულ საწარმოებსა და სამკურნალო დაწესებულებებში ნარკოტიკულ ნივთიერებათა გადამუშავების, შენახვის, გაცემისა და აღრიცხვის წესების მკაცრი დაცვა.

¹ ზ. ბეროზაშვილი. ნარკობიზნების ინდუსტრია. თბ., 2002, გვ. 28.

² ჯ. ჯანაშია. დასახ. ნაშრ., გვ. 466.

ნარკოტიკული დანაშაულის ადგვეთის ერთ-ერთი პირობაა მსჯავრდებულ ნარკომანთა აღმზრდელობითი და სამკურნალო სამუშაოთა ორგანიზაცია თავისუფლების ადგვეთის ადგილებში, მათვის შესაფერისი რეჟიმის უზრუნველყოფა.

თავისუფლების ადგვეთის ადგილებში ნარკოტიკულ ნივთიერებათა გასაღება და გა-მოყენება შეიძლება თავიდან ავიცილოთ სხვადასხვა დონისძიებით, რომელთაგან მთავარია:

– რეჟიმთან დაკავშირებული ღონისძიებები: მსჯავრდებულთა სახელზე გამოგზავნილი ამანათებისა და ბანდეროლების შემოწმება, პირადი ჩხრეკა ნათესავებთან პაქმნის შემდეგ; ყოველდღიური ჩხრეკა იმ პატიმრებისა, რომლებიც სამუშაო ადგილებიდან ბრუნდებიან; საპატიმრო ადგილებში შესული ყოველგვარი ტრანსპორტისა და ტვირთის დათვალიერება;

– აღმზრდელობითი ღონისძიებები: მსჯავრდებულთან საუბრები და ლექციები; თვითმოქმედი ორგანიზაციების ზემოქმედება; სამედიცინო ხასიათის ღონისძიებები; იმ მსჯავრდებულთა იძულებითი მგურნალობა, რომლებიც ავადმყოფურ მიღრეკილებას იჩენენ ნარკოტიკებისადმი და ამის აუცილებლობის აღნიშვნა სასამართლო გადაწყვეტილებაში.

პროფილაქტიკურ ღონისძიებებათა ძირითადი მიმართულებაა ნარკოტიკულ ნივთიერებათა მომხმარებელ პირთა გამოვლენა და აღრიცხვაზე აყვანა. სამართალდამცავი, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ორგანოების მუდმივი ურთიერთკავშირი ამ სამუშაოთა წარმატების გარანტიაა, მაგრამ აღნიშნულ ორგანოთა მუშაობაში შეიმჩნევა არსებითი ხასიათის ხარვეზები. როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, დღეს საქართველოში განსახველის სკამზე მოხვედრილ ნარკომანთა ნახევარი არ იყო აყვანილი შესაბამის აღრიცხვაზე ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებაში.

ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა გამოვლენა დაკავშირებულია ნარკომანის, როგორც დაავადების განვითარების პროცესის ცოდვასთან. მხედველობაშია მისაღები, რომ პროფილაქტიკური ღონისძიებები განსაზღვრული უნდა იყოს ნარკოტიკულ ნივთიერებათა გამოყენებისადმი შეჩვევის ხარისხის მიხედვით. მაგალითად, ქრონიკული ნარკომანები, პროფილაქტიკური თვალსაზრისით, მეტ საშიშროებას ქმნიან. ამ შემთხვევაში სამართალდამცავი და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა ურთიერთკავშირი ხორციელდება სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებსა და სპეციალიზებულ სასჯელთა აღმასრულებელი დაწესებულებების ბაზაზე. ასეთი პროფილაქტორიუმების მუშაობას განსაკუთრებული კონტროლი სჭირდება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება შინაგან საქმეთა ორგანოების პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა ტარდებოდეს განათლების, სპორტის, სელოფანის მუშაკებთან ერთად:

- ნარკომანის საჯაროდ დაგმობა პრესის, რადიოს, ტელევიზიის საშუალებით, რაც გამოიხატება ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის არსებული ოპერატორები მდგომარეობის სისტემური ინფორმირებით, მისი გამომწვევი პირობებისა და მიზეზების განხილვით, ანტინარკოტიკული კანონმდებლობის დარღვევათა გამოყენილი ფაქტების საქვეყნო გაკიცხვით და სხვ.
- მოსახლეობაში განმარტებითი მუშაობა. აქ უნდა აღინიშნოს ანტინარკოტიკული კანონმდებლობის დაცვის მნიშვნელობა, მისი დარღვევით გამოწვეული სამართლებრივი შედეგები, ნარკომანის საზოგადოებრივი საშიშროება და ისიც, თუ რამდენად საზიანოა იგი ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

- კომპლექსური გეგმების საფუძველზე შიგარაიონული, სარაიონთაშორისო, რეგიონალური და რესპუბლიკური ოპერატიულ-პროფილაქტიკური დონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობს შინაგან საქმეთა ორგანოების ყველა სამსახურის პირადი შემაღენლობა. ამ დონისძიებათა მიზანია ნარკოტიკული საშუალებების უპანონო გავრცელების არხებისა და გზების გამოვლენა, მათი ოპერატიური ხერხებით გადაფარვა და წყაროების ლიკვიდაცია, მათთან დაკავშირებული დანაშაულის აღკვეთა და თავიდან აცილება.

მოქმედი კანონმდებლობა, როგორც ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საფუძველი, აწესრიგებს პრაქტიკულად ყოველგვარ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც წარმოიქმნება ნარკოტიკებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ქმედებათა გამო.

იმისათვის, რომ სამართლებრივი ზემოქმედება მაქსიმალურად ეფექტური იყოს, აუცილებელია გავითვალისწინოთ ნარკოტიკებთან დაკავშირებული, უკანონო ქმედების ჩამდებინი პირის სოციალური საშიშროების ხარისხი. აღნიშნული კრიტერიუმიდან გამომდინარე, ისინი პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

პირველი: ნარკომანები და ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მომხმარებლები, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს არ უქმნიან საზოგადოებას ან პირები, რომლებიც ნარკოტიკებთან დაკავშირებული სამართალდარღვევების გზას დაადგნენ პირადი მოხმარების მიზნით.

მეორე: ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის მონაწილე – საზოგადოებისათვის საშიში დამნაშავეები.

პირველ და მეორე ჯგუფს შორის ზღვარი პირობითია, რადგან როგორც ნარკომანები, ასევე ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში ჩართული მომხმარებლები უმეტესად დანაშაულს სხადიან ნარკოტიკული საშუალებების ხელში ჩასაგდებად, შემდგომში მათი გასაღების ან პირადი მოხმარების მიზნით:

- ნარკომანიით დაავადებულ და ნარკომანიის ნიადაგზე საზოგადოებრივი წესრიგის სისტემატურად დამრღვევ პირთა იძულებითი მკურნალობისათვის გაგზავნა შრომით პროფილაქტორიუმებში (სშპ) ან სხვა ტიპის დაწესებულებებში.
- ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში, ასევე ორგანოთა მოთხოვნის საფუძველზე, იმ პირთა მიყვანა, რომლებიც ნარკომანიით არიან დაავადებულნი და თავს არიდებენ მკურნალობას.¹
- იმ პირთა დაკავება და სპეციალურ დაწესებულებებში გაგზავნა, რომლებიც თავს არიდებენ იძულებითი ხასიათის სამედიცინო დონისძიებებს.
- დადგენილი წესით, ნარკოტიკულ ნივთიერებათა არსებობის დადგენა იმ პირთა ორგანიზმში, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან დანაშაულში ან აღმინისტრაციულ სამართალდარღვევაში. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ პირთა გაგზავნა ან გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებებში, თუ შემოწმების შედეგი აუცილებელია სამართალდარღვევის შესახებ ფაქტის დასადგენად ან უარსაყოფად, ან საქმის ობიექტური განხილვისათვის.

¹ 6. თოდუა, რ. გოგშელიძე. ნარკოტიკული დანაშაული. თბ., 2003, გვ. 8.

- ნარკოტიკული ნივთიერების ბოროტად მომხმარებელ პირთა ქმედების შეზღუდვა. ამ დონისძიებას სასამართლო იყენებს ოჯახის წევრების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პროფესიონალის, სამეურვეო ორგანოების განცხადების საფუძველზე, თუ ნარკოტიკების მომხმარებელი პირი თავის თავსა და ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს.
- მეურვეობის სარჩელის საფუძველზე სასამართლო უკანონოდ ცნობს ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების შედეგად შეზღუდული ქმედითობის მქონე პირის ნებისმიერ ქონებრივ გარიგებას.
- მშობლებისათვის მშობლის უფლებების ჩამორთმევა, თუ ისინი ნარკომანები არიან და თავიანთი ქმედებით აბრკოლებენ შვილის ნორმალურ აღზრდა-განვითარებას;
- სასამართლოს განკარგულება იმ პირთა გამოსახლებაზე, რომელთაც ჩამოერთვათ მშობლის უფლება, თუ შვილებთან მათი ერთობლივი ცხოვრება მიჩნეულია შეუძლებლად, ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების შედეგად.
- მშობლების ან მათი მოვალეობის შემსრულებლის გაფრთხილება ან ჯარიმის დაკისრება, თუ მათი არასრულწლოვანი შვილები ექიმისგან დაუნიშნავად ხმარობენ ნარკოტიკულ საშუალებებს.
- ჯარიმის დაკისრება, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენება, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი ადმინისტრაციული პატიმრობა ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე რაოდენობით უკანონო შენახვის ან შეძენისათვის, ასევე, არასამგლიცინო მიზნით მისი მოხმარებისათვის.
- ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება იმ პირთა მიმართ, რომლებსაც უკანონოდ მოჰყავთ ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარეები.
- ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მიწათმოსარგებლისთვის, რომელმაც არაფერი იღონა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი ველური მცენარეების გასანადგურებლად; ნარკოტიკულ ნივთიერებათა გადამუშავების შედეგად მიღებული წარმოების ნარჩენების გასანადგურებლად.
- მცირე რაოდენობით ნარკოტიკულ ნივთიერებათა ჩაბარება, როცა პიროვნებამ შეიძინა ან ინახავდა გასაღების მიზნის გარეშე, კანონით გარანტირებულია ასეთი მოქმედების სტიმულირება; ამ შემთხვევაში პიროვნება თავისუფლდება ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

შეორე ჯგუფის პირთა მიმართ სამართლებრივი პოლიტიკა ძირითადად უნდა განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი ზემოქმედებით. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების მაღალი ხარისხი აუცილებელს ხდის ამ პირთა იზოლაციას თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გამოყენებას, რაც საერთაშორისო მოქმედი კონვენციების ერთ-ერთი აღიარებული მთავარი პრინციპია.

სისხლისსამართლებრივ დონისძიებათა დიფერენცირება ხდება ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედების ხასიათის, დანაშაულის სიმძიმის, ასეთ დანაშაულთა სუბიექტების, ჩადენის მიზნებისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით.

საერთოდ, დამნაშავეობასთან ბრძოლის ერთ-ერთი მძღვანელი ინდივიდუალური პროფილაქტიკაა, რომლის უმნიშვნელოვანესი პრობლემა იმ პირთა წრის მეცნიერულად დასაბუთებული განსაზღვრაა, რომელთა მიმართ პროფილაქტიკა ტარდება და რომლის განხორციელება დასაშვებია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. დამნაშავის პიროვნების ტიპური მახასიათებლების ერთობლიობის განზოგადება, მისი ქმედება და წრე, რომელთანაც ის ჟილდოდა დაკავშირებული, ის კრიმინოლოგიური საფუძველია, რომელზეც პროფილაქტიკური ზემოქმედება ხორციელდება.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სფეროში ინდივიდუალური პროფილაქტიკა ხორციელდება იმ პირთა მიმართ, რომელთაც ნარკოტიკული სამართალდარღვევებისკენ აქვთ მიღრეკილება, ასევე ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამომყენებელთა მიმართ.

ინდივიდუალური პროფილაქტიკის ძირითადი ელემენტებია:

- ნარკოტიკებთან დაკავშირებულ სამართალდარღვევაში დასაბუთებულად ეჭვმიტანილი ან ნარკოტიკულ საშუალებათა არასამედიცინო მიზნებით მომხმარებელი და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი ან მოქალაქეთა სხვა უფლებების შემლახავი პირის გამოვლენა და აღრიცხვაზე აყვანა;
- მათ შემდგომ ქცევაზე კონტროლის განხორციელება;
- აღმზრდელობითი, სამედიცინო, სამართლებრივი და ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება იმ პირთა მიმართ, რომელთათვისაც განკუთვნილია პროფილაქტიკური სახის ღონისძიებები, რათა მათ ნებაყოფლობით ხელი აიღონ დანაშაულის ჩადენაზე;
- სამართალდარღვევათა ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა და აღმოფხვრა;
- იმ პირთა გამოვლენა, რომლებიც საჭიროებენ პროფილაქტიკურ ზემოქმედებას, რაც შინაგან საქმეთა ორგანოების ყველა სამსახურის თანამშრომელთა მოვალეობაა. ასეთი პირების გამოვლენა ხდება ყოველდღიური პროფილაქტიკური, ოპერატიულ-სამძებრო, აღმინისტრაციული და საგამოძიებო მუშაობის პროცესში. მათი გამოვლენა უნდა ხდებოდეს მიზანდასახულად და იყოს მაქსიმალურად დროული და სრული.

მოცემული კატეგორიის პირები, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდებიან:

- საპატიმრო ადგილებში, სასჯელის მომხდევლ და სასჯელმოხდილთა შორის და, უწინარესად, ნარკოტიკული დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა შორის;
- იმ პირთა შორის, რომლებსაც შეეფარდათ გამოსასწორებელი სამუშაოები, პირობითი სასჯელი ან თავისუფლების აღკვეთა სასჯელის აღსრულების გადავადებით;
- კანონდარღვევის ჩამდენ, მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ან სასჯელისგან გათავისუფლებულ პირთა შორის;
- მცირე რაოდენობით ნარკოტიკულ საშუალებათა შეძენის ან შენახვისათვის აღმინისტრაციული წესით დასჯილ, ან ნარკოტიკების შემცველი უკანონო ნათესების შენახვის, ან მოყვანისათვის აღმინისტრაციული წესით დასჯილ პირთა შორის;
- საპატიმრო ადგილებში ან სამკურნალო-შრომით პროფილაქტორიუმებში ნარკომანის მკურნალობის კურსის გამვლელ ან გავლილ პირთა შორის;

- ნარკოტიკების მოხმარებაზე ორიენტირებული არასრულწლოვნებისა და ყმაწვილების გაზრდილი რისკის ჯგუფიდან;
- იმათ შორის, რომლებიც უკანონო მკურნალობებს (ექიმბაშობებს) ან/და ეწევიან თვითმეურნალობას სახალხო მედიცინის ისეთი საშუალებებით, რომლებსაც ნარკოტიკების ზემოქმედების თვისებები აქვს;
- იმათ შორის, რომლებიც არიან ქიმფარმაცევტული საწარმოებისა და აფთიაქების მუშაკები ან მედპერსონალი და შემჩნეული არიან ნარკოტიკებთან უკანონო შეხებაში, რისთვისაც ასეთ პირთა შესახებ დროული ინფორმაციის მისაღებად საჭმიანი და მუდმივი კავშირები მყარდება აღნიშნულ დაწესებულებებთან;
- ნარკოტიკების დანაშაულისათვის მსჯავრდებული და ანალოგიური დანაშაულებრივი ქმედებისათვის თავისუფლებაში გაგრძელების მისწრაფების მქონე პირთა შორის;
- სასჯელთა აღმასრულებელ სისტემაში ნარკომანიისგან იძულებითი მკურნალობის კურსის გამვლელ და ნარკოტიკების უკანონო შეძენის მცდელობაში შემჩნეულ პირთა შორის;
- რაიონული (საქალაქო) ნარკოლოგიური სამსახურის და მისი ქვედანაყოფების თანამშრომელთა ინიციატივით გამოვლენილ იმ მოქალაქეთა შორის, რომლებმაც დაუშვეს ნარკოტიკების არასამედიცინო მოხმარება;
- სასწრაფო დახმარების, ტოქსიკოლოგიურ და ტრავმატოლოგიურ სადგურებსა და სარეანიმაციო პუნქტებში იმ პირთა შორის, რომლებიც შეიმჩნევიან ნარკოტიკების გაფლენის მდგრმარეობაში;
- ონკოლოგიურ დისანსერებსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში იმ ავადმყოფთა შორის, რომელთაც მკურნალი ექიმი ნარკოტიკებს უნიშნავს შინ მისაღებად, რაც არ გამორიცხავს მოცემული სამკურნალო საშუალებების სხვა პირთა მიერ არასამედიცინო მიზნით მოხმარებას ან სხვა მოქალაქეთა რიცხვიდან, რომელთაც შეუძლიათ მიიღონ ნარკოტიკები გარკვეული საზღაურის თუ საჩუქრის სანაცვლოდ;
- სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სამედიცინო შემოწმებისას გამოვლენილი წევეგადელი ასაკის ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის; მოსახლეობის სისტემური დისპანსერიზაციით მოქალაქეთა იმ ნაწილში, რომლებმაც არაერთგზის ითხოვეს ნარკოტიკები ზემოქმედების პრეპარატების დანიშვნა;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფექციონური სასწავლებლების, ტექნიკურების, უმაღლესი სასწავლებლების, განათლების სისტემის კერძო სტრუქტურების მედპუნქტებში იმ პირთა შორის, რომლებიც აყვანილი არიან აღრიცხვაზე ნარკოტიკების მოხმარების ან ნარკოტიკებთან დაკავშირებული სამართალდარღვევების გამო;
- სამხედრო კომისარიატებში იმ პირთა შორის, რომლებიც არ არიან გაწვეული შეიარაღებულ ძალებში ნარკოტიკების არასამედ მოხმარების გამო;
- სხვადასხვა სამართალდამცველ ორგანოებში, რომლებიც თავიანთი საქმიანობისას ინფორმაციებს დებულობენ ნარკოტიკების საშუალებათა მომხმარებელ პირებზე.

პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე აყვანის საფუძველია:

- პირის მიერ ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული სამართალდარღვევა, რისთვისაც მოიხადა სასჯელი და მისი შემდგომი მოქმედება მოწმობს შესაძლო რეციდივს;
- პირისაზოგადოებრივი ქმედება, რომელიც მიუთითებს ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ სამართალსაწინააღმდეგო საქციელზე;
- პირები, რომლებიც ბოროტად იყენებენ ნარკოტიკულ საშუალებებს, არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს ან სხვა მოქალაქეთა უფლებებს; ისინი აუცილებლად აჰყავთ აღრიცხვაზე, უპირველესად, ნარკოტიკების შეძენის წყაროებისა და არხების დადგენის მიზნით.

ასეთ პირთა შესახებ ინფორმაცია უნდა შედგეს და პატაგის სახით მოხსენდეს საქალაქო, რაიონულ შინაგან საქმეთა დანაყოფის უფროსს, შემდგომში შესაბამის სამსახურებთან ერთად შესატყვისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით:

- პროფილაქტიკას დაქვემდებარებული მუშაობისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს მათი დადებითი და უარყოფითი პიროვნული თვისებები, ხასიათი და ჩადენილი სამართალდარღვევების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი. ამასთან, დარწმუნების მეთოდები უნდა შეერწყას სამართლებრივ, აღმზრდელობით და სამედიცინო ხასიათის ზემოქმედებას და განხორციელდეს ზუსტად კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური მუშაობა აგრეთვე ითვალისწინებს:

- ოჯახში, ყოფასა და სამსახურში აღნიშნული პირების ქცევასა და ცხოვრების წესზე დაკვირვებას; სამართალდარღვევებზე რეაგირებას;
- იმ პირთა მიმართ ზომების მიღებას, რომლებიც პროვოცირებას უწევენ პროფილაქტიკური მუშაობის გავლენის ქვეშ მყოფ პირებს ნარკოტიკების მოხმარებასა და სამართალდარღვევების ჩადენაზე.

პირს, რომელმაც პროფილაქტიკური დახმარება გაიარა, აღმოუჩენენ სათანადო დახმარებას:

- შრომით მოწყობაში (სასწავლებელში მიღებაში), ახალ შრომით (სასწავლო) კოლექტივთან ადაპტაციაში;
- ოჯახურ-ყოფითი ურთიერთობის მოწესრიგებაში;
- ნარკომანიის ან ტოქსიკომანიის ნებაყოფლობითი მკურნალობის კურსის გავლაში;
- სამსახურში წრის გამოცვლაში;
- სოციალურად სასარგებლო შრომაში და ა.შ.¹

აღრიცხვაზე მყოფი პირის მიერ ნარკოტიკებთან დაკავშირებული სამართალდარღვევების ჩადენის შესახებ შეტყობინება და რეაგირება დროული და ადეკვატური უნდა იყოს.

იმ პირთა მიმართ, რომლებიც დასაბუთებულად არიან ბრალდებულნი დანაშაულის ჩადენაში, ოპერატიულ-სამძებრო კანონმდებლობის შესაბამისად, ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები (მათ შორის პროფილაქტიკური).

¹ ჯ. ჯანაშია. დასახ. ნაშრ., გვ. 473.

მიხეილ გუდავაძე,
სამართლის დოქტორანტი

**ნარკოტიკულ დანაშაულთა პროცესუალური პომავლების
ღონისძიებების სამართლებრივი უზრუნველყოფა**

ნარკომანიასთან დაკავშირებულ პროფილაქტიკაში გათვალისწინებულია დანაშაულობათა სხვადასხვა თავისებურება. მას თავისი სპეციფიკა აქვს. თავისებურია იმ ადამიანთა ქცევა, რომლებიც ამ დანაშაულს სჩადიან. აქ საჭიროა კომპლექსური მიღება. ამ შემთხვევაში პროფილაქტიკური ზემოქმედება გასათვალისწინებელია არა მარტო დამნაშავე პირებზე, არამედ ამ და სხვა მოქალაქეთა ნარკოტიზმისგან დაცვაზე.

Mikheil Gudavadze,
PHD student

**REALIZATON OF LEGAL COMPLEX ACTIONS
FOR PREVENTIVE MAINTENANCE OF NARCOCRIME**

There is considered specificity of different groups of crimes and property the guilty in preventive maintenance with narcotism. Acts of those persons, which commit a crime are original. Here the complex approach is necessary. In this case it is considered not only preventive influences on guilty, but also protection of this and other persons from narcotism

Михеил Гудавадзе,
докторант права

**ОСУЩЕСТВЛЕНИЕ ПРАВОВЫХ КОМПЛЕКСНЫХ МЕРОПРИЯТИЙ
ДЛЯ ПРОФИЛАКТИКИ НАРКОПРЕСТУПЛЕНИЙ**

В профилактике, связанной с наркоманией, учитываются специфика разных групп преступлений и свойства виновных. Своеобразны поступки тех личностей, которые совершают преступление. Здесь нужен комплексный подход. В этом случае учитываются не только профилактические воздействия на виновного, но и защита этой и других личностей от наркомании.

ნარკომანია – სამედიცინო და სოციალური პრობლემა

საქართველოს პატრიარქმა ბრძანა, რომ „ნარკომანია ჩვენი დიდი ტკიფილია, რომელიც ერის სულიერ და დემოგრაფიულ გენოციდს იწვევს. ჩვენ არაერთხელ შევხებივართ ამ თემას და ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ ამ მიმართულებით პირველი რიგის ამოცანაა პრევენციული ნაბიჯების გადადგმა, ჩვენ ყველამ ერთად უნდა შევქმნათ ნარკოტიკის მიმართ უარყოფითი განწყობა, უნდა დავანგრიოთ ცრუ სტერეოტიპი იმის შესახებ, თითქოს ნარკომანობა პრესტიულია“. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია

მუხლი 38. ნარკოლოგიური დახმარების ზოგადი პრინციპები:

1. სახელმწიფო აფინანსებს ნარკომანიით დაავადებული პირის გამოკვლევასა და ექს-პერტიზას, დიაგნოსტიკას, დისანსერიზაციას, მკურნალობასა და სარეაბილიტაციო დონისძიებების ჩატარებას „საქართველოს კანონი ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში.

2. ნარკომანიით დაავადებულ პირს ნარკოლოგიური დახმარება გაეწევა შესაბამისი დლიცენზის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში გაცხადებულად ან ანონიმურად, ნებაყოფლობით ან სავალდებულო წესით. არასრულწლოვან პაციენტებს ნარკოლოგიური დახმარება გაეწევა მშობლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის, ან საკუთარი სურვილით.

3. ნარკომანიით დაავადებული პირის მკურნალობა ნარკოტიკული საშუალებებით აკრძალულია, გარდა სასიცოცხლო ჩვენებისა, სტაციონარის პირობებში შესაბამისი სტანდარტის მიხედვით ნარკოტიკული დამოკიდებულების მოხსნის პერიოდისა, აგრეთვე ნარკომანიის ჩანაცვლებით სპეციალური პროგრამის განხორციელებისა.

4. ნარკომანიის ჩანაცვლებითი პროგრამით მკურნალობის მეთოდიკას განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შესაბამისი ნორმატიული აქტით.

5. ნარკომანიით დაავადებულ პირთა, მომხმარებელთა, აგრეთვე ფსიქოტროპული ნივთიერებისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერების მომხმარებელთა გამოკვლევისა და ექს-პერტიზის, დიაგნოსტიკის, დისანსერიზაციის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის წესებს განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შესაბამისი სტანდარტით.

6. გამოკვლევის, ექსპერტიზისა და დიაგნოსტიკის შემთხვევაში ნარკომანიით დაავადებულ პირზე ვრცელდება საქართველოს კანონი „ფსიქოაქტიური დახმარების შესახებ“.¹

მეტადონი სინთეზური, ხანგრძლივი მოქმედების ოპიოდური ნარკოტიკია (ჰეროინის ზემოქმედების ხანგრძლივობას სამჯერ აღემატება), ჰეროინსა და მორფინს ტკიფილგამაფუნქციების მოქმედების სიძლიერითაც აჭარბებს.

მეორე მსოფლიო ომის დროს მორფინის უქმარისობის გამო, გერმანელი ფარმაცევტების მიერ სინთეზირებულ იქნა მეტადონი. მართალია ქიმიურად იგი არც მორფინს და არც ჰერიონს არ ჰგავს, მაგრამ მსგავსი ზემოქმედების ძირითად ნაწილს ქმნის.

¹ ნ. თოდეუა, რ. გოგმელიძე. ნარკოტიკული დანაშაული. თბ., 2004.

1947 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში მეტადონი ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად გამოიყენებოდა „დოლოფინის“ სახელწოდებით.

როგორც აღვნიშნეთ, მეტადონის ზემოქმედება გაცილებით დიდხანს გრძელდება, ვიდრე სხვა ნარკოტიკებისა, რომელთა ფუძე მორფინია. მეტადონის ეფექტი შეიძლება გაგრძელდეს 12-დან 72 საათამდე, რაც საშუალებას იძლევა ნარკოტიკის მიღება შემოიფარგლოს დღე-დამეში ერთი დოზით.¹

მეტადონი შეიძლება ექიმის მიერ დაინიშნოს პერორალურად, რა დროსაც გამოხატულ ეიფორიულ ეფექტს არ ავლენს და ალბათ მეტადონის ამ თვისებამ მიიპყრო ნარკოლოგთა განსაკუთრებული ყურადღება, რათა პეროინისა და ოპიუმის ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპიის საშუალებად გამოიყენებულიყო. თუმცა, აღსანიშნავია ერთი გარმოებაც: მეტადონი, როგორც სხვა ოპიატები, ადამიანის ორგანიზმში საკმაოდ სწრაფად და მძიმე აბსტინენტური სინდრომით აყალიბებს ფსიქიკურ და ფიზიკურ დამოკიდებულებას.

ოპიატური ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპია პირველად ინგლისელი ექიმების ვინცენტ დოულისა და მარი ნისვანდერის მიერ იქნა შემოთავაზებული 60-იანი წლების შუალედში. ჩანაცვლებით თერაპიაში იგულისხმება, რომ ნარკომანებს დაეწიშნებათ „შემცვლელი საშუალება“, რათა აღარ განიცადონ აკრძალული ნარკოტიკის (მაგალითად, პეროინის) მოთხოვნილება. ნავარაუდებია, რომ ამ შემთხვევაში ისინი აღარ ჩაიდენენ ნარკოტიკების მოპოვებასთან დაკავშირებულ დანაშაულს, ნარკოტიკების ინგესიის გზით მოდების შემთხვევები დაიკლებს და რისკი პეპატიტების ან შიდსის ინფექციით დაავადებისა შემცირდება.

რამდენად ირონიულადაც არ უნდა ჟღერდეს, ფაქტია, რომ მეტადონი, რომელიც ნარკოტიკების უკანონოდ მოხმარების კონტროლისათვის გამოიყენება, საკმაოდ ხშირად თავად ხვდება შავ ბაზარზე.

მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის მრავალი ნაირსახეობა არსებობს. მათი მიზნობრივად დაყოფა ორ დიდ ჯგუფად შეიძლება:

„დაბალი მოთხოვნის“ პროგრამები – გამოირჩევა თერაპიის კურსის დაწყებისას პაციენტისადმი წაყენებული დაბალი მოთხოვნებით. უხეშად რომ ვთქვათ, მეტადონის მისადებად საკმარისია ნარკომანმა გამოთქავას პროგრამაში მონაწილეობის სურვილი, მიუხედავად იმისა, თუ დაავადების რა სტაჟი აქვს, როგორია მისი სოციალური სტატუსი და მოტივი. „დაბალი მოთხოვნის“ პროგრამები უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ინგესიის გზით შეაჩეროს გადამდები ინფექციების (პეპატიტი, შიდსი, სიფილისი და სხვა) გავრცელება.

„მაღალი მოთხოვნის“ პროგრამები – გამიზნულია ნარკომანთა კრიმინალური აქტივობის შესამცირებლად, რის გამოც მათში მონაწილეობის მისადებად შეირჩევიან სოციალურად დეზადაპრიებული ნარკომანები, რომლებიც არსებით საშიშროებას წარმოადგენენ კრიმინალურ ასპექტს, როგორც წესი, დაავადების დიდი ხნის სტაჟით და დაბალი სოციალური სტატუსით. აკრძალულია სხვა ნარკოტიკების მოხმარება და ხორციელდება მათი შესაძლო მიღების კონტროლი.

¹ ზ. ბეროზაშვილი. ნარკობიზნესის ინდუსტრია. თბ., 2002, გვ. 247.

ფორმალურად, ორივე ტიპის პროგრამის გატარებისას ექიმები პაციენტის ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისაგან განცურნებას და ეტაპობრივ რესოციალიზაციას ვარაუდობენ. პრაქტიკულად, ნარკომანები არ იკურნებიან დამოკიდებულებისაგან და, ხშირ შემთხვევაში, მეტადონის მიღებას უთავსებენ სხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს.

მაგალითად, ნალტრექსონისა და მეტადონის პროგრამების ეფექტურობის შედარებით შესწავლისას ქალაქ პერტში (ავსტრალია) აღმოჩნდა, რომ „დაბალი მოთხოვნის“ მეტადონური პროგრამით ავადმყოფები უგანონოდ მოიხმარდნენ:

72,7% ბენზოდიაზეპინებს;

56,8% ოპიატებს;

54,5% კანაფის პრეპარატებს;

9,1% ამფეტამინებს;

4,4% კოკაინს.¹

გასაგებია, რომ თერაპიის პროცესის ასეთი მიმდინარეობისას მეტადონის დანიშვნა ვერ იქნება გამართლებული, როგორც დანაშაულის აღკვეთის ან ინფექციის გავრცელების პროფილაქტიკის მექანიზმი.

სწორედ ამ და ბევრი სხვა მიზეზის გამო, მეტადონით ჩანაცვლებითი პროგრამების მიმართ მსოფლიოში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც მეტადონური პროგრამები ფართო მხარდაჭერით სარგებლობდა (მაგალითად, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში) მათი პოპულარობა კლებულობს.

ნარკომანია სერიოზული სამედიცინო და სოციალური პრობლემაა. ამჟამად საქართველოში ნარკომანთა დიდი ნაწილი ოპიატების ჯგუფის ნარკოტიკებზეა დამოკიდებული, რომლებიც ძირითადად ნარკომანების მიერ კუსტარულადად დამზადებული და ამიტომ მაღალტოქსიკური აცეტილინებული ოპიუმი ან პერიონი დომინირებს.

ნარკოტიკების უგანონოდ მოხმარების პრობლემა პირობითად პერსონალური და სოციალური მნიშვნელობისაა: მაღალი ხარჯები, შრომისუნარობა, ფულის კრიმინალურად მოპოვების აუცილებლობა, შიდსით ან პეპატიტებით დაავადების რისკი, ნარკოტიკებზე დამკიდებულება, მეგობრული კონტაქტების დაკარგვა და სხვ.

სოციალური მნიშვნელობისაა: ცხოვრების დონის კლება, შრომისუნარიანთა პროცენტის შეცირება, დანაშაულის ზრდა, საშიში ინფექციების გავრცელება, ნარკობიზნების ფორმირება, ნეგატიური სუბკულტურების წარმოჩენა, ყურადღების დაქვეითებით გამოწვეული უბედური შემთხვევები, ავტოავარიები, ხანძრები და სხვ.

გასაგებია, რომ ნარკომანის ცხოვრება არ არის ადვილი და უზრუნველი. არაფორმალური გამოკითვები ცხადყოფს, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა ოცნებობს თავი დააღწიოს დამოკიდებულებას და დაუბრუნდეს ნორმალურ ცხოვრებას, მაგრამ უპირველეს წინააღმდეგობად აბსტინენციისას ძლიერ ტკივილებს, განწყობილებისა და ძილის მოშლას ასახელებს.

ნარკოტიკების უგანონოდ მოხმარების პრობლემის გადასაწყვეტად დღეისათვის მსოფლიო პრაქტიკაში რამდენიმე პრინციპულად განსხვავებული მიღებაა, მათ შორის

¹ ზ. ბეროზაშვლი. დასახ. ნაშრ. გვ. 250.

ძალოვანი. ესაა საზოგადოებაში ნარკოტიკების შეღწევის შეჩერება და ნარკომანთა იძუ-ლებითი გამოძევება მათივე წრიდან.

იზოლაციის გამოყენების შემთხვევაში, ფსიქოლოგიური (აკრძალული ხილი გემრივ-ლია) და ობიექტური მიზეზების გამო (ნარკობიზნესის ძალის მობილიზაცია), შედეგი მოსახლეობის მიერ ნარკოტიკების მოხმარების ზრდა ან, უკეთეს შემთხვევაში, არსებული სიტუაციის შენარჩუნება იქნება თუ მხოლოდ ორი სიტყვით აღნიშნული „შეღწევის შეჩერება“. კომპლექსურად არ იქნა აღსრულებული და გაგებული, როგორც დღეს არის ერთი უწყების ერთი ბიუროს ხარჯზე.

მეტადონის დანიშვნა არ არის ნარკომანიისაგან განკურნების გზა. ოპიატურ ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულების შენარჩუნება გაურკვევებით ვადით ხდება, შესაძლებელია მთელი ცხოვრების მანძილზე, რაც მორალურ-ზნეობრივი ხასიათის სერიოზულ უქმაყოფილებას იწვევს.

არავითარი გარანტია არ არის და ვერც იქნება, რომ ნარკომანით დაავადებული მეტადონს არ გამოიყენებს სხვა ნარკოტიკებთან ერთად. ნარკომანის მიერ ასეთი დარღვევის შემთხვევაში, მეტადონური პროგრამიდან გარიცხვის ერთადერთი სანქციით, მუქარის შემდეგ ვთავაზობთ შემდეგს:

მეტადონის გამოყენება დაიშვება ისეთ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე მეთოდმა დადებითი შედეგი ვერ გამოიდო. ასეთ უკიდურეს შემთხვევაში მისაღებია მეტადონური პროგრამის შვედური ვარიანტი. ამ უგანასკნელის დროს გასათვალისწინებელია ის გარგმოება, რომ მეტადონური პროგრამის გამოყენება უნდა მოხდეს სახელმწიფოს მიერ და პროგრამა პაციენტის მიმართ მუდმივი უნდა იყოს. ყოვლად დაუშვებელია და უკუშედეგს მოგვცემს პროგრამის განხორციელება ხანმოკლე ექსპერიმენტის ან დროებითი დაფინანსების ხარჯზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში აქტიურად დაინერგა მეტადონით ჩანაცვლებითი ოერაპიის სახელმწიფო პროგრამა. გაიხსნა სამედიცინო ცენტრები თბილისში, ბათუმში, ფოთსა და სხვა ქალაქებში. პროგრამაში ჩართულია ნარკომანთა დიდი ნაწილი. ეს ჩვენ ქვეყანაში კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ნარკომანის პრევენციისათვის.

**მიხეილ გუდავაძე,
სამართლის დოქტორანტი**

**ნარკომანია – სამედიცინო და
სოციალური პრობლემა**

ნარკომანია სერიოზული სამედიცინო და სოციალური პრობლემაა. ამჟამად საქართველოში დანერგილია მეტადონით ჩანაცვლების სახელმწიფო პროგრამები, რომელშიც ჩართულია ნარკომანთა დიდი უმრავლესობა. ნარკომანია ადამიანთა სულის სატკივარია და საჭიროა მისი პრევენცია.

Mikheil Gudavadze,
PHD student

**NARCOMANIA – MEDICAL AND
SOCIAL PROBLEM**

Narcomania or drug addiction is a very serious medical and social problem. Now Georgian government is operating state methadone programs, which involve the majority of drug addicts. Drug addiction – is a kind of heart-ache and of course it must be prevented.

Михеил Гудавадзе,
докторант права

**НАРКОМАНИЯ – МЕДИЦИНСКАЯ И
СОЦИАЛЬНАЯ ПРОБЛЕМА**

Наркомания представляет собой серьёзную медицинскую и социальную проблему. Сейчас в Грузии действуют государственные метадоновые программы, в которых принимают участие большинство наркоманов. Наркомания – это душевная боль и, конечно же, её нужно предотвращать.

შემთხვევის აღზილის დათვალიერების მნიშვნელობა მკლელობის საშუალებელი

სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის დასაწყისში საქართველომ თავისი ახალი კონსტიტუციით გამოაცხადა, რომ “სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუგალ და ადამიანის უზენაეს ღირებულებებს” (მუხლი 7). პიროვნება, მისი უფლებები, თავისუფლებები და ინტერესები გამოცხადებულ იქნა უმაღლეს სოციალურ ღირებულებად. “სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას კანონი იცავს” (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 15).

საქართველოში, სადაც გაუქმებულია სიკვდილით დასჯა, სიცოცხლის უფლება ნიშნავს, რომ არც ერთ ადამიანს, როგორი მოქმედებაც არ უნდა ჩაიდინოს მან, არ შეიძლება წაერთვას სიცოცხლე სახელმწიფოს მიერაც კი. სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს არა მარტო უკრძალავს ადამიანის მოკვლას, არამედ ავალდებულებს აქტიურად დაიცვას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სიცოცხლის ეფექტური დაცვა. სისხლის სამართლის კანონის უკან დგას სახელმწიფო, რომელიც არა მარტო ქმნის ამ კანონს, არამედ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებში პრაქტიკულად ამოქმედებს. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორია.¹

მკვლელობა პიროვნების ხელმყოფ დანაშაულთა შორის განსაკუთრებით მძიმეა. მკვლელობა შედეგიანი დანაშაულია და მისი შედგენილობის აუცილებელ ელემენტს სხვა ადამიანის სიკვდილი წარმოადგენს, კი. მკვლელობა არის სხვა ადამიანის სიცოცხლის მართალსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად მოსპობა, რომელიც შეიძლება სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით იქნეს ჩადენილი.

მკვლელობის საქმეთა გახსნა და თავიდან აცილება სამართლდამცავი ორგანოების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ტექნიკური პროგრესის კვალობაზე, დამნაშავეები ირჩევენ მკვლელობათა ჩადენის დახვეწილ ხერხებს, რომელთა გამოვლენა და საქმეზე ფაქტობრივი გარემოების დადგენა გამომძიებლისაგან მოითხოვს მოვლი ძალების მობილიზებას, მა-დალ პროფესიულ მომზადებას, კრიმინალისტიკური მეცნიერების ახალი მიღწევების ცოდნას, მათ გამოყენებასა და პრაქტიკაში დანერგვას. მართალია, საქართველოში განზრას მკვლელობათა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ თითქმის ყოველი მეორე მაინც გაუხსნელი რჩება. მხოლოდ მკვლელობათა საქმეთა სწრაფი, სრული და ხარისხიანი გახსნით რეალიზებული იქნება პრინციპი „არც ერთი დამნაშავე დაუსჯელი არ უნდა დარჩეს“. ეს კი არსებითად ცვლის დღევანდებს სიტუაციას.

2005–2010 წლებში საქართველოში განზრას მკვლელობათა სტატისტიკა ასე გამოიყერება²:

¹ გ. ნაჭყებია. სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება. თბ., 2002 წ. გვ. 30.

² საქართველოს შსს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს მონაცემები.

დანაშაულის სახეობა	2005 წ.		2006 წ.		2007 წ.		2008 წ.		2009 წ.		2010 წ.	
	403		323		330		263		205		180	
	გამ. გამ.											
განზრას მკვლელობა	202	201	136	187	151	179	131	132	93	112	83	97
% მაჩვენებელი	50,1	49,9	42,1	57,9	45,8	542	49,8	50,2	45,4	54,6	46,1	53,9

როგორც ვხედავთ, სტატისტიკა გვიჩვენებს საქართველოში განზრას მკვლელობათა რიცხვის კლებას. 2010 წელს, 2005 წელთან შედარებით, განზრას მკვლელობათა რიცხვი 223 ერთეულით შემცირდა, მაგრამ 1704 განზრას მკვლელობიდან 796 (46,7%), ე.ი. თითქმის უკეთესი მეორე, განზრას მკვლელობა გაუხსნელია.

ქვეყანაში განზრას მკვლელობათა რიცხვი, როგორც წესი, ოფიციალური (რეგისტრირებული) მაჩვენებლებით ფასდება. განზრას მკვლელობა ისეთი დანაშაულია, რომ უკეთესი სისხლის სამართლის რეგისტრაციის ორბიტში ხდება.

გაუხსნელ მკვლელობათა რიცხვის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით შემუშავებული უნდა იქნეს კრიმინალისტიკური სტრატეგია. კრიმინალისტიკური სტრატეგია – არის ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების დაგეგმვისა და წარმართვის ხელოვნება.

მკვლელობის საქმეების გამოძიება ხელოვნება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, იწყება შემთხვევის ადგილის დათვალიერებით და მის წარმატებით ჩატარებაზე დამოკიდებულია გამოძიების შემდგომი შსვლელობა. შემთხვევის ადგილის დათვალიერება არის ნივთიერი დამამტკიცებული საბუთების მიღების ერთ-ერთი წყარო. შემთხვევის ადგილის დათვალიერებით მიიღება ისეთი მდიდარი ინფორმაცია, რომლის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს მკვლელობის მექანიზმი, წამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სახის საგამოძიებო ვერსიები, რომელთა შემოწმებით და შემთხვევის ადგილის დათვალიერებით პასუხი გაუცემა ისეთ კითხვებს, როგორიცაა: 1) რა გარემოებას ჰქონდა ადგილი: მკვლელობას, თვითმკვლელობას თუ უბედურ შემთხვევას? 2) ხად და როდის არის ჩადენილი მკვლელობა? 3) გვაძის აღმოჩენის ადგილზე არის თუ არა ჩადენილი აღნიშნული მკვლელობა? 4) ერთი თუ რამდენიმე პირის მიერ არის ჩადენილი მკვლელობა? 5) როგორი ხერხით არის ჩადენილი მკვლელობა? 6) ხაიდან მოვიდა ან ხაიდან შეაღწია მკვლელმა შემთხვევის ადგილზე? როგორ და რა მიმართულებით წავიდა იქიდა? 7) რამდენი ხანი დაკავებული მკვლელებმა შემთხვევის ადგილზე? 8) რა მოტივით იქნა ჩადენილი მკვლელობა? 9) ვინ არის მოკლელი? 10) რა ხახის კვალი შეიძლება დარჩეს დამნაშავის ხეჭულზე, ტანხაცმელზე, ვეხსაცმლზე, მკვლელობის იარაღსა და სატრანსპორტო საშუალებაზე? 11) ვინ ჩაიდინა მკვლელობა? და ხევა ხაკითხები.

მკვლელობის გამოძიება ნიშნავს, გამოვლინდეს მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი და დადგინდეს დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელიც წარმოებს სისხლის სამართლის პროცესუალური, ოპერატიკულ-სამძებრო საქმიანობისა და კრიმინალისტიკური სტრატეგიის მეშვეობით. მკვლელობის ხარისხიანი და წარმატებით გამოძიება, დამნაშავთა

შხილება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მარჯვედ, დროულად, ხარისხიანად და ორგანიზებულად იქნება ჩატარებული პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედება – შემთხვევის ადგილის დათვალიერება.

მკვლელობის ჩადენის ხერხები და საშუალებები მრავალგვარია, შესაბამისად თოთოეული შემთხვევა თავისი სპეციფიკურობით ერთმანეთისაგან განსხვავდება და, კრიმინალისტიკური სტრატეგიის თვალსაზრისით, მოითხოვს ინდივიდუალურ მიღგომას. შემთხვევის ადგილის არასრულყოფილად, უხარისხოდ დათვალიერება მდგომარეობას ართულებს, ვერ აღწევს მიზანს, შემდგომში კი, დროთა განმავლობაში, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას დაშვებული შეცდომების გამოსწორება საგრძნობლად მნელია ან შეუძლებელი, რადგან შემთხვევის ადგილის დათვალიერება მკვლელობის საქმეებზე არის პირველდაწყებითი, გადაუდებელი, შეუცვლელი და განუშეორებელი სახის საგამოძიებო მოქმედება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ხდება ნივთიერ მტკიცებულებათა დაძებნა, აღმოჩენა, ამოღება და ფიქსაცია, რომელთა დამახასიათებელი თვისებაა მათი შეუცვლელობა; ამიტომ, თუ ნივთიერი მტკიცებულება განადგურდა, დაიკარგა ან შეიცვალა პირვანდელი თვისებები, შეუძლებელია მისი შემცვლელი სხვა მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე საბუთების შედგენა; ასევე, კანონის დარღვევით მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულებები კარგავს მტკიცებულებით მნიშვნელობას და ამგვარი მტკიცებულების საფუძვლზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

მკვლელობის გაუხსნელ საქმეთა შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათი გაუხსნელობის უმთავრესი მიზეზი შემთხვევის ადგილის, იქ არსებული გვამისა (სხეულის ნაწილების) და კვალის არაჯეროვანი დათვალიერება, მათი ფიქსაცია და გამოკვლევაა. ზოგიერთ საქმეზე კი შემთხვევის ადგილის დათვალიერება საერთოდ არაა ჩატარებული და მხოლოდ ზოგადი სახის არაფრის მთქმელი ოქმია შედგენილი. დანაშაულის გაუხსნელობის მიზეზია ისიც, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ყურადღება არ ექცევა ისეთი ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა-გამოკვლევას, როგორიცაა მიკრობიერები და მათი მატარებელი საგნები, მაშინ, როცა უკვალო დანაშაული არ არსებობს. დათვალიერება კი ამგვარი კვლებისა და ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენისა და ამოღების საუკეთესო პროცესუალური საშუალებაა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება თვითმიზანი როდია. იგი უნდა წარმოებდეს სწორი თანამიმდევრობით, პროცესუალური, ეთიკურ-ზნეობრივი, კრიმინალისტიკური წესების დაცვითა და სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, დათვალიერებით მიღებული შედეგი რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ მიენიჭება, რაც პირდაპირაა ნათქვამი არა მარტო სისხლის სამართლის საპროცესო კანონში, არამედ საქართველოს კონსტიტუციაშიც. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად “კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებას იურიდიული ძალა აქვს”.

იურიდიული ბუნებით შემთხვევის ადგილის დათვალიერება ერთ-ერთი ძირითადი, გადაუდებელი და რთული საგამოძიებო მოქმედებაა, რომლის დროულად, მომზადებულად

და სრულყოფილად ჩატარებაზე ბევრადაა დამოკიდებული მომხდარი დანაშაულებრივი შემთხვევის – მკვლელობის – გამოძიების სწორი წარმართვა, მისი სწრაფი, სრული გახსნა და საქმეზე ფაქტობრივი გარემოების (ჭეშმარიტების) დაღგენა.

მკვლელობა პიროვნების ხელმყოფ დანაშაულთა შორის, რომელიც ჩადენის ხერხბით და საშუალებებით მრავალგვარია, ყველაზე მძიმე დანაშაულად ითვლება. მისი გამოძიება და საქმეზე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დაღგენა რთული და შრომატევადი საქმეა, რომელიც უშუალოდ შემთხვევის ადგილის დათვალიერებით იწყება. აღნიშნული პრობლემა აქტუალურია სხვადასხვა თვალსაზრისით:

პირველი – შემთხვევის ადგილი წარმოადგენს დაკვირვებისა და აღწერის პროცესს, ე.ი. კრიმინალისტიკური ობიექტების აქტიურ, მიზანმიმართულ აღქმას, მკვლელობის გახსნისა და გამოძიებისათვის მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და სინოეზს; შემთხვევის ადგილი გვამის ჩათვლით ინფორმაციის წყაროა. შემთხვევის ადგილის დათვალიერება მკვლელობის საქმეებზე საერთო, ზოგადი ტაქტიკური ხერხების გარდა, მოითხოვს, ჩადენის ხერხებისა და საშუალებების გათვალისწინებით, ინდივიდუალურ ტაქტიკურ ხერხებსა და მიღებომას. პრაქტიკაში შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ყველაზე მეტი შეცდომა სწორედ მკვლელობის საქმეებზე მოდის. მკვლელობის საქმეებზე პრაქტიკის ანალიზმა და ემპირიულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ხარისხი ძალიან დაბალია. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დაბალი დონე გამოსაძიებელ საქმეზე არასრულ ინფორმაციას გვაწვდის, რაც სწორი ვერსიის წამოყენებას აძნელებს, ეს კი ართულებს მკვლელობის საქმეების გახსნას; თუ არა დათვალიერების დროს დაშვბული შეცდომები, სხვადასხვა სახით შენიდბულ პირობებში ჩადენილი განზრახ მკვლელობათა საქმეების გაუხსნელობის რიცხვი საგრძნობლად შემცირდებოდა.

მეორე – მკვლელობის საქმეებზე შემთხვევის ადგილის დათვალიერება გადაუდებალი, პირველდაწყებითი საგამოძიებო მოქმედებაა, იგი შეუცვლელი და ნივთიერ მტკიცებულებათა მიღების ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა;

მესამე – შემთხვევის ადგილის დათვალიერება უნდა წარმოებდეს სწორი თანამიმდვკრობით, პროცესუალური და კრიმინალისტიკური წესების დაცვითა და სწორად შერჩეული კრიმინალისტიკური სტრატეგიით, სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ეთიკური ნორმების შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემთხვევის ადგილის დათვალიერებით მიღებულ შედეგებს იურიდიული (მტკიცებულებითი) ძალა არ ექნება; ამასთან, არსებითი დარღვევებით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია.

მეოთხე – მკვლელობის ჩადენის სხვადასხვა ხერხთან დაკავშირებულ დანაშაულთა შემთხვევის, ასევე გვამის აღმოჩენის ადგილზე შესაძლებელია მათოვის დამახასიათებელი ტიპური კვლებისა და ობიექტების დაძენა, აღმოჩენა და ამოღება. დათვალიერების პროცესში მხარე კვლების შესწავლით ადგენს მისი წარმოშობის მიზეზს, რადგან კვალის მიმდებ და კვალის წარმომშობ ობიექტებს შორის არსებობს რეალური ლოგიკური დამოკიდებულება. მომხდარ შემთხვევაზე ინფორმაციის მიღების ყველაზე უტყუარი და ეფექტური საშუალებაა შემთხვევის ვითარების გულმოდგინედ გამოკვლევა, ვინაიდან დანაშაულის ადგილზე გარდაუვალია კვალის არსებობა. მკვლელობის შედეგად ყოველთვის რჩება კვა-

ლი. მკვლელობის დროს ურთიერთმოქმედებს და ერთმანეთზე ზემოქმედებს ოთხი ელემენტი: მსხვერპლი, მკვლელობის ადგილი, მკვლელი და მკვლელობის საშუალებები, რის შედეგადაც იქმნება სპეციფიკურ კვალთა სურათი, რომელიც საშუალებას გვაძლებს ამ ოთხი ელემენტის კვალი ვეძებოთ სამ დანარჩენ ელემენტში. ამ მიზნით, საჭიროა მათი ლოკალიზაციის ადგილის ზუსტი განსაზღვრა, ე.ი. ცოდნა იმისა, თუ სად უნდა ვეძებოთ შემთხვევის ადგილზე ამა თუ იმ შემთხვევისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის კვალი ან ობიექტი, ამოღებისა და შემდგომი გამოკვლევის მიზნით.

შესული – ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მიხედვით, როცა:

ა. ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა (სსსკ, მუხლი 74. 2);

ბ. ბრალდებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად (სსსკ, მუხლი 74. 3);

გ. ბრალდებულის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით არ დასტურდება (სსსკ, მუხლი 74. 4);

დ. ბრალდებულის მიერ მოწმის სახით ჩვენების მიცემამდე დადებული ფიცი არ ხდებოდა მის უფლებას არ მისცეს მამხილებელი ჩვენება საკუთარი თავის ან ოჯახის წევრების წინააღმდეგ. ჩვენების მიცემაზე უარი არ შეიძლება შეფასდეს ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად (სსსკ, მუხლი 48. 7);

ე. დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს ადვოკატის აყვანის უფლება, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება არ დაიბრალოს დანაშაული, რომ ყველაფერი, რასაც იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული (სსსკ, მუხლი 38. 2);

ვ. ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და აყვანის უფლება, მას უძლევა გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისათვის. მისი ურთიერთობა ადვოკატთან კონფიდენციალურია (სსსკ, მუხლი 38. 5);

ზ. საქართველოს სისხლის სამართლის კანონით, ცრუ ჩვენების მიცემისათვის, ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ბრალდებული პასუხს არ აგებს;

თ. თუ მოწმის ჩვენებებში არსებითი წინააღმდეგობაა, მხარეს უფლება აქვს მოსამართლის წინაშე დააყენოს შეუძლებელობა ჩვენების (ჩვენებების) დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე (სსსკ, მუხლი 75. 2);

ი. მოწმეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამჟღვებს მას ან მის ახლო ნათესავს (სსსკ, მუხლი 49 დ);

კ. მოწმედ დაკითხვისა და საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება:

ადვოკატის – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ადგოკატს – რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე, გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწვ- გასთან დაკავშირებით;

სასულიერო პირს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად;

ბრალდებულის ახლო ნათესავს;

სახალხო დამცველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს;

საქართველოს პარლამენტის წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს;

ქურნალისტს – პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით;

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში (სსსკ, მუხლი 50. 1);

ლ. არ შეიძლება მოწმედ დაიკითხოს პირი, რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოება და მისცეს ჩვენება (სსსკ, მუხლი 50. 2).

ისეთ შემთხვევაში, როცა აზრობრივი მტკიცებულებები შესაძლებლობას არ იძლევა ალბათობის მაღალი ხარისხით დამტკიცდეს პირის მიერ დანაშაულის ჩადენა და ცნობილიქნებს ბრალდებულად, საქმის გამოძიებისას ფაქტობრივი გარემოების დადგენის მიზნით გადამწყვეტი მნიშვნელობა შემთხვევის აღგილის დათვალიერებასა და ამ დათვალიერებით მიღებულ ნივთიერ მტკიცებულებებს აქვს, რომლებიც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის ობიექტურ პირს პირის ბრალულობაში დაარწმუნებს.

დამართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში შემთხვევის გარემოებიდან კრიმინალისტიკური მნიშვნელობის მქონე ინფორმაციების მიღება უმნიშვნელოვანება ამოცანად რჩება. მტკიცებულებები მიღებული ამ საგამოძიებო მოქმედების შედეგად უფრო აქტუალური და მნიშვნელოვანი ხდება, რამეთუ ამით დამნაშავეთა მხრიდან მოწმეებსა და დაზარალებულებზე ზემოქმედება უარი თქვან ჩვენების მიცემაზე ან გადათქვან მიცემული ჩვენება, საგრძნობლად მცირდება.

ემპირიულმა კვლევამ, მკვლელობის სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლამ, გვიჩვენა შემთხვევის აღგილის დათვალიერების ჩატარების დაბალი დონის მიზეზები, კერძოდ: შემთხვევის აღგილზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებისას გამომძიებელთა ზერელე, არაკვალიფიციური დამოკიდებულება და არამიზანმიმართული საქმიანობა; შემთხვევის აღგილის დაუცველობა და დანაგვიანება; შემთხვევის აღგილზე მორიგე გამომძიებლის გასვლა და საქმეზე გამოძიების გაგრძელება სხვა გამომძიებლის მიერ; გამომძიებელთა ფსიქილოგიური მომზადების დაბალი დონე; შემთხვევის აღგილის დათვალიერებაში სპეციალისტთა ვიწრო წრის მონაწილეობა. მკვლელობის საქმეებზე საკმარისი არ არის მარტო ექსპერტ-კრიმინალისტისა და სამედიცინო ექსპერტის მონაწილეობა, არამედ აუცილებელია:

1. ექსპერტ-ბიოლოგის მონაწილეობა ბიოლოგიური წარმოშობის კვლებთან (სისხლი, ომა, ნერწყვი, ოფლი, ადამიანის გამონაყოფი და ა.შ.) მუშაობის მიზნით; ექსპერტ-ბალის-

ტიგოსის (ცეცხლსასროლი იარაღით მკვდელობის დროს), **ექსპერტ-პიროტექნიკოსის** (აფეთქებითი მკვდელობის დროს), **ექსპერტ-ქიმიკოსის** (მომწამვდელი ნივთიერების მოქმედებით გამოწვეული სიკვდილის დროს), **ექსპერტ-ტრასოლოგის** (საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის და ციფი იარაღით მკვდელობის დროს), **სახანძრო-ტექნიკური ექსპერტის** (ცეცხლის წაკიდებით მკვდელობის დროს), **ფოტოგრაფის**, **ვიდეოოპერატორის** მონაწილეობა და მათ მიერ აქტის შედგენა, რომელშიც აისახება კვალთა ფიქსაციის მეთოდები და საშუალებები, რაც ასახული არ არის დათვალიერების ოქმში და ეს აქტი უნდა იყოს დათვალიერების ოქმის განუყოფელი ნაწილი. ეს აქტი ექსპერტს დაეხმარება სწრაფად მონახოს კვლევის სწორი გზა. (აშშ გამომიების ფედერალური ბიუროს მტკიცებულებათა რეაგირების ჯგუფი დაკომპლექტებულია სწორედ სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებით, თითოეული ადგენს აქტს და გადასცემს გამომიებელს);

2. დათვალიერების ოქმის შედგენის ტექნიკისა და ფიქსაციის დამატებითი საშუალებების სრულყოფა.

ემპირიული კვლევის ანალიზმა გვიჩვენა, რომ დათვალიერების პროცესში უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს გამომიებლის პიროვნების პოტენციალი, მისი მიზანს წრაფულობა და შემოქმედებითი საქმიანობა. გამომიებელს მუშაობა რთულ პირობებში უხდება. უამრავი ინფორმაციის მიღება-დამუშავება, მათი ერთმანეთთან შეგავშირება, საქმისთვის მნიშვნელობის არმქონე ინფორმაციის უარყოფა, მკვდელობისას დაზარალებულთა ფსიქოლოგური მდგომარეობა და სხვა სტრესული თუ მოულოდნელი ფაქტორები გამომიებლის ინტელექტუალურ საქმიანობას მნიშვნელოვნად ამცირებს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება ფართო ინფორმაციას იძლევა ვერსიის აგებისათვის და განსაზღვრავს გამომიების შემდგომ მიმართულებას, ამიტომ იგი ითვლება ერთ-ერთ გადაუდებელ საგამომიებო მოქმედებად და, რაც მთავარია, მისი შეცვლა სხვა რომელიმე საგამომიებო მოქმედებით არ შეიძლება.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას მხარე პირადად და უშუალოდ აღიქვამს, აფიქსირებს და იყვლევს არსებული დანაშაულის კვალს, ნივთიერ მტკიცებულებას, შემთხვევის ვითარებასა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებს იმ მიზნით, რომ დაადგინოს დანაშაულის ჩადენის ნიშნები, მისი ჩამდენი პირი, დანაშაულის ჩადენის მექანიზმი, ააგოს სწორი ვერსიები და და დაადგინოს დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზები და პირობები. ყოველივე ეს ხელს უწყობს დანაშაულის სწრაფ გახსნას და საქმეზე ჰქონდების დადგენას¹.

დათვალიერების პროცესში მხარე ეცნობა ვითარებას, ექცევს, სწავლობს და აფასებს მატერიალურ თბიექტებს, მათ მოქმედებას, მდგომარეობას, ურთიერთგანლაგებას, ურთიერთკავშირს საგნებსა და მოვლენებს შორის, სხნის მათ წინააღმდეგობას.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ხერხები ყალიბდება არა მარტო სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ნორმების საფუძველზე, რომელიც არეგლამენტირებს მისი ჩატარების მსვლელობას, არამედ ლოგიკის კანონებითაც, რომლის ცოდნა საშუალებას გვაძლევს წარმატებით ჩატარდეს ეს საგამომიებო მოქმედება.²

¹ ა. ფალიაშვილი. შემთხვევის ადგილის დათვალიერება. თბილისი: სამართალი, №1-2, 1969წ, გვ. 24.

² Федоров Ю.Д. Логические аспекты осмотра места происшествия. Ташкент, 1987 г. Ст. 18.

ჭეშმარიტება მუდამ შეპირობებულია ობიექტური სინამდვილით, ეფუმნება მხოლოდ ობიექტურ ნიშან-თვისებებს. გამომძიებელი დათვალიერებისას აღიქვამს და მხედველობაში იდებს მხოლოდ სინამდვილის ობიექტურ ნიშან-თვისებებს. რაც უფრო მეტ ინფორმაციას დააგროვებს ამა თუ იმ საგნის ვთარების შესახებ, მით უფრო სრული იქნება მისი წარმოდგენა სინამდვილეზე და ამ გზით მიაღწევს კიდეც აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენას.¹

მკვლელობის ჩამდენ პირს თავისი მიზანი აქვს, ცდილობს მკვლელობის მომზადების, ჩადენისა და დაფარვის პროცესში მაქსიმალურად შენიდბოს მის მიერ ჩადენილი ქმედება და სხვადასხვა გზით თავი აარიდოს მართლმსაჯულებას; ამ პროცესში ის ცდილობს ერთგვარი წინააღმდეგობა გაუწიოს გამომძიებელს (დებულობს კვალიფიციურ კონსულტაციებს ადვოკატებისაგან). დამნაშავე გამომძიებლისაგან ყოველთვის ელოდება გადამწყვეტ მოქმედებებს და მასში ეძებს შეცდომებს, რათა შემდეგ ეს პირადი ინტერესებისთვის გამოიყნოს. აქვდან გამომდინარე, გამომძიებელი უნდა იყოს სტრატეგი, უნდა ფლობდეს გააზრებული მოქმედების თანამიმდევრულ სისტემას, რომელიც საგამოძიებო მოქმედებათა, უპირველესად შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარებისას შემუშავებული ოპტიმალური სტრატეგიით უზრუნველყოს გამოძიების წარმატებით, მაღალი ხარისხით ჩატარება და დამნაშავეთა მხილება უტყუარი მტკიცებულებებით.

თანამედროვე პირობებში გამოძიების ორგანოებს სჭირდება განახლებული რეკორდდაციები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს მკვლელობის საქმეზე შემთხვევის ადგილის დათვალიერება მაღალი ხარისხით აწარმოოს, რათა მკვლელობის ჩადენის სხვადასხვა ხერხთან დაკავშირებული შემთხვევისათვის დამახასიათებელი არც ერთი კვალი არ დარჩეს ფიქსაციისა და ამოღების გარეშე. სწორედ ასეთი საგამოძიებო მოქმედების უფასებურობის ამაღლების პრობლემები არსებით საკითხად რჩება.

გამოძიებისათვის სასურველი შედეგების მისაღწევად შემთხვევის ადგილის დათვალიერება უნდა ჩატარდეს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ორგანიზებულად, კრიმინალისტიკაში შემუშავებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით. აღნიშნულ მოთხოვნათა დაცვით ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერება დანაშაულის გახსნის საწინდარია. მკვლელობის ჯერვანი, სწრაფი და სრული გამოძიების წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელია სისხლის სამართლის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მაღალ დონეზე წარმოების, ამ დანაშაულის წინააღმდეგ პრძოლაში ფართო შეცნიერული საფუძვლების გამოყენების გარეშე. მკვლელობის საქმეებზე მტკიცებულებათა მოპოვების უმნიშვნელოვანესი წყარო კი შემთხვევის ადგილის დათვალიერებაა, რომლის ოპტიმიზაციის თემა ღრმა და ყოველმხრივი გამოკვლევის საგანია კრიმინალისტიკის ფუძემდებელ ჰანს გროსიდან დაწებული დღემდე.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოპტიმიზაციის მიზნით საჭიროა:

I. მეცნიერული კონცეფციებისა და ტექნოლოგიების განვითარების შესაბამისად შემთხვევის ადგილის დათვალიერების ეფექტურობის ამაღლება;

¹ ბ. ხარაზიშვილი. მტკიცებითი სამართალი. თხუ. 1982 წ. გვ. 15.

II. საგამოძიებო პრაქტიკის შემდგომი სრულყოფა (სასწავლო პროცესის სრულყოფა იურიდიულ სასწავლებლებში, იურიდიულ ფაკულტეტებზე თანამედროვე კრიმინალისტიკის კურსის სრული მოცულობით სწავლება);

III. თეორიული დებულებების შემუშავება, რომლის რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს, მკვლელობის ჩადენის სხვადასხვა ხერხისა და საშუალების მიუხედავად, მოხდეს შემთხვევის ადგილის დათვალიერების მეცნიერული, სისტემური და მოქნილი მეთოდიკისა და ტაქტიკის შემუშავება, ასევე შემთხვევის ადგილის დათვალიერება ჩატარდეს ისეთი თანამიმდევრობითა და საშუალებებით, რომ ადმოჩენილ, დაფიქსირებულ და ამოღებულ იქნეს მკვლელობის ადგილზე რეალურად არსებული ყველა კვალი და მოხდეს მათგან მიღებული შედეგების რეალიზაცია.

ამ მიზნის მისაღწევად დაყენებული უნდა იქნეს შემდეგი თეორიული და პრაქტიკული ამოცანები:

1. შემთხვევის ადგილის დათვალიერების როლის, მნიშვნელობისა და ამოცანების გაანალიზება, მკვლელობის გახსნა-გამოძიების ტექნიკურ-კრიმინალისტიკური უზრუნველყოფის დახვეწა და ამ საგამოძიებო მოქმედების ეფექტურობის ამაღლების მიმართულების განსაზღვრა;

2. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ტაქტიკური ხერხებისა და კომბინაციების სისტემის ფორმირება – მოსამზადებელი საკითხების გარკვევა-გადაწყვეტა შემთხვევის ადგილზე გასვლამდე და შემთხვევის ადგილზე მისვლისას დათვალიერების დაწყებამდე;

3. შემთხვევის ადგილის დათვალიერების სტატიკური და დინამიკური ტაქტიკის შესწავლა და ანალიზი;

4. შემთხვევის ადგილზე მუშაობის სრულყოფის მიზნით რეკომენდაციებისა და მიმართულებების შემუშავება, გამომძიებლის (მხარის) პროფესიონალური ხარისხის ამაღლება და მათი სრულყოფისათვის რეკომენდაციების შემუშავება;

5. სრულყოფილი ინფორმაციის გამომძიებლისათვის (მხარისათვის) შეთავაზება სხვა-დასხვა ხერხითა და საშუალებით ჩადენილი მკვლელობისთვის დამახასიათებელი დასაქებნ და ამოსაღებ კრიმინალისტიკურ ობიექტებზე, რათა მოხდეს მკვლელობის საქმეებზე შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას შეცდომების გამორიცხვა და ამის საფუძველზე შენიდბულ პირობებში ჩადენილი მკვლელობის გახსნა, დამნაშავეთა მხილება, დანაშაულის აღკვეთა და თავიდან აცილება.

ვახტანგ გაბედავა,
სამართლის დოქტორანტი

შემთხვევის ადგილის დათვალიერების მნიშვნელობა მკვლელობის საშუალები

ნაშრომში გადმოცემულია მკვლელობის საქმეებზე შემთხვევის ადგილის დათვალიერების მნიშვნელობა, მიზნები და ამოცანები.

შემთხვევის ადგილი არის ჩადენილ დანაშაულზე ინფორმაციის მიღების უველავე უზიგუარი და ეფექტური საშუალება. შემთხვევის ადგილზე ყოველთვის რჩება კვალი. მათი დაძებნისა და ფიქსაციის დროს შეცდომები უნდა გამოირიცხოს და ამოდებულ იქნეს რეალურად არსებული უველა სამხილი.

მეცნიერული კონცეფციებისა და ტექნოლოგიების განვითარების შესაბამისად შემთხვევის ადგილის დათვალიერების ეფექტურობის ამაღლება საშუალებას იძლევა გაიხსნას შენიდბულ პირობებში ჩადენილი მკვლელობები, მოხდეს დამნაშავეთა მხილება, დანაშაულის ადამიერთა და თავიდან აცილება.

Vakhtang Gabedava,
PHD student

IMPORTANCE OF INSPECTION OF ACCIDENT PLACE OF THE MURDER CASE

There is described in the profile of murder cases the meanings, goals and problems of inspection of accident place.

Committed a crime scene is the most reliable and effective means of obtaining information. The trace always remains on the place of accident. In search and the fixation of traces commit errors of the fact should be excluded and all evidence should be taken out.

In accordance of scientific concepts and technologies to improve the effectiveness of the place of accident given us an opportunity to open disguised in terms of murder, revealing of the criminals, crime suppression and prevention.

Габедава Вахтанг,
докторант права

ВАЖНОСТЬ ОСМОТРА МЕСТА ПРОИСШЕСТВИЯ ПО ДЕЛУ УБИЙСТВА

В соответствии с научными концепциями и развитием технологий, возрастание эффективности осмотра места происшествия дает возможность раскрыть убийства, совершенные в замаскированных условиях, осуществить разоблачение преступников, пресечение и избежание преступления.

**მართლმსაჯულება და კანონი აღმოჩენილობის ამინისტრაციის,
იორანი და დაცით გაბრატიონების შემოქმედებაში**

მართლმსაჯულება და კანონი სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მათ გარეშე ნორმალური სახელმწიფოს ფუნქციონირება შეუძლებელია. აღ. ამილახვარის აზრით, სახელმწიფოს მშენებლობისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის შიგა პოლიტიკას. სტაბილურობისა და სიმშვიდის შესანარჩუნებლად ქვეყანაში საჭიროა „სამოქალაქო კანონების დაწესება”. ავტორი, თავის ტრაქტატში „ბრძენი აღმოსავლეთისა”, გამოყოფს სამ მთავარ პრინციპს, რაც, მისი აზრით, აუცილებელია ყველა სამოქალაქო კანონის დაწესებისათვის. ეს პრინციპებია:

1. დროის შესაბამისობა;
2. ერის ზნე-ჩვეულებათა გათვალისწინება;
3. ქვეყნის ბუნებრივ პირობებთან შესამება.

ალექსანდრე ამილახვარმა ზუსტად იცოდა, რომ ქვეყნის პროგრესი, კეთილდღეობა, საზოგადოების ინტერესების, მათი კერძო საკუთრების დაცვა შეუძლებელია მკაცრი, მაგრამ სამართლიანი კანონების გარეშე. ამავე დროს ქვეყანაში არ არის ისეთი იდეალური კანონები, რომლებიც ერთნაირად მისაღები და სასარგებლო იქნება მთელი ერისათვის. აქედან გამომდინარე, ალექსანდრე ამილახვარს სავალდებულოდ მიაჩნდა ზემოთ აღნიშნული სამი პრინციპის გათვალისწინება. კარგად იცოდა, რა შეიძლება მოჰყოლოდა უვარგის, რეალური ბაზის არმქონე კანონებს, როგორ შეეძლო შეფოთისა და არეულობის გამოწვევა. ასეთი არეულობა შეიძლება მომხდარიყო არა მარტო იმ ქვეყანაში, სადაც მიიღეს ესა თუ ის კანონი, არამედ იმ ქვეყანაშიც, სადაც ბრმად გადმოიდეს.

ალექსანდრე ამილახვრის აზრით, პოლიტიკური ხელისუფლებისა და სახელმწიფოს სტაბილურობა ერისათვის სასურველი კანონების შემოღებასა და დამკვიდრებას უნდა ემყარებოდეს. ამას წინ უნდა უსწრებდეს დიდი სიფრთხილით და გულისხმიერებით გააზრებული საკანონმდებლო პროცესი, რათა არ მოხდეს უკვე მიღებული და მოქმედი კანონის ხშირი ცვლა.

ანალოგიური პრობლემაა დღესაც. საქართველოში დღეს საკმაოდ ბევრი კანონის კალკირება ხდება. რა თქმა უნდა, ეს კანონები საქართველოს რეალობას მორგებულია, მაგრამ ზოგჯერ მაინც კომიკურ სიტუაციაში ვარდება კანონშემოქმედი. ამის ძალიან კარგი მაგალითია 2006 წლის 14 ივლისს მიღებული საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ”, რომელიც თავიდან ბოლომდე იყო გადმოთავსებული, რომელშიც ბევრი შეხედი არ შეესაბამებოდა საქართველოში არსებულ რეალობას და, შესაბამისად, დიდი არეულობა გამოიწვია ამ სფეროში. ეს ყველაფერი გამომდინარეობდა იმ მარტივი მიზეზიდან, რომ კანონის შედგენისას მასში არ მონაწილეობდნენ ფსიქიატრიული მეცნიერების წარმომადგენლები. არსებულმა რეალობამ მოითხოვა, რომ მომხდარიყო ამ კანონის ხელმეორედ გადახედვა და ცვლილებების შეტანა.

ალექსანდრე ამილახვარის შეხედულებები კანონთან მიმართებაში დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ უპირველეს წინაპირობას წარმოადგენს.¹

დავით და ოოანე ბაგრატიონებისათვისაც სწორედ ისევე არის მისაღები ეს სამი პრინციპი, როგორც ალექსანდრე ამილახვარისათვის. აქ უფრო შორს წასვლაც შეიძლება. ოოანე და დავითი თვითონ არიან სამართლის წიგნის შემდგენელნი: ოოანე – სჯულდება, დავითი – სამართლი ბატონიშვილი დავითისა, სადაც სამართლის თითქმის ყველა დარგს ეხებიან და სასჯელის ფორმებიც აქვთ ჩამოყალიბებული. ოოანე და დავით ბაგრატიონები უყრდნობიან მოქმედ ქართულ სამართლს ანუ ვახტანგ VI სამართლს, მაგრამ ამავე დროს მიზნად ისახავენ მის შეცვლას ისეთი სამართლით, რომელიც განვითარებულ ქვეყანას შეეფერება.

ოოანე და დავით ბაგრატიონები თავის ცოდნას სამართლის განხრით პრაქტიკაშიც იყენებდნენ. საარქივო საბუთებში მრავლადაა მათ მიერ გარჩეული საქმეები. „ოოანეს თანამედროვენი ქართული სამართლის დიდ სპეციალისტად თვლიდნენ და მიმართავდნენ კიდეც სხვადასხვა კაზუსის გადასაჭრელად“.² ეს განპირობებული იყო იმით, რომ უფლისწულებს საკმაოდ კარგ განათლებას აძლევდნენ საერთოდ და, მათ შორის, იურისპრუდენციაშიც. ამავე დროს უფლისწულის მოვალეობაში შედიოდა მოსამართლის ფუნქციაც. ბატონიშვილების მიერ მოსამართლის ფუნქციების შეთავსება იმდროინდელი ქართული სინამდვილისათვის უცხო არ იყო. გვიანდულური ქართლის სახელმწიფოში სასამართლო ხელისუფლება მთლიანად არ იყო გამოყოფილი საკანონმდებლო, საეკლესიო თუ მმართველობის ფუნქციებისაგან. ამის დამადასტურებელია ის, რომ სასამართლო ფუნქციებს ახორციელებდნენ როგორც თანამდებობის პირები, სახელმწიფო ორგანოები თუ ეკლესია, ისე სპეციალური სასამართლო ორგანოები.³

პროფ. ივ. სურგულაძე სასამართლო ორგანოთა სტრუქტურას, რომელიც იხილავს სხვადასხვა კატეგორიის საქმეს, ასე წარმოგვიდგენს:

1. მეფე, როგორც მოსამართლე;
2. დარბაზი, როგორც სასამართლო ორგანო;
3. მდივანბეგი;
4. ხევისთავი;
5. მედიატორები, ბჭე, მოთემე;
6. საეკლესიო სასამართლო.⁴

პროფ. მ. კეკელიამ სპეციალურად შეისწავლა საქართველოს სასამართლო ორგანიზაცია და არ მოცემს რესეტოან შეერთების წინ. იგი სასამართლო ორგანიზაციის იგივე სტრუქტურას გვთავაზობს, მაგრამ დამატებით იხილავს ისეთ უწყებებს, როგორიცაა:

1. დედოფალი, როგორც მოსამართლე;
2. ბატონიშვილების სასამართლო ფუნქციები;
3. მოურავი, როგორც მოსამართლე;
4. მელქისა და მამასახლისის სასამართლო ფუნქციები;

¹ ლ. დარბაზე. ალექსანდრე ამილახვარის სამართლებრივი შეხედულებები. თბილისი, 2010. გვ. 189.

² ივ. სურგულაძე. სჯულდება. გვ. 79.

³ კ. მეტრეველი. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბილისი, 2002. გვ. 198.

⁴ ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბილისი, 1952. გვ. 303-361.

5. ქედხურა, როგორც მოსამართლე;

6. სასამართლო ფუნქციების მქონე არათანამდებობის პირები.¹

ამ ჩამონათვალში კარგად ჩანს ბატონიშვილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვალეობა – მოსამართლეობა. ამ რგოლის სასამართლო საქმიანობა პირველად პროფ. გ. კეპაძიამ შეისწავლა.²

ბატონიშვილები საქმეს იხილავდნენ როგორც პირადი ინიციატივით, ისე მეფისა და დედოფლის დავალებით ან მომზივანთა თხოვნის საფუძველზე.

ბატონიშვილები იხილავდნენ როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეებს. ისინი ცალ-ცალკე, ზოგჯერ ორივე ერთად იხილავდა საქმეს, ზოგჯერ მდივანბეგის სასამართლოში, ზოგჯერ კი საეკლესიო პირებთან ერთად. საარქივო მასალები ადასტურებს, რომ ბატონიშვილების სასამართლო ზოგჯერ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოდ გვევლინება. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ერეკლე II მიერ თავისი მემკვიდრეებისათვის სასამართლო ფუნქციების მინიჭება მიზნად ისახავდა ფეოდალთა იურისდიქციის დაქვემდებარებას.

პროფ. გ. ლობჟანიძე წერს, რომ ერეკლე II მეფობის პერიოდში მისი მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებიდან ყველა სრულწლოვანი ვაჟი, უფრო მოგვიანებით შვილიშვილებიც აქტიურად ერეოდნენ ქვეყნის საგარეო და საშინაო საქმეებში. სამწუხაროდ, ეს სამეფო კარსა და მთლიანად ქვეყნას სავალალო მდგრმარეობაში აყენებდა. თითოეული მათგანი გარკვეულ აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს ეპატრონებოდა და გამეფებაზე ოცნებობდა. მეფე კი პირიქით, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებაზე ფიქრობდა. მიუხედავად იმისა, რომ ბატონიშვილის სასამართლოს შესახებ დიდხანს იმუშავა პროფ. გ. კეპაძიამ, მათიც გაუძინებდა ბატონიშვილის, როგორც ცენტრალური, ე.ი. საჯარო, ხელისუფლების წარმომადგენლის, მემამულის სასამართლო საქმიანობის ერთმანეთოსაგან გამიჯვნა, მაგრამ საკმაო წარმოდგენა შეგვიქმნა ბატონიშვილის სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის შესახებ.³

რომ არა ტრაგიკული ხედრი, რაც აღექსანდრე ამილახვარს არგუნა უფალმა, ალბათ ისიც შეითავსებდა მოსამართლის ფუნქციებს. ფეოდალი სრულუფლებიანი მფლობელი იყო თავისი მამულისა და სასამართლო იურისდიქციაც პქონდა. ფეოდალის იურისდიქციის მოცულობა დამოკიდებული იყო სამეფო ხელისუფლების სიძლიერეზე. რაც უფრო ძლიერია სამეფო ხელისუფლება, მით უფრო სუსტია, შეზღუდულია ფეოდალის სასამართლო იურისდიქცია.

ფეოდალი თავის მამულში იხილავდა თავისივე ყმების თუ ხელქვეითების როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის საქმეებს. ფეოდალის სასამართლო იურისდიქცია კრცელდებოდა მხოლოდ მის საფეოდალოში, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ფეოდალი მეორე საფეოდალოს საქმეებსაც არჩევდა. მაგრამ ეს ხდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც მეფე ან მისი ოჯახის წევრი შესაბამის განკარგულებას გასცემდა და მოდავე მხარეები, თავიანთი მდგრმარეობით, იერარქიული კიბის შედარებით უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე საქმის გამრჩევი პირი. მებატონეს შეეძლო ისეთი საქმეც გაერჩია, სადაც ერთი მხარე საერო იყო, მეორე – სასულიერო. ასევე შეეძლო ქალაქების საქმეც განეხილა.

¹ გ. კეპაძიამ. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, I ტ. თბილისი, 1970. გვ. 112-258.

² იქვე. გვ. 121-126.

³ გ. ლობჟანიძე. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბილისი, 2001. გვ. 374.

ცალკეულ საფეოდალოში წესრიგის დამყარება განპირობებული იყო ფეოდალის ავტორიტეტისა და სამართლიანობაზე. ისე, როგორც მეფეს ეწადა, ჰქონდა ქვეყანაში წესრიგი, ასევე ცდილობდა ფეოდალი „აღეკვეთა ოვითნებობა“ სასამართლოში საქმეების გარჩევით. ზოგიერთ ფეოდალს „მართალი სამართლის“ გამტარებლის სახელი ჰქონდა და ხშირად მეფისა და მისი ოჯახის წევრებისაგან დებულობდა დავალებას გაერჩია მასზე დაბლა მდგომ მებატონეთა შორის დავის საქმეებიც. მებატონე მოსამართლეები განაჩენის გამოტანისას ყოველთვის იჩენდნენ სიფხიზე იმის გამო, რომ მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოო არ იყო და შეიძლება გასაჩივრებულიყო შემდგომ ინსტანციაში. განაჩენის შეცვლა ან გაუქმება სასურველი არ იყო არც ერთი მებატონისათვის, რადგან იგი მოქმედებდა მათ ავტორიტეტზე¹.

სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის გაზიარებული პროფ. ალ. ვაჩეიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს ფეოდალთა სასამართლოს იურისდიქციაში არ შედიოდა სისხლის სამართლის საქმეების განხილვა. მართალია, მსხვილი საქმეები ფეოდალის იურისდიქციაში არ შედიოდა და მას იხილავდა მეფის სასამართლო, მაგრამ გარკვეულ მონაწილეობას დებულობდა ფეოდალიც, კერძოდ ფეოდალის წარმომადგენელი ანუ იმ სადროშოს სარდალი, ვისი საქმეც იხილებოდა, ესწრებოდა სასამართლოს და გამოტქვამდა თავის მოსაზრებას არსებულ საქმესთან დაკავშირებით.²

სამივე განმანათლებლის შემოქმედებაში ხაზგასმით არის აღნიშნული მოსამართლის მოუსყიდველობა. ალექსანდრე ამილახვარმა თავის ტრაქტატში ჩამოაყალიბა ძალზე საინტერესო შეხედულებები სამართლიანი სასამართლოს შექმნისა და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებლობის შესახებ. იგი თვლიდა, რომ კვეყანაში იმხანად მოქმედი მართლმსაჯულების მექანიზმი, სასამართლო ხელისუფლების სისტემაში არაკათილისინდისიერი მოხელეები, მომზივანთა მიმართ მოსამართლეების უმოწყალო დამოკიდებულება, ერთმანეთის საპირისპირო კანონების არსებობა და სამართალწარმოების ნორმათა გაურკვევლობა დიდად აფერხებდა სასამართლო პროცესის მართვას, ხელს უშლიდა საზოგადოებაში სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას.³ ალექსანდრე ამილახვარი ეთანხმება და იზიარებს ვახტანგ VI სამართლებრივ შეხედულებებს სამართლიანი სასამართლოსა და მოსამართლეთა შესახებ. ვახტანგ VI თავის სამართლის წიგნში წერდა, რომ მოსამართლე უნდა იყოს „დიდად მჩხეაქლი, გამომძიებელი, გონება აუზქარებელი, დაწყნარებული, გამგონე საჩივრისა და სხვისაც მკითხველი, თუ ამის სამართალი თქვენგან როგორ ისინჯვის, მოწმისა მაძებარი უნდა იყოს, უქრთამო, დათის მოშიში“. სხვა შემთხვევაში იგი ვერ დაუგდებს ყურს მომჩინის საჩივარს, ვერ შესძლებს სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას და „უსამართლობა მოუა“⁴. ალექსანდრე ამილახვარი თავის ავტობიოგრაფიული ხასიათის პოლიტიკურ პარტნერებში „გეორგიანული ისტორია“ მოგვითხრობს იმ პერიოდის საქართველოში სამართალწარმოების შესახებ. კერძოდ, ქართველი განმანათლებელი აღნიშნავს, რომ „სამართლის წარმოება ყოველ პროცესიაში ადგილობრივი მფლობელების ხელშია; ხოლო, როცა ვინმე მათი უქმაყოფილოა, საერო მსაჯულებს უნდა

¹ გ. ლობჟანიძე. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბილისი, 2001. გვ. 381.

² ვ. მეტრეველი. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბილისი, 2002. გვ. 206.

³ ლ. დარბაიძე. ალექსანდრე ამილახვარის სამართლებრივი შეხედულებები. თბილისი, 2010. გვ. 197.

⁴ სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა. თბილისი, 1935, გვ. 57.

მიმართოს, რომელნიც სატახტო ქალაქ ტფილისში სხედან მეფესთან ერთად და სპარსულად მდივანბეგებად იწოდებიან”¹.

ქართველი განმანათლებლების შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სისხლისსამართლებრივ საკითხებს. ალექსანდრე ამილახვარი თავის ავტობიოგრაფიულ ნაშრომში აღწერს იმდროინდელ საქართველოში მოქმედ სისხლის სამართლის ძირითად საკითხებს და სასჯელის ფორმებს. „გეორგიანულ ისტორიაში” ავტორი აღწერს დანაშაულის ჩამდენი პირის დაპატიმრებისა და ქონების ჩამორთმევის პროცედურას. დაპატიმრებისას ბრალდებულის ქონებას აღწერდნენ შესაბამისი მოხელეები, რომელთაც საკუთრებაში რჩებოდათ ბრალდებულის ტანსაცმელი, თოფ-იარაღი და ცხენი, ხოლო დანარჩენი ქონება მეფის საპუთრება ხდებოდა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაშრომში სისხლის სამართლის პროცესის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ბრალდებულის დაკითხვა და დაპირისპირება. ბრალდებულის დაკითხვას წარმართავდა მეფე, როგორც უმაღლესი მსაჯული. ბრალდებული დაიკითხებოდა ზეპირად, რის შემდეგაც მას ჩამოართმევდნენ წერილობით ჩვენებას. ამილახვრის მიხედვით, დაკითხვის დროს აღიარებითი ჩვენების მიღება ხდებოდა „მოფერებით” და წამებით. აქვე აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ჰქონდა მიმდევარი და მიმდევარი გამოიყენებოდა დანაშაულის ჩამდენ პირთა ურთიერთდაპირისპირების მეთოდიც, რომელსაც მეფის დავალებით შესაბამისი მოხელეები აღასრულებდნენ.

ალექსანდრე ამილახვარის გადმოცემით, იმდროინდელ საქართველოში არსებობდა სასჯელის შემდეგი სახეები:

1. პატიმრობა ქონების კონფისკაციით;
2. შინაპატიმრობა;
3. ფეხის დიდი ძარღვის გადაჭრა;
4. ცხვირის მოჭრა;
5. დაწვა;
6. დამასახიჩრებელი სასჯელები.

„გეორგიანულ ისტორიაში” ასახულია აგრეთვე დანაშაულის ჩამდენი პირისათვის საბოლოო განაჩენის გამოცხადების წესი. იმდროინდელ საქართველოში, „სპარსთა ჩვეულების მიხედვით”, დამნაშავეს ორივე შხრიდან გვერდში უნდა ამოსდგომოდა ორი მოხელე, რომლებსაც მისთვის „ცერებზე უნდა მოეკიდათ” ხელი და შემდეგ უნდა გამოეცხადებინათ განაჩენი.²

იოანე და დავით ბაგრატიონები კარგად იცნობდნენ ქართული სამართლის ძეგლებს და ამ ძეგლებზე დაყრდნობით ქმნიდნენ კანონპროექტებს. მათ შემოქმედებაში წმინდა სამართლის საკითხებს ნაბეჭდი ადგილი უკავა. ისინი სამართლის ინსტიტუტებზე მნიშვნელოვანს არაფერს ამბობენ, ხოლო სისხლის სამართლის დანაშაულთაგან საგანგებოდ გამოჰყოფენ „მამულის მუხანათობას”, მკვლელობასა და შეუაცხოვას.

სამშობლოს დალატი იოანე ბაგრატიონის „სჯულდებაში”, რომელსაც „მამულის მუხანათობას” უწოდებს, შეიცავს დანაშაულის რამდენიმე სახეს: სამშობლოდან გაქცევა,

¹ ურნალი „მნათობი” №8, 1939წ. გეორგიანული ისტორია ჭაბუკ თავად ამილახვარზე, რომელსაც მისი ქვეყნის მოკლე ისტორიის დართვით, თავის ამხანაგებს უამბობს ანატოლიელი ვაჭარი უსიმი. კომენტარი დაურთო და გამოსაცემად მოამზადა ვაჟა კიკნაძემ. გვ. 35-36.

² ლ. დარბაიძე. ალექსანდრე ამილახვარის სამართლებრივი შეხედულებები. თბილისი, 2010. გვ. 191.

ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაცია, მტრის მხარეზე გადასვლა და თავის ქვეყნის მიმართ ორგულობა, მართლმადიდებლური სარწმუნოების გამოცვლა და ტყვეთა შესყიდვა. ამ დანაშაულებზე იოანე ბაგრატიონი მკაცრ სასჯელს აწესებს, რაც სიკვდილით დასჯით გამოიხატება. გაცილებით უფრო მკაცრად დავით ბატონიშვილი მოღალატეს სჯის. მისი „სამართალი“ მამულის მუხანათობისათვის რამდენიმე მუხლს აწესებს: ორგულობისათვის – ჩამოხრხობას (მუხ. 129), გაქცევისათვის – „მტერთა თანა სახითა ორგულობისათა“ – თავის მოკვეთას (თუ შვილებიც თან გაიყოლია – ქონების კონფისკაციასაც), ასევე სიკვდილით ისჯება სახელმწიფოსათვის საზიანო ხმის გამავრცელებელი გამცემი, შინაგანი მტრული აგიტაცია, რომელიც ასევე მიზნად ისახავს სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენებას და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მამულის მუხანათობისათვის იოანე ბაგრატიონი დიდ სიმკაცრეს იჩენდა. როგორც ჩანს, დავით ბატონიშვილი კარგად იცნობდა უმცროსი ძმის წინადაღებებს მოღალატეთა შესახებ და ძირითადად მისდევდა მის პროექტს, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დავით ბაგრატიონი უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენს, ვიდრე იოანე ბაგრატიონი თავის „სჯულდებაში“.

პროფ. დ. ფურცელაძის აზრით, „მამულის მუხანათობას“ იოანე ბატონიშვილი პოლიტიკური სიფრთხილითა და ერთგვარი მოთმინებით ეკიდება. ამ შემთხვევაში პროექტის ავტორი ანგარიშს უწევდა მტრულ გარემოცვას, რომელიც ძველთაგანვე ქვეყნის ერთგულებას ათასნაირ ხაფანგს უგებდა და რომლის რგალი საქართველოს ჯერაც ვერ გაერდვია; ამავე დროს, მას მეფის ხელისუფლება ეტყობა საკმაოდ ძლიერი არ ეგულებოდა, რომ ქვეშევრდომთა ქედმაღლობა სრულიად უგულებელყო. ამასთან შედარებით, დავით ბატონიშვილი სახელმწიფო ერთიანობისა და უფრო სასტიკი რეპრესიების პოზიციას იკავებს.

ვიზიარებთ პროფ. ფურცელაძის აზრს, რომ დავით ბატონიშვილის პოზიცია გაქცევლების მიმართ უფრო მკაცრია, ვიდრე იოანე ბაგრატიონისა. „სჯულდების“ ავტორის აზრით, სამშობლოდან ყველა გაქცეული არ შეიძლება მივიჩნიოთ მოღალატედ. უნდა მოხდეს იმის გარეშევა, რატომ ჰქონდა ამ ქმედებას ადგილი. ზოგჯერ სამშობლოს ერთგული ადამიანებიც გარბოდნენ და მათი გაქცევა განპირობებული იყო იმ უსამართლობით, რომელსაც უფრო გავლენიანი და ძლიერი ფეოდალები იჩენდნენ. არცთუ იშვიათად, ზოგიერთი პატიოსანი ადამიანი ხშირად ხდებოდა სამეფო კარზე გაჩაღებული ინტრიგების, დაბგზდებისა და შურიანობის მსხვერპლი. ასეთ შემთხვევაში ბევრი თაგშესაფარს მეზობელ ქვეყანაში ეძებდა, რომელთაც მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ საქართველოსთან და ემიგრანტებს სიამოვნებით იღებდნენ. იოანე ბატონიშვილი აფრთხილებს მეფეებსა და მამართველებს, რომ მათი მიზეზით ქართველები სხვა ქვეყანაში არ უნდა გარბოდნენ, რომ ყველა გაქცეული მოღალატე არ არის და, პირველ რიგში, საჭიროა გაირკვეს, არის თუ არა იგი მოღალატე, გადავიდა თუ არა მტრის სამსახურში, ეწევა თუ არა სამშობლოს წინააღმდეგ მტრულ საქმიანობას. ამის შემდეგ უკვე შეიძლება ამ ადამიანების ქმედებაზე ისაუბრო და მიუსადაგო შესაბამისი სასჯელი.

როდესაც საუბარია სასჯელის ფორმებზე, იოანე და დავით ბაგრატიონები ქართული სამართლის ძეგლებზე დაყრდნობით მოქმედებენ. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ მათ აქვთ ისეთი სასჯელის ფორმები, რომლებიც სხვაგან არსად არ გვხვდება. მაგალითად,

დაბრმავება და გაგლეხაცება აქამდე არც ერთ სამართლის ძეგლებში არ შეგვხვედრია. მაგრამ, თუ კარგად მოვიძებთ, ვნახავთ, რომ ბექა-ალბუდას სამართლის წიგნში მძიმე დანაშაულისათვის ვხვდებით სასჯელის ფორმას „თუალთა დაწვა” (მუხლი 152 და მუხლი 167), სადაც კანონმდებელი ქურდის სასტიკად დასჯას მოითხოვს, „რომელმანცა კაცმან რა გინდა რა მოიპაროს და გამოჩნდეს, ორნივე თუალნი დაუწუნენ და ანუ ხელ-ფეხი დაეჭრას”.¹

იოანე და დავით ბაგრატიონები სასჯელის ფორმად იყენებენ აგრეთვე გადასახლებას რუსეთში ან ფშავში, შეჩვენებას, დამასახირებელ სასჯელებს, საზოგადოებიდან განდევნას, სამეფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმებას, გამაწილებელი ხასიათის სასჯელს. პროფ დ. ფურცელაძის აზრით, „დავით და იოანე ბაგრატიონების ეს სანქციები ეხმაურებოდა რუსეთში შემოღებულ წესს, რომლითაც სახეშებდალული პირი უნდა გამოჰკლებოდა რუსეთის თავადაზნაურთა საკრებულოს”,² ასევე სიკვიდოლით დასჯას სხვადასხვა დანაშაულისთვის სხვადასხვა ფორმით.

საბოლოოდ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, კერძოდ, სამივე განმანათლებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამართლის შესწავლას. მათი აზრით, სამართალი ყოველმა განათლებულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რაღაც „ყოველნივე ვართ და ვიქნებით მცხოვრებელ სჯულთა ქვეშე”. ადამიანი ცხოვრობს საზოგადოებაში, სადაც მოქმედებს და იმოქმედებს სამართალი, რომლის შესრულება და ცოდნა ყველასათვის აუცილებელია, განსაკუთრებით სამართლის ცოდნა ესაჭიროება მათ, ვინც ფიქრობს რაიმე თანამდებობის დაკავებას დაწყებული „მდაბალისა ხარისხისა ანუ თანამდებობისაგან, ვიდრე აღსვლამდე ხარისხისადმი”, ვინაიდან სამართლის არმცოდნე „ვერასოდეს შემძლებელ იქმნების ტვირთად პატივთა და სარგებლობათა.”³ დასასრულ, თანამდებობაც რომ არ იყოს, კანონის ცოდნა მარტო იმისთვის არის საჭირო, რომ ადამიანმა იცოდეს თავისი უფლებები და უფრო დაცულად იგრძნოს თავი.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევები და ლექსიკონი დაურთოვ პროფ. ი. დოლიძემ. 1963 წ. გვ. 471.

² დავით ფურცელაძე. სამართალი ბატონიშვილისა დავითისა. გვ. 134.

³ „კალმახობა”, ტ. I. გვ. 203.

ნანა ნიორაძე,
სამართლის დოქტორი

**მართლმსაჯულება და კანონი აღმშანდრე ამილახვარის,
იოანე და დავით ბაგრატიონების შემოქმედებაში**

მართლმსაჯულება და კანონი მნიშვნელოვანი ცნება იყო ძველ ქართულ სახელმწიფოში და დღესაც ინარჩუნებს ამ მნიშვნელობას სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. თუ სახელმწიფოში არ ტარდება სამართლიანი მართლმსაჯულება და არ არის შესაბამისი საკანონმდებლო სისტემა ჩამოყალიბებული, შეუძლებელია ნორმალურმა სახელმწიფომ იარსებოს. ალექსანდრე ამილახვარი, დავით და იოანე ბაგრატიონები ათვიცხობიერებდნენ ამ საკითხის მნიშვნელობას და, აქვთ გამომდინარე, მათ ნაშრომებში ამ საკითხებს საკვანძო ადგილი უპავია. სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უნდა ემყარებოდეს: დროისა და მდგომარეობის მოთხოვნილებას, ხალხის ზნე-ჩვეულებას და ბუნებრივი კანონებისა და ბუნებრივ თავისებურებათა გათვალისწინებას. ეს არის ის სამი კრიტერიუმი, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ყველა დროის და ყველა ქვეყნის კანონშემოქმედმა, რომ არ მოხდეს სახელმწიფოში მცხოვრები მოქალაქეების უფლებების დარღვევა.

Nana Nioradze,
doctor of law

**JUSTICE AND LAW IN THE WORKS ALEXANDER AMILAKHvari,
JOHN AND DAVID BAGRATIONS**

The notion of justice and law was very important in the old Georgian government and still retains the importance of the interests of the state. If the State has not conducted fair judiciary and the legal system is not well defined, it will be impossible to exist as a normal state. Alexander Amilakhvari, David and John Bagrations considered importance of this issue and therefore they are key in their persons works. State legislation should be based on the time and demand of conditions people habit - custom and natural law and natural peculiarities. These are the three criteria, which must take account of all time and all the law-making, not to the state in violation of the rights of citizens.

Нана Ниорадзе,
доктор права

**ПРАВОСУДИЕ И ЗАКОН В ДЕЯТЕЛЬНОСТИ
АЛЕКСАНДРА АМИЛАХВАРИ, ИОАНА И ДАВИДА БАГРАТИОНИ**

Понятие справедливости и закона было очень важным в старом грузинском государстве и сегодня по-прежнему оно сохраняет большое значение, исходя из интересов государства. Если государство не проводит справедливого судебного законодательства и не сформирована соответствующая правовая система, невозможно существование нормального государства. А. Амилахвари, Давид и Иоан Багратиони предвидели важность этого вопроса, и они являются ключевыми в их работах. Государственное законодательство должно основываться на: требованиях времени и обычаях людей, естественных законах природы и природных особенностях. Это три критерия, которые должны учитывать создатели законов во все времена, чтобы государство не нарушило права граждан.

**რუს-ურგენცის საეპლესიო პრების მოწვევის
კოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები**

წარმართულ რელიგიებზე ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვებისა და მისი ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, სხვადასხვა ქვეყანაში ქრისტიანობის წიაღმი განვითარებას იწყებს საეკლესიო მმართველობის საკმაოდ რთული ბიუროკრატიული აპარატი. ეკლესიამ, როგორც ისეთმა ორგანიზაციამ, რომელიც აქტიურად ებოდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მჭიდრო კავშირი დამყარა სახელმწიფოსთან. ასეთი კავშირის შედეგად ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მყარდება ისეთი ურთიერთობა, რომელიც ხასიათდებოდა ეკლესიის უპირატესი გავლენით სახელმწიფოს ცხოვრებაში. ეკლესია თანდათანობით გადაიქცა სახელმწიფო მმართველობის ორგანოდ. რომის საეპისკოპოსო კათედრის მესვეურნი, რომის პაპები, თანდათანობით თავიანთ ხელში აერთიანებდნენ საეკლესიო და საერო სახელმწიფო ხელისუფლებას და გადაიქცნენ იმპერატორის ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ მმართვებად.

VIII საუგუნის დასაწყისში დასავლეთში გაძლიერებას იწყებს ფრანგების ახალი ქრისტიანული სახელმწიფო, რომლის მმართველიც თავიანთი ავტორიტეტის ასამაღლებლად ცდილობდნენ მჭიდრო კავშირი დამყარებინათ რომის პაპებთან. 752 წელს პაპმა ზაქარიამ ფრანკთა სახელმწიფოს მეფედ აკურთხა სახლოუჩეცესი პიპინი, რომელმაც განსაკუთრებული წყალობის სიგელით რომის ეკლესიას სამფლობელოდ უბოძა ყველა ის მიწა, რომელიც ჩამოართვა ლანგობარდებს. ამ ფაქტით პაპების საერო ხელისუფლებას ჩაეყარა საფუძველი (755წ.).

IX საუგუნის დასაწყისისათვის დასავლეთში პაპი უკვე ითვლება ეკლესიის უზენაეს მეთაურად და მსაჯულად; სულ მალე, სხვადასხვა ხელშემწყობი პირობის გამო, დამყარდა ისეთი წესები, რომლის მიხედვით საიმპერატორო ტახტის ბოქება რომის პაპის ხელში მოექცა. იწყება ხანგრძლივი ისტორიული პროცესი იმ ბრძოლისა, რომელიც მიმდინარეობდა სასულიერო და საერო ხელისუფლებას შორის. დასავლეთში ეს ბრძოლა სასულიერო ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდა და დამყარდა კათოლიკური ეკლესიის ბატონობის ხანა მისთვის დამახასიათებელი რეაქციით, ინკვიზიციით, იეზუიტური მოძრაობით და სხვ.

აღმოსავლეთის სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოში, ზემოაღნიშნული პროცესი სხვა მიმართულებასა და ხასიათს ატარებს. აქ საერო ხელისუფლებამ გაიმარჯვა და ეკლესია მოექცა სახელმწიფო ხელისუფლების დაქვემდებარებაში. უნდა აღინიშნოს, რომ სამდგრელების პრეტენზიები, მიმართული ბატონობისაკენ, საქართველოშიც, გარკვეულ პერიოდში, საქმაოდ ძლიერ ვლინდება. კერძოდ, ეს ითქმის საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული ფეოდალური სამთავროების არსებობის და ერთიანი საერო ხელისუფლების არარსებობის პერიოდზე, როდესაც ეკლესია ცდილობს დაუპირისპირდეს საერო ხელისუფლებას და მასზე უპირატესობა მოიპოვოს (IX–Xსს.). საფიქრებელია, რომ შორეული გამოახილი იმ ისტორიული პროცესისა, რომელიც დასავლეთში სასულიერო ხელისუფლების

საერო ხელისუფლებაზე გამარჯვებით დამთავრდა, საქართველოშიც აღწევდა, სადაც სამდგელოება თავისი პრიორიტეტისათვის იბრძოდა.

ხელისუფლებაში ბაგრატიონთა მოსვლის შემდგება და, განსაკუთრებით, ახალი ქართული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების ფონზე ახალი ძალით იწყება სახელმწიფოსა (საერო) და ეკლესიას (სასულიერო) შორის სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესი. ასეთი განწყობილების გამომხატველია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. გიორგი მერჩულე თავის ხაწარმოებით ცდილობს დაგვანახოს ეკლესიის უპირატესობა, გვიჩვენოს მისი ავტორიტეტი და გავლენა საერო ცხოვრებაზე. ამ ნაშრომში საქმე გვაქვს არა იმდენად ავტორის სუბიექტურ შეხედულებათა ლიტერატურულ-მხატვრულ გამოხატვასთან, არამედ არსებული სინამდვილის სწორ გადმოცემასთან. მაგალითად, ტაო-კლარჯეთის სამთავროში: აშოტ კურაპალატისა და ანხის ეპისკოპოსის ცქირის დამოკიდებულება, როცა აშოტი უძლურია წინ აღუდგეს ეპისკოპოსის მოქმედებას; მთავრებს (აშოტს, გუარამს) უფლება არა აქვთ საეკლესიო თანამდებობიდან გადააყენონ ან არ დანიშნონ მათთვის არასასურველი პირი (ეპისკოპოსი ცქირი, კათალიკოსი არსენი); მთავარს უფლება არა აქვს ჩაერიოს საეკლესიო-ორგანიზაციულ და სარწმუნოებრივ საქმეებში (VIII–IX ს.). სამცხეში ეპისკოპოსს გიორგი მაწყვერელს ფართო სასამართლო-ადმინისტრაციული უფლებები აქვს თავის ეპარქიაში (IX ს.); ეპისკოპოსმა საბა მტბევარმა შავშეთი დაიჭირა და მისი მმართველი გახდა (XII ს.) და სხვ.¹

საქართველოში ისოკრატიული იდეების წარმოშობას თავისი სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლები ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, ერთი მხრივ, ეს იყო ეკლესიის პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერე, ხოლო, მეორე მხრივ, ბრძოლა ეკლესიასა და საერო ხელისუფლებას შორის. ეკლესიამ მოგვცა ამ სიძლიერის თეორიული დასაბუთება, მაგრამ გადაჭარბებულ ფერებში; ამავე დროს იმის მტკიცება, რომ ეკლესია მეფეს არ ემორჩილება და მიუთითებდა საერო ხელისუფლების მისწრაფებაზე ეკლესიის დაქვემდებარებისათვის.

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებამდე კახეთის ფაქტორმა გარკვეული როლი შეასრულა საეკლესიო წოდების გაძლიერებაზე. XI საუკუნემდე კახეთში საერო და სასულიერო ხელისუფლება ქორეპისკოპოსების ხელში იყო. ამ დროისათვის სასულიერო წოდება მეტად მრავალრიცხოვანია. სარწმუნოებრივი გრძნობა ხალხს ღრმად ჰქონდა შეთვისებული. ეს გარემოება ხელს უწყობდა სასულიერო წოდების გაძლიერებას, მღვდელ-მონაზონთა რაოდენობის ზრდას. საგულისხმოა, რომ მხოლოდ შიომღვიმის მონასტერში ორი ათასი ბერი იმყოფებოდა.²

ეკონომიკური შეძლება და სოციალური იერარქიის საფეხურზე მაღლა დგომა, როგორც ყველა დროში, ბუნებრივია ფეოდალურ საქართველოშიც წამყვან პოზიციებზე იყო. საერო და სასულიერო ხელისუფლების მაღალ ეშელონებში დიდგვარიანები დაწინაურდნენ. ამდენად, თანამდებობას ანუ დიდებას იკავებდნენ არა მცოდნე და დირსეული მამულიშვილები, არამედ მდიდარი დიდგვაროვანი არისტოკრატია. დიდებულ ფეოდალთა ხელში აღმოჩნდა საყდრები, ეკლესიები, საეპისკოპოსოები და ა.შ.

¹ ბ. ლომინაძე. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII–XII საუკუნეების საქართველოში, ქრ. „საქართველო რესტავრაციის ხანაში“. თბ., 1966, გვ. 68.

² ნ. ხიზანიშვილი. რჩეული იურიდიული ხაწერები. დასაბუთდად მოამზადა, ბიოგრაფიული მასალები და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ. თბ., 1982, გვ. 279.

X საუკუნის დასაწყისში აფხაზთა მეფებმა შიდა ქართლი დაიმორჩილეს. მათი სამეფოს ფარგლებში ერთდროულად ორი ავტოკეფალიური საკათალიკოსო აღმოჩნდა: ქართლის საკათალიკოსო – ცენტრით მცხეთაში და აფხაზეთის საკათალიკოსო – ცენტრით ბიჭვინთაში. ქართლის საკათალიკოსო ქრისტიანულ სამყაროში დიდი პატივისცემით სარგებლობდა. თანაც ქართლის კათალიკოსი, დასავლეთ საქართველოს გამოკლებით, მთელი საქართველოს მწერებმთავარი იყო. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში აფხაზთა მეფებმა საქართველოს ეკლესიის გაერთიანება და აფხაზეთის კათალიკოსის ქართლის კათალიკოსისადმი დაქვემდებარება გადაწყვიტეს. ამიტომ, თანამიმდევრულად ქართლის საკათალიკოსოსადმი დაქვემდებარებული ახალი ეპარქიების დაარსება და აფხაზთა საკათალიკოსოში შემავალი ძველი ეპარქიების გაუქმება დაიწყეს. ასეთ ახალ საეპისკოპოსო ცენტრებად იქცნენ ჰელიონის (დღეგანდელი მარტვილის), მოქვის (ოჩამჩირის ჩრდილო-დასავლეთი, მდ. მოქვის წყლის მარჯვენა ნაპირის), ბედის (გალის ჩრდილო-დასავლეთი, პატარა მდინარე ოხოჯის ნაპირის) და ქუთაისის ტაძრები. ჩანაცვლების პროცესი მთელი საუკუნე გაგრძელდა. საეკლესიო რეფორმა ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III დროს დასრულდა. მან X საუკუნის ბოლოს ბედის ტაძარი ააგო და გუდაყვის (ძიგანერნის) საეპისკოპოსო კათედრა ბედიაში გადაიტანა. ცოტა მოგვიანებით ბაგრატ III ფაზისის სამიტროპოლიტო მოშალა, პეტრასა და როდოპოლისის საეპისკოპოსო კათედრები გააუქმდა და მათ ნაცვლად სატახტო ქალაქ ქუთაისში, ახლად აგებულ ტაძარში სამიტროპოლიტო, იგივე სამთავარეპისკოპოსო კათედრა დაარსდა. ქუთაისის ახლად აგებული ეკლესიის საზეიმო კურთხევა 1003 წელს მოხდა. ეს ტაძარი დღეს ბაგრატის სახელითაა ცნობილი. კურთხევას საქართველოს ყველა კუთხის საერო თუ საეკლესიო დიდებულები ესწრებოდნენ. ტაძარი პალიასტომის დვორისმთხობლის ხატის სახელზე აშენდა. ამით დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმა დასრულდა.¹ თურქ-სელჩუკების შემოსევებმა საქართველო პოლიტიკურად, ეკონომიკურად, ფიზიკურად და მორალურად დააგნინა. განადგურებულ ქვეყანაში მოიშალა ქრისტიანული საეკლესიო ორგანიზაციის ყველა რგოლი, მით უმეტეს, რომ დამპყრობლები მაკმადიანები იყვნენ. ამავე დროს, ბაგრატ IV უშაუალო ბრძანებით იყიდებოდა საეპისკოპოსო კათედრები. ცხადია, ბაგრატ IV ეპისკოპოსობის კანდიდატის სიმდიდრე აინტერესებდა, ვიდრე მისი პირადი დირსება. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში უხეშად ირდვეოდა საეკლესიო იერარქიის ყველა საფეხურზე დანიშნული კანდიდატისადმი საეკლესიო კანონმდებლობით წამოყენებული მოთხოვნები. თავის მხრივ, ფულით აღზევებული ეპისკოპოსიც არ ჩამორჩებოდა პატრონს და გადებულ თანხას ერთიათად ინაზღაურებდა მისი ხელქვეთი საეკლესიო თანამდებობათა პირების ხარჯზე.²

ეკლესიის მოკავშირეობის ბრძოლის პროცესში ცენტრალური ხელისუფლების მნიშვნელოვან გამარჯვებად ითვლება პატრიარქობის დაწესება (XI საუკუნის 20-იან წლებში პირველი პატრიარქი იყო მელქისედეკი).

ერთიან მონარქიასთან ეკლესიის მოკავშირეობაში განსაკუთრებული როლი მცხეთის კათალიკოსმა და მეფების მიერ ახლად დაარსებულმა საეპისკოპოსო ცენტრებმა შეასრულეს. მცხეთის ამ ინტერესს ქვეყნის გაერთიანებისათვის უპირველესად განსაზღვრავდა ძველი დროიდანვე მიმდინარე იერარქიული ცენტრალისტური წყობილება, რომელიც ისე-

¹ თ. ბერაძე, მ. სანაძე. საქართველოს ისტორია. თბ., 2003, გვ. 192.

² ე. გაბიძაშვილი. რუს-ურბნისის კრების ძეგლისწერა. თბ., 1978, გვ. 5-6.

თივე იყო, როგორიც სახელმწიფო და, რაც მთავარია, მისი უკვე საგრძნობლად გაზრდილი მიწათმფლობელობა, რომელიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო შექრილი. ასეთ სიტუაციაში ეკლესიის სამართლებრივი დაქვემდებარებისათვის ბრძოლა იყო ცენტრალური ხელისუფლების იმ საერთო ბრძოლის ნაწილი, რომელიც მიმართული იყო დიდგვარიანი ფეოდალების წინააღმდეგ.¹

ამდენად, მომწიფდა საგანგებო საეკლესიო კრების მოწვევის აუცილებლობა. კრების მოწვევის მიზეზი კი, როგორც დავინახეთ, მრავალზე უმრავლესი იყო. მათგან მთავარი და არსებითი შეიძლება ასე განვსაზღვროთ: მოშლილი საეკლესიო ცხოვრების აღდგენა და ისეთ დონეზე აყვანა, რომ ეს ორგანიზაცია ქვეყნის იდეური დასაყრდენი გამხდარიყო. ამავე დროს უნდა აღდგინა ეკლესიის ავტორიტეტი, აღმოეფხვრა, დროის უკუღმართობის მიზეზით, ეკლესიაში მოხვედრილი შემთხვევითი პირების მიერ გავრცელებული მავნე და სარწმუნოების საწინააღმდეგო ჩვევები, აელაგმა თავგასული ფეოდალები, აღმავეთა მათი საეკლესიო საქმეში ჩარევის ცდები და მათ მიერ საეკლესიო ქონებისა და მიწების დატაცება. რაც ყველაზე მთავარია, კანონმდებლობით მოეწესრიგებინა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა, სამართლებრივი საფუძველი შექმნა საერო ხელისუფლების პრიორიტეტისათვის.

ბუნებრივია, მხოლოდ დავით აღმაშენებელი ვერ შეძლებდა ამ გეგმის განხორციელებას, თუ ანალოგიური მხარდაჭერა არ ექნებოდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისაგან. საეკლესიო კანონმდებლობაში მოსალოდნელი ცვლილებები, თავისთავად ცხადია, წინასწარ იყო შეთანხმებული ეკლესიის საჭეომპუროებელთან.

სამართლებრივი ოვალსაზრისით, ქართული ეკლესიის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა „საკათალიკოსო კრება“, რომელიც ყოველ ხუთშაბათს იკრიბებოდა. მეტად მნიშვნელოვანია, რომ „საკათალიკოსო კრება“ ჯერ კიდევ ერისმთავარ სტეფანოზ მეორის დროს დაარსდა.²

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერის“ მიღებამდე საქართველოს ეკლესია წმინდა მამათა და მსოფლიო კრებათა სწავლას მისდევდა. აღნიშნული დოკუმენტის მიღების შემდეგ საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა განვითარების ახალ სტადიაში შევიდა.

საქართველოში სასულიერო წოდება არასოდეს ყოფილ ზნეობრივად ისე დაცემული, რომ ხალხის ხელმძღვანელობა არ შესძლებოდა. საკმარისია დავასახელოთ იოანე კათალიკოსი, არსენ იყალთოელი, გიორგი ჭყონდიდელი და სხვა, „რომელიც ბრწყინვალე სხივსა და ნათელს პფენდნენ დავითის დიდებულ მეფობას“ და რომელთა თანადგომამ განსაზღვრა კრების შედეგები: შექმნა სამეფო ხელისუფლების პრიორიტეტის საკანონმდებლო ბაზა, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების დასრულებას და მტერთაგან ქვეყნის გათავისუფლებას.

¹ ბ. ლომინაძე. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII-XII საუკუნეების საქართველოში. კრ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“. თბ., 1966, გვ. 79.

² ნ. ხიზანიშვილი. რჩეული იურიდიული ნაწილები. დასაბუქდად მოამზადა, ბიოგრაფიული მასალები და შენიშვნები დაურთო ისიდორე დოლიძემ. თბ., 1982, გვ. 275.

ვახტანგ სონგულაშვილი,
სამართლის დოქტორანტი

რუს-ურბნისის საეპლესიო პრების მოწვევის კოლიტიკურ-სამართლებრივი ასახულები

რუს-ურბნისის საეპლესიო კრების მნიშვნელობა, სამართლებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით, მეტად დიდია. კრების მოწვევა და მიღებული დადგენილების რეალობაში განხორციელება ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს აღორძინებას და გაძლიერებას ისახავდა მიზნად. საეპლესიო კრების მოწვევის მიზეზი კი მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული. მათგან მთავარი და არსებითი შეიძლება ასე განვსაზღვროთ: მოშლილი საეპლესიო ცხოვრების აღდგნა და ისეთ დონეზე აყვანა, რომ ეს ორგანიზაცია ქვეყნის იდეური დასაყრდენი გამხდარიყო. ამავე დროს უნდა მოეგვარებინა შემდეგი კონკრეტული საკითხები: მორწმუნება თვალში გაეძლიერებინა ეკლესიის ავტორიტეტი, აღმოეფხვრა დროის უკუღმართობის მიზეზით ეკლესიაში მოხვედრილი შემთხვევითი პირების მიერ გავრცელებული მავნე და სარწმუნოების საწინააღმდეგო ჩვევები, აელაგმა თავგასული ფეოდალები, აღეპეთა მათი საეპლესიო საქმეში ჩარევის ცდები და მათ მიერ საეპლესიო ქონებისა და მიწების დატაცება. რაც უველაზე მთავარია, კანონმდებლობით მოეწესრიგებინა სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა, სამართლებრივი საუძველი შეექმნა საერო ხელისუფლების უპირატესობისათვის.

Vakhtang Songulashvili,
PHD student

MAIN POLITICAL AND LEGAL ASPECTS OF RUIS-URBNISI CHURCH MEETING

Ruis-Urbnisi church meeting was very important fact in legal and political point. Meeting and adopted resolutions in the reality of implementation was aimed at strengthening of the state government. Reason of Church Councils convene was due to many factors. Main factor was: to restore churchs life and the country's ideological view; the church must adhere to the King; strengthen people's faith in the Church; fight against harmful religion habits; create legal basis for secular power advantage of State over the Church.

Вахтанг Сонгулашвили,
Докторант прав

ПОЛИТИЧЕСКИЕ - ПРАВОВЫЕ АСПЕКТЫ РУИС-УРБНИССКОГО ЦЕРКОВНОГО СОБОРА

Руис-Урбнисский церковный собор был очень важным фактом с правовой и политической точек зрения. Собор принимал резолюции, направленные на укрепление государственной власти. Причина созыва церковных соборов была обусловлена многими факторами. Главным для восстановления жизни храмов и идеологических взглядов страны было, чтобы Церковь придерживалась решений короля, укреплялась вера людей в Церковь; велась борьба с вредными привычками, противоречащими религии; создавалась правовая основа для преимущества светской власти государства над Церковью.

**საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა
დარღვევა და კასუებისმგებლობის პრინციპები**

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ცნობილი დებულების თანახმად, აღნიშნულ სამართლის დებულებათა დაუმორჩილებლობას ადეკვატური შედეგი მოჰყვება როგორც შიგასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ თითოეული ცალკე განხილვას საჭიროებს.

**1. სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება
ეროვნული სასამართლოების მიერ**

ცნობილია, რომ უენევის კონვენციებისა და პირველი დამატებითი ოქმების მიხედვით, შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას ჩადენილი განსაკუთრებით სერიოზული დარღვევები დანაშაულად უნდა ჩაითვალოს და ჩამდენ პირებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროთ¹.

კონვენციები და პირველი ოქმი შეიცავს ქმედებათა ჩამონათვალს, რომლებიც უნდა ჩაითვალოს, როგორც კონვენციებისა და ოქმის სერიოზული დარღვევა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებაში გამოიხატოს. აღნიშნულიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- ა) განზრას მკვლელობა;
- ბ) წამება ან დაცვაში მყოფი პირების მიმართ სხვა სახის არაჟუმანური მოპყრობა (სამხედრო პატიმრები, სამოქალაქო ინტერნირებული პირები, ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრები);
- გ) სამოქალაქო მოსახლეობაზე ან ცალკეულ სამოქალაქო პირებზე თავდასხმა, რასაც შედეგად მსხვერპლის სიკვდილი, სხეულის ან ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება მოჰყვა.

ამგვარი სერიოზული დარღვევები ომის დანაშაულად განიხილება².

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვი, რომ დარღვეულია უენევის კონვენციების ან მათი დამატებითი ოქმებით განსაზღვრული ქმედება, მაშინ ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ უნდა ადიძრას სისხლის სამართლის საქმე, თუ იგი არ გადაეცემა მესამე სახელმწიფოს, რომელიც შემდგომ თავად იწყებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებას პრინციპით – aut dedere aut iudicare. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა სისხლისსამართლებრივი ან დისციპლინური ხასიათის ზომები უნდა მიიღონ ჰუმანიტარული სამართლის დებულებათა სხვა, ნაკლებად სერიოზული დარღვევების შემთხვევაშიც. სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი ნაციონალური კანონმდებლობა მოცემულ

¹ Jean Pictet. Development and Principles of Humanitarian Law, Dordrecht/Geneva, 1985, P.56.

² იხ. უენევის კონვენციის I ოქმი, მუხ. 85.5.

ქმედებას დანაშაულებრივად მიიჩნევს, აწესებს შესაბამის სასჯელს და დეპნის პროცედურას. ნათელია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი კანონების ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს მიღებას, რაც ფაქტობრივად, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს.¹

ამრიგად, მათ მიერ დაწესებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად საერთაშორისო პუმანიტარულმა სამართალმა დააწესა ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ეს პასუხისმგებლობა კი შეეხება ყოველ ცალკეულ პიროვნებას, რომელმაც პასუხი უნდა აგოს საკუთარ ქმედებაზე.

სამხედრო მეთაურებს განსაკუთრებული ვალდებულება ეკისრებათ. მათი ვალია შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გააკეთონ, რათა პასუხისმგებლობის ზონაში თავიდან იქნეს აცილებული კონვენციებისა და მათი დამატებითი ოქმების დანაწესოა დარღვევა².

თუ მეთაური არ გასცემს საჭირო ინსტრუქციებს ან არ იღებს კონტროლის საჭირო ზომებს, მაშინ მისი პასუხისმგებლობის ზონაში სერიოზული დარღვევის ჩადენის შემთხვევაში მან სისხლისსამართლებრივი წესით უნდა აგოს პასუხი³.

სერიოზული პრობლემები წარმოიშობა, როცა ბრალდებული თავის დასაცავად უფროსი მეთაურის ბრძანებაზე მიუთითებს exception of superior order. ასეთ შემთხვევაში სერიოზულ დარღვევებში ეჭვმიტანილი არ უარყოფს სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, მაგრამ აცხადებს, რომ მოქმედებდა მეთაურის ბრძანებით და, შესაბამისად, არ უნდა იქნეს დასჯილი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამართულ სისხლის სამართლის პროცესებზე მრავალი ბრალდებული თავის დაცვას სწორედ ამ მოსაზრებაზე აფუძნებდა (მაგალითად, ცნობილი ნიურნბერგის პროცესი).

მიუხედავად ამისა, ლონდონში 1945 წლის 8 აგვისტოს ოთხი სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილმა შეთანხმებამ, რომელმაც მთავარ სამხედრო დამნაშავეთა გასამართლების მიზნით საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი შექმნა, დაადგინა, რომ ის პირებიც, რომლებიც სხვათა ბრძანებით მოქმედებდნენ, სისხლის სამართლის წესით, პასუხისმგელი იყვნენ თავიანთ ქმედებებზე⁴.

ადსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცნობილი ნიურნბერგის ტრიბუნალის გადაწყვეტილებთან კავშირში წარმოიშვა ჩვეულებითი სამართლის ნორმა, რომელმაც შემდგომ ზეგავლენა მოახდინა შიგასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემებზე. კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თითოეული პირი საკუთარი ქმედებისათვის პერსონალურად აგებს პასუხს მაშინაც კი, როცა სხვათა ბრძანებით მოქმედებს. მართალია, დაქვემდებარებულს ყოველთვის შეუძლია იმ მოსაზრებიდან გამოვიდეს, რომ ზემდგომის მიერ გაცემული ბრძანება მართლზომიერია, მაგრამ თუ ბრძანების შესრულება სამართლის დარღვევას გამოიწვევს, მან უარი უნდა თქვას მის შესრულებაზე. ხოლო, თუ მაინც შეასრულებს

¹ პანს-პეტერ გასერი. საერთაშორისო პუმანიტარული სამართალი, შესავალი. თბ., 1999წ. გვ. 181.

² იხ. უნივერსიტეტურის I თქმი, მუხ. 87.

³ იქვე, მუხ. 86.2.

⁴ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. Hans-Heinrich Jescheck. War Crimes, dans Bernard (ed.), Encyclopedia of Public International Law 94 (1982), P.197.

ბრძანებას, მაშინ პასუხიც უნდა აგოს. აღნიშნულ შემთხვევაში სხვისი ბრძანების შესრულება მხოლოდ შემასუბუქებულ გარემოებად უნდა ჩაითვალოს¹.

აღიარებულია ის დოგმა, რომ მეთაური ან ზემდგომი პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ბრძანებას გასცემს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს. ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებაში აშკარადაა მითითებული, რომ საკუთარი ქმედებისათვის თვით სახელმწიფოს მეთაურის პასუხისგებაში მიცემაც არ არის გამორიცხული.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევები მხოლოდ დამკავებული სახელმწიფოს მიერ კი არ ისჯება, არამედ ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ, რომლის ძალაუფლებაშიც ბრალდებული იმყოფება. ეს პრინციპი “უნივერსალური იურისდიქციის” სახელწოდებითაა ცნობილი. სახელმწიფოებს ერთმანეთისაგან დახმარების გაწვის ვალდებულებაც აკისრია, მაგალითად, ბრალდებულის სხვა სახელმწიფოსადმი გადაცემის სახით, რითაც იგი უარს ამბობს მისი გასამართლებელის უფლებაზე ან მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარებით.

2. სახელმწიფოთა საერთაშორისო პასუხისმგებლობა

შეიარაღებული ძალების წევრთა მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დარღვევა მოცემული სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობის საკითხს ადძრავს. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ დაზარალებული სახელმწიფოს წინაშე პასუხი უნდა აგოს მისი შეიარაღებული ძალების ნებისმიერი წევრის მიერ ჩადენილი ყოველი ცალკეული მართლსაწინააღმდეგო აქტისათვის². მან უნდა აღადგინოს მანამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობა და თუ შესაძლებელია, აანაზღაუროს მიყენებული ზარალი.

ადსანიშნავია ისიც, რომ დაზარალებულ სახელმწიფოს თავის მხრივ შეუძლია, განაცხადოს პროტესტი და მოწინააღმდეგისაგან მოითხოვოს სამართლდარღვევისაგან თავის შეკავება. ამ თვალსაზრისით, მფარველ სახელმწიფოსაც შეუძლია იმოქმედოს. ნებისმიერ შემთხვევაში დაზარალებულ სახელმწიფოს აქვს მოთხოვნის უფლება, ჩატაროს გამოძიება მომხდართან დაკავშირებით. მაგრამ ამგვარი გამოძიების ჩატარება ყველა მხარის თანხმობას საჭიროებს, განსაკუთრებით კი ბრალდებული მხარისა, რომლის თანხმობაც პრაქტიკაში არასოდეს ყოფილა მიღწეული.

ამიტომაა, რომ ეგნევის კონვენციების პირველი ოქმის 90-ე მუხლში მოხსენიებული ფაქტების დამდგენი საერთაშორისო კომისიის ამოცანაა მოთხოვნის შესაბამისად დაადგინოს ყველა ის ფაქტი, რომელიც, ბრალდებისამებრ, კონვენციების და ოქმის სერიოზულ დარღვევას ან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების სხვა მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენს.

კონვენციის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოს პირველი ოქმის რატიფიცირებისას ან მოგვიანებითაც შეუძლია განაცხადოს, რომ იგი ე.წ. ipso facto აღიარებს აღნიშნული

¹ ცნობილია, რომ დიპლომატიურმა კონფერენციამ ვერ მოახერხა ყველასათვის მისაღები ტექსტის შემუშავება, ამის გამო I ოქმი არ შეიცავს სპეციალურ დებულებას იმ სამართლდარღვევათა შესახებ, რომელიც ზემდგომთა ბრძანების თანახმად იქნა ჩადენილი. ამ შემთხვევაში მოქმედებს ჩვეულებითი სამართლის ნორმები. იხ. პანს-პეტერ გასერი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლი. შესავალი. თბ. 1999წ. გვ. 183.

² აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. Luigi Conderelli. L'imputation à l'Etat d'un fair internationalement illicit: solutions classiques et nouvelles tendances, RCADI vol. 189 VI, 1984 (9), P. 145-149.

კომისიის კომპეტენციას. აღნიშნული განცხადება 35 სახელმწიფოზე მეტს აქვს გაკეთებული. ამასთან, სახელმწიფოს შეუძლია კონკრეტული შემთხვევისათვის ე.წ. ad hoc წესით ცნოს კომისიის კომპეტენტულობა.

აღნიშნული კომისია 15 წევრისაგან შედგება და თითოეული უნდა გამოირჩეოდეს “მაღალი მორალური თვისებებითა და აღიარებული მიუკერძოებლობით”. კომისიის წევრებს ნიშნავს პირველი დამატებითი ოქმის მონაწილე ის სახელმწიფოები, რომლებმაც აღიარეს კომისიის კომპეტენცია.

კომისიის ორი მთავარი ფუნქცია:

1. ფაქტების გამოძიება, რომლებიც, სავარაუდოდ, მძიმე დარღვევებს წარმოადგენს;

2. კონფლიქტში მონაწილე მხარეებისათვის, საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ხელშეკრულებებისადმი პატივისცემის დამოკიდებულების აღდგენის მიზნით, საკუთარი სამსახურის შეთავაზება.

კომისიის კომპეტენციაში არ შედის სიტუაციაზე სამართლებრივი მოსაზრების გამოხატვა, ე.წ. მოცემული ფაქტის მართლზომიერად ან, პირიქით, მართლსაწინააღმდეგოდ კვალიფიცირება. ეჭვს გარეშე, რომ აღნიშნული შეზღუდვის მიუხედავად, ფაქტების დამდგენი საერთაშორისო კომისია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს შეიარაღებული კონფლიქტის დროს ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების საქმეში.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ სამართლდარღვევებზე რეაგირების ფორმის გამოყენების შესაძლებლობა დაზარალებულ სახელმწიფოს არ გააჩნია. საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლით დაშვებული შესაძლებლობის საპირისპიროდ, სახელმწიფოს არ შეუძლია მოწინააღმდეგის მიერ ჩადენილ უხეშ დარღვევებზე მითითებით უარი თქვას პუმანიტარული სამართლით მასზე დაკისრებული გალდებულებების შესრულებაზე. საერთაშორისო პუმანიტარული სამართლიდან გამომდინარე, გალდებულებები ნაცვალების პირობას არ ექვემდებარება; კონფლიქტში მონაწილე ყოველმა მხარემ ნებისმიერ ვითარებაში და ყოველგვარი პირობითობის გარეშე უნდა სცეს მათ პატივი.

3. რეპრესალიები

სხვადასხვა სახის სამართლებრივი საშუალების არსებობა, რომელთა გამოყენება დაზარალებულ სახელმწიფოს შეუძლია, არ უნდა გვავიწყებდეს, რომ პუმანიტარული სამართლი ზოგადად, საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილის მსგავსად, ჯერ კიდევ შორსაა ისეთი სისტემისაგან, რომელიც მის მიერ გათვალისწინებულ ვალდებულებათა მშვიდობიანი განხორციელების გარანტიას ქმნის. როგორც წესი, ფაქტების დამდგენი პროცედურისათვის აუცილებელია სამართლდარღვევაში ბრალდებული სახელმწიფოს თანხმობა. ომის დაძაბულ ემოციურ გარემოში კი ამგვარი თანხმობის მოპოვება ნაკლებად მოსალოდნელია. ამიტომაა, რომ თავის მნიშვნელობას კვლავაც ინარჩუნებს სამართლის დამყარების ძველი და “პრიმიტიული” საშუალება. ესაა თვითდახმარება. ამგვარი თვითდახმარების ტიპური ფორმა კი ე.წ. რეპრესალიებია¹.

რეპრესალიის ცნებაში მოიაზრება აკრძალული და არასამართლებრივი ქმედება, რომელიც მოწინააღმდეგის არასამართლებრივი ქცევის შეწყვეტასა და შემდგომი, მოქმედების სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმართვის იძულებას ისახავს მიზნად, სამართლებრივად ნებადართული აქტის სასიათს იძენს.

¹ Frits Katshoven. Belligerant Reprisals. Leyde/Geneve, 1971, P. 5.

რეპრესალიები უნდა შეწყდეს, როგორც კი შეწყდება მისი გამომწვევი დარღვევა. ნებისმიერ შემთხვევაში, რეპრესალიების განხორციელება მხოლოდ სერიოზული დარღვევების დროსაა დაშვებული და ისიც (უკანასკნელი საშუალების სახით), როცა ვერავითარი სხვა ზომა ვერ აიძულებს მოწინააღმდეგას, პატივი სცეს თავის მოვალეობას. მოსალოდნელი ზიანი სამართლდარღვევის გონივრულად პროპორციული უნდა იყოს. დასასრულ, რეპრესალიების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოცემული ქვეყნის მხოლოდ ყველაზე მაღალი პოლიტიკური ხელისუფლების კომპეტენციაში შედის.

დღეისათვის საერთაშორისო პუმანიტარული სამართლი აპსოლუტური ხასიათის ბევრ ვალდებულებას შეიცავს, რომელთაოვის რეპრესალიებით გვერდის ავლა დაუშვებელია. მაგალითად, აკრძალულია რეპრესალიების განხორციელება ბრძოლის ველზე დაჭრილთა წინააღმდეგ, ხომალდის კატასტროფაში მოყოლილთა, სამსედრო ტყვეთა, საზოგადოდ სამოქალაქო მოსახლეობის, პოსპიტლებისა და სამედიცინო ტრანსპორტის წინააღმდეგ და სხვ. ამას გარდა, პირველი დამატებითი ოქმი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, კრძალავს რეპრესალიების მეშვეობით მოწინააღმდეგის საცხოვრებელ რაიონებზე, ე.ი. სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმას.

მაშასადამე, რეპრესალიები თვისობრივად არასამართლებრივი აქტია. მისი გამოყენება მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ პირობებში, მოწინააღმდეგის მიერ ვალდებულებათა დარღვევის აღკვეთის ერთადერთ მიზნადაა დაშვებული.

აღნიშნული რთული პრობლემის შესაჯამებლად უნდა ითქვას, რომ დაუშვებელია რეპრესალიების განხორციელება მოწინააღმდეგებების მხარის ძალაუფლებაში მყოფი პირების მიმართ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რეპრესალიების მეშვეობით სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმა დაშვებულად ჩაითვლებოდა, ამ ზომის გამოყენება სერიოზული კატასტროფის თავიდან აცილებისკენ იქნებოდა მიმართული.

უნდა აღინიშნოს, რომ რეპრესალიების მიზანი არასოდეს არ უნდა იყოს მოწინააღმდეგის დასჯა ან შურისძიების დაკმაყოფილება.

**მერაბ რაფავა,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი**

**საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის
ნორმათა დარღვევა და პასუხისმგებლობის პრინციპები**

მოცემულია საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ნორმათა დარღვევისა და მათი პასუხისმგებლობის პრინციპები. ასევე, პუმანიტარული სამართლის დარღვევის საკითხები. განხილულია ისეთი პრობლემები, როგორიცაა სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება ეროვნული სასამართლოების მიერ, სახელმწიფოთა საერთაშორისო პასუხისმგებლობა და რეპრესალიები.

**Merab Rapava,
Doctor of juridical sciences**

**VIOLATION OF THE RULES OF INTERNATIONAL
HUMANITARIAN LAW AND PRINCIPLES OF RESPONSIBILITY**

There is discussed the principles of violations of the rules of International Humanitarian Law and their responsibilities.

There is reviewed in details the issues of violation of Humanitarian Law. Exploring the above-mentioned problems, the author reviews separately such problems, as criminal justice process, international responsibility of the countries and reprisals.

**Мераб Рапава,
доктор юридических наук**

**НАРУШЕНИЕ НОРМ МЕЖДУНАРОДНОГО
ГУМАНИТАРНОГО ПРАВА И ПРИНЦИПЫ ОТВЕТСТВЕННОСТИ**

Автор детально рассматривает вопросы нарушения гуманитарного права. Исследуя вышеуказанные проблемы, автор отдельно рассматривает такие проблемы, как уголовное судопроизводство национальными судами, международная ответственность государств и репрессалии.

**საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის
იმპერატორის პროგლემები ნაციონალურ სამართალში**

როგორც ცნობილია, ნებისმიერი სამართლის ნორმის მიზანი ადამიანთა ქცევაზე ზემოქმედების მოხდენაა. აღნიშნული ნორმები ხშირად იმპერატიულ ხასიათს ატარებს. ისინი მიუთითებენ, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს ან/და პირიქით – რა არ უნდა გაკეთდეს. ამგვარი ტიპის ნორმები მოქმედებს როგორც საერთაშორისო პუმანიტარულ სამართალში, ასევე შიგასახელმწიფოებრივ სამართლის სხვადასხვა დარგშიც.

შიგასახელმწიფოებრივ სამართალსა და საერთაშორისო საჯარო სამართალს შორის ძირითადი განსხვავება სამართლის იმპლემენტაციის დონეზე წარმოჩინდება ანუ როგორ ხორციელდება კონტროლი სამართლის მოთხოვნათა შესრულებაზე და როგორ ხდება დარღვევათა აღკვეთა. სახელმწიფოს თავის ტერიტორიაზე სამართლის განხორციელების შესაბამისი მექანიზმი აქვს (ადმინისტრაციული რესურსები, სასამართლო, პოლიცია, პროკურატურა და ა.შ.). საერთაშორისო თანამეგობრობა მრავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან (მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია - გაერო) შედგება. ისინი ერთობლივად არიან პასუხისმგებელი საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციაზე შიგასახელმწიფოებრივ მატერიალურ სამართალში. თუმცა უნდა ითქვას, რომ დღემდე მათ ხელთ არსებული საშუალებები საკმაოდ შეზღუდულია.

მთავარი კითხვა, რაც სკეპტიკოსებს უწნდებათ ხოლმე არის – რამდენად ეფექტურად მოქმედებს საერთაშორისო საჯარო სამართალი ცხოვრებაში? თუ სხვადასხვა ქვეყნის მასშედის საშუალებების მიმოხილვებს გავეცნობით, ეს ეჭვი უფრო გაღრმავდება. ისინი დაუსრულებლად წერენ იმაზე, რომ საერთაშორისო სამართლის მოთხოვნები ხშირად ირღვევა ამა თუ იმ სახელმწიფოს ბიუროკრატიული ორგანიზების მხრიდან და მათ პასუხს არავის სთხოვს. მაგრამ, ეს პირველი შთაბეჭდილება შეიძლება მცდარიც აღმოჩნდეს – საზოგადოება კარგად არის ინფორმირებული საერთაშორისო (მათ შორის პუმანიტარული) სამართლის ნორმათა დარღვევის შესახებ, მაგრამ ამ ნორმათა შესრულებაზე არაფერს ამბობს. ფაქტია, როდესაც საომარი კონფლიქტის დროს ხელს უწვდიან დაჭრილ მოწინააღმდეგებს ან სათანადოდ ეპურობიან პატიმარს, საომარ ოპერაციებში ზოგავენ სამოქალაქო მოსახლეობას, სრულდება საერთაშორისო პუმანიტარული ნორმების მოთხოვნები. ამგვარი მართლზომიერი მოქმედება ხშირად ბუნებრივად განიხილება - ისინი დამკვიდრებულ პრაქტიკად იქცნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ პუმანიტარული სამართლის ნორმები მარტო იმიტომ როდი ხორციელდება, რომ ამას სახელმწიფოთა შორის გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, ნაციონალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა ან სამხედრო განკარგულებები მოითხოვს, არამედ იმ მიზეზითაც, რომელსაც იურიდიულ არგუმენტებთან არაფერი აქვს საერთო¹. მართლაც, სამართლებრივი იძულებითი ზომების გარდა, სხვა ფაქტორებიც არსებობს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სხვა სახელმწიფო ორგანოების მოქმედებზე. ესაა პოლიტიკური ხასიათის არგუმენ-

¹ პან-პეტერ გასერი. საერთაშორისო პუმანიტარული სამართალი, შესავალი. თბ., 1999 წ. გვ. 169.

ტექნიკური და მეცნიერებული პრაქტიკული მოსაზრება. როცა კონფლიქტი მონაწილე მხარეს ჟცოდინება, რომ, თუ მისი შეიარაღებული ძალები და არღვევები საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ნორმებს, მეორე მხარეც იმავეს გააკეთებს. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თავისი მოქალაქეების დაცვის მიზნით, იგი შეასრულებს სამართლის მოთხოვნებს. პუმანიტარული სამართლის პრაქტიკული იმპლემენტაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეს. „ნაცვალგების“ პრინციპზე. პოლიტიკურ სფეროში ეს ნიშნავს, რომ კონფლიქტი მონაწილე ერთი მხარე ასრულებს თავის ვალდებულებას იმდენად, რამდენადაც იმავეს ელოდება მოწინააღმდეგებ მხარისაგან¹. ურთიერთმოლოდინი ანუ ნაცვალგების მოსაზრება საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის შესრულების მნიშვნელოვანი სტიმულია, მიუხედავად იმისა, რომ, სამართლებრივი თვალსაზრისით, ვალდებულებები აბსოლუტურ ხასიათს ატარებს და დაუშვებელია პუმანიტარული ნორმების დარღვევის ნაცვალგების მოლოდინის არარსებობით მისი გამართლება.

შემდეგი ფაქტორი, რომელიც დადებით გავლენას ახდენს საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის შესრულებაზე საზოგადოებრივი აზრია. იშვიათად მოიძებნება მთავრობა, რომელიც „ცუდ ნიუსებს“ მიესალმება. ასე, რომ საზოგადოებრივ აზრს როგორც ეროვნულს, ასევე საერთაშორისოსაც პასუხისმგებელ პირებზე ზეწოლის უნარი მაინც შესწევთ.

ამასთან დაკავშირებით, არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. კერძოდ, სამხედრო ხელმძღვანელებმა კარგად იციან, რომ მკვლელი და მძარცველი ჯარი, საომარი თვალსაზრისით, საკმაოდ დაბალი ღირებულებისაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პუმანიტარული სამართლის ნორმათა შესრულება იმ დისციპლინის ელემენტია, რომელიც ბრძოლისუნარიანი სამხედრო შენაერთისოფის დამახასიათებელი ნიშანია. მარტივად რომ ვთქვათ, საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვა მხოლოდ დამამიმებელი ვალდებულება როდია, ეს საკუთრივ შეიარაღებული ძალების მეთაურთა ინტერესებშიც შედის.

მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო პუმანიტარულმა სამართლმა პრაქტიკული იმპლემენტაციის გამოცდას უნდა გაუძლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას დაკარგავს.

1949 წლის 12 აგვისტოს ქენევაში მიღებული თოხი კონვენციისა და მისი I ოქმის საერთო პირველ მუხლში მითითებულია, რომ „ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, ნებისმიერ გარემოში უზრუნველყონ მოცემული კონვენციის შესრულება“. ზემოაღნიშნული ვალდებულებების უკეთ გაგებისათვის უპრიანი იქნება მათი კლასიფიცირება:

- ვალდებულებები, რომლებიც უნდა შესრულდეს კონფლიქტის ნებისმიერი მდგომარეობის მიუხედავად;

- ვალდებულებები, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში უნდა შეასრულონ მონაწილე მხარეებმა;

- სანქციები საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში;

- მესამე სახელმწიფოთა როლი, რომლებიც კონფლიქტში არ მონაწილეობენ – საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის შესრულებისათვის კოლექტიური პასუხისმგებლობის ცნება.

¹ იქვე, გვ. 170.

ზემოაღნიშნულ ვალდებულებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ მშვიდობიანობის პერიოდში უნდა შეიქმნას პირობები, რომლებიც შეიარაღებული დაპირისპირისას პუმანიტარული სამართლის შესრულების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. სამხედრო მზადყოფნა საომარი მოქმედების პუმანიტარული სამართლით დაწესებული ნორმების შესაბამისად წარმართვის უნარს გულისხმობს. ხელმძღვანელობა და ყველა ის პირი, ვინც ასე თუ ისე დაკავშირებულია უნივერსიტეტის კონვენციებსა და დამატებითი ოქმების მოქმედებასთან, თავიანთი ვალდებულების შესრულებისათვის უნდა იყვნენ მომზადებულნი. ეს შეეხება როგორც სამოქალაქო ხელმძღვანელობას, ასევე შეიარაღებული ძალების ყველა წოდების წარმომადგენლობას.

საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველსაყოფად საჭიროა კანონების, დადგენილებებისა და სხვა ინსტრუქციების მიღება. ამ შემთხვევაში პირველადი მნიშვნელობა ენიჭება უნივერსიტეტისა და I დამატებითი ოქმის დარღვევათა, სისხლის სამართლებრივი წესით, დასჯად ქმედებად აღიარებას.¹ აკრძალული ქმედება ინკორპორირებული უნდა იყოს სისხლის სამართლის ან შეიარაღებული ძალების დისციპლინარულ კოდექსებში, უნდა განისაზღვროს მათი შესაბამისი სასჯელებიც.

შემდეგი ღონისძიება, რაც მიღებული უნდა იქნეს, არის შეიარაღებული ძალების მომზადება. ცნობილია, რომ ამ კუთხით საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის კონვენციის ტექსტი მოცემული ჯგუფისათვის გასაგებ ენაზე უნდა ითარგმნოს. გარდა ამისა, საერთაშორისო პუმანიტარული სამართლი შეიარაღებული ძალების მომზადების პროცესში ისე უნდა მიეწოდოს პიროვნებას, რომ მისი შესრულება ბუნებრივ რეფლექსად უქცეს. აუცილებელია განისაზღვროს, რომ ჯარისკაცისათვის მხოლოდ იარაღის გამოყენების ცოდნა არასაკმარისია, მან ისიც უნდა იცოდეს, ამ იარაღით რისი გაკეთება შეიძლება და რისი – არა.

საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცოდნის ავტორიტეტულ გავრცელებას, რაც ომის დროს პუმანიტარული ვალდებულებების შესრულების წინაპირობაა.

შემდეგი ღონისძიება მატერიალური ბაზის მომზადება. აუცილებელია ზომების მიღება დაცვაში მყოფი პირებისა და ობიექტების პატივისცემის უზრუნველსაყოფად. ამაში შედის საველე პოსპიტლების წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ემბლემებით აღნიშვნა. პოსპიტალური ხომალდები დამცავი ემბლემით უნდა აღინიშნოს და დადგენილი რადიოსიგნალით აღიჭურვოს. თვითმფრინავები, ვერტმფრენები და სხვა მფრინავი აპარატები, სამედიცინო დანიშნულების გამო, სპეციალური მოციმით ლურჯი შუქით უნდა აღიჭურვოს.

ზოგადად, კონვენციის წევრმა სახელმწიფოებმა მცირე პოტენციურ აგრესორსაც კი დაცვაში მყოფი პირებისა და საომარი ობიექტების ერთმანეთისაგან გარჩევის საშუალება მაინც უნდა მისცეს.

ამის კარგი მაგალითია წესი, რომლის მიხედვით, პოსპიტლები მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტების სიახლოეს არ უნდა აშენდეს, ისევე, როგორც სამხედრო ობიექტები არ უნდა განლაგდეს დასახლებული ზონების სიახლოეს.

¹ უნივერსიტეტების კონვენცია, მუხ. 49; მეორე კონვენცია, მუხ. 50; მესამე კონვენცია, მუხ. 129; მეოთხე კონვენცია, მუხ. 146; I ოქმი, მუხ. 80.

**მერაბ რაფავა,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი**

**საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის
იმპლემენტაციის პრობლემები ნაციონალურ სამართალში**

ნაშრომი შექმნება საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხეს – საერთაშორისო პუმანიტარული ნორმების იმპლემენტაციის საკითხებს ნაციონალურ სამართალში. ავტორი განიხილავს შიგასახელმწიფოებრივი მატერიალური სამართლისა და საერთაშორისო საჯარო სამართლის ურთიერთმიმართების საკითხებს, ნორმათა იერარქიასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

საგანგებო ყურადღება ეთმობა უენევის კონვენციებს და იმ ძირითად პრობლემებს, რაც უშუალოდ უკავშირდება აღნიშნული ნორმების იმპლემენტაციისა და შესრულების საკითხებს შიგასახელმწიფოებრივ სამართალში.

**Merab Rapava,
doctor of juridical sciences**

**SEVERAL PROBLEMS OF IMPLEMENTATION
INTERNATIONAL HUMANITARIAN LAW IN NATIONAL LEGISLATION**

The presented work is about one of the most important issues of International Humanitarian Law - about implementation standards of International Humanitarian Law in national legislation. The author reviews issues of relation between national material Law and International Public Law, and problems regarding hierarchy of legal standards.

The author pays special attention to Conventions of Geneva and main problems regarding to implementation and realization of high-mentioned standards in national legislation.

**Мераб Рапава,
доктор юридических наук**

**НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ОСУЩЕСТВЛЕНИЯ МЕЖДУНАРОДНОГО
ГУМАНИТАРНОГО ПРАВА В НАЦИОНАЛЬНОМ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВЕ**

Представленная работа касается одного из важнейших вопросов международного гуманитарного права – вопроса реализации норм международного гуманитарного права в национальное законодательство. Автор рассматривает вопросы отношений между национальным материальным законом и международным публичным правом. Он также рассматривает проблемы, касающиеся иерархии правовых норм.

Особое внимание автор обращает на конвенции Женевы и основные проблемы, которые касаются осуществления реализации правовых норм этих конвенций в национальное законодательство.

შინაარსი

პირმო სამართალი

ზეიად გაბისონია. საბანკო ბარანტიის ხელშეკრულების ზოგიერთი	
პროგლომა.....	3
ზეიად გაბისონია. შრომითი ურთიერთობების რეგულირება საერთაშორისო	
პერძო სამართალში.....	8
ბექა მაისურაძე. საწარმოს ლიკვიდაციის სამართლებრივი რეგულირება	
“მეღარმეთა შესახებ” საქართველოს პანონის მიხედვით.....	18
შერაბ ლეინიაშვილი. სააკმლაციო საჩივრის დასაშვებობის ზოგიერთი	
ასაქტი.....	23
ირაკლი ბუხიაშვილი. თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში რეგისტრირებული	
პომანიების იურისდიქციის საკითხი	28
ირაკლი ბუხიაშვილი. საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები	
და მათში კომპანიების რეგისტრაციის თავისებურება.....	35
სერგი ჯორბენაძე. საჯარო ინფორმაციის გაცემა საქართველოში.....	41
ლევან ლატარია. საქმის განხილვის უსაფუძლო გაფიანურებისაგან	
დაცვის ეფექტური მექანიზმები.....	54
გოგა კიკილაშვილი. ინტერესთა კონფლიქტის ზოგიერთი პრობლემა ქართულ	
საკორპორაციო სამართალში.....	61
ქეთევან კუხიანიძე. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები	
სამოქალაქო სამართლის პროცესში საქართველოსა და საზღვარგარეთის	
ქვეყნების საპროცესო სამართლის მიხედვით.....	67
ლევან მოსახლიშვილი. პრესონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობა	
საქართველოში	77
ოთარ ტატალაშვილი. მრავალმხრივი ინვესტიციების ბარანტიების სააბენტო (MIGA), როგორც უცხოური ინვესტიციების ბარანტორი.....	86
გაია თურქია. არასრულყოფან კითა დაცვა პროსტიტუციისა და	
პორნოგრაფიისან.....	90
გაია თურქია. ზრუნვამოკლებულ ბაზებია ოჯახური ძალადობა – პროგლობები	
და მისი სამართლებრივი რეგულირება.....	93
თამილა ხურციძე. ვრცელაზების ხელშეკრულების შედარებით ანალიზი	
03:არისა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებით.....	98
ლალი ჯანუარშვილი. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა	102

ლალი ჯანუებაშვილი. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ფილოსოფიური და	
თეორიული საცხძვლები111	
ქეთევან გოგუა. ხელშეპრულებიდან ბასცლა სახელშეპრულებო ვალდებულების	
მოსალოდნელი შეუსრულებლობის შემთხვევაში117	
ქეთევან გოგუა. შეტყობინება ხელშეპრულებიდან ბასცლის შესახებ123	
ლაშა შურდაია. დაზღვევის ხელშეპრულება და მისი რეგულირების	
შედარებითი ანალიზი127	

საჭარო სამართლი

მურმან გორგოშაძე. არისტოტელე – სახელმწიფოს უარმოშობის ანიროკული	
თეორიის უუძებდებელი133	
ირაკლი გაბისონია. ბადასახადის ბადამხდელის უფლებების დაცვის	
სამართლებრივი ბარანტიები138	
ქეთევან ჩახვაძე. ლტოლვილის სტატუსის მინიჭების თავისებაურება ამერიკის	
შემოწმებული შტატების მაბალითზე146	
მინდია ოკუჯავა. ნახევრად საპოზიციურო სისტემის ჩამოყალიბება	
კოსტსაბჭოთა საქართველოში151	
სალომე კუპრაშვილი. ამერიკის შემოწმებული შტატების საბადასახადო დაცვის	
ბადაწყვეტის დოქტრინალურ-თეორიული ასაეჭტების პროცედურები160	
ვანო ზარდიაშვილი. მთავრობის უორმილება საპარლამენტო რესპუბლიკაში168	
გივი აბაშიძე. ბრალდებულის დაცვის უფლებების ბარანტიები173	
გივი აბაშიძე. ბამოძიების საპოზიციო ხელმძღვანელობა, მისი როლი და	
მნიშვნელობა ბამოძიების სტადიაზე178	
პაატა კობალაძე, ვაჟა ბელთაძე. სამართლიანობის პრინციპი	
სისხლისამართლებრივ დეპნაში185	
ჯემალ გაბელია, ირაკლი იმერლიშვილი. დანაშაული – მოტივისა და მიზნის	
დაგმაყოფილების ხერხი194	
კონსტანტინე დოხნაძე. გენერალის გამოჯვენა კაცობრიობის შინააღმდეგ	
მიმართული სხვა დანაშაულისბან207	
მიხეილ გუდაგაძე. ნარკოტიკულ დანაშაულთა პროცედატიკის კომალექსური	
დონისძიებების სამართლებრივი უზრუნველყოფა220	
მიხეილ გუდაგაძე. ნარკომანია – სამედიცინო და სოციალური პრობლემა229	
ვახტანგ გაბედავა. შემთხვევის ადგილის დათვალიერების მნიშვნელობა	
მკვლელობის სამმზე234	

სამართლის ისტორია

ნანა ნიორაძე. მართლმარცულება და კანონი აღმაშსანდრე ამილახვარის, იოანე და დავით გაბრატიონების შემოქმედებაში.....	244
გახტანგ სონდულაშვილი. რუს-ურგენისის საეპლესიო კრების მოწვევის პოლიტიკურ-სამართლებრივი ასამარტინი.....	252

საერთაშორისო სამართალი

გერაბ რაფაელ. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დარღვევა და კასუებისმბეჭდობის პრინციპები	257
გერაბ რაფაელ. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის პროცედურები ნაციონალურ სამართალში	263

CONTENTS

CIVIL LAW

Zviad Gabisonia. SOME PROBLEMS OF THE BANK GUARANTEE AGREEMENT	3
Zviad Gabisonia. REGULATION OF LABOUR RELATIONS IN INTERNATIONAL PRIVATE LAW.....	8
Beka Maisuradze, LEGAL REGULATION OF AN ENTERPRISE LIQUIDATION ACCORDING TO THE GEORGIAN LAW OF "ENTREPRENEURS".....	18
Merab Gviniashvili. SOME ASPECTS OF PERMISSION OF APPELLATE COMPLAINTS	23
Irakli Bukhiashvili. THE ISSUE OF JURISDICTION OF THE COMPANIES REGISTERED IN FREE ECONOMIC ZONES	28
Irakli Bukhiashvili. GEORGIAN FREE INDUSTRIAL ZONES AND THE FEATURES OF COMPANY REGISTRATION IN THESE AREAS	35
Sergi Jorbenadze. ACCESS TO PUBLIC INFORMATION IN GEORGIA.....	41
Levan Lataria. EFFECTIVE REMEDIES AGAINST UNREASONABLE LENGTH OF PROCEEDINGS	54
Goga Kikilashvili. SAME PROBLEMS OF INTERESTS CONFLICT IN GEORGIAN LAW OF CORPORATE	61
Ketevan Kukhianidze. PERMISSION OF PROVISIONS OF CASSATION COMPLAINTS IN THE CIVIL PROCEDURE LAW ACCORDING TO THE PROCEDURE LAW OF GEORGIA AND FOREIGN COUNTRIES	67
Levan Mosakhlishvili. LEGISLATION ABOUT PROTECTION OF PERSONAL DATA IN GEORGIA	77
Otar Tatalashvili. MULTILATERAL INVESTMENTS GUARANTEE AGENCY (MIGA), AS A GUARANTER OF FOREIGN INVESTMENTS.....	86
Maia Turkia. PROTECTION OF UNDER AGE PERSONS FROM PROSTITUTION AND PORNOGRAPHY.....	90
Maia Turqia. FAMILY VIOLENCE OF DEVOID OF GUARDIANSHIP CHILDREN – PROBLEMS AND THEIR LEGAL REGULATIONS	93
Tamila Khurtsidze. COMPARATIVE ANALYSIS OF FRANCHISING AGREEMENT WITH RENTAL AND SALE AND PURCHASE AGREEMENTS	98
Lali Janukashvili. THE DISCIPLINARY LIABILITY OF JUDGES	102

Lali Janukashvili. PHILOSOPHICAL AND THEORETICAL FUNDAMENTALS OF JUDGES INDEPENDENCE	111
Ketevan Gogua. RESCISSION UNDER PRESUMABLE BREACH OF CONTRACT	117
Ketevan Gogua. NOTIFICATION ABOUT RESCISSION OF THE CONTRACT	123
Lasha Shurgaia. INSURANCE AGREEMENT AND COMPARATIVE ANALYSIS OF ITS REGULATION	127

PUBLIC LAW

Murman Gorgoshadze. ARISTOTLE- THE FOUNDER OF ANTHROPIC THEORY OF ESTABLISHING THE STATE.....	133
Irakli Gabisonia. LEGAL GUARANTEES OF PROTECTION OF TAXPAYERS' RIGHTS	138
Ketevan Chakhvadze. PECULIARITY OF GRANTING OF THE REFUGEE STATUS BASED ON THE CASE OF USA.....	146
Mindia Okudjava. ESTABLISHMENT OF SEMI-PRESIDENTIAL SYSTEM IN POST-SOVIET GEORGIA	151
Salome Kuprashvili. THE PROCEDURES OF DOCTRINAL – THEORETICAL ASPECTS OF THE TAX DISPUTES DECISION OF THE UNITED STATES OF AMERICA	160
Vano Zardiashvili. FORMATION OF GOVERNMENT IN PARLIAMENTARY REPUBLIC....	168
Givi Abashidze. GUARANTEES OF PROTECTION OF THE RIGHTS OF THE ACCUSED	173
Givi Abashidze. PROCEDURAL MANAGEMENT OF A INQUEST, ITS ROLE AND VALUE AT THE INQUEST STAGE.....	178
Paata Kobaladze, Vazha Beltadze. PRINCIPLE OF JUSTICE IN THE PROSECUTION.....	185
Jemal Gabelia, Irakli Imerlishvili. CRIME - SATISFYING WAY OF THE MOTIVE AND GOAL	194
Konstantine Dokhnadze. DIFFERENTIATION OF GENOCIDE FROM OTHER CRIMES, DIRECTED AGAINST MANKIND	207
Mikheil Gudavadze. REALIZATON OF LEGAL COMPLEX ACTIONS FOR PREVENTIVE MAINTENANCE OF NARCOCRIME.....	220
Mikheil Gudavadze. NARCOMANIA – MEDICAL AND SOCIAL PROBLEM	229
Vakhtang Gabedava. IMPORTANCE OF INSPECTION OF ACCIDENT PLACE OF THE MURDER CASE	234

HISTORY OF LAW

Nana Nioradze. JUSTICE AND LAW IN THE WORKS ALEXANDER AMILAKHVARI, JOHN AND DAVID BAGRATI	244
Vakhtang Songulashvili. MAIN POLITICAL AND LEGAL ASPECTS OF RUIS-URBNISI CHURCH MEETING.....		252

INTERNATIONAL LAW

Merab Rapava. VIOLATION OF THE RULES OF INTERNATIONAL HUMANITARIAN LAW AND PRINCIPLES OF RESPONSIBILITY	257
Merab Rapava. SEVERAL PROBLEMS OF IMPLEMENTATION INTERNATIONAL HUMANITARIAN LAW IN NATIONAL LEGISLATION	263

СОДЕРЖАНИЕ

ГРАЖДАНСКОЕ ПРАВО

Звиад Габисония. НЕКОТОРЫЕ ПРОБЛЕМЫ ДОГОВОРА БАНКОВСКОЙ ГАРАНТИИ	3
Звиад Габисония. РЕГУЛИРОВАНИЕ ТРУДОВЫХ ОТНОШЕНИЙ В МЕЖДУНАРОДНОМ ЧАСТНОМ ПРАВЕ	8
Бека Майсурадзе. ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ ЛИКВИДАЦИИ ПРЕДПРИЯТИЯ «ПРЕДПРИНИМАТЕЛИ» В СООТВЕТСТВИИ С ЗАКОНОМ ГРУЗИИ	18
Мераб Гвиниашвили. НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ДОПУЩЕНИЯ АППЕЛЯЦИОННЫХ ЖАЛОБ	23
Ираклий Бухиашвили. ВОПРОС О ЮРИСДИКЦИИ КОМПАНИЙ, ЗАРЕГИСТРИРОВАННЫХ В СВОБОДНЫХ ЭКОНОМИЧЕСКИХ ЗОНАХ	28
Ираклий Бухиашвили. СВОБОДНЫЕ ИНДУСТРИАЛЬНЫЕ ЗОНЫ В ГРУЗИИ И ОСОБЕННОСТИ РЕГИСТРАЦИИ КОМПАНИЙ В НИХ	35
Серги Джорбенадзе. ВЫДАЧА ПУБЛИЧНОЙ ИНФОРМАЦИИ В ГРУЗИИ	41
Леван Латария. ЭФФЕКТИВНЫЙ МЕХАНИЗМ ЗАЩИТЫ ОТ НЕОБОСНОВАННОЙ ВОЛОКИТЫ РАССМОТРЕНИЯ ДЕЛА	54
Гога Кикилашвили. НЕСКОЛЬКО ПРОБЛЕМ КОНФЛИКТА ИНТЕРЕСОВ В ГРУЗИНСКОМ КОРПОРАТИВНОМ ПРАВЕ	61
Кетеван Кухианидзе. УСЛОВИЯ ДОПУСКА КАССАЦИОННОЙ ЖАЛОБЫ В ПРОЦЕССЕ ГРАЖДАНСКОГО ПРАВА ПО ПРОЦЕССУАЛЬНОМУ ПРАВУ ГРУЗИИ И ЗАРУБЕЖНЫХ СТРАН	67
Леван Мосахлишвили. ЗАКОНОДАТЕЛЬСТВО О ЗАЩИТЕ ПЕРСОНАЛЬНЫХ ДАННЫХ В ГРУЗИИ	77
Отар Таталашвили. МНОГОСТОРОННИЕ АГЕНТСТВА ПО ГАРАНТИЯМ ИНВЕСТИЦИЙ (МИГА), КАК ГАРАНТ ИНОСТРАННЫХ ИНВЕСТИЦИЙ	86
Маина Туркиа. ЗАЩИТА НЕСОВЕРШЕННОЛЕТНИХ ДЕТЕЙ ОТ ПРОСТИТУЦИИ И ПОРНОГРАФИИ	90
Маина Туркиа. НАСИЛИЕ В СЕМЬЯХ ДЕТЕЙ, ЛИШЕННЫХ ОПЕКИ, ПРОБЛЕМЫ И ИХ ПРАВОВОЕ РЕГУЛИРОВАНИЕ	93
Тамила Хурцидзе. ФРЕНЧАЙЗИНГ, ДОГОВОР АРЕНДЫ И ДОГОВОР КУПЛИ-ПРОДАЖИ	98

Лали Джанукашвили. ДИСЦИПЛИНАРНАЯ ОТВЕТСТВЕННОСТЬ СУДЕЙ	102
Лали Джанукашвили. ФИЛОСОФСКИЕ И ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ОСНОВЫ НЕЗАВИСИМОСТИ СУДЬИ	111
Кетеван Гогуа. ВЫХОД ИЗ ДОГОВОРА В СЛУЧАЕ НЕВЫПОЛНЕНИЯ ОБЯЗАТЕЛЬСТВ ДОГОВОРА	117
Кетеван Гогуа. СООБЩЕНИЕ О ВЫХОДЕ ИЗ ДОГОВОРА	123
Лаша Шургая. СОГЛАШЕНИЕ О СТРАХОВАНИИ И СРАВНИТЕЛЬНЫЙ АНАЛИЗ ЕГО РЕГУЛИРОВАНИЯ	127

ПУБЛИЧНОЕ ПРАВО

Мурман Горгошадзе. АРИСТОТЕЛЬ – ОСНОВОПОЛОЖНИК АНТРОПИЧЕСКОЙ ТЕОРИИ ПРОИСХОЖДЕНИЯ ГОСУДАРСТВА	133
Ираклий Габисония. ЮРИДИЧЕСКИЕ ГАРАНТИИ ЗАЩИТЫ ПРАВ НАЛОГОПЛАТЕЛЬЩИКОВ	138
Кетеван Чахвадзе. ОСОБЕННОСТИ ПРИСВОЕНИЯ СТАТУСА БЕЖЕНЦА НА ПРИМЕРЕ США	146
Миндия Окуджава. СОЗДАНИЕ ПОЛУПРЕЗИДЕНТСКОЙ СИСТЕМЫ В ПОСТСОВЕТСКОЙ ГРУЗИИ	151
Саломе Купрашвили. ДОКТРИНАЛЬНО - ТЕОРЕТИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ПРОЦЕДУРЫ РЕШЕНИЯ НАЛОГОВЫХ СПОРОВ В СОЕДИНЕННЫХ ШТАТАХ	160
Вано Зардиашвили. ФОРМИРОВАНИЕ ПРАВИТЕЛЬСТВА В ПАРЛАМЕНТСКОЙ РЕСПУБЛИКЕ.....	168
Гиви Абашидзе. ГАРАНТИИ ЗАЩИТЫ ПРАВ ОБВИНИЕМОГО.....	173
Гиви Абашидзе. ПРОЦЕССУАЛЬНОЕ РУКОВОДСТВО СЛЕДСТВИЕМ, ЕГО РОЛЬ И ЗНАЧЕНИЕ НА СТАДИИ СЛЕДСТВИЯ.....	178
Паата Кобаладзе, Важа Белтадзе. ПРИНЦИП СПРАВЕДЛИВОСТИ В УГОЛОВНОМ ПРЕСЛЕДОВАНИИ	185
Джемал Габелия, Ираклий Имерлишвили. ПРЕСТУПНОСТЬ – СПОСОБ УДОВЛЕТВОРЕНИЯ МОТИВА И ЦЕЛИ	194
Константин Дохнадзе. РАЗГРАНИЧЕНИЕ ГЕНОЦИДА ОТ ДРУГИХ ПРЕСТУПЛЕНИЙ, НАПРАВЛЕННЫХ ПРОТИВ ЧЕЛОВЕЧЕСТВА	207
Михеил Гудавадзе. ОСУЩЕСТВЛЕНИЕ ПРАВОВЫХ КОМПЛЕКСНЫХ МЕРОПРИЯТИЙ ДЛЯ ПРОФИЛАКТИКИ НАРКОПРЕСТУПЛЕНИЙ.....	220
Михеил Гудавадзе. НАРКОМАНИЯ – МЕДИЦИНСКАЯ И СОЦИАЛЬНАЯ ПРОБЛЕМА ..	229

Вахтанг Габедава. ВАЖНОСТЬ ОСМОТРА МЕСТА ПРОИСШЕСТВИЯ ПО ДЕЛУ УБИЙСТВА.....	234
---	-----

ИСТОРИЯ ПРАВА

Нана Ниорадзе. ПРАВОСУДИЕ И ЗАКОН В ДЕЯТЕЛЬНОСТИ АЛЕКСАНДРА АМИЛАХВАРИ, ИОАНА И ДАВИДА БАГРАТИОНИ.....	244
Вахтанг Сонгулашвили. ПОЛИТИЧЕСКИЕ - ПРАВОВЫЕ АСПЕКТЫ ЗАСЕДАНИЙ РУИС-УРБНИССКОГО ЦЕРКОВНОГО СОБОРА	252

МЕЖДУНАРОДНОЕ ПРАВО

Мераб Рапава. НАРУШЕНИЕ НОРМ МЕЖДУНАРОДНОГО ГУМАНИТАРНОГО ПРАВА И ПРИНЦИПЫ ОТВЕТСТВЕННОСТИ	257
Мераб Рапава. НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ОСУЩЕСТВЛЕНИЯ МЕЖДУНАРОДНОГО ГУМАНИТАРНОГО ПРАВА В НАЦИОНАЛЬНОМ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВЕ	263

რედაქტორები: ლ. მამალაძე, დ. ქურიძე, მ. პრეობრაჟენსკაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა ხ. უნგიაძის

გადაეცა წარმოებას 05.03.2012. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.03.2012. ქაღალდის ზომა
60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 17. ტირაჟი 80 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

